



ეროვნული სასწავლო  
გეგმების ცენტრი  
NATIONAL CURRICULUM  
CENTER



საქართველოს  
განათლებისა  
და კულტურის  
სამინისტრო

# ესრთული ენა და ლიტერატურა

## I-VI კლასები

გზაგავლები გასწავლებასთვის

2011-2016 წლების ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით



თბილისი, 2011

## გზამკვლევზე

მუშაობდნენ:

**თამარ ჯაყელი** - ეროვნული სასწავლო გეგმების ცენტრის  
პუმანიტურულ და საზოგადოებრივ მეცნიერებათა  
დეპარტამენტის უფროსი

**ირინა სამსონია** - ეროვნული სასწავლო გეგმების ცენტრის  
ქართული ენისა და ლიტერატურის ჯგუფის ხელმძღვანელი

**ნინო დობორჯგინიძე** - ეროვნული სასწავლო გეგმების ცენტრის  
ქართული ენისა და ლიტერატურის ჯგუფის მთავარი ექსპერტი

**თინათინ ცერაძე** - ეროვნული სასწავლო გეგმების ცენტრის  
ქართული ენისა და ლიტერატურის ჯგუფის ექსპერტი

**ქეთევან თოფაძე** - გივი ზალდასტანიშვილის სახ. ამერიკული  
აკადემიის ქართული ენისა და ლიტერატურის პედაგოგი,  
განათლების მაგისტრი

**მაია ინასარიძე** - განათლების ექსპერტი, პედაგოგი, ევროპული  
სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის კათედრის გამგე

**მაია ლორთქიფანიძე** - პედაგოგი, თბილისის 21-ე საჯარო  
სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის კათედრის გამგე

## პროექტის

კოორდინატორი:

**თამარ ჯაყელი** - ეროვნული სასწავლო გეგმების ცენტრის  
პუმანიტურულ და საზოგადოებრივ მეცნიერებათა  
დეპარტამენტის უფროსი

დიზაინერ-დამკაბადონებელი:

გიორგი ინაშვილი

ტექნიკური რედაქტორი:

ირინა სამსონია, ნინო დობორჯგინიძე,  
თინათინ ცერაძე

UDC (უაკ) 821.353.1+811.353.1 (072)  
ქ - 279

ISBN 978-9941-0-3608-8

© ეროვნული სასწავლო გეგმების ცენტრი

მოცემული პუბლიკაციის ტექსტის გამოყენება დაშვებულია მხოლოდ არაკომერციული  
მიზნებისთვის, წყაროს მითითებით.

## სარჩევი

შესავალი	4
თავი I. სწავლა-სწავლების პირითაღი პრიცეპები	
დაწყებით საფარზე	5
თავი II. შეფასება	10
თავი III. რეკორდების გადაწყვეტილების შედეგების მისაღევად	15
I კლასი	29
II კლასი	39
III კლასი	49
IV კლასი	59
V კლასი	72
VI კლასი	84
თავი IV. სანიმუშო აქტივობები	98
I კლასი	98
II კლასი	133
III კლასი	158
IV კლასი	184
V კლასი	218
VI კლასი	248
დანართი 1. უნივერსიტეტის უნიკალური და მათი განვითარება	288
დანართი 2. პიონერის სწავლება 5-6 ლექს ასაკის მოსწავლითათვის	302
დანართი 3. არამხატვრული ტექსტების 4 ტიპი და მათი გრაფიკული მარრგანიზაციები	328
დანართი 4. შეფასების სპეცები	329
გამოყენებული ლიტერატურა	339

## შესავალი

წინამდებარე გზამკვლევი უპირველესად განკუთვნილია ქართული ენისა და ლიტერატურის დაწყებითი საფეხურის მასწავლებელთათვის. ამასთანავე, მიგვაჩნია, რომ იგი სასარგებლო და გამოსადეგი რესურსი იქნება სკოლების ადმინისტრაციისათვისაც, სახელმძღვანელოებზე მომუშავე ავტორთა ჯგუფებისთვის, მოსწავლეთა მშობლებისა და ყველა დაინტერესებული მკითხველისთვის.

გზამკვლევის მიზანია, გარკვეული დახმარება გაუწიოს მასწავლებლებს დაწყებითი საფეხურისთვის განკუთვნილი საგნობრივი სტანდარტის უკეთ და სილრმისეულად გაგებაში, რათა მათ გაუადვილდეთ ამ დოკუმენტში ასახული სავალდებულო მოთხოვნების და კმაყოფილება. წარმოდგენილი გზამკვლევი არის ერთგვარი ხიდი სახელმწიფოს მიერ დადგენილ ოფიციალურ დოკუმენტსა და უშუალოდ სასწავლო პროცესს შორის და გაუადვილებს მასწავლებელს მის გამოყენებას პრაქტიკაში. სწორედ ამიტომ, წარმოდგენილ გზამკვლევში შევეცადეთ შეგვეტანა და დაგვემუშავებინა ისეთი საკითხები, რომლებიც, ჩვენი აზრით, განსაკუთრებულად საჭიროებდა ყურადღების გამახვილებას. გთავაზობთ გზამკვლევის მოკლე აღწერილობას. იგი შედგება შემდეგი თავებისაგან:

I თავი - მასში განმარტებულია სწავლა-სწავლების ძირითადი პრინციპები, რომლებიც საფუძვლად უდევს ეროვნულ სასწავლო გეგმას, ასევე აღწერილია დაწყებითი საფეხურის მოსწავლის ასაკობრივი თავისებურებები.

II თავი - აქ აღწერილია შეფასების პრინციპები სწავლების დაწყებით საფეხურზე და ჩამოთვლილია საშინაო და საკლასო, ასევე შემაჯამებელი დავალებების კომპონენტები ქართულ ენასა და ლიტერატურატურაში.

III თავი - იგი მკითხველს სთავაზობს ქართული ენისა და ლიტერატურის სტანდარტის მიმართულებების მიმოხილვას და მათი სწავლებისთვის საჭირო რეკომენდაციებს. ამავე თავში წარმოდგენილია სარეკომენდაციო აქტივობების ჩამონათვალი თითოეული შედეგი-სათვის.

IV თავი - ეს თავი მასწავლებლებს სთავაზობს დეტალურად განერილ სანიმუშო აქტი-ვობებს დაწყებითი საფეხურის თითოეული კლასის ყველა შედეგისათვის.

გზამკვლევის ბოლოს წარმოდგენილია 4 დანართი.

დანართი 1. ფონოლოგიური უნარ-ჩვევები და მათი განვითარება - ამ ნაწილში აღწერილია მოსწავლეთა ფონოლოგიური ცნობიერების განვითარებისკენ მიმართული მეთოდები და კონკრეტული აქტივობები, რომლებიც მოსწავლებს დაეხმარება სათანადო უნარ-ჩვევების გამომუშავებაში.

დანართი 2. კითხვის სწავლება 5-6 წლის ასაკის მოსწავლეთათვის - ამ ნაწილში წარმოდგენილია აქტივობები, რომლებიც მოსწავლეებს ეტაპობრივად მოამზადებს კითხვისა და წერისათვის.

დანართი 3. არამხატვრული ტექსტების 4 ტიპი და მათი გრაფიკული მაორგანიზებლები - ამ ნაწილში წარმოდგენილია გრაფიკული მაორგანიზებლების ნიმუშები, აღწერილია მათი გამოყენების ხერხები სხვადასხვა ტიპის არამხატვრულ ტექსტებზე მუშაობის პროცესში.

დანართი 4. შეფასების სქემები - ამ ნაწილში წარმოდგენილია მოსწავლეთა მიღწევების შესაფასებელი სქემები ქართული ენისა და ლიტერატურის სტანდარტით გათვალისწინებული სამივე მიმართულების მიხედვით (ზეპირმეტყველება, კითხვა, წერა).

# თავი I

## სწავლა-სწავლების პირითადი პრიცენტის დაწყებით საფარზე

ეროვნული სასწავლო გეგმის ფუნდამენტური პრინციპია შედეგზე ორიენტირება, რაც გულისხმობს მოსწავლეთათვის ქმედითი, დინამიკური და ფუნქციური ცოდნის გადაცემას.

შედეგზე ორიენტირებული სასწავლო პროცესი მოითხოვს სწავლა-სწავლების შემდეგი ძირითადი პრინციპების დაცვას:

1. ცოდნის კონსტრუირება;
2. გაღრმავებული სწავლება;
3. პოზიტიური სასწავლო გარემოს შექმნა;
4. მოტივაციის ამაღლება;
5. მოსწავლის ჩართულობა;
6. ინდივიდუალური მახასიათებლების გათვალისწინება;
7. ასაკობრივი თავისებურებების გათვალისწინება.

მოკლედ მიმოვისილოთ თითოეული მათგანი:

### 1. ცოდნის კონსტრუირების ხელშეწყობა

სწავლა არის ცოდნის აგების პროცესი, რომელშიც მოსწავლე აქტიურად უნდა იყოს ჩართული. გამზადებული ცოდნის გადაცემა არ უწყობს ხელს გააზრებულ და ხარისხიან სწავლებას. მართალია, მასწავლებელმა უნდა მართოს სწავლა-სწავლების პროცესი, მაგრამ მოსწავლესაც უნდა დაუტოვოს დამოუკიდებლად დაფიქრების საშუალება, საკუთარ ცოდნასა და გამოცდილებაზე დაფუძნებით აღმოჩინოს და დაამუშავოს ახალი საკითხები. ამგვარი აქტიურობით ის უკეთესად გაიაზრებს და შეითვისებს ახლად შეძენილ ცოდნას. ცხადია, მოსწავლე შეცდომებსაც დაუშვებს და დაბრკოლებებსაც წააწყდება, მაგრამ მასწავლებლის დახმარებით, მსჯელობითა და კონსტრუქციული თანამშრომლობით, ის პრობლემებსაც გაუმკლავდება, ხარვეზებსაც შეავსებს და შეცდომებსაც გამოასწორებს. ცნობილია სწავლა აღმოჩენით, როცა ბავშვები დიდნილად თვითონ მუშაობენ და სწავლა მართვადი აღმოჩენით, სადაც პროცესს მასწავლებლი მართავს. ამ დროს მასწავლებელი არ საუბრობს პრობლემის გადაჭრის გზებსა და ხერხებზე, იგი მოსწავლეებს მხოლოდ აუცილებელ მასალას აწვდის, მათ დაკვირვებისკენ უბიძებს და აძლევს საშუალებას, მოსაზრებები, ჰიპოთეზები გამოთქვან. ამისათვის მოსწავლეებს სჭირდებათ ინტუიციური და ანალიტიკური აზროვნების ამოქმედება. მასწავლებელს შეუძლია, დასვას მიმანიშნებელი კითხვები, ნაახალისონ მოსწავლეების არასრული მონაცემები, ხოლო შემდეგ დაეხმაროს მათ მოსაზრებათა დამტკიცებასა ან უკუგდებაში. ამგვარი სამუშაოს ეტაპებია: შესავალი, ექსპერიმენტი, მსჯელობა (გააზრება), გამოყენება და შემოწმება.

მუშაობის ამგვარი მეთოდის დადებით მხარედ შემეცნებითი პროცესის განვითარება

შეიძლება ჩაითვალოს. გამოიყენება მუშაობის მრავალფეროვანი ფორმები. ესენია: დისკუსია, ლიტერატურასთან მუშაობა, ემპირიული ინფორმაციის შეგროვება და სხვ. ბავშვები ხედავენ საკუთარი შრომის ნაყოფს. ცოდნა არ არის ფორმალური. მყარდება კავშირი ცხოვრებისეულ გამოცდილებასთან. ჯგუფური მუშაობის დროს კი ვითარდება თანამშრომლობის უნარი. განსაკუთრებით ეფექტურია ამ ტიპის მუშაობის დაწყება მეხუთე-მეექვსე კლასებში.

## 2. გაღრმავებული სწავლება

შედეგზე ორიენტირება გულისხმობს მოსწავლისთვის მიწოდებული ინფორმაციის არა მხოლოდ დამახსოვრებას, არამედ ამ ინფორმაციის მყარ და ფუნქციურ ცოდნად გარდაქმნას. ამგვარი ცოდნის მიღება კი შესაძლებელია მხოლოდ გაღრმავებული სწავლებით, რაც გულისხმობს სასწავლო მასალის ეტაპობრივად და მრავალმხრივად დამუშავებას, ახალი საკითხების, ცნებების საფუძვლიანად და განსხვავებულ კონტექსტებში განხილვას, ათვისებული ცოდნის განმტკიცებას, საგანთაშორისი კავშირების გამოვლენასა და საერთო ასპექტების დამუშავებას.

## 3. პოზიტიური სასწავლო გარემოს შექმნა

სწავლა უნდა მიმდინარეობდეს მშვიდ და მოწესრიგებულ გარემოში, სადაც განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება პოზიტიურ ურთიერთობებსა და ინტერაქციას; სადაც მოსწავლე დაფინანსებული და აღიარებულია, ამავე დროს, პასუხისმგებელია საკუთარ სწავლასა და განვითარებაზე.

## 4. მოტივაციის ახალლება

მოტივაცია განმსაზღვრელ როლს თამაშობს სწავლა-სწავლების პროცესში. მოტივაციის ამაღლება ბადებს სასწავლო აქტივობაში ჩაბმის სურვილს, ზრდის მასში მონაწილეობის ხარისხს, რაც, თავის მხრივ, უფრო ქმედითუნარიანს ხდის მოსწავლეს. მოტივირებული მოსწავლე მიზანდასახულია, მზად არის დაძლიოს პრობლემები და გადალახოს სიძნელეები. ამდენად, მოსწავლეთა მოტივაციის ამაღლება უმნიშვნელოვანესი ამოცანაა ჰედაგოგისთვის.

შესაძლებელია მოტივაციური პროცესების მართვა, რასაც მოტივირებას უწოდებენ. სასწავლო გეგმის შედგენისას, მასწავლებელი უნდა დაფიქრდეს მოტივებზე და გაიაზროს, რისი გაკეთებაა საჭირო, რომ მოსწავლეებს სწავლის სურვილი გაუღიძოს; როგორ განუვითაროს და აუმაღლოს მათ მოტივაცია სასწავლო გეგმის ფარგლებში.

პირველ რიგში, ბავშვებს უნდა გაუჩნდეთ წინსვლის შეგრძნება. ამისათვის თითოეულ მოსწავლეს, მიუხედავად მათი აკადემიური მიღწევებისა, უნდა მივცეთ ეტაპობრივი პროგრესირების საშუალება საკუთარ შესაძლებლობებსა და ცოდნაზე დაყრდნობით. ამდენად, აუცილებელია, თითოეული მოსწავლისათვის სწორად შეირჩეს დავალებათა სირთულის დონე. თუ მოსწავლეს მივცემთ ზედმეტად რთულ, მისთვის დაუძლეველ დავალებებს, ის წინსვლის იმედს დაკარგავს. წარმატებული პედაგოგი უნდა ითვალისწინებდეს, რომ მოსწავლის მთავარი „ასაკობრივი“ მოტივი მიღწევის მოტივია. რა აქვთ საერთო ალპინისტს,

რომელიც მწვერვალებს იყენობს, ბავშვს, რომელიც გატაცებით თამაშობს კომპიუტერულ თამაშებს და მოსწავლეს, რომელიც ყოველთვის ცდილობს, უკეთესად ისწავლოს. თითო-ეულ მათგანს გააქტიურებული აქვს წარმატების მიღწევის მოტივი, საკუთარი შესაძლებლობების დონის ამაღლებისკენ სწრაფვა, რაც დაკავშირებულია პიროვნების სურვილთან, მიაღწიოს წარმატებას და თავი აარიდოს მარცხს. ასე რომ, აუცილებელია, შევქმნათ ისეთი სასწავლო გარემო, რომელშიც ნებისმიერ მოსწავლეს ექნება წინსვლის განცდა.

თანამედროვე სკოლაში სწავლის მოტივაციის განვითარების ტექნოლოგია მოსწავლეთა მიღწევის მოთხოვნილების განვითარებაზე იგება. ეს ტექნოლოგია გულისხმობს ისეთი პროგრამების შემუშავებას, სადაც ბევრი სხვადასხვა სირთულის დავალების გრადაციაა.

მნიშვნელოვანია მოსწავლის ინტერესების გათვალისწინება. მოსწავლის დასაინტერესებლად აუცილებელია ყველა სასწავლო მასალის გამოყენება. სასურველია, გაკვეთილის გეგმა მოსწავლეების ინტერესებთან შეთანხმებით დაიგეგმოს. სასწავლო მასალა უნდა ჩავრთოთ „სამყაროს სურათში“, დავუკავშიროთ ყოველდღიურ ცხოვრებისეულ გამოცდილებას. ბავშვის ინტერესების გამოსავლენად მარტივი ხერხი პირდაპირი შეკითხვაა - როგორ ატარებენ თავისუფალ დროს. მოსწავლეების ინტერესების დადგენის შემდეგ, საჭიროა მათი გამოყენება სასწავლო პროცესში. მასწავლებლისთვის მნიშვნელოვანია, სასწავლო პროგრამების შესავსებად მოსწავლეთა ინტერესები იცოდეს. გაკვეთილის მსვლელობისას შეიძლება გამოვიყენოთ ყველაფერი, რაც გაზრდის ცნობისმოყვარეობას - ახალი და უჩვეულო ფაქტები, შეხედულებები მოვლენებზე, თვალსაჩინო დამხმარე სახელმძღვანელოები, თვითნაკეთი ნივთები და სხვ. აგრეთვე, სასურველია, მასწავლებლმა შექმნას პრობლემური სიტუაციები, რითაც მოსწავლეებს ობიექტის შესწავლისკენ უბიძებს.

მოსწავლეს უნდა დავანახოთ სასკოლო აქტივობათა ღირებულება. მან უნდა გაიაზროს, რატომ უნდა გაისარჯოს დავალებული ამოცანის შესრულებისას, რისთვისაა ეს საჭირო და რაში გამოადგება. წინააღმდეგ შემთხვევაში, მისი მოტივაცია მკვეთრად დაიკლებს და იგი აქტივობისთვის მინიმალურად ან, სულაც, არ დაიხარჯება. ამდენად, მასწავლებელი ყოველთვის უნდა ცდილობდეს, ნათლად დაანახოს მოსწავლეს ამა თუ იმ აქტივობის ღირებულება, ხელი შეუწყოს შესასრულებელი დავალების გააზრებაში და გააგებინოს, რააზრი აქვს მის შესრულებას, რა სარგებელს მოუტანს პიროვნული თუ სოციალური თვალსაზრისით და რას შესძენს ისეთს, რაც მას სკოლის გარეთაც გამოადგება.

## 5. მოსწავლის ჩართულობა

თანამედროვე საგანმანათლებლო პროცესი მოსწავლეთა განსაკუთრებულ აქტიურობას მოითხოვს. აქ იგულისხმება არა მხოლოდ მოსწავლეთა აქტიური მონაწილეობა განათლების პროცესში, არამედ თანატოლების სწავლის პროცესში მონაწილეობაც. გაკვეთილზე ჯგუფური მუშაობისას, პროექტებში მონაწილეობისას, წარმოდგენების დაგეგმვისა თუ განხორციელებისას მოსწავლეები ერთმანეთს ეხმარებიან სხვადასხვა კონცეფციის უკეთესად გაგებაში, უნარ-ჩვეულების დაუფლება-განვითარებაში და დამოკიდებულებების ჩამოყალიბებაში. შესაბამისად, გაკვეთილებზე მოსწავლეების დასწრების ხელშეწყობა სკოლის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საზრუნავია.

## 6. ინდივიდუალური მახასიათებლების გათვალისწინება

ყველა მოსწავლე არის უნიკალური და განსხვავებული თავისი ინდივიდუალური, ფიზიკური და ფსიქიკური მახასიათებლებით, ნიჭით, ემოციებით, ინტერესებით, პირადი გამოცდილებით, აკადემიური საჭიროებებით, აზროვნების მოდალობითა და სწავლის სტილით (აღმის მოდალობებით). განვითარების თანაბარი შესაძლებლობის მისაცემად, სკოლამ ყველა მოსწავლეს უნდა შესთავაზოს მრავალფეროვანი სასწავლო პროცესი, რაც გულისხმობს მრავალგვარი მეთოდის, მიდგომის, სტრატეგიის, პრობლემათა გადაჭრის გზების, აქტივობათა ტიპებისა თუ შეფასების ხერხების გამოყენებას.

მესამე და მეოთხე თავებში შემოგთავაზებთ აქტივობათა და შეფასების ხერხების მრავალფეროვან სპექტრს. ყურადღებას შევაჩირებთ სწავლის სტილზე ანუ აღმის მოდალობებზე.

თანამედროვე მკვლევარები მოსწავლეს ადარებენ ტელევიზორს, რომლის მსგავსად, მოსწავლესაც შეუძლია, სხვადასხვა არხით მიიღოს ინფორმაცია. როგორც წესი, ცალკეულ ინდივიდში რომელილაც ერთი არხი სხვებზე მეტადაა განვითარებული და, შესაბამისად, ისინი ინფორმაციის დამუშავებას ერთ-ერთი მათგანით არჩევენ. სწორედ ეს არჩევანი განსაზღვრავს სასწავლო პროცესის დადგენილია სამი ძირითადი სასწავლო პროცესი:

- ხედვითი;
- სმენითი;
- კინესთეტური.

ზოგიერთი ადამიანი ინფორმაციის აღმას ხედვით არჩევს და მათზე ამბობენ, „ფოტოაპარატით“ სწავლობსო. მათზე, ვინც სმენით აღიქვამს ინფორმაციას, ამბობენ, „მაგნიტოფონით“ სწავლობსო. კინესთეტიკები კი „უთავოდ“ სწავლობენ – ისინი არჩევენ მანიპულაციას, ხელით კეთებას, უესტიკულაციას, მიმიკას, რიტმს, მოძრაობას.

მაშასადამე, ადამიანს გარედან მიღებული ინფორმაციის აღქმისა და დამახსოვრების ინდივიდუალური უნარები აქვს. ზოგი მხედველობით მიღებულ ინფორმაციას იმახსოვრებს უკეთ, ზოგი - სმენით აღქმულს, ზოგს კი მოქმედების შესრულება, სიტუაციის შეგრძნება სჭირდება, რათა მიღებული ინფორმაცია შეინახოს. ეს უნარები, როგორც აღვნიშნეთ, ბავშვობიდანვე იჩენს თავს და, თუ ინფორმაციის მიწოდების ფორმა არ შეესაბამება ბავშვის ინდივიდუალურ მონაცემს, მას უჭირს ინფორმაციის აღქმა და გაგება. გაკვეთილი, რომლის 60-70% მასწავლებლის მონაცემისგან შედგება, „სმენითებისთვის“ (იგივე აუდიალებისთვის) უკეთ აღსაქმელია. მასწავლებელი დროდადრო წერს დაფაზე და ამით ჩართავს ვიზუალს, ანუ ხედვითი პროფილის მქონეს და ამგვარად უწყობს ხელს, გაიგოს ინფორმაცია. ამ დროს კინესთეტიკები გაკვეთილიდან გამოთიშულნი არიან. თუ მათი პროფილის შესაბამის აქტივობას არ ჩავრთავთ, ისინი მხოლოდ სპორტისა და ხელსაქმის გაკვეთილებზე შეძლებენ თავის წარმოჩენას. ამიტომ აუცილებელია, ასეთ მოსწავლეებს მათი ინდივიდუალური სტილის შესაბამისი აქტივობები შევთავაზოთ. მაგალითად, როლური თამაში, სიმულაციური აქტივობა, ნაკეთობის შექმნა, დაფასთან გამოსვლა და მასწავლებლისგან მიღებული ინფორმაციის რუკაზე/ცხრილზე ჩვენება, სქემის შედგენა, სცენის დახატვა, მაკეტის შექმნა და სხვ.

ზოგჯერ მასწავლებლები ცდილობენ, ეს ბავშვები (კინესთეტიკები) ჩამოაცილონ მათვის საინტერესო გაკვეთილებს, რათა სწავლებაში ხელი არ შეეშალოთ. თუმცა, ეს არ მოიტანს სასურველ შედეგს. სწავლებისა და განვითარების პროცესის უკეთ წარმართვი-

**თავი I. სრავლა-სრავლების ძირითადი პრიციპები და მიზანით საფეხუა**

სათვის აუცილებელია ყურადღება მივაქციოთ ბავშვის ინფორმაციის „მიმღებ“ სისტემას. ვიზუალებს და კინესთეტიკებს თავიდანვე უნდა ვასწავლოთ ინფორმაციის „გადათარგმნა“ საკუთარ მიმღებ სისტემაში. ეს განსაკუთრებით სჭირდებათ კინესთეტიკებს, რადგან სასკოლო სწავლების გარემო უპირატესად აუდიო-ვიზუალურია. მართალია, დაწყებითი კლასების ბოლო ეტაპზე, სწრაფი კითხვის უნარის ჩამოყალიბებასთან ერთად, ვიზუალების და კინესთეტიკების პრობლემის სიმწვავეც ნელდება, მაგრამ სიტყვიერად მიწოდებული ახსნა-განმარტებების გაგება მაინც რთულია მათვის.

## თავი II. გენერაცია

### მოსწავლის შეფასების მიზანი

მოსწავლის შეფასების მიზანია სწავლა-სწავლების ხარისხის მართვა, რაც გულისხმობს სწავლის ხარისხის გაუმჯობესებაზე ზრუნვასა და მისკონტროლს.

მოსწავლის აკადემიური მიღწევა ხშირად და მრავალმხრივად უნდა შეფასდეს, რაც ხელს შეუწყობს მოსწავლეთა განვითარებას, მათი შესაძლებლობების გამოვლენასა და სხვადასხვა პოტენციალის მქონე მოსწავლეთათვის თანაბარი პირობების შექმნას.

### განვითარებული და განვითარებული გენერაცია

სკოლაში გამოიყენება ორი ტიპის შეფასება - განმსაზღვრელი და განმავითარებელი.

**განმსაზღვრელი შეფასება** აკონტროლებს სწავლის ხარისხს, ადგენს მოსწავლის მიღწევის დონეს ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებთან მიმართებაში. განმსაზღვრელ შეფასებაში ინტერება ქულა.

**განმავითარებელი შეფასება** აკონტროლებს თითოეული მოსწავლის განვითარების დინამიკას და ხელს უწყობს სწავლის ხარისხის გაუმჯობესებას. განმავითარებელი შეფასებისას მასწავლებელი მოსწავლეთა საქმიანობას ამონტებს არა მათი მიღწევის დონის განსასჯელად და ქულების დასაწერად, არამედ მათ დასახმარებლად. მასწავლებელი აკვირდება თითოეულ მოსწავლეს სწავლის პროცესში, სწავლობს მათ საჭიროებებს, რათა თითოეულ მათგანს მაქსიმალურად შეუწყოს ხელი წინსვლაში. ასეთ კონსტრუქციულ სასწავლო გარემოში მოსწავლეებს არ აფერხებთ მარცხის/წარუმატებლობის შიში და ნებისმიერ შემთხვევაში მასწავლებლის რჩევისა და მხარდაჭერის იმედი აქვთ. ცოდნის დონის მიუხედავად, მოსწავლეები იძენენ ახალ ცოდნას, ამდიდრებენ საკუთარ გამოცდილებას და იუმჯობესებენ უნარებს.

განმავითარებელი შეფასების პროცესში უნდა ჩაერთოს მასწავლებელიც და მოსწავლეებიც. მასწავლებლის დახმარებით, მოსწავლეები თავადაც უნდა ცდილობდნენ, დაადგინონ საკუთარი მოთხოვნილებები, გამოავლინონ ძლიერი და სუსტი მხარეები, შემაფერხებელი ფაქტორები. ამგვარ პროცესში მოსწავლეების ჩართვა თვითშეფასებისა და თვითგანვითარების უნარებს აყალიბებს და ზრდის მათ ქმედითუნარიანობასა და პასუხისმგებლობას.

მნიშვნელოვანია აღვნიშნოთ, რომ განმავითარებელი შეფასების შემთხვევაში, მოსწავლე ფასდება საკუთარ თავთან, საკუთარ მიღწევებთან მიმართებით, რაც მას საშუალებას აძლევს, იგრძნოს წინსვლა და ირწმუნოს, რომ შეუძლია სიძნელეთა ეტაპობრივად გადალახვა.

განმავითარებელი შეფასებისას გამოიყენება ისეთი საშუალებები, როგორებიცაა სიტყვიერი კომენტარი, რჩევა-დარიგება, დაკვირვების ფურცელი, თვითშეფასებისა და ურთიერთშეფასების სქემა, ცოდნის ათვისების ან უნარის განვითარების ეტაპების აღმნიშვნელი დონეები (მაგალითად, ათვისებულია/ფლობს, ათვისების/დაუფლების პროცესშია, ასათვისებელია/დასაუფლებელია). ათვისების თუ ფლობის დონეებით შედგენილი შეფასების ან თვითშეფასების სქემები საშუალებას აძლევს მასწავლებელსაც და

მოსწავლესაც დინამიკაში დაინახონ კონკრეტული ცოდნის თუ უნარის ათვისების პროცესი.

## განეავითარებალი და განვითარების შეზღუდვების სტამატური აღნიშვნები

განეავითარებალი	განვითარების შეზღუდვები	
მიზანი სწავლის ხარისხის გაუმჯობესება; მოსწავლის განვითარების ხელშეწყობა.	სწავლის ხარისხის გაკონტროლება; მოსწავლის მიღწევის დონის დადგენა ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებთან მიმართებაში; აკადემიური მიღწევის დონის განსაზღვრა.	
შეფასების საგანი სწავლის პროცესი	სწავლის შედეგი	
შეფასების შედეგად მიღებული გადაწყვეტილება	წინსვლის ხელშესაწყობად განსხვავებული აქტივობის შერჩევა, სწავლების სტრატეგიის შეცვლა, რჩევა-დარიგების მიცემა და სხვ.	მომდევნო ეტაპზე (კლასში/საფეხურზე) დაშვება/არდაშვება
ნარმარტების კრიტერიუმების განსაზღვრა	კონკრეტული მოსწავლის წინსვლის საფუძველზე (საკუთარ მიღწევებთან მიმართებით - რა დონეს ფლობდა, რა დონეს ფლობს)	იმის საფუძველზე, თუ რამდენად მიაღწია სტანდარტით განსაზღვრულ შედეგებს (ყველა-სათვის საერთო, სტანდარტით დადგენილ ნორმასთან მიმართებით)
შეფასების საშუალებები თვით/ურთიერთშეფასების რუბრიკა; კითხვარი; სიტყვიერი (ზეპირი/წერილობითი) კომენტარი; უნარის განვითარების დონის აღნერა.	ქულა	

## საგნის სიმარტული ეულის შემაღები ნაწილები (კომარცენტები)

სემესტრის მანძილზე მოსწავლეები ფასდებიან სამი კომპონენტის მიხედვით: ა) საშინაო დავალება; ბ) საკლასო დავალება; გ) შემაჯამებელი დავალება. სამივე კომპონენტს ერთნაირი წონა აქვს.

საშინაო და საკლასო დავალებათა კომპონენტებში გამოიყენება როგორც განმსაზღვრელი, ისე განმავითარებელი შეფასება. შემაჯამებელი დავალების კომპონენტში მხო-

ლოდ განმსაზღვრელი შეფასება გამოიყენება.

შემაჯამებელი კომპონენტი აფასებს ერთი სასწავლო მონაცემთის (თემა, თავი, პარაგრაფი) შესწავლა-დამუშავების შედეგად მიღწეულ შედეგებს სტანდარტის მოთხოვნებთან მიმართებით - კონკრეტული სასწავლო ერთეულის დასრულებისას მოსწავლემ უნდა შეძლოს სტანდარტით განსაზღვრული ცოდნისა და უნარების წარმოჩენა.

ასე რომ, შემაჯამებელი დავალებები უნდა აფასებდეს საგნის სტანდარტით განსაზღვრულ შედეგებს და აქმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს:

- დავალების თითოეულ ტიპს უნდა ახლდეს თავისი შეფასების ზოგადი რუბრიკა;
- ზოგადი რუბრიკა უნდა დაზუსტდეს კონკრეტული დავალების პირობისა და განვლილი მასალის გათვალისწინებით;
- 10 ქულა უნდა გადანაწილდეს რუბრიკაში შემავალ კრიტერიუმებზე;
- მითითებული უნდა იყოს საგნობრივი სტანდარტის ის შედეგები, რომელთა შეფასებასაც ემსახურება შემაჯამებელი დავალება.

სტანდარტის მოთხოვნათა დასაქმაყოფილებულად, აუცილებელია შემაჯამებელი დავალების მრავალგვარი ფორმის გამოყენება.

მოგეხსენებათ, ეროვნული სასწავლო გეგმა თითოეული საგნისათვის განსაზღვრავს სემესტრის განმავლობაში ჩასატარებელი შემაჯამებელი დავალებების სავალდებულო მინიმალურ რაოდენობას. საგანში, როგორც მეზუთე, ისე მეექვსე კლასში, შემაჯამებელ დავალებათა სავალდებულო მინიმალური რაოდენობა პირველსა და მეორე სემესტრებში ერთად არის 8 (პირველ სემესტრში 3, ხოლო მეორე სემესტრში 5 დავალება).

თითოეული შემაჯამებელი დავალება ფასდება კონკრეტული ნიშნით. მოსწავლე ვალდებულია, შეასრულოს კლასში ჩატარებული ყველა შემაჯამებელი დავალება. იმ შემთხვევაში, თუ მოსწავლე გაცდენის გამო ვერ შეასრულებს რომელიმე შემაჯამებელ სამუშაოს, სკოლა ვალდებულია, მისცეს მას გაცდენილი შემაჯამებელი დავალებების აღდგენის საშუალება. შემაჯამებელი აღდგენითი სამუშაო უნდა დაინიშნოს სემესტრის მსვლელობისას. შემაჯამებელ დავალებათა აღდგენის წესი განისაზღვრება სასკოლო სასწავლო გეგმით.

სემესტრის მსვლელობისას ჩატარებული შემაჯამებების შემდეგ რეკომენდებულია კომენტარების დაწერა მათვის, ვინც აუცილებლად უნდა გამოასწოროს საკუთარი შედეგი დადებითი სემესტრული შეფასების მისაღებად. ასევე, შეიძლება დაინეროს კომენტარი, თუ მოსწავლემ წინა შეფასებასთან შედარებით მნიშვნელოვნად გააუმჯობესა თავისი მიღწევა. ამის აღნიშვნა მნიშვნელოვან სტიმულს მისცემს მოსწავლეს სემესტრის ბოლომდე სწავლის ხარისხის შესანარჩუნებლად.

## განმსაზღვრელი შეფასება V-VI კლასებში

როგორც აღვნიშნეთ, განმავითარებელი შეფასება ხელს უწყობს, შექმნას პოზიტიური და კონსტრუქციული გარემო, რომელშიც თითოეულ მოსწავლეს ექნება იმის განცდა, რომ შეუძლია წინსვლა და დაბრკოლებების გადალახვა. მართლაც, განმავითარებელი შეფასება ზომავს კონკრეტული მოსწავლის პირად წინსვლას. V-VI კლასიდან განმავითარებელ შეფასებასთან ერთად შემოდის განმსაზღვრელი შეფასებაც. განმსაზღვრელი შეფასების შემოღება კონსტრუქციულ გარემოს გარკვეულ საფრთხეს უქმნის. მასწავლებელს დიდი სიფრთხილე მართებს, რომ მთავარი პრიორიტეტი - ის, რომ ცოდნის აგების პროცესში

თითოეულმა მოსწავლემ იგრძნოს თანადგომა - არ გადაფაროს განსჯითმა დამოკიდებულებამ და არ შეიქმნას გარემო, რომელშიც გამარჯვებულები და დამარცხებულები ჩნდებიან. მართლაც, განმსაზღვრელი შეფასება ყველას საერთო საზომით აფასებს საერთო ნორმასთან<sup>1</sup> მიმართებით. განმსაზღვრელ შეფასებაში წარმატების კრიტერიუმი ემყარება არა კონკრეტული მოსწავლის შესაძლებლობებს, არამედ საერთო ნორმის მოთხოვნებს. ამიტომ იკარგება იმ მოსწავლეთა ძალისხმევის კვალი, რომლებსაც წინსვლა აქვთ, მაგრამ ჯერ კიდევ დაშორებული არიან საერთო მოთხოვნებს. მათ, ფაქტობრივად, ცოდნის ეტაპობრივად კონსტრუირების საშუალება ერთმევათ. ბუნებრივია, ამ უკანასკნელთა სასკოლო მოტივაცია ეტაპობრივად კლებულობს, რაც, ცხადია, უარყოფითად აისახება სწავლის შედეგებზე. ისინი საკუთარ თავში ველარ პოულობენ სიძნელეთა დაძლევის რესურსებს, საკუთარ შესაძლებლობების რწმენას კარგავენ, ფიქრობენ, რომ ვერ შეცვლიან მოვლენათა კურსს, ვერ იმოქმედებენ მათი წარმატების განმზღვრელ ფაქტორებზე. მათი გონიერად დაკავებულია არა ახალი ცოდნის შექნითა და უნარების განვითარებით, არამედ მხოლოდ და მხოლოდ არასასურველი შეფასებების აცდენაზე ფიქრით. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, მათი სტრატეგიები მიმართულია არა სწავლა-განვითარებისაკენ, არამედ თავდაცვისაკენ. თუკი საკუთარ შესაძლებლობებში დარწმუნებული მოსწავლე იღებს ნებისმიერ გამოწვევას და მზად არის, შეეჭიდოს ამა თუ იმ სიძნელეს, მოტივაციადაქვეითებული მოსწავლე პირიქით - თავს არიდებს სასწავლო აქტივობებს, რომელთა შესრულება მის გაზრდა-განვითარებას შეუწყობდა ხელს.

ამ ყველაფრის გათვალისწინებით, V კლასიდან განმსაზღვრელი შეფასების შემოღების მიუხედავად, მასწავლებელმა უპირატესობა უნდა შეუნარჩუნოს განმავითარებელ შეფასებას, რომელიც თითოეული მოსწავლის წინსვლისა და განვითარების ხელშემწყობი ინსტრუმენტია.

## შეფასების კომპონენტები ჩართულ ენასა და ლიტერატურაში

### საშინაო და საკლასო დავალებათა კომპონენტები

#### შეიძლება შეფასდეს შემდეგი ცოდნა და უნარ-ჩვევები:

- ასაკის შესაბამისი სხვადასხვა სახის მხატვრული და არამხატვრული ტექსტების მრავალმხრივი გააზრება-გაანალიზება და შეფასება;
- ტექსტების ინტერპრეტირება;
- ტექსტების შედარებითი ანალიზი;
- თხრობა;
- მსჯელობა;
- სხვადასხვა სახის ტექსტების შედგენა-შეთხვა;
- ზეპირი გამოსვლა/პრეზენტაცია;
- გამომხატველობითი კითხვა;
- გრამატიკული და ლექსიკური ცოდნა;
- მართლწერა;
- შემოქმედებითობა;

<sup>1</sup> ცხადია, კონკრეტულ კლასში მიღებულ საერთო ნორმას განსაზღვრავს საგნის სტანდარტის მოთხოვნები.

- სასწავლო სტრატეგიების (კითხვის, წერის, მოსმენის, ზეპირმეტყველების) გააზრებულად გამოყენება;
- მხატვრული ხერხების ამოცნობა;
- ენობრივ-გამომსახველობითი საშუალებების ამოცნობა და გაანალიზება;
- ძირითადი ლიტერატურული მიმდინარეობების მახასიათებლები და სხვა.

#### **სასიცოცხლო უნარ-ჩვევები:**

- შემოქმედებითობა;
- თანამშრომლობა (მეწყვილესთან, ჯგუფის წევრებთან);
- სტრატეგიების გააზრებულად გამოყენება სასწავლო საქმიანობის ხელშეწყობის მიზნით;
- სასწავლო აქტივობებში მონაწილეობის ხარისხი.

### **შემაჯამარებელი დავალებების კომპონენტი**

ეს კომპონენტი, როგორც აღვნიშნეთ, აფასებს სტანდარტით განსაზღვრულ შედეგებს. მიღწევების შესაფასებლად შეიძლება გამოვიყენოთ შემდეგი ტიპის შემაჯამებელი დავალებები:

- მხატვრული/არამხატვრული ტექსტის გაგება-გააზრება;
- სტანდარტით განსაზღვრული სხვადასხვა სახის ტექსტების შედგენა;
- არგუმენტირებული მსჯელობა კონკრეტული საკითხის/თემის შესახებ;
- დისკუსიებში მონაწილეობა;
- სხვადასხვა სახის წერილობითი ტექსტების შედგენა;
- თვითგამოხატვა; იმიტირებული სიტუაციის (მინისპექტაკლის, როლური თამაშის და სხვ.) საშუალებით;
- გამომეტყველებითი კითხვა (ინდივიდუალური ან გუნდური);
- ლიტერატურული სალონი;
- ზეპირი გამოსვლის, აუდიო ან აუდიოვიზუალური ჩანაწერის მოსმენა და გაგება;
- სხვა.

## თავი III რეკომენდაცია სტანდარტის შედეგის მისაღწევად

ეროვნული სამსახურის მიზანი

საგანი ”ქართული ენა და ლიტერატურა“ მოცავს შემდეგ ენობრივ პროცესებს: ლა-პარაკს, მოსმენას (გაერთიანებულია მიმართულებაში ”ზეპირმეტყველება“), კითხვასა და წერას. ენის საშუალებით ვაზროვნებთ და ვახერხებთ კომუნიკაციას გარესამყაროსთან, ანუ ენას, რომელსაც ჩვენ ვიყენებთ, სხვადასხვა სააზროვნო პროცესები წარმართავს და ეს პროცესები ლაპარაკის, მოსმენის, კითხვისა და წერის უნარებში ჰქოვებს გამოვლინებას. ამ ურთიერთდაკავშირებული ენობრივი პროცესების გამოყენება ადამიანის ენობრივი უნარების განვითარების, კულტურული თვითმყოფადობის, ასევე კრიტიკული და შემოქმედებითი აზროვნების საფუძველს ნარმოადგენს.

ეროვნული სასწავლო გეგმის ქართული ენისა და ლიტერატურის საგნობრივ პროგრა-მაში გაცადებულია, რომ მოსწავლის ენობრივი უნარების განვითარების ყველაზე ეფექ-ტიანი გზა ამ ენობრივი პროცესების ინტეგრირებულად სწავლებაა.

ამგვარი მიდგომა ენის სწავლებისას, თავის მხრივ, ემყარება და ითვალისწინებს მოს-წავლის ენობრივ გამოცდილებას, და, ამავე დროს, გულისხმობს კარგად გააზრებული, მკაფიო სასწავლო მიზნის მქონე საკლასო აქტივობების დაგეგმვას, რომლებიც ხელს უწყობს მოსწავლეთა ლაპარაკის, მოსმენის, კითხვისა და წერის უნარების განვითარებასა და სრულყოფას.

### მიმართულება: ზეპირმეტყველება

ზეპირმეტყველება (მოსმენა და ლაპარაკი) დაწყებით საფეხურზე, განსაკუთრებით I კლასში, მოსწავლისთვის ყველაზე ნაცნობი და „საიმედო“ დასაყრდენია. სწორედ მოსმე-ნის გზით აქვს მას ათვისებული წინასასკოლო ცოდნის მნიშვნელოვანი ნაწილი. კითხვისა და წერის უნარისგან განსხვავებით, რომელთა სისტემური განვითარება სწორედ სასკო-ლო ასაკიდან იწყება, ზეპირმეტყველების განვითარებას თითოეული მოსწავლის წინასას-კოლო ბიოგრაფიაშიც საკმაოდ რთული და საინტერესო, ინდივიდუალური ისტორია აქვს.

მასწავლებლის, ზოგადად, სასკოლო პროცესის, სახელმძღვანელოს, ამა თუ იმ საგან-მანათლებლო რესურსის მიზანია, ხელი შეუწყოს, გააზრებულად, მოსწავლის ასაკობრივი, კოგნიტური, გრძნობით-ემოციონალური, სოციალური თუ სხვა თავისებურებების გათვა-ლისწინებით წარმართოს ამ უნარის განვითარება; ამოიცნოს სკოლამდე დიდი ხნით ადრე დაწყებული ამ „ინდივიდუალური ისტორიების“ სპეციფიკა, მისი ძლიერი და სუსტი მხარე-ები და საინტერესო, მიმზიდველ საქმიანობად აქციოს მოსმენა და ლაპარაკი, ანუ პროცე-სი, რომელშიც მოსწავლე საკუთარი სასკოლო ცხოვრების უმეტეს ნაწილს ატარებს.

წინამდებარე „გზამკვლევის“ ამ თავში წარმოდგენილია ზეპირმეტყველების უნარის განმავითარებელი აქტივობების საკმაოდ დიდი ბაზა. ვფიქრობთ, იგი დაეხმარება მასწავ-ლებელს, მიზანმიმართულად დაგეგმოს, ეტაპების მიხედვით გაანაწილოს ამა თუ იმ შედე-გის მისაღწევად საჭირო სამუშაო, შემდეგ სხვადასხვა ფაზაში დააკვირდეს, მიმართულება, საჭირო ორიენტაცია მისცეს სამუშაოს მსვლელობას, და ბოლოს, შეაფასოს ჩატარებული სამუშაო და მისი შედეგი ამა თუ იმ ინდიკატორსა თუ კონკრეტული აქტივობისთვის მნიშ-

ვნელოვან ოპერაციებზე დაყრდნობით.

სანამ უშუალოდ გადავიდოდეთ კლასების მიხედვით დალაგებულ მასალაზე, გთავაზობთ მასალის ორგანიზებასთან, სტრუქტურასთან, საკითხის სპეციფიკასთან დაკავშირებულ პრაქტიკულ, საორიენტაციო ინფორმაციას.

**დაწყებით საფეხურზე** ზეპირმეტყველების უნარის განმავითარებელი ესა თუ ის აქტივობა მეტ-ნაკლები ინტენსივობით გამოიყენება არა ერთ, არამედ რამდენიმე კლასში. **პირველი კლასი**, როგორც სპეციფიკური ეტაპი, როცა შესაძლებელია დაწყებითი საფეხურისთვის მნიშვნელოვანი ძირითადი აქტივობების შემოტანა, ცალკე გამოვყავით და დაწვრილებით აღვნერეთ; მომდევნონ კლასებში, განსაკუთრებით მეორეში, სხვადასხვა ინტენსივობით, მოსწავლეთა შესაძლებლობებისა და მიღწევის დონის გათვალისწინებით, ასევე გამოიყენება პირველი კლასის აქტივობები. ამის საპირისპიროდ, გარკვეული მოდიფიკაციით, აქტივობის ოპერაციების გამარტივებით, პირველ კლასშიც შესაძლებელია მომდევნო კლასების აქტივობათა გამოყენება. აქვე დავძენთ, რომ ამგვარ გადანაცვლებას მასწავლებელი დიდი სიფრთხილით უნდა მოეკიდოს და გაითვალისწინოს სასურველი აქტივობის ოპერაციონალური, შემცნებითი, სტრუქტურული და ა.შ. სირთულე.

ნარმოდგენილ გზამკვლევში ზეპირმეტყველების განმავითარებელი აქტივობები და მათთან უშუალოდ დაკავშირებული სხვა საგანმანათლებლო მასალები დაყოფილია კლასების მიხედვით. ყოველი კლასისთვის განკუთვნილი მასალა დალაგებულია შემდეგი სტრუქტურით: ცხრილში მოცემულია მიმართულების **შედეგი, ინდიკატორები** და ის **ძირითადი ოპერაციები**, რაც მოსწავლემ უნდა შეასრულოს ამ შედეგის მისაღწევად მიზანშეწონილი აქტივობების განხორციელებისას. მომდევნონ თავში კი წარმოდგენილია აქტივობის მოკლე დახასიათება, აქტივობისთვის აუცილებელი **რესურსების** აღწერა; ცალკეა გამოყოფილი **შეფასების რუბრიკა**, მასში მოცემულია ძირითადი მიმართულებები, რომელთაც უნდა მიექცეს განსაკუთრებული ყურადღება ამა თუ იმ აქტივობის მიხედვით მოსწავლის შეფასებისას. კონკრეტულ აქტივობასთან უშუალოდ დაკავშირებული სხვადასხვა ტიპის მითითებები (შინაარსობრივი, სტრუქტურული, მეთოდიკური და ა.შ.) წარმოდგენილია რუბრიკაში მეთოდური მითითება. მას სარეკომენდაციო ხასიათი აქვს და მასწავლებელს სთავაზობს კონკრეტული აქტივობის ალტერნატიულ ვარიანტს, მისი გამარტივების / გართულების / კომბინირების სხვადასხვა გზას, ამა თუ იმ აქტივობის გამოყენების შესაძლებლობას განსხვავებულ მასალაზე და/ან განსხვავებულ პირობებში. იმ შემთხვევებში, როცა აქტივობის შესრულებისას შესაძლებელია სხვადასხვა საგანში მიღებული ცოდნისა და, შესაბამისად, უნარის გამოყენება, აქტივობის აღწერას ემატება რუბრიკა: **კავშირი სხვა საგნებთან**.

აქტივობათა კლასიფიკაციის, კლასების მიხედვით მათი განაწილებისას ვეყრდნობოდით მოსწავლის ასაკობრივი, კოგნიტური და გრძნობით-ემოციონალური განვითარების თავისებურებებს, მათი შესაძლებლობებისა და ინტერესების მეტ-ნაკლებად ზოგად კანონზომიერებებს, რაც, როგორც წესი, არ გამორიცხავს კერძო შემთხვევებს, გამონაკლისებს; მათი დარეგულირება, მოსწავლის ინტერესებისა და შესაძლებლობების მიხედვით ამა თუ იმ აქტივობის მოდიფიცირება, მასწავლებლის პასუხისმგებლობა.

## მიმართულება: პითევა

კითხვა - ეს არის აქტიური და გააზრებული ქმედება, რომელიც მკითხველისგან არა-ერთი სააზროვნო უნარისა და სტრატეგიის გამოყენებას მოითხოვს კითხვის დაწყებამდე, კითხვის დროს და მისი დასრულების შემდგომ.

უპირველესი, რაც კითხვისთვის აუცილებელია, რა თქმა უნდა, **დეკოდირების უნარის** გამომუშავება; იმისათვის, რომ მოსწავლემ ამოიკითხოს სიტყვა, მან უნდა მოახერხოს მისი გაშიფრვა, ანუ დეკოდირება. მაგრამ, ცხადია ისიც, რომ კითხვისთვის მხოლოდ დეკოდირების უნარი არ არის საკმარისი, რადგანაც მხოლოდ ამ უნარის მქონე მოსწავლეებმა შეიძლება თავისუფლად გაშიფრონ და მექანიკურად წაიკითხონ, მაგალითად, სრულიად უშინაარსო ან მათვის გაუგებარ ენაზე დაწერილი ტექსტები. აუცილებელია, რომ კითხვის პროცესში მკითხველს ესმოდეს რასაც კითხულობს. სწორედ გაგების უნარი აძლევს საშუალებას მოსწავლეს, შეიძინოს ცოდნა ნებისმიერ სფეროში და მიიღოს ინფორმაცია სხვადასხვა სახისა და დანიშნულების ტექსტებიდან.

კითხვის სწავლების საბოლოო მიზანს **წაკითხულის გააზრება** წარმოადგენს. გააზრება გულისხმობს მკითხველის აქტიურ მონაწილეობას კითხვის პროცესში მის სამივე ეტაპზე: კითხვის დაწყებამდე, როდესაც მოსწავლე განაწყობს საკუთარ თავს ტექსტის წასკითხად, გაააქტიურებს წინარე ცოდნასა და გამოცდილებას ტექსტის თემის ირგვლივ, წინასწარ ვარაუდობს მის შინაარსასა და განსაზღვრავს მისთვის საინტერესო საკითხებს; კითხვის დროს, როდესაც მკითხველმა, ერთი მხრივ, ავტომატურად უნდა გაშიფროს და გაიგოს ტექსტი და, ამავდროულად, უმუალო ურთიერთობა დაამყაროს მასთან; კითხვის დასრულების შემდგომ, როდესაც მკითხველი აანალიზებს და აფასებს ტექსტს, ამჟღავნებს თვითგამოხატვის სურვილს და, ამასთანავე, შეუძლია წაკითხულის ინტეგრირება არსებულ ცოდნასა და პირად გამოცდილებასთან.

სწავლების დაწყებითი საფეხური კითხვის პროცესის ამ სამივე აუცილებელ საფეხურს მოიცავს.

კითხვისთვის აუცილებელი უნარ-ჩვევები ვითარდება და ყალიბდება დროთა განმავლობაში, ინტენსიური და მიზანმიმართული მუშაობის შედეგად. სასკოლო პრაქტიკაში გამოიყენება კითხვის სხვადასხვა მოდელი, რომელთაგან რამდენიმე განსაკუთრებით აქტუალურია დაწყებითი საფეხურისთვის.

## პითევის მოდელები

### ნიგნის (ტექსტის) ხმამაღლა წაკითხვა მოსწავლეებისთვის

ეს არის კითხვის ერთ-ერთი ფართოდ გავრცელებული მოდელი, როდესაც მასწავლებელი, ან ნებისმიერი განაფული მკითხველი ხმამაღლა უკითხავს ნიგნს (ტექსტს) მოსწავლეებს. ამ მოდელის გამოყენება რეკომენდებულია კითხვის სწავლების ყველაზე ადრეულ ეტაპზე. იგი ძალიან სასარგებლოა, რამდენადაც ხელს უწყობს აქტიური მოსმენის უნარ-ჩვევის გამომუშავებას მოსწავლეებში. ამასთანავე, კვლევები ცხადყოფს, რომ იმ მოსწავლეებს, რომლებსაც კითხვის სწავლის საწყის ეტაპზევე რეგულარულად უკითხავენ ნიგნებს:

- უყვარდებათ ნიგნების კითხვა;
- აქვთ უფრო მდიდარი ლექსიკური მარაგი;
- ადრეული ასაკიდანვე ესმით, რას ნიშნავს გამართულად კითხვა;

### თავი III. რეაქციები სტანდარტის შედევრის მისაღწევაზე

- შემდგომში უკეთ შეუძლიათ განსხვავებული სტრუქტურისა და სირთულის წინა-დადებების გამოყენება ზეპირმეტყველებისა და წერის დროს;
- მეტი წარმოდგენა აქვთ ადამიანებისა და, ზოგადად, გარესამყაროს შესახებ;
- გაცნობიერებული აქვთ, რომ კითხვას მხოლოდ პრაგმატული დანიშნულება არა აქვთ და ამ პროცესმა შესაძლებელია სიამოვნებაც მიანიჭოს მკითხველს.

#### **საზიარო კითხვა**

კითხვის ეს მოდელი ემყარება ურთიერთთანამშრომლობის პრინციპს და მასში მონაწილეობს მთელი კლასი. საზიარო კითხვას უძლვება მასწავლებელი. ამ დროს მოსწავლეები და მასწავლებელი მუშაობენ ერთსა და იმავე ტექსტზე, რომელიც შეიძლება დაინიშნოს დაფაზე ან წინასწარ მომზადებულ დიდი ზომის პლაკატზე. კითხვის ამ მოდელისთვის ხშირად იყენებენ პროექტორსაც.

საზიარო კითხვისთვის მასწავლებლის ამოცანაა ისეთი სასწავლო ქმედებებისკენ უბიძგოს მოსწავლეებს, რომლებსაც ისინი დამოუკიდებლად თავს ვერ გაართმევდნენ. ამიტომ, თავადაპირველად მასწავლებელი პირდაპირ სთავაზობს მათ ამა თუ იმ საკითხავი ამოცანის გადაჭრის გზებს. ამგვარი მოდელირებისა და დემონსტრირების შედეგად თანდათანობით იზრდება მოსწავლეთა დამოუკიდებლობის ხარისხიც. ამაში მათ თანაკლასელებთან ურთიერთთანამშრომლობაც ეხმარებათ. კითხვის ეს მოდელი დიდებილად ეხმანება ლევ ვიგორტსკის ცნობილ თეორიას „განვითარების უახლოესი ზონის“ შესახებ. ამას ადასტურებს მისი ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი გამონათქვამიც: „იმას, რასაც ბავშვი დღეს სხვასთან ერთად აკეთებს, ხვალ მარტო გააკეთებს“. ეს მოდელი ითვალისწინებს პირდაპირ პედაგოგიურ მიდგომას და განსაკუთრებით სასარგებლოა საკუთარ თავში ნაკლებად დარწმუნებული მოსწავლეებისთვის, რადგანაც ამ დროს ისინი აქტიურად ერთვებიან კითხვის პროცესში და, ამავდროულად, არ გრძნობენ თავს დათრგუნულად.

#### **მასწავლებლის მიერ მართული კითხვის პროცესი**

კითხვის ეს მოდელი ენათესავება საზიარო კითხვას. იგი არის დამაკავშირებელი რგოლი კითხვის ექსპლიციტურ სწავლებასა (რაც დამახასიათებელია საზიარო კითხვის მოდელისთვის) და დამოუკიდებელ კითხვას შორის, რაც, თავის მხრივ, კითხვის სწავლების საბოლოო მიზანს წარმოადგენს. ამ დროს გაცილებით მეტი აქცენტი კეთდება დამოუკიდებელ მუშაობაზე და მოსწავლე აქტიური მსმენელისა და მოსაუბრის როლში გვევლინება. კითხვის ეს მოდელი საკმაოდ ფართოდაა გავრცელებული ჩვენს საგანმანათლებლო სივრცეში.

თავდაპირველად მასწავლებელი აცნობს მოსწავლეებს გაკვეთილის მიზნებსა და მათი მიღწევის გზებს. ასევე აცნობს წასაკითხ ტექსტს და უძლვება კითხვისთვის მოსამზადებელ ეტაპს, რის შემდეგაც მოსწავლეები ინდივიდუალურად, დამოუკიდებლად კითხულობენ ტექსტს (ან მის ნაწილს). მასწავლებელი უსმენს მოსწავლეებს, რის შემდეგაც მათთან ერთად განიხილავს ტექსტს, სვამს გაგებაზე ორიენტირებულ კითხვებს, სთხოვს მოსწავლეებს მიუბრუნდნენ ტექსტს პასუხის გასაცემად და რთავს მათ დისკუსიაში. მომდევნო ეტაპი წაკითხულის გააზრებისა და რეფლექსიის უზარების განვითარებას ემსახურება, რისთვისაც მასწავლებელს მრავალფეროვანი აქტივობების გამოყენება შეუძლია. მასწავლებელი ცდილობს წაახალისოს, შეაქოს მოსწავლეები, რისთვისაც უხსნის მათ, კონკრეტულად რა მოეწონა ან რა ხარვეზები დაინახა მათ პასუხებში. შემაჯამებელ ეტაპზე მასწავლებელი კლასთან ერთად განიხილავს წინასწარ ჩამოყალიბებულ სასწავლო მიზნებს და იძლევა კონკრეტულ რჩევებს, თუ როგორ, რა მიმართულებით უნდა გააგრძელონ

### თავი III. ჩამოყალიბების სტანდარტის შედეგების მისაღევად

მოსწავლეებმა მუშაობა მათ მისაღწევად. ამგვარი მიდგომა ხელს უწყობს მოსწავლეთა მეტაკურნიტური უნარების განვითარებასაც.

#### გუნდური კითხვა

დაწყებით კლასებში კითხვის სწავლებისას განსაკუთრებით ხშირად მიმართავენ ხმამაღალი კითხვის მეთოდს, რადგანაც იგი ხელს უწყობს კითხვის მოქნილობის უნარის განვითარებას. კითხვის ამ მეთოდის ინტენსიურად გამოყენებამდე მასწავლებელმა მიზანმიმართული საკითხთავი აქტივობების საშუალებით, წინასწარ უნდა გაავარჯიშოს მოსწავლეები გარკვეული პერიოდის განმავლობაში. გუნდური კითხვის მოდელს სწორედ მოსწავლეთა ხმამაღალ კითხვაში გასავარჯიშებლად მიმართავენ. არსებობს გუნდური კითხვის სხვადასხვა ფორმა, მაგალითად: სოლო და გუნდი, უნისონი, ჯგუფების მონაცვლეობა და ა.შ. კითხვის ამ მოდელისთვის, ჩვეულებრივ, იყენებენ ლექსებს, პიესებს და პროზაულ ნაწარმოებებსაც.

#### განმეორებითი კითხვა

ეს არის დამოუკიდებელი, ჩუმი კითხვის მოდელი და იგი მრავალმხრივ უწყობს ხელს კითხვის უნარის განვითარებას. ეს მოდელი საშუალებას აძლევს მოსწავლეს, მეტად ჩაუღრმავდეს წაკითხულს, გონიერაში დაალაგოს ყველაფერი, რაც ტექსტიდან ამოიკითხა, ასევე გადაამონმოს, რისი გაგება შეძლო და რისი - ვერა. იგი ეხმარება მოსწავლეს, აამოქმედოს და კითხვის პროცესში ჩართოს სხვადასხვა დონის სააზროვნო უნარები. გარდა ამისა, განმეორებითი კითხვისას მოსწავლეს უწევს კითხვის განსხვავებული სტრატეგიების გამოყენება, რაც ეხმარება მას გამოსცადოს თითოეული მათგანი და შეარჩიოს მისთვის ყველაზე მეტად მოსახერხებელი. ყოველივე ეს კი, ბუნებრივია, საგრძნობლად დააჩქარებს მოსწავლის მკითხველად ჩამოყალიბების პროცესს.

#### დრამატიზაცია (როლური თამაშები)

კითხვის ეს მოდელი მნიშვნელოვნად უწყობს ხელს წაკითხული ტექტის წვდომასა და გააზრებას. იგი შეიძლება გამოყენებულ იქნას კითხვის პროცესის ნებისმიერ ეტაპზე. მხატვრული ნაწარმოების კითხვისას მკითხველი თავის წარმოსახვაში აცოცხლებს და ხელახლა ქმნის მწერლის მიერ გამოგონილ სამყაროს - პერსონაჟებს, მათ ურთიერთობებს, დიალოგებს, გრძნობებს, მოქმედებებს, გარემოს, წარმოიდგენს თითოეული ეპიზოდის შესაძლო დასასრულს და ა.შ. ეს კითხვის პროცესის განუყოფელი ნაწილია. ამგვარი აქტივობები - წინასწარ მომზადებული თუ დაუგეგმავი თეატრალური წარმოდგენები და საკლასო როლური თამაშები - საუკეთესო საშუალებაა იმისათვის, რომ მოსწავლეებმა უფრო ღრმად და საფუძვლიანად გაიაზრონ წაკითხული მხატვრული ნაწარმოები.

## გულტიგადიური ტექსტები

წიგნიერებისთვის საჭირო უნარების სრულყოფილად განვითარების მიზნით, ეროვნული სასწავლო გეგმა ითვალისწინებს სხვადასხვა სახის ბეჭდვითი და მულტიმედიური ტექსტების გამოყენებას სასწავლო პროცესში. ბეჭდური რესურსების ჩამონათვალს ტრადიციულად დაწვრილებით გვთავაზობს ეროვნული სასწავლო გეგმის ქართული ენისა და ლიტერატურის საგნობრივი პროგრამა, ამიტომ, ამჯერად მხოლოდ მულტიმედიურ ტექსტებზე გავამახვილებთ მკითხველის ყურადღებას.

ზეპირ და წერილობით (ხელნაწერ თუ ბეჭდურ) ტექსტებთან ერთად თანამედროვე მოსწავლეებმა უნდა შეძლონ მულტიმედიური ტექსტების წაიკითხვა, გაგება და გა-

**თავი III. რეკომენდაციები სტანდარტის შედეგების მისაღწევად**

**აზრება.** ამიტომ, დაწყებითი საფუძურის ქართული ენისა და ლიტერატურის პროგრამის კითხვის მიმართულებაში შედეგების სახით არის შეტანილი ვიზუალური აღქმისა და გამოხატვის საშუალებების გამოყენებაც. ეს იმას ნიშნავს, რომ გარდა ბეჭდური და ზეპირი ტექსტებისა, მოსწავლემ უნდა შეძლოს ვიზუალური და მულტიმედიური ტექსტების წაკითხვა, გააზრება და კრიტიკულად შეფასება, ასევე მათი შექმნა და გაზიარება.

თანამედროვე საზოგადოებაში წიგნიერება ნიშნავს არა მხოლოდ ბეჭდური და ზეპირი ტექსტების დამუშავებას და შექმნას, არამედ აქტიურ, კრიტიკულ და შემოქმედებით მიღონას აუდიო და ვიზუალური ფორმით გადმოცემული ტექსტების მიმართაც.

ამისთვის საჭიროა, რომ მოსწავლემ შეძლოს სხვადასხვა ფორმით წარმოდგენილი ტექსტების ამოცნობა და გაგება (იხ. ცხრილი №)

30ზუალური	აუდიოვიზუალური/ მულტიმედიური
რეკლამა წიგნის / ჟურნალის გარეკანი განცხადებების დაფა ლიფლეტი კომიქსი კომპიუტერული გრაფიკა დიაგრამა დიორამა ნახატი ილუსტრაცია რუკა ფოტო საფოსტო ბარათი პლაკატი მხატვრული ტილო	ანიმაცია CD-ROM ჩანაწერი ცეკვა/პანტომიმა თეატრალური წარმოდგენა ფილმი ვებგვერდი მულტიმედიური პრეზენტაციები ელექტრონული ჟურნალი მკითხველთა თეატრი პაროდია ხმოვანი გაფორმება სატელევიზიო გადაცემა ვიდეოჩანაწერი

მასწავლებელმა საშუალება უნდა მისცეს მოსწავლეს, რომ მან საკუთარი ცოდნისა და უნარების წარმოსაჩენად წერილობით და ზეპირ ტექსტებთან ერთად გამოიყენოს თვითგამოხატვის განსხვავებული ფორმები და საშუალებებიც (იხ. ცხრილი №).

ფორმა	მაგალითი
რუკა, სქემა	ცნებების რუკა, მოთხრობის გრაფიკული სქემა, პერსონაჟთა გრაფიკული სქემა, სემანტიკური რუკა
ცხრილი	შემაჯამებელი დიაგრამა, მატრიცა, მსგავსება/განსხვავების გრაფიკული მაორგანიზებელი
დიაგრამა	ვენის დიაგრამა, სინტაქსური დიაგრამა

გრაფიკული მაორგანიზებელი	მოვლენათა თანამიმდევრობის ჯაჭვი, სიტყვათა ჯაჭვი, სიტყვების წრე, ისტორიული ქრონოლოგია, რეპუსტი
გრაფიკი	პიქტოგრაფი, ჰისტოგრამა
ილუსტრაცია	პლაკატი, ნახატი, ფოტო, ფრესკა (იგულისხმება ნებისმიერი სახის კედლის მხატვრობა), სლაიდშოუ, კოლაჟი, კომიქსი
სამგანზომილებიანი მულტიმედია	მოდელი/მაკეტი, დიორამა, ქანდაკება, პანტომიმა, ცოცხალი სურათი, როლური თამაში, თოჯინების თეატრი, ვიდეო და მულტიმედია პრეზენტაციები

## მიმართულება: ნირა

წერა სწავლებისა და კომუნიკაციის მძლავრ იარაღს წარმოადგენს. მოსწავლეები მხოლოდ იმ შემთხვევაში გაიაზრებენ სრულყოფილად წერის პროცესს, თუკი ისინი წერენ ხშირად და სხვადასხვა მიზნით. გასათვალისწინებელია, რომ წერისას საჭიროა დრო დაეთმოს იდეებზე ფიქრს; აზრების, თვალსაზრისის გამოთქმას; იდეების, აზრების, მისთ. ორგანიზებას; ნაშრომების გადახედვას, ჩასწორება/რედაქტირებასა და პრეზენტაციას. საუკეთესო შედეგები მიიღწევა იმ შემთხვევაში, როდესაც მოსწავლეები მიზანმიმართულად წერენ ნაცნობი აუდიტორიისათვის.

მასწავლებელს შეუძლია მრავალი საშუალება გამონახოს ყოველდღიური წერითი აქტივობებისთვის. მან უნდა წაახალისოს პატარების პირველი ნაბიჯები წერაში, რისთვისაც ყურადღებას უნდა ამახვილებდეს მოსწავლეების ჩანაფიქრზე, ნაშრომის შინაარსზე და არა მხოლოდ იმაზე, თუ რამდენად გამართულია იგი (ნაშრომი) ენობრივ-გრამატიკული, სინტაქსური და სხვ. თვალსაზრისით. ძალზე ეფექტურია წერის პროცესის ერთი ასპექტის მოსწავლეებისთვის დემონსტრირება "ხმამაღლა ფიქრის" სტრატეგიის გამოყენებით (კვირაში ერთხელ მაინც) - ამგვარად მასწავლებელი აჩვენებს მოსწავლებს, როგორ მუშაობს იგი წერითი ნამუშევრის შესაქმნელად, როგორ იყენებს გრაფიკულ მაორგანიზებელს და/ან დაფას. ამდენად, მოსწავლები თვალნათლივ ხედავენ, როგორ უნდა წარიმართოს მუშაობა თანამიმდევრულად, ნაბიჯ-ნაბიჯ - სხვადასხვა მიზნისა და აუდიტორიის გათვალისწინებით. მოსწავლეები უყურებენ და უსმენენ, მასწავლებელი კი განმარტავს, რატომ მიიღო მან ესა თუ ის გადაწყვეტილება, ყურადღებას ამახვილებს წერილობითი ფორმის ამა თუ იმ ასპექტზე (მაგ., დაწყება წინადადებით, იდეის გამოკვეთა, ადეკვატური სიტყვის შერჩევა, მისთ.). ამ პროცესის თანამონანილები უნდა გახდენ მოსწავლეებიც: ისინი უნდა აკვირდებოდნენ მასწავლებლის მუშაობას, სთავაზობდნენ მას თავიანთ იდეებს, მოსაზრებებს და მისთ. ამგვარი კონკრეტული დემონსტრირება, თუკი მას რეგულარული ხასიათი აქვს, ძალზე დაეხმარება თვით პირველკალასელებსაც კი იმაში, რომ მათ წარმოდგენა შეექმნათ აუდიტორიაზე, მიზანზე, სტილზე, ნაშრომის ჩასწორებაზე და სხვ.

მოსწავლეებმა რაც შეიძლება ხშირად უნდა წერონ თავიანთი აზრების, გრძნობების,

### თავი III. რეკომენდაცია სტანდარტის შედეგების მისაღწევაზე

შეხედულებების გამოსახატავად სხვადასხვა მიზნით და სხვადასხვა აუდიტორიისათვის. მასნავლებელს ამისათვის შეუძლია გამოიყენოს მთელი რიგი ფორმები, როგორებიცაა: თხრობა, ლექსები, სასწავლო-სამეცნიერო ხასიათის ტექსტები, ნერილები და ა.შ. მოსწავლეები უფრო მოტივირებულები იქნებიან, თუკი ისინი თვითონ აირჩევენ მათვის საინტერესო ფორმას.

წერითი მეტყველების უნარ-ჩვევების განვითარებისთვის აუცილებელია სამი პირობის დაცვა: 1. მოსწავლეები უნდა წერდნენ თემებზე, რომლებიც მათ აინტერესებთ, 2. მოსწავლეებს უნდა ჰქონდეთ საქმარისი დრო და პრაქტიკა წერითი მეტყველების განვითარებისთვის; 3. მასწავლებელმა გონივრულად უნდა უხელმძღვანელოს მოსწავლეებს მკაფიო, ცხადი ინსტრუქციების მეშვეობით, რომლებიც განავითარებს წერის ეფექტურ უნარ-ჩვევებს, აათვისებინებს მოსწავლეებს წერის სტრატეგიებს. ამასთან, მასწავლებლის ხელმძღვანელობა არ უნდა შემოიფარგლოს მხოლოდ ლაპარაკით - აუცილებელია, მასწავლებელმა მოახდინოს წერის პროცესის მოდელირება. მოდელირების დროს მოსწავლეები უნდა ჩართულები იყვნენ პროცესში, მიიღონ მონაწილეობა სხვადასხვა ამოცანის გადაწყვეტაში, მიზნის მისაღწევად ეფექტური გზების შერჩევაში, რაც მათ დიდ დახმარებას გაუწევს უშუალოდ წერის პროცესის დროს.

## ვერის პროცესი

წერის პროცესი აერთიანებს სამ ეტაპს. ესენია: ა) წერის წინა ეტაპი; ბ) წერის ეტაპი; გ) წერის შემდგომი ეტაპი.

## ვერის წინა ეტაპი

ესაა ეტაპი, როდესაც მოსწავლეები ღებულობენ გადაწყვეტილებას ძირითადი თემის შესახებ, თავს უყრიან და ორგანიზებას უკეთებენ თავიანთ იდეებს. შესაბამისად, კლასში შექმნილი უნდა იყოს ისეთი გარემო, რომელიც ხელს შეუწყობს იდეების სტიმულირებას, საშუალებას მისცემს მოსწავლეებს, წამოაყენონ და ერთმანეთს გაუზიარონ აზრები და შეხედულებები. ბიძგის მისაცემად მასწავლებელმა შეიძლება გამოიყენოს მოტივაციური ისტორია, ფილმი, სურათი, მისთ. რადგან, ფაქტობრივად, სწორედ ამ ეტაპზე იქმნება მომავალი წერითი ნამუშევარი, წერის პროცესისათვის განკუთვნილი დროის საკმაოდ დიდი ნაწილი ამ ეტაპს უნდა დაეთმოს.

პირველ-მეორეკლასელებთან წერის წინა პროცესი ხშირად ფოკუსირებულია მომავალი წერითი ნამუშევრის თემასთან დაკავშირებული ნახატის დახატვაზე. მეტი გამოცდილების მქონე მოსწავლეები განიხილავენ და იყენებენ სხვადასხვა მინიჭებას/ჩარჩოს/სქემას ან მოკლე ჩანაწერებს იდეების გენერირებისა და ორგანიზების მიზნით.

## ვერის ეტაპი

ესაა უშუალოდ წერის ეტაპი, როდესაც მოსწავლეები წერითი მეტყველების გზით გადმოსცემენ თავიანთ იდეებს/თვალსაზრისს ამა თუ იმ თემის შესახებ, რომლებიც წერის წინა ეტაპზე დაამუშავეს. წერის დროს მოსწავლეები დამატებით ამახვილებენ ყურადღებას იმგვარ საკითხებზე, როგორებიცაა: წინადადების სტრუქტურა, კალიგრაფია, პუნქტუაცია, სიტყვების მართლწერა, მისთ.

## ცერის შეადგომი ეტაპი

### რეაგირება/კორექტირება

ამ ეტაპზე მოსწავლეებს საშუალება ეძლევათ, ხელახლა გადაიკითხონ თავიანთი ნაშრომი. მოსწავლეები უნდა აცნობიერებდნენ, რომ აღნიშნული ეტაპი ისევე მნიშვნელოვანია წერითი ნამუშევრის შესაქმნელად, როგორც უშუალოდ წერის და/ან წერის წინა ეტაპები. ეს დაეხმარება მათ, მეტი პასუხისმგებლობით მოეკიდონ რედაქტირების/კორექტირების პროცესს და ეფექტურად წარმართონ მუშაობა თავიანთი ნამუშევრების სრულყოფის მიზნით. მეორე მხრივ, არის იმის საშიშროებაც, რომ მოსწავლეებს ერთგვარად ზერელე დამოკიდებულება ჩამოუყალიბდეთ უშუალოდ წერის პროცესის მიმართ ("მთავარია, რაღაც დაწერო. მერე, მასწავლებლის და/ან სხვების დახმარებით, დაინტერება საბოლოო, "კარგი" ნამუშევარი"). აუცილებელია, რომ მოსწავლეები თანაბარი პასუხისმგებლობით მუშაობდნენ წერის სამივე ეტაპზე.

მნიშვნელოვანია, რომ მასწავლებელი კარგად ერკეოდეს ამ ეტაპისათვის გამიზნულ აქტივობებში. ზოგჯერ რედაქტირება გულისხმობს მთელი ნაშრომის ხელახლა შედგენას. ამის საჭიროება თავს იჩენს იმ შემთხვევებში, როდესაც პირველ ვერსიაზე მუშაობის დროს მოსწავლეს გაუჩნდა ახალი იდეა და/ან მოსწავლე წავიდა განსხვავებული მიმართულებით. სხვა შემთხვევებში რედაქტირება გულისხმობს შინაარსის გადამუშავებას, ნაშრომის რეორგანიზებას, ადეკვატური ლექსიკური ერთეულების შერჩევას, წინადადებების სტრუქტურის დახვენას, ნაწერის სრულყოფას ენობრივ-სტილისტური თვალსაზრისით და სხვ.

ძალზე მნიშვნელოვანია ვასწავლოთ მოსწავლეებს, როგორ გადაამუშავონ თავიანთი ნაწერი. მოსწავლეებს შეუძლიათ ამ ეტაპზე თანაკლასელებს გაუზიარონ თავიანთი თვალსაზრისი და დასაზუსტებლად შეკითხვები დაუსვან მათ თავიანთი ნამუშევრის ამა თუ იმ ნაწილის სრულყოფის და/ან ინფორმაციის დაზუსტების მიზნით (მაგ., "რამდენი წლის იყო ქეთო, როდესაც სახლში დაბრუნეს?", მისთ.).

მოსწავლეებს სჭირდებათ ხელმძღვანელობა აგრეთვე იმის სასწავლებლად, თუ როგორ უნდა იმოქმედონ მათ რედაქტირების და/ან კორექტირების დროს საბოლოო ვერსიის ("კარგი ნაწერის") შექმნის მიზნით. როდესაც მოსწავლე კმაყოფილია თავისი პირველი ვერსიით, რედაქტირება გულისხმობს ზრუნვას ნაწერის იმგვარ მხარეებზე, როგორებიცაა, ვთქვათ: აკურატულობა, პუნქტუაცია, ხელნერა, მართლწერა, მისთ).

რედაქტირება-კორექტირება მასწავლებელმა შეიძლება წარმართოს ინსტრუქციების მეშვეობით. მაგ., "გახაზე ის სიტყვები, რომელთა მართლწერაში დარწმუნებული არ ხარ", "იპოვე წინადადება, სადაც გამოყენებული გაქვს ზედმეტი/არასაჭირო სიტყვა და ხელახლა დაწერე წინადადება ამ სიტყვის გარეშე". საწყის ეტაპზე ყურადღება უნდა მიექცეს მხოლოდ ერთ-ორ ასპექტს. თანდათანობით, მოსწავლეთა გამოცდილებისა და ცოდნის ზრდასთან ერთად, შეიძლება შემუშავდეს კრიტერიუმების ჩამონათვალი (შეკითხვების ფორმით), რომლითაც მოსწავლე ისარგებლებს წერის ამ ეტაპზე - ნაწერში ცვლილებების შეტანის და/ან რედაქტირება-კორექტირების მიზნით.

**ნიმუში. ნაშრომში შესატანი შესაძლო ცვლილებების კრიტერიუმების ჩამონათვალი:**

- აქვს თუ არა ნაშრომს საინტერესო დასაწყისი?
- გამოვიყენე თუ არა საკმარისი რაოდენობით დამატებითი ინფორმაცია?

- არის თუ არა ჩემი დასკვნა ლოგიკური?
- შეიძლება თუ არა დავამატო რაიმე ახალი იდეა/აზრი?
- აუცილებელია თუ არა იდეის/აზრის სხვაგვარად ორგანიზება?
- გასაგებია თუ არა ჩემი იდეა/აზრი მკითხველისათვის?

#### **ნიმუში. რედაქტირების/კორექტირების კრიტერიუმების ჩამონათვალი:**

- დავწერე თუ არა ყველა სიტყვა მართებული ფორმით?
- გამოხატავს თუ არა ყველა წინადადება დასრულებულ აზრს?
- გამოვყავი თუ არა ყველა აბზაცი?

ნაშრომების რედაქტირება-კორექტირების პროცესი შეიძლება წარიმართოს მოსწავლეების დაწყვილების გზით. ამ შემთხვევაში ორი მოსწავლე ერთად განიხილავს ნაშრომებს. განხილვის შემდეგ, მეწყვილის შენიშვნებისა და რჩევების გათვალისწინებით, ავტორებს ცვლილებები შეაქვთ საკუთარ ნამუშევრებში. უფრო მეტი გამოცდილების მქონე მოსწავლეებს შეუძლიათ ჯგუფებში მუშაობა. ყველა შემთხვევაში, მნიშვნელოვანია, რომ რედაქტირება-კორექტირების კრიტერიუმების ჩამონათვალი განსაზღვრული იყოს მოსწავლეების თანამონანილეობით. შესაძლებელია, რომ კრიტერიუმების ჩამონათვალი კედელზე იყოს გაკრული, რათა მოსწავლეებს მუშაობის დროს მხედველობიდან არ გამორჩეთ არც ერთი მათგანი.

#### **ნიმუში. კრიტერიუმები წყვილური სამუშაოსთვის:**

- შეეცადეთ, რომ თქვენი შენიშვნებითა და კომენტარებით დაეხმაროთ ერთმანეთს;
- მიეცით ერთმანეთს აზრის გამოხატვის საშუალება; ილაპარაკეთ რიგრიგობით;
- ყოველთვის დაიწყეთ და დაამთავრეთ დადებითი კომენტარით;
- ავტორმა უნდა მოისმინოს და ჩაიწეროს შენიშვნები და კომენტარები;
- ავტორმა უნდა გაიაზროს შენიშვნები და კომენტარები; გადაწყვიტოს, რომელ მათგანს გაითვალისწინებს ნაშრომის საბოლოო რედაქციის მომზადების დროს.

კრიტერიუმების ჩამონათვალი შეიძლება შეიცვალოს - საჭიროებისამებრ დაემატოს ახალი კრიტერიუმი/კრიტერიუმები და მისთ. მთავარია, მასწავლებელი ხედავდეს, რომ ამგვარად წარმართული და დაგეგმილი მუშაობა რეალურად ეხმარება მოსწავლეებს ნაშრომის სრულყოფაში.

#### **რედაქტირება მასწავლებლის ხელმძღვანელობით/ეტაპობრივი რედაქტირება**

რედაქტირება შეიძლება ჩატარდეს მასწავლებლის ხელმძღვანელობით. ამ შემთხვევაში მასწავლებელი მუშაობს ეტაპობრივად (მუშაობას ეთმობა გაკვეთილის ერთი მცირე ნაწილი). ამასთან, ყველა ცალკეულ შემთხვევაში მუშაობა ფოკუსირებული უნდა იყოს მხოლოდ ერთ ან ორ უნარ-ჩვევაზე, რომლებსაც მასწავლებელი შეარჩევს. მუშაობის დასაწყისში მასწავლებელი დაფაზე ჩამონერს კრიტერიუმებს და შესთავაზებს მოსწავლეებს, ამ კრიტერიუმების გათვალისწინებით ხელახლა გადაიკითხონ და ჩაასწორონ თავიანთი ნამუშევრები.

პირველი ვერსიის რედაქტირების გაადვილების მიზნით, მასწავლებელმა მოსწავლეებს შეიძლება შესთავაზოს:

- დაწერონ ნამუშევრის პირველი ვერსია ფანქრით;

- გამოტოვონ ხაზები პირველი ვერსიის წერის დროს;
- ჩაასწორონ განსხვავებული ფერის ფანჯრით/კალმით (თითოეული სესიის დროს გამოიყენონ ერთი რომელიმე ფერი);
- დაამატონ ახალი მასალა გამოტოვებულ ხაზებზე, ან ხაზს ზემოთ/ქვემოთ.

მასწავლებლებმა უნდა გაითვალისწინონ, რომ რედაქტირება ენობრივ-სტილისტური ნორმების, გრამატიკული ელემენტების მართებულად გამოყენების და მისთ. სწავლების ერთ-ერთი ყველაზე ეფექტური სამუალებაა. ამ დროს მოსწავლეები, თავიანთი პრაქტიკული საჭიროებებიდან გამომდინარე, კიდევ ერთხელ დაფიქრდებიან წინადადებებთან, პუნქტუაციასთან, მეტყველების ნაწილებთან და ა.შ. დაკავშირდულ ნორმებზე/წესებზე. მასწავლებელი რედაქტირების პროცესს ხელმძღვანელობს ლაკონიური, ცხადი ინსტრუქციების მიცემის გზით.

### **გაზიარება/წარდგენა**

სასურველია, რომ ნაშრომზე მუშაობის დასრულების შემდეგ მოსწავლეებს ფართო არჩევანი ჰქონდეთ თავიანთი ნაშრომების გაზიარების თვალსაზრისით. ეს შეიძლება იყოს: ნაშრომის თანაკლასელებისთვის გაცნობა გაკვეთილის მსვლელობის დროს; საჯარო პრეზენტაცია; ნაწერების გამოფენა საკლასო ოთახში ან სკოლაში; პორტფოლიოები; ინდივიდუალური, ჯგუფური ან საკლასო ბუკლეტები; წიგნების დამზადება; ნაშრომის გამოქვეყნება მოსწავლეთა უურნალებში, სასკოლო ან საზოგადოებრივ გაზეთებში; გამოქვეყნება სკოლის ვებგვერდზე.

## **ცერის მოდელები**

### **მოდელირებული წერა**

ესაა პროცესი, რომლის დროსაც ტექსტის შეთხვაზე მუშაობს მასწავლებელი. მუშაობის დროს მასწავლებელი ფიქრობს „ხმამაღლა“ იმ მიზნით, რომ თვალსაჩინოდ წარმოუდგინოს მოსწავლეებს წერის - ტექსტის შეთხვის - პროცესი. ამ სტრატეგიას აგრეთვე „ხმამაღლა წერის“ სტრატეგიას უნდებენ. იგი ეფექტურად მუშაობს როგორც სრულიად გამოუცდელ, ისე შედარებით მდიდარი წერითი გამოცდილების მქონე მოსწავლეებთან. „მოდელირებული წერის“ მეშვეობით მასწავლებელი თვალსაჩინოს, ცხადსა და კონკრეტულს ხდის წერის პროცესს, რომელსაც თანამიმდევრული ნაბიჯების სახით წარმოუდგენს მოსწავლეებს. ამ გზით მოსწავლეები ხედავენ, როგორ ფიქრობს/როგორ მუშაობს გამოცდილი მწერალი (მასწავლებელი) წერის დროს, რა ნაბიჯებს დგამს იგი მუშაობისას, რაც ძალზე უწყობს ხელს მოსწავლეების დაოსტატების პროცესს. შეიძლება ითქვას, რომ აღნიშნული სტრატეგიის გამოყენებით მასწავლებელს შეუძლია პირდაპირი გზით ასწავლოს მოსწავლეებს წერის ძირითადი უნარ-ჩვევები და პრინციპები.

მოდელირებული წერის სტრატეგიის გამოყენება შეიძლება აგრეთვე რედაქტირების ეტაპზე ჩასატარებელი სამუშაოების სადემონსტრაციოდ.

### **საზიარო წერა**

საზიარო წერა არის პროცესი, რომლის დროსაც მასწავლებელი და მოსწავლეები ერთობლივად ქმნიან ტექსტს („ხმამაღლა ფიქრის“, „ერთად ფიქრის“ გამოყენებით). მასწავლებელი ამ შემთხვევაში მწერლის როლს ითავსებს. „საზიარო წერის“ მიზანია, თვალ-

საჩინოდ და კონკრეტულად წარმოუდგინოს მოსწავლეებს წერის პროცესი, აჩვენოს მათ სტრატეგიები, რომლებსაც გამოცდილი მწერლები იყენებენ წერითი ნამუშევრის შექმნის დროს; გააცნოს მოსწავლეებს წერითი მეტყველების ნორმები.

მოსწავლეები კარნახობენ მასწავლებელს, რისი თქმაც მათ სურთ. ამისთვის მასწავლებელი წინასწარ ამზადებს მოსწავლეებს - უსვამს მათ შეკითხვებს იმ მიზნით, რომ ალაპარაკოს ისინი ამა თუ იმ საკითხზე, გაამახვილოს მათი ურადლება საჭირო თემაზე/თემებზე. მასწავლებელი დაფაზე ინერს მოსწავლეების ნაკარნახევს, ხმამაღლა იმეორებს დაწერილ სიტყვებს და წინადადების დასრულების შემდეგ აკეთებს მოკლე კომენტარს წერისას გამოყენებული წესების შესახებ: ხსნის, რატომ დაწერა ესა თუ ის სიტყვა ამ ფორმით, რატომ დაწერა სიტყვები ამ მიმდევრობით და სხვ. ამის შემდეგ მასწავლებელი კითხულობს დაწერილ ტექსტს (კითხვისას აყოლებს ტექსტს საჩვენებელ ჯოხს ან თითს). ბოლოს ტექსტს ხმამაღლა კითხულობენ მოსწავლეები (კითხვის ტემპის მისათითებლად, მასწავლებელი საჩვენებელ ჯოხს ან თითს აყოლებს დაწერილ ტექსტს). საზიარო წერის სტრატეგია შეიძლება გამოვიყენოთ სხვადასხვა მიზნით, სხვადასხვა ფორმის და უანრის შესწავლის დროს.

### **ინტერაქტიური წერა**

ინტერაქტიური წერა დამოუკიდებელი წერისკენ მიმავალი გზაა. ამ დროს მოსწავლეები მასწავლებელთან ერთად გადაწყვეტენ, რა უნდა ითქვას ტექსტით. შემდეგ მოსწავლეები და მასწავლებელი ერთობლივად წერენ ტექსტს, კითხულობენ, იმეორებენ, ასწორებენ მას. ამასობაში მასწავლებელი “ხმამაღლა ფიქრობს” წერის პროცესის დემონსტრირების მიზნით.

### **წერა მასწავლებლის ხელმძღვანელობით.**

როდესაც მოსწავლეები თხზულებაზე მუშაობენ, მასწავლებელი ეხმარება მათ წერის პროცესის სტიმულირების, მიზანმიმართული რეაგირების, სხვადასხვა მნიშვნელოვანი ფაქტორების წარმოდგენისა და შეხსენების გზით; ზოგადად, ხელმძღვანელობს და წარმართავს წერის პროცესს.

### **დამოუკიდებელი წერა**

მოსწავლეები წერენ საკუთარ თხზულებებს მოდელირებული, საზიარო და მასწავლებლის ხელმძღვანელობით ჩატარებული წერითი გაკვეთილებისას შეძენილი ცოდნისა და უნარების გამოყენებით. მასწავლებელი ეხმარება მოსწავლეებს როგორც წერის წინა ეტაპზე (კონსულტაციების მეშვეობით), ისე უშუალოდ წერის პროცესის დროს (მოსწავლეთა წახალისებით, სტიმულირებით, სხვ.).

### **ერთობლივი წერა/წერა თანაავტორობით**

ესაა პროცესი, როდესაც ჯგუფებად (ან წყვილებად) დაყოფილი მოსწავლეები მუშაობენ ერთად, როგორც თანაავტორობი. მაგ., მათ შეუძლიათ ჯგუფური აბზაცის ან ლექსის შედგენა მასწავლებლის მიერ წარმოდგენილი ან ჯგუფის მიერ შექმნილი ძირითადი იდეის წინადადებაზე/ შესავალ სტრიქონზე დაყრდნობით. ქაღალდის ფურცლისა და ერთი ფანქრის გამოყენებით მოსწავლეები რიგორიგობით ადგენენ წინადადებას ან სტრიქონებს. ჯგუფი ქმნის თხზულებას, ამატებს იდეებს ან სხვაგვარად აწყობს იდეებს თხზულების დასას-

### თავი III. რეკომენდაცია სტანდარტის შედეგების მისაღევად

რულებლად. ამ დროს მოსწავლეებმა შეიძლება გამოიყენონ სხვადასხვა ჟანრის ან ფორმის ენობრივ-სტილისტური მახასიათებლები.

#### **კვლევითი წერა**

კვლევითი წერა ემყარება რესურსებს და ეფექტურად ავითარებს მოსწავლეების კვლევით უნარ-ჩვევებს სხვადასხვა სახის ინფორმაციის წვდომის, მოძიების, დახარისხებისა და გამოყენების მეშვეობით.

აუცილებელია, რომ აქტივობები ინტეგრირებული იყოს ცხადი შინაარსის მქონე კონტექსტში კონკრეტული დავალებების, ამოცანების/საკითხების სახით. ინფორმაციის მოძიების ან კვლევის პროცესში მოსწავლეები იქმაყოფილებენ ბუნებრივ ცნობისმოყვარეობას, ააქტიურებენ ადრე მიღებულ ცოდნას, სვამენ კითხვებს, განსაზღვრავენ ნაბიჯებს ინფორმაციის მოსაძიებლად, აგროვებენ და აფასებენ ინფორმაციას კონკრეტული მიზნებისთვის, იყენებენ ახლად ნასწავლ მასალას, უჩნდებათ ახალი შეკითხვები, უვითარდებათ სასწავლო უნარები. მასწავლებლებს შეუძლიათ დაეხმარონ მოსწავლეებს სხვადასხვა სტრატეგიის, ტექნოლოგიებისა და სხვა რესურსების შესახებ ინფორმაციის მიწოდების გზით.

#### **წერა წყვილებში/ჯგუფებში**

წყვილებში/ჯგუფებში წერა ყველაზე ეფექტური და შედეგისმომტანია უშუალოდ ახალი მასალის შესწავლის შემდეგ. სამუშაოს ორგანიზების თვალსაზრისით, არსებობს ორი მიდგომა: 1. წინასწარი შერჩევა - მასწავლებელი წინასწარი შერჩევით დააჯგუფებს მოსწავლეებს წყვილებად/ჯგუფებად. ამისთვის მეწყვილეებად/სამუშაო ჯგუფის წევრებად შეირჩევიან მოსწავლეები, რომლებსაც, მასწავლებლის აზრით, შეუძლიათ ერთმანეთს რაღაც შესთავაზონ (მაგ., ნიჭიერი, იდეებით აღსავსე მოსწავლე, მოსწავლეები დისლექსიის ნიშნებით, მუყაითი, მცოდნე მოსწავლე/მოსწავლეები "შემსრულებლის" ტიპისა), 2. შემთხვევითი შერჩევა - მოსწავლეები თვითონ ირჩევენ პარტნიორს ან ერთიანდებიან წყვილებში/ჯგუფებში ადგილების მიხედვით (წყვილებში/ჯგუფებში ერთიანდებიან ერთმანეთის გვერდით და/ან ახლოს მჯდომი მოსწავლეები). აუცილებელია, რომ მოსწავლეებმა აითვისონ წყვილებში/ჯგუფებში მუშაობისთვის საჭირო ტრადიციული გზა:

- რეპეტიცია - მოსწავლეები თავდაპირველად ზეპირად ჩამოაყალიბებენ თავიანთ ნააზრევს (რაც უნდა დაწერონ);
- წერა - წერს ერთი, მეორე ეხმარება/სხვები ეხმარებიან ან ყველანი წერენ საკუთარ ვერსიას (ეს უკანასკნელი კარგი საშუალებაა კინკლაობის თავიდან ასაცილებლად);
- კითხვა - მოსწავლეები კითხულობენ ნამუშევარს, შეაქვთ მასში შესწორებები და ამზადებენ ნამუშევრის საბოლოო ვერსიას.

წყვილებში/ჯგუფებში მუშაობას დროის მცირე მონაკვეთი უნდა დაეთმოს. საჭიროა ხაზგასმა, რომ სამუშაო სწრაფად უნდა შესრულდეს - მოსწავლეებმა არ უნდა იფიქრონ, რომ დრო ბევრი აქვთ, რათა არ მოადუნონ ყურადღება, არ იყვნენ ნაკლებად კონცენტრირებულნი; თუმცა, საჭიროების შემთხვევაში, მოსწავლეებს შეიძლება გაეზარდოთ სამუშაო დრო.

#### **წერის სემინარები**

სემინარები წერის სწავლების ეფექტური საშუალებაა. სემინარები ხელს უწყობს წე-

თავი III. რეკომენდაციები სტანდარტის უზრუნველყოფის მისაღწევად

რისათვის საჭირო უნარ-ჩვეულების განვითარებას, ეხმარება მოსწავლეებს წერის სტრატეგიების დაუფლებაში. წერის სემინარების გრაფიკი დეტალურად უნდა იყოს განვითარების სტრატეგიების ჩატარებისას მოსწავლეები სამ ძირითად საქმიანობაში არიან ჩაბმულნი:

- მინი-გაკვეთილები (მასწავლებლები ატარებენ მოკლე გაკვეთილებს წერის სხვადასხვა სტრატეგიის გამოყენებით).
- დამოუკიდებელი წერა (მოსწავლეები მუშაობენ წერილობით პროექტებზე).
- გაზიარება/წარდგენა (მოსწავლეები მიმდინარე სამუშაოს და საბოლოო ნაწერების პროექტებს უზიარებენ/წარუდგენენ მცირე ჯგუფებს ან მთელ კლასს).

**"ჩარჩო-კონსტრუქციები"**

"ჩარჩო-კონსტრუქციების" გამოყენება მნიშვნელოვნად ეხმარება მოსწავლეებს აზრის ჩამოყალიბების, ენობრივი კონსტრუქციების ათვისების პროცესში, სტიმულს აძლევს მათს თვითგამოხატვას. განსაკუთრებით ეფექტურია "ჩარჩო-კონსტრუქციები" სწავლების საწყის ეტაპზე, როდესაც მოსწავლეებს ჯერ კიდევ უჭირთ წერილობითი გზით აზრის ჩამოყალიბება და ამბის გადმოცემა.

## | კლასი

### მიმართულება: ზეპირმატყველება

შედეგი	ქართ. I. 1. მოსწავლეს შეუძლია მოისმინოს და ადეკვატურად აღიქვავს მარტივი ინფორმაცია; შეუძლია სწორად რეაგირება ნაცნობ სამეტყველო სიტუაციაში
ინდიკატორები	<ul style="list-style-type: none"> <li>● ასრულებს მასწავლებლის მარტივ ზეპირ ინსტრუქციებს;</li> <li>● უცნობი სიტყვების მნიშვნელობის დასაზუსტებლად სვამს შეკითხვებს;</li> <li>● მონაწილეობს სიტუაციურ თამაშებში, ჯგუფურ აქტივობებში და საჭიროების მიხედვით ადეკვატურად ცვლის სამეტყველო როლებს (უსმენს სხვებს, სვამს/ პასუხობს შეკითხვებს);</li> <li>● ამოიცნობს და იყენებს სამეტყველო ეტიკეტის ენობრივ ფორმულებს (მისალმება, დამშვიდობება, ბოდიშის მოხდა, მადლობის გადახდა და ა. შ.).</li> </ul>
აქტივობები	<p>აქტივობები, რომლებიც მოსწავლისგან მოითხოვს:</p> <ul style="list-style-type: none"> <li>● მცირე ზომის ტექსტის მიხედვით ნახატის გაფერადებას;</li> <li>● მოსმენილი ტექსტის მიხედვით ილუსტრაციების შექმნას;</li> <li>● მოსმენილი ინსტრუქციის მიხედვით საგნების კლასიფიკაციას შინაარსობრივ ჯგუფებად (მაგალითად, სამგზავრო ნივთები, სასწავლო ნივთები, სათამაშო ნივთები და ა.შ.);</li> <li>● ნაცნობ სამეტყველო სიტუაციაში ადეკვატურად რეაგირებას;</li> <li>● სამეტყველო სიტუაციის მიხედვით შესაბამისი ლექსიკის, ფრაზეოლოგიის, გამოთქმის, ეტიკეტური ფორმულების (მისალმება, დამშვიდობება, მოკითხვა, მადლობის გადახდა, დახმარების შეთავაზება, ბოდიშის მოხდა და ა.შ.) ადეკვატურად გამოყენებას;</li> <li>● საგნის გამოსაცნობად მისი ნიშან-თვისებების შესახებ კითხვების დასმას და მიღებული პასუხების ადეკვატურად გამოყენებას საგნის გამოსაცნობად;</li> <li>● ელემენტარული დარგობრივი, სპეციალური ლექსიკის (ტრანსპორტი, შინაური და გარეული ცხოველები, პროფესიები) ცოდნა-სა და მათი ადეკვატურად გამოყენებას;</li> <li>● სიტუაციური თამაშებისთვის (მაგალითად, სათამაშოების მაღაზიაში) სხვადასხვა როლის მორგებას (გასაყიდი სათამაშო, გამყიდველი, მყიდველი) და როლის შესაბამისი ლექსიკური ერთეულების, ეტიკეტის გამოყენებას;</li> <li>● სხვ.</li> </ul>

<b>შედეგი</b>	<b>ქართ. I. 2. მოსწავლეს შეუძლია გადმოსცეს მარტივი ინფორმაცია მისთვის ნაცნობ თემებზე.</b>
<b>ინდიკატორები</b>	<ul style="list-style-type: none"> <li>• მინიშნებებზე, ილუსტრაციებზე და ა. შ. დაყრდნობით გადმოსცემს მოსმენილი ტექსტის შინაარსს;</li> <li>• აღნერს ილუსტრაციას (აღნერს მოქმედებას, ასახელებს საგნებს, სწორად აღნერს საგანთა განლაგებას: წინ, უკან, ზევით, ქვევით, მარჯვნივ, მარცხნივ);</li> <li>• მეტყველებისას იყენებს წინადადების მოდალობებს (თხრობას, შეკითხვას, თხოვნას, პრძანებას) და შესაბამის ინტონაციას;</li> <li>• წინასწარ მიცემული გეგმის / ინსტრუქციის მიხედვით გადმოსცემს ფაქტებს.</li> </ul>
<b>აქტივობები</b>	<p>აქტივობები, რომლებიც მოსწავლისგან მოითხოვს:</p> <ul style="list-style-type: none"> <li>• მოკლე ინფორმაციის მოსმენას, დამახსოვრებასა და გადაცემას;</li> <li>• ვიზუალური ტექსტის (ნახატი, ილუსტრაცია) სხვადასხვაგვარად (ფანტაზიით, წარმოსახვითი ვარიაციებით) წაკითხვას და ზეპირ პრეზენტაციას;</li> <li>• კონკრეტულ საკითხზე სხვადასხვა წყაროდან (რადიო/ტელეგადაცემა, ინტერნეტი, სარეკლამო საშუალება) ინფორმაციის მოძიებას და ზეპირ პრეზენტაციას;</li> <li>• ნაცნობი ნივთების ფუნქციური დანიშნულების, სპეციფიკურობის (რისთვის გამოიყენება, ვისთვის არის გამიზნული და ა.შ.) აღნერა-პრეზენტაციას;</li> <li>• სხვა.</li> </ul>
<b>შედეგი</b>	<b>ქართ. I. 3. მოსწავლეს შეუძლია მართლმეტყველების ელემენტარული წესების დაცვა</b>
<b>ინდიკატორები</b>	<ul style="list-style-type: none"> <li>• მკაფიოდ გამოთქვამს ბგერებს სიტყვაში;</li> <li>• პაუზით გამოყოფს სიტყვებს ერთმანეთისგან;</li> <li>• იყენებს საკავშირებელ სიტყვებს (და, რომ, მაგრამ...);</li> <li>• წინადადების დასრულებას გამოხატავს პაუზით და შესაბამისი ინტონაციით;</li> <li>• თავს არიდებს პარაზიტი ჩანართების („ესე იგი“, „დიახ“, „მნა-მნა“...) გამოყენებას სამეტყველო პაუზების დროს.</li> </ul>
<b>აქტივობები</b>	<p>აქტივობები, რომლებიც მოსწავლისგან მოითხოვს:</p> <ul style="list-style-type: none"> <li>• სიტყვების ერთმანეთისგან გამოყოფას პაუზით;</li> <li>• საკავშირებელი სიტყვების გამოყენებას და წინადადების დასრულებას პაუზითა და შესაბამისი ინტონაციით;</li> <li>• ლექსების თქმას ზეპირად გუნდურად, ტემპის ცვლით;</li> </ul>

## თავი III. რეაქციები სტანდარტის შედევრის მისაღებად

	<ul style="list-style-type: none"> <li>დაყოფილ (გაგრძელებით) თხრობას ან ლექსის თქმას;</li> <li>ძირითადი სასვენი ნიშნების (წერტილი, კითხვისა და ძახილის ნიშნები) დანიშნულების გააზრებას და მათი შესაბამისი ინტონაციით წარმოთქმას;</li> <li>სხვ.</li> </ul>
--	---

შედეგი	<p>ქართ. I. 4. მოსწავლეს შეუძლია მოისმინოს და გაიგოს ნაცნობ თემატიკაზე შექმნილი მცირე ზომის ტექსტები და გამოხატოს თავისი დამოკიდებულება</p>
ინდიკატორები	<ul style="list-style-type: none"> <li>ამოიცნობს ზღაპარს დასაწყისისა და დასასრულის ფორმულების მიხედვით („იყო და არა იყო რა“; „ჭირი იქა, ლხინი აქა“...);</li> <li>სვამს / პასუხობს შეკითხვებს მოსმენილ ტექსტთან დაკავშირებით;</li> <li>ილუსტრაციებს უკავშირებს მოსმენილ ტექსტს და განალაგებს მათ მოქმედებათა თანამიმდევრობის მიხედვით;</li> <li>ამოიცნობს პერსონაჟის ემოციურ მდგომარეობას (მხიარული, მოწყენილი, გაკვირვებული და ა. შ.);</li> <li>მონაწილეობს პერსონაჟის ჯგუფურ დახასიათებაში;</li> <li>მონაწილეობს ტექსტის სახელდახელო ინსცენირებაში, ირჩევს როლის შესატყვის ინტონაციასა და უსტ-მიმიკას;</li> <li>ქმნის ტექსტის ცალკეული მონაკვეთის/მონაკვეთების ილუსტრაციებს და ასათაურებს მათ;</li> <li>აფასებს მოსმენილს (მომენტია / არ მომენტია);</li> <li>აფასებს პერსონაჟს და მის საქციელს (კეთილია / ბოროტია; კარგად მოიქცა / ცუდად მოიქცა და ა.შ.);</li> <li>იხსენებს მოსმენილის მსგავს ამბავს.</li> </ul>
აქტივობები	<p>აქტივობები, რომლებიც მოსწავლისგან მოითხოვს:</p> <ul style="list-style-type: none"> <li>მოსმენილი ტექსტის გადმოცემას ლოგიკური თანამიმდევრობით;</li> <li>მეტყველებისას აუდიტორიასთან მხედველობითი კონტაქტის დამყარებას;</li> <li>ტონის, უსტებისა და მიმიკის გამოყენებისას პერსონაჟის ხასიათის გათვალისწინებას;</li> <li>მოსმენილი ტექსტის მიმართ საკუთარი დამოკიდებულების გამოხატვას, პერსონაჟის შეფასებას და ამ შეფასებისას ადეკვატური ლექსიკის გამოყენებას;</li> <li>პუნქტუაციის სწორად გაგებას და შესაბამისი ინტონაციის შეჩევას;</li> <li>სხვ.</li> </ul>

შედეგი	ქართ. I. 5. მოსწავლეს გამომუშავებული აქვს ფონოლოგიური უნარ-ჩვევები
ინდიკატორები	<ul style="list-style-type: none"> <li>• სიტყვას ყოფს მარცვლებად, მარცვლებს აერთიანებს სიტყვებად;</li> <li>• ამოიცნობს და ტაშის დაკვრით ითვლის სიტყვაში მარცვალთა რაოდენობას;</li> <li>• მასწავლებლის მიერ ჩამოთვლილ სიტყვებში ან სურათებზე ამოიცნობს იმ სიტყვებს, რომლებიც შეიცავს წინასწარ მითითებულ ბერძნებას/ზეპირ მარცვალს;</li> <li>• მარცვლების რაოდენობას წარმოადგენს შესაბამისი რაოდენობის სიმბოლოთი (მაგ., ერთმარცვლიან სიტყვას ერთი რკალით  , ორმარცვლიანს - ორი რკალით  და ა.შ.);</li> <li>• ამოიცნობს სიტყვაში მითითებული მარცვლის ადგილმდებარეობას (დასაწყისში, შუაში, ბოლოში) და სიმბოლურად გამოსახავს მას (მაგ., სამმარცვლიანი სიტყვის გამომხატველი სამი რკალიდან აფერადებს მითითებული მარცვლის შესაბამის რკალს);</li> <li>• მოსმენილ წინადადებაში გამოყოფს სიტყვებს და სიმბოლური ნიშნით აღნიშნავს მათს რაოდენობას (მაგ., წითელქუდა ბებიასთან წავიდა – სამი ხაზი: _____);</li> <li>• სიტყვებს შლის ბერძნებად, ბერძნებს აერთიანებს სიტყვებად;</li> <li>• განარჩევს მსგავსი ულერადობის მარცვლებს/სიტყვებს;</li> <li>• სიტყვის სათანადო მარცვალში პოულობს ბერძნების ადგილმდებარეობას (მარცვლის დასაწყისში, შუაში, ბოლოში).</li> </ul>
აქტივობები	<p>აქტივობები, რომლებიც მოსწავლისგან მოითხოვს:</p> <ul style="list-style-type: none"> <li>• ანალიზისა და სინთეზის ძირითადი ოპერაციების წარმართვას: სიტყვის დაშლას მარცვლებად, მარცვლებისა – ბერძნებად და პირიქით;</li> <li>• სიტყვის, როგორც ბერძნათა კომპლექსის, შემადგენელი სხვადასხვა დონის ერთეულების (მარცვალი, ბერძნი), ადგილმდებარეობის ცოდნას და გამოყენებას, მათ ზუსტ იდენტიფიკაციას (სად, რომელ ადგილასაა ესა თუ ის ბერძნი, მარცვალი სიტყვაში) და ა.შ.;</li> <li>• სხვ.</li> </ul>

## მიმართულება: პითხევა

შედეგი	ქართ. I. 6. მოსწავლეს შეუძლია ანბანური პრინციპის გაგება და გამოყენება.
ინდიკატორები	<ul style="list-style-type: none"> <li>● თავისუფლად ცნობს ორმოცდაათამდე სიტყვის ორთოგრაფიულ ხატს;</li> <li>● ადარებს სხვადასხვა სიტყვის ორთოგრაფიულ ხატებს, პოულობს საერთო მარცვლებს, ასოებს;</li> <li>● ნაცნობ სიტყვებში ცნობს და ახმოვანებს ასოებს;</li> <li>● სიტყვათა ჩამონათვალში პოულობს წინასწარ მითითებულ ასოს, მარცვალს;</li> <li>● ასოებს ამთლიანებს მარცვლებად, მარცვლებს - სიტყვებად;</li> <li>● სიტყვებში გამოყოფს და ახმოვანებს მარცვლებს, მარცვლებში - ასოებს;</li> <li>● ასოებისაგან, მარცვლებისაგან აწყობს სიტყვას;</li> <li>● ცნობს ანბანის ყველა ასოს;</li> <li>● აკავშირებს ბეჭდურ ასოებს შესაბამის არაბეჭდურ ასოებთან.</li> </ul>
აქტივობები	<p>აქტივობები, რომლებიც მოსწავლისგან მოითხოვს:</p> <ul style="list-style-type: none"> <li>● ნახატის დაკავშირებას სიტყვასთან;</li> <li>● ორის სიტყვის გრაფიკული ხატის შედარებას;</li> <li>● მოკლე და გრძელი სიტყვების გარჩევას (მოსმენით და გრაფიკულად);</li> <li>● ასოებისგან მარცვლების / სიტყვების შედგენას;</li> <li>● მარცვლების გამთლიანებას სიტყვებად;</li> <li>● სიტყვაში მარცვლების / ასოების გამოყოფას;</li> <li>● ანბანის ასოების ამოცნობას;</li> <li>● სიტყვაში გამოტოვებული ასოს აღდგენას;</li> <li>● რებუსების ამოხსნას;</li> <li>● სხვ.</li> </ul>

**რეკომენდაციები:** კითხვის დაწყებამდე მოსწავლეებმა ნელ-ნელა უნდა დახვეწონ თავიანთი ზეპირმეტყველებითი უნარები. მათ უნდა შეძლონ წინადადებებში სიტყვების გამოყოფა, სიტყვებში - მარცვლებისა, ხოლო მარცვლებსა და სიტყვებში - ცალკეულ ბერებისა, რაც კითხვისა და წერის უნარების ჩამოყალიბების საყრდენს წარმოადგენს. უმნიშვნელოვანესია, რომ მოსწავლე შეძლოს ანბანური პრინციპის გაგება, ანუ მოსწავლეს გაცნობიერებული უნდა ჰქონდეს, რომ გრაფიკულად გამოსახული სიტყვა შედგება ასოებისაგან (გრაფეტებისაგან), რომელთაგან თითოეული შეესაბამება კონკრეტულ ბერას (ფონემას). ასევე განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს მოსწავლეთა ფონოლოგიური ცნობიერების ჩამოყალიბებას, რაც გულისხმობს იმას, რომ მოსწავლემ უნდა შეძლოს ზეპირი სამეტყველო ენის უმცირეს კომპონენტებად (ბერებად და მარცვლებად) დაშლა და ამ კომპონენტებით მანიპულირება როგორც სმენით, ისე სამეტყველო დონეზე.

<b>შედეგი</b>	<b>ქართ. I. 7. მოსწავლეს შეუძლია წერილობითი კოდის გაშიფრვა.</b>
<b>ინდიკატორები</b>	<ul style="list-style-type: none"> <li>აკავშირებს ასოებს ბერებთან და ამთლიანებს მათ მარცვლებად, სიტყვებად (წარმოთქვამს სიტყვებს);</li> <li>სიტყვათა ჩამონათვალში პოულობს მითითებულ სიტყვას;</li> <li>ხმამაღლა (მთლიანი სიტყვებით ან დამარცვლით) კითხულობს მარტივი წინადადებებით შედგენილ მცირე ზომის ტექსტებს;</li> <li>წინადადების საზღვრების შესაბამისად აკეთებს პაუზას;</li> <li>აგრძელებს სხვის მიერ დაწყებულ კითხვას სათანადო ადგილიდან.</li> </ul>
<b>აქტივობები</b>	<p>აქტივობები, რომლებიც მოსწავლისგან მოითხოვს:</p> <ul style="list-style-type: none"> <li>დასახელებული სიტყვის გრაფიკული ხატის ამოცნობას;</li> <li>სიტყვის ორთოგრაფიული ხატის დამასხვრებას;</li> <li>სიტყვათა გროვაში სამოდელო სიტყვის შემოხაზვას;</li> <li>ასოებით სიტყვების შედგენას;</li> <li>მოცემული სიტყვის ასოებით ახალი სიტყვების შედგენას;</li> <li>სიტყვებში ერთნაირი და განსხვავებული ასოების ამოცნობას;</li> <li>სიტყვაში გამოტოვებული ასოს ჩასმას;</li> <li>მითითებული ადგილიდან კითხვის დაწყებას;</li> <li>სხვ.</li> </ul>
<b>რეკომენდაციები:</b> წერილობითი კოდის გაშიფრვა, ანუ ენის გრაფიკული ერთეულების - ასოების ფონემურ ერთეულებთან - ბერებთან შესატყვისობის გაგება და მისი ავტომატიზება ფუნდამენტურ ეტაპის წარმოადგენს მოსწავლის კითხვის უნარების განვითარებაში. მისი სწავლებისას უმეტესად გამოიყენება ფონეტიკურ და მთლიან სიტყვაზე ორიენტირებული სწავლების მეთოდები.	

<b>შედეგი</b>	<b>ქართ. I. 8. მოსწავლეს შეუძლია პრაგმატული ხასიათის მარტივი ტექსტის (მაგ., ინსტრუქციის, მენიუს, საყიდლების სიის, აპრისა და ა.შ.) წაკითხვა და გაგება.</b>
<b>ინდიკატორები</b>	<ul style="list-style-type: none"> <li>დამოუკიდებლად იგებს სავარჯიშოს პირობას;</li> <li>იგებს და ასრულებს მარტივი ენით დაწერილ სამ ან ოთხსაფეხურიან ინსტრუქციებს (მაგ., მითითებების მიხედვით ამზადებს დეკორაციას, დესერტს, ქმნის მარტივ ნაკეთობას და სხვ.);</li> <li>ამოკრებს კონკრეტულ ინფორმაციას.</li> </ul>
<b>აქტივობები</b>	<p>აქტივობები, რომლებიც მოსწავლისგან მოითხოვს:</p> <ul style="list-style-type: none"> <li>ჩამონათვალში დასახელებული ნივთების მოძიებას;</li> <li>ინსტრუქციის მიხედვით სხვადასხვა მოქმედების შესრულებას;</li> <li>ინსტრუქციის მიხედვით ნივთების დახარისხებას;</li> <li>ინსტრუქციის მიხედვით საკლასო დავალების შესრულებას;</li> <li>სხვ.</li> </ul>

## თავი III. ჩატარებული სტანდარტის შედეგების მისაღევად

შედეგი	ქარ. I. 9. მოსწავლეს შეუძლია ვიზუალურად გამოხატოს წაკითხული / მოსმენილი ტექსტით აღძრული შთაბეჭდილებები.
ინდიკატორები	<ul style="list-style-type: none"> <li>ხატავს/აფერადებს მოსმენილი/წაკითხული ნაწარმოების პერსონაჟს;</li> <li>სათამაშოების/ნივთების კიდობნიდან ამოარჩევს საგნებს, რომლებიც წაკითხული / მოსმენილი ტექსტის მთლიან შინაარსს / ცალკეულ ეპიზოდს ეხმიანება და ხსნის, რატომ აირჩია ესა თუ ის ნივთი;</li> <li>ნაწარმოების მოსმენის/წაკითხვის შედეგად მიღებული შთაბეჭდილების, აღძრული გრძნობების/ემოციების გადმოსაცემად ქმნის კოლაჟს მის მიერ შეგროვებული მასალით (ფოთლებით, ყვავილებით, ხის ტოტებით და ა.შ.);</li> <li>ქმნის მთლიანი ზღაპრის ან ცალკეული ეპიზოდის ილუსტრაციებს;</li> <li>სხვა მოსწავლის მიერ შექმნილ ილუსტრაციებზე დაყრდნობით ამოიცნობს ნაცნობ ზღაპარს / მოთხრობას / ლექსს.</li> </ul>
აქტივობები	<p>აქტივობები, რომლებიც მოსწავლისგან მოითხოვს:</p> <ul style="list-style-type: none"> <li>წაკითხული ტექსტის ილუსტრირებას;</li> <li>თანაკლასელის მიერ შექმნილ ილუსტრაციაში / ნახატში პერსონაჟის, ეპიზოდის და სხვა ინფორმაციის ამოცნობას;</li> <li>აპლიკაციების, კოლაჟების შექმნას;</li> <li>წიგნის შექმნას მის მიერ შერჩეული ნაწარმოებებისგან;</li> <li>სხვ.</li> </ul>
რეკომენდაციები:	<p>მოსწავლეს საშუალება უნდა მიეცეს, რომ მან არა მხოლოდ ვერბალური, არამედ სხვა, ალტერნატიული საშუალებებითაც შეძლოს ინფორმაციის გადმოცემა, ასევე საკუთარი დამოკიდებულებებისა და შთაბეჭდილებების გაზიარება წაკითხულის შესახებ. პირველკლასელი მოსწავლეებისთვის ასეთი საშუალებებია ხატვა (მაგ., ილუსტრაციების შექმნა/დასურათება) და ნაკეთობების (მაგ., კოლაჟების, აპლიკაციების, პატარა ქანდაკებების ა.შ.) შექმნა. მომდევნო კლასებში მოსწავლეებს საშუალება ეძლევათ წაკითხული ტექსტთან დაკავშირებით შექმნან სხვადასხვა სახის ვიდეო და აუდიომასალა (მაგ. სარეკლამო რგოლები, კლიპები, მუსიკალური ნაწარმოებები და ა.შ.), დაამზადონ პლაკატები, გადმოსცენ ტექსტში მოწოდებული ინფორმაცია ცხრილების, სქემების, დიაგრამების, რუკების და სხვა სახით, მოამზადონ და დადგან წარმოდგენები (მინი-სპექტაკლები, პანტომიმა და ა.შ.), შექმნან დეკორაციები და ა.შ. ყოველივე ეს ხელს შეუწყობს წაკითხული ტექსტის საფუძვლიანად გაგებასა და გააზრებას. ამასთანავე, წახალისებს მოსწავლეთა შემოქმედებით უნარებს და გააღვივებს მათ თვითონმენას.</p>

## თავი III. რეაქციური გენერირების სტანდარტის შედეგების მისაღწევად

<b>შედეგი</b>	<b>ქართ. I. 10. მოსწავლეს გამომუშავებული აქვს წიგნთან მუშაობის საწყისი ჩვევები.</b>
<b>ინდიკატორები</b>	<ul style="list-style-type: none"> <li>კითხვისას წიგნს დაიკავებს სწორად, სათანადო დისტანციაზე;</li> <li>კითხვისას იყენებს მისთვის ხელსაყრელ ხერხს (მაგალითად, თითო აყოლებს ტექსტს);</li> <li>ფორმალური ნიშნების მიხედვით (მაგ., ილუსტრაციების, მსხვილი შრიფტისა და ა. შ. მეშვეობით) ამონიცნობს საბავშვო წიგნს, ჟურნალს;</li> <li>განარჩევს ერთმანეთისაგან წიგნის გარეკანს, თავფურცელს, სათაურს, ძირითად ტექსტს, ავტორის გვარსა და სახელს, ტექსტის ბოლოს მოცემულ კითხვებს;</li> <li>განარჩევს ერთმანეთისაგან ტექსტის სიტყვიერ და არასიტყვიერ ნაწილებს (ილუსტრაციებს, პირობით ნიშნებს).</li> </ul>
<b>აქტივობები</b>	<p>აქტივობები, რომლებიც მოსწავლისგან მოითხოვს:</p> <ul style="list-style-type: none"> <li>თვითშეფასების სქემების შევსებას;</li> <li>ტექსტის ფორმალურ ნიშნებზე დაკვირვებას;</li> <li>სხვადასხვა სახის ბეჭდვითი გამოცემების ერთმანეთისაგან გარჩევას;</li> <li>სხვ.</li> </ul>

**რეკომენდაციები:** ძალზე მნიშვნელოვანია, მოსწავლეს თავიდანვე ჩამოუყალიბდეს წიგნთან მუშაობის საწყისი უნარ-ჩვევები. პირველკლასელ მოსწავლეს უნდა გამოუმუშავდეს ჩვევა, რომ მან კითხვისას წიგნი სწორად, სათანადო დისტანციაზე დაიჭიროს, ასევე აღმოაჩინოს და გამოიყენოს მისთვის ხელსაყრელი კითხვის ხერხები (თითო გაყოლება, უცნობი სიტყვების, მნიშვნელოვანი საკითხების გახაზვა), ისწავლოს ტექსტის მარტივი სტრუქტურის აღქმა და მისი ძირითადი ელემენტების (სათაურის, ავტორის, ილუსტრაციის, ტექსტზე დართული კითხვებისა და დავალებების) გამოყოფა.

<b>შედეგი</b>	<b>ქართ. I. 11. მოსწავლეს შეუძლია ტექსტის სტრუქტურის აღქმა.</b>
<b>ინდიკატორები</b>	<ul style="list-style-type: none"> <li>ტექსტში ამონიცნობს აბზაცის, სტროფის, წინადადების დასაწყისა და დასასრულს;</li> <li>ითვლის ტექსტში აბზაცების რაოდენობას, აბზაცში – სტრიქონებისას, სტრიქონში – სიტყვებისას, სიტყვებში კი – ასოებისას;</li> <li>მთლიანობაში აკვირდება ტექსტის კომპოზიციურ აგებულებას და ასახელებს ტექსტის მაორგანიზებელ ელემენტებს (სათაურს, ილუსტრაციას, წარწერას, აბზაცს, ლოგოს, ტიპოგრაფიულ მახასიათებლებს, მაგ., მსხვილ შრიფტს და სხვ.);</li> <li>პიოლობს სასვენ ნიშნებს (მაგ., წერტილს, კითხვის ნიშანს და სხვ.).</li> </ul>

აქტივობები	<p>აქტივობები, რომლებიც მოსწავლისგან მოითხოვს:</p> <ul style="list-style-type: none"> <li>● ტექსტში გამოტოვებული სათაურის, ილუსტრაციის, წარწერის შევსებას;</li> <li>● ტექსტში წინადადების პოვნას რუბრიკის, სათაურის, ლოგოს მიხედვით;</li> <li>● ტექსტში წინადადების პოვნას სტრუქტურული საყრდენების საშუალებით;</li> <li>● წინადადებაში გამოტოვებული სიტყვის აღდგენას;</li> <li>● ტექსტში ორიენტირებას;</li> <li>● სხვ.</li> </ul>
<b>რეკომენდაციები:</b> ტექსტის გაგებისთვის აუცილებელია, რომ მოსწავლემ იცოდეს, რა საბაზისო ელემენტებისაგან შედგება იგი. სწავლების ამ ეტაპზე მოსწავლე უნდა გაერკვეს ტექსტის სტრუქტურაში სიტყვის და წინადადებისა და აბზაცის დონეზე.	

## მიმართულება: წერა

შედეგი	ქართ. I. 12. მოსწავლეს შეუძლია ანბანის ყველა ასოს გამოწერა.
ინდიკატორები	<ul style="list-style-type: none"> <li>● აღწერს კონკრეტული ასოს ზედა/ქვედა/შუა ნაწილებს (მაგ., სადაც არის სწორი ხაზი, რგოლი, რკალი, საით მრგვალდება რკალი, რამდენი რკალია და ა.შ.);</li> <li>● ჰაერში ხელის სწორი მოძრაობით გამოსახავს ნაცნობი ასოს ფორმას;</li> <li>● ხელის სწორი მოძრაობით წერს ანბანის ყველა ასოს შესაბამისი მიმართულებით;</li> <li>● იცავს ხაზოვან სისტემაში ასოთა განლაგების პრინციპს.</li> </ul>
აქტივობები	<p>აქტივობები, რომლებიც მოსწავლისგან მოითხოვს:</p> <ul style="list-style-type: none"> <li>● ანბან-პლაკატზე მითითებული ასოს თითით შემოხაზვასა და აღწერას;</li> <li>● მოძრავ ანბანში შესასწავლი ასოს მოძებნას და ხელის სწორი მოძრაობით ფანჯრით შემოხაზვას;</li> <li>● ასოების გამოძერწვასა და გაფერადებას;</li> <li>● ნიმუშის მიხედვით ასოს დეტალის გამოწერას;</li> <li>● წერტილების შეერთებით ასოს ნიმუშის გამოწერას;</li> <li>● სხვ.</li> </ul>
<b>რეკომენდაციები:</b> ამ ეტაპზე მოსწავლეები ემზადებიან წერისათვის, ითვისებენ წერითი მეტყველების საბაზისო უნარ-ჩვევებსა და წერის ტექნიკას, რაც, არსებითად, გულისხმობს ანბანის სწავლებასა და მოსწავლეებში ნატიფი მოტორიკის განვითარებას. ამდენად, მუშაობა, ძირითადად, უნდა წარიმართოს ამ ორი მიმართულებით.	

შედეგი	ქართ. 1.13. მოსწავლეს შეუძლია კარნახით წერა და ნაბეჭდი ტექსტიდან / დაფილან მარტივი წინადაღებების გადაწერა.
ინდიკატორები	<ul style="list-style-type: none"> <li>იცავს მანძილს ასოებს შორის;</li> <li>ნაბეჭდი ფურცლიდან/დაფილან გადაწერს სიტყვებს, წინადაღებებს;</li> <li>კარნახით წერს ასოებს, მარცვლებს, სიტყვებს;</li> <li>მოცემული პერსონალით ადგენს სიტყვებს ზეპირად და შემდეგ წერს;</li> <li>დამოუკიდებლად წერს სიტყვებს, რომელთა ორთოგრაფიული ხატი მისთვის ნაცნობია.</li> </ul>
აქტივობები	<p>აქტივობები, რომლებიც მოსწავლისგან მოითხოვს:</p> <ul style="list-style-type: none"> <li>გადაწერას;</li> <li>სხვის მიერ ნათქვამი სიტყვის/ფრაზის ჩაწერას;</li> <li>წინადაღებაში ნახატის ნაცვლად სიტყვის ჩასმას;</li> <li>წინადაღების დასრულებას;</li> <li>სხვ.</li> </ul> <p><b>რეკომენდაციები:</b> დასახული შედეგის მისაღწევად, მუშაობა უნდა წარიმართოს წერის ტექნიკის, ფონოლოგიური და ვიზუალური ინფორმაციის წერაში ტრანსფერირების (გადატანის) უნარების, აგრეთვე თვითგამოხატვის უნარ-ჩვევების განვითარების მიმართულებით.</p>

შედეგი	ქართ. I. 14. მოსწავლეს შეუძლია მარტივი წინადაღებების შედგენა ნაცნობ თემებზე.
ინდიკატორები	<ul style="list-style-type: none"> <li>წერის პროცესში სათანადო იყენებს საგნების, მათი თვისებებისა და მოქმედების გამომხატველ სიტყვებს;</li> <li>მასწავლებლის მიერ მოცემული სიტყვების მიხედვით აგებს მარტივ წინადაღებას;</li> <li>სიტყვების დასაკავშირებლად მართებულად იყენებს კავშირებს (და, მაგრამ...);</li> <li>წერილობით პასუხობს მარტივ კითხვებს;</li> <li>სათანადო იყენებს სასვენ ნიშნებს წინადაღების ბოლოს.</li> </ul>
აქტივობები	<p>აქტივობები, რომლებიც მოსწავლისგან მოითხოვს:</p> <ul style="list-style-type: none"> <li>კითხვაზე პასუხის გაცემას;</li> <li>შეკითხვის დასმას;</li> <li>მოცემული სიტყვების გამოყენებით წინადაღების შედგენას;</li> <li>მოვლენის/პერსონაჟის დამახასიათებელი ნიშან-თვისებების ჩამოწერას;</li> <li>სხვ.</li> </ul>

შედეგი	I. 15. მოსწავლეს შეუძლია გარკვეული საყრდენების დახმარებით მარტივი ყოფითი ტექსტების წერა.
ინდიკატორები	<ul style="list-style-type: none"> <li>მოდელის მიხედვით ქმნის და აფორმებს სხვადასხვა სახის ყოფითი ტექსტებს (მისალოც პარათს, საყვარელი კერძების მენიუს, გამაფრთხილებელ აპრას და სხვ.);</li> <li>ავსებს ტექსტში ნაკლულ ინფორმაციას;</li> <li>წარწერას უკეთებს ილუსტრაციას.</li> </ul>
აქტივობები	<p>აქტივობები, რომლებიც მოსწავლისგან მოითხოვს:</p> <ul style="list-style-type: none"> <li>ყოფითი ტექსტის (ავტოპიოგრაფიული სახის ანკეტის) შედგენას;</li> <li>ნახატის წერილობით კომენტირებას;</li> <li>ნაცნობი წიგნის ყდის/საყვარელი მულტფილმის აფიშის შექმნას/ გაფორმებას;</li> <li>"ჩარჩო" კონსტრუქციის გამოყენებით მცირე ზომის ტექსტის შედგენას;</li> <li>სხვ.</li> </ul>
<p><b>რეკომენდაციები:</b> დასახული შედეგის მისაღწევად, მუშაობა უნდა წარიმართოს ყოფითი ტექსტების მოდელების ათვისების, ტექსტის ანალიზის, ვიზუალური წიგნიერების უნარების განვითარების მიმართულებით.</p>	

## II კლასი

### აიმართულება: ზეაირჩეთყველება

შედეგი	ქართ. II.1. მოსწავლეს შეუძლია ადეკვატურად რეაგირება მარტივ სამეტყველო სიტუაციებში.
ინდიკატორები	<ul style="list-style-type: none"> <li>ამოიცნობს სამეტყველო სიტუაციის ადრესანტს (ვინ ლაპარაკობს), ადრესატს (ვის ელაპარაკებიან) და საუბრის თემას;</li> <li>სამეტყველო სიტუაციისა და ადრესატის გათვალისწინებით შეარჩევს მართებულ გამონათქვამს (როგორ ხარ? / ბრძანდებით?);</li> <li>ადრესატის გათვალისწინებით წარმართავს ეტიკეტურ დალოგებს ნაცნობ თემებზე (მიპატიურება, თავაზიანი თხოვნა ან უარი და ა. შ.).</li> </ul>
აქტივობები	<p>აქტივობები, რომლებიც მოსწავლისგან მოითხოვს:</p> <ul style="list-style-type: none"> <li>სამეტყველო სიტუაციის იდენტიფიკაციას მასში მონაწილე პირებისა და სასაუბრო თემის მიხედვით: ადრესანტი (ვინ ლაპარაკობს), ადრესატი (ვის ელაპარაკებიან), საუბრის თემა;</li> </ul>

## თავი III. რეკომენდაციები სტანდარტის შედეგების მისაღწევაზე

	<ul style="list-style-type: none"> <li>კონკრეტულ მონაცემებზე დაყრდნობით და შესაბამისი ენობრივი ფორმულების გამოყენებით ზეპირი განხცადების გაკეთებას;</li> <li>მონაცემების მიხედვით ზეპირი მიპატიურების, ან სხვა ზეპირი საკომუნიკაციო სიტუაციის იმიტირებას;</li> <li>სხვ.</li> </ul>
შედეგი	<p><b>ქართ. II. 2. მოსწავლეს შეუძლია მოისმინოს და გაიგოს ნაცნობ თემატიკაზე შექმნილი მცირე ზომის სხვადასხვა სახის ტექსტები და გამოხატოს თავისი დამოკიდებულება.</b></p>
ინდიკატორები	<ul style="list-style-type: none"> <li>ილუსტრაციების მიხედვით გამოთქვამს ვარაუდს ტექსტის შესაძლო შინაარსის შესახებ;</li> <li>გადმოსცემს მოსმენილი ტექსტის შინაარსს;</li> <li>აგრძელებს სხვის მიერ დაწყებულ თხრობას;</li> <li>ასათაურებს ტექსტს;</li> <li>ტექსტზე დაყრდნობით ახასიათებს პერსონაჟებს (მათს გარეგნობას, თვისებებს);</li> <li>გამოხატავს საკუთარ დამოკიდებულებას პერსონაჟისა და მისი მოქმედების მიმართ (მომწონს / არ მომწონს, კარგად მოიქცა / ცუდად მოიქცა; კეთილია, გონიერია და ა.შ.);</li> <li>ისმენს ტექსტს და ასახელებს შესაბამისი თემატიკის მულტფილმს, საბავშვო ფილმს; იხსენებს მსგავსსა და განსხვავებულ ადგილებს ამ მულტფილმებიდან და საბავშვო ფილმებიდან;</li> <li>აკავშირებს მოსმენილ ტექსტში ასახულ ამბავს პირად გამოცდილებასთან;</li> <li>გამოხატავს კონკრეტული პერსონაჟის ქმედებით აღძრულ ემოციებს (მაგ., გამაკვირვა, შემეცოდა და ა. შ.);</li> <li>მონაწილეობს პერსონაჟის, ობიექტის ან მოვლენის ჯგუფურ დახასიათებაში;</li> <li>ქმნის ტექსტის ცალკეული ეპიზოდების / ეპიზოდების ილუსტრაციებს, ასათაურებს და გადმოსცემს მათს შინაარსს.</li> </ul>
აქტივობები	<p>აქტივობები, რომლებიც მოსწავლისგან მოითხოვს:</p> <ul style="list-style-type: none"> <li>მოსმენილი ტექსტის შინაარსის გადმოცემას სხვადასხვა ფორმით (მოკლე შინაარსი, დეტალური თხრობა, ეპიზოდების მიხედვით თხრობა და ა.შ.);</li> <li>სათაურის გააზრებას, ტექსტსა და სათაურს შორის კავშირის დანახვას;</li> <li>პერსონაჟის დახასიათებას ობიექტური (ტექსტის მიხედვით პერსონაჟის გარეგნობა, მისი თვისებები) და სუბიექტური (პერსონაჟის, მისი საქციელის მიმართ საკუთარი დამოკიდებულებების გამოხატვა) პოზიციიდან;</li> </ul>

	<ul style="list-style-type: none"> <li>ტექსტის დაკავშირებას ლიტერატურულ (სხვა ნაწარმოები, მსგავსი მულტფილმი და ა.შ.) და ცხოვრებისეულ (პირად) გამოც-დილებასთან;</li> <li>მოსმენილი ტექსტის გარდაქმნას ვიზუალურ ტექსტად (სიუჟე-ტური ნახატი, ილუსტრაცია, ესკიზი და ა.შ.)</li> <li>მოსმენილი ტექსტის მიმართ გრძნობით-ემოციური დამოკიდე-ბულების გამოხატვას;</li> <li>სხვ.</li> </ul>
--	---

შედეგი	<p><b>ქართ. II. 3. მოსწავლეს შეუძლია აქტიური ლექსიკისა და ძირითადი ენობრივი ფორმების მეტყველებაში გამოყენება.</b></p>
ინდიკატორები	<ul style="list-style-type: none"> <li>აღწერს და ახასიათებს ნაცნობ საგანს თვალსაჩინო ნიშნების მიხედვით;</li> <li>განარჩევს წინადადების მოდალობებს (თხრობას, კითხვას, თხოვნას, ნატვრას, ბრძანებას) და წარმოთქვამს მათ შესაბამისი ინტონაციით;</li> <li>ამბის გადმოცემისას იყენებს მართებულ სიტყვაფორმებსა და მარტივ წინადადებებს;</li> <li>სათანადო იყენებს კავშირებს (ან, მაგრამ...);</li> <li>სწორად ხმარობს კითხვით სიტყვებს (ვინ? რა?), უარყოფით ნაწილაკებსა (არ, ვერ) და ნაცვალსახელებს (პირის, კუთვნილების) სათანადო კონტექსტში;</li> <li>განასხვავებს ჩვეულებრივ (მაგ., „როგორ ხარ?“ ან „წამოდი, გთხოვ“) და თავაზიანობის გამოხატველ (მაგ., „როგორ ხართ? / ბრძანდებით?“ ან „წამობრძანდით, გთხოვთ“) ენობრივ ფორმებს.</li> </ul>
აქტივობები	<p>აქტივობები, რომლებიც მოსწავლისგან მოითხოვს:</p> <ul style="list-style-type: none"> <li>წინადადებათა მოდალობების ამოცნობას და მართებულად გამოყენებას;</li> <li>შეფასების, მიზეზ-შედეგობრიობის, თანამიმდევრობის გადმოსაცემად საჭირო საკავშირებელი სიტყვების ცოდნას / გამოყენებას;</li> <li>ეტიკეტური მეტყველების ენობრივი ფორმულების ცოდნას / გამოყენებას;</li> <li>ლექსიკური ერთეულის მნიშვნელობის ამოცნობას და ადეკვატურად გამოყენებას;</li> <li>იოლად ამოსაცნობი სტრუქტურის მქონე რთული სიტყვების შემადგენელი ნაწილების ამოცნობას;</li> <li>სხვ.</li> </ul>

## მიმართულება: პირსა

შედეგი	ქართ. II. 4. მოსწავლეს შეუძლია წერილობითი კოდის გაშიფრვა.
ინდიკატორები	<ul style="list-style-type: none"> <li>თავისუფლად ამოიცნობს ნაცნობ სიტყვებს;</li> <li>დამარცვლით კითხულობს უცნობ სიტყვებს;</li> <li>ხმამაღლა (მთლიანი სიტყვებით ან დამარცვლით) კითხულობს მარტივი წინადადებებით შედგენილ მცირე ზომის ტექსტებს (კითხვის ტექნიკის დაუფლების ხელშეწყობის მიზნით შედგენილ ტექსტებს, საბავშვო ლექსებს, გამოცანებს, ანდაზებს, ენის გასატეხებს, ფრაგმენტებს მოთხრობებიდან, იგავ-არაკებსა და სხვ.);</li> <li>ცდილობს დაიცვას პაუზა სასვენ ნიშნებთან;</li> <li>აგრძელებს სხვის მიერ დაწყებულ კითხვას;</li> <li>პოულობს და კითხულობს ტექსტში მასწავლებლის მიერ მითითებულ ადგილებს.</li> </ul>
აქტივობები	<p>აქტივობები, რომლებიც მოსწავლისგან მოითხოვს:</p> <ul style="list-style-type: none"> <li>ინტონაციით კითხვას;</li> <li>გუნდურ კითხვაში მონანწილეობას;</li> <li>წყვილებში კითხვას;</li> <li>გაბმით და უშეცდომოდ კითხვას;</li> <li>ორი ტექსტის შედარებას;</li> <li>სხვ.</li> </ul>

შედეგი	ქართ. II. 5. მოსწავლეს შეუძლია სხვადასხვა სახის პრაგმატული ტექსტების (მაგ., გაკვეთილების ცხრილის, დღის/კვირის განრიგის, კულინარიული რეცეპტის, ტელეპროგრამის) სტრუქტურული მახასიათებლების ამოცნობა და მათზე დაყრდნობით ინფორმაციის მოძიება.
ინდიკატორები	<ul style="list-style-type: none"> <li>ტექსტის მაორგანიზებელ ელემენტებზე დაკვირვებით ამოიცნობს და ასახელებს, რა ტიპის ინფორმაციაა მოცემული კონკრეტული სახის ტექსტში (მაგ., ტელეპროგრამაში - გადაცემის ტიპი, დღე, საათი; კულინარიულ რეცეპტში – მასალის ჩამონათვალი, რაოდენობა, მომზადების წესი და სხვ.);</li> <li>ასახელებს ან მიუთითებს, ტექსტის რომელ ნაწილში უნდა ეძებოს კონკრეტული ინფორმაცია (მაგ., გაკვეთილების ცხრილში სად არის განთავსებული საგნების ჩამონათვალი, სად – კვირის დღეები);</li> <li>ამოკრებს კონკრეტულ ინფორმაციას (მაგ., რომელ დღეს და რომელ საათზეა ესა თუ ის მულტფილმი, კვირაში რამდენჯერ არის ჭადრაკის წრე და სხვ.).</li> </ul>

## თავი III. რეაგენციალური სტანდარტის შედეგების მისაღევად

აქტივობები	<p>აქტივობები, რომლებიც მოსწავლისაგნ მოითხოვს:</p> <ul style="list-style-type: none"> <li>● საკვანძო სიტყვების მეშვეობით სხვადასხვა სახის ტექსტების ამოცნობას;</li> <li>● ტექსტის სტრუქტურაზე და ფორმალურ ნიშნებზე დაკვირვებას;</li> <li>● ტექსტში ორიენტირებას და ინფორმაციის მოპოვებას;</li> <li>● ტექსტიდან ინფორმაციის ამოკრებას და დახარისხებას;</li> <li>● სხვ.</li> </ul>
	<p><b>რეკომენდაციები:</b> იმისათვის, რომ მოსწავლეს გამოუმუშავდეს არამხატვრული ტექსტების წაკითხვისა და გაგების უნარი, შეძლოს ამ უნარის გამოყენება სასწავლო თუ სხვადასხვა ყოფით სიტუაციებში, აუცილებელია, რომ მას ჰქონდეს გარკვეული ცოდნა ამ ტიპის ტექსტების მახასიათებლების შესახებ. ამის მისაღწევად კი ფაქტებისა და ინფორმაციის გაგებასთან ერთად, მოსწავლემ უნდა შეძლოს სხვადასხვა ტიპის არამხატვრული ტექსტების სტრუქტურული თავისებურებების, მისი ვერბალური და ვიზუალური მაორგანიზებელი ელემენტების ამოცნობა და ინტერპრეტირება. მოცემულ ეტაპზე მოსწავლეს მოეთხოვება მარტივი პრაგმატული ტექსტების სტრუქტურაზე დაკვირვება, რათა ამის საფუძველზე შეძლოს მათში ორიენტირება ინფორმაციის მოპოვების მიზნით.</p>
შედეგი	<p><b>ქართ. II. 6. მოსწავლეს შეუძლია მასწავლებლის მიერ წაკითხულ მხატვრულ ტექსტებში ინფორმაციის მოძიება, მონაკვეთების წაკითხვა და გაგება.</b></p>
ინდიკატორები	<ul style="list-style-type: none"> <li>● განარჩევს დიალოგს და თხრობას;</li> <li>● მოიძიებს რეპლიკების ავტორებს;</li> <li>● ტექსტის კონკრეტულ მონაკვეთში მოიძიებს მითითებულ სიტყვებს (მაგ., პერსონაჟთა სახელებს, ცხოველს, სათამაშოს და სხვ.);</li> <li>● პოულობს ტექსტის კონკრეტულ მონაკვეთში ილუსტრაციის შესაბამის ეპიზოდს.</li> </ul>
აქტივობები	<p>აქტივობები, რომლებიც მოსწავლისგან მოითხოვს:</p> <ul style="list-style-type: none"> <li>● წაკითხული/მოსმენილი მხატვრული ტექსტის პერსონაჟების ჩამოთვლას;</li> <li>● წაკითხული/მოსმენილი ტექსტის პერსონაჟთა ამოცნობას მათი დამახასიათებელი ნიშან-თვისებების მიხედვით;</li> <li>● დიალოგის კითხვას წყვილებში / ჯგუფებში;</li> <li>● კითხვების დასმას წაკითხულის/მოსმენილის გარშემო;</li> <li>● ტექსტის და ილუსტრაციის შედარებას;</li> <li>● სხვ.</li> </ul>

შედეგი	ქართ. II. 7. მოსწავლეს შეუძლია მარტივი ტექსტის არსებითი ენობრივ-გრამატიკული ნიშნების ამოცნობა.
ინდიკატორები	<ul style="list-style-type: none"> <li>ხმამაღლა კითხვისას სწორად მონიშნავს წინადადების საზღვრებს ტექსტში, იცავს პატარას;</li> <li>განარჩევს და ასახელებს პერსონაჟის / ობიექტის დამახასიათებელ სიტყვებს შინაარსობრივი თვალსაზრისით (საგნის, პიროვნების აღმნიშვნელ სიტყვებს, მოქმედება-მდგომარეობის აღმნიშვნელ ლექსიკას...);</li> <li>ადარებს და კითხვის დასმის საშუალებით აჯგუფებს სიტყვებს (სახელებსა და მოქმედების აღმნიშვნელ სიტყვებს; ვინ და რა ჯგუფის სიტყვებს).</li> </ul>
აქტივობები	<p>აქტივობები, რომლებიც მოსწავლისგან მოითხოვს:</p> <ul style="list-style-type: none"> <li>წინადადების წევრი სიტყვებისათვის კითხვების დასმას;</li> <li>წინდადების წევრი სიტყვების დაჯგუფებას შინაარსობრივი თვალსაზრისით;</li> <li>ვინ და რა ჯგუფის არსებითი სახელების ამოცნობას;</li> <li>საგნისა და მოქმედების აღმნიშვნელი სიტყვების ერთმანეთთან დაკავშირებას;</li> <li>სხვ.</li> </ul>

**რეკომენდაციები:** იმისათვის, რომ მოსწავლეებმა შეიძინონ გარკვეულ ლინგვისტური კომპეტენციები და, შესაბამისად ჩამოუყალიბდეთ ძირითადი საკომუნიკაციო უნარ-ჩვევები, ტექსტის შინაარსისა და ფორმალური მახასიათებლების გარდა, აუცილებელია ყურადღება მიექცეს მოცემული ტექსტის ენობრივი ფერის დამუშავებაც.

შედეგი	ქარ. II. 8. მოსწავლეს შეუძლია მოსმენილი / წაკითხული ტექსტი ან ტექსტის ცალკეული ფრაგმენტი გარდაქმნას აზრობრივ ნახატად.
ინდიკატორები	<ul style="list-style-type: none"> <li>ქმნის წაკითხული / მოსმენილი ტექსტის ან მისი ფრაგმენტის სიუჟეტურ ნახატს;</li> <li>ირჩევს პერსონაჟს / რომელიმე მოქმედებას / მოქმედების ადგილს და ქმნის ნახატს საკუთარი ინტერპრეტაციით, ფანტაზიით;</li> <li>ქმნის ნახატს, რომელშიც გადმოცემულია მოსმენილი / წაკითხული ამბის გაგრძელება;</li> <li>ასათაურებს საკუთარი ინტერპრეტაციით ან ფანტაზიით შექმნილ ნახატს / წაკითხული ან მოსმენილი ტექსტის საფუძველზე დამოუკიდებლად შექმნილი ამბის გაგრძელებას და ხსნის, რატომ შეურჩია ნახატს ასეთი სათაური;</li> <li>მოცემული ილუსტრაციის მიხედვით გამოთქვამს ვარაუდს ტექსტის შესაძლო შინაარსის შესახებ;</li> </ul>

## თავი III. რეარმენაციის სტანდარტის შედეგების მისაღწევად

	<ul style="list-style-type: none"> <li>ასახელებს მოსმენილი / წაკითხული ტექსტის შესაბამისი თემა-ტიკის მულტფილმს, საბავშვო ფილმს, ასახელებს მსგავს / განსხვავებულ ადგილებს.</li> </ul>
აქტივობები	<p>აქტივობები, რომლებიც მოსწავლისგან მოითხოვს:</p> <ul style="list-style-type: none"> <li>ილუსტრაციების/ნახატების მიხედვით ტექსტის სიუჟეტის აღქმას და გადმოცემას;</li> <li>ტექსტის მიხედვით სიუჟეტური ნახატის შექმნას;</li> <li>ტექსტის მიხედვით შექმნილი ილუსტრაციების / სიუჟეტური ნახატების დასათაურებას;</li> <li>ტექსტის შინაარსის გავრცობას / გაგრძელებას ნარმოსახვით;</li> <li>პერსონაჟთა გარეგნობის, ჩაცმულობის აღწერასა და დასურათხატებას;</li> <li>სხვ.</li> </ul>
შედეგი	ქართ. II. 9. მოსწავლეს შეუძლია კითხვის მარტივი სტრატეგიების გამოყენება.
ინდიკატორები	<ul style="list-style-type: none"> <li>ამოიცნობს წიგნის მარტივ სტრუქტურას: წიგნის ყდას, თავფურცელს ავტორისა და სათაურის მითითებით, ტექსტს, სარჩევს;</li> <li>ილუსტრაციების მიხედვით ამოიცნობს ტექსტის ან წიგნის შესაძლო შინაარსს;</li> <li>შემუშავებული აქვს მარტივი წესი, რომლის მიხედვით წიგნში იოლად ჩაინიშნავს ან მოძებნის კონკრეტულ ადგილს;</li> <li>ყურადღებას აქცევს და იყენებს სახელმძღვანელოში მოცემულ პირობით ნიშნებს;</li> <li>ცდილობს, განმარტოს უცნობი სიტყვები კონტექსტის მიხედვით ან მიმართავს მასწავლებელს / მშობელს;</li> <li>იყენებს წიგნის სარჩევს, ტექსტის შემდეგ მოცემულ სიტყვათა განმარტებებს;</li> <li>გამოყოფს მითითებულ ან საჭირო აბზაცს, ტექსტის დასაწყისსა და დასასრულს.</li> </ul>
აქტივობები	<p>აქტივობები, რომლებიც მოსწავლისგან მოითხოვს:</p> <ul style="list-style-type: none"> <li>საბავშვო უურნალიდან მისთვის საინტერესო ტექსტის შერჩევას და ამ არჩევანის დასაბუთებას;</li> <li>პირობითი ნიშნების მიხედვით წიგნში მითითებული ადგილის მოძიებას;</li> <li>ვარაუდების სქემის შევსებას მასწავლებლის დახმარებით;</li> <li>ტექსტში უცნობი სიტყვების იდენტიფიკაციას და მონიშვნას;</li> <li>არსებული ლექსიკური მარაგის აქტივაციას;</li> </ul>

**თავი III. რეკომენდაციები სტანდარტის შედეგების მისაღწევაზე**

	<ul style="list-style-type: none"> <li>● ახლად შეძენილი ლექსიკური მარაგის გამოყენებას;</li> <li>● ინფორმაციის დასაზუსტებლად კითხვების დასმას;</li> <li>● სხვ.</li> </ul>
<p><b>რეკომენდაციები:</b> სწავლა-სწავლების ამ ეტაპზე ძალზე მნიშვნელოვანია, რომ მოსწავლე შეეჩინოს საკუთარ კითხვის პროცესზე დაკვირვებას მისი კორექტირებისა და რეგულირების მიზნით. კითხვის გასაადვილებლად მუდმივად უნდა ხდებოდეს მოსწავლეთა ლექსიკური მარაგის განახლება და შევსება ისეთი სიტყვებით, რომელთა ცოდნა და გამოყენება აუცილებელია ასაკის შესაბამისი საკითხავი ამოცანების გადასაწყვეტად.</p>	

**მიმართულება: წერა**

	<p><b>შედეგი</b> ქართ. II. 10. მოსწავლეს შეუძლია სხვადასხვა სახის მარტივი ინფორმაციული ტექსტების (მოსაწვევი ბარათის, დღის რეჟიმის, სხვადასხვა ტიპის სიებისა და სხვ.) შედგენა და გაფორმება კომპოზიციური მახასიათებლების დაცვით.</p>
	<p><b>ინდიკატორები</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>● აკვირდება მოდელს და ამოიცნობს, რა ტიპის ინფორმაციას შეიცავს ტექსტი (მაგალითად, მოსაწვევ ბარათში - ვის ინვევენ, რასთან დაკავშირებით, სად, როდის...);</li> <li>● ასახელებს მოდელის კომპოზიციურ თავისებურებებს (როგორ არის ინფორმაცია ორგანიზებული);</li> <li>● თავს უყრის და ჩამონერს კონკრეტულ ინფორმაციას, რომლის შეტანაც უნდა ტექსტში;</li> <li>● ადგენს ტექსტს მოდელის მიხედვით;</li> <li>● შედგენილ ტექსტს ადარებს მოდელს და, საჭიროებისამებრ, შეაქვს შესწორებები.</li> </ul>
	<p><b>აქტივობები</b> აქტივობები, რომლებიც მოსწავლისგან მოითხოვს:</p> <ul style="list-style-type: none"> <li>● ტექსტის სიუჟეტის გააზრებას;</li> <li>● შინაარსის ორგანიზებას;</li> <li>● ინფორმაციის შეჯამებას, შეჯერებას, ორგანიზებას;</li> <li>● ინფორმაციის ორგანიზებულად გადმოცემას წერილობითი სახით;</li> <li>● მოცემული მოდელის მიხედვით ტექსტის შედგენას და გაფორმებას;</li> <li>● ლექსიკური მარაგის გამდიდრებაზე ზრუნვას;</li> <li>● სხვ.</li> </ul>
<p><b>რეკომენდაციები:</b> აღნიშნული შედეგის მისაღწევად, ძალზე მნიშვნელოვანია წერის წინა პროცესის სწორი და ეფექტური დაგეგმვა. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს მოსწავლეთა სააზროვნო უნარების განვითარებას, ლექსიკური მარაგის გამდიდრებას.</p>	

## თავი III. რეარმენდაციაში სტანდარტის შედეგების მისაღწევად

შედეგი	ქართ. II. 11. მოსწავლეს შეუძლია მცირე მოცულობის ტექსტების დამოუკიდებლად შედგენა ნაცნობი ლექსიკის გამოყენებით
ინდიკატორები	<ul style="list-style-type: none"> <li>● წერს და ასათაურებს მცირე ზომის მარტივ ტექსტს;</li> <li>● მოკლედ წერს პირადი გამოცდილების შესახებ („ზაფხულის არ-დადეგები“, „ჩემი მეგობარი“, „შინაური ცხოველები“ და ა. შ.);</li> <li>● პასუხობს კითხვებს ზეპირად და შემდეგ წერილობით;</li> <li>● წერს კარნახით;</li> <li>● სწერს წერილს მეგობრებსა და წარმოსახვით პერსონაჟებს;</li> <li>● შეადგენს გამაფრთხილებელ წარწერებს და განცხადებებს (მაგ., „ფრთხილად, ეზოში ძალია“, „ნუ შეეხებით“, „დაიკარგა ძალი“ და ა. შ.);</li> <li>● მოდელის მიხედვით ადგენს მარტივ პრაგმატულ ტექსტებს (მაგ., მოსაწვევ პარატს, კვირის განრიგს, გენეალოგიურ ხეს, დღის რეჟიმსა და სხვ.);</li> <li>● გადმოსცემს ნახატით ან მუსიკალური ნაწარმოებით მიღებულ შთაბეჭდილებას;</li> <li>● ახასიათებს მისთვის ნაცნობ საგნებს და ადამიანებს.</li> </ul>
აქტივობები	<p>აქტივობები, რომლებიც მოსწავლისგან მოითხოვს:</p> <ul style="list-style-type: none"> <li>● კონკრეტული ფაქტის/ მოვლენის/ამბის თანამიმდევრულად აღნერას წერილობითი სახით;</li> <li>● დიალოგური მეტყველებისათვის დამახასიათებელი ენობრივ-გრამატიკული ნორმების დაცვას;</li> <li>● წერითი მეტყველების დროს ადეკვატური ენობრივ-გრამატიკული ფორმების გამოყენებას;</li> <li>● წინადადებების მოდალობის გათვალისწინებით, სათანადო სასვენი ნიშნების გამოყენებას;</li> <li>● პირადი გამოცდილების წერილობით გადმოცემას;</li> <li>● სხვ.</li> </ul>

**რეკომენდაციები:** აღნიშნული შედეგის (ქართ. II. 11) მისაღწევად მნიშვნელოვანია წერის წინა პროცესის სწორი და ეფექტური დაგეგმვა. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს წერითი მეტყველებისათვის აუცილებელი ენობრივ-გრამატიკული ნორმების სწავლებას; ცხოვრებისეული გამოცდილების წერილობით გადმოცემის უნარ-ჩვევების განვითარებას.

შედეგი	ქართ. II. 12. მცირე მოცულობის ტექსტების შექმნისას მოსწავლეს შეუძლია ძირითადი გრამატიკული ელემენტების გამოყენება
ინდიკატორები	<ul style="list-style-type: none"> <li>● სახელებსა და მოქმედების აღმნიშვნელ სიტყვებს სათანადოდ ათანხმებს რიცხვში;</li> <li>● კონტექსტის მიხედვით მართებულად იყენებს ზმინის დროებს (წარსულს, აწმყოს, მომავალს);</li> </ul>

**თავი III. რეკომენდაციები სტანდარტის შედეგების მისაღწევაზე**

	<ul style="list-style-type: none"> <li>იყენებს მართებელ კავშირებს სიტყვათა და სიტყვათა ჯგუფების დასაკავშირებლად წინადადებაში;</li> <li>მართებულად იყენებს თხრობით, ბრძანებით და კითხვით წინადადებებს (სწორად იყენებს ზმურ ფორმებს) და წინადადებების ბოლოს სვამს სათანადო სასვენ ნიშნებს.</li> </ul>
<b>აქტივობები</b>	<p>აქტივობები, რომლებიც მოსწავლისგან მოითხოვს:</p> <ul style="list-style-type: none"> <li>სათანადო ენობრივ-გრამატიკული ნორმების დაცვას წერითი დიალოგური მეტყველების დროს;</li> <li>დიალოგის გაფორმებისთვის საჭირო გრამატიკული ელემენტების მართებულად გამოყენებას წერის დროს;</li> <li>მცირე ზომის ტექსტების შეთხზვას სათანადო ენობრივ-გრამატიკული ნორმების დაცვით;</li> <li>ზმის წარსული, აწმყო და მომავალი დროის ფორმების, სასვენი ნიშნების მოძიებასა და გამოყენებას;</li> <li>საჭირო ლექსიკური ერთეულების მოძიებასა და გამოყენებას;</li> <li>სხვ.</li> </ul>
<b>რეკომენდაციები:</b> აღნიშნული შედეგის მისაღწევად, მუშაობა უნდა წარიმართოს წერითი დიალოგური მეტყველების ენობრივ-სტილისტური ნორმების, აგრეთვე გრამატიკული ელემენტების მართებულად გამოყენების სწავლების მიმართულებით.	

<b>შედეგი</b>	<b>ქართ. II. 13. მოსწავლეს შეუძლია ნაწერის გასწორების მარტივი ხერხების გამოყენება.</b>
<b>ინდიკატორები</b>	<ul style="list-style-type: none"> <li>კითხულობს საკუთარ ნაწერს ხმამაღლა და ასწორებს შემჩნეულ შეცდომებს;</li> <li>ამოინტერს მასწავლებლის მიერ ჩასწორებულ ფორმებს ან მთლიან წინადადებას.</li> </ul>
<b>აქტივობები</b>	<p>აქტივობა, რომლებიც მოსწავლისგან მოითხოვს:</p> <ul style="list-style-type: none"> <li>საკუთარ ნაწერში შეცდომების იდენტიფიცირებას და ჩასწორებას (მასწავლებლის დახმარებით) და სხვ.</li> </ul>
<b>რეკომენდაციები:</b> აღნიშნული შედეგის მისაღწევად, მნიშვნელოვანია, რომ მუშაობა წარიმართოს მოსწავლეთა ინდივიდუალური მონაცემების გათვალისწინებით.	

### III კლასი

#### მიზანთულება: ზეპირმატყვალება

შედეგი	ქართ. III. 1. მოსწავლეს შეუძლია ტექსტის დანიშნულებისა და ადრესატის ამოცნობა მოსმენით; შეუძლია სამეტყველო ქცევის წარმართვა ადრესატის გათვალისწინებით.
ინდიკატორები	<ul style="list-style-type: none"> <li>ამოიცნობს საკომუნიკაციო და მიზნობრივი ტექსტების ადრესატს (თანატოლებს, უფროსებს, წარმოსახვით პერსონაჟებს და სხვ.); ადრესატის გათვალისწინებით ირჩევს შესაბამის სამეტყველო ეტიკეტსა და არავერბალურ საშუალებებს (ჟესტს, მიმიკას, ინტონაციას);</li> <li>მონაწილეობს ჯგუფურ აქტივობებში, სიტუაციურ თამაშებში, წარმართავს დიალოგებს სხვადასხვა ადრესატთან (თანაკლასელთან, მასწავლებელთან) ერთსა და იმავე თემაზე და ადეკვატურად შეარჩევს შესაბამის სამეტყველო სტილს.</li> </ul>
აქტივობები	<p>აქტივობები, რომლებიც მოსწავლისგან მოითხოვს:</p> <ul style="list-style-type: none"> <li>სამეტყველო სიტუაციის იდენტიფიკაციას / დაგეგმვა / იმიტირებას მასში მონაწილე პირებისა და სასაუბრო თემის გათვალისწინებით;</li> <li>მრავალპერსონაჟიანი და მრავალფუნქციური ზეპირი საკომუნიკაციო სიტუაციის (მაგ. ინტერვიუ) მომზადებას და იმიტირებას;</li> <li>სამეტყველო სიტუაციის შესაბამისი სამეტყველო სტილისა და ეტიკეტის იმიტირებას;</li> <li>სხვ.</li> </ul>

შედეგი	ქართ. III. 2. მოსწავლეს შეუძლია ლიტერატურული ტექსტების მოსმენა, გაგება და მათი შინაარსის გადმოცემა.
ინდიკატორები	<ul style="list-style-type: none"> <li>სათაურის მიხედვით გამოთქვამს ვარაუდს ტექსტის შესაძლო შინაარსის შესახებ;</li> <li>ასახელებს მოსმენილ ტექსტში ასახულ ფაქტებს, პერსონაჟებს;</li> <li>აღწერს და ახასიათებს საგნებასა და პერსონაჟებს თვალსაჩინო ნიშების მიხედვით;</li> <li>ყვება მოსმენილ ტექსტის შინაარსს;</li> <li>მარტივი გეგმის მიხედვით ყვება წაკითხული ტექსტის შინაარსს;</li> <li>მონაწილეობს ინსცენირებაში, არჩევს როლის შესაბამის ინტონაციასა და სხვა გამომსახველობით ხერხებს;</li> <li>ავლებს პარალელს მოსმენილ ტექსტში ასახულ ამბავსა და პირად გამოცდილებას შორის;</li> <li>მარტივი გამოთქმებით („მომწონს / არ მომწონს“, „საინტერესოა</li> </ul>

## თავი III. რეაქციები სტანდარტის შედეგების მისაღწევაზე

	<p>/ „უინტერესოა“, „ვეთანხმები / არ ვეთანხმები“, „ერთგულია / მოლაპატეა“, „მამაცია / მხდალია“ და ა.შ.) აფასებს ნაწარმოებს, პერსონაჟებს, მათს საქციელს და ცდილობს საკუთარი მოსაზრების ახსნას („არ ვეთანხმები იმიტომ, რომ...“, „საინტერესოა იმით, რომ...“ და ა.შ.);</p> <ul style="list-style-type: none"> <li>შინაარსის უკეთ გასააზრებლად ცდილობს, კითხვების დასმით გაარკვიოს ახალი სიტყვებისა და ფრაზების მნიშვნელობა.</li> </ul>
აქტივობები	<p>აქტივობები, რომლებიც მოსწავლისგან მოითხოვს:</p> <ul style="list-style-type: none"> <li>მინიშნებების გამოყენებას ტექსტის შინაარსის გამოსაცნობად და შინაარსის გადმოცემას;</li> <li>ტექსტის როლურად ინსცენირებას;</li> <li>ცალკეული პერსონაჟის საქციელის შეფასებას და საკუთარი დამოკიდებულების ახსნას;</li> <li>მოსმენილი ტექსტის შეფასებას პირადი და ლიტერატურული გამოცდილების გათვალისწინებით.</li> <li>სხვ.</li> </ul>
შეფეგი	ქართ. III. 3. მოსწავლეს შეუძლია ძირითადი ენობრივ-გრამატიკული საშუალებების სათანადოდ გამოყენება.
ინდიკატორები	<ul style="list-style-type: none"> <li>სასაუბრო თემებისათვის (მაგ., „წელიწადის დროები“, „ცხოველები“, „ქალაქი“, „სოფელი“ და ა.შ.) იყენებს სპეციალურ ლექსიკას;</li> <li>სიტყვათა შესაკავშირებლად გააზრებულად იყენებს კავშირებსა და სიტყვა-კავშირებს (ან, თუ, ვინც, რაც, როგორც, როცა / როდესაც...);</li> <li>სწორად იყენებს პირის, ჩვენებით, კითხვით და უარყოფით ნაცვალსახელებს;</li> <li>სათანადო კონტექსტში სწორად იყენებს სიტყვებს: ყველა, ზოგი (ზოგიერთი), არც ერთი და სხვ.;</li> <li>მართებულად სვამს კითხვებს (ვინ...? რა...? როგორი...? რომელი...? რამდენი...?) და კითხვით წინადადებაში მახვილს სვამს კითხვით სიტყვებზე;</li> <li>სწორად უხამებს ზმნას სახელს პირსა და რიცხვში;</li> <li>განარჩევს და სწორად იყენებს ჩვეულებრივ და თავაზიანობის გამომხატველ ზმნურ ფორმებს („მოდი – მობრძანდით“; „აიღე – ინებეთ“, „დაჯექი – დაბრძანდით“ და სხვ.).</li> </ul>
აქტივობები	<p>აქტივობები, რომლებიც მოსწავლისგან მოითხოვს:</p> <ul style="list-style-type: none"> <li>ამა თუ იმ თემისთვის შესაფერისი სპეციალურ ლექსიკის გამოყენებას;</li> <li>მიმართებების, დამოკიდებულების, დაქვემდებარების გამოხატ-</li> </ul>

	<ul style="list-style-type: none"> <li>ვას ადეკვატური კავშირების მეშვეობით;</li> <li>წინადადების მოდალობის სწორად გაგებას და გამოყენებას;</li> <li>ეტიკეტური მეტყველების ადეკვატურად გამოყენებას;</li> <li>სხვ.</li> </ul>
--	--

## მიმართულება: პითხეა

შედეგი	ქართ. III. 4. მოსწავლე ფლობს კითხვის ტექნიკას.
ინდიკატორები	<ul style="list-style-type: none"> <li>თავისუფლად კითხულობს ნაცნობ და უცნობ სიტყვებს;</li> <li>სიტყვათა ჩამონათვალში თავისუფლად მოიძიებს მასწავლებლის მიერ წაკითხულ ნაცნობ და უცნობ სიტყვებს;</li> <li>პოულობს და ხმამაღლა, თავისუფლად კითხულობს მასწავლებლის მიერ მითითებულ ეპიზოდს ნაცნობ ტექსტში;</li> <li>ხმამაღლა კითხულობს მცირე ზომის ტექსტებს, იცავს პაუზას სასვენ ნიშნებთან.</li> </ul>
აქტივობები	<p>აქტივობები, რომლებიც მოსწავლისგან მოითხოვს:</p> <ul style="list-style-type: none"> <li>წინადადებაში გამოტოვებულ ადგილას მართებული სიტყვის შერჩევას და ჩასმას კონტექსტის მიხედვით;</li> <li>დამოუკიდებლად კითხვას;</li> <li>უცნობი ტექსტის შეუფერხებლად წაკითხვას;</li> <li>როლებში კითხვას;</li> <li>"მკითხველთა თეატრში" მონაწილეობას;</li> <li>მისთვის საყვარელი ნაწარმოების წაკითხვას თანაკლასელისთვის;</li> <li>საუთარი და თანაკლასელის ხმამაღლი კითხვის ჩანაწერის მოსმენასა და კორექტირებას;</li> <li>სხვ.</li> </ul>
<p><b>რეკომენდაციები:</b> მე-3 კლასის დასრულებისას მოსწავლის კითხვის უნარი უკვე ავტომატიზებული უნდა იყოს, ანუ მას უკვე თავისუფლად უნდა შეეძლოს ნაწერი/ნაბეჭდი სიტყვების დეკოდირება. კითხვის ტექნიკის დაუფლების ეტაპის ამონურვა არის წინაპირობა იმისა, რომ მოსწავლეები გადაინაცვლებენ კითხვის უნარის განვითარების უფრო მაღალ საფეხურზე, რაც წაკითხულის გაგება-გააზრებას გულისხმობს.</p>	

შედეგი	ქართ. III. 5. მოსწავლეს შეუძლია სხვადასხვა სახის საინფორმაციო ხასიათის ილუსტრირებულ ტექსტებში ინფორმაციის მოძიება და გაგება (მაგ., საინფორმაციო ტექსტისა საბავშვო ენციკლოპედიაში, მარტივი ენით დაწერილი მრავალსაფეხურიანი ინსტრუქციების, განცხადებისა და სხვ.).
ინდიკატორები	<ul style="list-style-type: none"> <li>ამოიცნობს თემას;</li> </ul>

	<ul style="list-style-type: none"> <li>● ასახელებს ტექსტის კომპოზიციურ მახასიათებლებს (სათაურს, ილუსტრაციას, წარწერას, პირობით ნიშანს, რუბრიკას, აბზაცების რაოდენობას, სქემასა და სხვ.);</li> <li>● ამოიცნობს, რომელ რუბრიკაში, ტექსტის რომელ ნაწილში უნდა ეძებოს ესა თუ ის ინფორმაცია (მაგ., რას ჭამს ზღარბი? ... - რუბრიკაში „საკვები“);</li> <li>● ამოიცნობს ილუსტრაციების ქვემოთ მოცემული წარწერების შინაარსს;</li> <li>● ეძებს და პოულობს, რომელ რუბრიკას / ქვესათაურს უკავშირდება ილუსტრაცია, მისი წარწერა;</li> <li>● ტექსტში ეძებს და პოულობს კონკრეტულ ინფორმაციას (როდის, სად, რამდენი, როგორი, რამდენ ხანს და სხვ.);</li> <li>● ამოიცნობს ტექსტში მოცემულ სხვადასხვა ინფორმაციას შორის არსებულ მიზეზ-შედეგობრივ კავშირებს;</li> <li>● ტექსტში მოცემულ ინფორმაციას აკავშირებს პირად გამოცდილებასთან და გამოაქვს დასკვნები.</li> </ul>
აქტივობები	<p>აქტივობები, რომლებიც მოსწავლისგან მოითხოვს:</p> <ul style="list-style-type: none"> <li>● კონკრეტული ნიშნით ინფორმაციის მოძიებასა და ამოკრებას ტექსტიდან;</li> <li>● ჟურნალის / გაზეთის გვერდის აწყობას არსებული ინფორმაციით;</li> <li>● ინფორმაციის კატეგორიზაციას თემატურად;</li> <li>● აზრობრივი რუკების / სქემების შექმნას;</li> <li>● გაზეთის / ინტერნეტ-გვერდის მიხედვით მოკლე დაიჯესტის გაკეთებას;</li> <li>● სხვ.</li> </ul>

**რეკომენდაციები:** სწავლა-სწავლების მოცემულ ეტაპზე არამხატვრული ტექსტების გაგება და გარკვეული კლასიფიკატორების მიხედვით მათში ინფორმაციის მოძიება ერთ-ერთ ძირითად საკითხავ ამოცანას წარმოადგენს. მნიშვნელოვანი და საყურადღებოა ისიც, რომ მოსწავლემ უნდა მოახერხოს ახლად შეძენილი ინფორმაციის ინტეგრირება იმ ცოდნასა და გამოცდილებასთან, რომელსაც ის უკვე ფლობს. მან უნდა დაინახოს ეს კავშირები, გაავლოს პარალელები, ალმოაჩინოს მათ შორის არსებული წინააღმდეგობები და დამთხვევები. კითხვის ამ ეტაპზე, სასურველია, ყურადღება დაეთმოს ინტერტექსტუალურ და ინტერდისციპლინარულ კავშირებს. ტექსტში მოცემულ ფაქტებსა და მოვლენებს შორის არსებულ მიმართებათაგან (მაგ., მსგავსება / განსხვავება, მოვლენათა ჯაჭვი / ქრონოლოგიური თანმიმდევრობა) ამ ეტაპზე მოსწავლემ უნდა შეძლოს მარტივი მიზეზ-შედეგობრივი კავშირების ამოცნობა ტექსტში გადმოცემულ ექსპლიციტურ ინფორმაციაზე დაყრდნობით.

## თავი III. რეარმენდაციაზე სტანდარტის შედეგების მისაღწევად

შედეგი	ქართ. III. 6. მოსწავლეს შეუძლია მცირე ზომის სხვადასხვა სახისა და უანრის თხრობითი ტექსტების (ზოაპრის, ნოველის, მოთხრობის, იგავ-არაკის, წერილის, ნამდვილი ამბის...) დამოუკიდებლად წაკითხვა და გაგება-გააზრება.
ინდიკატორები	<ul style="list-style-type: none"> <li>● ამოიცნობს პერსონაჟების მოქმედებებს, გრძნობებს, ემოციებს;</li> <li>● განსაზღვრავს მოქმედებათა დროსა და ადგილს;</li> <li>● ამოკრებს კონკრეტულ ინფორმაციას (სად, როდის, რამდენი, რამდენჯერ, როგორი, რითი და სხვ.);</li> <li>● აკავშირებს ერთმანეთთან ექსპლიციტურად მოცემულ ფაქტებს, მოვლენებს, მოქმედებებს და გამოაქვს სათანადო დასკვნები;</li> <li>● საკუთარი სიტყვებით გადმოსცემს ტექსტის შინაარსს;</li> <li>● იმახსოვრებს და საკუთარი სიტყვებით გადმოცემს ტექსტის ცალკეული მონაკვეთის არსებით ინფორმაციას;</li> <li>● განავრცობს შეკუმშულად, მოკლედ გადმოცემულ ამბავს;</li> <li>● განსაზღვრავს, რა იცის / რა არ იცის ცალკეულმა პერსონაჟმა;</li> <li>● ამოიცნობს და ასახელებს დიალოგში მონანილეთა რაოდენობას;</li> <li>● ითვლის ტექსტში რეპლიკების რაოდენობას;</li> <li>● განსაზღვრავს, ვის ეკუთვნის რეპლიკა და ვინ არის მისი ადრესატი;</li> <li>● განსაზღვრავს რეპლიკის მიზანს (მაგ., რჩევის მიცემა, ინფორმირება, ახსნა, საკუთარი დამოკიდებულების გამოხატვა და სხვ.);</li> <li>● ამოიცნობს, რა ტიპის ურთიერთობა აქვთ პერსონაჟებს ერთმანეთთან (ნათესაური, მტრული, მეგობრული და სხვ.);</li> <li>● გამოყოფს სიუჟეტის განვითარების საფეხურებს (დასაწყისს, ამბის განვითარებას, დასკვნას);</li> <li>● ჯგუფის წევრებთან ერთად დგამს ნაწარმოებში ასახულ სცენებს.</li> </ul>
აქტივობები	<p>აქტივობები, რომლებიც მოსწავლისგან მოითხოვს:</p> <ul style="list-style-type: none"> <li>● ტექსტში გადმოცემული ამბის ქრონოლოგიის დაცვას;</li> <li>● პერსონაჟის ემოციების, გრძნობების აღწერას;</li> <li>● ტექსტის ან მისი ეპიზოდის საკუთარის სიტყვებით გადმოცემას;</li> <li>● მოვლენათა შორის მიზეზ-შედეგობრივი კავშირების დანახვას;</li> <li>● საკუთარის სიტყვებით პერსონაჟის საქციელის აღწერას;</li> <li>● სხვ.</li> </ul>
რეკომენდაციები:	<p>ყურადღება უნდა გამახვილდეს იმაზე, რომ სწავლის ამ ეტაპზე მოსწავლე უკვე ავლენს მხატვრული ნაწარმოების ინტერპრეტირებისა და ანალიზის საწყის უნარებს. მნიშვნელოვანია, რომ ამ დროს განსაკუთრებული ყურადღება დაეთმოს სწორედ ამ კომპეტენციების განვითარებასა და წახალისებას. მოსწავლემ უნდა შეძლოს ტექსტის მთლიანობაში აღქმა, მისი შინაარსის გადმოცემა, შეჯამება და ძირითადი ფაქტებისა თუ მოსაზრებების ამოკრება. მოსწავლემ უნდა გამოავლინოს მხატვრული ტექსტის ინტერპრეტირების საწყისი უნარები, შეძლოს მარტივი დასკვნების გამოტანა, ასევე ამოიცნოს პერსონაჟთა დამოკიდებულებები, გრძნობები მათი საქციელისა და რეპლიკების მიხედვით.</p>

შედეგი	<b>ქართ. III. 7. მოსწავლეს შეუძლია ლიტერატურული ტექსტის მომართ საკუთარი დამოკიდებულების გამოხატვა.</b>
ინდიკატორები	<ul style="list-style-type: none"> <li>• გამოხატავს წაკითხული ტექსტით აღძრულ ემოციებს, განცდებს;</li> <li>• ასახელებს მულტილებს, სურათებს, ნახატებს, მოსმენილ და წაკითხულ ნაწარმოებებს, რომლებიც გაახსენდა ტექსტის კითხვის დროს; მსჯელობს მათ შორის მსგავსება-განსხვავებაზე;</li> <li>• ასახელებს ნაწარმოების გმირების მოქმედების მოტივს (რატომ მოიქცა ასე) და აფასებს მათს საქციელს;</li> <li>• ასახელებს საყვარელ პერსონაჟს და ხსნის საკუთარ არჩევანს;</li> <li>• წაკითხული ნაწარმოებიდან მიღებული შთაბეჭდილებით ქმნის ილუსტრაციებს და აფასებს სხვების მიერ შექმნილ ილუსტრაციებს (რამდენად ასახავს ილუსტრაცია ტექსტის შინაარსს).</li> </ul>
აქტივობები	<p>აქტივობები, რომლებიც მოსწავლისგან მოითხოვს:</p> <ul style="list-style-type: none"> <li>• ტექსტის სიუჟეტის შეცვლას;</li> <li>• პერსონაჟის შესახებ ინფორმაციის ამოკრებას ტექსტიდან და დასკვნების გამოტანას;</li> <li>• პერსონაჟის ალტერნატიული საქციელის მოფიქრებას;</li> <li>• გეგმის შემუშავებას საყვარელი პერსონაჟის დასახმარებლად;</li> <li>• ლიტერატურულ სასამართლოში მონაწილეობას;</li> <li>• სხვ.</li> </ul>

**რეკომენდაციები:** სწავლების ამ ეტაპზე მოსწავლეებში უკვე თავს იჩენს რეფლექსიისა და თვითგამოხატვის სურვილი. ტექსტები, რომელთა სიუჟეტი ასახავს დაპირისპირებას კეთილსა და ბოროტს შორის, სადაც მკვეთრია ოპოზიცია კარგსა და ცუდს შორის, ბუნებრივია, აღძრავს გარკვეულ ემოციებს მოსწავლეში. მას უყალიბდება საკუთარი დამოკიდებულება ტექსტში აღნერილი მოვლენის თუ პერსონაჟების საქციელის მიმართ. აუცილებელია, დავეხმაროთ მოსწავლეებს, რათა მათ შეძლონ ამ დამოკიდებულებების, საკუთარი მოსაზრებებისა და შთაბეჭდილებების ვერბალური გზით გამოხატვა და გაზიარება.

შედეგი	<b>ქართ. III. 8. მოსწავლეს შეუძლია მარტივი ტექსტის არსებითი ენობრივ-გრამატიკული ნიშნების ამოცნობა.</b>
ინდიკატორები	<ul style="list-style-type: none"> <li>• განარჩევს და ასახელებს პერსონაჟის / ობიექტის დამახასიათებელ სიტყვებს შინაარსობრივი თვალსაზრისით (საგნის თვისებისა და ოდენობის გამომხატველ ლექსიკას, მოქმედება-მდგომარეობის აღმნიშვნელ ლექსიკას...);</li> <li>• კითხვების (რა? ვინ? როგორი? რამდენი? რას აკეთებს?) გამოყენებით აჯგუფებს სიტყვებს და ადარებს მათ ერთმანეთთან;</li> <li>• ამოიცნობს სასვენი ნიშნების (წერტილის, მძიმის, ორნერტილის, მრავალწერტილის, ბრჭყალების, კითხვისა და ძახილის ნიშნების) ფუნქციას;</li> </ul>

	<ul style="list-style-type: none"> <li>ამოიცნობს პირდაპირ ნათქვამს.</li> </ul>
აქტივობები	<p>აქტივობები, რომლებიც მოსწავლისგან მოითხოვს:</p> <ul style="list-style-type: none"> <li>კითხვისას მეტყველების ნაწილების ერთმანეთისაგან გარჩევას;</li> <li>წაკითხული ტექსტიდან მეტყველების ნაწილების ამოკრებას და დაჯგუფებას;</li> <li>სიტყვების დაჯგუფებას კითხვების საშუალებით;</li> <li>გამოტოვებული სასვენი ნიშნების დასმას;</li> <li>სხვ.</li> </ul>

**რეკომენდაციები:** მართლწერისა და სწორმეტყველების კორექტირებასთან ერთად სწავლის ამ ეტაპზე მოსწავლე თანდათანობით იწყებს მეტყველების ძირითადი ნაწილების გაცნობასა და წინადადებაში მათი ფუნქციის გააზრებას.

შედეგი	<p>ქარ. III. 9. მოსწავლეს შეუძლია ვიზუალურად აღიქვას და/ან თავად შექმნას სხვადასხვა ტიპის ტექსტი, ვიდეო და აუდიომასალა.</p>
ინდიკატორები	<ul style="list-style-type: none"> <li>ვიზუალურად (წაკითხვის ან მოსმენის გარეშე) ამოიცნობს ამა თუ იმ ტექსტის (რეკლამის, აბრის, რეცეპტის, მარტივი ინსტრუქციის, მოსაწვევი ბარათის) დანიშნულებას;</li> <li>თანმხლები ტექსტის გარეშე ამოიკითხავს ვიდეომასალის სახეობას (რეკლამა, კინოანონსი, რეპორტაჟი);</li> <li>მასწავლებლის დახმარებით შეადგენს საპრეზენტაციო პროგრამას (სლაიდშოუს) ნაცნობი სიუჟეტის გადმოსაცემად;</li> <li>გრაფიკული რედაქტორის (პაინტერ) გამოყენებით, სურათებისა და სიტყვების კოლაჟით გადმოსაცემს მთლიანი ტექსტის ან მისი საკვანძო ეპიზოდის შინაარსს;</li> <li>ნაცნობი ტექსტისთვის შეარჩევს თანმხლებ მუსიკას, ხმოვან ეფექტებს;</li> <li>საყვარელი ნაწარმოების / ზღაპრისთვის ქმნის წიგნის მაკეტს.</li> </ul>
აქტივობები	<p>აქტივობები, რომლებიც მოსწავლისგან მოითხოვს:</p> <ul style="list-style-type: none"> <li>წაკითხული ტექსტისთვის მუსიკალური ფონის შერჩევას;</li> <li>საყვარელი მულტფილმისთვის / კინოფილმისთვის / სპექტაკლისთვის აფიშის შექმნას;</li> <li>დიორამების შექმნას;</li> <li>მარტივი მულტიმედია ტექსტების შექმნას წაკითხულის შინაარსის გადმოსაცემად;</li> <li>წაკითხული ტექსტიდან მისთვის ყველაზე შთამბეჭდავი ეპიზოდების შერჩევას და დასურათებას;</li> <li>სხვადასხვა სახის ფუნქციური ტექსტებისთვის შესაბამისი ადგილების მიჩენას (მაგ., ნამცხვრის რეცეპტი - სამზარეულოში; სა-</li> </ul>

**თავი III. რეკორდირებული სტაციარიტის შეღებების მისაღწევად**

	<p>თამაშო მანქანის ასაწყობი ინსტრუქცია - ჩემს ოთახში / ჩემი ძმის ოთახში და ა.შ);</p> <ul style="list-style-type: none"> <li>● სხვ.</li> </ul>
<p><b>რეკორდირები:</b> მოსწავლე სწავლის ამ ეტაპზე უკვე იმდენად კარგად უნდა იცნობდეს რამდენიმე ძირითადი სახის ფუნქციური ტექსტების ვიზუალურ მახასიათებლებს, რომ ავტომატურად შეეძლოს მათი ამოცნობა. ეს მულტიმედია წიგნიერების საფუძველია, რაც ეროვნული სასწავლო გეგმის გამჭოლ კომპეტენციას წარმოადგენს. მნიშვნელოვანია, რომ სწავლების დაწყებით საფეხურზევე გათვალისწინებულია მოსწავლეებისთვის სხვადასხვა არავერბალური საშუალებების, როგორც აღქმისა და თვითგამოხატვის დამატებითი საშუალებების, გამოყენება. მოსწავლეები საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენებით თავადაც ქმნიან ახალ, განსხვავებული სახის პროდუქტს ტექსტის გასააზრებლად, ასევე საკუთარი დამოკიდებულებების, შეხედულებებისა და შთაბეჭდილებების გადმოსაცემად.</p>	

**მიმღები მიზანი: წერა**

	<p><b>ქართ. III. 11. მოსწავლეს შეუძლია სხვადასხვა სახის მარტივი მიზნობრივი ტექსტების დაწერა და შესაბამისად გაფორმება.</b></p>
<b>ინდიკატორები</b>	<ul style="list-style-type: none"> <li>● წერს მარტივ ინსტრუქციებს (მაგ., როგორ უნდა მოვიქცეთ ქუჩის გადასასვლელებზე, როგორ მოვუაროთ შინაურ ცხოველებს, როგორ გავუფრთხილდეთ სასკოლო ნივთებს და ა.შ.);</li> <li>● კონკრეტული მიზნისა და ადრესატის მიხედვით თხზავს და აფორმებს მოსაწვევი ბარათის ტექსტს;</li> <li>● თხზავს და შესაბამისად აფორმებს მარტივ დიალოგებს.</li> </ul>
<b>აქტივობები</b>	<p>აქტივობები, რომლებიც მოსწავლისგან მოითხოვს:</p> <ul style="list-style-type: none"> <li>● მოვლენის/ქმედების/ამბის წარმოდგენას თანამიმდევრულობის დაცვით;</li> <li>● ინფორმაციის ორგანიზებასა და სისტემატიზაციას;</li> <li>● ტექსტის გაანალიზებას;</li> <li>● აზრის ნათლად გამოხატვას/მსჯელობას;</li> <li>● მოცემული მოდელის მიხედვით მცირე ზომის ტექსტის შედგენას;</li> <li>● მოდელის კომპოზიციური თავისებურებების გათვალისწინებით, ორიგინალური ტექსტის შედგენა/გაფორმებას;</li> <li>● ინფორმაციის წარმოდგენას სხვადასხვა (ნახატის, ტექსტის, მისთ.) სახით;</li> <li>● სხვ.</li> </ul>

შედეგი	ქართ. III. 12. მოსწავლეს შეუძლია მცირე ზომის ტექსტის დამოუკიდებლად შექმნა და აზრის გასაგებად ჩამოყალიბება.
ინდიკატორები	<ul style="list-style-type: none"> <li>ქმნის სხვადასხვა უანრის მცირე ზომის ტექსტებს (ზღაპარს, მოთხოვას);</li> <li>სხვადასხვა საგანში შეძენილი ცოდნის საფუძველზე ქმნის მცირე ზომის თხზულებას (მაგ., „შემოდგომა“, „შინაური ცხოველები“ და სხვ.);</li> <li>აღნერს კონკრეტულ ფაქტს / მოვლენას საკუთარი ცხოვრებიდან;</li> <li>თანამიმდევრულად გადმოსცემს შინაარსს წერილობით;</li> <li>წერს კარნახით;</li> <li>ტექსტის შედგენის დროს იყენებს ახლად შესწავლილ სიტყვებსა და ფრაზებს;</li> <li>ტექსტის ან ეპიზოდის შინაარსის გადმოცემისას იყენებს ავტორისეულ ლექსიკას, ზოგიერთ მხატვრულ ხერხს (ეპითეტებს, მარტივ შედარებებს).</li> </ul>
აქტივობები	<p>აქტივობები, რომლებიც მოსწავლისგან მოითხოვს:</p> <ul style="list-style-type: none"> <li>ტექსტის ცალკეული ეპიზოდების შინაარსის თანამიმდევრულად გადმოცემას;</li> <li>ტექსტის გაანალიზებას;</li> <li>სხვადასხვა წყაროდან ინფორმაციის ამოკრებას, ორგანიზებასა და პრეზენტაციას;</li> <li>თვითგამოხატვას;</li> <li>სხვ.</li> </ul>
რეკომენდაციები:	აღნიშნული შედეგის მისაღწევად მუშაობა უნდა წარიმართოს ტექსტის ანალიზის, ინფორმაციის დამუშავების უნარების განვითარების მიმართულებით, მოსწავლეთა შემოქმედებითი უნარების განვითარების მიმართულებით; ყურადღება უნდა მიექცეს მოსწავლის პირადი გამოცდილების წერილობით გადმოცემის უნარის განვითარებას.

შედეგი	ქართ. III. 13. მოსწავლეს შეუძლია ძირითადი გრამატიკული ელემენტების მართებულად გამოყენება ტექსტის შექმნისას.
ინდიკატორები	<ul style="list-style-type: none"> <li>იყენებს ზმნას სათანადო პირისა და რიცხვის ფორმით;</li> <li>სწორად იყენებს კავშირებს (და, თუ, მაგრამ, ან) რთული და შერწყმული წინადადებების ნაწილების დასაკავშირებლად;</li> <li>სათანადოდ იყენებს პირის, ჩვენებით („ეს / ის კაცი მოვიდა - ეს / ის მოვიდა“...) და კითხვით (რომელი? როგორი?) ნაცვალსახელებს;</li> </ul>

## თავი III. რეკომენდაციები სტანდარტის გენერაციის მისაღწევად

	<ul style="list-style-type: none"> <li>• სათანადო კონტექსტში სწორად ხმარობს სიტყვებს: ყველა, ზოგი (ზოგიერთი), არც ერთი;</li> <li>• სწორად უხამებს ზმნას სახელს პირსა და რიცხვში, სწორად ათან-სმებს რიცხვით და / ან ზედსართავ სახელსა და არსებით სახელს ბრუნვასა და რიცხვში;</li> <li>• მსგავსი მნიშვნელობის ლექსიკური ერთეულებიდან შეარჩევს მოცემული კონტექსტისთვის შესაფერის / მართებულ სიტყვას;</li> <li>• იყენებს დიალოგის გაფორმებისთვის საჭირო ენობრივ-გრამატი-კულ საშუალებებს (ზმნის II პირის ფორმებს, პუნქტუაციის ნიშ-ნებს);</li> <li>• სწორად დამარცვლავს სიტყვებს და გადააქვს სტრიქონიდან სტრიქონზე;</li> <li>• სათანადო იყენებს სასვენ ნიშნებს (წერტილს, მძიმეს, ორწერტილს, მრავალწერტილს, ბრჭყალებს, კითხვისა და ძახილის ნიშ-ნებს).</li> </ul>
აქტივობები	<p>აქტივობები, რომლებიც მოსწავლისგან მოითხოვს:</p> <ul style="list-style-type: none"> <li>• დიალექტიზმების, ბარბარიზმების, მისთ. ამოცნობას;</li> <li>• მართებული მეტყველებისათვის აუტილებელი ენობრივ - გრამატიკული საშუალებების, გრამატიკული ელემენტების გამოყენებას;</li> <li>• სხვ.</li> </ul>
<p><b>რეკომენდაციები:</b> აღნიშნული შედეგის მისაღწევად მუშაობა, ძირითადად, უნდა წარიმართოს მეტაკოგნიტური უნარების, აგრეთვე ენობრივ-გრამატიკული საშუალებების, გრამატიკული ელემენტების სწავლების მიმართულებით.</p>	

შედეგი	ქართ. III. 14. მოსწავლეს შეუძლია ტექსტის ჩასწორების მარტივი ხერხების გამოყენება.
ინდიკატორები	<ul style="list-style-type: none"> <li>• გადაიკითხავს და ჩაასწორებს საკუთარ ნაწერს, შესაბამისი პირობითი ნიშნებით ჩაამა ტებს, ამოშლის ან გადასვამს ტექსტში სასურველ სიტყვას ან წინადადებას;</li> <li>• კარნახით ნაწერ ტექსტს უდარებს დედანს ჩასწორების მიზნით;</li> <li>• ამოშლებს და ჩაასწორებს ნაწერში მისთვის ნაცნობ სასვენ ნიშ-ნებს.</li> </ul>
აქტივობები	<p>აქტივობები, რომლებიც მოსწავლისგან მოითხოვს:</p> <ul style="list-style-type: none"> <li>• ტექსტის გაანალიზებას;</li> <li>• საკუთარ და სხვის ნაწერში შეცდომის/შეცდომების აღმოჩენას;</li> <li>• შეცდომის/შეცდომების ჩასწორებას საკუთარ ნაწერში;</li> </ul>

	<ul style="list-style-type: none"> <li>● სხვისი ნაწერის შეფასებას;</li> <li>● თვითშეფასებას;</li> <li>● სხვ.</li> </ul>
<p><b>რეკომენდაციები:</b> აღნიშნული შედეგი მიემართება წერის შემდგომ ეტაპს. წერის პროცესის ამ ეტაპზე განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს მეტაკოგნიციის სტიმულირებას - მოსწავლეთა თვითშეფასების/ურთიერთშეფასების უნარების განვითარებას; საჭიროა, მოსწავლეებს შევასწავლოთ მუშაობა საკუთარ და სხვის ნაწერზე, ნაწერის რედაქტირება-კორექტირებაზე, შეცდომების გასწორებაზე.</p>	

## IV კლასი

### მიმართულება: ზეპირმატყველება

შედეგი	ქართ. IV. 1. მოსწავლეს შეუძლია ადეკვატურად ალიქვას სხვადასხვა სახის ტექსტი და გადმოსცეს მათი შინაარსი.
ინდიკატორები	<ul style="list-style-type: none"> <li>● ამოცნობს და განარჩევს ასაკის შესაბამისი სირთულის სასაუბრო ტექსტების სახეებს (აღწერას, თხრობას, კამათს, დიალოგს...);</li> <li>● შინაარსის გადმოცემისას ერთმანეთს ანაცვლებს თხრობასა და აღწერას;</li> <li>● განასხვავებს შინაური გარემოს სასაუბრო სტილსა და ოფიციალური გარემოს (მაგ., სასკოლო საქმიანი სიტუაციის) ენას და შესაბამისად იყენებს მათ;</li> <li>● განასხვავებს პირდაპირ და ირიბ ნათქვამს და დანიშნულებისამებრ იყენებს მათ;</li> <li>● თხრობისას იყენებს ავტორისეულ ლექსიკას;</li> <li>● მიჰყვება მხატვრული ნაწარმოების სიუჟეტურ ხაზს და თანამიმდევრობით გადმოსცემს ფაქტებსა და მოვლენებს;</li> <li>● გადმოსცემს არამხატვრული ტექსტის შინაარსს.</li> </ul>
აქტივობები	<p>აქტივობები, რომლებიც მოსწავლისგან მოითხოვს:</p> <ul style="list-style-type: none"> <li>● სხვადასხვა ტიპის ტექსტის მახასიათებლების ამოცნობას და მათ ადეკვატურად გამოყენებას;</li> <li>● მეტყველების სტილთა (ოფიციალური, სასაუბრო) გარჩევას და ადეკვატურად გამოყენებას;</li> <li>● შინაარსის გადმოცემას ავტორისეულ თხრობასთან მიახლოებით;</li> <li>● ტექსტის ორგანიზების თვალსაზრისით სხვადასხვა ტიპის (მხატვრული, არამხატვრული) ტექსტების თავისებურებათა ცოდნას და მათ გამოყენებას მხატვრული / არამხატვრული ტექსტების გაგება-გააზრებისას;</li> </ul>

**თავი III. რეაქციები სტანდარტის შედეგების მისაღწევაზე**

	<ul style="list-style-type: none"> <li>მოსმენილის გადმოცემას სხვადასხვაგვარად (მოკლე შინაარსი, დეტალური თხრობა, გამოკრებილი თხრობა და ა.შ.);</li> <li>სხვ.</li> </ul>
<b>შედეგი</b>	<b>ქართ. IV. 2. მოსწავლეს შეუძლია გამოხატოს საკუთარი დამოკიდებულება მხატვრული ნაწარმოების მიმართ.</b>
<b>ინდიკატორები</b>	<ul style="list-style-type: none"> <li>მსჯელობს ნაწარმოებში ასახულ ამბავსა და პერსონაჟებზე მისათვის საინტერესო და მნიშვნელოვანი კუთხით;</li> <li>ასახელებს მოსმენილი ტექსტიდან ესთეტიკურად ღირებულ ადგილებს;</li> <li>აფასებს გმირის საქციელს და განმარტავს თავის დამოკიდებულებას;</li> <li>უკავშირებს პერსონაჟის მოქმედებას პირად ცხოვრებისეულ გამოცდილებას და იხსენებს მსგავს სიტუაციებს;</li> <li>მონანილეობს მხატვრული ნაწარმოების შესახებ გამართულ დისკუსიაში;</li> <li>მონანილეობს საბავშვო სპექტაკლის ან ზღაპრის განხილვაში;</li> <li>გამოხატავს საკუთარ ემოციებს/განცდებს და ცდილობს მათ ახსნას („გამიყვიდა იმიტომ, რომ...“, „აღვშფოთდი იმიტომ, რომ...“).</li> </ul>
<b>აქტივობები</b>	<p>აქტივობები, რომლებიც მოსწავლისგან მოითხოვს:</p> <ul style="list-style-type: none"> <li>ტექსტის პერსონაჟთან ემპათიის/თანაგანცდის გამოხატვას;</li> <li>ტექსტის გაგებას როლური თამაშებისა და იმპროვიზაციის გზით;</li> <li>ნაწარმოების ამა თუ იმ ეპიზოდში პერსონაჟის საქციელის, მისი განცდების, ემოციების, გადაწყვეტილებების მიმართ საკუთრი დამოკიდებულების, შესაბამისად, შეფასებების გამოხატვას / დამოკიდებულების ახსნას;</li> <li>სხვ.</li> </ul>
<b>შედეგი</b>	<b>ქართ. IV. 3. მოსწავლეს შეუძლია მიუსადაგოს სამეტყველო ქცევა დასახულ საკომუნიკაციო ამოცანას.</b>
<b>ინდიკატორები</b>	<ul style="list-style-type: none"> <li>ხმამაღლა კითხულობს კლასის წინაშე სასურველ / შერჩეულ ნაწყვეტს ნაცნობი ტექსტიდან და ინტონაციით გამოხატავს ტექსტში ასახულ ემოციებს;</li> <li>ზეპირი გამოსვლისას იყენებს ინტონაციას სასვენი ნიშნების ფუნქციით;</li> <li>კორექტულად, ეტიკეტის დაცვით გამოთქვამს საკუთარ მოსაზრებას;</li> <li>მეტყველებს გარკვევით და მკაფიოდ.</li> </ul>

## თავი III. რეაქციური სტანდარტის შედეგების მისაღწევა

აქტივობები	<p>აქტივობები, რომლებიც მოსწავლისგან მოითხოვს:</p> <ul style="list-style-type: none"> <li>● ტექსტში გადმოცემული სხვადასხვა ტიპის ინფორმაციის (პერსონაჟის განცდები, ემოცია და ა.შ.) ადეკვატურ ინტონაციურ გადმოცემას;</li> <li>● სასვენი ნიშნის შესაბამისი ინტონაციის შერჩევას და ადეკვატურად გამოყენებას;</li> <li>● სათანადო წესების დაცვით საკუთარი აზრის, შეხედულების, თვალსაზრისის გადმოცემას;</li> <li>● სხვ.</li> </ul>
შედეგი	<p>ქართ. IV. მოსწავლეს შეუძლია შესაბამისი ენობრივ-გრამატიკული საშუალებების გამოყენება კონკრეტულ სამეტყველო სიტუაციაში.</p>
ინდიკატორები	<ul style="list-style-type: none"> <li>● ყოფითი სიტუაციების აღწერისას სათანადოდ რთავს მეტყველებაში სპეციფიკურ ლექსიკას;</li> <li>● მასწავლებლის მიერ მითითებული ნიმუშების მიხედვით შემოქმედებითად იყენებს სიტყვათა სემანტიკურ კავშირებს (სინონიმს, ანტონიმს...);</li> <li>● სათანადო კონტექსტებში სწორად ჩაანაცვლებს სახელებს (არსებითს, ზედასართავს, რიცხვითს) ნაცვალსახელებით (ეს, ის, ასეთი, ამდენი...) და მარტივი ზმნიზედებით (აქ, იქ, მაშინ, ამიტომ...);</li> <li>● კონტექსტის მიხედვით სწორად იყენებს ზმნის გრამატიკული დროის ფორმებს (მაგ., შარშან დავისვენეთ - გაისად დავისვენებთ და ა.შ.);</li> <li>● მეტყველებისას იცავს ბრუნვისა და პირის ნიშნებთან დაკავშირებულ მართლმეტყველების წესებს (მაგ. ვვარჯიშობ, ვუთხარი, თბილისს, ქათამმა, კარგად ვარ და ა.შ.);</li> <li>● სწორად უთანხმებს ზმნას არსებით სახელებსა და ნაცვალსახელებს პირისა და რიცხვის მიხედვით;</li> <li>● სწორად ათანხმებს მსაზღვრელ-საზღვრულს.</li> </ul>
აქტივობები	<p>აქტივობები, რომლებიც მოსწავლისგან მოითხოვს:</p> <ul style="list-style-type: none"> <li>● სპეციფიკური, მარტივი დარგობრივი ლექსიკის გამოყენებას;</li> <li>● სიტყვათა სემანტიკური კავშირების გააზრებას, ადეკვატურად გამოყენებას;</li> <li>● მეტყველების ნაწილთა სხვადასხვა ფორმის (ზმნის გრამატიკული დრო, პირი, რიცხვი, სახელის ბრუნვა, რიცხვი) ადეკვატურად გამოყენებას, მართლმეტყველების წესების დაცვას;</li> <li>● ზმნასთან მოქმედების ადგილის, დროის, ვითარების აღმნიშვნელი სიტყვების ადეკვატურად გამოყენებას, შესაბამისი მართლმეტყველების წესების დაცვას;</li> <li>● სხვ.</li> </ul>

## მიმართულება: პირები

შედეგი	ქართ. IV. 5. მოსწავლეს შეუძლია მისთვის ნაცნობი თემების შემცველი სხვადასხვა სახის არამხატვრული ტექსტების (რეკლამის, საყმანვილო ჟურნალის განცხადების, საყმანვილო ენციკლოპედიის სტატიისა და სხვ.) წაკითხვა და გაგება.
ინდიკატორები	<ul style="list-style-type: none"> <li>ასახელებს მარტივი მიზნობრივი ტექსტების (განცხადების, აბრის, რეკლამის, კულინარიული რეცეპტის, ექიმის რჩევა-დარიგების, წამლის რეცეპტისა და ა.შ.) საკომუნიკაციო სიტუაციას (ავტორს, ადრესატს, მიზანს/დანიშნულებას);</li> <li>მოიძიებს ტექსტში კონკრეტულ ინფორმაციას;</li> <li>ახასიათებს სხვადასხვა სახის ტექსტს სტრუქტურული მახასიათებლების მიხედვით (მაგ., ლია ბარათს დასაწყისში აქვს მიმართვის ფორმა, მას მოსდევს ძირითადი ტექსტი, ბოლოს კი არის ხელმოწერა; კულინარიული რეცეპტი შედგება სათაურისა და ორი ძირითადი ნაწილისაგან: ინგრედიენტთა ჩამონათვალი და დამზადების წესი; დარგობრივ-შემეცნებით ტექსტს აქვს სათაური, ახლავს ილუსტრაციები წარწერებით და აბზაცებად დაყოფილი ტექსტი და ა.შ.);</li> <li>გამოყოფს და ასახელებს ტექსტის მთავარ საკითხებს;</li> <li>აკავშირებს ერთმანეთთან ექსპლიციტურად მოცემულ ფაქტებს, მოვლენებს, მოქმედებებს და გამოაქვს სათანადო დასკვნები;</li> <li>განსაზღვრავს ტექსტის ერთ მონაკვეთში ან მის სხვადასხვა ნაწილში ასახულ მოვლენებსა და ფაქტებს შორის არსებულ მიზეზშედეგობრივ კავშირებს;</li> <li>განარჩევს ფაქტს თვალსაზრისაგან;</li> <li>განასხვავებს საგანთა / მოვლენათა გარეგნულ და შინაარსობრივ მახასიათებლებს;</li> <li>აჯგუფებს ინფორმაციას კონკრეტული ნიშნით (მსგავსება-განსხვავების, მზარდი-კლებადი ხარისხისა და ა.შ. მიხედვით).</li> </ul>
აქტივობები	<p>აქტივობები, რომლებიც მოსწავლისგან მოითხოვს:</p> <ul style="list-style-type: none"> <li>ტექსტის დანიშნულების განსაზღვრას;</li> <li>ავტორის მიზნის ამოცნობას;</li> <li>ტექსტიდან საჭირო ინფორმაციის ამოკრებას;</li> <li>მიზნობრივი ტექსტის საფუძველზე სათანადო დასკვნების გამოტანას და გადაწყვეტილების მიღებას;</li> <li>კითხვების დასმას წაკითხულის გარშემო;</li> <li>კითხვებზე პასუხების გაცემას;</li> <li>სხვ.</li> </ul>

**რეკომენდაციები:** მოცემულ ეტაპზე ყურადღება უნდა მიექცეს არამხატვრული ტექ-

სტის გააზრებას მიზნისა და ადრესატის გათვალისწინებით. მიზნობრივი ტექსტის წაკითხვისას მოსწავლემ უნდა შეძლოს მისი ფუნქციის განსაზღვრა და იმ აუდიტორიის იდენტიფიცირება, რომლისთვისაც შეიქმნა ეს ტექსტი. ასევე მნიშვნელოვანია ინფორმაციის დამუშავების უნარ-ჩვეულების გამომუშავება, რაც ამ ეტაპზე გულისხმობს ტექსტიდან მთავარი საკითხების გამოყოფას, ფაქტებს შორის მიზეზ-შედეგობრივი კავშირების დანახვას და ექსპლიციტურ ინფორმაციაზე დაყრდნობით მარტივი დასკვნების გამოტანას.

შედეგი	ქართ. IV. 6. მოსწავლეს შეუძლია სხვადასხვა თემაზე შექმნილი მხატვრული ტექსტების დამოუკიდებლად წაკითხვა.
ინდიკატორები	<ul style="list-style-type: none"> <li>● ამოიცნობს კონკრეტული ჟანრისათვის (მაგ., იგავ-არაკის, ზღაპრის, მოთხრობის) დამახასიათებელ ნიშნებს;</li> <li>● საუბრობს სათაურისა და ტექსტის აზრობრივ / შინაარსობრივ ურთიერთკავშირზე;</li> <li>● ასახელებს სათაურის ალტერნატიულ ვარიანტებს;</li> <li>● ასახელებს მოქმედ პირებს;</li> <li>● მოიძიებს კონკრეტულ ინფორმაციას (მაგ., მოვლენათა, მოქმედებათა დროსა და ადგილს);</li> <li>● დამოუკიდებლად პოულობს ტექსტში სიტყვებსა და გამოთქმებს, რომლებსაც ავტორი იყენებს პერსონაჟების, ფაქტებისა და მოვლენების აღსაწერად;</li> <li>● ამოიცნობს პერსონაჟთა გრძნობებს, მიზნებს;</li> <li>● აკვირდება პერსონაჟთა ქცევას, მოქმედებას, თვისებებს და დაკვირვების საფუძველზე გამოაქვს სათანადო დასკვნა მათი აზრების, განზრახვების, განცდების შესახებ;</li> <li>● აკავშირებს ერთმანეთთან ექსპლიციტურად მოცემულ ფაქტებს, მოვლენებს, მოქმედებებს და გამოაქვს სათანადო დასკვნები;</li> <li>● განარჩევს ერთმანეთისგან ფაქტსა და სურვილს/ოცნებას;</li> <li>● ამოიცნობს ტექსტში გამოცემულ მოვლენებს, მოქმედებებს შორის არსებულ ლოგიკურ (მიზეზ-შედეგობრივ, ოპოზიციურ, პირობით, დათმობით და სხვა) კავშირებს;</li> <li>● განსაზღვრავს ტექსტში გადმოცემულ მოქმედებათა, მოვლენათა ქრონოლოგიას;</li> <li>● გამოყოფს სიუჟეტის განვითარების ეტაპებს (დასაწყისს, ამბის შუა ნაწილს, დასასრულს);</li> <li>● საკუთარი სიტყვებით გადმოცემს ტექსტის/მისი ცალკეული მონაკვეთის მოკლე შინაარსს, გამოყოფს არსებით ინფორმაციას;</li> <li>● განავრცობს შეკუმშულად, მოკლედ გადმოცემულ ამბავს;</li> <li>● განარჩევს ტექსტში ავტორისა და პერსონაჟების სიტყვებს, დიალოგსა და მონოლოგს;</li> </ul>

## თავი III. რეკომენდაციები სტანდარტის შედეგების მისაღწევაზე

	<ul style="list-style-type: none"> <li>განსაზღვრავს ცალკეული პერსონაჟის ხედვის კუთხეს, გადმოს-ცემს ნაწარმოებში ასახულ ამბავს ერთ-ერთი პერსონაჟის პირით;</li> <li>აანალიზებს ცალკეულ რეპლიკას - ვის ეკუთვნის, ვინ არის ადრე-სატი, რა არის რეპლიკის მიზანი (მაგ., რჩევის მიცემა, ინფორმი-რება, ახსნა, საყვედურის გამოქმა, შენიშვნის მიცემა, საკუთა-რი დამოკიდებულების გამოხატვა და სხვა);</li> <li>აკავშირებს ტექსტში მოცემულ ინფორმაციას საკუთარ გამოც-დილებასთან და ამის საფუძველზე გამოაქვს დასკვნა;</li> <li>ამოიცნობს ნაწარმოების ძირითად თემას/ქვეთემებს, იდეას.</li> </ul>
აქტივობები	<p>აქტივობები, რომლებიც მოსწავლისგან მოითხოვს:</p> <ul style="list-style-type: none"> <li>ნაცნობი უანრის მხატვრული ტექსტის მახასიათებლების ამოც-ნობას;</li> <li>ტექსტის ნაწილების აღდგენას უანრისთვის დამახასიათებელი ელემენტების მიხედვით;</li> <li>მხატვრული ნაწარმოების დასათაურებას;</li> <li>პერსონაჟთა პორტრეტის შექმნას;</li> <li>პერსონაჟთა ურთიერთდამოკიდებულებების შესახებ აზრობრი-ვი რუკების შექმნას;</li> <li>ტექსტის შინაარსის გეგმის შედგენას;</li> <li>მოთხრობილი ამბის ქრონოლოგიურად გადმოცემას;</li> <li>ტექსტში მოქმედების ადგილისა და დროის განსაზღვრას;</li> <li>ნაწარმოების შინაარსთან და კავშირებული კითხვების დასმას;</li> <li>როლურ თამაშებში მონაწილეობას;</li> <li>მთხრობლის ჩანაცვლებას;</li> <li>სხვ.</li> </ul>
რეკომენდაციები:	<p>კითხვის სწავლების საბოლოო მიზანი წაკითხულის გააზრებაა. ამი-ტომ, საკითხავი მასალის დამუშავების დროს მნიშვნელოვანია, რომ მოსწავლემ დაკ-ვირვებით წაიკითხოს ტექსტი და კარგად გაიგოს მისი შინაარსი, აღიქვას ტექსტში გად-მოცემული ამბის ქრონოლოგია და აღნერილ მოვლენებს შორის მიზეზ-შედეგობრივი კავშირები. ყოველივე ეს კი მომდევნო მნიშვნელოვანი ეტაპის - წაკითხული გააზრების - წინაპირობას წარმოადგენს. კითხვის სწავლების ამ ეტაპზე საჭიროა ყურადღების გა-მახვილება შემდეგზე: მოსწავლე აკვირდება არა მხოლოდ პერსონაჟთა თვისებებსა და მათს ურთიერთობებს, არამედ ცდილობს ამოიცნოს თითოეული პერსონაჟის დამოკი-დებულება ნაწარმოებში ასახული ამა თუ მოვლენის მიმართ. მოსწავლემ უნდა შეძლოს სხვადასხვა პერსონაჟის პერსპექტივიდან ტექსტში გადმოცემული ამბისა თუ დასმული პრობლემის დანახვა. ამასთანავე, მნიშვნელოვანია, რომ მოსწავლემ თანდათანობით და-ინტერაქციება საკითხავი ტექსტების უანრულ მახასიათებლებზე, იქნება ეს ტექს-ტის ფორმა, მისი შინაარსობირივი სტრუქტურა თუ ენობრივი ფორმულები.</p>

შედეგი	ქართ. IV. 7. მოსწავლეს შეუძლია მხატვრული და არამხატვრული ტექსტების ძირითადი ენობრივ-გრამატიკული ნიშნების ამოცნობა.
ინდიკატორები	<ul style="list-style-type: none"> <li>ამოცნობს და ასახელებს მოქმედების აღმნიშვნელ სიტყვებს, რომელთა საშუალებით აპზაცში / ტექსტის ცალკეულ ეპიზოდში / ტექსტში გადმოცემულია მოვლენათა თანამიმდევრობა (მაგ. ჯერ დახატა, მერე გაუგზავნა მეგობარს; ჯერ წავიდა, შემდეგ იყიდა, ბოლოს კი შეჭამა...);</li> <li>ამოცნობს და ასახელებს საგნისა (მაგ., წითელი ფანქარი; კარგი ამინდი, მაღალი სახლი) და მოქმედების (ლამაზად წერს) დამახასიათებელ ნიშნებს;</li> <li>ამოცნობს მარტივი აღწერითი ტექსტის ძირითად ენობრივ მახასიათებლებს, მაგ., შედგენილი შემასმენლის აქტიურად გამოყენებას (ეს კალამია, ის რვეულია, ეს კი ჩემი ჩანთაა), აღსანერი საგნის / ობიექტის აღმნიშვნელი სიტყვის ჩანაცვლებას ნაცვალ-სახელით ან ზმნიზედით (თბილის საქართველოს დედაქალაქია; ის დაარსა ვახტანგ გორგასალმა. შარშან თბილისში ვიყავი. იქ ბევრი ლამაზი სახლი ვნახე) და ა.შ.;</li> <li>ამოცნობს და ასახელებს ძირითად სინტაქსურ მიმართებებს, მაგ., შეთანხმებას სახელებს შორის პრუნვაში (მაგ., ორმა მეგობარმა, ლამაზი სახლი);</li> <li>ამოცნობს და ასახელებს ქონა-ყოლის აღმნიშვნელ ზმნებს, ამჩნევს მათი წარმოების თავისებურებებს (დედა მყავს, რვეული მაქვს).</li> </ul>
აქტივობები	<p>აქტივობები, რომლებიც მოსწავლისგან მოითხოვს:</p> <ul style="list-style-type: none"> <li>მეტყველების ნაწილების მართებულად გამოყენებას წინადადების აგებისას და სხვადასხვა სამეტყველო სიტუაციაში;</li> <li>მეტყველების ნაწილების დაჯგუფებას;</li> <li>აღწერითი ტექსტის ჩანაცვლებას ნარატიული ტექსტით და პირი-ქით;</li> <li>სიტყვებისგან / ფრაზებისგან წინადადებების აგებას;</li> <li>ორთოგრაფიული შეცდომების პოვნასა და გასწორებას;</li> <li>სხვ.</li> </ul>
რეკომენდაციები:	<p>ენობრივი განვითარების ამ ეტაპზე მოსწავლეები უკვე იწყებენ სხვა-დასხვა გრამატიკული თუ ლექსიკოლოგიური საკითხის გააზრებულად შესწავლას, ძირითადი ენობრივი ერთეულების ფუნქციის გააზრებასა და გამოყენებას კითხვის, წერისა და ზეპირმეტყველების დროს.</p>

შედეგი	ქართ. IV. 8. მოსწავლეს შეუძლია საკუთარი დამოკიდებულების გამოხატვა წაკითხული ტექსტის (მხატვრულის/არამხატვრულის) მიმართ; ავლენს ესთეტიკური და ეთიკური შეფასების სურვილს.
ინდიკატორები	<ul style="list-style-type: none"> <li>ასახელებს საყვარელ წიგნს, ტექსტს / მხატვრულ ნაწარმოებს, ავტორს, პერსონაჟს და ხსნის თავის არჩევანს;</li> <li>განმარტავს, რით არის კონკრეტული ტექსტი მისთვის საინტერესო;</li> <li>მიუთითებს, რით დაინტერესდა / რა მოეწონა ტექსტში (ინფორმაცია, ამბავი, პერსონაჟის საქციელი, ბუნების აღწერა, დიალოგები თუ სხვა);</li> <li>მონაწილეობს წაკითხულის შესახებ გამართულ დისკუსიებში; საკუთარი შეხედულების დასასაბუთებლად იყენებს შესაბამის ადგილებს წაკითხული ტექსტიდან ან მაგალითებს პირადი გამოცდილებიდან.</li> </ul>
აქტივობები	<p>აქტივობები, რომლებიც მოსწავლისგან მოითხოვს:</p> <ul style="list-style-type: none"> <li>ნაწარმოების შეფასების საკუთარი კრიტერიუმების შემუშავებას;</li> <li>წიგნების/ნაწარმოებების შესახებ გამოკითხვის ჩატარებას და მათი რეიტინგის დადგენას;</li> <li>ბიბლიოთეკისთვის წიგნების შერჩევას;</li> <li>საკუთარი ლიტერატურული გამოცდილების გაზიარებას და თანაკლასელთათვის რჩევების მიცემას;</li> <li>ლიტერატურული წრის ორგანიზებას და მასში მონაწილეობას;</li> <li>სხვ.</li> </ul>
<p><b>რეკომენდაციები:</b> კითხვის სწავლების ამ ეტაპზე ყურადღება უნდა მიექცეს მოსწავლის ლიტერატურული გემოვნების დახვენას, რაც ხელს შეუწყობს მის სრულფასოვან მკითხველად ჩამოყალიბებას.</p>	

შედეგი	ქარ. IV. 9. მოსწავლეს შეუძლია მცირე ზომის მიზნობრივი ტექსტების სათანადოდ გაფორმება და ტექსტის არავერბალური ნაწილების ამოცნობა; ავლენს ტექსტის არავერბალური ინტერპრეტაციის უნარს.
ინდიკატორები	<ul style="list-style-type: none"> <li>სათანადოდ აფორმებს მცირე ზომის მიზნობრივ ტექსტებს (სხვადასხვა ხასიათის აბრებს საშუალო სკოლის, საბავშვო ბალის, სპორტული მოედნისთვის, ზღაპრის ან საბავშვო სპექტაკლის თემაზე შექმნილ პლაკატს და სხვ.);</li> <li>ადეკვატურად იყენებს საბავშვო წიგნში გამოყენებულ პირობით</li> </ul>

## თავი III. რეაქციაზე სტანდარტის შედევრის მისაღებად

	<p>ნიშნებს (ლოგოს, რუპრიკას, სქემას), ილუსტრაციებს, დამხმარე ცხრილებსა და მარტივ დიაგრამებს;</p> <ul style="list-style-type: none"> <li>• ამოიცნობს საბავშვო, შემეცნებით (შემეცნებით-გასართობ), მუ- სიკალურ, სპორტულ და საინფორმაციო გადაცემებს სპეციფიკუ- რი ნიშნების (მუსიკალური ქუდის, ლოგოს, დასაწყისისა და ა.შ.) მიხედვით;</li> <li>• მონაწილეობს საბავშვო სპექტაკლის გაფორმებაში: დამოუკი- დებლად ან სხვისი დახმარებით ქმნის მასწავლებლის მითითებით ან საკუთარი სურვილით შერჩეული როლისათვის შესაფერისი კოსტუმის, ნიღბისა და ა.შ. ესკიზებს;</li> <li>• შეარჩევს (თვითონ ხატავს ან მოიძიებს) როლის შესაბამის ვიზუა- ლურ მასალას;</li> <li>• ამზადებს და წარმოადგენს მასწავლებლის მითითებით ან საკუ- თარი სურვილით შერჩეულ როლს;</li> <li>• როლის (მოლაპარაკე ცხოველების, უსულო საგნების) განსასახი- ერებლად ადეკვატურად იყენებს დამხმარე საშუალებებს (ჟესტს, მიმიკას, დამახასიათებელ მოძრაობას, გარკვეულ არტიკულაცი- ას; მოხერხებულობის, ტყუილის თუ სხვა თვისებებისა და გრძნო- ბების გამომხატველ მინიშნებებს);</li> <li>• თანაკლასელების ჯგუფთან ერთად განასახიერებს წაკითხული ტექსტის ცალკეული ეპიზოდის / ეპიზოდების მიმიკურ მიზანს- ცენებს (მეორე ჯგუფი კი ცდილობს ამოიცნოს, კონკრეტულად რომელი ეპიზოდი იყო წარმოდგენილი).</li> </ul>
აქტივობები	<p>აქტივობები, რომლებიც მოსწავლისგან მოითხოვს:</p> <ul style="list-style-type: none"> <li>• წაკითხული ნაწარმოების სცენების ესკიზების მომზადებას;</li> <li>• აფიშის შექმნას;</li> <li>• აპლიკაციების / კოლაჟების შექმნას;</li> <li>• თეატრალურ წარმოდგენებში მონაწილეობას;</li> <li>• იმპროვიზირებულ დადგმებში მონაწილეობას;</li> <li>• ჟესტებისა და მიმიკების საშუალებით პერსონაჟის განსახიერე- ბას და ამოცნობას;</li> <li>• მიზანსცენის ესკიზის საშუალებით ეპიზოდის ამოცნობას;</li> <li>• არსებული და გამოგონილი პირობითი ნიშნების /ლოგოების სა- შუალებით ეპიზოდის შინაარსის გადმოცემას;</li> <li>• სხვ.</li> </ul>
<b>რეკომენდაციები:</b> უნდა აღინიშნოს, რომ თვითგამოხატვის განსხვავებული საშუალე- ბების / ფორმების გამოყენება, ერთი მხრივ, მოსწავლეთა შემოქმედებითი უნარების გან- ვითარებას უწყობს ხელს, მეორე მხრივ კი, წაკითხულის გააზრებაში ეხმარება მათ.	

შედეგი	ქართ. IV. 10. მოსწავლეს შეუძლია სხვადასხვა სტრატეგიის გამოყენება ინფორმაციის მოსაძიებლად და კონკრეტული საკითხის დასამუშავებლად.
ინდიკატორები	<ul style="list-style-type: none"> <li>● ცდილობს ამოიცნოს უცნობი სიტყვების / გამოთქმების მნიშვნელობა ნაცნობი ელემენტების (ილუსტრაციების, ნაცნობი ფუძის, კონტექსტისა და სხვ.) დახმარებით;</li> <li>● ტექსტის უკეთ გააზრებს მიზნით სვამს კითხვებს წაკითხულთან დაკავშირებით;</li> <li>● ილუსტრაციებზე, სათაურზე დაყრდნობით გამოთქვამს ვარაუდს ტექსტის შინაარსის შესახებ;</li> <li>● ასახელებს ტექსტის თავებად და მონაკვეთებად დაყოფის აზრობრივ საფუძველს;</li> <li>● აკვირდება კითხვებზე გაცემულ პასუხებს და განარჩევს, რომელ ოპერაციას მიმართა მკითხველმა შემდეგი სამიდან: а) პასუხი პირდაპირ იყო ტექსტში მოცემული; ბ) პასუხის გასაცემად საჭირო იყო რამდენიმე სახის ინფორმაციის ერთმანეთთან დაკავშირება; გ) პასუხი არ იყო ტექსტში; მკითხველი დაეყრდნო ტექსტში მოცემულ ინფორმაციას, დაუკავშირა იგი საკუთარ ცოდნას და ამის საფუძველზე გამოიტანა დასკვნა;</li> <li>● დასმულ კითხვებზე პასუხის გაცემის შემდეგ აზუსტებს, რამდენად დარწმუნებულია პასუხის სისწორეში („დარწმუნებული ვარ“, „თითქმის დარწმუნებული ვარ“, „არა ვარ დარწმუნებული“);</li> <li>● უბრუნდება ტექსტის შესაბამის/სათანადო მონაკვეთს იმ საკითხების დასაზუსტებლად, რაშიც არ არის დარწმუნებული;</li> <li>● იცის და ასახელებს სხვადასხვა ხერხს, რომლებიც ტექსტის გაგებას უწყობს ხელს (ტექსტში გადმოცემული ამბების წარმოსახვაში გაცოცხლება, ტექსტში გადმოცემული ამბის ინსცენირება, ტექსტის ცალკეული მონაკვეთის საკუთარი სიტყვებით გადმოცემა და სხვ.);</li> <li>● აღწერს, რა გზით მოახერხა ამა თუ იმ საკითხავი ამოცანის გადაჭრა; ადარებს სხვების მიერ შერჩეულ ხერხს და გამოთქვამს მოსაზრებას იმის შესახებ, თუ რომელი მიღებომა იყო უფრო მისადაგებული/ეფექტური და რატომ;</li> <li>● სარგებლობს საბავშვო ბიბლიოთეკის ანბანური და თემატური კატალოგებით;</li> <li>● სწორად იგებს და იყენებს ბიბლიოთეკის კატალოგებსა და ბარათებზე მოთავსებულ ინფორმაციას (ავტორი, სათაური, გვერდების რაოდენობა);</li> <li>● ამოიცნობს და ბიბლიოთეკაში სწორად მოიძიებს ძირითად საბავშვო სერიულ გამოცემებს (მსოფლიოს ხალხთა ზღაპრებს, საბავშვო ლიტერატურის ბიბლიოთეკას, ქართულ ხალხურ ზღაპრებს, საბავშვო ენციკლოპედიებს და ა. შ.).</li> </ul>

აქტივობები	<p>აქტივობები, რომლებიც მოსწავლისგან მოითხოვს:</p> <ul style="list-style-type: none"> <li>● საკუთარი კითხვის პროცესის აღწერას სქემატურად (ცხრილის მეშვეობით);</li> <li>● ტექსტიდან საკვანძო სიტყვების ამონტერას;</li> <li>● ინფორმაციის დიფერენცირებას ცოდნის ხარისხის მიხედვით (ვი-ცოდი / დაახლოებით ვიცოდი / მხოლოდ გაგონილი მქონდა / სა-ერთოდ არ ვიცოდი);</li> <li>● უცნობ ლექსიკურ ერთეულებთან დაკავშირებით ვარაუდების სქემის შევსებას (მაგ., ეს სიტყვა არის ზედსართავი სახელი, ახა-სიათებს დიდი ზომის თევზს, სავარაუდოდ, უნდა იყოს მტაცებე-ლი თევზის დამახასიათებელი სიტყვა და ა.შ.);</li> <li>● დასაზუსტებელი ინფორმაციის ჩამონათვალის შედგენას;</li> <li>● საძიებო სისტემების გამოყენებას;</li> <li>● სხვ.</li> </ul>
<p><b>რეკომენდაციები:</b> ყველაზე კარგად აპრობირებული მეთოდი სტრატეგიების დასაუფ-ლებლად არის ექსპლიციტური ინსტრუქციების მიცემა მოსწავლეებისთვის. მასწავლე-ბელმა პირდაპირ უნდა შესთავაზოს მოსწავლეებს სტრატეგიების ფართო არჩევანი და მისცეს საშუალება მათ, გამოსცადონ, "მოირგონ" და თავად შეარჩიონ კითხვის მიზნის შესაბამისი სტრატეგიები.</p>	

## მიმართულება: წერა

შედეგი	ქართ. IV. 11. მოსწავლეს შეუძლია სხვადასხვა სახის მცირე ზომის ტე-ქსტის შეთხვა.
ინდიკატორები	<ul style="list-style-type: none"> <li>● ცხოვრებისეული შთაბეჭდილებების საფუძველზე წერს მცირე ზომის ტექსტს;</li> <li>● შესაფერისი ლექსიკის გამოყენებით ადგენს მარტივ დარგობრივ ტექსტებს (კლიმატური პირობების აღწერას, გეოგრაფიული გა-რემოს აღწერას, მათემატიკურ ამოცანას);</li> <li>● ჩამონერს შეკითხვებს მწერალთან წარმოსახვითი ინტერვიუსათ-ვის;</li> <li>● სწერს წერილებს რეალურ და წარმოსახვით ადრესატს (მეგო-ბარს, ნაწარმოების ავტორს, პერსონაჟს და სხვ.).</li> </ul>
აქტივობები	<p>აქტივობები, რომლებიც მოსწავლისგან მოითხოვს:</p> <ul style="list-style-type: none"> <li>● ტრადიციული (წერილობითი) და მულტიმედიური ტექსტების (კლიპი, ვიდეო, ფილმი, სხვ.), გაგებას, გააზრებასა და ორგანიზე-ბას მცირე ზომის ტექსტის სახით;</li> <li>● ზეპირი და ვიზუალური ინფორმაციის გაგებას, გააზრებასა და ორგანიზებას მცირე ზომის ტექსტის სახით;</li> </ul>

	<ul style="list-style-type: none"> <li>● თვითგამოხატვას;</li> <li>● მსჯელობას;</li> <li>● პრეზენტირებას;</li> <li>● სხვ.</li> </ul>
--	---

შედეგი	<p>ქართ. IV. 12. მოსწავლეს შეუძლია შესწავლილი ტექსტის შინაარსის დაწერა; ავლენს თვითგამოხატვის სურვილს.</p>
ინდიკატორები	<ul style="list-style-type: none"> <li>● იცავს შინაარსობრივ თანამიმდევრობას;</li> <li>● ნაწარმოების შინაარსის გადმოცემისას შემოქმედებითად იყენებს ავტორის ეულ ლექსიკასა და მხატვრულ სახეებს;</li> <li>● გამოხატვას საკუთარ დამოკიდებულებას პერსონაჟის მიმართ სხვადასხვა ფორმით (მაგ., მოკლე დახასიათების, გმირის საქციელზე გაკეთებული კომენტარის სახით და ა.შ.);</li> <li>● ქმნის ნაწარმოების განსხვავებული დასასრულის წერილობით ვერსიას.</li> </ul>
აქტივობები	<p>აქტივობები, რომლებიც მოსწავლისაგან მოითხოვს:</p> <ul style="list-style-type: none"> <li>● ტექსტის შინაარის აღქმას და გააზრებას;</li> <li>● საკუთარი თვალსაზრისის, დამოკიდებულების გამოხატვას;</li> <li>● ვერბალური და არავერბალური ინფორმაციის წერილობითი სახით გადმოცემას;</li> <li>● შემოქმედებითობას;</li> <li>● თვითგამოხატვას;</li> <li>● ანალიზის შედეგების წარმოდგენას გრაფიკული მაორგანიზებლის მეშვეობით;</li> <li>● სხვ.</li> </ul>
რეკომენდაციები:	<p>მუშაობა უნდა წარიმართოს ტექსტის აღქმის, გაანალიზებისა და მისი სხვადასხვა გზით (ვერბალური და არავერბალური) გადმოცემისათვის აუცილებელი უნარ-ჩვევების განვითარებაზე; მოსწავლეებს უნდა შეეძლოთ ვერბალური და არავერბალური ინფორმაციის ერთმანეთთან დაკავშირება და მათი გააზრება ერთიან კონტექსტში; ტექსტის გაანალიზების დროს გრაფიკული მაორგანიზებლების (სქემების /ცხრილების, სხვ.) გამოყენება ინფორმაციის ორგანიზების მიზნით. გრაფიკული მაორგანიზებლის მეშვეობით, მოსწავლეები თვალსაჩინოდ დაინახავენ აბსტრაქტული პროცესის "ჩონჩხს", რაც მათ ძალზე შეუწყობს ხელს თავიანთი აზრების, შეხედულებების, არგუმენტების ორგანიზებასა და რეორგანიზებაში.</p>

## თავი III. რეაქციაზე სტანდარტის შედეგის მისაღწევად

შედეგი	ქართ. IV. 13. მოსწავლეს შეუძლია გრამატიკული და ორთოგრაფიული თვალსაზრისით სწორი ფორმების გამოყენება წინადადების აგებისას და პუნქტუაციის ძირითადი წესების დაცვა.
ინდიკატორები	<ul style="list-style-type: none"> <li>აკვირდება სიტყვათა ლექსიკურ მნიშვნელობას და კონტექსტის გათვალისწინებით შეურჩევს მათ ადგილს;</li> <li>ავლენს სახელის ფორმაციალების წესების ცოდნას (მაგ., სწორად არჩევს სახელის პრუნვის ფორმებს ზმნის სინტაქსური კონსტ-რუქციების მიხედვით) და სათანადოდ იყენებს მას;</li> <li>მართებულად ხმარობს სიტყვებს: თითოეული, ყველა, ზოგი (ზოგიერთი), რამდენიმე და სწორად უთანხმებს რიცხვები ზმნებს;</li> <li>სათანადოდ იყენებს ნაცნობი გრამატიკული ფორმების მართლ-წერის წესებს წინადადების/ფრაზის აგებისას;</li> <li>მართებულად იყენებს სასვენ ნიშნებს (წერტილს, კითხვისა და ძახილის ნიშნებს, ბრჭყალებს, ორწერტილს, მრავალწერტილს...).</li> </ul>
აქტივობები	<p>აქტივობები, რომლებიც მოსწავლისგან მოითხოვს:</p> <ul style="list-style-type: none"> <li>ლექსიკონის გამოყენებას;</li> <li>საკუთარი ნაშრომის კრიტიკულად გაანალიზებას;</li> <li>ნაშრომის რედაქტირებას;</li> <li>თვითშეფასებას;</li> <li>სხვ.</li> </ul>

**რეკომენდაციები:** გასათვალისწინებელია, რომ გამართული წერითი მეტყველებისათვის აუცილებელი უნარ-ჩვევების გამოსამუშავებლად ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს რესურსს წარმოადგენს წერის შემდგომი ეტაპის სამუშაოები - რედაქტირება/კორექტირება. ეს სამუშაოები მოსწავლეებს აძლევს საშუალებას, კონკრეტული საჭიროებიდან გამომდინარე, კიდევ ერთხელ გაიაზრონ გრამატიკული, ორთოგრაფიული ნორმები, ჩაუფიქრდნენ ლექსიკისა და სტილის საკითხებს საკუთარ ნაშრომთან მიმართებაში, რაც მძლავრ ბიძგს აძლევს წერითი მეტყველების განვითარების პროცესს. სასურველია, ამ ეტაპის სამუშაოები წარიმართოს და დაიგეგმოს ისე, რომ მოსწავლეებმა (და მასწავლებლებმა) შეძლონ აღნიშნული რესურსის ეფექტურად გამოყენება.

შედეგი	ქართ. IV. 14. მოსწავლეს შეუძლია წერის საწყისი სტრატეგიების გამოყენება.
ინდიკატორები	<ul style="list-style-type: none"> <li>შეადგენს წერითი დავალების მოკლე გეგმას;</li> <li>წერის დაწყებამდე განსაზღვრავს ტექსტის დანიშნულებას და ადრესატს მიზნობრივი ტექსტებისთვის;</li> <li>უბრუნდება ნაწერს კორექტირებისთვის, ასწორებს მარტივი ტიპის შეცდომებს (ჩამატებს, ამოშლის ან გადასვამს ტექსტში ასოს, სიტყვას, ფრაზას/წინადადებას);</li> </ul>

**თავი III. რეაქციები სტანდარტის შედეგების მისაღწევაზე**

	<ul style="list-style-type: none"> <li>ამჩნევს და ასწორებს საკუთარ შეცდომებს (მაგ., სუბიექტსა და ზმნას შორის შეუთანხმებლობას, მსაზღვრელ-საზღვრულს შორის შეუთანხმებლობას, ორთოვრაფიული ხასიათის შეცდომებს და სხვ.);</li> <li>ხმამაღლა კითხულობს საკუთარ ნაწერს, ცვლის ტექსტის ამა თუ იმ მონაკვეთს ესთეტიკური თვალსაზრისით უკეთესი ვარიანტით.</li> </ul>
<b>აქტივობები</b>	<p>აქტივობები, რომლებიც მოსწავლისგან მოითხოვს:</p> <ul style="list-style-type: none"> <li>ენობრივ-გრამატიკული, სინტაქსური და სტილისტური ნორმების დაცვას წერის დროს;</li> <li>ტექსტის გააზრებას;</li> <li>ადეკვატური ლექსიკური ერთეულების გამოყენებას;</li> <li>ნაწერის რედაქტირების ხერხების გამოყენებას;</li> <li>თვითშეფასებას/ურთიერთშეფასებას;</li> <li>სხვ.</li> </ul>

**V კლასი****მიმართულება: ზეპირმატყველება**

<b>შეფეგი</b>	ქართ. V. 1. მოსწავლეს აქვს ასაკის შესაფერისი სირთულის ტექსტების მოსმენისა და ინტერპრეტაციის საწყისი უნარი
<b>ინდიკატორები</b>	<ul style="list-style-type: none"> <li>ისმენს სხვადასხვა ხასიათის საინფორმაციო ტექსტებს და ერთმანეთისაგან განარჩევს ფაქტებსა და დამოკიდებულებებს (შეფასებებს);</li> <li>სვამს კითხვებს მოსმენილი ტექსტის უკეთ გასააზრებლად / ამა თუ იმ საკითხის დასაზუსტებლად;</li> <li>გამოხატავს საკუთარ დამოკიდებულებას საინფორმაციო ტექსტებში გაადმოცემული ფაქტების მიმართ (დადებითად/უარყოფითად ვაფასებ; აღმაფრთვობანა/აღმამდებობა და სხვ.);</li> <li>ისმენს ერთსა და იმავე თემაზე შექმნილ ლიტერატურულ ტექსტებს და პოულობს მსგავსება-განსხვავებას მათ შორის;</li> <li>წარმოაჩენს ნაწარმოების პერსონაჟს სხვადასხვა კუთხით (მიუთითებს მის როგორც დადებით, ისე უარყოფით თვისებებზე).</li> </ul>
<b>აქტივობები</b>	<p>აქტივობები, რომლებიც მოსწავლისგან მოითხოვს:</p> <ul style="list-style-type: none"> <li>დადებითი / უარყოფითი ემოციის ზეპირად გადმოცემას;</li> <li>მოსმენილ ტექსტში ასახული დამოკიდებულებების, ფაქტების, შეფასების ადეკვატურად გადმოცემას;</li> <li>თანატოლებთან ერთად წაკითხული ინფორმაციის მოკლედ, რე-</li> </ul>

**თავი III. რეარმენაციის სტანდარტის შედევრის მისაღწევად**

	<p>ზიუმეს სახით გადმოცემას და ძირითადი საკითხების შესახებ როგორც ინდივიდუალურად, ისე წყვილებში მუშაობას;</p> <ul style="list-style-type: none"> <li>● მოსმენილის შეფასებას სხვადასხვა პოზიციიდან;</li> <li>● სხვ.</li> </ul>
<b>შედეგი</b>	<b>ქართ. V. 2. მოსწავლეს შეუძლია ჯგუფური და ინდივიდუალური საკო- მუნიკაციო ამოცანების განხორციელება.</b>
<b>ინდიკატორები</b>	<ul style="list-style-type: none"> <li>● ჯგუფთან ერთად ამზადებს ზეპირ გამოსვლას: დამოუკიდებლად დაამუშავებს თემის ერთ-ერთ ნაწილს, მოპოვებულ მასალას და შემუშავებულ თვალსაზრისს გააცნობს და შეუთანხმებს ჯგუფის წევრებს;</li> <li>● გამოდის წყვილის, ჯგუფისა თუ კლასის მომხსენებლის როლში; ითვალისწინებს და გამოხატავს თანაგუნდელების საერთო აზრს;</li> <li>● მიზნის შებამისად ირჩევს სასაუბრო (ეტიკეტური დიალოგების) და მხატვრულ (განცდებსა და შთაბეჭდილებებზე საუბრის) სტილს;</li> <li>● კითხვის დასმის, თხოვნის, ბრძანების, გრძნობების გადმოცემის დროს იცავს სიტყვათა რიგს და ამ მოდალობებისთვის დამახასი-ათებელ ინტონაციას.</li> </ul>
<b>აქტივობები</b>	<p>აქტივობები, რომლებიც მოსწავლისგან მოითხოვს:</p> <ul style="list-style-type: none"> <li>● ამა თუ იმ თემის / საკითხის / ტექსტში წამოჭრილი პრობლემის ირგვლივ ინდივიდუალური / ჯგუფური გამოსვლის მომზადებას;</li> <li>● საკუთარი თვალსაზრისის არგუმენტირებას, მის შეჯერებას ჯგუფის წევრებთან;</li> <li>● რიგითობის / დადგენილი წესების დაცვას;</li> <li>● აზრის დასაზუსტებლად კითხვის დასმის, შესაბამისი ეტიკეტური ფორმულების გამოყენებას: "თუ სწორად გავიგე...", "როგორც მე მივხვდი...";</li> <li>● სხვ.</li> </ul>
<b>შედეგი</b>	<b>ქართ. V. 3. მოსწავლეს შეუძლია ენობრივ-გრამატიკული ფორმების ალქმა და მართებულად გამოყენება შესაბამის სამეტყველო სიტუა- ციებში.</b>
<b>ინდიკატორები</b>	<ul style="list-style-type: none"> <li>● მართებულად შეარჩევს ბრუნვის ფორმებს კონტექსტური მნიშვ-ნელობების გამოსახატავად;</li> <li>● ამოიცნობს და შესაბამის კონტექსტებში მართებულად იყენებს ზმინის დრო-კილოთა სათანადო ფორმებს (მაგ., გააკეთა - აკეთებ-და - გაუკეთებია და სხვ.);</li> </ul>

**თავი III. რეკომენდაციები სტანდარტის შედეგების მისაღწევაზე**

	<ul style="list-style-type: none"> <li>• სწორად იყენებს არაწესიერი წარმოების (ქონა-ყოლისა და გრძნობა-აღქმის) ზრდათა ფორმებს;</li> <li>• საუბრის თემის, ადრესატისა და მიზნის მიხედვით ირჩევს შესაბამის სტილს.</li> </ul>
<b>აქტივობები</b>	<p>აქტივობები, რომლებიც მოსწავლისგან მოითხოვს:</p> <ul style="list-style-type: none"> <li>• მოსმენილი ამბის დროის შეცვლას და შერჩეული დროის ფორმების სწორად წარმოებას;</li> <li>• მსაზღვრელ-საზღვრულის (ლამაზი სახლი, პატარა ეზო, ხის სათამაშო), მოქმედების აღმნიშვნელი ზმნური ფორმებისა და გარემოებების ადეკვატურად გამოყენებას;</li> <li>• ზმნურ ფორმებთან სუბიექტ-ობიექტების სწორად შეხამებას (ვწერ წერილს, დავწერ წერილი, დამიწერია წერილი);</li> <li>• სხვ.</li> </ul>

<b>შედეგი</b>	<b>ქართ. V. 4. მოსწავლეს აქვს ლიტერატურული ნაწარმოების ესთეტიკური შეფასების საწყისი უნარი</b>
<b>ინდიკატორები</b>	<ul style="list-style-type: none"> <li>• ისმენს მხატვრულ ნაწარმოებს (ლექსის, ნოველას, მოთხოვნებას) და გამოხატავს საკუთარ ემოციებსა და შთაბეჭდილებებს;</li> <li>• საუბრობს პოეტურ ნაწარმოებში გამოხატულ განწყობაზე;</li> <li>• მონაწილეობს ლიტერატურული ნაწარმოების შესახებ გამართულ დისკუსიაში, გამოხატავს საკუთარ დამოკიდებულებას ამათულ იმ პერსონაჟის მიმართ;</li> <li>• ასახელებს სხვადასხვა თვალსაზრისით მისთვის საინტერესო ადგილებს ტექსტიდან.</li> </ul>
<b>აქტივობები</b>	<p>აქტივობები, რომლებიც მოსწავლისგან მოითხოვს:</p> <ul style="list-style-type: none"> <li>• მოსმენილთან დაკავშირებით საკუთარი ემოციებისა და შთაბეჭდილებების შესახებ საუბარს;</li> <li>• პერსონაჟის ხასიათის, მისთვის დამახასიათებელი თვისებების შესახებ საუბარს კონკრეტული ეპიზოდის მიხედვით;</li> <li>• ლიტერატურულ დისკუსიაში მონაწილეობას, ამათულ იმ პერსონაჟის შესახებ მოსაზრების ჩამოყალიბებას და ამ მოსაზრების ახსნას;</li> <li>• სხვ.</li> </ul>

<b>შედეგი</b>	<b>ქართ. V. 5. მოსწავლეს შეუძლია სადისკუსიო სტრატეგიების ამოცნობა და გამოყენება.</b>
<b>ინდიკატორები</b>	<ul style="list-style-type: none"> <li>• ჯგუფთან ერთად ირჩევს საკამათო თემას; განსაზღვრავს დისკუ-</li> </ul>

## თავი III. რეკომენდაცია სტანდარტის შედეგების მისაღევად

	<p>სიის წესებს: რეგლამენტს, რიგითობას, ეტიკეტს; იცავს კორექტულობას და ა. შ.;</p> <ul style="list-style-type: none"> <li>● მოსმენისას ჩაინიშნავს საყრდენ სიტყვებს, საყრდენ ფრაზებს;</li> <li>● მოსმენისას ამოიცნობს დისკუსიაში გამოთქმულ თვალსაზრისს და ჩაინიშნავს არგუმენტებს;</li> <li>● ყურადღებით ისმენს ჯგუფის თითოეული წევრის აზრს, ალაგებს გამოთქმულ მოსაზრებებს გარკვეული პრინციპით (ვის აქვს განსხვავებული მოსაზრება, რამდენი თვალსაზრისი გამოითქვა ჯგუფში...);</li> <li>● ადგენს მარტივ გეგმას ამ მოსაზრებათა წარმოსადგენად;</li> <li>● ქმნის ან მოიძიებს ვიზუალურ მასალას სადისკუსიო თემის შესახებ.</li> </ul>
აქტივობები	<p>აქტივობები, რომლებიც მოსწავლისგან მოითხოვს:</p> <ul style="list-style-type: none"> <li>● დისკუსიაში ინდივიდუალურად ან ჯგუფურად მონაწილეობას;</li> <li>● ამა თუ იმ საკითხთან დაკავშირებით ჯგუფის / საკუთარი თვალსაზრისის ზეპირად წარმოდგენას;</li> <li>● დისკუსიის მსვლელობისას სადაც საკითხების იდენტიფიკაციას და პრობლემის გადაწყვეტის გზების ძიებას;</li> <li>● დისკუსიაში გამოთქმულ თითოეულ თვალსაზრისთან დაკავშირებით მოხმობილი არგუმენტების იდენტიფიკაციას;</li> <li>● დისკუსიის წესების შემუშავებაში მონაწილეობის მიღებას და ამ წესების დაცვას;</li> <li>● დისკუსიაში მონაწილე ჯგუფის / თითოეული წევრის აქტიურობის შეფასებას წინასწარ შემუშავებული კრიტერიუმების მიხედვით;</li> <li>● სხვ.</li> </ul>

## მიზართულება: პითევა

შედეგი	ქართ. V. 6. მოსწავლეს გამომუშავებული აქვს ხმამაღალი კითხვის საწყისი უნარ-ჩვევები.
ინდიკატორები	<ul style="list-style-type: none"> <li>● ხმამაღლა, გამართულად და გამომეტყველებით უკითხავს თანაკლასელებს შერჩეულ ნაწყვეტს ნაცნობი ტექსტიდან;</li> <li>● ცდილობს დაიცვას შესაბამისი ინტონაცია სხვადასხვა მოდალობის წინადადების წარმოთქმის დროს;</li> <li>● შინაარსის შესაბამისად ცვლის სხეულის ენას (მიმიკას, ჟესტიკულაციას).</li> </ul>
აქტივობები	<p>აქტივობები, რომლებიც მოსწავლისგან მოითხოვს</p> <ul style="list-style-type: none"> <li>● მხატვრული კითხვის დღეებში / შეჯიბრებში მონაწილეობას;</li> <li>● მოსმენილის მიხედვით გამოტოვებული სასვენი ნიშნების ჩასმას ტექსტში;</li> </ul>

## თავი III. რეკომენდაციები სტაციარიტის შედევრის მისაღწევად

	<ul style="list-style-type: none"> <li>მოსმენილი ლექსის ჩაწერას და სათანადოდ გაფორმებას;</li> <li>როლურ თამაშებში მონაწილეობას;</li> <li>სხვ.</li> </ul>
შედეგი	<p>ქართ. V. 7. მოსწავლეს შეუძლია მისთვის საინტერესო თემატიკის შემცველი სხვადასხვა სახის არამხატვრული ტექსტების (საყმანვილო ჟურნალების, დარგობრივ-შემეცნებითი სტატიების, სხვადასხვა შინაარსის ცნობარების, ინტერვიუებისა და სხვ.) წაკითხვა და გააზრება.</p>
ინდიკატორები	<ul style="list-style-type: none"> <li>გამოყოფს და ასახელებს ტექსტის მთავარ საკითხებს;</li> <li>ამოიცნობს ტექსტის ზედაპირზე (ექსპლიციტურად) მოცემულ ფაქტობრივ ინფორმაციას;</li> <li>აკავშირებს ერთმანეთთან ფაქტებს, მოვლენებს, მოქმედებებს და გამოაქვს სათანადო დასკვნები;</li> <li>განსაზღვრავს ტექსტის ერთ მონაკვეთში ან მის სხვადასხვა ნაწილში ასახულ მოვლენებს / ფაქტებს შორის არსებულ ლოგიკურ კავშირებს (მიზეზ-შედეგობრივს, შეპირისპირებითს, პირობითსა და სხვ.);</li> <li>განარჩევს ფაქტს თვალსაზრისისაგან;</li> <li>განასხვავებს საგანთა / მოვლენათა გარეგნულ და შინაარსობრივ მახასიათებლებს;</li> <li>აჯგუფებს ინფორმაციას კონკრეტული ნიშნით;</li> <li>ტექსტის მთლიანი გააზრების საფუძველზე გამოაქვს დასკვნა.</li> </ul>
აქტივობები	<p>აქტივობები, რომლებიც მოსწავლისგან მოითხოვს:</p> <ul style="list-style-type: none"> <li>ფაქტების ცხრილის შედგენას (აჯგუფებს, რომელი ფაქტები ეთანხმება ერთმანეთს, რომელი - ეწინააღმდეგება / გამორიცხავს ერთმანეთს);</li> <li>ფაქტებს შორის ურთიერთკავშირის ამსახველი სქემების შედგენას;</li> <li>სარწმუნო და მცდარი დასკვნების ერთმანეთისაგან გარჩევას;</li> <li>ინფორმაციის სხვადასხვა ნიშნით კლასიფიკაციას;</li> <li>სხვ.</li> </ul>
შედეგი	<p>ქართ. V. 8. მოსწავლეს შეუძლია სხვადასხვა ჟანრის მხატვრული ტექსტების წაკითხვა და ადეკვატურად გაგება-განალიზება.</p>
ინდიკატორები	<ul style="list-style-type: none"> <li>გააზრებულად აკავშირებს სათაურს ტექსტთან;</li> <li>განარჩევს მთავარ და მეორეხარისხოვან პერსონაჟებს;</li> </ul>

**თავი III. რეკომენდაციათა სტანდარტის შედეგების მისაღწევად**

	<ul style="list-style-type: none"> <li>● ამოკრებს კონკრეტულ ინფორმაციას (სად, როდის, რამდენი, რამდენჯერ, როგორი, რითი და სხვ.);</li> <li>● განმარტავს პერსონაჟთა ქცევის მოტივს და აფასებს მათს საქციელს;</li> <li>● ახასიათებს პერსონაჟებს როგორც ექსპლიციტურად მოცემულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, ისე შინაარსის გააზრების საფუძველზე;</li> <li>● ყოფს ტექსტს შინაარსობრივ ნაწილებად;</li> <li>● გამოაქვს დასკვნა პერსონაჟებს შორის არსებული ურთიერთობის შესახებ;</li> <li>● გამოყოფს ნაწარმოებში სიუჟეტის განვითარების საფეხურებს (დასაწყისს, შუა ნაწილს, დასასრულს);</li> <li>● საკუთარი სიტყვებით გადმოსცემს ტექსტის შინაარსს;</li> <li>● იმახსოვრებს და საკუთარი სიტყვებით გადმოსცემს არსებით ინფორმაციას ტექსტის ცალკეული მონაკვეთიდან;</li> <li>● განავრცობს შეკუმშულად, მოკლედ გადმოცემულ ამბავს;</li> <li>● განსაზღვრავს, რა იცის / რა არ იცის ცალკეულმა პერსონაჟმა;</li> <li>● ამოიცნობს და განმარტავს ლიტერატურულ და ხალხურ ზღაპარს შორის მსგავსება-განსხვავებას.</li> </ul>
<b>აქტივობები</b>	<p>აქტივობები, რომლებიც მოსწავლისგან მოითხოვს:</p> <ul style="list-style-type: none"> <li>● ტექსტის დაყოფას შინაარსობრივად დასრულებულ ნაწილებად;</li> <li>● ტექსტის ნაწილების დასათაურებას;</li> <li>● ტექსტში გამოტოვებული (ავტორის მიერ ნაგულისხმევი) ეპიზოდების აღდგენას;</li> <li>● ტექსტის შევსებას ან გავრცობას სიუჟეტის გააზრების საფუძველზე;</li> <li>● პერსონაჟის დამახასიათებელი თვისებების/ნიშნების დაჯგუფებას იმის მიხედვით, თუ რა წერია პირდაპირ ნაწარმოებში, რაზეა მინიშნება და რა არ ჩანს საერთოდ, მაგრამ იგულისხმება;</li> <li>● ტექსტის კონკრეტული ეპიზოდის შინაარსის გადმოცემას;</li> <li>● ტექსტის შინაარსის დანაწევრებას სიუჟეტურ ხაზებად;</li> <li>● სხვ.</li> </ul>
<b>რეკომენდაციები:</b>	<p>მხატვრული ტექსტის გააზრებაზე მუშაობისას ყურადღება უნდა მიექცეს იმას, რომ მოსწავლეებს გამოუმუშავდეთ ქვეტექსტის (იმპლიციტური ინფორმაციის) წვდომის, მისი "ამოკითხვის" უნარიც, რაც ტექსტის შედარებით ღრმა ანალიზს მოითხოვს.</p>

შედეგი	ქართ. V. 9. მოსწავლეს აქვს წაკითხული მხატვრული ტექსტის ინტერპრეტაციის საწყისი უნარი.
ინდიკატორები	<ul style="list-style-type: none"> <li>ასახელებს ნაწარმოების თემას;</li> <li>ავლებს პარალელს თემატურად მსგავს ნაწარმოებებთან;</li> <li>მსჯელობს მისთვის საინტერესო საკითხების შესახებ და გამოხატავს საკუთარ პოზიციას;</li> <li>აფასებს ნაწარმოებში განვითარებულ მოვლენებს სხვადასხვა პერსონაჟის პოზიციიდან;</li> <li>ამოიცნობს და ასახელებს მარტივ მხატვრულ სიმბოლოებს.</li> </ul>
აქტივობები	<p>აქტივობები, რომლებიც მოსწავლისაგან მოითხოვს:</p> <ul style="list-style-type: none"> <li>მსგავს თემაზე შექმნილი ნაწარმოებების გამაერთიანებელი და განმასხვავებელი ნიშნების გამოყოფას;</li> <li>სხვადასხვა თემაზე შექმნილ ნაწარმოებებში რაიმე ნიშნით მსგავსი პერსონაჟების შედარებას;</li> <li>ლიტერატურულ სასამართლოში მონაწილეობას;</li> <li>ნაწარმოების შინაარსის გადმოცემას მეორეხარსიხოვანი პერსონაჟების / უსულო საგნების პირით;</li> <li>ნაწარმოების ეპიზოდის ინტერპრეტაციის განსხვავებული ვერსიების („გაფუჭებული ტელეფონის“ პრინციპით) შექმნას და საბოლოო ვერსიის შედარებას ტექსტითან;</li> <li>მხატვრული სიმბოლოების შემცველი ფრაზების ახსნას და გადმოცემას საკუთარი სიტყვებით;</li> <li>სხვ.</li> </ul>

შედეგი	ქართ. V. 10. მოსწავლეს შეუძლია სხვადასხვა ხასიათის ტექსტის სტრუქტურული და ენობრივი თავისებურებების ამოცნობა.
ინდიკატორები	<ul style="list-style-type: none"> <li>ამოიცნობს და ასახელებს ამა თუ იმ მიზნობრივი ტექსტისთვის დამახასიათებელ ენობრივ-სტილურ საშუალებებს (ხშირად გამოყენებულ გრამატიკულ ფორმებს, ლექსიკას; მაგ., ამჩნევს, რომ მოძრაობის წესებისა თუ სხვა აუცილებლად შესასრულებელი მოთხოვნების ტექსტში უმეტესწილად გამოიყენება ნართებითი ან უკუთქმითი ბრძანებითი კილოს ფორმები: „შეჩერდით“, „ნუ გადახვალთ“, „დაუკვირდით“, „დაელოდეთ“. შესაბამისად, იმპერატიული შინაარსისაა ამგვარ ტექსტში ყველაზე ხშირად გამოყენებული ზმნებიც: „უნდა“, „საჭიროა“, „დაუშვებელია“, „აუცილებელია“ და ა. შ.);</li> <li>ერთი ტექსტის ფარგლებში გამოყოფს ტექსტის ფუნქციურ ტიპებს (თარობას, აღნერას) და მიუთითებს შესაბამის ნიშნებზე (მაგ., აღნერისას ზედსართავებისა და ნაზმნარი ზედსართავების,</li> </ul>

	<p>ანუ მიმღეობების სიჭარბეზე, ზმნების ნაკლებ რაოდენობაზე; თხრობისას ზმნების სიჭარბეზე, მოქმედების თანამიმდევრულობასა და მის მარკერებზე და სხვ.);</p> <ul style="list-style-type: none"> <li>• ამოიცნობს ტექსტში ძირითად მოდალობებს და განმარტავს მათ;</li> <li>• ადარებს სიტყვებს მორფოლოგიური აგებულების მიხედვით (სახელის ბრუნვის ფორმების, სახელური სიტყვანარმოების ძირითადი წესებისა და სხვ.);</li> <li>• ამოიცნობს არსებით, ზედსართავ, რიცხვით სახელებს; ჩაანაცვლებს მათ შესაბამისი ნაცვალსახელებით (კაცი - ის; მაღალი - ასეთი; ექვსი - ამდენი და სხვ.);</li> <li>• ამოიცნობს და იყენებს მნიშვნელოვან სინტაქსურ მიმართებებს სიტყვათა შორის (ზმნასა და სახელს შორის შეთანხმებას პირსა და რიცხვში, რიცხვითი და / ან ზედსართავი სახელისა და არსებითი სახელის ბრუნვების წესებს...); შეუძლია კითხვების მეშვეობით ამოიცნოს ზოგიერთი გრამატიკულ-სემანტიკური კატეგორია („ვინ“ და „რა“ ჯგუფის სახელები, ზმნის დროები და ა.შ.);</li> <li>• განარჩევს ზმნის უმთავრეს კატეგორიებს (პირს, რიცხვს, დროს, კილოს...);</li> <li>• განარჩევს არაწესიერი წარმოების (ქონა-ყოლისა და გრძნობა-აღქმის) ზმნათა ფორმებს.</li> </ul>
აქტივობები	<p>აქტივობები, რომლებიც მოსწავლისაგან მოითხოვს:</p> <ul style="list-style-type: none"> <li>• მეტყველების ნაწილების მართებულად გამოყენებას წინადადების აგებისას;</li> <li>• მეტყველების ნაწილების დაჯგუფებას;</li> <li>• მეტყველების ნაწილების წარმოებას;</li> <li>• თხრობითი ტექსტის გადაკეთებას აღნერითად და პირიქით;</li> <li>• სიტყვებისგან / ფრაზებისგან წინადადებების აგებას;</li> <li>• გრამატიკული შეცდომების პოვნასა და გასწორებას;</li> <li>• შეცდომების ამოცნობასა და გასწორებას;</li> <li>• სხვ.</li> </ul>
შედეგი	ქარ. V. 11. მოსწავლეს შეუძლია ტექსტის ვერბალური და არავერბალური ნაწილების ერთმანეთთან დაკავშირება, ინტერპრეტირება და მსჯელობა მათს ურთიერთმიმართებაზე; აქვს მედიანიგნირების საწყისი უნარ-ჩვევები.
ინდიკატორები	<ul style="list-style-type: none"> <li>• აკვირდება ტექსტზე დართულ ილუსტრაციებს და მსჯელობს, რამდენად ასახავს ილუსტრაცია ტექსტის განწყობას, რას გვეუბნება იგი ტექსტში აღნერილი ადგილის, დროის, ამბის, პერსონაჟთა ხასიათების, მათი ურთიერთდამოკიდებულებისა და ემოციების შესახებ; აფასებს, რამდენად ეხმარება მას ილუსტრაცია</li> </ul>

## თავი III. რეაქციები სტანდარტის შედეგების მისაღწევაზე

	<p>ტექსტის აღქმაში და/ან იძლევა თუ არა იგი დამატებით მასალას ტექსტის შესახებ;</p> <ul style="list-style-type: none"> <li>ილუსტრაციებზე დაყრდნობით გამოთქვამს ვარაუდს უცნობი / შესასწავლი ტექსტის შინაარსის, თემატიკის, ადგილის, დროის, პერსონაჟთა ხასიათების, ურთიერთდამოკიდებულებისა და ემოციების შესახებ; ტექსტის გაცნობის შემდეგ მსჯელობს, რამდენად გამართლდა მისი ვარაუდი;</li> <li>ქმნის წაკითხული ან მოსმენილი ტექსტის ილუსტრაციას/ილუსტრაციებს (შესაძლებელია, კომპიუტერული გრაფიკული რედაქტორის გამოყენებით); ახსნის, რა კავშირშია მის მიერ შექმნილი ილუსტრაცია/ილუსტრაციები ტექსტთან ან ტექსტის ცალკეულ ეპიზოდთან;</li> <li>ქმნის სხვადასხვა სახის მიზნობრივ ტექსტებს (მაგალითად, სარეკლამო განცხადებას, მოსაწვევს სასკოლო ღონისძიების პრეზენტაციაზე და სხვ.) ელექტრონულ ფორმატში, სათანადოდ აფორმებს მათ და დააგზავნის თანაკლასელებთან ელექტრონული ფოსტით;</li> <li>აკვირდება და აფისებს თანატოლის მიერ შექმნილ მიზნობრივ ტექსტს იმ თვალსაზრისით, თუ რამდენად უწყობს ხელს ტექსტის სტრუქტურა მისი შინაარსის აღქმას (ილუსტრაციისა და ტექსტის ურთიერთმიმართების, შრიფტის სახესზეაობის, რუბრიკების, ტექსტის აბზაცებად/სვეტებად დაყოფის, ნაწილების დასათაურებისა და ა.შ. საფუძველზე).</li> </ul>
აქტივობები	<p>აქტივობები, რომლებიც მოსწავლისაგან მოითხოვს:</p> <ul style="list-style-type: none"> <li>ილუსტრაციის მიხედვით ნაწარმოების განწყობის ამოცნობას;</li> <li>ილუსტრაციების მიხედვით წაკითხი ნაწარმოების შინაარსის ამოცნობას;</li> <li>ილუსტრაციების შერჩევას წაკითხული ნაწარმოებისთვის;</li> <li>ნაწარმოების წაკითხვით აღძრული ემოციების გადმოსაცემად ფერების, მუსიკის, სხვადასხვა ხმოვანი ეფექტების შერჩევას;</li> <li>ნაწარმოებისთვის მუსიკალური ფონის შერჩევას;</li> <li>ნაწარმოებისთვის ანიმაციური კლიპის შექმნას;</li> <li>მიზნობრივი ტექსტების შექმნას ელექტრონულ ფორმატში;</li> <li>საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენებას;</li> <li>სხვ.</li> </ul>
რევოლუციები:	<p>ტექსტის არავერბალური ელემენტების გამოყენება მისი შინაარსის აღქმისა და გააზრების ერთ-ერთი საუკეთესო საშუალებაა და, ბუნებრივია, ნებისმიერი მკითხველი, გაცნობიერებულად თუ გაუცნობიერებლად, ხშირად მიმართავს ამ ხერხს. დამწები მკითხველი ინტენსიურად იყენებს ტექსტის არავერბალურ ნაწილებს, როგორც რეცეფციის დამხმარე საშუალებას. კითხვის უნარების განვითარებასთან ერთად კი მკითხველს უკვე შეუძლია შეაფასოს, რამდენად არის დაცულ შესაბამისობა ტექსტის ორ კომპონენტს შორის.</p>

შედეგი	ქართ. V. 12. მოსწავლეს შეუძლია კითხვის სხვადასხვა სტრატეგი-ის გამოყენება ტექსტის უკეთ გააზრების მიზნით.
ინდიკატორები	<ul style="list-style-type: none"> <li>სხვადასხვა საშუალებით (კონტექსტის გათვალისწინებით, კითხვის დასმით, ლექსიკონით) ცდილობს უცნობი სიტყვებისა და გამოთქმების მნიშვნელობის გარკვევას;</li> <li>სხვადასხვა ელემენტის (სათაურის, აბზაცების, დასაწყისის, საკვანძო სიტყვების, ერთ-ერთი აპზაცის, გამოყოფილი სიტყვების) მოშველიებით გამოთქვამს ვარაუდს ტექსტის/ტექსტის მონაკვე-თის შინაარსის შესახებ;</li> <li>დასმულ კითხვებს აჯგუფებს იმის მიხედვით, თუ რა ტიპის ოპე-რაციას მოითხოვს ისინი (ტექსტში მოცემული ინფორმაციის მოძიებას; რამდენიმე სახის ინფორმაციის ერთმანეთთან დაკავ-შირებას; დასკვნების გამოტანას ტექსტში მოცემული ინფორმა-ციის საკუთარ გამოცდილებასთან დაკავშირების საფუძველზე);</li> <li>კონკრეტული ინფორმაციის მოსაძიებლად თვალს გადაავლებს ტექსტის სტრუქტურას, სიტყვიერ და არასიტყვიერ მაორგანიზე-ბელ ელემენტებს და მათზე დაყრდნობით პოულობს და ამოკრებს მას;</li> <li>იყენებს სხვადასხვა ხერხს, რომლებიც ხელს უწყობს ტექსტის გაგებას (მაგ., წარმოსახვაში აცოცხლებს ტექსტში გადმოცემულ ამბებს, ახდენს ტექსტში გადმოცემული ამბის ინსცენირებას, სა-კუთარი სიტყვებით გადმოსცემს ტექსტის ცალკეული მონაკვე-თის შინაარსს, აკვირდება დასმულ კითხვას იმის დასადგენად, თუ რა ტიპის ოპერაციას მოითხოვს იგი და სხვ.);</li> <li>საკითხავი დავალებების შესრულების შემდეგ მონაწილეობს გა-მოყენებული სტრატეგიების განხილვაში (ვინ რა მიდგომა/ხერხი გამოიყენა); გამოთქვამს მოსაზრებას იმის შესახებ, თუ რომელი მიდგომა იყო ან იქნებოდა უფრო მისადაგებული/ეფექტური და რატომ;</li> <li>კონკრეტული ინფორმაციის მოსაპოვებლად იყენებს საბავშვო ენციკლოპედიის სტატიებს;</li> <li>სხვადასხვა საშუალებით (ენციკლოპედიების, ლექსიკონების, ინ-ტერნეტის მეშვეობით) აზუსტებს მისთვის გაუგებარ ან ბუნდო-ვან ადგილებს სტატიიდან;</li> <li>სარგებლობს ბიბლიოთეკით და დამოუკიდებლად, საკუთარი ინ-ტერნეტების შესაბამისად ირჩევს საკითხავ ლიტერატურას.</li> </ul>
აქტივობები	<p>აქტივობები, რომლებიც მოსწავლისაგან მოითხოვს:</p> <ul style="list-style-type: none"> <li>წაკითხვის გარეშე ტექსტის თემის ამოცნობას;</li> <li>ტექსტში ინფორმაციის მიგნებას საკვანძო სიტყვების მეშვეო-ბით;</li> </ul>

**თავი III. რეკომენდაციები სტაციარტის შეღებების მისაღწევაზე**

	<ul style="list-style-type: none"> <li>● მორფოლოგიის და სინტაქსის ცოდნის გამოყენებას უცნობი სიტყვის მნიშვნელობის ამოსაცნობად;</li> <li>● ლექსიკონის ინდექსის გამოყენებას;</li> <li>● კომპიუტერული საძიებო სისტემების გამოყენებას;</li> <li>● კრიტიკულმების შემუშავებას ინფორმაციის წყაროს საიმედოობის შესაფასებლად;</li> <li>● სხვ.</li> </ul>
--	--

**მიმღები მიზანი: წერა**

შედეგი	ქართ. V. 13. მოსწავლეს შეუძლია სხვადასხვა სახის ტექსტების დამოუკიდებლად შექმნა.
ინდიკატორები	<ul style="list-style-type: none"> <li>● წერის დაწყებამდე ირჩევს თემას; განსაზღვრავს მიზანს, აუდიტორიას, ირჩევს სასურველ ჟანრს;</li> <li>● ამა თუ იმ ჟანრის ტექსტის შექმნისას იყენებს სხვადასხვა მხატვრულ ხერხს (ეპითეტს, შედარებას, გაპიროვნებას, რითმასა და სხვ.);</li> <li>● წერს ჩანახატებსა და ფელეტონებს საკლასო გაზეთისა და ჟურნალისათვის;</li> <li>● წერისას აქცენტს აკეთებს მთავარ და არსებით მომენტებზე;</li> <li>● თანამიმდევრობით გადმოსცემს ფაქტებსა და მოვლენებს;</li> <li>● იცნობს და მართებულად იყენებს შეფასების / დამოკიდებულების გამომხატველ ენობრივ ფორმულებს (მაგ. „არ გეთანხმები“, „მეც ასე მგონია“, „მეეჭვება“, „არ მჯერა“, „შესაძლოა ასეც იყოს, მაგრამ...“ და ა. შ).</li> </ul>
აქტივობები	<p>აქტივობები, რომლებიც მოსწავლისაგან მოითხოვს:</p> <ul style="list-style-type: none"> <li>● ვერბალური და არავერბალური ინფორმაციის ადეკვატურად აღქმას, გაანალიზებასა და გადმოცემას;</li> <li>● ტექსტის გააზრებას;</li> <li>● ტექსტის შინაარსის ლაკონიურად და თანამიმდევრულად გადმოცემას წერილობითი გზით;</li> <li>● სხვ.</li> </ul>

შედეგი	ქართ. V. 14. მოსწავლეს შეუძლია წერითი დავალების ამოცანის განსაზღვრა და ფუნქციური სტილის არჩევა.
ინდიკატორები	<ul style="list-style-type: none"> <li>● შინაარსობრივი, ენობრივი და ფორმალური ნიშნების მიხედვით ირჩევს სასაუბრო (ეტიკეტური დიალოგების), სასწავლო-სამეცნიერო (რაღაცის ახსნის ან დამტკიცების მიზნით მსჯელობის) და</li> </ul>

	<ul style="list-style-type: none"> <li>მხატვრულ (განცდილი შთაბეჭდილების გადმოსაცემ) ენას;</li> <li>ადეკვატურად ცვლის ენას ერთი ტექსტის ფარგლებში, როცა ნაწერში ერთმანეთს ენაცვლება მსჯელობა, შთაბეჭდილებების გადმოცემა ან დიალოგი;</li> <li>ტექსტის მიზნის გათვალისწინებით შეარჩევს სათანადო ლექსიკურ ერთეულებს და გრამატიკულ ფორმებს (მაგ., დიასახლისებისთვის განკუთვნილ რეცეპტს ან რჩევა-დარიგებებს სხვადასხვა ასაკის ადამიანებისთვის წერს სასურველი მოქმედების გამომხატველი კავშირებითის ფორმებით და იყენებს შესაბამისი შინაარსის მქონე ლექსიკას: „სასურველია“, „კარგი იქნებოდა“ და ა.შ.);</li> <li>მსგავსი მნიშვნელობის სიტყვებიდან კონტექსტის მიხედვით შეარჩევს სათანადო ლექსიკურ ერთეულს;</li> <li>სწრეს წერილებს სხვადასხვა ასაკისა და მდგომარეობის ადამიანებს; წერილში ეტიკეტის დაცვით ეპაექრება/ეთანხმება ადრესატს და მართებულად იყენებს შესაბამის ფორმულებს (მაგ., „მეცა ასე მგონია“, „არ მჯერა“, „შეიძლება, მაგრამ...“ და ა.შ.).</li> </ul>
აქტივობები	<p>აქტივობები, რომლებიც მოსწავლისაგან მოითხოვს:</p> <ul style="list-style-type: none"> <li>ინფორმაციის შეკრებას, დახარისხებასა და ორგანიზებას;</li> <li>თვითგამოხატვას;</li> <li>ტექსტის გაანალიზებას;</li> <li>დასახული მიზნის ადეკვატური ლექსიკური ერთეულების, ენობრივ-გრამატიკული ფორმებისა და გრამატიკული ელემენტების გამოყენებას;</li> <li>მთხოვლის ჩანაცვლებას;</li> <li>შემოქმედებითობას;</li> <li>არსებითი საკითხების გამოკვეთას;</li> <li>სხვ.</li> </ul>
შედეგი	ქართ. V. 15. მოსწავლეს შეუძლია გრამატიკული წესების მართებულად გამოყენება და მართლწერის ნორმების დაცვა.
ინდიკატორები	<ul style="list-style-type: none"> <li>აქტიურად იყენებს მეტყველების ნაწილთა ძირითად ფორმობრივ თავისებურებებს (სახელთა ბრუნებას, სიტყვანარმოებას, სხვადასხვა დრო-კილოთა ზმნური სიტყვაფორმებს...);</li> <li>პრაქტიკულად იყენებს სახელთა შენყობას ბრუნერებისა და რიცხვის მიხედვით, ზმნური კონსტრუქციების ცვლილებების გათვალისწინებით;</li> <li>განასხვავებს და სათანადოდ იყენებს სხვადასხვა ფუნქციური სტილისთვის დამახასიათებელ ენობრივ-გრამატიკულ საშუალებებს;</li> </ul>

**თავი III. რეკომენდაციები სტანდარტის შედეგების მისაღწევაზე**

	<ul style="list-style-type: none"> <li>ასწორებს გრამატიკულ შეცდომებს (მაგ: სუბიექტ-ობიექტისა და ზმნის სინტაქსური ურთიერთობის წესების დარღვევისას), ითვალისწინებს ზმნის პირის ფორმათა აგების კანონზომიერებებს;</li> <li>ტექსტის შექმნისას იცავს ქართული სალიტერატურო ენის ნორმებს და აკეთებს კორექტურას.</li> </ul>
აქტივობები	<p>აქტივობები, რომლებიც მოსწავლისაგან მოითხოვს:</p> <ul style="list-style-type: none"> <li>შემოქმედებით უნარ-ჩვევებს;</li> <li>საყრდენების გამოყენებით ტექსტის შექმნას;</li> <li>ნაწერის რედაქტირებას;</li> <li>სხვ.</li> </ul>

**VI კლასი****მიმართულება: ზეპირმატყვალება**

შედეგი	ქართ. VI. 1. მოსწავლეს აქვს ინფორმაციის მიღებისა და გადაცე-მისათვის აუცილებელი უნარ-ჩვევები
ინდიკატორები	<ul style="list-style-type: none"> <li>საუბრობს ნათლად და გარკვევით და პრეზენტაციისას გააზრებულად იყენებს შესაბამის არავერბალურ საშუალებებს;</li> <li>გამოხატავს საკუთარ დამოკიდებულებას ამა თუ იმ ფაქტისადმი;</li> <li>განარჩევს სიტყვის შინაარსობრივ მრავალფეროვნებას და სათანადოდ იყენებს მას მეტყველების დროს;</li> <li>მეტყველების პროცესში თავისუფლად გადმოსცემს სხვის ნათქვამს პარაფრაზის გამოყენებით;</li> <li>სხვ.</li> </ul>
აქტივობები	<p>აქტივობები, რომლებიც მოსწავლისგან მოითხოვს:</p> <ul style="list-style-type: none"> <li>ერთი და იმავე სიტუაციის აღწერას/ამბის გადმოცემას სხვადასხვა მონაწილის პირით;</li> <li>სხვის მიერ მოთხოვობილი ამბის/გამოთქმული მოსაზრების გადმოცემას საკუთარი სიტყვებით;</li> <li>მეგობრის/თანაკლასელის პოზიციის დაცვას არგუმენტირებულად დისკუსიის დროს;</li> <li>მსგავსი მნიშვნელობის ლექსიკური ერთეულებიდან სამეტყველო ამოცანის შესაბამისი შინაარსისა და კონოტაციის მქონე სიტყვების/ფრაზების შერჩევას და გამოყენებას;</li> <li>სხვ.</li> </ul>

## თავი III. რეაქციები მოსწორების შედეგების მისაღებად

შედეგი	ქართ. VI. 2. მოსწავლეს აქვს მხატვრული ტექსტის გააზრებისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე დეტალების შეფასების უნარი
ინდიკატორები	<ul style="list-style-type: none"> <li>ასახელებს მისთვის აზრობრივი და მხატვრული თვალსაზრისით მნიშვნელოვან ეპიზოდებს, გამონათქვამებს და ახდენს მათს ინტერპრეტირებას;</li> <li>აფასებს პერსონაჟების ქმედებას კონფლიქტურ, წინააღმდეგობრივი ხასიათის მქონე ეპიზოდებში;</li> <li>მსჯელობს ნაწარმოებში განვითარებულ მოვლენებზე სხვადასხვა პერსონაჟის პოზიციიდან;</li> <li>მსჯელობს ტექსტში გამოკვეთილ ცალკეულ მოვლენებსა და ფაქტებს შორის მიზეზ-შედეგობრივ კავშირზე;</li> <li>ირჩევს ტექსტში ასახული კონკრეტული პრობლემის გადაჭრისათვის შეთავაზებულ ალტერნატიულ ვარიანტებს შორის მისი თვალსაზრისით საუკეთესოს;</li> <li>სთავაზობს აუდიტორიას ნაწარმოებში გამოკვეთილი კონკრეტული პრობლემის გადაჭრის საკუთარ ვერსიას.</li> </ul>
აქტივობები	<p>აქტივობები, რომლებიც მოსწავლისგან მოითხოვს:</p> <ul style="list-style-type: none"> <li>მხატვრულ ტექსტში გადმოცემული ამბის გააზრებას / შეფასებას / გადმოცემას სხვადასხვა პერსონაჟის პოზიციიდან;</li> <li>მხატვრულ ტექსტში მთავარი პრობლემის / კონფლიქტის იდენტიფიკაციას და მასთან პერსონაჟის მიმართების გააზრებას / ზეპირად გადმოცემას;</li> <li>მხატვრული ნაწარმოების გასააზრებლად მნიშვნელოვანი დეტალების ადეკვატურად გაგებას / გადმოცემას;</li> <li>მხატვრულ ტექსტში მიზეზ-შედეგობრივი კავშირების გააზრებას და მათ შესახებ საუბარს;</li> <li>ტექსტში დასმული პრობლემის შეფასებას საკუთარი პოზიციიდან;</li> <li>სხვ.</li> </ul>

შედეგი	ქართ. VI. 3. მოსწავლეს შეუძლია მართებულად წარმართოს საკუთარი სამეტყველო ქცევა მიზნისა და კონტექსტის შესაბამისად
ინდიკატორები	<ul style="list-style-type: none"> <li>საკუთარ კომუნიკაციურ ქცევას უსადაგებს შესაბამის კონტექსტს;</li> <li>შეარჩევს და გადაამოწმებს სხვადასხვა სახის (საინფორმაციო, ვიზუალურ და ა. შ.) მასალას სანდოობის თვალსაზრისით;</li> <li>წინასწარ შედგენილი მოკლე გეგმის მიხედვით მოამზადებს და წარმოადგენს ზეპირ მოხსენებას სხვადასხვა თემაზე;</li> </ul>

## თავი III. რეკორდირებული სტანდარტის შედეგების მისაღწევად

	<ul style="list-style-type: none"> <li>განიხილავს მიზნობრივი ტექსტის ამა თუ იმ სახეს, მაგ., რეკლამას, და ასახელებს საგნის ან მოვლენის იმ მხარეს, რომლის აფიშირებასაც ეწევა რეკლამა; საკუთარი სიტყვებით გადმოსცემს რეკლამის ღირსებას ან ნაკლს, ასახელებს სიტყვებს და სხვა გამომხატველობით საშუალებებს, რომლებიც ყველაზე ეფექტურად გადმოსცემს რეკლამის მიზანს;</li> <li>ისმენს და ადეკვატურად აღიქვამს საინფორმაციო საშუალებებით გადმოცემულ სხვადასხვა ხასიათის საპავშვო და შემცნებით-გასართობ პროგრამებს;</li> <li>ამოიცნობს ამ პროგრამების სტრუქტურას და აგების ძირითად პრინციპებს;</li> <li>თანატოლებთან ერთად მსჯელობს და კამათობს ნანახი ან მოსმენილი გადაცემის შესახებ.</li> </ul>
აქტივობები	<p>აქტივობები, რომლებიც მოსწავლისგან მოითხოვს:</p> <ul style="list-style-type: none"> <li>წინასწარ შერჩეული თემისა და აუდიტორიის გათვალისწინებით ზეპირი მოხსენების მომზადებას და წარმოდგენას;</li> <li>სხვადასხვა ტიპის ზეპირი ტექსტის (რადიოგადაცემა, სარეკლამო რგოლი რადიოგადაცემაში და ა.შ.) შექმნას და წარმოდგენას;</li> <li>სხვადასხვა ტიპის ზეპირი ტექსტების სტრუქტურისა და მარგანიზებელი ელემენტების ცოდნის საფუძველზე კონკრეტული მიზნით (მსმენელის ინფორმირება, გართობა და ა.შ.) კონკრეტული აუდიტორიისთვის ზეპირი ტექსტის მომზადებას;</li> <li>ჯგუფურ მუშაობას (ერთი კონკრეტული ამოცანის შესრულებას) ზეპირი ტექსტის შექმნის მიზნით;</li> <li>სხვ.</li> </ul>
შედეგი	ქართ. VI. 4. მოსწავლეს შეუძლია მოსმენით განასხვავოს სხვადასხვა ტიპის ტექსტები ენობრივ-გრამატიკული სტრუქტურის მიხედვით
ინდიკატორები	<ul style="list-style-type: none"> <li>სამეტყველო ვითარებაში მოიძიებს და იყენებს აზრის გამოთქმისთვის აუცილებელ ლექსიკურ და გრამატიკულ საშუალებებს;</li> <li>სვამს კითხვებს აზრის დაზუსტების, უკეთ გაების მიზნით;</li> <li>ერკვევა ზმნის ძირითადი კატეგორიების (პირის, რიცხვის, პირიანობის, დროის, კილოს) არსში და საჭიროებისამებრ იყენებს მათ: სწორად განსაზღვრავს სახელთა ბრუნვის ფორმებს ზმნის სინტაქსური კონსტრუქციების მიხედვით (აშენებს ის მას, ააშენა მან ის, აუშენებია მას ის...);</li> <li>ამოიცნობს ადრეული პერიოდის ქართული სალიტერატურო ენის ძირითად ენობრივ თავისებურებებს (სახელთა ბრუნვებისას, რიცხვითი ფორმების წარმოებისას, ზმნის ულლებისას).</li> </ul>

აქტივობები	<p>აქტივობები, რომლებიც მოსწავლისგან მოითხოვს:</p> <ul style="list-style-type: none"> <li>სხვადასხვა ტიპის ზეპირი ტექსტის ენობრივი მაორგანიზებლების გამოყენებას ტექსტის ამოსაცნობად;</li> <li>სხვადასხვა ჟანრის, სტილის, ეპოქის ენისთვის დამახასიათებელი ენობრივი ფორმების ამოცნობას, გაგებას, მათი მხატვრულ-ეს-თეტიკური ფუნქციის გააზრებას;</li> <li>მეტყველების ნაწილთა ძირითადი კატეგორიების, მართლმეტყველებისა და მართლწერის წესების საფუძველზე ენობრივად და სტილურად გამართული წინადადებების / ფრაზების / ტექსტის აგებას;</li> <li>სხვ.</li> </ul>
------------	---

შედეგი	ქართ. VI. 5. მოსწავლეს შეუძლია დისკუსიაში მონაწილეობის ჯგუფური და ინდივიდუალური სტრატეგიების ეფექტურად გამოყენება
ინდიკატორები	<ul style="list-style-type: none"> <li>იყენებს მოცემულ კულტურულ გარემოში მოქმედ წესებს, ეტიკეტურ ნორმებსა და შესაბამის სტრატეგიებს ამა თუ იმ თემის პრეზენტაციის, დისკუსიის, კამათის დროს და კონკრეტულ საკითხთან დაკავშირებით აზრის გამოთქმისას;</li> <li>ინდივიდუალურად ან თანამოაზრებთან ერთად მონაწილეობს დისკუსიაში;</li> <li>ჯგუფთან ერთად შეიმუშავებს, წარმოადგენს და სათანადო არგუმენტებით იცავს საერთო პოზიციას;</li> <li>ინაწილებს პასუხისმგებლობას ჯგუფის სახელით გამოთქმულ მოსაზრებაზე;</li> <li>აზრის გამოთქმისას იცავს მიღებულ ფორმალობებს (დგება აუდიოტორიის წინ და ამყარებს მსმენელებთან შედველობით კონტაქტს; მეტყველებისას იყენებს მიმართვის, მსმენელთა ყურადღების მობილიზებისა და განსხვავებული აზრის გამოთქმის თავაზიან ფორმებს);</li> <li>გეგმავს და ამზადებს ჯგუფურ ან წყვილურ საკომუნიკაციო ამოცანას, სხვადასხვა საშუალებით (ბიბლიოთეკის, ინტერნეტის და ა.შ. მეშვეობით) აგროვებს მასალას, გააცნობს მას ჯგუფის წევრებს და ითვალისწინებს მათს აზრს;</li> <li>შემოიფარგლება კონკრეტული თემით და თავს არიდებს ზოგად საკითხებზე მსჯელობას.</li> </ul>
აქტივობები	<p>აქტივობები, რომლებიც მოსწავლისგან მოითხოვს:</p> <ul style="list-style-type: none"> <li>სხვადასხვა სახის – ინდივიდუალური და ჯგუფური – სამუშაოს დაგეგმვას, განხორციელებასა და ზეპირად წარმოდგენას;</li> </ul>

	<ul style="list-style-type: none"> <li>ჯგუფის საერთო პოზიციის ერთიანი თვალსაზრისის შემუშავებასა და პრეზენტაციას;</li> <li>დისკუსიის / დებატების დაგეგმვას, მოსამზადებელი სამუშაოს განაწილებას, ჯგუფის საერთო დავალების შესრულებაში მონაწილეობას;</li> <li>შესასრულებელი სამუშაოს ეტაპებად დაყოფასა და პასუხისმგებლობის გადანაწილებას;</li> <li>საერთო საქმეში როგორც სხვების, ასევე საკუთარი წვლილის ადეკვატურად შეფასებას;</li> <li>სხვ.</li> </ul>
--	--

### მიმართულება: პითხვა

შედეგი	ქართ. VI. 7. მოსწავლეს შეუძლია სხვადასხვა სახის მხატვრული და არამხატვრული ტექსტების წაკითხვა და გაგება-გაანალიზება.
ინდიკატორები	<ul style="list-style-type: none"> <li>ამოიცნობს ტექსტის საკომუნიკაციო სიტუაციას (მიზანს, ავტორს, ადრესატს);</li> <li>ახალ ინფორმაციას აკავშირებს არსებულ ცოდნასთან და გამოცდილებასთან;</li> <li>ამოიცნობს და ერთმანეთთან აკავშირებს ტექსტში არსებულ სხვადასხვა სახის ინფორმაციას;</li> <li>განარჩევს ვარაუდს ფაქტისაგან, ფაქტს - თვალსაზრისისაგან;</li> <li>ამოიცნობს მოვლენებს, ფაქტებს, მოქმედებებს შორის არსებულ ლოგიკურ და ქრონოლოგიურ კავშირებს;</li> <li>გამოაქვს დასკვნა მთლიანი ტექსტის გააზრების საფუძველზე;</li> <li>განარჩევს მთავარ და არამთავარ პერსონაჟებს;</li> <li>განმარტავს პერსონაჟთა ქცევის მოტივს და უკავშირებს საკუთარ გამოცდილებას;</li> <li>თხობითი ხასიათის ტექსტებში გამოყოფს სიუჟეტის განვითარების საფეხურებს (დასაწყისა, მოქმედების განვითარებას და ა.შ.);</li> <li>განსაზღვრავს ცალკეული პერსონაჟის ხედვის კუთხეს;</li> <li>გამოკვეთს მთავარ ინფორმაციას და გადმოსცემს მას საკუთარი სიტყვებით;</li> <li>განვრცობს შეკუმშულად, მოკლედ გადმოცემულ ამბავს და პირიქით – ვრცლად გადმოცემულ ამბავს გადმოსცემს მოკლედ.</li> </ul>
აქტივობები	<p>აქტივობები, რომლებიც მოსწავლისგან მოითხოვს:</p> <ul style="list-style-type: none"> <li>არეულად მოცემული ეპიზოდების/ნაწყვეტების დალაგებას ლოგიკური თანმიმდევრობით;</li> <li>ტექსტის დაყოფას შინაარსობრივად დასრულებულ ნაწილებად;</li> </ul>

	<ul style="list-style-type: none"> <li>● ტექსტის ნაწილების დასათაურებას;</li> <li>● ტექსტში „გამოტოვებული“ (ავტორის მიერ ნაგულისხმევი) ეპიზოდების აღდგენას;</li> <li>● ეპიზოდის შინაარსის გადმოცემას სიტყვათა გარკვეული რაოდენობით;</li> <li>● წაკითხული ნაწარმოების სქემატური მონახაზის შექმნას;</li> <li>● მოვლენათა ჯაჭვის შექმნას მიზეზ-შედეგობრიობის პრინციპით;</li> <li>● ინფორმაციის დახარისხებას ფაქტების, ვარაუდებისა და თვალსაზრისების ცხრილში;</li> <li>● ნაწარმოების შინაარსის გადმოცემას პერსონაჟის ან რომელიმე ნივთის/საგნის პირით;</li> <li>● სხვ.</li> </ul>
<p><b>რეკომენდაციები:</b> გასათვალისწინებელია, რომ ეროვნული სასწავლო გეგმის თანახმად, დაწყებითი საფეხურის დასრულებისთვის მოსწავლეს უკვე თავისუფლად უნდა შეეძლოს ასაკის შესაბამისი მხატვრული და არამხატვრული ტექსტების გააზრება არა მხოლოდ ტექსტის, არამედ კონტექსტის დონეზეც.</p>	

შედეგი	ქართ. VI. 8. მოსწავლეს შეუძლია დამოუკიდებლად წაიკითხოს სხვა-დასხვა სახისა და ნაირგვარი შინაარსის ტექსტები.
ინდიკატორები	<ul style="list-style-type: none"> <li>● ერთმანეთისგან განასხვავებს საინფორმაციო ანგარიშს, ამბის თხრობას, მარტივ ინსტრუქციას, ზეპირი კომუნიკაციისა და სხვა ფუნქციურ ტექსტებს;</li> <li>● მართებულად იყენებს ადმინისტრაციული ხასიათის მარტივ ტექსტებს, სხვადასხვა ინსტრუქციას, ამა თუ იმ დაწესებულებაში მოქმედ წესებს, ფორმულარებს;</li> <li>● ასახელებს ამგვარი ტექსტების ფორმალურ ნიშნებს, როგორებიცაა, მაგ., მკაცრად ლაკონიური სტილი, ტექსტის პირობითი ფორმა (ბლანკის ტაბისა); სპეციალური/ დარგობრივი ტერმინოლოგია და ა. შ.;</li> <li>● განასხვავებს საბავშვო, პოპულარულ, დარგობრივ, ამა თუ იმ დაჯგუფებისა და ორგანიზაციის უურნალ-გაზეთებს;</li> <li>● იცნობს პრესის სტრუქტურას და სწორად მოიძიებს საჭირო ინფორმაციას (ხვდება, მისთვის სასურველი ინფორმაცია თუ სტატია გაზეთის ან უურნალის რომელ ნაწილში უნდა იყოს განთავსებული);</li> <li>● სწორად „ამოიკითხავს“ ტექსტის ინტონაციას, პაუზებს, აზრობრივ აქცენტებს.</li> </ul>

აქტივობები	<p>აქტივობები, რომლებიც მოსწავლისაგან მოითხოვს:</p> <ul style="list-style-type: none"> <li>● სხვადასხვა სახის ფუნქციური ტექსტის დანიშნულების ამოცნობას;</li> <li>● სხვადასხვა სახის ტექსტების დახასიათებას ფორმალური ნიშნების მიხედვით;</li> <li>● სხვადასხვა სახის ტექსტების მიზნობრივად გამოყენებას;</li> <li>● საჭირო ინფორმაციის მოძიებას გაზეთის ან ინტერნეტის გვერდზე;</li> <li>● სხვ.</li> </ul>
შედეგი	<p>ქართ. VI. 9. მოსწავლეს შეუძლია პირად გამოცდილებაზე დაყრდნობით იმსჯელოს ნაწარმოებში ასახული მისთვის გასაგები და მნიშვნელოვანი პრობლემების შესახებ.</p>
ინდიკატორები	<ul style="list-style-type: none"> <li>● გამოხატავს უშუალო, ცოცხალ განცდასა და დაკვირვებაზე დაფუძნებულ შეხედულებებს მისთვის მნიშვნელოვან, პრობლემურ საკითხზე მსჯელობის დროს;</li> <li>● ავლებს პარალელს ლიტერატურულ ნაწარმოებებს შორის უანრის, თემისა და პრობლემატიკის მიხედვით;</li> <li>● სვამს კითხვებს და მსჯელობს ნაწარმოებში დრამატულად განვითარებული მოვლენების შესახებ;</li> <li>● საკუთარი მოსაზრების განსამტკიცებლად იშველიებს ლიტერატურულ ტექსტებს, რეალურ ფაქტებს, მაგალითებს პირადი ცხოვრებიდან;</li> <li>● ასოციაციურად უკავშირებს ერთმანეთს მხატვრულ ამბავსა და რეალურ მოვლენას.</li> </ul>
აქტივობები	<p>აქტივობები, რომლებიც მოსწავლისგან მოითხოვს:</p> <ul style="list-style-type: none"> <li>● ნაკითხულ ნაწარმოებში დასმული პრობლემის იდენტიფიცირებას;</li> <li>● პრობლემის გარშემო საკუთარი შეხედულებების გამოთქმასა და დასაბუთებას;</li> <li>● ტექსტის დაკავშირებას პირად გამოცდილებასთან;</li> <li>● ნაკითხულის დაკავშირებას რეალურ ცხოვრებასთან;</li> <li>● ტექსტის გარშემო გამართულ დისკუსიებში და განხილვებში მონაწილეობას;</li> <li>● სხვ.</li> </ul>
<p><b>რეკომენდაციები:</b> ამ შედეგთან დაკავშირებით ყურადღება უნდა მიექცეს ისეთი მაღალი დონის სააზროვნო უნარებზე მუშაობას, როგორებიცაა რეფლექსია, თვითრეფლექსია, სინთეზი და აპლიკაცია (გამოყენება).</p>	

შედეგი	ქართ. VI. 10. მოსწავლეს აქვს კითხვის პროცესით გამოწვეული გან-ნყობილებისა და შთაბეჭდილების გადმოცემის უნარი.
ინდიკატორები	<ul style="list-style-type: none"> <li>ამოკრებს ტექსტიდან აზრობრივი თვალსაზრისით მისთვის მნიშვნელოვან და საინტერესო ადგილებს;</li> <li>სვამს კითხვებს წაკითხული ტექსტის უკეთ გააზრების მიზნით;</li> <li>ამოიცნობს მარტივ მხატვრულ სიმბოლოებს და ახდენს მათს ინტერპრეტაციას;</li> <li>გამოთქვამს საკუთარ მოსაზრებებს ლიტერატურული ტექსტის სიუჟეტში განვითარებული მოვლენების შესახებ;</li> <li>მსჯელობს პოეტურ ნაწარმოებში გამოხატულ განწყობაზე;</li> <li>ასახელებს მისთვის ესთეტიკური თვალსაზრისით მიმზიდველ ადგილებს და ხსნის აღნიშნულ ეპიზოდში გამოყენებული მხატვრული ხერხის დანიშნულებას.</li> </ul>
აქტივობები	<p>აქტივობები, რომლებიც მოსწავლისაგან მოითხოვს:</p> <ul style="list-style-type: none"> <li>ტექსტიდან საყვარელი პერსონაჟის შერჩევას (რომლის ადგილზეც ისურვებდა ყოფნას / რომლის როლის შესრულებასაც ისურვებდა);</li> <li>მოვლენების, პერსონაჟების შესახებ საკუთარი შთაბეჭდილების გადმოცემას მხატვრული ხერხების გამოყენებით;</li> <li>ნაწარმოებიდან საყვარელი ადგილების შერჩევას;</li> <li>პოეტურ ნაწარმოებში გადმოცემული განწყობილების გამოსახატავად სემანტიკური რუკების შექმნას;</li> <li>სხვ.</li> </ul>
<p><b>რეკომენდაციები:</b> ამ ეტაპზე მოსწავლეებს თანდათან უყალიბდებათ ესთეტიკური და ემოციური დამოკიდებულება მხატვრული ტექსტის მიმართ. აუცლებელია, სათანადო ყურადღება დაეთმოს ამ შინაგანი პროცესების სტიმულირებას.</p>	

შედეგი	ქართ. VI. 11. მოსწავლეს შეუძლია სხვადასხვა ტიპის ტექსტების ენობრივ თავისებურებებზე დაკვირვება და მსჯელობა.
ინდიკატორები	<ul style="list-style-type: none"> <li>ამოიცნობს ხატოვან გამონათქვამებს და მიზანმიმართულად იყენებს მათ;</li> <li>თავისუფლად ჩაანაცვლებს უცნობ სიტყვებსა და ფრაზებს სინონიმური განმარტებებით;</li> <li>ამოიცნობს სხვადასხვა მოდალობის (სურვილის, შესაძლებლობის) გამომხატველ სიტყვებს;</li> <li>ერკევენა ზმინის ძირითადი კატეგორიების (პირის, რიცხვის, პირ-ანობის, დროის, კილოს) არსში და საჭიროებისამებრ იყენებს მათ:</li> </ul>

	<p>სწორად განსაზღვრავს სახელთა ბრუნვის ფორმებს ზმნის სინტაქსური კონსტრუქციების მიხედვით (აშენებს ის მას, ააშენა მან ის, აუშენებია მას ის...);</p> <ul style="list-style-type: none"> <li>• ამოიცნობს და განარჩევს არსებით, ზედსართავ, რიცხვით სახელებს; ამოიცნობს ზედსართავ სახელებს, მათს ფუნქციას; მიუთითებს ზმნიზედების როლზე ზმნური შინაარსის გამოხატვაში;</li> <li>• მოიძიებს სხვათა სიტყვას (-მეტქი; -თქო; -ო) და განარჩევს მისი გამოყენების მიზანშეწონილობასა და მართებულობას;</li> <li>• განარჩევს ზმნისწინით გამოხატულ ძირითად მნიშვნელობებს;</li> <li>• მიუთითებს წინადადების ძირითად წევრებსა და ძირითად შესიტყვებებზე.</li> </ul>
აქტივობები	<p>აქტივობები, რომლებიც მოსწავლისგან მოითხოვს:</p> <ul style="list-style-type: none"> <li>• სემანტიკური რუკების შედგენას;</li> <li>• ფრაზეოლოგიზმების განმარტებითი ლექსიკონის შედგენას;</li> <li>• მეტყველების ნაწილების კლასიფიკაციას წინადადებაში მათი ფუნქციის მიხედვით;</li> <li>• სიტყვებით წინადადების აგებას;</li> <li>• ნაწერში ორთოგრაფიული შეცდომების პოვნასა და გასწორებას;</li> <li>• სხვ.</li> </ul>
რეკომენდაციები:	სწავლების ამ ეტაპზე ღრმავდება მოსწავლის ენობრივი კომპეტენციები როგორც რეცეფციულ, ისე ფუნქციურ დონეზე.

შედეგი	ქარ. VI. 12. მოსწავლეს შეუძლია მედიატექსტების გაანალიზება; აქვთ მულტიმედია ტექსტებზე მუშაობის საწყისი უნარ-ჩვევები.
ინდიკატორები	<ul style="list-style-type: none"> <li>• უდარებს წაკითხულ ნაწარმოებს მის ეკრანიზებულ და თეატრალიზებულ ვერსიებს;</li> <li>• ქმნის მისთვის საინტერესო პერსონაჟის ნარმოსახვით პორტრეტს;</li> <li>• ქმნის წაკითხული ან მოსმენილი ტექსტის პერსონაჟის/პერსონაჟების ვებ-გვერდს / პროფილს სოციალური ქსელებისათვის;</li> <li>• ამ მიზნით ამოკრებს და ახარისხებს შესაბამის ინფორმაციას ტექსტიდან; მოიძიებს და შეარჩევს ვიზუალურ მასალას ინტერნეტით და ციფრული საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენებით, შეარჩევს ფოტოებს საოჯახო ალბომებიდან, რეპროდუქციებს და სხვ.;</li> <li>• წარმოიდგენს და აღწერს წაკითხული ან მოსმენილი ტექსტის</li> </ul>

	<p>ერთი ეპიზოდის ამსახველ სცენას წარმოსახვითი ფილმისათვის/მულტფილმისათვის სარეჟისორო სცენარის სახით (აღნერს შერჩეულ ეპიზოდში მოთამაშე მსახიობების / ნახატი გმირების გარეგნობას, კოსტუმებს, გამოყენებულ მუსიკას, ხმაურს და/ან სხვა ბეგერით ეფექტებს; დროსა და სივრცეს, სადაც ვითარდება მოქმედება და სხვ.);</p> <ul style="list-style-type: none"> <li>● სხვადასხვა გამომხატველობითი საშუალებების (კარიკატურების, აპლიკაციების, ფოტოებისა და ა.შ.) გამოყენებით შეადგენს მარტივი სახის რეკლამებს წინასწარ მოცემული პირობის მიხედვით; გაიაზრებს იმ უპირატესობებს, რისი აფიშირებაც სურს რეკლამის საშუალებით (მაგ., სპორტული მოედნის რეკლამაში წინა პლანზე წამოწევს მის ადგილმდებარეობას: სკოლასთან ახლოსაა და, ამდენად, ყველა ბავშვისთვის მოსახერხებელია...);</li> <li>● მიზნობრივი ტექსტების შესადგენად ინტეგრირებულად იყენებს სხვა დარგებში შეძენილ ცოდნასა და უნარ-ჩვევებს (განსაკუთრებით, რეკლამისა და პლაკატის დასამზადებლად);</li> <li>● თხზავს და სპეციფიკური წესების დაცვით აფორმებს სხვადასხვა ხასიათის საინფორმაციო და ადმინისტრაციულ ტექსტებს (მაგ., კონკრეტული პირის სახელზე დაწერილ მოკლე ანგარიშს, ახსნა-განმარტებით ბარათს, საინფორმაციო განცხადებას და სხვ.).</li> </ul>
აქტივობები	<p>აქტივობები, რომლებიც მოსწავლისგან მოითხოვს:</p> <ul style="list-style-type: none"> <li>● მიზანსცენის / კადრის აღნერას წარმოსახვითი ფილმიდან;</li> <li>● პერსონაჟის ბიოგრაფიული და პირადი მონაცემების შევსებას სოციალური ქსელისთვის;</li> <li>● ლიტერატურული ტექსტებისა და მისი ეკრანიზაციის შედარებას;</li> <li>● კომიქსის შექმნას ნაწარმოების მიხედვით;</li> <li>● ავტობიოგრაფიის შექმნას;</li> <li>● მედიატექსტების შექმნას (მაგ., სატელევიზიო და რადიო რეკლამისთვის - ძირითადი ტექსტების და სლოგანის, კინოფილმისთვის - ანონსის, გადაცემისთვის - პრომოს და ა.შ.);</li> <li>● ელექტრონული ტექსტების წაკითხვას;</li> <li>● ტექსტში მოძიებული ინფორმაციის გამოყენებით რადიო ან სატელევიზიო ახალი ამბებისთვის რეპორტაჟის მომზადებას;</li> <li>● სხვ.</li> </ul>

შედეგი	ქართ. VI. 13. მოსწავლეს შეუძლია კითხვის სხვადასხვა სტრატეგიის მიზნობრივად გამოყენება.
ინდიკატორები	<ul style="list-style-type: none"> <li>● კითხვისას წამოჭრილი სირთულეების დასაძლევად მიმართავს სხვადასხვა საშუალებას: თავიდან გადაიკითხავს რთულ ან მნიშვ-</li> </ul>

## თავი III. რეკომენდაციები სტანდარტის შედეგების მისაღწევაზე

	<p>ნელოვან ნაწილებს, აკეთებს ჩანაწერებს, კომენტარებს უკეთებს ტექსტის ცალკეულ ნაწილებს; კონტექსტზე, გამოცდილებაზე დაყრდნობით ან ლექსიკონის დახმარებით აზუსტებს უცხო სიტყვების მნიშვნელობას;</p> <ul style="list-style-type: none"> <li>● სხვადასხვა ელემენტის (სათაურის, აპზაცების დასაწყისის, საკვანძო სიტყვების, ერთ-ერთი აპზაციის, გამოყოფილი სიტყვების) გამოყენებით გამოთქვამს ვარაუდს ტექსტის/ტექსტების მონაკვეთის შენარსის შესახებ;</li> <li>● აანალიზებს თანატოლების მიერ შესრულებელ საკითხავ დავალებებს - განარჩევს სწორ და მცდარ პასუხებს; ხსნის, რატომ ვერ გასცა მოსწავლემ სწორად პასუხი, რა ვერ გაიგო, რატომ შეცდა იგი და სხვ.;</li> <li>● ტექსტის სახისა და საკითხავი ამოცანის გათვალისწინებით ირჩევს კონკრეტულ სტრატეგიას/მიღებობას და ხსნის თავის არჩევანს;</li> <li>● საკითხავი დავალებების შესრულების შემდეგ მონაწილეობს გამოყენებული სტრატეგიების განხილვაში (ვინ რა მიღებომა, ხერხი გამოიყენა); მსჯელობს იმის შესახებ, თუ რომელი მიღებობა იყო ან იქნებოდა უფრო მისადაგებული/ეფექტური და რატომ;</li> <li>● იხსენებს, გამოყენებია თუ არა მსგავსი სტრატეგიები სხვა საგნებში საკითხავი დავალებების შესრულებისას; მსჯელობს იმის შესახებ, თუ რომელ საგნებში და/ან რა სახის ტექსტების წაკითხვისას შეიძლება აღნიშნული სტრატეგიების გამოყენება;</li> <li>● ადგენს წაკითხული წიგნების კატალოგს (მოკლე ანოტაციით);</li> <li>● ენციკლოპედიების, ლექსიკონებისა და ინტერნეტის საშუალებით აზუსტებს ტექსტში მოთხოვნილ უცნობ ან გაუგებარ ამბავს;</li> <li>● მართებულად იყენებს განმარტებით და დარგობრივ ლექსიკონებს.</li> </ul>
აქტივობები	<p>აქტივობები, რომლებიც მოსწავლისაგან მოითხოვს:</p> <ul style="list-style-type: none"> <li>● ვარაუდების სქემის შევსებას კითხვის დაწყებამდე;</li> <li>● სემანტიკური, მორფოლოგიური და სინტაქსური ცოდნის გამოყენებას უცნობი ლექსიკონის გასაგებად;</li> <li>● ფრაზეოლოგიზმების შინაარსის ამოცნობას კონტექსტზე დაყრდნობით;</li> <li>● შესაბამისი ლექსიკონის შერჩევას;</li> <li>● ელექტრონული საძიებო სისტემის გამოყენებას;</li> <li>● ინფორმაციის მისაღებად წყაროს შერჩევას;</li> <li>● სხვა საგნებთან კავშირების დაანახვას;</li> <li>● სხვ.</li> </ul>

## მიმართულება: წერა

შედეგი	ქართ. VI. 14. მოსწავლეს შეუძლია პიროვნული და შემოქმედებითი გამოცდილების გამოყენება წერის პროცესში; აქვს მხატვრული წარმოსახვის უნარი.
ინდიკატორები	<ul style="list-style-type: none"> <li>● სწორად აგებს ტექსტს კომპოზიციის ელემენტების გამოყენებით;</li> <li>● აკეთებს მოკლე წერილობით კომენტარს მისთვის მხატვრულად და აზრობრივად საინტერესო მონაცემების შესახებ;</li> <li>● საკუთარი განცდის, შთაბეჭდილების გადმოსაცემად ირჩევს მისთვის სასურველ მხატვრულ ფორმას;</li> <li>● ქმნის მისთვის აზრობრივად საინტერესო ეპიზოდის გაგრძელებისა და დასასრულის საკუთარ ვარიანტს;</li> <li>● კონკრეტული ლიტერატურული უანრის ტექსტის დასაწყისის მიხედვით ქმნის შესაბამისი მხატვრული ფორმის მცირე ზომის თხზულებას;</li> <li>● ქმნის ორიგინალურ თხზულებას.</li> </ul>
აქტივობები	<p>აქტივობები, რომლებიც მოსწავლისგან მოითხოვს:</p> <ul style="list-style-type: none"> <li>● ვერბალური და არავერბალური ინფორმაციის აღეკვატურად ალქმას, გაანალიზებასა და გადმოცემას;</li> <li>● ტექსტის გააზრებას;</li> <li>● ტექსტის შინაარსის ლაკონიურად და თანამიმდევრულად გადმოცემას წერილობითი გზით;</li> <li>● სხვ.</li> </ul>

**რეკომენდაციები:** ამ ეტაპზე, მნიშვნელოვანია, მუშაობა წარიმართოს ანალიტიკური და ლოგიკური აზროვნების უნარ-ჩვევების განვითარების მიმართულებით, რისთვისაც ეფექტური იქნება ამა თუ იმ სახის კვლევითი პროექტის/პროექტების განხორციელება.

შედეგი	ქართ. VI. 15. მოსწავლეს შეუძლია სხვადასხვა სახის მიზნობრივი ტექსტის დამოუკიდებლად შექმნა.
ინდიკატორები	<ul style="list-style-type: none"> <li>● წერს სხვადასხვაგვარ თხზულებას, ინფორმაციულ ტექსტს სპეციალური ტერმინოლოგიის გამოყენებით;</li> <li>● ავლენს ფაქტისადმი (მოვლენისადმი) საკუთარ დამოკიდებულებას; ახერხებს მის ემოციურ შეფასებას შესაფერისად შერჩეული ლექსიკური და გრამატიკული საშუალებების გამოყენებით;</li> <li>● საჭირო ენობრივი მასალის მოსაძიებლად იყენებს სხვადასხვა დამსმარე საშუალებას (სინონიმურ განმარტებებს, სიტყვათშესამებებს, მყარ შესიტყვებებს, ფრაზეოლოგიზმებს; მუშაობს ლექსიკონზე...);</li> </ul>

## თავი III. რეკომენდაციები სტანდარტის შედეგების მისაღწევაზე

	<ul style="list-style-type: none"> <li>აზრობრივი სრულყოფის მიზნით, დამატებით სვამს ტექსტში საჭირო სიტყვებსა და გამონათქვამებს;</li> <li>წერილობით გადმოსცემს ტექსტის შინაარსს როგორც ვრცლად, ისე მოკლედ სხვადასხვა ენობრივ-გრამატიკული საშუალებების გამოყენებით, ურთავს კომენტარებს;</li> <li>მიზნისა და ადრესატის გათვალისწინებით წინასწარ ამზადებს და თხზავს სხვადასხვა ტიპის მიძღვნით ტექსტებს (ამა თუ იმ თარიღთან დაკავშირებით წარმოსათქმელ სიტყვას, მეგობრისადმი მიძღვნილ სახუმარო ტექსტს, შარქსა და სხვ.);</li> <li>თემისა და რესპონდენტის გათვალისწინებით ადგენს მარტივ შეკითხვებს ინტერვიუსათვის; ატარებს მარტივი სახის გამოკითხვას კონკრეტულ თემაზე; ჩაწერს და შესაბამისად აფორმებს ტექსტს.</li> </ul>
აქტივობები	<p>აქტივობები, რომლებიც მოსწავლისგან მოითხოვს:</p> <ul style="list-style-type: none"> <li>მიზნობრივი ტექსტები (ბიოგრაფიული ტექსტის, ინტერვიუს) დაწერას;</li> <li>ტექსტის გაანალიზებას; საკუთარი პოზიციის შემუშავებასა და წერილობით წარმოდგენას;</li> <li>კვლევით მუშაობას;</li> <li>ლექსიკონზე მუშაობას;</li> <li>სხვ.</li> </ul>
<p><b>რეკომენდაციები:</b> სწავლების ამ ეტაპზე მნიშვნელოვანია, მუშაობა წარიმართოს მაღალი დონის სააზროვნო უნარების განვითარების მიმართულებით. ყურადღება უნდა მიექცეს ანალიტიკური და ლოგიკური აზროვნების განვითარებას, ასევე მოსწავლეთა კვლევითი უნარ-ჩვევების გამომუშავებას. ამ მიზნების მისაღწევად ეფექტური იქნება ამა თუ იმ სახის კვლევითი პროექტების განხორციელება.</p>	

შედეგი	ქართ. VI. 16. მოსწავლეს შეუძლია ორთოგრაფიისა და პუნქტუაციის აუცილებელი წესების გამოყენება, გრამატიკული თვალსაზრისით მართებული სიტყვაფორმების აგება.
ინდიკატორები	<ul style="list-style-type: none"> <li>სწორად იყენებს ირიბ ნათქვამსა და ციტირებას;</li> <li>განარჩევს ნაცვალსახელთა ჯგუფებს და შესაფერის კონტექსტში სწორად უნაცვლებს მათ სათანადო სახელთა ფორმებს;</li> <li>მართებულად იყენებს მისათითებელ სიტყვათა და კავშირთა (წევრ-კავშირთა) კონსტრუქციულ შესაძლებლობებს მიზეზ-შედეგობრიობისა თუ სხვა ნიუანსების გადმოსაცემად;</li> <li>იცნობს და იყენებს სიტყვათა მართლწერის ძირითად წესებს;</li> </ul>

**თავი III. რეამონდაციალი სტანდარტის შედევრის მისაღევად**

	<ul style="list-style-type: none"> <li>● მართლწერის შესამონმებლად იყენებს დამხმარე საშუალებებს;</li> <li>● იყენებს ნაირგვარ სტილისტურ თუ ენობრივ-გრამატიკულ საშუალებას განცხადების, ანკეტის, ავტობიოგრაფიის შესადგენად;</li> <li>● სწორად იყენებს სასვენ ნიშნებს;</li> <li>● გადაიკითხავს ნაწერს და ჩაასწორებს მას როგორც ენობრივ-სტილური, ისე პუნქტუაციის თვალსაზრისით;</li> <li>● კითხულობს ნაწერს გააზრებულად, კონტექსტის მიხედვით მართებულად იყენებს ენობრივად სწორ, დასაშვებ და შესაძლებელ ფორმებს;</li> <li>● გადაიკითხავს და ჩაასწორებს ტექსტს აზრობრივად;</li> <li>● ამონმებს ტექსტში გამოყენებულ ფორმებს და სიტყვათშეხამებებს ენის მოქმედი ნორმების მიხედვით; ტექსტის კორექტირებისას იყენებს ორთოგრაფიულ და უცხო სიტყვათა ლექსიკონს.</li> </ul>
<b>აქტივობები</b>	<p>აქტივობები, რომლებიც მოსწავლისაგან მოითხოვს:</p> <ul style="list-style-type: none"> <li>● ტექსტის გაანალიზებას;</li> <li>● მიზეზ-შედეგობრიობის დადგენას;</li> <li>● გრაფიკული მაორგანიზებლის შედგენასა და გამოყენებას;</li> <li>● სათანადო კავშირებისა და ენობრივი კონსტრუქციების გამოყენებას წერის დროს;</li> <li>● სხვ.</li> </ul>

## თავი IV საიმუშაო აქტივობები

### I კლასი

**ქართ. I. 1. მოსწავლეს შეუძლია მოისმინოს და ადეკვატურად აღიქვას მარტივი ინფორმაცია; შეუძლია სწორად რეაგირება ნაცნობ სამეტყველო სიტუაციებში.**

**აქტივობა №1: „ჩემი ფერადი ტექსტი“** (მცირე ზომის მოსმენილი ტექსტის მიხედვით ნახატის გაფერადება)

**რესურსები:** ჯამბაზის სილუეტური ნახატი, ფერადი ფანქრები / ფლომასტერები.

**აქტივობის აღწერა:** მასწავლებელი მოსწავლეებს მიმართავს თხოვნით, ყურადღებით მოუსმინონ ტექსტს და ტექსტის მიხედვით გააფერადონ ჯამბაზის სილუეტური ნახატი. მასწავლებელი ნელა, გარკვევით უკითხავს მათ ტექსტს ჯამბაზზე: ”იყო ერთი მხიარული ჯამბაზი ჯაჯუ. გაბუშტულ წითელ ცხვირზე შავი ხალი ბუზივით აჯდა. ცისფერი თვალები ეშმაკურად უციმიდებდა. წითელი ტუჩები მუდამ უცინოდა. ყვითელ თმებს მწვანე ქუდი უფარავდა. ყელზე უზარმაზარი სტაფილოსფერი ბაბთა ეკეთა“...

მოსმენილის მიხედვით მოსწავლეები აფერადებენ ჯამბაზის სილუეტურ ნახატს.

**შეფასება:** შეფასდება ყურადღების კონცენტრაცია და მოსმენის უნარი იმის მიხედვით, რამდენად შეესაბამება ტექსტს გაფერადებული ნახატი.

**მეთოდური მითითოება:** მასწავლებლებმა უნდა გაითვალისწინონ, რომ სასურველია ტექსტი იყოს მოკლე, მარტივი და შეძლებისდაგვარად საინტერესო; შეიცავდეს ერთი კონკრეტული საგნის აღწერას. პირველ ეტაპზე ის არ უნდა აღემატებოდეს 5–6 წინადადებას. გასაფერადებელი ფერები არ უნდა იყოს ზედმეტად გადატევითული. ამ აქტივობის გამოყენება შესაძლებელია სხვადასხვა მოდიფიკაციით სხვადასხვა კლასში. მაგალითად, ერთი კონკრეტული აღწერა – ჯამბაზის სასაცილო გარეგნობა – შეიძლება გართულდეს ეტაპობრივად, დაემატოს ტანი, ფეხები, ჩაცმულობა, II–III კლასებში შეიძლება გართულდეს ჯამბაზის სიტუაციური ნახატებით: ჯამბაზი ცირკის არენაზე, ბავშვებთან ან ცხოველებთან ერთად.

**კავშირი სხვა საგნებთან:** სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება.

**აქტივობა №2: „ვალაგებთ ჩანთაში“**

**რესურსები:** ქაღალდის ჩანთები წარწერებით. ქაღალდის ჩანთები შეიძლება შეცვალოს სკოლის, ბაკურიანის, ზღვისა და სოფლის სურათებიანმა ტრაფარეტებმა, რომლებიც დაიდება მაგიდებზე ჯგუფების განლაგების მიხედვით.

**აქტივობის აღწერა:** მასწავლებელი ყოფს კლასს მცირე ჯგუფებად და აძლევს ინსტრუქციას: თითოეულმა ჯგუფმა უნდა ჩამოთვალოს ის ნივთები, რომლებსაც ჩააღაებს ჩანთაში. ერთი ჯგუფი ნივთებს ალაგებს სასკოლო ჩანთაში, მეორე, მესამე და მეოთხე - სამგზავროში (ერთი ჯგუფი მიემგზავრება ბაკურიანში, მეორე ზღვაზე, მესამე - ექსკურსიაზე / სოფელში, ბერია-ბაბუასთან). სასურველია, ჯგუფებს დაურიგდეთ ქაღალდის ჩანთები შესაბამისი წარწერებით. თუ ჩამოთვლილ ნივთაგან რომელიმე ზედმეტად ჩანს, ჯგუფმა უნდა ახსნას, რატომ მოხვდა ეს ნივთი ”ჩანთაში“.

**შეფასება:** შეფასდება უმთავრესად, ინსტრუქციის გაგების, ნივთების ფუნქციური

დანიშნულების გაგებისა და გამოყენების, ასევე ადეკვატური ლექსიკის შერჩევის უნარი.

**მეთოდური მითითება:** ჯგუფების ჩანთების დანიშნულების შეცვლა მასწავლებელს შეუძლია იმის მიხედვით, რა თემატურ-ლექსიკური ერთეულების გააქტიურება სურს. ამიტომ, აქტივობის გამოყენება შესაძლებელია სხვადასხვა თემატურ ბუდეებზე მუშაობისას როგორც ინდივიდუალურად, ასევე წყვილებშიც.

#### აქტივობა №3: თამაში „ვითომ, ვითომ...“

**რესურსები:** იმ შემთხვევაში, თუ სიტუაციები გათამაშდება, შესაბამისი რეკვიზიტი, მაგალითად, „მძიმე“ ხელჩანთა, ფლომასტერები, ბურთი, ხურჯინი და ა.შ.

**აქტივობის აღწერა:** მასწავლებელი სთავაზობს მოსწავლეებს რამდენიმე სიტუაციას:

1. მათ უნდა წარმოიდგინონ, რომ ხვდებიან სხვადასხვა ადამიანს, რომლებსაც უნდა მოესალმონ და მოკითხონ, შემდეგ კი გამოემშვიდობონ, მაგალითად:
  - დიდი ხნის უნახავ მეგობარს;
  - ბალის მასწავლებელს;
  - ბებია-ბაბუას.
2. მათ უნდა წარმოიდგინონ, რომ სთავაზობენ დახმარებას:
  - მოხუცებულს, რომელსაც უჭირს სიარული და მოაქვს ხელჩანთა;
  - მეგობარს, რომელმაც ხატვის გაკვეთილზე აღმოაჩინა, რომ სახლში დარჩა ფლომასტერები / ფერადი ფანქრები;
  - დედას, რომელსაც დაუგროვდა გასარეცხი ჭურჭელი;
  - ბაბუას ყურძნის კრეფაში.
3. მათ უნდა წარმოიდგინონ, რომ მადლობას უხდიან:
  - ამხანაგს, რომელმაც დაპატიჟა დაბადების დღეზე;
  - დედის მეგობარს, ნინო დეიდას, რომელმაც ლამაზად ილუსტრირებული წიგნი აჩუქა;
  - მეზობლის ბიჭს, ცამეტი-თოთხმეტი წლის რეზის, რომელმაც ხეზე შერჩენილი ბურთი ჩამოულო;
  - ბებიას, რომელმაც სოფლიდან ჩურჩხელები, ტკბილი ტყლაპი და თათარა / ფელამუში ჩამოუტანა.

**შეფასება:** შეფასდება განსხვავებულ სამეტყველო სიტუაციებში მოსწავლის ადეკვატურად რეაგირების, სამეტყველო ეტიკეტის, ენობრივი ფორმულების გამოყენების უნარი; შესაბამისი ლექსიკის ცოდნა და გამოყენების უნარი.

**მეთოდური მითითება:** ამ სიტუაციების გათამაშება შესაძლებელია არა მარტო I, არამედ II–III კლასებშიც.

#### აქტივობა №4: თამაში „გამოძიება“

**რესურსები:** ეს თამაში საჭიროებს მხოლოდ ადამიანურ რესურსს.

**აქტივობის აღწერა:** მასწავლებელი სთავაზობს ერთ-ერთ მოსწავლეს, მოიფიქროს რომელიმე საგნის აღმნიშვნელი სახელი. დანარჩენებმა უნდა მოიფიქრონ დაახლოებით ოცი შეკითხვა იმისათვის, რომ გამოიძიონ, რომელი სახელი ჩაიფიქრა მათმა თანაკლასელმა. შეკითხვების სავარაუდო ვარიანტებია: ადამიანია? ცხოველია? ფრინველია? მწერია? უსულო საგანია? რა ფერისაა? პატარა? რომელი ბეგერით იწყება მისი სახელი? და ა.შ. მომდევნო სიტყვის მოფიქრების უფლება ენიჭება იმას, ვინც გამოიცნობს სახელს.

**შეფასება:** შეფასდება კითხვის დასმის უნარი, საგნის ნიშან-თვისებათა ცოდნა და საგნის იდენტიფიკაციისათვის მათი გამოყენების უნარი.

**მეთოდური მითითება:** იმისათვის, რომ მოსწავლეებმა მოიფიქრონ ოცი შეკითხვა, მასწავლებელმა წინასწარ უნდა ავარჯიშოს ისინი შეკითხვების დასმაში. ამისათვის ერთი მოთამაშე გადის კლასიდან და შედის მხოლოდ მას შემდეგ, როდესაც დაუძახებენ. დანარჩენები ირჩევენ კლასიდან ერთ-ერთს. შემდეგ ეძახიან გარეთ გასულ მოთამაშეს, რომელიც იწყებს მისახვედრი კითხვების დასმას. მაგალითად: ბიჭია? ის ზის პირველ რიგში? მას აქვს ქერა თმა? ეს ნიკაა. ახლა კლასიდან გადის ნიკა და თამაში იწყება თავიდან.

#### აქტივობა №5: „პანტომიმა“

**რესურსები:** ეს თამაში საჭიროებს მხოლოდ ადამიანურ რესურსს.

**აქტივობის აღწერა:** მონაწილეები სხედან მერჩებთან ან დგანან წრეში. შეირჩევა პანტომიმისათვის თემა, მაგალითად, ცხოველები, პროფესია და ა.შ. წამყვანი ყურში ჩასჩურჩულებს არჩეული თემებიდან სიტყვას ერთ-ერთ მონაწილეს. მან თავისი მოძრაობებით. ჟესტებით, მიმიკით, სიტყვების გარეშე უნდა გამოსახოს ის სიტყვა, რომელიც ჩასჩურჩულეს, ხოლო დანარჩენებმა უნდა გამოიცნონ ეს სიტყვა. ის მოთამაშე, რომელიც პირველად გამოიცნობს, ხდება წამყვანი.

**შეფასება:** შეფასდება კონკრეტულ თემასთან დაკავშირებული ლექსიკის ცოდნა და მისი გამოყენების, ასევე წარმოსახვა-განსახიერებისა და შემოქმედებითი უნარები.

**მეთოდური მითითება:** ეს თამაში მიზანშეწონილია მხოლოდ მას შემდეგ, რაც მასწავლებელი დაამუშავებს მოსწავლეებთან ე. წ. სასაუბრო თემებს, მაგალითად: ტრანსპორტი, შინაური და გარეული ცხოველები, პროფესიები და სხვ.

#### აქტივობა №6: „ანტონიმების ჯაჭვი“

**რესურსები:** ეს თამაში საჭიროებს მხოლოდ ადამიანურ რესურსს.

**აქტივობის აღწერა:** მოსწავლეები სხედან წრეში. ერთი ამბობს სიტყვას (მაგალითად, კეთილი), მეორემ, მის გვერდით მჯდომმა, უნდა თქვას საპირისპირო მნიშვნელობის სიტყვა (ანტონიმი), შემდეგ ის ამბობს სიტყვას, მომდევნო - ანტონიმს და ასე გრძელდება. თუ ვინმემ ვერ მოითიქრა ანტონიმი, მასწავლებელი აფრთხილებს მოსწავლეებს, რომ ჯაჭვი წყდება და ვინმემ უნდა იტვირთოს მისი შეკეთება. ვინც ჯაჭვის ყველაზე მეტ რგოლს გადაარჩენს, ის იქნება გამარჯვებული.

**შეფასება:** შეფასდება მოსწავლეთა ლექსიკური მარაგი, ასევე თანამშრომლობის უნარი.

**მეთოდური მითითება:** ცხადია, ამ თამაშის ჩატარებამდე მოსწავლეებმა უნდა იცოდნენ, რას ნიშნავს საპირისპირო მნიშვნელობის სიტყვა (ანტონიმი) და ჰქონდეთ ანტონიმებზე მუშაობის გამოცდილება.

#### აქტივობა №7: სიტუაციური თამაში „სათამაშოების მაღაზიაში“

**რესურსები:** ეს თამაში საჭიროებს მხოლოდ ადამიანურ რესურსს. შეიძლება მონაწილეებმა თავად დაამზადონ მაღაზიის აბრა, ეტიკეტები ფასებით. წინასწარ განალაგონ ავეჯი ისე, რომ შეიქმნას მაღაზიის ილუზია.

**აქტივობის აღწერა:** მოსწავლეების ერთი ნაწილი ასრულებს სათამაშოების როლს, ხოლო სხვები - მყიდველებისა, მასწავლებელი ან უფროსკლასელი კი - გამყიდველია.

მონაწილეები დგებიან ოთახის ერთ მხარეს და ელოდებიან მაღაზიის გახსნას. ამ დროს მათ უნდა გამოიყენონ შესაბამისი ლექსიკური ერთეულები, ფორმულები, ფრაზე-ოლოგია: „ბოლო თქვენ ხართ / ბრძანდებით?“ ”ხომ არ იცით, რამდენ ხანში გაიხსნება მაღაზია?“ და ა.შ. მაღაზიის გახსნამდე გამყიდველი მიდის „სათამაშოებთან“ და თითოეულს ეკითხება, რომელი სათამაშოს განსახიერება უნდა. თუ მოთამაშე კურდელია, შეუძლიაა იხტუნაოს, თუ ბზრიალაა - იტრიალოს, თუ დათვია - იბაჯბაჯოს და ა.შ. როცა ყველა მზად იქნება, „გამყიდველი“ აცხადებს: „მაღაზია გაიხსნა“. „მყიდველები“ დგებიან რიგში, ესალ-მებიან „გამყიდველს“ და სთხოვენ აჩვენოს სათამაშოები (ენობრივი ფორმულები: „თუ შეიძლება, მაჩვენეთ ის სათამაშო“. „გეთაყვა, მომართოდეთ“. „რა ღირს?“ „გმადლობთ, ნახვამდის / კარგად ბრძანდებოდეთ“...). „გამყიდველი“ იღებს თუ არა „დახლიდან“ სათამაშოს, ის ცოცხლდება. მყიდველმა უნდა გამოიცნოს, რა სათამაშოა და თუ გამოიცნობს, მიაქვა. მოდის მომდევნო „მყიდველი“ და ასე გრძელდება თამაში. შემდეგ მოთამაშები ცვლიან როლებს. ამ თამაშში მოსწავლეებს მოუხდებათ სამეტყველო ეტიკეტის ენობრივი ფორმულების გამოყენება.

**შეფასება:** შეფასდება, რამდენად იცის და ადეკვატურად იყენებს მოსწავლე სამეტყველო ეტიკეტის ენობრივ ფორმულებს, სათანადო ლექსიკას, რამდენად სწორად (ინტონაციის თვალსაზრისით) წარმოთქვამს ფრაზებს, წინადადებებს; ასევე შეფასდება მონავლეთა წარმოსახვის უნარი, შემოქმედებითობა.

**მეთოდური მითითება:** რეკომენდებულია მოსწავლეებთან წინასწარი გასაუბრება და იმის გაგება, რომელი სათამაშოები იციან და რამდენად შეუძლიათ მათი განსახიერება. თამაშის გართულების მიზნით, ერთი და იმავე სათამაშოს განსახიერება შეუძლია სხვადასხვა მოსწავლეს. „მყიდველმა“ არა მარტო უნდა გამოიცნოს „სათამაშო“, არამედ უნდა აირჩიოს მათ შორის საუკეთესო.

**ქართ. I. 2. მოსწავლეს შეუძლია გადმოსცეს მარტივი ინფორმაცია მისთვის ნაცნობ თემებზე.**

### აქტივობა №1: „ვხატავ გაგონილს“

**რესურსები:** ნახატები, სახატავი ფურცლები, ფერადი ფანქრები / ფლომასტერები.

**აქტივობის აღწერა:** ტრადიციული აღწერისაგან განსხვავებით, ამ აქტივობაში შეიძლება სახალისო ელემენტის შეტანა: მაგალითად, მეწყვილეები სხედან ზურგშექცევით. თითოეულს ურიგდება ნახატი. ჯერ ერთი აღწერს ნახატს და მისი აღწერის მიხედვით მეორე ხატავს. შემდეგ როლები იცვლება; მოსწავლეები თავად აფასებენ, ვინ აღწერა უკეთ ნახატი და ვისი ნახატი შეესაბამება ტექტს.

**შეფასება:** შეფასდება აღწერისა და დეტალებზე კონცენტრაციის უნარი.

**მეთოდური მითითება:** ნახატი არ უნდა იყოს გადატვირთული. ამ თამაშისათვის მოსწავლეები წინასწარ უნდა იყვნენ მომზადებული შედარებით მარტივი დავალებებით.

**კავშირი სხვა საგნებთან:** სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება.

### აქტივობა №2: „გაფუჭებული ტელეფონი“

**რესურსები:** ეს თამაში საჭიროებს მხოლოდ ადამიანურ რესურსს.

**აქტივობის აღწერა:** მოსწავლეები სხდებიან წრეში. წამყვანი (მასწავლებელი) გვერდით მჯდომს ყურში უჩურჩულებს ფრაზას / ფრაზებს, ენის გასატეხს ან რაიმე ინფორმა-

ციის (მაგალითად, "გუშინ ზოოპარკში თეთრ სპილოს ნაყინი აჭამეს, რის გამოც სპილო ანგინით დაავადდა", ტექსტი გადაეცემა მონაწილეებს თანამიმდევრობით. როცა ჯერი მიდგება უკანასკნელზე, ის ხმამაღლა ამბობს მოსმენილს. თუ ის ზუსტად იტყვის იმას, რაც თავიდან ჩასტურჩულა პირველ მოთამაშეს წამყვანმა, ტელეფონი კარგად მუშაობს. თუ ნათქვამი იქნება შეცვლილი, მაშინ წამყვანი ყველას თანამიმდევრობით ეკითხება, თუ რა გაიგონეს მათ. წამყვანი ხდება ის მოთამაშე, რომელმაც დაარღვია სატელეფონო კავშირი (ანუ დაამახინჯა ფრაზა / აზრი) და ის გადასცემს ახალ ინფორმაციას.

**შეფასება:** შეფასდება მოსმენის, დამახსოვრებისა და ინფორმაციის გადაცემის უნარები.

**მეთოდური მითითება:** მასწავლებელმა მოსწავლეებს ყურადღება უნდა მიაქცევინოს იმაზე, რომ მათ სიტყვები, ფრაზები ნარმოთქვან მკაფიოდ, დამახინჯების გარეშე, რადგან ისინი პასუხისმგებლები არიან ერთმანეთის წინაშე. სასურველია, ამ თამაშის დაწყება მარტივი ფრაზით და შემდეგ ნელ-ნელა გართულება.

#### **აქტივობა №3: "ასე ამბობს სურათი"**

**რესურსები:** ილუსტრაციები, ტექსტი.

**აქტივობის აღწერა:** მასწავლებელი მოსწავლეებს აჩვენებს ტექსტის ილუსტრაციებს და სთხოვს აღწერონ, რას ხედავენ ნახატებზე. მათ უნდა გამოთქვან ვარაუდები, რა შეიძლება იყოს მოთხოვნილი ამ ტექსტში, რატომ ფიქრობენ ასე, რა მინიშნებას / მინიშნებებს ეყრდნობიან. შემდეგ მასწავლებელი კლასს უკითხავს ტექსტს. მოსწავლეები ადარებენ მოსმენილს საკუთარ ვარაუდებს.

**შეფასება:** შეფასდება წარმოსახვისა და დაკვირვების, ნახატის წაკითხვის უნარი, აგრეთვე მოსმენილი ტექსტის შინაარსის გაების და ვიზუალურ მასალასთან მისი დაკავშირების უნარი.

**მეთოდური მითითება:** ილუსტრაცია არ უნდა იყოს ორზე მეტი და ძალიან გადატვირთული, რათა მოსწავლეებს არ გაურთულდეთ მისი აღქმა.

**კავშირი სხვა საგნებთან:** სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება.

#### **აქტივობა №4: „ვირჩევ, ვიყენებ“**

**რესურსები:** სხვადასხვა ნივთი (სასურველია იმდენი, რამდენი მოსწავლეცაა კლასში).

**აქტივობის აღწერა:** მასწავლებელი კლასში ალაგებს რამდენიმე ნივთს. მაგალითად, ილუსტრირებულ წიგნს, ლურსმანსა და ჩაქუჩს, სათამაშო გაზეურას, ფერად ღილებს, ფერადი ძაფების ნაკრებს და სხვ. მოსწავლეები ათვალიერებენ ამ ნივთებს, ირჩევენ მათვის სასურველს და ასაბუთებენ, რატომ აირჩიეს მაინცდამაინც ეს ნივთი, რაში შეიძლება ის გამოიყენონ.

**შეფასება:** შეფასდება მკაფიოდ მეტყველების, სიტყვათა ფუნქციური დანიშნულების გაგებისა და გამოყენების უნარი.

**მეთოდური მითითება:** მასწავლებელი არჩევანში თავისუფალია, თუმცა ის დარწმუნებული უნდა იყოს, რომ ყველა ნივთი მოსწავლეებისათვის ნაცნობია.

**ქართ. I. 3. მოსწავლეს შეუძლია მართლმეტყველების ელემენტარული წესების დაცვა.**

### **აქტივობა №1: „აბდაუბდა”**

**რესურსები:** ეს აქტივობა საჭიროებს მხოლოდ ადამიანურ რესურსს.

**აქტივობის აღწერა:** მასწავლებელი ყოველგვარი პაუზის გარეშე ამბობს ფრაზებს. მოსწავლეებმა უნდა გამოიცნონ, რა თქვა მასწავლებელმა და გაიმეორონ მისი ნათქვამი შესაბამისი პასუზებითა და ინტონაციით. შემდეგ მასწავლებელი ამბობს იმავე ფრაზებს გამართულად. მოსწავლეებიდან გამარჯვებული იქნება ის, ვინც ზუსტად ამოიცნო მასწავლებლის ”აბდაუბდა”.

**შეფასება:** ძირითადად, შეფასდება მეტყველებისას სიტყვების ერთმანეთისგან პაუზით გამოყოფის უნარი, საკავშირებელი სიტყვების ადეკვატურად გამოყენება და წინადაღების დასრულება პაუზითა და შესაბამისი ინტონაციით.

**მეთოდური მითითება:** მასწავლებელმა ამ შემთხვევაშიც უნდა დაიცვას პრინციპი მარტივიდან რთულისაკენ. ჯერ ამ ხერხით მიაწოდოს მოსწავლეებს ერთი წინადაღება, შემდეგ – ორი და ასე გაზარდოს რაოდენობა 4-5 წინადაღებამდე.

### **აქტივობა №2: „ჯადოსნური ნიშნები”**

**რესურსები:** ეს აქტივობა საჭიროებს მხოლოდ ადამიანურ რესურსს.

**აქტივობის აღწერა:** მასწავლებელი ჩამოწერს რამდენიმე სასვენ ნიშანს: წერტილს, კითხვისა და ძახილის ნიშნებს. აძლევს მოსწავლეებს ერთ წინადაღებას, მაგალითად, ”მზე ლამაზად ამოიწვერა მთებიდან”. ისინი ამბობენ წინადაღებას იმ ინტონაციით, რომელ ნიშანზეც მიანიშნებს მასწავლებელი. სასვენი ნიშნის შეცვლის შემთხვევაში შეუძლიათ ერთი აუცილებელი სიტყვის დამატება (მაგალითად, მზე მართლა ლამაზად ამოიწვერა მთებიდან? მზე რა ლამაზად ამოიწვერა მთებიდან!).

**შეფასება:** შეფასდება, რამდენად ესმის მოსწავლეს ძირითადი სასვენი ნიშნების (წერტილი, კითხვისა და ძახილის ნიშნები) დანიშნულება და წარმოთქვამს თუ არა მოსწავლე წინადაღებებს შესაბამისი ინტონაციით.

**მეთოდური მითითება:** მასწავლებელმა მოსწავლეებს ჯერ თავად უნდა მისცეს წინადაღებების შესაბამისი ინტონაციით წარმოთქმის ნიმუში.

### **აქტივობა №3: „ერთად, ტემპში!”**

**რესურსები:** ნებისმიერი ლექსი სახელმძღვანელოდან.

**აქტივობის აღწერა:** მოსწავლეები შესწავლილ ლექსს კითხულობენ გუნდურად. მასწავლებელი ასრულებს დირიჟორის როლს. ის სთხოვს მოსწავლეებს, დაუკვირდნენ მისი ხელების მოძრაობას და ლექსის კითხვის ტემპი ააყოლონ ამ მოძრაობას. მასწავლებელი ჯერ ძალიან ნელა ამოძრავებს ხელს, მერე კი ტემპს უმატებს. ასეთივე წესით მიანიშნებს ის ხმის სიძლიერეზე. ხელის მტევნის დაბლა დაწევა ნიშნავს, რომ ხმას უნდა დაუწიონ, მაღლა აწევა - პირიქით.

**შეფასება:** შეფასდება დაკვირვების, ინსტრუქციის გაგების უნარი, მოსწავლეთა მეტყველება.

**მეთოდური მითითება:** ლექსის კითხვის ტემპის ცვლილებისათვის შეიძლება მეტრონომის გამოყენებაც. ამ აქტივობის ჩატარებისას მასწავლებელი ყურადღებით უნდა იყოს,

ყველა იღებს თუ არა მონანილეობას გუნდურ კითხვაში და ასრულებენ თუ არა მის ინსტრუქციას. ხომ არ არის ვინმე, ვინც ლექსს ერთნაირად ჩუმად კითხულობს, ტემპის ცვლილებისას კი საერთოდ ჩუმდება.

**კავშირის სხვა საგნებთან:** მუსიკა.

**ქართ. I. 4. მოსწავლეს შეუძლია მოისმინოს და გაიგოს ნაცნობ თემატიკაზე შექმნილი მცირე ზომის ტექსტები და გამოხატოს თავისი დამოკიდებულება.**

### აქტივობა №1: „მკითხველის თეატრი“

**რესურსები:** წასაკითხი ტექსტის ქსეროასლები.

**აქტივობის აღწერა:** მკითხველის თეატრი გულისხმობს ნაწარმოების ხმამაღალ როლურ კითხვაში მოსწავლეების ჩართვას. მკითხველის თეატრი არ მოითხოვს დეკორაციებს, კოსტიუმებს ან მოქმედებას. მოსწავლეები (მკითხველები) გადმოსცემენ განწყობილებას, ტონს, ემოციებს და მოქმედ პირთა ხასიათს ხმის, მიმიკისა და ჟესტების მეშვეობით. მკითხველის თეატრი მოსწავლეებს აძლევს საშუალებას, ერთდროულად ივარჯიშონ კითხვისა და მეტყველების უნარების განვითარებაში. მოსაწავლეები სწავლობენ გამომსახველობით კითხვას.

მკითხველის თეატრის ჩატარებამდე უნდა განაწილდეს ტექსტი და განისაზღვროს როლები (მაგალითად, მთხოვბელი, მოქმედი პირები). ყოველმა მოსწავლემ რამდენჯერმე უნდა წაიკითხოს ტექსტი ჩუმად. ისინი იმდენჯერ კითხულობენ ტექსტს, რამდენჯერაც საჭირო იქნება საკუთარ შესაძლებლობაში დასარწმუნებლად, როლის „შესაგუებლად“, თავისუფლად წასაკითხად. კარგი იქნება, თუ მოსწავლეები საკუთარ როლს მონიშნავენ მარკერებით. მასწავლებელმა უნდა აუხსნას მათ ყველა გაუგებარი სიტყვა თუ ფრაზა. მონაწილეთა ერთი ნაწილი განლაგდება ნახევარწრედ, მეორე მაყურებელია. შემდეგ როლები იცვლება.

**შეფასება:** შეფასება შეიძლება მოხდეს შემდეგი კრიტერიუმების მიხედვით:

- იყო თუ არა ყველა სიტყვა მკაფიოდ წარმოთქმული;
- იყო თუ არა გათვალისწინებული პერსონაჟის ხასიათი ტონის, ჟესტებისა და მიმიკის გამოყენებისას;
- იყო თუ არა სწორად გაგებული პუნქტუაცია;
- იყო თუ არა მხედველობითი კონტაქტი აუდიტორიასთან.

**მეთოდური მითითება:** ამ ეტაპზე მკითხველთა თეატრისათვის უნდა შეირჩეს მცირე ზომის ტექსტი, რომელშიც, სასურველია, იყოს სულ მცირე სამი როლი. ამ აქტივობის ჩატარება მხოლოდ მაშინაა გამართლებული, როცა მოსწავლეებს შეუძლიათ კითხვა. ის ერთდროულად მიმართულია კითხვისა და ზეპირმეტყველების უნარების განვითარებაზე.

### აქტივობა №2: „მოგითხობთ ნახატებით“

**რესურსები:** კომიქსების 4-5 კომპლექტი.

**აქტივობის აღწერა:** კლასი იყოფა 3-4-კაციან ჯგუფებად. თითოეულ ჯგუფს ურიგდება კომიქსების კომპლექტი (თითო კომპლექტი შედგება არაუმეტეს 4 ნახატისგან). მოსწავლეები აწყობენ სურათებს თანამიმდევრობით და ზეპირად თხზავენ ამ სურათების შესაბამის ამბავს.

**შეფასება:** შეფასდება წარმოსახვის უნარი, შემოქმედებითობა, თხრობის უნარი შემ-

დეგი კრიტერიუმების მიხედვით: მკაფიო მეტყველება, ლოგიკური თანამიმდევრულობა თხრობისას, ადეკვატური ლექსიკის გამოყენება, ენობრივი გამართულობა.

**მეთოდური მითითება:** ამ ეტაპზე ნახატები არ უნდა იყოს მრავალდეტალიანი. მოსწავლეებმა შედარებით ადვილად უნდა შეძლონ სიუჟეტის ამოცნობა. თუ არის ამის საჭიროება, მასწავლებელმა, შესაძლებელია, წინასწარ მიაწოდოს მოსწავლეებს საჭირო ლექსიკური ერთეულები.

#### აქტივობა №3: „ამბავი აირია“

**რესურსები:** ტექსტი და ილუსტრაციები.

**აქტივობის აღწერა:** მოსწავლეები ისმენენ მასწავლებლის მიერ წაკითხულ / მონათხრობ ტექსტს. შემდეგ მათ არეულად ეძლევათ მოსმენილი ტექსტის ილუსტრაციები, რომლებიც მათ უნდა დაალაგონ შესაბამისი თანამიმდევრობით. ამის შემდეგ ილუსტრაციებზე დაყრდნობით მოსწავლეები აღადგენენ თხრობის თანამიმდევრობას და ჰყვებიან მოსმენილ ამბავს.

**შეფასება:** შეფასდება ყურადღების მობილიზების უნარი, მეხსიერება, თხრობის უნარი შემდეგი კრიტერიუმების მიხედვით: მკაფიო მეტყველება, თხრობისას ლოგიკური თანამიმდევრულობა, ენობრივი გამართულობა და ა.შ.

#### აქტივობა №4: „ვფიქრობ, რომ...“ (ვარაუდი პერსონაჟის შესახებ)

**რესურსები:** ტექსტი სახელმძღვანელოდან.

**აქტივობის აღწერა:** მასწავლებელი უკითხავს მოსწავლეებს ტექსტის სათაურს და აჩვენებს პერსონაჟის ილუსტრაციას. მოსწავლეები ასახელებენ ამ პერსონაჟის შესაძლო თვისებებს, კველა პასუხი იწერება დაფაზე / ფორმატზე. შემდეგ მასწავლებელი კითხულობს ტექსტს. მოსწავლეები ამატებენ ან აკლებენ თვისებებს დაფაზე მათ მიერ ტექსტის მოსმენამდე ჩამოწერილს.

**შეფასება:** შეფასდება მოსმენის უნარი, ვიზუალური ტექსტის „წაკითხვის“ უნარი, და ის, თუ რამდენად შეუძლია მოსწავლეს საკუთარი დამოკიდებულების გამოხატვა, პერსონაჟის შეფასება და ამ შეფასების ადეკვატურად გადმოცემა.

**მეთოდური მითითება:** მასწავლებელი უნდა შეეცადოს, წაახალისოს მოსწავლეები, რომ მათ თამამად და შეუზღუდვავად გამოთქვან საკუთარი მოსაზრებები პერსონაჟის დამახასიათებელ თვისებებთან დაკავშირებით. ამისათვის მას შეუძლია დასვას შეკითხვები: რატომ ფიქრობ ასე? რა მიგანიშნებს ამაზე? გასათვალისწინებელია ის, რომ პირველ ეტაპზე (ტექსტის მოსმენამდე) მისაღებია კველა მოსაზრება. შესაძლებელია ამ აქტივობის მოდიფიცირებაც. მასწავლებელი უკითხავს მოსწავლეებს ტექსტს. მოსმენილი ტექსტის მიხედვით ის ჩამოთვლის პერსონაჟის ოთხ თვისებას, რომელთაგან ერთი არ შეესაბამება მას. მოსწავლეებმა უნდა ამოიცნონ, რომელია ზედმეტი. ამგვარ მოდიფიცირებულ ვარიანტს შეიძლება ვუწოდოთ „რომელია ზედმეტი?“

#### ქართ. I. 5. მოსწავლეს გამომუშავებული აქვს ფონოლოგიური უნარ-ჩვევები.

##### აქტივობა №1: „ბურთის სიტყვები“

**რესურსები:** ბურთი ან რბილი სათამაშო.

**აქტივობის აღწერა:** ეს აქტივობა საკმაოდ პოპულარულია. ტრადიციულისაგან გან-

**თავი III. რეკომენდაციები სტანდარტის შედეგების მისაღწევაზე**

სხვავებით, მასში შეიძლება სახალისო ელემენტის შეტანა. მაგალითად, მოსწავლეები დგებიან წრეში. ის, ვინც იწყებს თამაშს, ამბობს ნებისმიერ ასო-ბგერას და ესვრის ვინმეს ბურთს (რბილ სათამაშოს). ვინც ბურთს დაიჭერს, მან უნდა დაასახელოს სიტყვა ამ ასო-ბგერაზე, დაასახელოს შემდეგი ასო-ბგერა და ესროლოს ბურთი სხვას. ასე გაგრძელდება თამაში მანამ, სანამ ყველა მოსწავლეებთან არ მივა ბურთი.

**შეფასება:** შეფასდება მოსწავლეთა ფონოლოგიური უნარი, სისხარტე და ლექსიკური მარაგი.

**მეთოდური მითითება:** შეიძლება ამ აქტივობის მოდიფიცირება. ნაცვლად ასო-ბგერისა, მოსწავლეები ასახელებენ მარცვალს.

**აქტივობა №2: „ფერადი სიტყვა“**

**რესურსები:** ფურცლები, ფერადი ფანქრები.

**აქტივობის აღწერა:** მასწავლებელი მიმართავს მოსწავლეებს, რომ მოიმარჯვონ ფურცლები და ორი ფერის ფანქრა (მწვანე და ყვითელი / ლურჯი და წითელი). ის დაასახელებს სიტყვას, მოსწავლეებმა კი მოსმენილი სიტყვა უნდა გადმოსცენ ფერებით. აღნიშნონ თანხმოვანი მწვანედ, ხმოვანი კი - ყვითლად. მასწავლებელს დაფაზე / ფორმატზე დამალული აქვს ჩამონერილი სიტყვები, რომლებშიც ასოები ამ პრინციპითაა გაფერადებული. მას შემდეგ, რაც მოსწავლეები დაამთავრებენ მოსმენილი სიტყვების ფერებით გადმოცემას, მასწავლებელი გამოაჩენს დამალულ სიტყვებს და მოსწავლეები შედარების საფუძველზე აფასებენ ერთმანეთის ნამუშევრებს.

**შეფასება:** შეფასდება მოსწავლეთა ფონოლოგიური უნარები, ასევე ყურადღების კონცენტრირების უნარი.

**მეთოდური მითითება:** აუცილებელია, წინასწარ შეთანხმდნენ, რომელ ფერს რა ფუნქციით გამოიყენებენ.

**აქტივობა №3: „ამოირჩიე ასო-ბგერა“**

**რესურსები:** ეს აქტივობა საჭიროებს მხოლოდ ადამიანურ რესურსს.

**აქტივობის აღწერა:** ეს აქტივობა მიმართულია სიტყვების მართლმეტყველებაზე (სასურველია აქცენტი გაკეთდეს ვითარებითის -დ / (-ად)-ზე, ზმის მრავლობითის თ-ზე, -ობ და -ოფ თემის ნიშნებზე). მასწავლებელი ასახელებს სიტყვას და მოსწავლეებს აძლევს არჩევანის საშუალებას, რომელი ჩასვან ორი მოცემული ასო-ბგერიდან. მაგალითად, ”კარგად” - ”დ” თუ ”თ”? ”ვაკეთებთ” - ”დ” თუ ”თ”? ”ვამბობ” – ”ბ” თუ ”ფ”? ვყოფ - ”ბ” თუ ”ფ”? სწორი პასუხში მოსწავლეს ენიჭება ქულა. გამარჯვებული იქნება ის, ვინც ყველაზე მეტ ქულას დააგროვებს.

**შეფასება:** შეფასდება ფონოლოგიური უნარ-ჩვევები, ყურადღება და მეხსიერება.

**მეთოდური მითითება:** შეიძლება თამაშის დროს მეტი სიხალისის შეტანა: გამოვიყენოთ ბურთი ან რბილი სათამაშო. პასუხს ამბობს ის, ვისაც მასწავლებელი ესვრის ბურთს / რბილ სათამაშოს.

### აქტივობა №4: „სიტყვათა წყვილები“

**რესურსები:** ნახატები.

**აქტივობის აღნიშვნა:** მასწავლებელი ასახელებს ბგერათა მიხედვით მსგავს სიტყვათა წყვილებს, მაგალითად, ბარი - ფარი, კარი - ქარი, ჩირი - ჭირი, ღარი - ხარი და ა.შ. დაასახელებს რა ერთ წყვილს, მოსწავლეებმა უნდა დაადგინონ ბგერობრივი სხვაობა ამ სიტყვებს შორის. მაგალითად, ერთში პირველი ასო-ბგერაა ”ბ”, მეორეში - ”ფ”. მასწავლებელი აჩვენებს ამ საგნების ამსახველ ნახატებს შესაბამისი წარწერით, რათა მოსწავლეთა გონიერებაში ჩაიბეჭდოს ამ სიტყვების წერილობითი ხატი და მათ ვიზუალურადაც დაინახონ განსხვავება სიტყვათა წყვილებში.

**შეფასება:** შეფასდება ფონოლოგიური უნარ-ჩვევები, ასევე ყურადღების კონცენტრირების უნარი.

**მეთოდური მითითება:** მასწავლებელს შემდგომ ეტაპზე შეუძლია ისეთი წყვილების შერჩევა, რომლებსაც განსხვავებული ასო-ბგერა (შეიძლება ორიც) შუაში აქვთ (მაგალითად, ბურუსი - ბუსუსი).

### ქართ. I. 6. მოსწავლეს შეუძლია ანბანური პრინციპის გაგება და გამოყენება.

#### აქტივობა „№1: „ანბანი წრეში“ (ანბანის ასოების ამოცნობა)

**აქტივობის შესახებ:** ეს სახალისო აქტივობა ანბანის ცოდნის განმტკიცებას უწყობს ხელს. ეს აქტივობა შეიძლება გამოვიყენოთ პერიოდულად, სანამ მოსწავლეები დაასრულებენ ანბანის მთლიანად შესწავლას.

#### აქტივობის მიზანი:

1. განამტკიცებენ ანბანის ცოდნას;
2. გაიღრმავებენ ფონოლოგიურ უნარებს;
3. ისწავლიან ურთიერთთანამშრომლობას.

**რესურსები:** ბარათები, რომელიც გამოსახულია ანბანის ასოები; მუსიკალური ჩანაწერი: კასეტა, CD, ან ინტერნეტიდან (სასურველია, იყოს მარში); ქუდი ან ტომარა.

#### აქტივობის აღნიშვნა:

1. მოსწავლეები სხდებიან წრეში. მასწავლებელი ჩამოატარებს ქუდს, საიდანაც ყველა მათგანი რიგორიგობით იღებს ერთ ბარათს, რომელზეც წერია ანბანის რომელიმე ასო. შენიშვნა: თუ მოსწავლეებს ჯერ არა აქვთ ნასწავლი ანბანი მთლიანად, უნდა შეარჩიოს მხოლოდ მათვის ნაცნობი ასოები.
2. ქუდიდან ბარათის ამოღებისთანავე მოსწავლეებმა ჯერ უნდა ამოიცნონ და დაასახელონ ასო, შემდეგ კი - სიტყვა, რომელიც შესაბამისი ბგერით იწყება.
3. ამის შემდეგ აწყვობს ბარათებს იატაკზე, მოსწავლეების წინ. მასწავლებელი რთავს ჩანაწერს და სთხოვს მოსწავლეებს, ერთი მიმართულებით იარონ მარშის თანხლებით, სანამ მუსიკა შეწყდება.
4. როდესაც მუსიკა შეწყდება, მოსწავლეები ჩერდებიან ახლა უკვე სხვა ასოსთან, კვლავ მოიფიქრებენ და ასახელებენ სიტყვას, რომელიც შესაბამისი ბგერით იწყება. იმ შემთხვევაში, თუ რომელიმე მოსწავლე ვერ ამოიცნობს ასოს, მასწავლებელი სთხოვს მის გვერდზე მდგომს, დაეხმაროს თანაკლასელს.

**შეფასება:** აქტივობის მიმდინარეობისას სასურველია განმავითარებელი შეფასების გამოყენება. მასწავლებელი აკვირდება მოსწავლეებს,

**თავი III. რეკომენდაციები სტანდარტის შედეგების მისაღწევაზე**

- ანბანის რომელი ასოების ამოცნობა შეუძლიათ და რომლის - არა;
- შეუძლიათ თუ არა ასოები დააკავშირონ ბგერებთან;
- შეუძლიათ თუ არა სხვადასხვა ბგერაზე სიტყვების გახსენება და დასახელება, რამდენად სწრაფად ახერხებენ ამას;
- ხალისით უწევენ თუ არა დახმარებას საკუთარ თანაკლასელს.

**მეთოდური მითითება:** ამ ასაკის მოსწავლეებს მოსწონთ ამ ტიპის თამაშებში მონაწილეობა. ამიტომ მისი გამეორება სასურველია რამდენჯერმე, სანამ მასწავლებელი არ დარწმუნდება, რომ მოცემული ეტაპისთვის მოსწავლეებმა საკმარისად განამტკიცეს თავიანთი ცოდნა.

**კავშირი სხვა საგნებთან:** დაწყებით საფეხურზე ამგვარი აქტივობების დაგეგმვა შესაძლებელია რიცხვების, მათემატიკური ფიგურების შესასწავლადაც.

**აქტივობა №2: "მხიარული ბანქო" (მარცვლების გამთლიანება სიტყვებად)**

**აქტივობის შესახებ:** მარცვლებისგან სიტყვების შეკვრა ერთ-ერთი არსებითი კომპონენტია მოსწავლის ფონოლოგიური უნარ-ჩვევების ჩამოყალიბების პროცესში. ამ აქტივობას შეჯიბრის სახე მივეცით, რადგანაც მიგვაჩინა, რომ ეს მეტად წაახალისებს მოსწავლეებს, რათა აქტიურად ჩაერთონ სასწავლო პროცესში და, ამასთანავე, გაკვეთილს უფრო დინამიურს გახდის. წარმოდგენილი აქტივობის ნიმუში ორმარცვლიანი სიტყვების შედგენას ისახავს მიზნად.

**აქტივობის მიზანი:** მოსწავლეები

1. მიეჩვევიან გუნდური თამაშის პრინციპებს;
2. შეძლებენ მარცვლების სწრაფად გამთლიანებას სიტყვებად.

**რესურსები:** ბანქოს ზომაზე დაჭრილი მუყაო, რომელზეც ფერადი ფლომასტერით / ფანქრით გამოსახულია მარცვლები.

**აქტივობის აღწერა:**

1. მასწავლებელი ყოფს კლასს ორ ჯგუფად და უხსნის მათ თამაშის პირობებს. მოსწავლეებს უნდა მიეცეთ საშუალება, დასვან შეკითხვები დეტალების დასაზუტებლად.
2. მასწავლებელი თითოეული მაგიდის შუაგულში მოათავსებს ბარათების, ანუ "ბანქოს" თითო დასტას პირით ქვემოთ (ისე, რომ მოსწავლეები ვერ ხედავდნენ მარცვლებს).
3. მასწავლებელი დანიშნავს დროს (დაახლ. 7-10 წუთს) და იწყება შეჯიბრი. ჯგუფიდან თითო მოსწავლე იღებს ერთ ბარათს დასტიდან, აბრუნებს მას და დებს მაგიდაზე. შემდეგი მოსწავლე იღებს სხვა ბარათს და ამოწმებს, ქმნის თუ არა ამ ორ ბარათზე გამოსახული მარცვლები სიტყვას. თუ ასეა, მოსწავლე ამ ორ ბარათს ერთმანეთის გვერდიგვერდ აწყობს. შენიშვნა: ამოღებული ბარათი შესაძლებელია პირველი მარცვალი აღმოჩნდეს, შესაძლებელია - მეორე (მაგ., კუ-დი ან დი-ლა). აწყობილი სიტყვები თავსდება მაგიდის ერთ კუთხეში. თუ ბარათებზე გამოსახული მარცვლები არ ქმნიან სიტყვას, მოსწავლე ბარათს აბრუნებს დასტაში. თამაშს აგრძელებს შემდეგი მოსწავლე, რომელიც იღებს სხვა ბარათს. თამაში გრძელდება დროის ამოწურვამდე.
4. დროის ამოწურვის შემდეგ თითოეული გუნდი რიგრიგობით კითხულობს მათ მიერ შედგენილ სიტყვებს. იმარჯვებს ის გუნდი, რომელმაც მეტი სიტყვა შეადგინა.

**შეფასება:** ამ აქტივობით ფასდება,

- რამდენად გაწარმოისა მოსწავლე მარცვლების ამოცნობაში;
- ადვილად ახერხებს თუ არა მოსწავლე მარცვლებისაგან სიტყვების შედგენას;
- რამდენად იცავს გუნდური თამაშის პრინციპებს.

**მეთოდური მითითება:**

1. მუყაოს ფურცლები მასწავლებელმა უნდა გაამზადოს გაკვეთილის დაწყებამდე: დაჭრას იგი ბანქოს ზომაზე და დააწეროს სხვადასხვა მარცვლები. მარცვლები შერჩეული უნდა იყოს მიზანიმიმართულად, ისე, რომ ყველი მათგანი ქმნიდეს სიტყვას სხვა რომელიმე მარცვალთან და არა სპონტანურად. არ არის მიზანშენონილი, რომ ორივე დასტაში ზუსტად ერთი და იგივე მარცვლები მეორდებოდეს.
2. მასწავლებელი უნდა ეცადოს, რომ ბარათების (შესაბამისად, მარცვლების) რაოდენობა მიუსადაგოს მოსწავლეთა რაოდენობას კლასში. ასევე, შეეცადოს, რომ გათვალის მათი რაოდენობა ისე, რომ თამაში მოსწავლეებისგან სწრაფ მოქმედებას მოითხოვდეს და თან აქტივობისთვის გამოყოფილ დროში მოახერხონ სიტყვების დიდი ან უმეტესი ნაწილის ანყობა. მხოლოდ ასე გახდება შესაძლებელი იმის გაგება, თუ რამდენად გაწარმოისავან მოსწავლეები მარცვლებისაგან სიტყვების აგებაში, ანუ რამდენად აუცილებლად უნდა აკონტროლოს თამაშის მიმდინარეობა: მიუთითოს მოსწავლეებს, დაიცვან თავიანთი რიგი და არ იხმაურონ ზედმეტად.
3. მასწავლებელმა აუცილებლად უნდა აკონტროლოს თამაშის მიმდინარეობა: მიუთითოს მოსწავლეებს, დაიცვან თავიანთი რიგი და არ იხმაურონ ზედმეტად.

**ქართ. I. 7. მოსწავლეს შეუძლია წერილობითი კოდის გაშიფვრა.**

**აქტივობა №1: "ლურჯი და წითელი ასოები"** (მოცემული სიტყვის ასოებით ახალი სიტყვების შედგენა; სიტყვებში ერთნაირი და განსხვავებული ასოების ამოცნობა)

**აქტივობის შესახებ:** ეს აქტივობა ხელს უწყობს მოსწავლეებში სიტყვის დეკოდირებისა და გაანალიზების უნარების გამომუშავებას.

**აქტივობის მიზანი:** მოსწავლე

1. გააქტიურებს არსებულ ლექსიკურ მარაგს და გაამდიდრებს მას;
2. მოცემული ასოების გამოყენებით შექმნის ახალ სიტყვებს;
3. შეძლებს ორი სიტყვის შედარებას ასოთა შედგენილობის თვალსაზირისით.

**რესურსები:** დაფა, ცარცი/მარკერი, რვეული, ორი ფერის (ლურჯი და წითელი) საწერი კალმები.

**აქტივობის აღწერა:**

1. მასწავლებელი შეარჩევს ერთ სიტყვას და მსხვილი ასოებით წერს დაფაზე, მაგალითად სიტყვას "ფოტოაპარატი" და სთავაზობს მოსწავლეებს, სიტყვაში მოცემული ასოების გამოყენებით შეადგინონ სხვა სიტყვები. მასწავლებელი მუშაობს მთელ კლასთან.
2. მოსწავლეები ასახელებენ სიტყვებს. შენიშვნა: მასწავლებელი ცდილობს დაეხმაროს მათ, რაც შეიძლება მეტი სიტყვა მოიფიქრონ; აძლევს საკმარის დროს დასაფიქრებლად, ხანდახან ცოტათი ეხმარება კიდეც. ამასთანავე, მასწავლებელმა ისე უნდა მართოს პროცესი, რომ ყველა მოსწავლეს მიეცეს მონაწილეობის მიღების საშუალება.

**თავი III. რეკომენდაციები სტანდარტის შედეგების მისაღწევაზე**

3. მასწავლებელი ჩამონერს დაფაზე მოსწავლეების მიერ ნაკარნახევ სიტყვებს, მაგ.: ფოტო, ტარი, ტორი, ტოტი, ტიტა, ფარი, აფრა, ფატა, პატარა, ტირიფი და ა.შ. მოსწავლეები რვეულში იწერენ ამ სიტყვებს.
4. ამის შემდეგ მასწავლებელი ჩამონერს დაფაზე სხვა სიტყვებს, რომლებიც განსხვავებულ ასოებსაც შეიცავენ, მაგალითად: ფოსტა, სტილი, ჭორფლი, პასპორტი, ფილმი, ტოსტი, კომპიუტი, ნახატი, სპორტი, სტარტი, ლოტო, კარადა, კატა, ქაფი, სარდაფი, ზანტი, თაფლი, ტომარა, ჟირაფი, კოლოფი... და ავალებს მოსწავლეებს, ჯერ დააკვირდნენ, ამოიცნონ ერთნაირი და განსხვავებული ასოები და მხოლოდ ამის შემდეგ გადაიწერონ სიტყვა რვეულებში. ეძლევათ შემდეგი ინსტრუქცია: მსგავსი ასოები ლურჯი კალმით ჩაწერონ რვეულებში, განსხვავებული ასოები კი - წითელი კალმით.
5. მოსწავლეები მუშაობენ დამოუკიდებლად. დავალების შესრულების შემდეგ მასწავლებელი მოსწავლეებს უსვამს კითხვებს თითოეულ სიტყვასთან დაკავშირებით: "რამდენი ასო ჩაიწერე წითელი კალმით?" "რომელია ეს ასო/ასოები?" მოსწავლეებს საშუალება უნდა მიეცეთ, გაუსწორონ ერთმანეთს შეცდომები. მასწავლებელი დაფაზე წერს ამ სიტყვებს, შესაბამის სვეტში. (იხ. ცხრილი)

**ფოტოაპარატი**

იგივე ასოები	ერთი განსხვავებული ასო	ორი განსხვავებული ასო
ფოტო	ფოსტა	კომპიტი
ტარი	სპორტი	სტილი
ტორი	პასპორტი	ფილმი
ტოტი	ტოსტი	ჭორფლი
ტიტა	სტარტი	ნახატი
ფარი	ლოტო	კარადა
აფრა	კატა	სარდაფი
ფატა	ქაფი	ზანტი
პატარა	ტომარა	თაფლი
ტირიფი	ჟირაფი	კოლოფი

**შეფასება:** ამ აქტივობით ფასდება, შეუძლია თუ არა მოსწავლეს

- მოცემულ სიტყვაში ასოების ამოცნობა;
- მოცემული სიტყვის ასოებით ახალი სიტყვების შედგენა;
- საკუთარი ლექსიკური მარაგის გააქტიურება და გამოყენება;
- მოცემულ სიტყვებში ერთნაირი და განსხვავებული ასოების ამოცნობა;
- მარტივი ინსტრუქციის გაგება და შესრულება;

- დამოუკიდებლად მუშაობა;
- ურთიერთშეფასება.

#### მეთოდური მითითება:

- ეს გახლავთ სანიმუშო აქტივობა, რომელიც მასწავლებელმა უნდა მოარგოს სასწავლო პროცესს. რა თქმა უნდა, მასწავლებელს შეუძლია გაამარტივოს იგი, შეამციროს სიტყვათა რაოდენობა, ასევე ერთდროულად არ ამუშაოს მოსწავლეები ერთი და ორი განსხვავებული ასოს ამოცნობაზე.
- ამ აქტივობის შესრულება საინტერესო იქნება ჯგუფებში და წყვილებში. ამ შემთხვევაში, შესაძლებელია, მას ერთგვარი შეჯიბრის სახეც მიეცეს.
- ვინაიდან აქტივობა, ძირითადად, ითვალისწინებს მთელ კლასთან მუშაობას, მასწავლებელმა განსაკუთრებულად უნდა აკონტროლოს მოსწავლეთა ქცევა, რათა თავიდან აიცილოს ზედმეტი ხმაური გაკვეთილზე.

#### აქტივობა №2: "სიტყვა - სურათი - სიტყვა" (სიტყვის ორთოგრაფიული ხატის დამახსოვრება)

**აქტივობის შესახებ:** მოსწავლე კითხვის მთლიანობითი მეთოდის გამოყენებით ვიზუალურად იმახსოვრებს სიტყვის ორთოგრაფიულ ხატს და, ამდენად, იგი დანახვისთანავე აკავშირებს ნაწერს სიტყვის მნიშვნელობასთან. ამგვარი ხერხით მას შეუძლია სიტყვის ამოცნობა მისი დანაწევრება-გამთლიანების გარეშე, ე.წ. პირდაპირი გზით. აღნიშნული ხერხი კითხვის სწავლების ერთ-ერთი შემამზადებელი აქტივობაა, რომელიც განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს ადრეულ - 5 წლის ასაკში კითხვის სწავლებისას.

#### აქტივობის მიზანი:

- ივარჯიშებენ სიტყვების ორთოგრაფიული ხატის დამახსოვრებაში;
- შეძლებენ მთლიანი სიტყვების ნაკითხვას დეკოდირების გარეშე.

**რესურსები:** დაფა, ცარცი/მარკერი, სურათები.

#### აქტივობის აღწერა:

- მასწავლებელი დაფაზე აკრავს სურათებს მსწავლებისთვის ნაცნობი ნივთების, ცხოველების, ფრინველების, მცენარეებისა და ა.შ. გამოსახულებით, რომლებსაც მარცხენა მხარეს მიუწერს შესაბამის სიტყვას, ხოლო მარჯვენა მხარეს - ამავე სიტყვებს არეულად.
- მოსწავლეები ჯერ ასახელებენ ზეპირად, რა არის გამოსახული თითოეულ სურათზე. ამის შემდეგ, მასწავლებელი რიგრიგობით აჩვენებს მოსწავლეებს ამ სურათების გასწვრივ, მარცხენა მხარეს ჩამონერილ სიტყვებს და სთხოვს, დააკვირდნენ და დაიმახსოვრონ ისინი ვიზუალურად.
- ამის შემდეგ მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, დააკვირდნენ მარჯვენა მხარეს ჩამოთვლილ სიტყვებს და იპოვონ, რომელ სურათს შესაბამება თითოეული მათგანი. მასწავლებელი იძახებს რამდენიმე მოსწავლეს, რომლებიც ისრებით აკავშირებენ მარჯვენივ მოთავსებულ სიტყვებს შესაბამის სურათთან.

**შეფასება:** მასწავლებელი აკვირდება მოსწავლეებს, თუ რამდენად კარგად შეუძლიათ მათ

- ამოცნობ და დაასახელონ სურათზე გამოსახული ნივთები, ცხოველები და ა.შ.;
- დააკვირდნენ და დაიმახსოვრონ სიტყვის ორთოგრაფიული ხატი.

ბაყაყი



ქოლგა

ქოლგა



თუთიყუში

მაიმუნი



ბაყაყი

თუთიყუში



მაიმუნი

**მეთოდური მითითება:** როგორც უკვე აღვნიშნეთ, ეს აქტივობა კითხვის სწავლების გავარჯიშების ფაზაზე გამოიყენება. ამდენად, შესაძლებელია მისი ხშირად გამეორება სასურველი შედეგის მიღწევამდე.

**ქართ. I. 8. მოსწავლეს შეუძლია პრაგმატული ხასიათის მარტივი ტექსტის (მაგ., ინსტრუქციის, მენიუს, საყიდლების სიის, აპრისა და ა.შ.) წაკითხვა და გაგება.**

**აქტივობა №1: „წაკითხე და გააკეთე!“** (ინსტრუქციის მიხედვით სხვადასხვა მოქმედების შესრულება)

**აქტივობის შესახებ:** ამ აქტივობას შეიძლება ცალკე დრო დაეთმოს გაკვეთილზე, მაგრამ ასევე შესაძლებელია, რომ ის სრულიად ბუნებრივად გამოიყენოს მასწავლებელმა ნებისმიერი გაკვეთილის მსვლელობისას. ეს აქტივობა ძალიან ართობთ მოსწავლეებს. ისინი ხალისით ცდილობენ წაკითხონ და შეასრულონ მათთვის განკუთვნილი ინსტრუქციები.

**აქტივობის მიზანი:** მოსწავლეები

1. ივარჯიშებენ სწრაფად კითხვაში;

2. ივარჯიშებენ მარტივი ინსტრუქციების გაგებაში;
3. მიეჩვევიან მარტივი ინსტრუქციების შესრულებას.

**რესურსები:** ფურცლები, დაფა, მაგნიტი/ჭიკარტი.

**აქტივობის აღწერა:**

1. მასწავლებელი წინასწარ ამზადებს ფურცლებს, რომლებზეც დიდი და მსხვილი ასოებით არის დაწერილი ან დაბეჭდილი მოკლე, მარტივი ინსტრუქციები. მაგალითად, ასეთი:

”დახურე კარი, კოკა!”

”გაალე ფანჯარა, მაია!”

”გია, წიგნი ჩანთაში ჩადე!”

”ფეხზე ადექი, ნიკა!”

”დაეხმარე ზაზას, თეონა!”

”თინიკო, წაკითხე ლექსი!”

”ეკა და მარი, გაცვალეთ წიგნები!”

”დათო, მანანა, ლევან, ანა და ლუკა, თქვენ ერთ მაგიდასთან დასხედით!”

”თათია, ნინო და ზურა, თქვენ ბარათები დაარიგეთ!”

”ყველამ გადაშალეთ რვეულები!”

”ყველანი ფეხზე ადექით!” და ა.შ.

2. მასწავლებელი რიგრიგობით მაგნიტით ან ჭიკარტით ამაგრებს ფურცელზე დაწერილ ინსტრუქციებს დაფაზე, ან ხელში დაიჭერს და უჩვენებს კლასს. ის მოსწავლე ან მოსწავლეები, რომლებსაც ეხება ინსტრუქცია, ჯერ ხელს აწევენ, შემდეგ კი ასრულებენ დავალებას.

**შეფასება:** ამ აქტივობით ფასდება,

- შეუძლია თუ არა მოსწავლეს მოკლე წინადადებების წაკითხვა და გაგება;
- სწორად იგებს თუ არა მოსწავლე ინსტრუქციის შინაარსს;
- ყურადღებით არის თუ არა მოსწავლე გაკვეთილზე.

**მეთოდური მითითება:** ამ აქტივობის გამოყენება შესაძლებელია წებისმიერი გაკვეთილის მსვლელობისას, განსაკუთრებით ადვილია მაშინ, როცა მასწავლებელს წინასწარ აქვს მომზადებული გაკვეთილის გეგმა. შესაძლებელია უფრო სასაცილო და გასართობი დავალებების მოფიქრებაც, რაც გაკვეთილს უფრო მეტ ხალისს შესძენს.

**აქტივობა №2: „წაიკითხე და გადაიწერე!“** (ინსტრუქციის მიხედვით საკლასო დავალების შესრულება)

**აქტივობის შესახებ:** მოსწავლემ ინსტრუქციის მიხედვით უნდა შეარჩიოს და გადაიწეროს ტექსტში ამოკითხული ან მასწავლებლის მიერ შეთავაზებული სიტყვები.

**აქტივობის მიზანი:** მოსწავლეები

1. შეძლებენ სხვადასხვა ინსტრუქციის მიხედვით წარმოდგენილი სიტყვების დახარისხებას;
2. მიეჩვევიან დავალების პირობის დაკვირვებით წაკითხვასა და მის სწორად შესრულებას.

**რესურსები:** დაფა, ცარცი/ბორდმარკერი, ფურცლები, რვეული, საწერი კალამი.

**აქტივობის აღწერა:**

1. მასწავლებელი დაფაზე წერს შემდეგ სიტყვებს: **თუთიყუში, დათვი, მერცხალი,**

**თავი IV. სახილმძღვანელო აქტოები**

**ბანანი, ბალი, ძალი, ვაშლი, ჩაქუჩი, ნიჩაბი.** ინსტრუქციის მიცემამდე მასწავლებელი ხმამაღლა უკითხავს კლასს ამ სიტყვებს.

2. ამის შემდეგ ყოფს კლასს ჯგუფებად და თითოეულს ურიგებს ფურცელზე დაწერილ ინსტრუქციებს. მაგალითად:

**პირველი ჯგუფი: ამ ხაზზე გადაიწერეთ ხილის სახელები.**

**მეორე ჯგუფი: ამ ხაზზე გადაიწერეთ ცხოველების სახელები.**

**მესამე ჯგუფი: ამ ხაზზე გადაიწერეთ შრომის იარაღის სახელები.**

**მეოთხე ჯგუფი: ამ ხაზზე გადაიწერეთ ფრინველების სახელები.**

**შენიშვნა:** თუ მოსწავლეები წარმატებით დაძლევენ ამ ეტაპს, აქტივობა შეიძლება გართულდეს შემდეგნაირად:

**ამ ხაზზე გადაიწერეთ ერთი ფრინველისა და ერთი შრომის იარაღის სახელი.**

**ამ ხაზზე გადაიწერეთ ორი ხილისა და ერთი ცხოველის სახელი.**

და ა.შ.

შესაძლებელია აქტივობის კიდევ უფრო გართულება, თუ მათ დავავალებთ ისეთი სახელების დაწერასაც, რომლებიც სიაში არ არის წარმოდგენილი, მაგალითად:

**ამ ხაზზე გადაიწერე და ერთი შრომის იარაღისა და ორი ჭურჭლის სახელი.**

**შეფასება:** ამ აქტივობით შეიძლება შეფასდეს, შეუძლია თუ არა მოსწავლეს

- ინსტრუქციის დაკვირვებით წაკითხვა და გაგება;
- ინსტრუქციის მიხედვით დავალების შესრულება.

**მეთოდური მითითება:** მასწავლებელი უნდა ეცადოს, რომ ამ აქტივობაში რაც შეიძლება, მეტი მოსწავლე ჩართოს. თუ მასწავლებელი ხშირად გამოიყენებს ამგვარ აქტივობებს, მას შეუძლია თანდათანობით კიდევ უფრო გაართულოს ინსტრუქციები.

**ქარ. I. 9. მოსწავლეს შეუძლია ვიზუალურად გამოხატოს წაკითხული / მოსმენილი ტექსტით აღძრული შთაბეჭდილებები.**

**აქტივობა №1: „ჩვენი საყვარელი ლექსები და მოთხოვები“** (წიგნის შექმნა)

**აქტივობის შესახებ:** ეს აქტივობა ხელს შეუწყობს არა მხოლოდ წაკითხული მოსმენილი ტექსტის შინაარსისა და მისი დეტალების აღქმა-გაგებას, არამედ წიგნის სტრუქტურის უკეთ გაცნობა-გააზრებასაც. იგი კარგი საშუალებაა ნასწავლი მასალის გასამეორებლად

და გადასააზრებლად. ამასთანავე, აღნიშნული აქტივობა წიგნთან მუშაობის პროცესს მოსწავლისთვის უფრო სახალისოს და საინტერესოს გახდის.

#### აქტივობის მიზანი: მოსწავლეები

1. გაიხსნებენ და შეარჩევენ საყვარელ ნაწარმოებებს;
2. გაიმორჩებენ და კიდევ ერთხელ გაიაზრებენ ნასწავლი ტექსტების შინაარსს;
3. გაიაზრებენ წიგნის სტრუქტურას;
4. გამოავლენენ შემოქმედებით უნარებს;
5. იმუშავებენ ჯგუფებში.

**რესურსები:** სახატავი ფურცლები, ფერადი ფანქრები/ფლომასტერები, სტეპლერი (ასაკინძად), საწერი კალმები.

#### აქტივობის აღწერა:

1. მასწავლებელი უხსნის მოსწავლეებს, რომ მათი მიზანია შექმნან წიგნი, რომელ-შიც შეიტანებ რამდენიმე მათთვის ყველაზე საყვარელ ნაწარმოებს.
2. იმის დასადგენად, თუ რომელი ნაწარმოებები უნდა შეიტანონ ამ კრებულში, მას-წავლებელი ატარებს მცირე გამოკითხვას. სთხოვს მოსწავლეებს დაასახელონ, ნასწავლი ლექსებიდან და მოთხოვობიდან ყველაზე მეტად რომელი მოენონათ. შენიშვნა: შეიძლება მოსწავლეთა აზრები გაიყოს, მათ დაიწყონ კამათი. ძალიან მნიშვნელოვანია, თუ როგორ წარმართავს მასწავლებელი აქტივობის ამ ეტაპს.
3. გამოკითხვის შედეგად მასწავლებლის დახმარებით შეირჩევა 2 ან 3 ნაწარმოები. შეთანხმდებიან წიგნის სათაურზე, მაგ., „ჩვენი საყვარელი ლექსები და მოთხოვ-ბები“.
4. ამის შემდეგ მასწავლებელი კლასს ყოფს ჯგუფებად. თითოეულ ჯგუფს ეძლევა კონკრეტული დავალება. მაგალითად, ერთი ჯგუფი მუშაობს წიგნის ყდის გა-ფორმებაზე, მეორე ჯგუფი - სარჩევის შექმნაზე, მესამე - გადაწერს ერთ რომელიმე ლექსს / მოთხოვობას ან მის მონაკვეთს და დაურთავს ილუსტრაციას და ა.შ.
5. სამუშაოს დასრულების შემდეგ იკრიბება ჯგუფების ნამუშევრები, მოსწავლეები მასწავლებლის ზედამხედველობით ალაგებენ ფურცლებს სათანადო რიგით და აკინძავენ მას „წიგნად“.

#### შეფასება: ამ აქტივობით ფასდება,

- რამდენად შეუძლია მოსწავლეს ესთეტიკურად შეაფასოს წაკითხული ნაწარმოები;
- აქვს თუ არა გაგებული და გააზრებული მოსწავლეს წაკითხული ტექსტის ან მისი გარკვეული მონაკვეთის შინაარსი, პერსონაჟის გარეგნული მახასიათებლები და ა.შ.;
- აღიქვამს თუ არა მოსწავლე წიგნის მარტივ სტრუქტურას;
- აქვს თუ არა წარმოსახვის უნარი;
- შეუძლია თუ არა ჯგუფში მუშაობა.

**მეთოდური მითითებები:** ბუნებრივია, ეს აქტივობა უნდა დაიგეგმოს სასწავლო წლის ბოლოსთვის, როდესაც მოსწავლეებს უკვე შესწავლილი აქვთ სახელმძღვანელოში შეთა-ვაზებული ნაწარმოებების უმეტესობა.

**კავშირი სხვა საგნებთან:** სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება.

**ქართ. I. 10. მოსწავლეს გამომუშავებული აქციების წიგნთან მუშაობის საწყისი ჩვევები.**

**აქტივობა №1: “როცა ვკითხულობ...”** (თვითშეფასების სქემის შევსება)

**აქტივობის შესახებ:** იმისათვის, რომ მოსწავლებს თავიდანვე ჩამოყალიბდეთ წიგნთან მუშაობის სწორი ჩვევები, სასურველია, რომ ისინი შეეჩიონ საკუთარი კითხვის პროცესზე დაკვირვებას, რათა შემდგომში შეძლონ მისი დახვეწა და რეგულირება.

**აქტივობის მიზანი:** მოსწავლეები

1. ისწავლიან საკუთარი კითხვის პროცესზე დაკვირვებას და მის რეგულირებას;
2. გააზრებულად გამოიყენებენ კითხვის მარტივ სტრატეგიებს;
3. გაიცნობენ და გამოიყენებენ ახალ სტრატეგიებს;
4. განუვითარდებათ თვითშეფასების უნარი;
5. განუვითარდებათ საკუთარი არჩევანის/გადაწყვეტილების დასაბუთების უნარი.

**რესურსები:** საკითხავი წიგნი/სახელმძღვანელო, დაფა, ცარცი/დმარკერი, ფურცლები, ფანჯრები.

**აქტივობის აღწერა:**

1. მასწავლებლი სთავაზობს მოსწავლეებს მცირე ზომის ტექსტს კლასში დამოუკიდებლად წასაკითხად და აძლევს გარკვეულ დროს. ამავე დროს, წინასწარ აფრთხილებს მათ, რომ წიგნის გადაშლისთანავე დააკვირდნენ თავიანთ მოქმედებებს: რას აკვირდებან ისინი კითხვის დაწყებამდე, რას აკეთებენ, როდესაც კითხულობენ და რაზე ფიქრობენ, როდესაც კითხვას ამთავრებენ.
2. სანამ მოსწავლეები კითხვას დაასრულებენ, მასწავლებელი დაფაზე წერს თვითშეფასების მარტივ სქემას:

### კითხვის დაწყებამდე

სწორად დავჯექი მაგიდასთან

წიგნი ისე დავიდე წინ, რომ კარგად დამენახა ასოები  
მოვამზადე ფანჯარი

### კითხვის დროს

თითს ვაყოლებდი ასოებს

ფანჯრით ვხაზავდი უცნობ სიტყვებს

### კითხვის შემდეგ

დავფიქრდი, რა გავიგე ახალი და საინტერესო

დავფიქრდი, გავიგე თუ არა ყველაფერი

3. როდესაც მოსწავლეები კითხვას დაასრულებენ, მასწავლებელი დაურიგებს მოსწავლეებს ფურცლებს, რომლებზეც იგივე სქემაა მოცემული. კითხულობს ხმა-მალა და როდესაც დარწმუნდება, რომ ყველა მოსწავლემ გაიგო თითოეული პუნქტი, სთხოვს მათ დამოუკიდებლად იმუშაონ. მოსწავლემ თითოეული პუნქტის გასწვრივ მოთავსებულ კვადრატში რაიმე სიმბოლოთი (\*, +, √) თავად-

ვე უნდა აღნიშნოს, რომელი მოქმედება შეასრულა. შენიშვნა: ცხადია, პირველ ეტაპზე შესაძლებელია ჩამოთვლილი პუნქტების რაოდენობის შემცირება.

4. სამუშაოს ამ ეტაპის დასრულების შემდეგ იწყება განხილვა. მასნავლებელი აგროვებს ფურცლებს და ეკითხება მოსწავლეებს, თუ რატომ გამოიყენა ან არ გამოიყენა ესა თუ ის ხერხი, დაეხმარა თუ არა მას ამ ხერხის გამოყენება და ა.შ.

**შეფასება:** ეს აქტივობა მოსწავლეთა თვითშეფასებისა და ურთიერთშეფასების საუკეთესო საშუალებას იძლევა. ასევე, მისი მიმდინარეობისას თავისუფლადაა შესაძლებელი როგორც განმავითარებელი, ისე განმავითარებელი შეფასების გამოყენებაც. ამრიგად, ამ აქტივობით შევგვიძლია შევაფასოთ,

- აკვირდება თუ არა მოსწავლე საკუთარი სწავლის (ამ შემთხვევაში, კითხვის) პროცესს;
- გააზრებულად იყენებს თუ არა მოსწავლე კითხვის მარტივ სტრატეგიებს;
- აქვს თუ არა მოსწავლეს წიგნთან მუშაობის საწყისი ჩვევები;
- შეუძლია თუ არა მოსწავლეს მის მიერ გამოყენებული სტრატეგიის ამოცნობა;
- შეუძლია თუ არა მოსწავლეს მასწავლებლის ინსტრუქციის გაგება და შესრულება;
- შეუძლია თუ არა მოსწავლეს იმსჯელოს და დაასაბუთოს, რატომ გამოიყენა ესა თუ ის სტრატეგია.

**მეთოდური მითითება:** მოსწავლეთა მეტაკოგნიტური უნარების განვითარების მიზნით, სასურველია, ამ ამ ტიპის აქტივობები დაიგეგმოს და ჩატარდეს მაღალ კლასებშიც. (მისი გართულებული ვარიანტი იხილეთ იხილოთ შედეგისთვის IV.10.)

### ქართ. I. 11. მოსწავლეს შეუძლია ტექსტის სტრუქტურის აღქმა.

**აქტივობა №1: „აპზაცი, წინადადება, სიტყვა“** (ტექსტში წინადადების პოვნა სტრუქტურული საყრდენების საშუალებით; წინადადებაში გამოტოვებული სიტყვის აღდგენა)

**აქტივობის შესახებ:** იმისათვის, რომ მოსწავლე წარმატებული მკითხველი იყოს, აუცილებელია, რომ მან ისწავლოს ტექსტში ორიენტირება, თავისუფლად შეძლოს მისი სტრუქტურული ერთეულების ამოცნობა.

**აქტივობის მიზანი:** მოსწავლეები შეძლებენ

1. ტექსტის სტრუქტურული ერთეულების აღქმას;
2. ტექსტში ორიენტირებას;
3. ტექსტში მითითებული ადგილის მოძიებასა და წაკითხვას.

**რესურსები:** სახელმძღვანელო, დაფა, ცარცი/მარკერი, რვეული, საწერი კალამი.

**აქტივობის აღწერა:**

1. ორ ან სამაბზაციანი ტექსტის წაკითხვის შემდეგ მასწავლებელი დაფაზე წერს ან კითხულობს ერთ წინადადებას ამ ტექსტიდან და სთხოვს მოსწავლეებს, მოცემულ მონაკვეთში (მაგ., პირველ აპზაცი, ბოლო აპზაცი და ა.შ.) მოძებნონ ამ წინადადების წინა ან მომდევნო წინადადება და ხმამაღლა წაიკითხონ იგი.
2. მასწავლებელი დაფაზე წერს წინადადებას, რომელშიც გამოტოვებულია ერთი ან ორი სიტყვა. იგი სთხოვს მოსწავლეებს, ტექსტის გარკვეულ მონაკვეთში მოძებნონ მოცემული წინადადება და აღადგინონ გამოტოვებული სიტყვა. შენიშვნა: ეს აქტივობა შესაძლებელია შესრულდეს ზეპირადაც (მოსწავლეებმა დაასა-

ხელონ გამოტოვებული სიტყვა და შემდეგ წაიკითხონ ნინადადება აღდგენილი სახით) და წერილობითაც (გადაიწერონ წიგნიდან ნინადადება ან მოცემულ წინა-დადებაში გამოტოვებულ ადგილას ჩაწერონ საჭირო სიტყვა).

**შეფასება:** ამ აქტივობით შეიძლება შეფასდეს, შეუძლია თუ არა მოსწავლეს

- ტექსტის სტრუქტურული ერთეულების - აბზაცის, ნინადადების, სიტყვის - აღქ-მა;
- ტექსტში მითითებული ადგილის მონახვა და წაკითხვა
- ტექსტის ყურადღებით წაკითხვა.

**მეთოდური მითითება:**

1. თავდაპირველად, სასურველია, მეტი მინიშნება მივცეთ მოსწავლეებს, მივუთი-თოთ მათ მონაკვეთი ან აბზაცი, სადაც უნდა მოძებნონ ესა თუ ის წინადადება. ეს გააადვილებს დავალების შესრულებას. შემდგომში კი, როდესაც მასწავლებე-ლი დარწმუნდება, რომ მოსწავლებს უკვე შედარებით თავისუფლად შეუძლიათ ტექსტში ორიენტირება, მას შეუძლია თანდათანობით გაართულოს აქტივობა და აღარ მიუთითოს, რომელ მონაკვეთში უნდა ეძებონ მოსწავლეებმა ესა თუ ის წი-ნადადება.
2. ამ აქტივობის გამოყენება შესაძლებელია მთელ კლასთან, ჯგუფებშიც და წყვი-ლებშიც.

**ქართ. I. 12. მოსწავლეს შეუძლია ანბანის ყველა ასოს გამოწერა.**

**აქტივობა №1: ანბან-პლაკატზე მითითებული ასოს თითით შემოხაზვა და აღწერა.**

**აქტივობის შესახებ:** აქტივობა ემსახურება წერისათვის აუცილებელი უნარ-ჩვევე-ბის გამომუშავებას.

**აქტივობის მიზნები:**

- მოსწავლეთა მომზადება წერის პროცესისათვის;
- ანბანის ასოების ამოცნობა;
- ნატიფი მოტორიკის განვითარება;
- წერის პროცესის გააზრება.

**აქტივობის ორგანიზების ფორმა:** ინდივიდუალური.

**რესურსები:** ანბან-პლაკატი.

**აქტივობის აღწერა:**

ანბანის შესწავლისას მასწავლებელმა შესაბამის სიმაღლეზე და თვალსაჩინო ადგი-ლას უნდა გააკრას ანბან-პლაკატი. სანამ მოსწავლები შეასრულებენ ამ აქტივობას, სა-სურველია, ჯერ მასწავლებელმა აჩვენოს და სიტყვიერად უხსენას მათ, თუ როგორ უნდა მოხაზონ თითით ესა თუ ის ასო. მასწავლებელი უხსელებს მოსწავლეებს გამოსაწერ ასოს, მაგ., „ა”-ს და ხელის ნელი მოძრაობით, ორჯერ-სამჯერ, ანბან-პლაკატზე აფიქსირებინებს მოსწავლეებს ასოს; თან სიტყვიერად უხსენის, საიდან იწყება მოცემული ასოს გამოწერა: ”ვიწყებთ გამოწერას ქვემოდან, შემდეგ ასოს მუცელი უნდა მოვუმრგვალოთ” - უჩვენებს, როგორ უკეთებს ქვედა რკალს, ”ბოლოს კი წვერს გამოვიყვანთ” - უჩვენებს, როგორ დაას-რულებს ასოს წერას. შემდეგ მასწავლებელი, მოსწავლეების ანბან-პლაკატთან სათითაოდ მოხმობით, ამეორებინებს მათ ”ა” ასოს გამოწერის გეზს. ამასთანავე ითხოვს, რომ მოს-წავლემ, თუნდაც ნაწილობრივ, სიტყვიერად აღწეროს ის პროცესი, რომელსაც იგი ახორ-

ციელებს.

**აქტივობის ხანგრძლივობა:** 8-10 წუთი.

**შეფასება:** აქტივობით ფასდება, შეუძლია თუ არა მოსწავლეს

- ასოების წერა ხელის სწორი მოძრაობით და შესაბამისი მიმართულების დაცვით;
- ასოს გამოწერის მიმართულების სიტყვიერად აღწერა (თუნდაც არასრული სახით).

**აქტივობა №2: მოძრავ ანბანში შესასწავლი ასოს მოძებნა და ხელის სწორი მოძრაობით ფანქრით შემოხაზვა.**

**აქტივობის შესახებ:** აქტივობა ემსახურება წერისათვის აუცილებელი უნარ-ჩვევების გამომუშავებას.

**აქტივობის მიზნები:**

- ანბანის ასოების ამოცნობა;
- ნატიფი მოტორიკის განვითარება;
- წერის პროცესის გააზრება.

**აქტივობის ორგანიზების ფორმა:** ინდივიდუალური.

**რესურსები:** საანბანო ლოტო/მოძრავი ანბანი, ფანქარი.

**აქტივობის აღწერა:**

მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, მოძებნონ საანბანო ლოტოში ან მოძრავ ანბანში ის ასო, რომელსაც იგი დაასახელებს. ამ სამუშაოს შესასრულებლად მოსწავლეებს ეძლევათ 3-5 წუთი. მას შემდეგ, რაც მოსწავლეები მოძებნიან მასწავლებლის მიერ დასახელებულ ასოს, მათ ფანქრით, ხელის სწორი მოძრაობით უნდა შემოხაზონ იგი. ეს პროცედურა ხუთჯერ-ექსკვერ შეიძლება განმოირდეს.

აქტივობის საერთო ხანგრძლივობა 10 წუთს არ უნდა აღემატებოდეს.

**შეფასება:** აქტივობით ფასდება, შეუძლია თუ არა მოსწავლეს:

- ასოების ამოცნობა;
- წერის პროცესის გააზრება, მისი ძირითადი პრინციპების (ხელის სწორი მოძრაობა, შესაბამისი მიმართულების დაცვა) ათვისება.

**აქტივობა № 3: ასოების გამოძერწვა**

**აქტივობის შესახებ:** აქტივობა ემსახურება წერისათვის აუცილებელი უნარ-ჩვევების გამომუშავებას.

**აქტივობის მიზნები:**

- ანბანის ასოების ამოცნობა;
- ნატიფი მოტორიკის განვითარება;
- წერის პროცესის გააზრება.

**აქტივობის ორგანიზების ფორმა:** ინდივიდუალური.

**რესურსები:** პლასტილინი, ცომი, თიხა, მარცვლები (ბრინჯის, ლობიოს, ნინიბურას), დაფა, ცარცი/მარკერი.

**აქტივობის აღწერა:**

მასწავლებელი დაფაზე ორჯერ-სამჯერ წერს დასამუშავებელ ასოს/ასოებს, დააფიქ-სირებინებს მოსწავლეებს ასოს გამოწერის მიმართულებას; ურიგებს მათ მომზადებულ მასალას და სთხოვს, რომ წიგნში/დაფაზე მოცემული ნიმუშის მიხედვით, გამოძერწვა დასა-

მუშავებელი ასო/ასოები ან ააწყონ ისინი ბრინჯის, ლობიოს თუ წიწიბურას მარცვლებით. აქტივობისას რეკომენდებულია ერთი, ორი ან სამი ასოს გამოძერნვა. შესაძლოა, ძერნვის პროცესში მოსწავლეებს მასწავლებლის მცირედი დახმარებაც დასჭირდეთ.

**აქტივობის ხანგრძლივობა:** 10-12 წუთი.

**შეფასება:** აქტივობით ფასდება, შეუძლია თუ არა მოსწავლეს ასოების ამოცნობა და მათი წარმოდგენა სხვადასხვა საშუალებით.

**კავშირი სხვა საგნებთან:** შეიძლება ინტეგრირება სახვით და გამოყენებითა ხელოვნებასთან.

#### აქტივობა №4. ასოების გაფერადება.

**აქტივობის შესახებ:** აქტივობა ემსახურება წერისათვის აუცილებელი უნარ-ჩვევების გამომუშავებას.

#### აქტივობის მიზნები:

- ანბანის ასოების ამოცნობა;
- წერის პროცესის გააზრება.

#### აქტივობის ორგანიზების ფორმა:

**რესურსები:** ბარათებზე გრაფიკულად დახატული ასოები, დაფა, ცარცი/მარკერი, ფერადი ფანქრები/ფლომასტერები.

#### აქტივობის აღნერა:

მასწავლებელი დაფაზე ორჯერ-სამჯერ წერს დასამუშავებელ ასოს/ასოებს, დააფიქ-სირებინებს მოსწავლეებს ასოს გამოწერის მიმართულებას.

შემდეგ მასწავლებელი მოსწავლეებს ურიგებს ბარათებზე გრაფიკულად დახატულ ასოს/ასოებს (შესაძლებელია, ერთი ასო ნაცნობი იყოს, მეორე – უცნობი) და ავალებს მათ, სხვადასხვა ფერის ფანქრით/ფლომასტერით გააფერადონ ასო/ასოები ისე, რომ დაიცვან ასოს წერის მიმართულება.

იმისათვის, რომ მოსწავლეებმა უკეთ გააცნობიერონ აქტივობა, მასწავლებელმა შეიძლება თვითონაც გააფერადოს დაფაზე გამოწერილი ასო (წერის მიმართულებაზე ხაზ-გასმით).

**აქტივობის ხანგრძლივობა:** 5-8 წუთი.

#### შეფასება:

- ასოს წერის მიმართულების დაფიქსირება;
- წერის მიმართულების დაცვა.

**მეთოდური მითითება:** აღნერილი აქტივობები საუკეთესოდ ესადაგება 5-6 წლის მოსწავლის ინტელექტუალურ განვითარებას, რადგან ამ ასაკის ბავშვის აზროვნება “მოქმედებითია”. ეს ნიშნავს, რომ ბავშვი სრულფასოვნად იაზრებს მხოლოდ იმას, რასაც თავისი ხელით ასრულებს. შესაბამისად, ანბან-პლაკატზე მითითებული ასოს თითით მოხაზვა და აღნერა, ასოს მოძებნა და ხელის სწორი მოძრაობით მისი ფანქრით მოხაზვა, ასოების გამოძერნვა, ასოების გაფერადება და ა. შ. ხელს უწყობს წერის პროცესის გააზრებას, რადგან ყოველივე ეს წერის ერთგვარ იმიტაციას წარმოადგენს.

#### აქტივობა №5: ნიმუშის მიხედვით ასოს დეტალის გამოწერა.

**აქტივობის შესახებ:** აქტივობა ემსახურება წერისათვის აუცილებელი უნარ-ჩვევების გამომუშავებას.

### აქტივობის მიზნები:

- ანბანის ასოების ამოცნობა;
- ნატიფი მოტორიკის განვითარება;
- წერის მიმართულების დაცვა;
- წერის პროცესის გააზრება.

**აქტივობის ორგანიზების ფორმა:** ინდივიდუალური.

**რესურსები:** სავარჯიშოების რვეული, სახელმძღვანელო, კალამი.

### აქტივობის აღწერა:

მასწავლებელი ავალებს მოსწავლეებს, გამოწერონ ასოს დეტალები მოცემული ნიმუშის მიხედვით. ამგვარი ნიმუშები, როგორც წესი, მოცემულია მოსწავლის სახელმძღვანელოებსა და სამუშაო რვეულებში.

**აქტივობის ხანგრძლივობა:** 10-12 წუთი.

**შეფასება:** აქტივობით ფასდება, შეუძლია თუ არა მოსწავლეს

- საწერ ბადეში ორიენტირება;
- წერის მიმართულების დაცვა;
- ნატიფი მოტორული სამუშაოს შესრულება.

**მეთოდური მითითება:** სახელმძღვანელოებსა და რვეულებში ამ ეტაპისათვის წარმოდგენილია აგრეთვე შემდეგი სახის სავარჯიშოები: მითითებული გზის გავლა კალმით/ფანჯრით/ცარცით (მაგ., „მიიყვანე კაცუნა ხესთან/ მოხაზე ნახევარრკალი მარცხნიდან მარჯვნივ“); წერტილების შეერთება ნიმუშის მიხედვით, სხვ. ამ ტიპის სავარჯიშოების შესრულება აგრეთვე ხელს უწყობს ნატიფი მოტორიკის განვითარებას და, ამდენად, სასარგებლო იქნება მოსწავლეებისათვის.

**აქტივობა №6:** წერტილების შეერთებით ასოს ნიმუშის გამოწერა.

**აქტივობის შესახებ:** აქტივობა ემსახურება წერისათვის აუცილებელი უნარ-ჩვევების გამომუშავებას.

### აქტივობის მიზნები:

- ანბანის ასოების ამოცნობა;
- ნატიფი მოტორიკის განვითარება;
- წერის მიმართულების დაცვა;
- წერის პროცესის გააზრება.

**აქტივობის ორგანიზების ფორმა:** ინდივიდუალური.

**რესურსები:** სავარჯიშოების რვეული, სახელმძღვანელო, კალამი, საჩვენებელი ჯონი, დაფა, ცარცი/მარკერი. შესაძლებელია ანბან-პლაკატის, ლოტოს, მოძრავი ანბანის გამოყენებაც.

### აქტივობის აღწერა:

მასწავლებელი მოსწავლეებს დაუსახელებს გამოსაწერ ასოს. მოსწავლეები ანბან-პლაკატზე, სახელმძღვანელოს შესაბამის გვერდზე, საანბანო ლოტოსა თუ მოძრავ ანბანში ეძებენ და პოულობენ მას. მასწავლებელი ხელის ნელი მოძრაობით დაფაზე წერს გამოსაწერ ასოს (ორჯერ ან სამჯერ), დააფიქსირებინებს მოსწავლეებს, რომ ასოსა და ასოს შორის ერთი უჯრა უნდა გამოტოვონ; უჩვენებს მოსწავლეებს და თან სიტყვიერად უხსნის მათ, საიდან იწყება მოცემული ასოს გამოწერა.

მასწავლებელი რიგრიგობით მოიხმობს მოსწავლეებს დაფასთან და ამეორებინებს

მათ ასოს გამოწერის გეზს (ამისათვის მოსწავლეები საჩვენებელ თითს იყენებენ). შემდეგ მასწავლებელი ამონტებს მოსწავლეთა მზადყოფნას წერითი დავალების შესრულებისთვის (მომარჯვებული აქვთ თუ არა მოსწავლეებს კალმები, სწორად უდევთ თუ არა მერხზე რვეულები, გადამლილი აქვთ თუ არა რვეულები სათანადო გვერდზე). ამის შემდეგ მოსწავლეები შეუდგებიან მუშაობას - საწერ რვეულში მოცემული ნიმუშების მიხედვით გამოწერენ ასოთა განსაზღვრულ რაოდენობას.

**აქტივობის ხანგრძლივობა:** 13-15 წუთი.

**შეფასება:** აქტივობით ფასდება, შეუძლია თუ არა მოსწავლეს

- ანბანში ასოს ამოცნობა;
- საწერ ბადეში ორიენტირება;
- წერის მიმართულების დაცვა;
- ასოს გამოწერა.

**მეთოდური შენიშვნა:** შექენილი ცოდნის გასამყარებლად და პროცესის გასახალისებლად, აქტივობა შეიძლება გამდიდრდეს იმ ტიპის მარტივი სავარჯიშოთი, როგორიცაა "ჩაწერე სიტყვაში გამოტოვებული ასო". მაგ., თუ მოსწავლეები სწავლობენ ასო "გ"-ს გამოწერას, მასწავლებელს შეუძლია, დაფაზე გამოწეროს ორმარცვლიანი სიტყვები, სადაც აღნიშნული ასო გამოტოვებულია. მოსწავლეებს დაევალებათ სიტყვის სათანადო ასოთი შევსება (მაგ., თა- ვი, ქოლ- ა, გო- რა, -ემი და სხვ). ამ ტიპის სავარჯიშოები ხშირად სახელმძღვანელოებშიცაა მოცემული.

**ქართ. I. 13. მოსწავლეს შეუძლია კარნახით წერა და ნაბეჭდი ტექსტიდან / დაფიდან მარტივი წინადადებების გადაწერა.**

**აქტივობა №1: გადაწერა.**

**აქტივობის შესახებ:** აქტივობა გამოიყენება წერის ეტაპზე. იგი ემსახურება წერითი მეტყველების ტექნიკის განვითარებას.

**აქტივობის მიზნები:**

- წერის ტექნიკის განვითარება;
- წერის პროცესის გააზრება.

**აქტივობის ორგანიზების ფორმა:** ინდივიდუალური.

**რესურსები:** რვეული, სახელმძღვანელო, დაფა, ცარცი/მარკერი, კალამი.

**აქტივობის აღწერა:**

სამუშაოს დაწყებამდე მასწავლებელმა მოსწავლეებს ზეპირი ინსტრუქციის სახით უნდა აუხსნას, რომ მათი ამოცანაა, ზუსტად გადაწერონ შეთავაზებული ნიმუში (დაფიდან, სახელმძღვანელოდან თუ სამუშაო რვეულიდან). მასწავლებელი უხსნის/შეახსენებს მოსწავლეებს, რომ სათაური ინერება შუაში, ძირითადი ტექსტის გადაწერა კი ინყება სათაურიდან სამი ხაზის გამოტოვებით. აუცილებელია აგრეთვე იმის შეხსენებაც, რომ გადაწერისას მოსწავლეებმა სიტყვებს შორის ორი უჯრა უნდა გამოტოვონ, წინადადების ბოლოს კი წერტილი დასვან.

წერის დაწყებამდე მასწავლებელმა ორჯერ მაინც უნდა წაუკითხოს მოსწავლეებს გადასაწერი ტექსტი, მკაფიოდ და სათანადო ინტონაციური აქცენტების დასმით. ამის შემდეგ მასწავლებელი ამონტებს მოსწავლეთა მზადყოფნას წერითი დავალებისათვის (მომარჯვებული აქვთ თუ არა მოსწავლეებს კალმები, სწორად უდევთ თუ არა მერხზე რვეულები, გადამლილი აქვთ თუ არა რვეულები სათანადო გვერდზე). ამის შემდეგ მოსწავლეები შეუდგებიან მუშაობას - საწერ რვეულში მოცემული ნიმუშების მიხედვით გამოწერენ ასოთა განსაზღვრულ რაოდენობას.

გადაშლილია აქტით თუ არა რვეულები სათანადო გვერდზე).

ამის შემდეგ მოსწავლეებს ეძლევათ დაახლოებით 10 წუთი ტექსტის გადასაწერად. აღნერილი აქტივობისათვის ადეკვატური საცარჯიშოებია: "გადაწერე ანდაზა", "გადაწერე მოთხოვობის სათაური და პირველი აბზაცი", "გადაწერე ლექსი" (მისი მოცულობა ერთ სტროფს არ უნდა აღემატებოდეს).

აქტივობის ხანგრძლივობა: 10-12 წუთი.

**შეფასება:** აქტივობით ფასდება, შეუძლია თუ არა მოსწავლეს

- საწერ ბადეში ორიენტირება;
- წერის მიმართულების დაცვა;
- ნაბეჭდი ტექსტის გადაწერა;
- სათაურს, ასოებსა და სიტყვებს შორის სათანადო მანძილის დაცვა.

**აქტივობა №2: სხვის მიერ ნათქვამი სიტყვის/ფრაზის ჩაწერა.**

აქტივობის შესახებ: აქტივობა კომპლექსური სახისაა - იგი ფარავს ზეპირმეტყველებისა და წერის მიმართულებებს. აქტივობა ემსახურება მოსმენილი ინფორმაციის წერაში ტრანსფერირების (გადატანის) უნარ-ჩვევების გამომუშავებას.

**აქტივობის მიზნები:**

- ფონოლოგიური უნარების განვითარება;
- მოსმენილი ინფორმაციის წერაში ასახვის უნარის განვითარება;
- წერის ტექნიკის განვითარება;
- სასიცოცხლო უნარ-ჩვევების (თანამშრომლობის უნარის) განვითარება.

**აქტივობის ორგანიზების ფორმა:** ინდივიდუალური/ნუკლური<sup>2</sup>.

**რესურსები:** რვეული, დაფა, ცარცი/მარკერი, კალამი.

აქტივობის აღნერა: აქტივობა კომპლექსური სახისაა - იგი ფარავს ზეპირმეტყველებისა და წერის მიმართულებებს.

ჩასაწერი სიტყვა/ფრაზა ჯერ ზეპირმეტყველების დონეზე მუშავდება. დამუშავების შემდეგ მოსწავლეებს ევალებათ, რომ თავიანთ სამუშაო რვეულებში ან დაფაზე დაწერონ იგი. მაგ., მასწავლებელი ეუბნება მოსწავლეებს: "მე გეტყვით სიტყვას, თქვენ კი ჩაიწერეთ ეს სიტყვა რვეულში". ცხადია, მასწავლებელი არჩევს მოსწავლეების მიერ არაერთგზის წაკითხულ, ნაცნობ, ერთ ან ორმარცვლიან სიტყვებს (მაგ: დედა, ბუ, მეფე, ბიჭი). შესაძლებელია, რომ მასწავლებელმა მარცვლებადაც დაანაწევროს სიტყვა, მოსწავლეებმა კი სიტყვად აქციონ მარცვლები და ჩაიწერონ ისინი რვეულში (გრაფიკული ნიმუშის გამოუყენებლად).

მოსწავლეთა გასახალისებლად კლასი შეიძლება დავყოთ ნუკლებად და აქტივობას კითხვა-პასუხის ფორმა მივანიჭოთ. ამ შემთხვევაში ნუკლებში მუშაობა ამგვარად წარმართება: მოსწავლე ეკითხება თავის მეწყვილეს: "რა გქვია შენ?" პასუხის მოსმენის შემდეგ კი ჩაიწერს მეწყვილის სახელს რვეულში.

**აქტივობის ხანგრძლივობა:** 10-12 წუთი.

**შეფასება:** აქტივობით ფასდება, შეუძლია თუ არა მოსწავლეს

- მოსმენის შემდეგ (ან კარნახით) ნაცნობი ორთოგრაფიული ხატის მქონე სიტყვების დაწერა;

2 აღნიშნულ პუნქტში ("აქტივობის ორგანიზების ფორმა") დახრიდი ხაზი სიტყვებს შორის მიუთითებს, რომ აქტივობის ორგანიზება შეიძლება ორი ფორმით (ამ შემთხვევაში როგორც ინდივიდუალურად, ისე ნუკლებში მუშაობის გზით).

- ბგერებისაგან/მარცვლებისაგან სიტყვის შედგენა და ჩაწერა;
- თანამშრომლობა.

**აქტივობა №3. წინადადებაში ნახატის ნაცვლად სიტყვის ჩასმა.**

**აქტივობის შესახებ:** აქტივობა ემსახურება ვიზუალური წიგნიერებისა და, ზოგადად, სემიოტიკური კომპეტენციის საწყისის უნარების გამომუშავებას.

**აქტივობის მიზნები:**

- მოსმენილი ინფორმაციის წერაში ტრანსფერირება (გადატანა);
- ვიზუალური ინფორმაციის წერაში ტრანსფერირება.

**აქტივობის ორგანიზების ფორმა:** ინდივიდუალური.

**რესურსები:** რვეული, სახელმძღვანელო, კალამი.

**აქტივობის აღნერა:**

აქტივობა კომბინირებული სახისაა - იგი ფარავს ზეპირმეტყველებისა და წერის მიმართულებებს.

აღნიშნული აქტივობა ჯერ მუშავდება ზეპირმეტყველების დონეზე. მოსწავლეებმა ზუსტად უნდა განსაზღვრონ, რომელი სიტყვა უნდა ჩასვან წინადადებაში ნახატის ნაცვლად (ამ ტიპის სავარჯიშოები ხშირადა მოცემული სახელმძღვანელოებსა და სავარჯიშო რვეულებში). მასწავლებელი გადააშლევინებს მოსწავლეებს სახელმძღვანელოს/რვეულს სათანადო გვერდზე, მოამარჯვებინებს კალმებს და უხსნის მათ წერითი სამუშაოს არსს დეტალური ინსტრუქციის მიცემის გზით. ინსტრუქცია შემდეგი ნაბიჯებისაგან შედგება:

- გამოიცანით, რომელი სიტყვა უნდა ჩაწეროთ წინადადებაში;
- გამოცნობის შემდეგ გადაწერეთ წინადადება;
- გადაწერის დროს სათანადო ადგილზე ჩასვით ნახატის ნაცვლად სიტყვა;
- წინადადების ბოლოს დასვით წერტილი.

მაგ. "წინომ (ზატია წიგნი) წაიკითხა".

მოსწავლემ უნდა გადაწეროს წინადადება, ამოიცნოს, რომ სიტყვა "წიგნი" უნდა ჩასვას, დამოუკიდებლად უნდა ჩაწეროს იგი, წინადადების ბოლოს კი დასვას წერტილი.

**აქტივობის ხანგრძლივობა:** 10-12 წუთი.

**შეფასება:** აქტივობით ფასდება, შეუძლია თუ არა მოსწავლეს

- ნაცნობი ორთოგრაფიული ხატის მქონე სიტყვების დამოუკიდებლად ჩაწერა;
- ზეპირი და/ან ვიზუალური ინფორმაციის წერაში ტრანსფერირება.

**აქტივობა №4 . წინადადების დასრულება.**

**აქტივობის შესახებ:** აქტივობა გამიზნულია წერის ეტაპისათვის. იგი ემსახურება მოსწავლეთა აზრის წერილობით გადმოცემისათვის აუცილებელი უნარ-ჩვევების გამომუშავებას; სტიმულს აძლევს მოსწავლეთა თვითგამოხატვის პროცესს.

**აქტივობის მიზნები:**

- დასრულებული აზრის წერილობით გამოხატვის უნარის განვითარება;
- კონტექსტის ადეკვატურად აღქმის უნარის განვითარება;
- თვითგამოხატვის უნარის განვითარება.

**აქტივობის ორგანიზების ფორმა:** ინდივიდუალური.

**რესურსები:** რვეული, სახელმძღვანელო, დაფა, ცარცი/მარკერი, კალამი.

**აქტივობის აღნერა:**

მასწავლებელი დაფაზე წერს მარტივ წინადადებებს (არასრული სახით) და ავალებს მოსწავლეებს: ა) რეკულებში გადაიწერონ დაფაზე შესრულებული ნაწერი; ბ) დამოუკიდებლად დაასრულონ წინადადება (მოსწავლეებმა წინადადება უნდა დაასრულონ კონტექსტის გათვალისწინებით, პირადი მოსაზრების საფუძველზე).

მასწავლებელი გადააშლევინებს მოსწავლეებს რეკულს, მოამარჯვებინებს კალმებს; უსწინის მოსწავლეებს წერითი სამუშაოს არსს და აძლევს დეტალურ ინსტრუქციას. ინსტრუქცია შემდეგი სახისაა:

- გამოიცანით, რომელი სიტყვა უნდა ჩაწეროთ წინადადებაში;
- გამოცნობის შემდეგ გადაწერეთ წინადადება;
- გადაწერის დროს დაასრულეთ წინადადება შერჩეული სიტყვით;
- წინადადების ბოლოს დასვით წერტილი.

მოსწავლეებმა ჩუმად უნდა წაიკითხონ წინადადება და საკუთარი თვალსაზრისის საფუძველზე, კონტექსტის გათვალისწინებით, განსაზღვრონ, რომელი სიტყვით უნდა დაასრულონ წინადადება.

მაგ. "ჩემი საყვარელი წიგნია /-----/".

"ყველაზე კარგად ვერთობი /-----/".

მოსწავლემ უნდა შეარჩიოს თავისი საყვარელი წიგნის სათაური თუ საყვარელი გასართობი თამაში, გადაწეროს წინადადება და დამოუკიდებლად დაასრულოს იგი. წინადადების ბოლოს უნდა დასვას წერტილი.

აქტივობის ხანგრძლივობა: 10-12 წუთი.

**შეფასება:** აქტივობით ფასდება, შეუძლია თუ არა მოსწავლეს

- კონტექსტის გათვალისწინებით, სიტყვების ადეკვატურად და დამოუკიდებლად ჩაწერა;
- საკუთარი თვალსაზრისის გამოხატვა;
- შემოქმედებითი უნარ-ჩვევების გამოვლენა.

**მეთოდური შენიშვნა:** პირადი თვალსაზრისის საფუძველზე წინადადების დასრულება თვითგამოხატვას გულისხმობს და მაღალი დონის საზროვნო უნარებს მოითხოვს. ამიტომ რეკომენდებულია, სირთულეების თავიდან ასაცილებლად, მოსწავლეებმა დაასახელონ კიდეც თავიანთი პასუხები. შესაძლოა, მასწავლებელმა დაფაზე ჩამოწეროს რამდენიმე პასუხი, რაც ერთგვარი მოდელი იქნება კლასისათვის. შესაძლებელია, ამ დროს გაიმართოს საუბარი/დისკუსია.

**ქართ. I. 14. მოსწავლეს შეუძლია მარტივი წინადადებების შედგენა ნაცნობ თემებზე.**

**აქტივობები №№1-2. შეკითხვის დასმა და კითხვაზე პასუხის გაცემა.**

**აქტივობის შესახებ:** აქტივობა ხელს უწყობს სასვენი ნიშნების (კითხვის ნიშნისა და წერტილის) მართებულად გამოყენების ჩვევის გამომუშავებას; დამოუკიდებლად წერის უნარ-ჩვევების გავითარებას.

**აქტივობის მიზნები:**

- ტექსტის გაგების უნარის განვითარება;
- ტექსტის ანალიზის უნარის განვითარება;
- სასიცოცხლო უნარ-ჩვევების (თანამშრომლობის უნარის) განვითარება;

**აქტივობის ორგანიზების ფორმა:** ინდივიდუალური / წყვილური.

**რესურსები:** რვეული, სახელმძღვანელო, დაფა, ცარცი/მარკერი, კალამი.

**აქტივობის აღწერა:**

მასწავლებელმა ჯერ ზეპირად, შემდეგ კი წერილობით (დაწერს დაფაზე) უნდა დასვას რაიმე მარტივი შეკითხვა. მაგ: ”ვინ არის შენი საყვარელი ზღაპრის/მულტფილმის გმირი?”, ”რა არის შენი საყვარელი საჭმელი?“ ”ვინ არის შენი საუკეთესო მეგობარი?“ მოსწავლეებმა კითხვა უნდა გადაიწერონ რვეულებში, შემდეგ კი დამოუკიდებლად უნდა გასცენ სრული პასუხი (ამისათვის მასწავლებელმა მათ უნდა უჩვენოს სრული პასუხის მოდელი).

წერის პროცესის დაწყებამდე უნდა დამუშავდეს სასვენი ნიშნების საკითხი. მასწავლებელი ეკითხება მოსწავლეებს: ”რა ნიშანს დავსვამთ წინადადების ბოლოს, თუ წინადადება რაიმეს გვეკითხება?“ ”რა ნიშანს დავსვამთ წინადადების ბოლოს, როცა კითხვაზე პასუხს გავცემთ?“.

კითხვებზე პასუხის გაცემის შემდეგ მოსწავლეები წერას შეუდგებიან. ამ აქტივობის განხორციელება შესაძლებელია აგრეთვე მოსწავლეთა დაწყვილებითაც. ასეთ შემთხვევაში, მეწყვილები თავად მოიფიქრებენ მარტივ კითხვას მასწავლებლის კითხვის ნიმუშის მიხედვით. ერთი მოსწავლე თავის მეწყვილეს დაუსვამს რაიმე შეკითხვას და მოისმენს მის პასუხს. ამის შემდეგ ორივე მეწყვილე რვეულებში ჩაიწერს დასმულ შეკითხვასა და გაცემულ პასუხს.

**მაგალითი:**

”რითო ერთობი ყველაზე კარგად?

მე ყველაზე კარგად ვერთობი ფეხბურთით“.

აქტივობის ”კითხვაზე/კითხვებზე პასუხის გაცემა“ ჩატარება შესაძლებელია აგრეთვე სახელმძღვანელოებზე დაყრდნობით (სახელმძღვანელოებში, როგორც წესი, მრავლადა წარმოდგენილი ამ აქტივობისათვის საჭირო მასალა).

მაგ., ”როგორი ბიჭი იყო გიგო? (მოთხოვთა “თხა და გიგო”)

გიგო იყო თავმომწონე.

აქტივობის ხანგრძლივობა: 12-15 წუთი.

**შეფასება:** ამგვარი აქტივობებით ფასდება, შეუძლია თუ არა მოსწავლეს

- სათანადო სასვენი ნიშნების გამოყენება;
- თვითგამოხატვა;
- საგნების, საკუთარი და სხვების თვისებების, მოქმედებების გამომხატველი სიტყვების მართებულად გამოყენება სხვისი დახმარების გარეშე;
- თანამშრომლობა.

**აქტივობა №3. სიტყვების მიხედვით წინადადების შედგენა.**

**აქტივობის მიზნები:**

- ტექსტის აღქმის, გააზრებისა და გაანალიზების უნარის განვითარება;
- პუნქტუაციის წესების ათვისება.

აქტივობის ორგანიზების ფორმა: ინდივიდუალური.

**რესურსები:** რვეული, დაფა, ცარცი/მარკერი, კალამი.

**აქტივობის აღწერა:**

მასწავლებელი დაფაზე წერს რამდენიმე მარტივ, მოსწავლეებისთვის ნაცნობ სიტყვას და სთხოვს მოსწავლეებს: ა) შეადგინონ წინადადება მოცემული სიტყვების გამოყენე-

ბით; ბ) შედგენილი წინადადება ჩაწერონ რვეულებში; გ) წინადადების ბოლოს დასვან შესაბამისი სასვენი ნიშანი. მაგ:

ყვავილები, ლარნაკში, დედამ, ჩაწერი /დედამ ყვავილები ლარნაკში ჩაწერი/.

ბავშვები, მუზეუმში, მასნავლებელმა, წაიყვანა /მასნავლებელმა ბავშვები მუზეუმში წაიყვანა./

ნინო, აწყობენ, კუბიკებით, და, გიგა, კოშკს /ნინო და გიგა კუბიკებით კოშკს აწყობენ. აქტივობის ხანგრძლივობა: 8-10 წუთი.

**შეფასება:** აქტივობით ფასდება, შეუძლია თუ არა მოსწავლეს

- სათანადო სასვენი ნიშნების გამოყენება;
- თხრობითი/კითხვითი წინადადებების აგება;
- სიტყვათა დასაკავშირებლად კავშირების გამოყენება;
- მოცემული სიტყვების გამოყენებით წინადადების შედგენა;
- დასრულებული აზრის წერილობით ჩამოყალიბება.

**მეთოდური შენიშვნა:** სასურველია, რომ მასწავლებლის მიერ შეთავაზებული წინადადებები იყოს მარტივი, ნასწავლ ტექსტებში მრავალჯერ წაკითხული; სახელები და ზმნები კი მოცემული იყოს სათანადო ბრუნვებსა და ფორმებში, როგორც ეს ნიმუშია ნაჩვენები.

#### აქტივობა №4. წინადადების "ჩარჩო"

**აქტივობის შესახებ:** აზრის წერილობით გადმოცემა საჭიროებს სიტყვებს და სტრუქტურას, რომლითაც ეს სიტყვები უნდა „დალაგდეს“. ნაკლები გამოცდილების მქონე მოსწავლეებს, როგორც წესი, უჭირთ აზრის წერილობით გადმოცემა. აქტივობა გაუადვილებს მოსწავლეებს აზრის წერილობით გამოხატვის უნარ-ჩვევებისა და წერითი მეტყველების ნორმების ათვისებას.

#### აქტივობის მიზნები:

- აზრის ზეპირად და წერილობით გამოხატვის უნარ-ჩვევების განვითარება;
- სასვენი ნიშნების (წერტილის) სათანადოდ გამოყენების უნარ-ჩვევის გამომუშავება;
- წერილობითი მეტყველების განვითარება.

**აქტივობის ორგანიზების ფორმა:** ინდივიდუალური.

**რესურსები:** დაფა, ცარცი/მარკერი, რვეული, კალამი.

#### აქტივობის აღწერა:

„წინადადების ჩარჩოს“ მასწავლებელი ქმნის მარტივი წინადადების სახით, რომლებსაც დაფაზე ჩამონერს, მაგ., „მე მეგია.....“, „მე მაქვს....“, „მე მიყვარს .....“, „მე ვხედავ .....“ და ა.შ. მასწავლებელმა უნდა აუხსნას მოსწავლეებს, როგორ გამოიყენონ „წინადადების ჩარჩო“, გააფრთხილოს ისინი, რომ წინადადების ბოლოს დასვან წერტილი. სასურველია, ახსნისას მასწავლებელმა თვითონ შეავსოს „ჩარჩო“ ნიმუშის საჩვენებლად.

მოსწავლეები გადაიწერენ „წინადადების ჩარჩოს“ და დაასრულებენ მას თავიანთი შეხედულებისამებრ. მაგ., „მე მიყვარს თამაში“, „მე ვხედავ ბურთს“ და ა.შ.

აქტივობის ხანგრძლივობა: 8-10 წუთი.

**შეფასება:** აქტივობით ფასდება, შეუძლია თუ არა მოსწავლეს:

- აზრის წერილობით გადმოცემა;
- მოცემული მოდელის მიხედვით წინადადების შედგენა;

- სასვენი ნიშნების (წერტილის) მართებულად გამოყენება.

**აქტივობა №5. მოვლენის/პერსონაჟის დამახასიათებელი ნიშან-თვისებების წარმოდგენა წერილობითი სახით.**

**აქტივობის შესახებ:** აქტივობა კომპლექსური სახისაა - იგი ფარავს ზეპირმეტყველებისა და წერის მიმართულებებს.

აქტივობა ემსახურება ტექსტის ანალიზის, ინფორმაცის მოძიებისა და დახარისხების საწყისი უნარ-ჩვევების გამომუშავებას.

#### **აქტივობის მიზნები:**

- ტექსტის ანალიზის უნარის განვითარება;
- ტექსტში არსებული ინფორმაციის დახარისხების უნარის განვითარება;
- ლოგიკური აზროვნების უნარის განვითარება.

#### **აქტივობის ორგანიზების ფორმა:** ინდივიდუალური.

**რესურსები:** კალამი, რვეული, დაფა, ცარცი/მარკერი.

#### **აქტივობის აღწერა:**

წაკითხვის შემდეგ ტექსტი ჯერ მუშავდება ზეპირმეტყველების დონეზე - პერსონაჟისათვის დამახასიათებელ ნიშან-თვისებებზე მუშაობა წარმოებს კითხვა-პასუხის მეშვეობით. მაგ., მასწავლებელი დასვამს შეკითხვას: "როგორი ბიჭი იყო ვანო?" (მოთხრობა "სწავლაში ზარმაცი, ცეკვაში მამაცი"), ან "როგორია ზამთარი?" (მოთხრობა "ზამთარი"). კლასი პასუხობს მასწავლებლის შეკითხვებს.

ამ მოსამზადებელი სამუშაოს ჩატარების მემდეგ მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, რვეულში ჩაინტერინ ორი-სამი ნიშან-თვისება, რომელიც პერსონაჟს/მოვლენას ახასიათებს და შექმნან გმირის/მოვლენის დახასიათების ერთგვარი სქემა, რომლის ნიმუში დაფაზე იქნება დაწერილი.

#### **ნიმუში:** ვანო იყო

- ზარმაცი
- მხიარული
- ან
- ზამთარი არის
- ცივი
- თეთრი
- სუსხიანი

აქტივობა შეიძლება დასრულდეს ისევ ზეპირი სამუშაოს შესრულებით. კერძოდ, წერის დასრულების შემდეგ მასწავლებელს შეუძლია მოსწავლეებს სთხოვოს, ხმამაღლა წაიკითხონ თავიანთი ჩანაწერები და ზეპირმეტყველების დონეზე დაასაბუთონ, ერთგვარად ახსნან ისინი.

ამ მიზნით მასწავლებელი სვამს სათანადო შეკითხვებს. მაგ., "რატომ გგონია, რომ ვანო სულელი/ზარმაცი/მხიარული იყო?" ან "რატომ არის ზამთარი თეთრი/სუსხიანი/ცივი?"

აქტივობის ხანგრძლივობა: 15 წუთი.

**შეფასება:** აქტივობით ფასდება, შეუძლია თუ არა მოსწავლეს

- ტექსტის გაანალიზება;
- ტექსტში არსებული ინფორმაციის დახარისხება მოცემული ამოცანის შესაბამისად;
- საკუთარი თვალსაზრისის შემუშავება და დამოუკიდებლად ჩაწერა;

- აზრის ჩამოყალიბება ზეპირი გზით;
- საკუთარი თვალსაზრისის დასაბუთება.

**ქართ. I. 15. მოსწავლეს შეუძლია გარკვეული საყრდენების დახმარებით მარტივი ყოფითი ტექსტების წერა.**

**აქტივობა №1: ავტობიოგრაფიული სახის ანკეტის შევსება.**

**აქტივობის შესახებ:** აქტივობა ემსახურება ინფორმაციის დახარისხებისა და მისი ორგანიზების უნარ-ჩვევების გამომუშავებას. აქტივობა დაეხმარება მოსწავლებს ყოფითი ტექსტების სპეციფიკის გააზრებაში.

**აქტივობის მიზნები:**

- სხვადასხვა სახის ინფორმაციის ორგანიზების უნარ-ჩვევების განვითარება;
- ინფორმაციის წერილობითი სახით წარმოდგენის უნარ-ჩვევების განვითარება.

**აქტივობის ორგანიზების ფორმა:** ინდივიდუალური.

**რესურსები:** ფურცელი, კალამი, დაფა, ცარცი/მარკერი.

**აქტივობის აღნიშვნა:** მასწავლებელი დაფაზე წერს მარტივი ანკეტის ფორმის ნიმუშს.

მაგ: მე მქვია /სახელი და გვარი/

ვარ /ასაკი/

ვცხოვრობ /ქალაქი, სოფელი/

ვსწავლობ /სკოლა/

დახატე შენი თავი.

ანკეტის შევსებამდე მოსწავლეები და მასწავლებელი ერთად განიხილავენ, სად რა უნდა ჩაიწეროს ანკეტის შევსებისას. სასურველია, განხილვა მოხდეს რომელიმე მოსწავლის მონაცემების დასახელების მაგალითზე.

მასწავლებელი მოსწავლეებს დაავალებს:

- დაფიდან გადაიწერონ ანკეტის ფორმა;
- ინდივიდუალურად შეავსონ თავიანთი ანკეტა;
- დახატონ ავტოპორტრეტი.

გაკვეთილის შემდეგ მოსწავლეთა ნამუშევრები შეიძლება გამოიფინოს კლასის ერთ-ერთ კუთხეში.

**აქტივობის ხანგრძლივობა:** 13-15 წუთი.

**შეფასება:** აქტივობით ფასდება, შეუძლია თუ არა მოსწავლეს

- ინფორმაციის დახარისხება და ორგანიზება მოცემული მოდელის მიხედვით;
- მოცემული მოდელის საფუძველზე ყოფითი ტექსტის შექმნა.

**აქტივობა №2: წერილობითი კომენტარი**

**აქტივობის შესახებ:** აქტივობა ემსახურება ვიზუალური წიგნიერების ძირითადი უნარ-ჩვევების გამომუშავებას, მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს შემოქმედებითი უნარების განვითარებას.

**აქტივობის მიზნები:**

- სემიოტიკური კომპეტენციის გამომუშავება და განვითარება;
- ვიზუალური ინფორმაციის წერილობით წარმოდგენის უნარ-ჩვევების განვითარება;

- შემოქმედებითი უნარ-ჩვევების განვითარება.
- აქტივობის ორგანიზების ფორმა:** ინდივიდუალური.
- რესურსები:** რვეული, ნახატები, კალაბრი.

**აქტივობის აღწერა:** მასწავლებელი მოსწავლეებს რიგრიგობით აჩვენებს/დაფის თაროზე აწყობს მარტივ ნახატებს (არაუმეტეს ორისა), რომელიც დეტალებით არ არის გადატვირთული და მხოლოდ ერთი მნიშვნელობის აღმისკენ უბიძებს მოსწავლეს, მაგ., გოგონა მდელოზე ყვავილებს კრეფს. შემდეგ სთხოვს მოსწავლეებს, დაწერონ, რას ხედავენ ამ ნახატზე. სასურველია, რომ ჩასაწერი ფრაზა ჯერ ზეპირად დამუშავდეს; დამუშავების შემდეგ მოსწავლეები ფრაზას რვეულებში იწერენ.

აღწერილი აქტივობის შედარებით გართულებული ვარიანტია ორი ნახატის მეშვეობით ერთგვარი სიუჟეტური ხაზის აგება, ნახატების დასათაურება და მისი ჩაწერა., მაგ; გოგონა მდელოზე ყვავილებს კრეფს; გოგონა დედას თაიგული მიართვა. (სათაურის შესაძლო ვარიანტები: “კარგი შვილი,” “დედის დღე”, სხვ.).

**აქტივობის ხანგრძლივობა:** 10-12 წუთი.

**შეფასება:** აქტივობით ფასდება, შეუძლია თუ არა მოსწავლეს:

- ვიზუალური ინფორმაციის აღქმა;
- ვიზუალური ინფორმაციის ვერბალიზაცია და მისი წარმოდგენა წერილობითი სახით;
- დამოუკიდებლად მარტივი ტექსტის შექმნა;
- საკუთარი დამოკიდებულების გამოხატვა და ჩაწერა;
- ადეკვატური სასვენი ნიშნების/კავშირების გამოყენება.

### აქტივობა №3: აფიშის შექმნა.

**აქტივობის მიზნები:**

- სემიოტიკური კომპეტენციის გამომუშავება და განვითარება;
- ვიზუალური წიგნიერების უნარ-ჩვევების განვითარება;
- შემოქმედებითი უნარ-ჩვევების განვითარება.

**აქტივობის ორგანიზების ფორმა:** ინდივიდუალური.

**რესურსები:** ფურცელი, ფერადი ფანქრები/ფლომასტერები, საბავშვო წიგნები, აფიშები, დაფა, ცარცი/მარკერი.

**აქტივობის აღწერა:** მასწავლებელი დაავალებს მოსწავლეებს საყვარელი წიგნის ყდის /მულტფილმის აფიშის შექმნას. წინასწარ განუმარტავს მათ, რომ წიგნის ყდაზე, პირველ რიგში, მითითებული უნდა იყოს ავტორი; შუაში, გამოკვეთილდად, დიდი ასოებით, სათაური უნდა ეწეროს; ყდა გაფორმებული უნდა იყოს ნახატით. აფიშაზე დიდი ასოებით/ფერადად უნდა ეწეროს მულტფილმის სათაური, წარმოდგენილი უნდა იყოს რამე ნახატი/ფოტო/ილუსტრაცია; მითითებული იყოს მულტფილმის დაწყების დრო. შესაძლოა, მასწავლებელმა ნიმუშების დასახატად დაფა გამოიყენოს. თვალსაჩინოებისათვის რეკომენდებულია, აგრეთვე, რამდენიმე საბავშვო წიგნის ყდის / აფიშების ჩვენება.

მოსამზადებელი სამუშაოს ჩატარების შემდეგ, მოსწავლეები ნიმუშის მიხედვით თავად შექნიან საყვარელი წიგნის ყდას/მულტფილმის აფიშას. გაკვეთილის დასრულების შემდეგ აფიშები და წიგნის ყდები შეიძლება კლასის ერთ-ერთ კუთხეში გამოიფინოს.

**აქტივობის ხანგრძლივობა:** 12-15 წუთი.

**შეფასება:** აქტივობით ფასდება, შეუძლია თუ არა მოსწავლეს

- მოდელის მიხედვით მარტივი ტექსტის შედგენა/გაფორმება;
- ინფორმაციის წარმოდგენა ვიზუალების გამოყენებით;
- ვერბალური და არავერბალური ინფორმაციის ერთმანეთთან დაკავშირება.

#### მეთოდური მითითებები:

- ხუთი-ექვსი წლის ბავშვებისთვის დამოუკიდებლად წერა ძალზე რთულ სამუშაოს წარმოადგენს. ამიტომ მიზანშეწონილია, რომ შესასრულებელი სამუშაო ჯერ ზეპირად დამუშავდეს მაგალითის/მოდელის ჩვენებით. მხოლოდ ამის შემდეგ შეიძლება დავავალოთ მოსწავლეებს დავალების წერილობით შესრულება.
- მოსწავლეების მოტივაციის ამაღლების მიზნით, რეკომენდებულია დამოუკიდებლად შესრულებული ყოველი წერითი სამუშაოს წახალისება (ღიმილით, სიტყვიერი კომენტარით, წერილობითი კომენტარით, სიმბოლური ნიშნით, ტაშით, სხვ.).
- კარგი იქნება, თუ აქტივობასთან ერთად დაიგეგმება მოსწავლეთა ვიზიტი თეატრში და/ან კინოთეატრში, ამგვარად მასწავლებელს საშუალება ექნება, კიდევ ერთხელ გაამახვილოს ბავშვების ყურადღება აფიშის გაფორმების წესზე.

#### აქტივობა №4: მოთხოვობის "ჩარჩო".

**აქტივობის შესახებ:** აქტივობა გამიზნულია წერის ეტაპისთვის, ეყრდნობა კითხვა-პასუხის ფორმატს. იგი ხელს უწყობს აზრის წერილობით გადმოცემის უნარ-ჩვევების გამომუშავებას; სტიმულს აძლევს მოსწავლეთა თვითგამოხატვის პროცესს.

#### აქტივობის მიზნები:

- აზრის წერილობით გადმოცემის უნარ-ჩვევების განვითარება;
- წერითი მეტყველების განვითარება;
- პუნქტუაციის ნორმების ათვისება;
- მოსწავლეთა თვითგამოხატვის ხელშეწყობა;
- შემოქმედებითი უნარების განვითარება.

#### აქტივობის ორგანიზების ფორმა:

რესურსები: დაფა, ცარცი/მარკერი, რვეული, კალამი.

**აქტივობის აღნერა:** მასწავლებელი სთავაზობს მოსწავლეებს, წარმოიდგინონ თავი ნამდვილ მწერლებად და დაწერონ მოთხოვობა თავიანთი საყვარელი ნივთის/ცხოველის/გასართობის/საქმიანობის შესახებ.

შემდეგ მასწავლებელი დაფაზე ჩამოწერს შეკითხვებს და სთხოვს ბავშვებს, უპასუხონ ამ შეკითხვებს წერილობით; ყოველი პასუხის/წინადადების ბოლოს კი დასვან წერტილი. სავარაუდო პასუხები თავდაპირველად აუცილებლად უნდა დამუშავდეს ზეპირმეტყველების დონეზე. ჩამოწერილ შეკითხვებზე პასუხების გაცემის გზით ბავშვები ქმნიან მცირე ზომის მოთხოვობას.

#### ნიმუში.

თემა: ჩემი ძალლი.

რა ჰქვია შენს ძალლს? რა ფერისაა ის? რისი გაკეთება შეუძლია? რას ფიქრობ შენს ძალლზე?

ჩემს ძალლს ჰქვია \_\_\_\_\_.

ის \_\_\_\_\_ ფერისაა.

მას შეუძლია \_\_\_\_\_.

ის \_\_\_\_\_ (მაგ., ჩემი მეგობარია/ მე მიყვარს ჩემი ძალლი, სხვ.).

**აქტივობის ხანგრძლივობა:** 10-12 წუთი.

**შეფასება:** აქტივობით ფასდება, შეუძლია თუ არა მოსწავლეს

- აზრის წერილობით გადმოცემა;
- მოცემული მოდელის მიხედვით მცირე ზომის ტექსტის შედგენა;
- თვითგამოხატვა;
- სასვენი ნიშნების (წერტილის) მართებულად გამოყენება.

**მეთოდური მითითებები:**

- "ჩარჩო" კონსტრუქციები მოსწავლეთა წერითი მეტყველების განვითარების ეფექტურ საშუალებას წარმოადგენს. მათი გამოყენება შეიძლება, აგრეთვე, სწავლების მომდევნო საფეხურებზეც (ცხადია, შეკითხვები ყველა შემთხვევაში უნდა ითვალისწინებდეს მოსწავლეთა გამოცდილებასა და ცოდნის დონეს).
- "ჩარჩო" კონსტრუქციებისთვის დაკავშირებით დამატებით იხ. აგრეთვე: ქართ. I. 14, აქტივობა №4 ("წინადადების ჩარჩო"); ქართ. II. 10, აქტივობა №1 ("წუთი კითხვა: ვინ? სად? რა? როდის? რატომ? - ამბის "ჩარჩო"); ქართ. III. 12, აქტივობა №4 ("ზღაპრის, მოთხოვობის "ჩარჩო").

#### **აქტივობა № 5: გამაფრთხილებელი აპრა.**

**აქტივობის შესახებ:** აქტივობა ემსახურება მოსწავლეთა წერითი მეტყველების განვითარებას, უსაფრთხო ქცევის ელემენტარული წესების ათვისებას.

**აქტივობის მიზნები:**

- მოსწავლეთა წერითი და ცხოვრებისეული გამოცდილების ერთმანეთთან დაკავშირება;
- მარტივი ყოფითი ტექსტების შექმნის უნარ-ჩვევების განვითარება;
- გარემოში ქცევის ელემენტარული წესების გამომუშავება.

**აქტივობის ორგანიზების ფორმა:** ინდივიდუალური.

**რესურსები:** დაფა, ცარცი/ბორდმარკერი, კალამი, რვეული, ფანქრები, ფლომასტრები.

**აქტივობის აღწერა:** მასწავლებელი მოსწავლეებს გაესაუბრება უსაფრთხო ქცევის წესებზე; განმარტავს, რამდენად მნიშვნელოვანია მათი დაცვა; აუხსნის მოსწავლეებს, რომ უსაფრთხოების წესების დასაცავად საჭიროა ყურადღებით წავიკითხოთ გამაფრთხილებელი აპრები; დაფაზე დაწერს ან გააკრავს გამაფრთხილებელი აპრების ერთ-ორ ნიმუშს. ამის შემდეგ მასწავლებელი მოსწავლეებს სთხოვს გაიხსენონ, უნახავთ თუ არა მათ გამაფრთხილებელი აპრები და სად (ვთქვათ, ქუჩაში: "მანქანის გაჩერება აკრძალულია"; ტრანსპორტში: "დაიცავით მგზავრობის წესები"; სხვ.).

მასწავლებელი ყურადღებას გაამახვილებს ერთ-ერთ თემაზე, მაგ., ქუჩაში მოძრაობის წესებზე. შეახსენებს მოსწავლეებს, რომ ქუჩაში მოძრაობას შექმნიშანი აწესრიგებს; სთხოვს მათ, გაიხსენონ, რა იციან შუქნიშნის შესახებ.

საკითხის ზეპირი მსჯელობის გზით დამუშავების შემდეგ მასწავლებელი დაფაზე ჩამოწერს თემასთან დაკავშირებულ ცალკეულ სიტყვებს და შესთავაზებს მოსწავლეებს, ამ სიტყვების გამოყენებით შექმნან გამაფრთხილებელი აპრა.

**ნიმუში.** წესები შუქნიშანს მოძრაობის დაიცავით და დაუჯერეთ ("დაიცავით მოძრაობის წესები და დაუჯერეთ შუქნიშანს").

საშინაო დავალების სახით მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, შექმნან ერთი გამაფრთხილებელი აბრა (თემა მასწავლებელმა უნდა დაუსახელოს). სურვილისამებრ, მოსწავლეებს შეუძლიათ, გააფორმონ მათ მიერ მოფიქრებული ნიმუშები.

**შეფასება:** აქტივობით ფასდება, შეუძლია თუ არა მოსწავლეს

- წერის დროს ცხოვრებისული გამოცდილების გამოყენება;
- მოდელის მიხედვით მარტივი ყოფითი ტექსტის შექმნა;
- დასახული მიზნის ადეკვატური სტილისტური ნორმებისა და გრამატიკული ელემენტების გამოყენება.

**მეთოდური მითითება:** ამავე თემასთან (ქუჩაში მოძრაობის წესები) დაკავშირებული აქტივობა წარმოდგენილია დანართში (იხ. საინფორმაციო ტექსტების 4 ტიპი და მისი გრაფიკული მაორგანიზებლები, აქტივობა "საპნის ბუშტები"), თუმცა ამ უკანასკნელში თემა დამუშავებულია გრაფიკული მაორგანიზებლის გამოყენებით. ერთ თემასთან დაკავშირებული ორი აქტივობა ნათელ მაგალითს წარმოადგენს იმის საილუსტრაციოდ, თუ როგორ შეიძლება ერთი და იმავე საკითხის სხვადასხვაგვარად დამუშავება.

**კავშირი სხვა საგნებთან:** აქტივობა ხელს უწყობს უსაფრთხო ქცევის ელემენტარული ნორმების გამომუშავებას და, ამდენად, დაკავშირებულია ბუნებისმეტყველებასთან (იხ. ბუნ. I. 7).

## II კლასი

**ქართ. II.1. მოსწავლეს შეუძლია ადეკვატურად რეაგირება მარტივ სამეტყველო სიტუაციებში.**

**აქტივობა №1: „დიალოგები“.**

**რესურსები:** აუდიომაგნიტოფონი, დიალოგების ჩანაწერები.

**აქტივობის აღნერა:** მასწავლებელი ასმენინებს მოსწავლეებს სამ სხვადასხვა დიალოგს, რომლებშიც მონაწილეობენ: 1) დედა და შვილი, 2) ეზოში სათამაშოდ ჩასული ბავშვი და მისი მეზობელი ქალბატონი, 3) სკოლაში სტუმრად მისული პოეტი და მისი მასპინძელი (მოსწავლე).

დიალოგები დაახლოებით ამ შინაარსის შეიძლება იყოს:

**დიალოგი 1.**

- დღეს რომელ საათზე გიმთავრდება გაკვეთილები?
- ორზე.
- გარეთ დაგელოდები და წიგნის მაღაზიაში წავიდეთ. მინდა აირჩიო წიგნები, რომლებსაც ამ ზაფხულს სოფელში წავიღებთ წასაკითხად.
- მე საბავშვო ენციკლოპედია მინდა და წიგნი მეკობრეებზე.
- კარგი, შევარჩიოთ.

**დიალოგი 2.**

- გამარჯობა, ლიკა! როგორ ხარ? გამოჯანმრთელდი?

- დიახ. შეუძლოდ ვიყავი. ანგინა მქონდა. თქვენ როგორ ბრძანდებით?
- გმადლობ, კარგად. თვალში დამაკლდი, ეზოში რომ არ ჩანდი.
- მეც მომენატრეთ. ამ საღამოს დედა ნამცხვარს აცხობს და მობრძანდით, გაუსარდება. თან ჩემს ნახატებს გაჩვენებთ.
- დიდი მადლობა აუცილებლად მოვალ. აბა, საღამომდე!
- კარგად ბრძანდებოდეთ.

### დიალოგი 3.

- გამარჯობათ. მობრძანდით. დღეს მე გიმასპინძლებთ. ჩვენს მოსწავლეებს ძალიან უყვართ თქვენი ლექსები, ბევრმა ზეპირადაც იცის. მინდა გაგაცნოთ ჩვენი სკოლა. ეს ჩვენი მოსწავლეების გამოფენაა. ძალიან გთხოვთ, რომ დაათვალიერებთ, შთაბეჭდილებათა წიგნში დაგვიტოვოთ თქვენი ჩანაწერი.
- აუცილებლად.
- აქეთ სპორტული დარბაზია. ახლა აქ მეხუთეკლასელთა მხიარული სტარტებია. თქვენს ბავშვობაშიც იმართებოდა მსგავსი შეჯიბრებები?
- სამწუხაროდ, არა.
- თუ გნებავთ, სააქტო დარბაზსაც დაგათვალიერებინებთ.
- დიდი სიამოვნებით.

მოსწავლეები ისმენენ დიალოგებს და ამოიცნობენ, რომელ დიალოგში ვინ მონაწილეობს და ხსნიან, თუ რატომ ფიქრობენ ასე.

**შეფასება:** შეფასდება სამეტყველო სიტუაციის ადრესანტის (ვინ ლაპარაკობს), ადრესატისა (ვის ელაპარაკებიან) და საუბრის თემის ამოცნობის უნარი; დაკვირვებულობა, მინიჭნებებზე დაყრდნობით ვარაუდების გამოთქმის უნარი.

**მეთოდური მითითება:** სასურველია, რომ თავდაპირველად მასწავლებელმა თითო დიალოგი მისცეს მოსწავლეებს ამოსაცნობად. შემდეგ, როცა ისინი ”გაიწაფებიან”, შესაძლებელია ერთდროულად რამდენიმე დიალოგის მოსმენა და ადრესატის, ადრესანტისა და საუბრის თემის განსაზღვრა.

### აქტივობა №2: „გაცნობებთ, რომ...“ (ზეპირი განცხადება)

**რესურსი:** ბარათები, რომლებზედაც ჩამოწერილია მონაცემები.

**აქტივობის აღწერა:** მასწავლებელი მოსწავლეებს ურიგებს რამდენიმე მონაცემს, რომელთა მიხედვითაც მათ უნდა გააკეთონ ზეპირი განცხადება. ეს მონაცემები შეიძლება იყოს:

პირველი შემთხვევისათვის - ლონისძიების დასახელება: სპექტაკლი თოჯინების თეატრში; თარიღი: 21 მარტი; დრო: თორმეტი საათი.

მეორე შემთხვევისათვის - ლონისძიების დასახელება: ანბანის გაცილება; თარიღი: 17 აპრილი; დრო: დღის სამი საათი.

ამ მონაცემებზე დაყრდნობით მოსწავლეები აკეთებენ ზეპირ განცხადებას.

**შეფასება:** შეფასდება ის, ახერხებს თუ არა მოსწავლე მონაცემებზე დაყრდნობითა და შესაბამისი ენობრივი ფორმულების გამოყენებით ზეპირი განხცადების გაკეთებას.

**მეთოდური მითითება:** ამის მსგავსად შეიძლება ზეპირი მიპატიურებაც.

**ქართ. II. 2. მოსწავლეს შეუძლია მოისმინოს და გაიგოს ნაცნობ თემატიკაზე შექმნილი მცირე ზომის სხვადასხვა სახის ტექსტები და გამოხატოს თავისი დამოკიდებულება.**

**აქტივობა №1:** „ერთი საინტერესო ამბავი“ (ტექსტის შედგენა სურათების მიხედვით)

**რესურსები:** სიუჟეტური ნახატები (იმდენი კომპლექტი, რამდენი ოთხეულიც შეიძლება კლასში იყოს) ან, უკიდურეს შემთხვევაში, ერთი კომპლექტი მაინც.

**აქტივობის აღწერა:** სასურველია, ეს იყოს სასაცილო ცხოვრებისეული სიტუაცია, რომელიც ამ ეტაპზე მაქსიმუმ ოთხ ნახატში იქნება განვითარებით. კლასი ოთხკაციან ჯგუფებად შეიძლება დაიყოს შემთხვევითობის პრინციპით სწორედ ამ სურათების კომპლექტების გამოყენებით. კლასში შეგვაქვს კალათა / ყუთი, რომელიც ყრია ნახატების იმდენი კომპლექტი, რამდენი ოთხკაციან ჯგუფიც შეიძლება ჩამოყალიბდეს. თითოეული მოსწავლე იღებს თითო ნახატს და რაიმე თვალსაჩინო ნიშნის მიხედვით (ფონი / ნივთი, რომელიც მეორედება ერთი სიუჟეტის ყველა სურათში, პერიოდული და სხვა) პოლობს თავის ოთხეულს. მოსწავლები ალაგებენ სურათებს თანამიმდევრობით და თხზავენ მცირე ზომის ისტორიას, რომელსაც თავად ასათაურებენ. თითოეული ჯგუფი აჩვენებს ნახატებს თანაკლასელებს და უამბობს შეთხულ ისტორიას.

**შეფასება:** შეფასდება დაკვირვებულობა, წარმოსახვის, თანამიმდევრული თხრობის უნარი.

**მეთოდური მითითება:** შეიძლება ერთი კომპლექტი დაურიგდეს ყველა ჯგუფს და ერთი სიუჟეტის სხვადასხვაგვარი ინტერპრეტაცია მოვისმინოთ. მესამე (ან უფრო მაღალ) კლასში შესაძლებელია ამ დავალების მოდიფიცირებაც. ერთი მოსწავლე იღებს პირველ ნახატს, სხვები კი გამოთქვამებ ვარაუდს, როგორ შეიძლება განვითარდეს ამბავი. მოსწავლე აჩვენებს მეორე სურათს, სხვები კი ამონმებენ საკუთარ ვარაუდებს.

**აქტივობა №2:** „ჩემი წინადადება“ (სიუჟეტური ამბის განვითარება წინადადებების დამატებით).

**რესურსი:** ეს აქტივობა საჭიროებს მხოლოდ ადამიანურ რესურსს.

**აქტივობის აღწერა:** მოსწავლეები სხედან წრეში. მასწავლებელი უსახელებს მათ იმ ისტორიის სათაურს (მაგალითთად, „თავგადასავალი ტყეში“), რომელზედაც მათ უნდა შექმნან ამბავი. პირველი მოსწავლე ამბობს პირველ წინადადებას (მაგალითთად, სალამო ხანი იყო...), მეორე აგრძელებს და ა.შ. თითო მოსწავლეს მხოლოდ ერთი წინადადების თქმის უფლება აქვს. თუ ერთ წრეზე ისტორია არ დამთავრდება, პირველი მოსწავლე იწყებს მეორე წრეს მანამ, სანამ ისტორია დასრულებულ სახეს არ მიიღებს.

**შეფასება:** შეფასდება თანამიმდევრული თხრობის, ფანტაზიის უნარი, ლოგიკურობა, ენობრივი გამართულობა.

**მეთოდური მითითება:** შეიძლება, სათაურის ნაცვლად მივცეთ ნახატი და ამის საფუძველზე შეიქმნას ამბავი. ამ აქტივობის მოდიფიცირება შესაძლებელია მესამე და მომდევნო კლასებშიც.

**ქართ. II. 3. მოსწავლეს შეუძლია აქტიური ლექსიკისა და ძირითადი ენობრივი ფორმების მეტყველებაში გამოყენება.**

**აქტივობა №1: სიტყვების „არქეოლოგია“.**

**რესურსი:** ეს აქტივობა საჭიროებს მხოლოდ ადამიანურ რესურსს.

**აქტივობის აღწერა:** მოსწავლები ხდებიან სიტყვის არქეოლოგები (მასწავლებელი უხსნის / შეახსენებს მათ სიტყვა არქეოლოგის მნიშვნელობას); მათი მიზანია, იპოვონ მოსმენილ სიტყვებში „ფესვები“ და დაასახელონ სხვა სიტყვები, რომელთაც იგივე ფესვები აქვთ. ასეთი სიტყვები შეიძლება იყოს: გზატკეცილი, ცისარტყელა, ბიძაშვილი, დეიდაშვილი, იისფერი, თავგზააბძნეული, დიდგულა და სხვ.

**შეფასება:** შეფასდება დაკვირვებულობა, ლექსიკური ერთეულების შინაარსისა და სტრუქტურის ამოცნობის უნარი.

**მეთოდური მითითება:** სასურველია, პირველ ეტაპზე შევიტანოთ შედარებით ადვილად ამოსაცნობი სიტყვები, შემდეგ, მესამე კლასიდან, ნელ-ნელა გავართულოთ.

**აქტივობა №2: „მე ვიცი, რომ...“** (ინფორმაციის მიწოდება)

**რესურსი:** მიკროფონი ან მიკროფონს მიმსგავსებული საგანი.

**აქტივობის აღწერა:** მოსწავლეებმა წინასწარ უნდა მოამზადონ საინტერესო ინფორმაცია მათთვის სასურველ საკითხზე. ამისათვის მათ უნდა მოუსმინონ შემეცნებით ტელეგადაცემას ან სთხოვონ უფროსებს, წაუკითხონ / უამბონ. მაგალითად, „მე ვიცი, რომ თბილისის ზოოპარკის სიამაყე თეთრი სპილოების ოჯახია. მათ დღეში ოთხჯერ სჭირდებათ კვება. განსაკუთრებით საინტერესო სანახავია, როცა სპილოები წყლით თამაშობენ. ისინი ხორთუმებიდან წამოსული შხაპით ასველებენ ერთმანეთს.“ თითოეულმა თავისი ინფორმაცია უნდა დაინტერესოს ფრაზით: „მე ვიცი, რომ...“ პირველ მოსწავლეს, ვინც იწყებს ინფორმაციის თანაკლასელებისათვის გაცნობას, დანარჩენები ყურადღებით უსმენენ. მასწავლებლის სიგნალის შემდეგ (გამოსვლისათვის დრო წინასწარ უნდა იყოს განსაზღვრული. მაგალითად, 3 წუთი თითოეულს) გამოსვლას დაინტერესებს შემდეგი მოსწავლე. იმისათვის, რომ გამომსვლელის როლი იყოს უფრო თვალსაჩინო, შეიძლება მოსწავლეებს შევთავაზოთ, ხელში დაიჭირონ სიმბოლური მიკროფონი, რომელსაც მასწავლებლის სიგნალის შემდეგ გადასცემს სხვა გამომსვლელს.

**შეფასება:** შეფასდება ფაქტების თანამიმდევრობით გადმოცემისა და ინფორმაციის მოძიების უნარი, ენობრივი გამართულობა, მკაფიო მეტყველება, წინადადების მოდალობის, შესაბამისი ლექსიკის, კავშირების ადეკვატურად გამოყენების უნარი.

**მეთოდური მითითება:** პირველ ეტაპზე მოსწავლეები თავლად ირჩევენ თემებს, საკითხს; შემდეგ მასწავლებელი თავად უსახელებს მოსწავლეებს თემას. სასურველია, წარმოდგენილი ინფორმაცია არ აღემატებოდეს 7–10 წინადადებას.

**კავშირი სხვა საგნებთან:** ბუნებისმეტყველება, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება.

**ქართ. II. 4. მოსწავლეს შეუძლია წერილობითი კოდის გაშიფრა.**

**აქტივობა №1: „რა მოუვიდათ სიტყვებს?“** (ორი ტექსტის შედარება)

**აქტივობის შესახებ:** ამგვარი აქტივობები ემსახურება მოსწავლეთა განაფვას კითხ-

ვაში, ანუ კითხვის მოქნილობის უნარის განვითარებას. მათი საშუალებით მოსწავლეები ეუფლებიან კითხვის ტექნიკას, ეჩვევიან სწრაფად და დაკვირვებულად კითხვას.

#### აქტივობის მიზანი: მოსწავლეები

1. ივარჯიშებენ და დახვენავენ კითხვის ტექნიკას;
2. ერთმანეთს შეადარებენ ერთი ტექსტის ორ განსხვავებულ ვარიანტს.

**რესურსები:** სახელმძღვანელო/საკითხავი წიგნი, დაფა, ცარცი/მარკერი, ფურცელზე დაბეჭდილი ტექსტის ორი ვარიანტი, რვეული, საწერი კალამი.

#### აქტივობის აღწერა:

1. ტექსტის შესწავლის შემდეგ მასწავლებელი წინასწარ ამზადებს მის ორ ვარიანტს და ურიგებს მოსწავლეებს. ერთი ვარიანტი ზუსტად იმეორებს ნასწავლის ტექსტს, ხოლო მეორეში ზოგიერთი სიტყვა გამოტოვებულია, ზოგიც - დამატებული, ზოგი კი - შეცვლილია.
2. მასწავლებელს შეუძლია კლასი დაყოს ჯგუფებად და დაფაზე დაწეროს თითოეული ჯგუფისთვის განკუთვნილი ერთი კონკრეტული ინსტრუქცია, მაგალითად:
  - გადაიწერე სიტყვები, რომლებიც გამქრალია მეორე ტექტში.
  - გადაიწერე სიტყვები, რომლებიც გაჩნდა მეორე ტექტში.
  - გადაიწერე სიტყვები, რომლებიც შეცვლილია მეორე ტექსტში.
  - გადაიწერე სიტყვები, რომლებიც გადაადგილებულია მეორე ტექსტში.

**შეფასება:** ამ აქტივობით მასწავლებელს შესაძლებლობა ეძლევა დაკვირდეს,

- რა დონეზე ფლობენ მოსწავლეები კითხვის ტექნიკას (თავისუფლად შეუძლიათ თუ არა მათ სიტყვების დეკოდირება);
- რამდენად თავისუფლად შეუძლიათ მათ ნაცნობი სიტყვების ამოცნობა ტექსტში;
- რამდენად თავისუფლად ახერხებენ მოსწავლეები ნაცნობ ტექსტში შეტანილი ცვლილებების ამოცნობას;
- შეუძლიათ თუ არა მოსწავლეებს ინსტრუქციის მიხედვით დავალების შესრულება.

**მეთოდური მითითება:** ამგვარი აქტივობის ჩატარება შეიძლება ჯგუფებშიც და წყვილებშიც.

**ქართ. II. 5. მოსწავლეს შეუძლია სხვადასხვა სახის პრაგმატული ტექსტების (მაგ., გაკვეთილების ცხრილის, დღის/კვირის განრიგის, კულინარიული რეცეპტის, ტელე-პროგრამის) სტრუქტურული მახასიათებლების ამოცნობა და მათზე დაყრდნობით ინფორმაციის მოძიება.**

#### აქტივობა №1: "გამოიცანი, რაზეა!"

**აქტივობის შესახებ:** ეს აქტივობა ორ ეტაპად იყოფა. კითხვის დაწყებამდე მოსწავლე აკვირდება ტექსტის ფორმალურ ნიშნებს, მის სტრუქტურას, მარტივ მაორგანიზებელ ელემენტებს, რომელთა საშუალებითაც ამოიცნობს, რა სახის ინფორმაცია შეიძლება მიიღოს ამ ტექსტიდან. ამის შემდეგ კი იგი უკვე ადვილად შეძლებს მოცემულ ტექსტში ორი-ენტიტებას საჭირო ინფორმაციის მოძიების მიზნით.

#### აქტივობის მიზანი:

1. დაკვირდება და გაარჩევს სხვადასხვა ტიპის პრაგმატული ტექსტების ფორმა-

- ლურ მხარეს (სტრუქტურას, მარტივ მაორგანიზებელ ელემენტებს);
2. ტექსტის ფორმალურ მხარეზე დაყრდნობით წინასწარ გასაზღვრავს ინფორმაციის ტიპს, რომელსაც ეს ტექსტი შეიცავს;
  3. შეძლებს ტექსტში ორიენტირებას ინფორმაციის მოპოვების მიზნით.

**რესურსები:** მოკლე პრაგმატული ტექსტები, ბარათები.

#### აქტივობის აღწერა:

1. მასწავლებელი კლასში არიგებს ერთ ფურცელზე დაბეჭდილ რამდენიმე სახის ტექსტს. ეს ტექსტებია: **ამინდის პროგნოზი, გაკვეთილების ცხრილი, ტელეპროგრამა.** შენიშვნა: ტექსტების რაოდენობა მასწავლებელმა თავად უნდა განსაზღვროს.
  2. მასწავლებელი მოსწავლეებს აძლევს საკმარის დროს იმისათვის, რომ მათ მოასწორონ ტექსტისთვის თვალის გადავლება და რამდენიმე ძირითადი დეტალის (სტრუქტურის, ციფრების, სიმბოლოების, მათი განლაგებისა და, შესაძლებელია, რამდენიმე საკვანძო სიტყვის) აღქმა, რის შემდეგაც უსვამს მათ კითხვებს, თუ რა სახის ინფორმაციას შეიცავენ/გვაწვდიან ისინი. მოსწავლეებმა შეიძლება დაასახელონ კიდევ (თუმცა ეს მათ არ უნდა მოვთხოვოთ), ხოლო თუ არ იციან ან ვერ იხსენებენ შესაბამის ცნებებს, ახსან საკუთარი სიტყვებით.
  3. ამის შემდეგ მასწავლებელი ყოფს კლასს ჯგუფებად (რამდენი ტექსტიცაა, იმდენ ჯგუფად) და ავალებს, თითო ტექსტთან დაკავშირებით მოიფიქრონ და მოამზადონ პასუხები კითხვაზე, თუ როგორ ამოიცნეს / მიხვდნენ ისინი, რა ინფორმაციას შეიცავს ესა თუ ის ტექსტი. მოსწავლეები მუშაობენ ჯგუფებში, რის შემდეგაც საკუთარი სიტყვებით აღწერენ, რის საფუძველზე ამოიცნეს ესა თუ ის ტექსტი, მაგ., ერთი ჯგუფი ამბობს, რომ მათ დაინახეს ქალაქების სახელები, იქვე კი მზის, ღრუბლებისა და წვიმის სურათები და მიხვდნენ, რომ ეს უნდა ყოფილიყო ამინდის პროგნოზი; მეორე ჯგუფი კი ამბობს, რომ მათ დაინახეს, რომ სიტყვები ერთმანეთის ქვეშ იყო ჩამოწერილი, გვერდზე კი მიწერილი ჰქონდათ საათები, ასევე შეამჩნიეს ერთ-ერთი არხის ლოგო / საყვარელი გადაცემის სათაური და მიხვდნენ, რომ ეს იყო ტელეპროგრამა და ა.შ.
  4. იწყება კითხვის ეტაპი, რისი დასრულების შემდეგაც მოსწავლეები პასუხობენ მასწავლებლის მიერ დასმულ კონკრეტულ კითხვებს. მასწავლებელმა საკუთარი შეხედულებისამებრ უნდა დაგევმოს აქტივობის ეს ეტაპი; მას შეუძლია აარჩიოს ერთი ან ორი ტექსტი, რომლებსაც დამუშავებენ, ან რიგრივობით წაიკითხონ კლასში ყველა ტექსტი, ხოლო შემდეგ ისინი ჯგუფებში გადაანაწილოს. უკანასკნელ შემთხვევაში, მასწავლებელი თითოეულ ჯგუფს აძლევს ბარათზე დაწერილ ორ-სამ კითხვას, რომლებიც შესაბამისი ტექსტიდან ინფორმაციის მოძიებას მოითხოვს, მაგალითად:
- როგორი ამინდი იქნება ხვალ ზუგდიდში? (მზიანი)
  - სად იწვიმებს ხვალ? (თელავში. შესაძლებელია ასეთი პასუხიც: თელავში და ახმეტაში)
  - რამდენი გრადუსი სითბო იქნება თბილისში? (31 გრადუსი)
  - სამშაბათს მერამდენე გაკვეთილია მათემატიკა? (მე-3)
  - კვირაში რამდენჯერ გაქვთ ბუნებისმეტყველება? (ორჯერ)
  - რამდენი გაკევთილი გაქვთ ხუთშაბათს? (ხუთი)

- ხვალ რომელ საათზეა მულტფილმი? (12 საათზე)
- არის თუ არა დღეს გადაცემა ”ანაბანა”? (არა) და ა.შ.

**შეფასება:** ამ აქტივობით შეფასდება, შეუძლია თუ არა მოსწავლეს:

- ინფორმაციის ტრანსმისი ამოცნობა ტექსტის ფორმალურ ნიშნებზე დაკვირვებით;
- მარტივი პრაგმატული ტექსტიდან ინფორმაციის ამოკრება (და დახარისხება);
- საკუთარი სიტყვებით გადმოსცეს, თუ რა ხერხს მიმართა დავალების შესასრულებლად;
- მასწავლებლის ინსტრუქციების გაგება და შესრულება;
- ჯგუფში მუშაობა.

**მეთოდური მითითება:**

1. შერჩეული ტექსტები შესაძლებელია იყოს ავთენტური, აუცილებლად მარტივი და, ამასთანავე, გამოკვეთილი ფორმალური და სტრუქტურული მახასიათებლებით.
2. შესაძლებელია სრულიად საკმარისი იყოს ერთ გაკვეთილზე აქტივობის პირველი ორი ეტაპის ჩატარება (პუნქტები 1, 2, 3), კითხვის ეტაპი კი მომდევნო გაკვეთილისთვის გადაიდოს, რომლის მიმდინარეობასაც მასწავლებელი კლასის შესაძლებლობებისა და საჭიროებების გათვალისწინებით დაგეგმავს.

**ქართ. II. 6. მოსწავლეს შეუძლია მასწავლებლის მიერ წაკითხულ მხატვრულ ტექსტებში ინფორმაციის მოძიება, მონაკვეთების წაკითხვა და გაგება.**

**აქტივობა №1: ”გამოცანა”** (წაკითხული/მოსმენილი ტექსტის პერსონაჟთა ამოცნობას მათი დამახასიათებელი ნიშან-თვისებების მიხედვით).

**აქტივობის შესახებ:** ტექსტის ყურდაღებით მოსმენისა და სათანადო დეტალებზე დაკვირვების უნარი მოსწავლის მკითხველად ჩამოყალიბების ერთ-ერთი აუცილებელი წინაპირობაა.

**აქტივობის მიზანი:** ეს აქტივობა მთლიანობაში ხელს უწყობს მოსმენილი ტექსტის შინაარსის წვდომა-გაგებას. უფრო კონკრეტულად კი მოსწავლეები:

1. დააკვირდებიან პერსონაჟთა ნიშან-თვისებებს;
2. შეძლებენ მათ ამოცნობას სხვადასხვა მახასიათებლების მიხედვით;
3. შეძლებენ მოსმენილი/წაკითხული ტექსტის დაკავშირებას წინარე ცოდნასა და პირად გამოცდილებასთან.

**რესურსები:** საკითხავი ტექსტი, დაფა, ცარცი/მარკერი.

**აქტივობის აღწერა:**

1. ტექსტის წაკითხვის შემდეგ მასწავლებელი დაფაზე წერს რამდენიმე ფრაზას, რომლებიც აღწერს ან ახასიათებს საგანს ან პერსონაჟს ტექსტიდან, მაგალითად:

გულჩვილია და ბალახს ჭამს ის არის \_\_\_\_\_

ეშმაკია და ჭკვიანი ის არის \_\_\_\_\_

სისხლისმსმელია და უსამართლო ის არის \_\_\_\_\_

მოსწავლეები პასუხებს წერენ რვეულებში.

2. მასწავლებელი ხელახლა კითხულობს ზღაპარს. შემდეგ მოსწავლეებს სთხოვს, ზეპირად ჩამოთვალონ თითოეული პერსონაჟის სხვა დამახასიათებელი ნიშან-თვისებებიც. ამ შემთხვევაში მოსწავლეები შეიძლება ტექსტსაც დაეყრდნონ და საკუთარ გამოცდილებასაც. ყველა ადეკვატური პასუხი მისაღებია.

**შეფასება:** ამ აქტივობით ფასდება,

- იგებს თუ არა მოსწავლე წაკითხული/მოსმენილი ტექსტის შინაარსს;
- აკვირდება თუ არა პერსონაჟის დამახასიათებელ ნიშან-თვისებებს;
- შეუძლია თუ არა სხვადასხვა მახასიათებლების მიხედვით პერსონაჟის ამოცნობა;
- ამახვილებს თუ არა ყურადღებას დეტალებზე;
- შეუძლია თუ არა წაკითხულის დაკავშირება არსებულ გამოცდილებასთან.

**მეთოდური მითითება:** ამგვარი აქტივობებისთვის, სასურველია, შეირჩეს ნაწარმოები, რომლის გმირებსაც გამოკვეთილი და მოსწავლისთვის ადვილად აღსაქმელი ნიშან-თვისებები ახასიათებთ. ყველაზე ხელსაყრელი ამ შემთხვევაში ზღაპრები და იგავებია, რომელთა პერსონაჟებად ცხოველები და ფრინველები გვევლინებიან. მოცემული აქტივობისთვის მასალად შევარჩიეთ ოტია იოსელიანის ზღაპარი "სპილო და მელა".

**ქართ. II. 7. მოსწავლეს შეუძლია მარტივი ტექსტის არსებითი ენობრივ-გრამატიკული ნიშნების ამოცნობა.**

### აქტივობა №1: ვინ და რა

**აქტივობის შესახებ:** ეს აქტივობა ახალი მასალის აქტიური, დედუქციური გზით შესწავლასა და ათვისებას ისახავს მიზნად. გარდა იმისა, რომ მოსწავლეები ეცნობიან ვინ და რა ჯგუფის არსებით სახელებს, აქტივობის მიმდინარეობისას საკმარისი ყურადღება ეთმობა გავარჯიშებისა და ახლად მიღებული ცოდნის შეჯამების ეტაპებსაც.

**აქტივობის მიზანი:** მოსწავლეები:

1. დააჯგუფებნ არსებით სახელებს სხვადასხვა ნიშნის მიხედვით;
2. აქტიური სწავლის მეთოდით შეისწავლიან ვინ და რა ჯგუფის არსებით სახელებს;
3. იმუშავებენ აზრობრივი რუკების შევსებაზე;
4. მიერვევიან ურთიერთთანამშრომლობას.

**რესურსები:** დაფა, ცარცი/მარკერი, ბარათები, საწერი კალმები.

**აქტივობის აღწერა:**

1. მხატვრული ტექსტის წაკითხვისა და ლექსიკურად დამუშავების შემდეგ, მასწავლებელი დაფაზე ხაზავს ცხრილს და მოსწავლეების დახმარებით ავსებს მას.

### შევსებული ცხრილის ნიმუში

აღამიანი	ცხოველი	ვრცელი	საგანი
ბიჭი	ბომბორა	მტრედი	აივანი
ბებო	ლეკვი	მერცხალი	მთა
ნინო	ფისო	ქორი	ბუდე
რეზო			კიბე

## თავი IV. საინიციატიური კურსები

2. მასწავლებელი მოსწავლეებს ურიგებს წინასწარ გამზადებულ ბარათებს. მოსწავლეებმა უნდა შეავსონ გამოტოვებული ადგილები და საჭირო ადგილის ჩაწერონ კითხვითი სიტყვები ვინ? და რა? მაგალითად:

ნინომ აივანზე ჩამოვარდნილი მერცხლის ბარტყი დაინახა

\_\_\_\_\_ დაინახა მერცხლის ბარტყი?

\_\_\_\_\_ დაინახა ნინომ?

მერცხალი ბუდეს თავს დასტრიალებდა.

\_\_\_\_\_ დასტრიალებდა ბუდეს თავს?

\_\_\_\_\_ დასტრიალებდა თავს მერცხალი?

ბომბორამ ყეფა აუტეხა აივანზე შემოპარულ ფისოს.

\_\_\_\_\_ აუტეხა ყეფა ბომბორამ?

\_\_\_\_\_ აუტეხა ყეფა ფისოს?

ბებომ ბარტყი ცხვირსახოცში გაახვია.


\_\_\_\_\_ გაახვია ბარტყი ცხვირსახოცში?

\_\_\_\_\_ გაახვია ბებომ ცხვირსახოცში?

3. სამუშაოს დასრულების შემდეგ მოსწავლეები თავიანთ მეწყვილეებს უცვლიან შევსებულ ბარათებს და ამონმებენ ერთმანეთის ნამუშევრებს. თუ შეცდომა აღმოაჩინეს, გადაასწორებენ და უხსნიან თანაკლასელს, რომელი შეცდომა გაასწორეს და რატომ.


4. მასწავლებელი წააკითხებს მოსწავლეებს შესრულებულ დავალებას, თითოეულ მათგანს სთხოვს დაასაბუთოს თავისი გადაწყვეტილება და თან კითხვების დასმით ცდილობს მიიყვანოს დასკვნამდე, მაგალითად, ასეთი საუბრით: მასწავლებელი: "შენი აზრით, რატომ დაესმის ბებოს კითხვა ვინ?" მოსწავლე: "იმიტომ, რომ ბებო ადამიანია"; მასწავლებელი: "მერცხალს დაესმის რა კითხვა. რა არის მერცხალი?" მოსწავლე: "ფრინველი". მასწავლებელი: "რა კითხვა დაესმის ბუდესაც. ბუდეც ფრინველია?" მოსწავლე: "არა". მასწავლებელი: "და რა არის ბუდე?" მოსწავლე: "საგანი". მასწავლებელი: "ესე იგი საგანსაც და ფინველსაც დაესმის კითხვა რა" და ა.შ.

5. ამას მოჰყვება აქტივობის შემაჯამებელი ეტაპი: მასწავლებელი დაფაზე ხაზავს ცარიელ აზრობრივ რუკებს და ავალებს მოსწავლეებს, გამოიცნონ, როგორ უნდა შეივსოს ისინი.



**თავი IV. სახილმძღვანელო აქტოები**

მასწავლებელი უნდა ეცადოს, რომ მოსწავლეები თავად მიხვდნენ რუკების შევსების პრინციპს. ამისათვის მან უნდა მისცეს მოსწავლეებს დრო, რომ დაფიქრდნენ, შესაძლებელია შეახსენოს, რაზე იმსჯელეს მანამდე და თუკი საჭირო გახდება, მისანიშნებლად ჩანეროს ერთი სიტყვა რომელიმე წრეში.

**შევსებული რუკის ნიმუში:**

**შეფასება:** რადგანაც ეს აქტივობა ახალი მასალის გაცნობას და გავარჯიშებას ისახავს მიზნად, მისი მიმდინარეობისას რეკომენდებულია განმავითარებელი შეფასების გამოყენება. ამრიგად, ამ აქტივობით შეგვიძლია შევაფასოთ,

- ახერხებს თუ არა მოსწავლე არსებითი სახელების ამონტრას ტექსტიდან და მათ დახარისხებას;
- შეუძლია თუ არა მოსწავლეს, სათანადო კითხვების დაუსვას არსებით სახელებს;
- ასრულებს თუ არა მოსწავლე დავალებას ინსტრუქციის მიხედვით;
- შეუძლია თუ არა მოსწავლეს მარტივი დასკვნების გამოტანა;
- შეუძლია თუ არა მოსწავლეს შესწავლილი მასალის საფუძველზე აზრობრივი რუკის შევსება;
- შეუძლია თუ არა მოსწავლეს დამოუკიდებლად მუშაობა;
- შეუძლია თუ არა მოსწავლეს, ახსნას თავისი არჩევანი;
- ავლენს თუ არა მოსწავლე თანამშრომლობის სურვილს.

**მეთოდური მითითება:** როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ეს აქტივობა მრავალეტაპიანია და შესაძლებელია მოსალოდნელზე მეტი დრო მოითხოვოს გაკვეთილზე. ამიტომ, მასწავლებელს შეუძლია გარკვეული მოდიფიკაციები შეიტანოს მასში, ან გაანაწილოს ორ გაკვეთილზე.

**ქარ. II. 8. მოსწავლეს შეუძლია მოსმენილი / წაკითხული ტექსტი ან ტექსტის ცალკეული ფრაგმენტი გარდაქმნას აზრობრივ ნახატად.**

**აქტივობა №1: საკლასო გამოფენა**

**აქტივობის შესახებ:** ამგვარი აქტივობა შესაძლებლობას აძლევს მოსწავლეებს, გამოხატონ ნაწარმოების წაკითხვით აღძრული შთაბეჭდილებები სხვადასხვა ფორმით: წერილობით, ზეპირად და ხატვის საშუალებით.

**აქტივობის მიზანი:** მოსწავლეები შეძლებენ:

1. საკუთარი დამოკიდებულების, შთაბეჭდილებების გადმოცემას ნაწარმოების შესახებ;
2. საკუთარი შემოქმედებითი უნარების გააქტიურებასა და გამოყენებას;
3. წაკითხული ნაწარმოების უკეთ გააზრებას;
4. საგამოფენო დარბაზის გარემოს გაცნობას;
5. ნამუშევრების შეფასებასა და საკუთარი აზრის დასაბუთებას.

**რესურსები:** სახატავი ქაღალდი, ფანქრები/ფლომასტერები/საღებავები, რვეული/საშუალო ზომის ბლოკნოტი.

**აქტივობის აღნერა:** როგორც ცნობილია, ამ ასაკის ბავშვებს ძალიან უყვართ ხატვა. ამიტომ, უნდა მივცეთ მათ შესაძლებლობა, რომ ხატვის საშუალებითაც გადმოსცენ საკუთარი შთაბეჭდილებები წაკითხული ნაწარმოებების, მათი პერსონაუების მიმართ. ტექსტის შესწავლის შემდეგ, მასწავლებელი სთავაზობს მოსწავლეებს, შეარჩიონ და შექმნან ტექსტის რომელიმე ეპიზოდის ილუსტრაცია, პერსონაჟის პორტრეტი ან მოქმედების ადგილის ამსახველი სურათი.

ბავშვები ხატავენ სურათებს მათ მიერ შერჩეულ თემაზე. ხატვის დასრულების შემდეგ მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, თავიანთ ნამუშევრებს გაუკეთონ შესაბამისი წარწერები, სადაც მითითებული იქნება, თუ რომელი ეპიზოდი, პერსონაჟი ან ადგილია ასახული სურათზე, ასევე ნაწარმოების სათაური და ავტორის სახელი. სასურველია, თავდაპირველად მასწავლებელმა მოსწავლეებს შესთავაზოს ასეთი წარწერის ნიმუში.

საკლასო ოთახში ეწყობა გამოფენა. მოსწავლეები ათვალიერებენ ერთმანეთის ნამუშევრებს და სპეციალურად გამზადებულ შთაბეჭდილებების წიგნში ჩაწერენ, რომელი ნახატი მოეწონათ ყველაზე მეტად. შეუძლიათ იქვე ახსნან, თუ რატომ მოეწონათ ეს ნახატი.

გამოფენის დასრულების შემდეგ იწყება ნახატების განხილვა. მოსწავლეები საუბრობენ ერთმანეთის ნამუშევრებზე, გამოხატავენ საკუთარ აზრს იმის შესახებ, თუ რომელი მათგანი ასახავს ადეკვატურად შერჩეულ ეპიზოდს/პერსონაჟს და რომელი - ნაკლებად. ისინი ცდილობენ დაასაბუთონ საკუთარი მოსაზრებები.

**შეფასება:** ამგვარი აქტივობით შეფასდება, შეუძლია თუ არა მოსწავლეს:

- ტექსტის დეტალებზე ყურადღების გამახვილება, წაკითხულის გააზრება;
- წაკითხული ტექსტის ან ტექსტის ცალკეული ფრაგმენტის გარდაქმნა აზრობრივ ნახატად;
- სხვისი ნამუშევრის შეფასება საკუთარი დამოკიდებულების დასაბუთება.

**მეთოდური მითითება:** მასწავლებელი შესაბამისი ინსტრუქციები უნდა მისცეს მოსწავლეებს, რათა ”შთაბეჭდილებების წიგნში” აზრის ჩაწერისას და შემდეგ საკუთარი შეფასებების ზეპირად გამოხატვისას ისინი მაქსიმალურად კორექტულნი იყვნენ ერთმანეთის მიმართ.

## ქართ. II. 9. მოსწავლეს შეუძლია კითხვის მარტივი სტრატეგიების გამოყენება.

**აქტივობა №1:** „**ძველი და ახალი სიტყვები**“ (არსებული ლექსიკური მარაგის აქტივაცია; ახლად შეძენილი ლექსიკური მარაგის გამოყენება).

**აქტივობის შესახებ:** მოგეხსენებათ, დაწყებითი საფეხურის მოსწავლეებს უკვე გააჩნიათ გარკვეული ლექსიკური მარაგი, მაგრამ, მიუხედავად ამისა, მათი ლექსიკა მაინც საკმაოდ მწირია, რაც მათ კითხვის პროცესში დაბრკოლებებს უქმნის. ამიტომ, საჭიროა,

რომ მასწავლებელმა გაააქტიუროს და გაამდიდროს მათი ლექსიკური ფონდი ისე, რომ ეს პროცესი სახალისო და შედეგისმომტანი იყოს მოსწავლეებისთვის. ამისათვის შესაძლებელია დაიგეგმოს და ჩატარდეს ისეთი საკლასო აქტივობები, რომლებიც დაეხმარება მოსწავლეებს, გაიხსენონ უკვე ნაცნობი სიტყვები და, ამასთანავე, შეიძინონ ახალი ლექსიკური მარაგი.

#### **აქტივობების მიზანი:** ამ აქტივობების შედეგად მოსწავლეები:

1. ისწავლიან თანამშრომლობას, ჯგუფურ მუშაობას;
2. შეძლებენ საკუთარი ლექსიკური მარაგის გააქტიურებას;
3. შეძლებენ სიტყვათა ჯგუფების კონკრეტულ თემებთან დაკავშირებას;
4. ისწავლიან აზრობრივი რუკების აგებასა და გამოყენებას.

**რესურსები:** სახელმძღვანელო, ან რომელიმე დამატებითი საკითხავი წიგნი; ბარათები; საწერი კალმები.

#### **აქტივობების აღნერა:**

1. გონიერივი იერიში იდეების გენერირების მიზნით - ნებისმიერი ტექსტის წაკითხვის შემდეგ მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, დაასახელონ ამ ტექსტთან დაკავშირებული თემები, მაგალითად, გარეული ცხოველები, წელიწადის დროები, ოკეანის თევზები (თუ ტექსტი ეხება ბუნებას), ფერები, ადამიანის ემოციები (თუ მოთხოვთ) და ა.შ.
2. ამის შემდეგ მასწავლებელი ისე დაგეგმავს გაკვეთილს, რომ ყველა მოსწავლეს მიეცეს საშუალება, მიიღოს მანანილეობა, გაიხსენოს და დაასახელოს სიტყვა, რომელიც უკავშირდება ჩამოთვლილ თემებს (მაგ., გარეული ცხოველები: დათვი, მგელი, შველი, კურდლელი, ციყვი, მტაცებელი, სორო, ბუნაგი და სხვ.; წელიწადის დროები: ზაფხული, ზამთარი, შემოდგომა, გაზაფხული, სიცხე, წვიმა, ნისლი, თოვლი, ფიფქი, ყინული და სხვ.; ადამიანის გრძნობები: ბედნიერი, მოწყენილი, მხიარული, ნალვლიანი, გაბრაზებული და სხვ.). შენიშვნა: მასწავლებელი წინასწარ მომზადებულ ბარათებზე გარკვევით ჩაიწერს მოსწავლეების მიერ დასახელებულ თითოეულ სიტყვას.
3. აზრობრივი რუკა - მასწავლებელი ანანილებს თემებს ჯგუფებში. ყველა ჯგუფმა უნდა ჩაიწეროს თემის დასახელება და ფურცელი მოათავსოს მაგიდის ცენტრში. ამის შემდეგ მასწავლებელი ერთმანეთში აურევს ბარათებზე დაწერილ სიტყვებს და გაანანილებს მათ ჯგუფებში. მოსწავლეები ცენტრში მოთავსებული ბარათის გარშემო აწყობენ თემასთან დაკავშირებულ სიტყვებს. ბუნებრივია, მათ შეხვდებათ იმ თემებთან დაკავშირებული სიტყვებიც, რომლებიც სხვა ჯგუფებს შეხვდათ, ასევე ისეთი სიტყვებიც, რომლებიც არც ერთ თემას არ უკავშირდება.
4. ამის შემდეგ მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, დარჩენილი ბარათები გაყონ ორ ნაწილად. ცალ-ცალკი დალაგდება სიტყვები, რომლებიც სხვა თემასთან არის დაკავშირებული და სიტყვები, რომლებიც არც ერთ თემასთან არ არის დაკავშირებული. ამის შემდეგ ჯგუფებს ეძლევათ დრო, დაახარისხონ და გადასცენ შესაბამის ჯგუფებს "თავიანთი" სიტყვები. შენიშვნა: აქტივობის ეს ეტაპი სასარგებლოა, რადგან თითოეულ მოსწავლეს კიდევ ერთხელ უნევს დაფიქრება ყველა თემასთან დაკავშირებულ სიტყვებზე. ამასთანავე, ეხმარება მას ურთიერთანამდებობისა და ჯგუფური მუშაობის უნარ-ჩვევების ჩამოყალიბებაში.
5. თამაში „სიტყვების ჯაჭვი“ - მასწავლებელი ხმამაღლობს ერთ-ერთ

სიტყვას და რიგრიგობით ათქმევინებს მოსწავლეებს ამ და ყოველ მომდევნო სიტყვასთან აზრობრივად დაკავშირებულ სიტყვებს, მაგ., ოკეანე → ვეშაპი → თევზი → ბადე → მეთევზე → ნავი → აფრა → მეკობრე და ა.შ., ან ფერი → წითელი → ვაშლი → მარწყვი → ბალი → ატამი → ნესვი → ზაფხული → შემოდგომა → ჩურჩხელა და ა.შ. შესაძლებელია ამ აქტივობას შეჯიბრის სახეც მიეცეს. შენიშვნა: ეს აქტივობაც ხელს უწყობს არსებული ლექსიკური ფონდის გააქტიურებასა და შევსებას.

**შეფასება:** ამ აქტივობის მიმდინარეობისას მიზანშეწონილია განმავითარებელი შეფასების გამოყენება. მასწავლებელი აკვირდება მოსწავლეებს, რამდენად:

- სწრაფად იხსენებენ და ასახელებენ ისინი სიტყვებს;
- კარგად შეუძლიათ მათი კლასიფიკაცია;
- ეფექტურად აგხსენ და იყენებენ აზრობრივ რუკებს;
- აქტიურად არიან ჩართული მუშაობაში აქტივობის თითოეულ ეტაპზე;
- აქვთ სურვილი, დაეხმარონ საკუთარ თანაკლასელებს.

#### მეთოდური მითითება:

1. იმისათვის, რომ მთელი კლასი აქტიურად ჩაერთოს აქტივობებში, მასწავლებელმა აუცილებლად უნდა შექმნას ისეთი გარემო, რომ ყველა მოსწავლის მოსაზრება იყოს ყურადღებული, რათა თითოეულ მათგანს ჰქონდეს განცდა იმისა, რომ მისი აზრს არ უარყოფენ ან დასცინებენ.
2. საჭიროა იმის გათვალისწინება, რომ შეთავაზებული აქტივობების საშუალებით მოსწავლეების ლექსიკური ფონდი მხოლოდ ისეთი სიტყვებით გავამდიდროთ, რომელთა გამოყენებაც მათ რეალურად სჭირდებათ სასკოლო თუ ყოფით სიტუაციებში.
3. ამ აქტივობის თითოეული ეტაპი შეიძლება დაიგეგმოს რამდენჯერმე სასწავლო წლის განმავლობაში. მათი გამოყენება თავისუფლად არის შესაძლებელი III და IV კლასებშიც, ბუნებრივია, - შესაბამისი მოდიფიკაციით.

**კავშირი სხვა საგნებთან:** ინტერდისციპლინარული კავშირების განსაზღვრა შესაძლებელია იმის მიხედვით, თუ რა თემას/თემებს ეხება კონკრეტული აქტივობა. მოცემულ შემთხვევაში, მომიჯნავე საგანია ბუნებისმეტყველება.

**ქართ. II. 10. მოსწავლეს შეუძლია სხვადასხვა სახის მარტივი ინფორმაციული ტექსტების (მოსაწვევი ბარათის, დღის რეჟიმის, სხვადასხვა ტიპის სიებისა და სხვ.) შედგენა და გაფორმება კომპოზიციური მახასიათებლების დაცვით.**

#### აქტივობა №1: ხუთი კითხვა: ვინ? სად? რა? როდის? რატომ?

**აქტივობის შესახებ:** აღნიშნული აქტივობა გამოიყენება წერის წინა ეტაპზე და ეხმარება მოსწავლეებს სიუჟეტის გააზრებაში, ტექსტის შინაარსობრივი მონაცემების ორგანიზებაში. იგი ძალზე გამოსადევი იქნება ამა თუ იმ ტექსტის/ტექსტების დამუშავების დროს, აგრეთვე, იმ შემთხვევებშიც, როდესაც მოსწავლეები თავად თხზავენ მარტივი სიუჟეტის მქონე რაიმე ტექსტს.

#### აქტივობის მიზნები:

- ტექსტის ანალიზის უნარის განვითარება;
- ტექსტში არსებული ინფორმაციის დახარისხების, ორგანიზებისა და წერილო-

- ბით გადმოცემის უნარის განვითარება;
- თვითგამოხატვის უნარის განვითარება;
- სასიცოცხლო (თანამშრომლობის) უნარ-ჩვევების განვითარება.

**აქტივობის ორგანიზების ფორმა:** ჯგუფური/წყვილური.

**რესურსები:** დაფა, ცარცი/მარკერი, რევული, კალამი.

**აქტივობის აღწერა:**

მასწავლებელი დაფაზე ხაზავს "ამბის ჩარჩოს", რომელიც წარმოადგენს მარტივი სტრუქტურის მქონე ხუთსვეტიან ცხრილს. თითოეული სვეტი შეესატყვისება ზემოთ წარმოდგენილი ხუთი შეკითხვიდან ერთ-ერთს. მასწავლებელი სიტყვიერად უხსნის მოსწავლეებს, როგორ უნდა შეავსონ ცხრილი. მოდელის საჩვენებლად, სასურველია, მასწავლებელმა ერთი ჩანაწერით შეავსოს რომელიმე სვეტი.

"ამბის ჩარჩოს" მოსწავლეები თავიანთ რევეულებში გადახაზვენ. გადახაზვის შემდეგ უპასუხებენ კითხვებს ("ვინ? სად? რა? როდის? რატომ?") და თავიანთ პასუხებს სათანადო სვეტებში ჩაწერენ.

### ნიმუში №1.

ვინ?	სად?	რა?	როდის?	რატომ?
<ul style="list-style-type: none"> <li>მეფე</li> <li>ვახტანგ</li> <li>გორგასალი</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>ტყეში</li> <li>სადაც ახლა</li> <li>თბილისია</li> <li>გაშენებული</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>ნადირობდა</li> <li>განვრთნილი</li> <li>მიმინო ხევში</li> <li>დაეკარგა</li> <li>თავისი</li> <li>ამალით</li> <li>მიმინოს</li> <li>დაედევნა</li> <li>ხევში ცხელ</li> <li>ნაკადულს</li> <li>ნააწყდა</li> <li>ბრძანება</li> <li>გასცა,</li> <li>რომ ტყე</li> <li>გაეკაფათ და</li> <li>მის ადგილას</li> <li>ქალაქი</li> <li>გაეშენებინათ</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>ძველად</li> <li>დიდი ხნის</li> <li>უკან</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>მეფეს</li> <li>ძალიან</li> <li>მოეწონა ეს</li> <li>ადგილი</li> <li>ვახტანგ</li> <li>გორგასალმა</li> <li>გადაწყვიტა,</li> <li>რომ იმ</li> <li>ადგილას</li> <li>ქალაქი</li> <li>გაეშენებინა</li> </ul>
<ul style="list-style-type: none"> <li>მეფის</li> <li>ამალა</li> </ul>				

აქტივობა შეიძლება ჩატარდეს მოსწავლეების წყვილებად ან მცირე ჯგუფებში გაერთიანების გზით. ამ შემთხვევაში, მოსწავლეებს საშუალება ექნებათ, იმსჯელონ ადეკვატური პასუხის შესარჩევად და ტექსტიდან სრულფასოვნად ამოკრიბონ საჭირო ინფორმაცია.

**ნიმუში №2.**

ვინ?	სად?	რა?	როდის?	რატომ?
<ul style="list-style-type: none"> <li>მე</li> <li>ჩემი მამა</li> <li>ჩემი ძმა</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>სტადიონზე</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>ფეხბურთის საყურებლად წავედით</li> <li>ჩემი ძმა დაგვეკარგა</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>კვირას</li> <li>ერთხელ</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>მამას ხელი გაუშვა და სულ წინ მირბოდა</li> </ul>

აქტივობის ხანგრძლივობა: 15-17 წუთი.

**შეფასება:** აქტივობით ფასდება, შეუძლია თუ არა მოსწავლეს:

- მარტივი სიუჟეტური ხაზის დაფიქსირება;
- ინფორმაციის ორგანიზება;
- შინაარსის სქემატურად და თანამიმდევრულად წარმოდგენა (საყრდენი კითხვებისა და მოდელის დახმარებით);
- თანამშრომლობა.

**კავშირი სხვა საგნებთან:** ტექსტის ანალიზისა და ინფორმაციის ორგანიზების უნარ-ჩვევების განვითარება მოსწავლეებს ძალზე დაეხმარება საბუნებისმეტყველო და ზუსტი მეცნიერებების (ბიოლოგია, ქიმია, ფიზიკა, მათემატიკა) შესწავლის დროსაც.

**აქტივობა №2: 5 სიტყვა - 3 სიტყვა (ფრაზა)**

**აქტივობის შესახებ:** ეს აქტივობა გონიერობი იერიშის ერთ-ერთი ვარიაციაა და წერის წინა ეტაპზე გამოიყენება. მისი მეშვეობით, მოსწავლეები წინასწარ განსაზღვრავენ მომავალი წერითი დავალების ყველა მნიშვნელოვან ასპექტს/საკითხს, შეძლებენ საკუთარი იდეების ორგანიზებას.

**აქტივობის მიზნები:**

- ინფორმაციის ორგანიზებისა და წერილობით წარმოდგენის უნარ-ჩვევების განვითარება;
- ლოგიკური აზროვნების (არგუმენტირებული, დასაბუთებული მსჯელობის) უნარ-ჩვევების განვითარება;
- სასიცოცხლო უნარ-ჩვევების (თანამშრომლობის უნარის) განვითარება.

**აქტივობის ორგანიზების ფორმა:** წყვილური/ჯგუფური.

**რესურსები:** კალამი, ბარათები, რვეული.

**აქტივობის აღწერა:**

მოსწავლეებს ევალებათ თხრობითი ტექსტის დაწერა ერთ რომელიმე საკითხზე. მანამდე, სანამ მოსწავლეები ტექსტის წერას შეუდგებიან, მასწავლებელი დაყოფს მოსწავლეებს წყვილებად ან პატარა ჯგუფებად და სხვოვს მათ, ინდივიდუალურად მოიფიქრონ და დაწერონ 5 სიტყვა/ფრაზა შესასრულებელი წერითი სამუშაოს თემაზე.


ინდივიდუალური სამუშაოს შესრულების შემდეგ, იწყება მუშაობა წყვილებში ან პატარა ჯგუფებში მეწყვილის/ჯგუფის წევრების მიერ მოფიქრებული ვარიანტებიდან სამი ყველაზე მნიშვნელოვანი სიტყვის/ფრაზის შერჩევის მიზნით. წყვილებში/ჯგუფებში მუშაობის შედეგად, მოსწავლეები შეარჩევენ სამ ყველაზე მნიშვნელოვან სიტყვას /ფრაზას, რომლებსაც წარუდგენენ მთელ კლასს. წარდგენისას მოსწავლეებმა უნდა ახსნან, რატომ

შეაჩერეს არჩევანი ამ ვარიანტებზე.

სამუშაოს გაადვილების მიზნით, სასურველია, რომ მასწავლებელმა მოსწავლეებს დაურიგოს მცირე ზომის ხუთ-ხუთი ბარათი. ეს გაამარტივებს წყვილებში/ჯგუფებში მუშაობის პროცესს: ბარათებით მუშაობა მოსწავლეებს გაუადვილებს დაწუნებული ვარიანტებისა და განსხვავებული იდეების აღქმას.

#### **ნიმუში:**

მოიფიქრეთ 5 სიტყვა/ფრაზა, რომლებიც გახსენდებათ ოლიმპიადის შესახებ.



აქტივობის ხანგრძლივობა - 17-18 წუთი.

**შეფასება:** აქტივობით ფასდება, შეუძლია თუ არა მოსწავლეს

- ინფორმაციის შეჯამება, შეჯერება, ორგანიზება;
- არგუმენტირებული, დასაბუთებული მსჯელობა;
- თანამშრომლობა;
- ნამუშევრის პრეზენტაცია.

**აქტივობა №3: საყვარელი ნაწარმოებების მენიუ.**

**აქტივობის შესახებ:** აქტივობა კომპლექსური ხასიათისაა და ემსახურება როგორც წერითი მეტყველების, ასევე ზეპირმეტყველებისა და კითხვის უნარ-ჩვევების გამომუშავებას.

**აქტივობის მიზნები:**

- აზრის გამოთქმის/მსჯელობის უნარის განვითარება;
- ინფორმაციის ორგანიზების უნარ-ჩვევების განვითარება;
- შემოქმედებითი უნარ-ჩვევების განვითარება (მცირე ზომის ტექსტების შედგენა მოდელის მიხედვით);
- მოსწავლეთა ლექსიკური მარაგის გამდიდრება;
- სასიცოცხლო უნარ-ჩვევების (თანამშრომლობის უნარის) განვითარება.

**რესურსები:** კალამი, ფურცელი, მენიუს მოდელი, ფერადი ფანქრები/ფლომასტრები, დაფა, ცარცი, ტექსტები.

**აქტივობის აღწერა:**

აქტივობას წინ უძლვის მსჯელობა მოსწავლეების მიერ წაკითხული მოთხოვების/

წიგნების შესახებ. მოსწავლეები ასახელებენ თავიანთ საყვარელ ნაწარმოებებს; მსჯელობენ, რატომ მოეწონათ ესა თუ ის ტექსტი.

შემდეგ მასწავლებელი დაყიფვს კლასს მცირერიცხოვან ჯგუფებად. თითოეულ ჯგუფს ურიგებს მენიუს მოდელს. შესაძლოა, მენიუ დაფაზეც დაიხატოს. მოსწავლეები ეცნობიან მოდელს, მასწავლებელი ყურადღებას ამახვილებს დეტალებზე, პასუხობს მოსწავლეების მიერ დასმულ კითხვებს. შემდეგ კი სთხოვს მათ, რომ შეადგინონ საყვარელი ნაწარმოებების მენიუ.

ჯგუფის ყველა წევრი ასახელებს საყვარელი ნაწარმოების სათაურს, გასწვრივ კი მიუწერს „ფასს.“ მოსწავლეებმა მენიუ უნდა გააფორმონ მარტივი ილუსტრაციებითა და ორნამენტებით. მოგვიანებით, ჯგუფები წყვილდებიან და ერთმანეთს „უმასპინძლდებიან“ თავიანთი საყვარელი მოთხოვნებით; არჩევნენ ყველაზე საინტერესო, „გემრიელ“ ნაწარმოებს, უყვებიან ან უკითხავენ ერთმანეთს შერჩეულ ტექსტებს.

**აქტივობის ხანგრძლივობა:** 15 - 17 წუთი.

**შეფასება:** აქტივობით ფასდება, შეუძლია თუ არა მოსწავლეს

- ინფორმაციული ტექსტის შედგენა და გაფორმება მოცემული მოდელის მიხედვით;
- ინფორმაციის მწყობრად და ორგანიზებულად გადმოცემა;
- აზრის გამოთქმა/მსჯელობა;
- თვითგამოხატვა;
- თანამშრომლობა.

**მეთოდური შენიშვნა:** აღწერილ აქტივობას შეიძლება დაეთმოს ორი ან მეტი გაკვეთილი.

#### აქტივობა №4: ჩემი საგანძურო.

**აქტივობის შესახებ:** ეს აქტივობა ემსახურება ინფორმაციის მოძიების, დახარისხებისა და ორგანიზებისათვის საჭირო უნარ-ჩვევების გამომუშავებას; მარტივი საინფორმაციო ტექსტების შედგენის უნარ-ჩვევების გამომუშავებას; ანალიტიკური აზროვნების უნარ-ჩვევების გამომუშავებას, არავერბალური ინფორმაციის წერაში ტრანსფერირების უნარ-ჩვევების გამომუშავებას (ფოტოების, სამახსოვრო ნივთების დასათაურების გზით), შემოქმედებითი უნარ-ჩვევების გამომუშავებას; ხელს უწყობს მოსწავლეთა აღქმისა და თვითგამოხატვის პროცესს.

**აქტივობის მიზები:**

- ინფორმაციის თავმოყრის, დახარისხებისა და ორგანიზების უნარ-ჩვევების განვითარება;
- შემოქმედებითი უნარ-ჩვევების განვითარება;
- წერითი მეტყველების განვითარება;
- თვითგამოხატვისა და აღქმის სტიმულირება.

**აქტივობის ორგანიზების ფორმა:** მთელი კლასის მონაწილეობით (პირველი ნაწილი), ინდივიდუალური (მეორე ნაწილი).

**რესურსები:** კონტეინერი (ფეხსაცმლის ყუთი ან რაიმე სხვა მცირე ზომის ყუთი/კონტეინერი), მოსწავლის მიერ შერჩეული ფოტოები და სამახსოვრო ნივთები, კალამი, ფურცელი, რვეული, ფერადი ფანქრები/ფლომასტერები, აპლიკაციები.

**აქტივობის აღწერა:**

მასწავლებელი შესთავაზებს მოსწავლეებს, შექმნან „საგანძურის ყუთი“, რომელშიც შეინახავენ მათვის ყველაზე ძვირფას ნივთებს: საყვარელ სათამაშოს, წიგნს, ალბომს; სხვადასხვა დროს გადაღებულ საკუთარ ფოტოებს; საყვარელი ადამიანების (ოჯახის წევრების, მეგობრების, ნათესავების, შინაური ცხოველების) ფოტოებს; მათვის სამახსოვრო ადგილებზე გადაღებულ ფოტოებს; არტეფაქტებს (ნახატს/პლასტილინის ფიგურას/ხელნაკეთ სათამაშოს), რომელიც, მათი აზრით, „ყველაზე უკეთ გამოვიდათ“, სხვ. სამახსოვრო ფოტოებთან ერთად ან მათ ნაცვლად, მოსწავლეებს შეუძლიათ, დახატონ სათანადო ნახატები (საერთო ჯამში, უნდა შეირჩეს, სულ მცირე, 4-5 ერთეული). მოსწავლეებმა უნდა შეადგინონ აგრეთვე „საგანძურის სია“ - მოამზადონ წარწერები და, შესაძლოა, კომენტარებიც ყუთში ჩადებული ყველა ნივთისათვის (კომენტარების შესახებ იხ. ქვემოთ, აქტივობის გართულებული ვარიანტი, №1).

აუცილებელია, მასწავლებელმა წარწერების და/ან კომენტარების მოდელი შესთავაზოს ბავშვებს. ამ მიზნით, აქტივობის საწყის ეტაპზე, მასწავლებელმა წინასწარ უნდა შეარჩიოს 4-5 ფოტო/ნახატი ადამიანის, ცხოველის, ნივთის გამოსახულებით, წარუდგინოს მოსწავლეებს და შესთავაზოს, დაასათაურონ ფოტო. მოსწავლეები გონიერივი იერიშის გზით მოიფიქრებენ სახელწოდებებს. მასწავლებელი დაფაზე იწერს შეთავაზებულ ვარიანტებს. შემდეგ გაიმართება მსჯელობა საუკეთესო სახელწოდების გამოსავლენად. საუკეთესო ვარიანტის ავტორი დაჯილდოვდება სიმბოლური საჩუქრით ან ტაშით. შემდეგ მასწავლებელი განუმარტავს მოსწავლეებს, რომ „საგანძურის სიის“ შედგენისას ამგვარადვე უნდა დაასათაურონ მათ მიერ შერჩეული სურათები, ნივთები და სხვ.

მოსწავლეები შეაგროვებენ „საგანძურს“. შეგროვების შემდეგ მოსწავლეები ფურცელზე ჩამოწერენ ნივთების ჩამონათვალს („საგანძურის სიას“), რომელიც ნივთებთან ერთად ყუთში უნდა ჩაიღოს - ამისათვის მათ უნდა მოამზადონ ფოტოების, სათამაშოების, ნივთების, ნახატებისა და სხვა არტეფაქტების წარწერები (მაგ., „ჩემი საყვარელი თოჯინა, სახელად ....“, „ჩემი ყველაზე სწრაფი მანქანა“, „მე, როდესაც 4 წლის ვიყავი“, „მე და ჩემი საბავშვო ბალის მეგობრები“, „ჩემი ბებია გაზირის კითხვის დროს“, „პირველი დღე სკოლაში“, „პლასტილინის კაცუნა“, „ჩემი ძალი“, „წინილები ჩემი სოფლის ეზოში“, სხვ.).

„საგანძურის სიის“ დაწერის შემდეგ მოსწავლეები მოამზადებენ „საგანძურის ყუთს“ - მორთავენ მას ნახატებით და/ან აპლიკაციებით, გააფერადებენ სხვადასხვაფრად, მისთ. დასასრულს, მოსწავლეები „საგანძურის ყუთში“ მოათავსებენ „განძეულობას“ და „საგანძურის სიას“.

მასწავლებელი გაეცნობა სიას, დაათვალიერებს „განძსა“ და „საგანძურის ყუთს“, სათანადო კომენტარებით გაამხნევებს და წაახალისებს მოსწავლეებს.

შესაძლებელია აღნიშნული აქტივობის გართულებაც. კერძოდ, მასწავლებელს შეუძლია, სთხოვოს მოსწავლეებს:

1. მოამზადონ კომენტარებიანი „საგანძურის სია“;
  2. შეადგინონ სიი ქრონოლოგიური მიმდევრობის დაცვით.
1. მოსწავლეებმა ჩამონათვალში დასახელებულ თითოეულ ნივთს უნდა დაურთონ მოკლე (ერთ ან ორწინადადებიანი) კომენტარი, მაგ.: „პლასტილინის კაცუნა - ეს კაცუნა მე გამოვძერნე ხელოვნების გაკვეთილზე“, „ჩემი ყველაზე სწრაფი მანქანა - ეს მანქანა მამამ დაბადების დღეზე მაჩუქა“, „ჩემი თოჯინა - ეს თოჯინა ბებიამ მიყიდა მაღაზიაში. მას შეუძლია ტირილი“, „ჩემი საყვარელი წიგნი - ეს

ნიგნი მაჩუქეს, როდესაც 6 წლის ვიყავი. ძალიან მიყვარს მისი ნახატების დათვა-ლიერება”, ”ჩემი სახანძრო მანქანა - შეუძლია კედელზე ასვლა და წყლის გამოშვება”, მისთ.

2. მოსწავლეებმა ჩამონათვალის შედგენისას უნდა დაიცვან ქრონოლოგიური თანამიმდევრობა - ფოტოები, ნივთები, არტეფაქტები დაღლაგდება ”დროის ისრის” შესაბამისად: ერთად დაჯგუფდება 4 წლის ასაკში გადაღებული ფოტო და საბავშვო ბალის მეგობრების სურათი; 6 წლის ასაკში შესრულებული ნახატი და 6 წლის ალსანიშნავ დაბადების დღეზე ნაჩუქარი მანქანა და მისთ.

**აქტივობის ხანგრძლივობა:** 12-15 წელი (საწყისი ეტაპი); 15-18 წელი (ბოლო ეტაპი).

**შეფასება:** აქტივობით ფასდება, შეუძლია თუ არა მოსწავლეს

- ინფორმაციის დახარისხება და ორგანიზება;
- არავერბალური ინფორმაციის ვერბალურად გარდაქმნა;
- მარტივი ინფორმაციული ტექსტის შედგენა და სათანადოდ გაფორმება;
- შემოქმედებითი უნარ-ჩვევების გამოვლენა;
- თვითგამოხატვა.

**მეთოდური მითითება:** ”დროის ისართან” დაკავშირებით იხ. დანართი 2. (”არამხატვრული ტექსტის 4 ტიპი და მათი გრაფიკული მარკანიზებლები”).

**აქტივობა №5: მოსაწვევი ბარათი.**

**აქტივობის მიზნები:**

- ინფორმაციული ტექსტის (მოსაწვევი ბარათის) ძირითადი ენობრივი და სტილისტური მახასიათებლების გაცნობა;
- ინფორმაციის ორგანიზებისა და წერილობით წარმოდგენის უნარ-ჩვევების განვითარება.

**აქტივობის ორგანიზების ფორმა:** მთელი კლასის მონაწილეობით (პირველი ნაწილი), ინდივიდუალური (მეორე ნაწილი).

**რესურსები:** კალამი, რვეული, სანიმუშოდ შერჩეული მოსაწვევი ბარათი/ბარათები, საწერი ფურცლები ან ბარათები, ფერადი ფანქრები, აპლიკაციები.

**აქტივობის აღწერა:**

ამა თუ იმ სპექტაკლის ან პრეზენტაციის მომზადების პერიოდში, მასწავლებელი შესთავაზებს მოსწავლეებს, მოამზადონ მოსაწვევი ბარათები ღონისძიებაზე დამსწრები სტუმრებისთვის (ოჯახის წევრებისთვის, მასწავლებლებისთვის, მეგობრებისთვის, მისთ.).

მასწავლებელი გაესაუბრება ბავშვებს მოსაწვევი ბარათის რაობაზე; განუმარტავს მათ, რა სახის ინფორმაცია უნდა იყოს წარმოდგენილი მოსაწვევ ბარათზე (მიმართვა, ღონისძიების დასახელება, ღონისძიების ადგილი, დრო, ორგანიზატორის ვინაობა, თხოვნა დასწრების თაობაზე, სხვ.). მოდელის საჩვენებლად მასწავლებელი წარუდგენს მოსწავლეებს მოსაწვევი ბარათის ნიმუშს, გაამახვილებს მათს ყურადღებას მოსაწვევი ბარათის ენობრივ-გრამატიკულ და სტილურ მახასიათებლებზე (მრავლობითი რიცხვის ფორმები, თავაზიანობის გამომხატველი ლექსიკა, მისთ.).

შემდეგ მასწავლებელი დაფაზე ჩამოწერს, რა სახის ინფორმაციაა საჭირო მოსაწვევი ბარათის შესადგენად და შესთავაზებს ბავშვებს, ერთად დაწერონ დაგეგმილ ღონისძიებაზე მოსაწვევი ბარათის ტექსტი. ბარათის ტექსტი იწერება ნაბიჯ-ნაბიჯ, მოსწავლეთა უშუალო თანამონაწილეობით. ტექსტის დასრულების შემდეგ მასწავლებელი სთხოვს

ბავშვებს, რვეულებში გადაიწერონ იგი.

ბოლოს, მასწავლებელი სთხოვს ბავშვებს, დაამზადონ მოსაწვევი ბარათები. ამისთვის მათ რვეულში ჩაწერილი ტექსტი ფურცლებზე/ბარათებზე უნდა გადაწერონ და, სურვილისამებრ, გააფორმონ იგი ნახატით, ფოტოთი თუ აპლიკაციით. თითოეული მოსწავლე დაამზადებს ერთ-ორ მოსაწვევ ბარათს თავისი ოჯახის წევრებისთვის, მეგობრებისთვის, მასწავლებლისთვის, სხვ. (მან თავად უნდა გადაწყვიტოს, ვისთვის დაამზადებს მოსაწვევს).

შემდეგ გაკვეთილზე მასწავლებელი დაათვალიერებს მოსწავლეების ნამუშევრებს, გაამზნევებს და წაახალისებს მათ პოზიტიური კომენტარებით. მოსწავლეების მიერ დაამზადებული მოსაწვევები ღონისძიების ჩატარებამდე გარკვეული ხნით ადრე დაურიგდებათ მოსაწვევ სტუმრებს.

**შეფასება:** აქტივობით ფასდება, შეუძლია თუ არა მოსწავლეს

- საინფორმაციო ტექსტის ენობრივი და სტილისტური მახასიათებლების დადგენა;
- ინფორმაციის დახარისხება და ორგანიზება;
- შესაბამისი ენობრივი და სტილისტური მახასიათებლების სათანადოდ გამოყენება საინფორმაციო ტექსტის წერის დროს;
- საინფორმაციო ტექსტის შედგენა მოდელის მიხედვით.

**მეთოდური მითითება:** გასათვალისწინებელია, რომ ამ ტიპის ტექსტებზე მუშაობა კონკრეტული კონტექსტის გარეშე ეფექტური არ არის. მოსწავლეები უფრო მოტივირებულები არიან, როცა იციან, რომ მათ ნაშრომს, მასწავლებლის გარდა, სხვაც გაეცნობა. ამიტომ სასურველია, რომ მოსაწვევი ბარათის შედგენაზე მუშაობა დაკავშირებული იყოს რაიმე კონკრეტულ ღონისძიებასთან.

**კავშირი სხვა საგნებთან:** აქტივობა ინტეგრირებულია სახვით და გამოყენებით ხელოვნებასთან.

**ქართ. II. 11. მოსწავლეს შეუძლია მცირე მოცულობის ტექსტების დამოუკიდებლად შედგენა ნაცნობი ლექსიკის გამოყენებით.**

**აქტივობა №1: დავიჯერო თუ არა?**

**აქტივობის შესახებ:** აქტივობა ხელს უწყობს ძირითადი სააზროვნო უნარ-ჩვევების განვითარებას და მიმართულია იქითკენ, რომ მოსწავლეებმა შეძლონ თანამიმდევრობის დაცვა კონკრეტული ფაქტის/მოვლენის წერილობით გადმოცემისას. აქტივობის ნაწილი ტარდება ზეპირმეტყველების დონეზე; ამგვარად, იგი კომპლექსურია და მიემართება წერისა და ზეპირმეტყველების მიმართულებებს. აქტივობას აქვს თამაშისა და შეჯიბრის სახე.

**აქტივობის მიზნები:**

- სააზროვნო უნარ-ჩვევების განვითარება;
- წერის დროს ამბის/მოვლენის თანამიმდევრულად გადმოცემის უნარ-ჩვევების განვითარება;
- ზეპირმეტყველების განვითარება.

**აქტივობის ორგანიზების ფორმა:** ინდივიდუალური (პირველი ნაწილი), ჯგუფური (მეორე ნაწილი).

**რესურსები:** კალამი, რვეული, სანიშნები, დაფა, ცარცი/ბორდმარკერი.

**აქტივობის აღწერა:**

მასწავლებელი ასახელებს/ დაფაზე დაწერს მოსწავლეებისთვის კარგად ნაცნობ თე-

მას (მაგ; რაიმეს დაკარგვა, გაბრაზება, ჩხუბი, ზრუნვა, მოგზაურობა, შიში და სხვ.). შესაძლოა, თემა კავშირში იყოს სახელმძღვანელოში დამუშავებულ რაიმე საკითხთან.

ზეპირი გზით, კითხვებისა და მინიშნებების სახით, მასწავლებელი ეხმარება მოსწავლეებს, გაიაზრონ შერჩეული თემა და დაუკავშირონ იგი პირად გამოცდილებას. მასწავლებელი ერთ-ორ მოსწავლეს მოაყოლებს შერჩეულ თემასთან დაკავშირებულ რაიმე ამბავს პირადი გამოცდილებიდან. ამის შემდეგ კი დაავალებს მოსწავლეებს, რამდენიმე წინადადებით დაწერონ ერთი პატარა ამბავი - ტყუილი ან მართალი. მოსწავლეთა მოტივაციის ამაღლების მიზნით, სასურველია, მასწავლებელიც ჩაერთოს მუშაობაში და დაწეროს თავისი ტყუილი ან მართალი ამბავი, რათა შემდეგ მოსწავლეებს გაუზიაროს იგი.

წერითი დავალების დასრულების შემდეგ მოსწავლეები კითხულობენ თავიანთ ნაწერებს და ცდილობენ გამოიცნონ, მართალ ამბავს ისმენენ თუ ტყუილს. აქტივობის ამ ეტაპზე კლასი შეიძლება დაიყოს ორ ჯგუფად: პირველმა ჯგუფმა წაიკითხოს თავისი ტყუილი და მართალი ამბები, მეორე ჯგუფმა კი ამოიცნოს, წაკითხულიდან რომელი ამბავი იყო გამოგონილი, რომელი - რეალურად მომხდარი. შემდეგ ჯგუფები შეენაცვლებიან ერთმანეთს. შესაძლოა, საგანგებოდ დამზადდეს რაიმე სიმბოლური სანიშნები (მაგ., ყვითელი წებოვანი ფურცელი ტყუილი ამბისთვის, წითელი წებოვანი ფურცელი - მართალი ამბისთვის). სიმბოლური ნიშნები მოსწავლეებმა შეიძლება ტანსაცმელზე მიაკრან ერთმანეთს.

**აქტივობის ხანგრძლივობა:** 15-17 წუთი.

**შეფასება:** აქტივობით ფასდება, შეუძლია თუ არა მოსწავლეს

- კონკრეტული ფაქტის/ მოვლენის აღწერა, შინაარსის თანამიმდევრულად გადმოცემა ზეპირად და/ან წერილობითი სახით;
- ტექსტის გაანალიზება.

### აქტივობა №2: ჩემი კითხვა - შენი პასუხი.

**აქტივობის შესახებ:** აქტივობა ხელს უწყობს წერითი მეტყველების განვითარებას და მიმართულია იქითკენ, რომ მოსწავლეებმა შეძლონ დიალოგური მეტყველების დროს სათანადო ენობრივ-გრამატიკული ნიშნების დაცვა; სათანადო სასვენი ნიშნების გამოყენება წინადადების მოდალობის გათვალისწინებით.

აქტივობის ჩატარებისას გაიმართება წერილობითი დიალოგი, რომლის მეშვეობით მოსწავლეები განვითარებენ სიუჟეტურ მონახაზს.

**აქტივობის მიზნები:**

- დიალოგური მეტყველების უნარის განვითარება (წერილობითი დიალოგის საფუძველზე);
- წერითი მეტყველების განვითარება;
- თანამშრომლობის უნარის განვითარება.

**აქტივობის ორგანიზების ფორმა:** წყვილური.

**რესურსები:** კალამი, რვეული, დაფა, ცარცი/მარკერი.

**აქტივობის აღწერა:**

მასწავლებელი ნასწავლი ტექსტის თემას ავითარებს სათანადო შეკითხვით. დავუშვათ, ნასწავლი ტექსტის თემაა "მოგზაურობა". მასწავლებელი კითხულობს: "თქვენ თუ გიმოგზაურიათ სადმე?" მოსწავლეების გააქტიურების შემდეგ, მასწავლებელი წყვილებად დაყიფვს მოსწავლეებს და დაავალებს მათ, რომ: 1. წერილობით დაუსვან შეკითხვა მეწყვილეს; 2. გაუცვალონ ერთმანეთს რვეულები; 3. პასუხი გასცენ ერთმანეთის შეკითხვას;

4. მეწყვილის პასუხზე დაყრდნობით, დაუსვან მას მომდევნო შეკითხვა და ასე რამდენ-ჯერმე.

#### **მოსწავლეების მიერ დასხული შეკითხვების ნიმუშები: (სტილი დაცულია)**

- მატარებელში მჯდარხარ?
- სად ცხოვრობენ შენი ბებია და ბაბუა?
- ზღვაზე ყოფილხარ?
- რა ერქვა იმ ადგილს, ზღვა რო იყო?
- თვითფრინავით თუ გიმოგზაურია?
- საქართველოს გარდა, სხვაგან ყოფილხარ?
- როგორი იყო შენი მოგზაურობა?

მეორე გაკვეთილზე მეწყვილეები კითხულობენ თავიანთ მიერ დაწერილ დიალოგს და წერენ რამდენიმე წინადადებისგან შემდგარ თხზულებას: „ჩემი მეგობრის ამბავი“, რომელ-შიც მეწყვილის პასუხების საფუძველზე, გადმოსცემენ ამბავს მეგობრის გამოცდილებიდან.

აქტივობის ხანგრძლივობა: 15-17 წუთი (პირველი გაკვეთილი), 15 წუთი (მეორე გაკვეთილი).

**შეფასება:** აქტივობით ფასდება, შეუძლია თუ არა მოსწავლეს

- კითხვითი და თხრობითი წინადადებების მართებულად გამოყენება წერითი მეტყველების დროს;
- წერითი მეტყველებისათვის აუცილებელი ენობრივ-გრამატიკული ნორმების დაცვა: ადეკვატური სასვენი ნიშნების დასმა, ზმნური ფორმების სწორად გამოყენება, სხვ.;
- კონკრეტული ფაქტის/ამბის (პირადი გამოცდილებიდან) წერილობით გადმოცემა;
- ფაქტით/მოვლენით მიღებული შთაბეჭდილებების წერილობით გამოხატვა;
- თანამშრომლობა.

**მეთოდური შენიშვნა:** მოსწავლეებს გარკვეული ნიმუშები ესაჭიროებათ სიუჟეტური ხაზის ასაგებად და კითხვების მოსაფიქრებლად, მაგრამ თუკი მასწავლებელი სავარაუდო კითხვების ნიმუშებს დაფაზე ჩამონერს, მოსწავლეები დასჯერდებიან მხოლოდ მასწავლებლის მიერ ნიმუშებად მოტანილ კითხვებს და აღარ მოიფიქრებენ საკუთარს. ამიტომ უმჯობესია, მასწავლებელმა დაფაზე დაწეროს არა კითხვების ნიმუშები, არამედ საყრდენი კითხვები: "რა? ვისთან ერთად? სად? რამდენჯერ? რით? რამდენი ხნით? რატომ? როდის?"

**ქართ. II. 12. მცირე მოცულობის ტექსტების შექმნისას მოსწავლეს შეუძლია ძირითადი გრამატიკული ელემენტების გამოყენება.**

**აქტივობა №1: წერილი მეგობარს.**

**აქტივობის შესახებ:** აქტივობა ემსახურება წერითი დიალოგური მეტყველების უნარ-ჩვევების გამომუშავებას.

**აქტივობის მიზნები:**

**თავი IV. საიმურავო აქტოვობაზ**

- პირადი და საქმიანი წერილის ტრადიციული სტრუქტურული ელემენტების გა-აზრება;
- წერითი დიალოგური მეტყველებისათვის აუცილებელი ენობრივ-გრამატიკული და სტილისტური ელემენტების მართებულად გამოყენების უნარის განვითარება;
- წერითი დიალოგური მეტყველებისათვის დამახასიათებელი ენობრივ-სტილის-ტური ნორმების მართებულად გამოყენების უნარის განვითარება;

**აქტივობის ორგანიზების ფორმა:** მთელი კლასის მონაწილეობით (პირველი ნაწილი), ინდივიდუალური (მეორე ნაწილი).

**რესურსები:** კალამი, რვეული, დაფა, ცარცი/ბორდმარკერი.

**აქტივობის აღწერა:**

საწყის ეტაპზე მასწავლებელი უხსნის მოსწავლეებს, რომ წერილები, ძირითადად, ორი სახისაა: პირადი ხასიათის (წერილები მეგობრების, ოჯახის წევრების, ნაცონობების მიმართ) და საქმიანი. მოსწავლეებმა უნდა გააცნობიერონ, რომ წერილს აქვს ტრადიციული ფორმა/სტრუქტურა, რომელიც წერისას აუცილებლად უნდა გაითვალისწინონ. მასწავლებელი მოსწავლეებს აჩვენებს შესაბამისი ტიპის წერილის მოდელს, გაამახვილებს მოსწავლეების ყურადღებას წერილის ძირითად სტრუქტურულ ელემენტებზე (მიმართვა/მისალმება, ძირითადი ნაწილი, დამშვიდობება). მნიშვნელოვანია, რომ მოსწავლეებმა აითვისონ აგრეთვე კონვერტის გაფორმების წესიც (საფოსტო ინდექსი, მისამართი, საფოსტო მარკის დაწებება, მისთ.).

**ნიმუში 1. წერილი მეგობარს**

ძვირფასო -----,

---



---



---

შენი მეგობარი (სახელი, გვარი) -----

ადგილი, თარიღი -----

**ნიმუში 2. საქმიანი წერილი**

ძვირფასო ბატონო/ქალბატონო -----,

---



---



---

პატივისცემით (სახელი, გვარი) -----

ადგილი, თარიღი -----

მასწავლებელი დაფაზე დაწერს ერთ-ერთ მოდელს და შესთავაზებს მოსწავლეებს, ერთად შეადგინონ წერილი შერჩეული მოდელის მიხედვით. სასურველია, საწყისი ეტაპის-თვის მოსწავლეებს დაევალოთ პირადი ხასიათის წერილის დაწერა (მაგ., წერილი მეგობარს).

წერილის თემა შერჩეულია მასწავლებლის მიერ (მაგ., „მოუყევი შენს მეგობარს, ვის-თან იყავი სტუმრად ბოლო დროს”, სხვ.).

მასწავლებელი ესაუბრება ბავშვებს წერილის თემაზე. ზეპირი საუბრისა და კითხვა-პასუხის რეჟიმში მოსწავლეებს აძლევს გეზს წერილის დასაწერად. სამუშაოს გასაადვი-ლებლად და ნომუშის საჩვენებლად, მასწავლებელი თავად შეავსებს დაფაზე ჩამოწერილ მოდელს მოსწავლეების თანამონანილეობით.

მოსწავლეები რევეულებში გადაიტანენ შერჩეულ მოდელს. მათ დაევალებათ, დაწერონ წერილი კლასში ჩატარებული სამუშაოსა და გადაწერილი მოდელის საფუძველზე.

მომდევნო გაკვეთილზე მასწავლებელი შეამონებს მოსწავლეთა ნამუშევრებს, გაამ-ხნევებს და წაახალისებს მათ ნამუშევრების პოზიტიური მხარეების გამოკვეთით.

აქტივობის ხანგრძლივობა: 14-15 წუთი (პირველი გაკვეთილი), 8-10 წუთი (მეორე გაკ-ვეთილი).

**შეფასება:** აქტივობით ფასდება, შეუძლია თუ არა მოსწავლეს

- ტექსტის (წერილის) ტრადიციული სტრუქტურული ელემენტების გამოყენება წერის დროს;
- შესაბამისი ენობრივ-გრამატიკული და სტილისტური ნორმების დაცვა წერის დროს;
- ცხოვრებისეული გამოცდილების წერილობით გადმოცემა;
- თვითგამოხატვა.

**მეთოდური მითითება:** პირადი შეხედულებისა თუ საჭიროების მიხედვით, მასწავლებელს შეუძლია შეცვალოს, გაამარტივოს ან უფრო დეტალური გახადოს წერილების ზემოთ მოყვანილი ნიმუშები.

**აქტივობა №2: ჩემი კლასელი.**

**აქტივობის შესახებ:** აქტივობა დაეხმარება მოსწავლეებს, მართებულად გამოიყენონ სათანადო ენობრივ-გრამატიკული ნორმები და გრამატიკული ელემენტები მცირე ზომის ტექსტების შეთხვის დროს.

**აქტივობის მიზნები:**

- წერითი მეტყველებისას ენობრივი საშუალებებისა და გრამატიკული ელემენტების მართებულად გამოყენების უნარ-ჩვევების განვითარება;
- თვითგამოხატვის უნარის განვითარება;
- თანამშრომლობის უნარის განვითარება.

**აქტივობის ორგანიზების ფორმა:** წყვილური.

**რესურსები:** კალამი, რვეული.

**აქტივობის აღწერა:**

მასწავლებელი დააწყვილებს მოსწავლეებს. ყოველი მოსწავლე წერს მცირე ზომის ტექსტს საკუთარი თავის შესახებ (ავტობიოგრაფია, დამახასიათებელი თვისებები). შემდეგ მოსწავლეები ერთმანეთს ნაწერებს გაუცვლიან; მასწავლებელი დაავალებს მათ, რომ თანაკლასელის ნაწერის ყოველი წინადადება მესამე პირში გადაიყვანონ და დაწერონ

თხზულება: „ჩემი კლასელი“.

ნაწერების გასწორებისას, მასწავლებელი, სავარაუდოდ, აღმოაჩენს ისეთ ნაწერებსაც, სადაც მოსწავლის სახელი და გვარი არ იქნება მითითებული. მასწავლებელს შეუძლია რამდენიმე ასეთი ნაწერი შეკრიბოს და „გამოცნობანა“ მოაწყოს: იგი წაიკითხავს ამგვარ ნამუშევრებს მთელი კლასის წინაშე, მოსწავლეები კი შეეცდებიან გამოიცნონ, რომელ თანაკლასელზეა დაწერილი მასწავლებლის მიერ წაკითხული ნამუშევარი.

აქტივობის ხანგრძლივობა: 15-17 წუთი.

**შეფასება:** აქტივობით ფასდება, შეუძლია თუ არა მოსწავლეს

- სათანადო ენობრივი საშუალებებისა და გრამატიკული ელემენტების მართებულად გამოყენება წერის დროს;
- კონტექსტის შესაბამისი ლექსიკური ერთეულების გამოყენება;
- თვითგამოხატვა;
- თანამშრომლობა.

**აქტივობა №3: გუშინ, დღეს, ხვალ - ვთამაშობთ ზმნებით.**

**აქტივობის მიზნები:**

- წერითი მეტყველებისას ენობრივი საშუალებებისა და გრამატიკული ელემენტების მართებულად გამოყენების უნარების განვითარება;
- შემოქმედებითი უნარ-ჩვევების განვითარება.

**აქტივობის ორგანიზების ფორმა:** ჯგუფური.

**რესურსები:** კალამი, რვეული.

**აქტივობის აღწერა:**

მასწავლებელი დაყოფს კლასს ორ ნაწილად. ერთ ნაწილს მომავალი ("ხვალ") ჰქვია, მეორეს - წარსული ("გუშინ"), მასწავლებელი წარმოადგენს აწმყო დროს ("დღეს"). იგი ასახელებს ზმნებს აწმყო დროში, „მომავლის“ მოსწავლეებს მასწავლებლის მიერ აწმყო დროში დასახელებული ზმნა გადაჰყავთ მომავალ დროში და რვეულში იწერენ მას, „წარსულის“ მოსწავლეებს კი ზმნა წარსულ დროში გადაჰყავთ და შესაბამისი ფორმით იწერენ რვეულებში. 5-6 ზმნის აწმყო დროის ფორმით დასახელების შემდეგ, მასწავლებელი დაავალებს მოსწავლეებს, რომ შეადგინონ წინადადებები რვეულებში ჩაწერილი სიტყვების გამოყენებით.

აქტივობის ბოლოს, მოსწავლეები მონაცემებით კითხულობენ თავიანთ მიერ შექმნილ წინადადებებს, რომლებშიც ზმნები წარმოდგენილია წარსული ან მომავალი დროის ფორმებით.

აქტივობის ხანგრძლივობა: 12-15 წუთი.

**შეფასება:** აქტივობით ფასდება, შეუძლია თუ არა მოსწავლეს:

- ენობრივ-გრამატიკული ელემენტებისა და ენობრივი ნორმების მართებულად გამოყენება: ზმნის წარსული, აწმყო და მომავალი დროის ფორმების, სასვენი ნიშნების, გამოყენება;
- საჭირო ლექსიკური ერთეულების გამოყენება;
- შემოქმედებითი უნარ-ჩვევების გამოვლენა.

**ქართ. II. 13. მოსწავლეს შეუძლია ნაწერის გასწორების მარტივი ხერხების გამოყენება.**

**აქტივობა №1: მასწავლებლის კომენტარის მიხედვით ნაწერის რედაქტირება.**

**აქტივობის შესახებ:** აქტივობა გამოიყენება წერის შემდგომ ეტაპზე.

**აქტივობის მიზნები:**

- წერითი მეტყველების უნარ-ჩვევების განვითარება;
- ნაწერის რედაქტირებისათვის საჭირო უნარ-ჩვევების გამომუშავება.

**აქტივობის ორგანიზების ფორმა:** ინდივიდუალური.

**რესურსები:** კალამი, რვეული.

**აქტივობის აღწერა:**

მასწავლებელი დაურიგებს მოსწავლეებს გასწორებულ ნაწერებს, რომლებსაც ერთი ან ორი მოკლე წერილობითი კომენტარი ექნება დართული. (მაგ: კითხვითი წინადადების ბოლოს დასვი კითხვის ნიშანი; რო - არასწორია, სწორია - რომ, გადააკეთე!).

მოსწავლეებმა უნდა წაიკითხონ მასწავლებლის კომენტარები, შემდეგ თავიანთი ნაწერი და კომენტარის მიხედვით უნდა ჩასწორონ შეცდომები.

საჭიროების შემთხვევაში, მასწავლებელი გაესაუბრება მოსწავლეებს, პასუხობს დასმულ შეკითხვებზე.

**აქტივობის ხანგრძლივობა:** 8-10 წუთი.

**შეფასება:** აქტივობით ფასდება, შეუძლია თუ არა მოსწავლეს:

- მასწავლებლის წერილობითი კომენტარის მიხედვით თავის ნაწერში შეცდომების იდენტიფიცირება და ჩასწორება.

### III კლასი

**ქართ. III. 1. მოსწავლეს შეუძლია ტექსტის დანიშნულებისა და ადრესატის ამოცნობა მოსმენით; შეუძლია სამეტყველო ქცევის წარმართვა ადრესატის გათვალისწინებით.**

**აქტივობა №1: „ინტერვიუ ცნობილ ადამიანთან”.**

**რესურსები:** დიქტოფონი ან მაგნიტოფონი (თუ შესაძლებელია, ვიდეოკამერა).

**აქტივობის აღწერა:** მოსწავლეები წინასწარ ამზადებენ შეკითხვებს ინტერვიუს ადრესატის გათვალისწინებით. მნიშვნელოვანია, რომ ინტერვიუს ჰქონდეს კონკრეტული მიზანი. მაგალითად, მოსწავლეებმა შეისწავლეს ტექსტი კოლუმბის შესახებ და სურთ, მეტი გაიგონ მოგზაურობებისა და მოგზაურების შესახებ. ისინი იწვევენ ცნობილ მოგზაურს (მაგალითად, ჯუმბერ ლეჟავას) და ამზადებენ მისთვის შეკითხვებს.

ინტერვიუმდე უნდა შეირჩეს დრო და ადგილი და წინადლით გადამოწმდეს, არის თუ არა ინტერვიუერი თანახმა. აუცილებელია ინფორმაციის მოძიება გასაუბრების თემაზე და თემასთან დაკავშირებული ლექსიკის შესწავლა.

ინტერვიუს დროს მოსწავლეებს მოუწვდოთ თავაზიანობის გამომხატველი ენობრივი ფორმულების გამეორება და შერჩევა (თუ შეიძლება, გვითხარით... თქვენ როგორ ფიქ-

**თავი IV. საინიციატივული გადაწყვეტილებები**

რობთ...). მნიშვნელოვანია, მოსწავლეებს ავუხსნათ, რომ ისინი განსხვავებულად უნდა ესაუბრონ თანატოლებსა და უფროსებს, ინტერვიუერს უყურონ თვალებში, უმეტესად ასაუბრონ ის, ამიტომ შეკითხვები უნდა იყოს მოკლე და მკაფიო. სასურველია, თუ გაკეთდება ინტერვიუს აუდიო ან ვიდეოჩანანერი, რათა მოსწავლეებმა ადვილად შეძლონ მისი შეფასება.

**შეფასება:** შეფასება შეიძლება მოხდეს ქვემოთ მოცემული ცხრილის საშუალებით:

შედეგი	შეზარება
ფლობს გასაუბრების /ინტერვიუს თემას	
ფლობს სასაუბრო თემის ლექსიკას	
ითვალისწინებს ინტერვიუერის რეაქციებს	
საჭიროების შემთხვევაში, სვამის დამატებით შეკითხვებს	
არის თავაზიანი, ამჟღავნებს ინტერესს	

**მეთოდური მითითება:** პირველ ეტაპზე სასურველია ინტერვიუსათვის შეკითხვები მომზადდეს მცირე ჯგუფებში. მოსწავლეებისათვის სახალისოა ე. წ. წარმოსახვითი ინტერვიუები პერსონაჟებთან, ავტორებთან.

**ქართ. III. 2. მოსწავლეს შეუძლია ლიტერატურული ტექსტების მოსმენა, გაგება და მათი შინაარსის გადმოცემა.**

**აქტივობა №1: „დაუვიწყარი ამბები”.**

**რესურსი:** ფოტოები, ძველი მოსაწვევები, აფიშები და სხვა.

**აქტივობის აღწერა:** მასწავლებელი წინა დღით ავალებს მოსწავლეებს, მოიტანონ ფოტოები, ძველი მოსაწვევები, აფიშები და სხვა ნივთები, რომლებიც მათ რაღაც მნიშვნელოვან ამბებს ახსენებს. თითოეული წარმოადგენს მის მიერ მოტანილ ნივთს / ნივთებს და ჰყება იმ ამბავს, რომელიც ამ ნივთს უკავშირდება.

**შეფასება:** შეფასდება თანამიმდევრული თხრობის, მოვლენების, თშაბეჭდილებების, განცდების, ემოციების გადმოცემის უნარი, ლოგიკურობა, ენობრივი გამართულობა.

**მეთოდური მითითება:** შესაძლებელია ამ აქტივობის მოდიფიცირება: წყვილებმა გაცვალონ ისტორია ერთმანეთში და შემდეგ ერთმა წარმოადგინოს მეორის ნაამბობი და პირიქით.

**აქტივობა №2: „გიამბობთ საინტერესო წიგნის შესახებ”.**

**რესურსი:** ეს აქტივობა საჭიროებს მხოლოდ ადამიანურ რესურსს.

**აქტივობის აღწერა:** მოსწავლეები შეარჩევენ წაკითხულ წიგნს / მოთხრობას და თანაკლასელებს გადასცემენ წაკითხულის შინაარსს და საკუთარ მოსაზრებებს წაკითხულთან დაკავშირებით. იმისათვის, რომ მოსაზრების ჩამოყალიბება გაუადვილდეთ, შეიძლება მასწავლებელმა მისცეს თხრობის სავარაუდო კონსტრუქცია: მე ეს ნაწარმოები მომენტია იმით, რომ... ეს ნაწარმოები საინტერესო იყო იმით, რომ... სასურველია, მასწავლებელმა მისცეს მოსწავლეებს რამდენიმე საორიენტაციო შეკითხვა. მაგალითად:

- რა არის წიგნის სათაური?
- ვინ არიან წიგნის მთავარი პერსონაჟები / პერსონაჟი?
- სად ხდება წიგნში მოთხოვილი ამბავი?
- რა სირთულე შეხვდა მთავარ გმირს?
- როგორ დაძლია ეს სირთულე?
- რა მოგეწონა? რა არ მოგეწონა?

**შეფასება:** აქტივობა კომპლექსურია. შეფასდება როგორც გააზრებული კითხვის, ისე წაკითხულის შესახებ მოსაზრებების / შთაბეჭდილებების გადმოცემის, სხვებისათვის გაზიარების უნარი.

**მეთოდური მითითება:** სასურველია, მასწავლებელმა წინასწარ მოამზადოს კითხვა-რი და დაურიგოს მოსწავლეებს, რათა ისინი მოემზადონ პრეზენტაციისათვის.

**ქართ. III. 3. მოსწავლეს შეუძლია ძირითადი ენობრივ-გრამატიკული საშუალებების სათანადოდ გამოყენება.**

#### აქტივობა №1: „ზღაპარ იყო...“

**აქტივობის შესახებ:** ეს აქტივობა ავითარებს ყურადღებას, მეხსიერებას, წარმოსახვას, აფართოებს სიტყვათა მარაგს, მიმართებების, დამოკიდებულების გამოხატვის უნარს, ამასთანავე, აყალიბებს დადებით განწყობას ლიტერატურის მიმართ.

**რესურსები:** ეს აქტივობა საჭიროებს მხოლოდ ადამიანურ რესურსს.

**აქტივობის აღწერა:** მოსწავლეები მასწავლებელთან ერთად ირჩევენ წამყვანს (შეიძლება წამყვანი იყოს უფროსეკლასელი ან თავად მასწავლებელი). ის ასახელებს რომელიმე ზღაპარს, ხოლო დანარჩენებმა უნდა გაიხსენონ და ჩამოთვალონ ამ ზღაპრის გმირები. მაგალითად, წამყვანი ამბობს: „ბურატინი“. მოსწავლეები ასახელებენ: მალვინა, არტემონი, კუ ტორტილა, მამილო კარლო... წამყვანი ირჩევს ერთ-ერთ დასახელებულ პერსონაჟს, ვთქვათ, პაპა კარლოს და სთხოვს მოსწავლეს, ისაუბროს მის შესახებ: რა მოსწონს, რაში არ ეთანხმება მას, რას უსურვებდა, აგრეთვე, რის შეცვლას მოინდომებდა ამ ზღაპარში და რატომ. პაის მიხედვით მოსწავლე იღებს ქულას. წამყვანი კიდევ ასახელებს ახალ ზღაპარს. გამარჯვებული ხდება ის, ვინც ყველაზე მეტ ქულას მოაგროვებს.

**შეფასება:** შეფასდება სისხარტე, ზღაპრების ცოდნის აქტივაცია, ყურადღება, დეტალური თხრობის უნარი; დამოკიდებულებების, შეფასებების გადმოცემის უნარი.

**მეთოდური მითითება:** შეიძლება ამ აქტივობის მოდიფიცირებაც. მაგალითად, წამყვანი ასახელებს ჯადოსნურ ნივთს, მოსწავლეებმა კი უნდა დაასახელონ ზღაპარი, რომელშიც ეს ჯადოსნური ნივთი გვხვდება, ზუსტად უნდა გაიხსენონ კონტექსტი, რომელშიც ეს ნივთი პირველად გამოჩნდება.

#### აქტივობა №2: „გამოიცან, რომელია!“ (ლექსის გარითმვა)

**რესურსი:** მარტივი ლექსი.

**აქტივობის აღწერა:** მასწავლებელი მოსწავლეებს უკითხავს ლექსს, რომლის სტროფის ბოლო სარითმო სიტყვა სამი დასახელებულიდან თავად მოსწავლეებმა უნდა შეარჩიონ ისე, რომ ლექსი გაირითოს. მაგალითად, ვუკითხავთ მაია წიკლაურის ლექსს „ერთი, ორი, სამი“:

ერთი, ორი, სამი,

თვლა ვისწავლეთ ყველამ,  
ბებო ნამცხვარს გვიცხობს,  
ბაბუ ზღაპარს (ამბობს, მოგვითხრობს, ყვება).  
ოთხი, ხუთი, ექვსი,  
დაბრანულა (ქადა, კექსი, ფუნთუშა),  
შვიდი, რვა, ცხრა, ათი,  
მოპარულა (ჩიტი, მელა, დათვი).  
კექსი დრუნწას შეუსანსლავს,  
ხახამშრალი დავრჩით.

**შეფასება:** შეფასდება დაკვირვებულობა, სარითმო სიტყვების ამოცნობის უნარი, სა-  
თანადო კონტექსტში სიტყვების სწორად გამოყენების უნარი.

**მეთოდური მითითება:** მასწავლებელმა უნდა გაითვალისწინოს, რომ შინაარსობრი-  
ვად და ფორმის თვალსაზრისით ლექსი ადვილად აღსაქმელი იყოს.

### ქართ. III. 4. მოსწავლე ფლობს კითხვის ტექნიკას.

**აქტივობა №1:** უცნობი ტექსტის კითხვა.

**აქტივობის შესახებ:** იმისათვის, რომ მოსწავლე გადავიდეს კითხვის უფრო მაღალ  
საფეხურზე - შეძლოს წაკითხულის გააზრება, აუცილებელია, რომ მას გამოუმუშავდეს  
კითხვის მოქნილობა, რაც ნაწერი/ნაბეჭდი სიტყვების ავტომატური დეკოდირების უნარს  
გულისხმობს. ეს აქტივობა არის ერთ-ერთი დიაგნოსტიკური საშუალება იმის გასარკვე-  
ვად, თუ რამდენად სრულყოფილად ფლობს მოსწავლე ამ უნარს.

**აქტივობის მიზანი:** ამგვარი აქტივობების მიზანი უპირველესად არის მოსწავლეთა  
გავარჯიშება კითხვაში. იგი ხელს უწყობს კითხვის ტექნიკის დაუფლებას. გარდა ამისა,  
ეს აქტივობა მასწავლებელს აძლევს საშუალებას გაიგოს, რამდენად ავტომატიზებულია  
მოსწავლეთა დეკოდირების უნარი, რამდენად აქვთ მათ განვითარებული კითხვის მოქნი-  
ლობა, რაც საშუალებას მისცემს მას, განსაზღვროს, რა სახის პრობლემები აქვთ მოსწავ-  
ლეებს კითხვაში და სათანადოდ დაგეგმოს კითხვის სწავლების შემდგომი პროცესი.

**რესურსები:** უცნობი ტექსტები.

**აქტივობის აღნერა:** გთავაზობთ ორ მეთოდს, რომელიც ხელს შეუწყობს მოსწავ-  
ლეთა გავარჯიშებას კითხვაში და ამასთანავე, დაეხმარება მასწავლებელს მოსწავლეთა  
კითხვის მოქნილობის დიაგნოსტირებაში.

1. მასწავლებელი სთავაზობს მოსწავლეებს მცირე ზომის ტექსტს, რომელიც არ  
შეიცავს მოსწავლეებისთვის უცნობ და ძნელად წასაკითხ სიტყვებს, მაგრამ ისი-  
ნი სტრიქონებში საკმაოდ მოზრდილი და განსხვავებული დაშორებებითა განლა-  
გებული, მაგალითად, ასე:

სოლომონ

მეფემ,

დავითის

ძემ,

რომელიც

დიდად

განთქმული

იყო

თავისი

სიბრძნით,

კიდევ

უფრო

გაამაგრა	იერუსალიმი.	მან	გააფართოვა
ქალაქი	ჩრდილოეთისკენ;		შექმნა
მუდმივი	ლაშქარი		ქვეყნისა
და	დედაქალაქის	დასაცავად;	შექრა
სამშვიდობო	კავშირი	მეზობელ	ქვეყნებთან.

2. ამჯერად მასწავლებელი წასაკითხად აძლევს მოსწავლეებს ტექსტს, რომელ-შიც სიტყვების უმეტესობა მათვის სრულიად უცნობი და გაუგებარია. შესაბა-მისად, ისინი ამ ტექსტის შინაარსსაც ვერ გაიგებენ. საამისოდ შესაძლებელია გამოდგეს, მაგალითად, სტრიქონები აღ. ჭავჭავაძის ერთ-ერთი ლექსიდან:

„ბალახშ ბეზეკის ბაგით სიტყვა წარმონაშობი  
მესმა რა მუნითგან, მწყლავს მე გლახ ისარი მსობი!  
აჲა ყოვლ გვარი ვნება ერთბამათ წამეკიდა.  
გსურსა შენც შენად მცე მე მიზეზი დასამხობი,  
ბედით გმობილსა, ჩემებრ სიმრთელე წარნატაცსა?  
ჯერ-არსა შენცა დამრთო რისხვა სურვილის მგმობი!“

**შეფასება:** ამ აქტივობით შეფასდება, შეუძლია თუ არა მოსწავლეს თავისუფლად და შეუფერხებლად წაიკითხოს ტექსტი,

- რომლის სიტყვების მნიშვნელობაც მისთვის გასაგებია, მაგრამ ისინი გაფანტუ-ლადაა დაწერილი/დაბეჭდილი (პირველ შემთხვევაში);
- რომლის სიტყვების მნიშვნელობა და, შესაბამისად, შინაარსიც მას არ ესმის (მე-ორე შემთხვევაში).

**მეთოდური მითითება:** თუ მოსწავლე სიტყვათა შორის ზედმეტი დაშორების გამო შეფერხებებით კითხულობს, აკეთებს პაუზებს, ეს იმას ნიშნავს, რომ მას ჯერ კიდევ სჭირ-დება მუშაობა კითხვის მოქნილობის დასახვეწად. მოქნილად კითხვისთვის ასევე მნიშვნე-ლოვანია, რომ მოსწავლეს შეეძლოს ავტომატურად და სწორად ამოიკითხოს მისთვის თუნ-დაც სრულიად უცხო და გაუგებარი სიტყვები.

**ქართ. III. 5. მოსწავლეს შეუძლია სხვადასხვა სახის საინფორმაციო ხასიათის ილუსტრირებულ ტექსტებში ინფორმაციის მოძიება და გაგება (მაგ., საინფორმაციო ტექსტისა საბავშვო ენციკლოპედიაში, მარტივი ენით დაწერილი მრავალსაფეხურია-ნი ინსტრუქციების, განცხადებისა და სხვ.).**

**ქართ. III. 10. მოსწავლეს შეუძლია კითხვის ზოგიერთი სტრატეგიის გამოყენება.**

#### აქტივობა №1: 3-2-1

**აქტივობის შესახებ:** არამხატვრული ტექსტების გამართულად კითხვა წარმატებუ-ლი, განაფული მკითხველის ერთ-ერთი ძირითადი მახასიათებელია. ეს აქტივობა საშუა-ლებას მისცემს მასწავლებელს დარწმუნდეს, გაიგო და გაიაზრა თუ არა მოსწავლემ წა-კითხული ტექსტი. გარდა ამისა, ეს აქტივობა კითხვის სტრატეგიების დაუფლებასაც

გულისხმობს და ხელს უწყობს მოსწავლეს წაკითხულის გააზრებაში.

#### **აქტივობის მიზანი:** მოსწავლეები

1. წარმოაჩენენ, გაიგეს თუ არა წაკითხული ტექსტი;
2. დაეუფლებიან კითხვის კონკრეტულ სტრატეგიას წაკითხულის გასააზრებლად.

**რესურსები:** დაფა, ცარცი/მარკერი, ფანჯარი.

#### **აქტივობის აღწერა:**

1. მასწავლებელი დაფაზე წერს, რა თემას ეხება საინფორმაციო ტექსტი (მაგ., ჩრდილოეთის დათვი) და სთხოვს მოსწავლეებს, ისაუბრონ, რა იციან მის შესახებ, რასაც იქვე ჩამონერს მოსწავლეების კარნახით (მაგ., ისინი თეთრი დათვები არიან; ისინი ცხოვრობენ თოვლისა და ყინულში).
2. კითხულობენ ტექსტს, ამუშავებენ მას ლექსიკურად და შინაარსობრივად.
3. ამის შემდეგ მასწავლებელი წერს დაფაზე სათაურს: „**3 რამ, რაც აღმოვაჩინეთ**“ და ავალებს მოსწავლეებს, ჯერ ფანჯრით გახაზონ ან მარკერით მონიშნონ ტექსტში სამი ასეთი ადგილი, ხოლო შემდეგ რვეულებში გადაინტერინ ისინი. მასწავლებელი საშუალებას აძლევს მოსწავლეებს, დაასახელონ, რომელი ადგილები ამონინერს ტექსტიდან. მასწავლებელი შეარჩევს მათგან სამს და ჩამონერს დაფაზე (მაგ., ჩრდილოეთის დათვი ცხოვრობს არქტიკაში; ჩრდილოეთის დათვები, ძირითადად, სელაპებით იკვებებიან; ჩრდილოეთის დათვმა შეიძლება ერთდროულად სამი ბელი დაბადოს).
4. ამის შემდეგ მასწავლებელი დაფაზე წერს სათაურს „**2 რამ, რითაც დავინტერესდით**“. მეორდება იგივე პროცედურა (დაფაზე იწერება, მაგ.: არქტიკაში ბინადრობს 25-დან 40 ათასამდე ჩრდილოეთის დათვი; ჩრდილოეთის დათვს შეუძლია სრულიად შეუმჩნეველად მიეპაროს და თავს დაესხას თავის მსხვერპლს).
5. დაბოლოს, მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს დაფიქრდნენ, რა კითხვა დარჩათ მოცემულ თემასთან დაკავშირებით. მასწავლებელი დაფაზე წერს სათაურს: „**1 კითხვა, რომელიც დაგვრჩია**“ (მაგ., რამდენ ხანს ცოცხლობენ ჩრდილოეთის დათვები?).

**შეფასება:** ამ აქტივობით შეფასდება,

- გაიგეს თუ არა მოსწავლეებმა წაკითხული ტექსტის შინაარსი;
- რამდენად გააზრებულად შეუძლიათ მოსწავლეებს ტექსტის წაკითხვა;
- შეუძლიათ თუ არა მოსწავლეებს შესაბამისი ადგილების პოვნა და ამონერა წაკითხული ტექსტიდან.

#### **მეთოდური მითითება:**

1. ამ აქტივობის მოდიფიცირება და გამოყენება თავისუფლად არის შესაძლებელი უფრო მაღალ კლასებშიც კითხვის სტრატეგიების დაუფლებასა და გამოყენებასთან დაკავშირებული შედეგების მისაღწევად. ეს შედეგებია: IV.10, V.12 და VI.13;
  2. მოსწავლეთა ასაკისა და უნარების გათვალისწინებით, მასწავლებელმა წინასწარ უნდა განსაზღვროს, რა სახით მოითხოვს იგი წერით დავალების შესრულებას. ამ ეტაპზე ალბათ საკმარისი იქნება, თუ მოსწავლეები ტექსტიდან პირდაპირ გადაიწერენ სამ აღმოჩენას და ორ საინტერესო ადგილს. უფრო მაღალ კლასებში კი შესაძლებელია მათ მოვთხოვოთ წაკითხულის შეჯამება და/ან პერეფრაზირება.
- კავშირი სხვა საგნებთან:** ამგვარი აქტივობები კარგ საშუალებას იძლევა ინტერდის-

ციპლინარული კავშირების დასამყარებლად. საინფორმაციო, შემეცნებითი თუ სხვა ტიპის არამხატვრული ტექსტების შერჩევა შესაძლებელია ნებისმიერი სფეროდან, მოსწავლეთა ასაკობრივი შესაძლებლობების, ინტერესებისა და მომიჯნავე საგნების პროგრამების გათვალისწინებით.

**ქართ. III. 6. მოსწავლეს შეუძლია მცირე ზომის სხვადასხვა სახისა და უანრის თხრობითი ტექსტების (ზღაპრის, ნოველის, მოთხრობის, იგავ-არაკის, წერილის, ნამდვილი ამბის...) დამოუკიდებლად წაკითხვა და გაგება-გააზრება.**

**აქტივობა №1: „სასაცილო კაცუნები“** (პერსონაჟის ემოციების, გრძნობების აღნერა).

**აქტივობის შესახებ:** ეს აქტივობა წაკითხულის გააზრებასთან ერთად, მოსწავლის შემოქმედებითი უნარების განვითარებასაც უწყობს ხელს. ამასთანავე, მოითხოვს ციფრული ტექნოლოგიების შესახებ გარკვეული ცოდნის გამოყენებასაც. ეს აქტივობა ინტერაქციების ციპლინარულია და შეიცავს სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების ელემენტებსაც.

**აქტივობის მიზანი:** მოსწავლეები

1. შეძლებენ თვალი მიადგენონ , თუ როგორ იცვლება პერსონაჟის განწყობა/ემოციები სიუჟეტის განვითარებასთან ერთად;
2. შეძლებენ სხვადასხვა განწყობის/ემოციების იდენტიფიცირებასა და გამოსახვას;
3. შეძლებენ სხვადასხვა განწყობის/ემოციების სახელდებას.

**რესურსები:** ფურცლები, დაფა, ცარცი/ბორდმარკერი, მრგვლად გამოჭრილი ქაღალდის ფურცლები, მშრალი წებო, ფლომასტერები/ფერადი ფანქრები.

**აქტივობის აღნერა:**

1. მასწავლებელი ყოფს წაკითხულ ტექსტს სამ, ოთხ ან ხუთ ნაწილად სიუჟეტის განვითარების საფეხურების ან ეპიზოდების მიხედვით და ნომრავს მათ. იმისათვის, რომ მოსწავლეებმა კარგად დაიმასტოვრონ, სად მთავრდება ერთი ნაწილი და სად იწყება მეორე, სასურველია, მასწავლებელმა კიდევ ერთხელ წააკითხოს სხვადასხვა მოსწავლეს თითოეული ნაწილი (გაგრძელებითი კითხვა).
2. თვალსაჩინოებისათვის მასწავლებელი დაფაზე ხაზავს მარტივ ცხრილს, რომელშიც მარცხენა მხარეს, ერთმანეთის ქვეშ მოსწავლეების დახმარებით ჩამონერს მოთხრობის პერსონაჟებს, ზემოთ კი ერთმანეთის გვერდით დაწერს ტექსტის ნაწილების ნუმერაციას.
3. მასწავლებელი ყოფს კლასს იმდენ ჯგუფად, რამდენი პერსონაჟიცაა ჩამონერილი, თითოეულ ჯგუფს გადასცემს რესურსების თითო კომპლექტს: მრგვლად გამოჭრილ ფურცლებს (საშუალო ზომის), ფლომასტერებს ან ფერად ფანქრებს, მშრალი წებოს და ფურცლებს, რომლებზეც გამოსახულია ცხრილი.
4. ამის შემდეგ მასწავლებელი ჯგუფებს აძლევს დავალებას, მრგვლად გამოჭრილ ფურცლებზე დახატონ ციფრულ სივრცეში გავრცელებული ემოციის გამომხატველი სიმბოლოების (ე.ნ. „ემოტიკონების“) მსგავსი ფიგურები. ისინი უნდა გამოხატავდნენ იმ განწყობას/ემოციას, რომელსაც განიცდის ეს პერსონაჟი ტექსტის თითოეულ ნაწილში და დაანებონ იგი ტექსტის ნაწილის/მონაკვეთის შესაბამისი ციფრის ქვეშ.

## თავი IV. საინიციატიურო აქტოები

- მოსწავლეები მუშაობენ ჯგუფებში. ისინი თავად ინაწილებენ ფუნქციებს. შენიშვნა: მასწავლებელმა თვალყური უნდა ადევნოს თითოეული ჯგუფის მუშაობას და, საჭიროების შემთხვევაში, ჩაერიოს კიდეც პროცესში.
- ჯგუფები წარმოადგენენ თავიანთ ნამუშევრებს, ხოლო მასწავლებელი აკრავს მათ დაფაზე და განიხილავს მთელ კლასთან ერთად. იხ. ნიმუში:

პერსონაჟი	I ნაილი	II ნაილი	III ნაილი	IV ნაილი
.....				

- ამის შემდეგ მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, თითოეულ „სასაცილო კაცუნას“ (ე.ი. განწყობის/ემოციის გამომხატველ გამომეტყველებას) შეურჩიონ შესაბამისი სიტყვა (ზედსართავი სახელი).

**შეფასება:** აქტივობის მიმდინარეობისას შეფასდება, რამდენად კარგად შეუძლიათ მოსწავლეებს:

- წაკითხული მხატვრული ტექსტის შინაარსის გაგება-გააზრება;
- პერსონაჟის ემოციებისა და განწყობის ამოცნობა ტექსტის სხვადასხვა მონაკვეთში;
- განწყობის/ემოციის შესაბამისი ზედსართავი სახელების დასახელება;
- ჯგუფში მუშაობა.

**მეთოდური მითითება:** იმ შემთხვევაში, თუ მასწავლებელი არ არის დარწმუნებული, რომ მოსწავლეები საკმარისად კარგად იცნობენ ციფრულ სივრცეში გავრცელებულ ამ სიმბოლოებს, მას შეუძლია დაბეჭდილი სახით წინასწარ აჩვენოს ან დაფაზე/კედელზე გააკრას რამდენიმე ნიმუში.



მასწავლებელი უნდა ეცადოს, რომ მაქსიმალურად შეუწყოს ხელი მოსწავლეთა შემოქმედებითი თვითგამოხატვის სურვილს, წაახალისოს მათი იუმორის გრძნობა. მასწავლებელმა საშუალება უნდა მისცეს მოსწავლეებს, გამოიგონონ და შექმნან თუნდაც სრულიად ახალი, განსხვავებული სიმბოლოები.

**კავშირი სხვა საგნებთან:** ეს აქტივობა ინტერდისციპლინარულია და კავშირშია შემდეგ საგნებთან: სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება, ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები.

**ქართ. III. 7. მოსწავლეს შეუძლია ლიტერატურული ტექსტის მიმართ საკუთარი დამოკიდებულების გამოხატვა.**

**აქტივობა №1: „3 რა“** (პერსონაჟის შესახებ ინფორმაციის ამოცანება ტექსტიდან და დასკვნების გამოტანა; პერსონაჟის აღტერნატიული საქციელის მოფიქრება).

**აქტივობის შესახებ:** ეს აქტივობა მოიცავს კითხვის ორ მნიშვნელოვან ეტაპს, ესენია: კითხვისთვის მზადება და წაკითხულის გააზრება. ამასთანავე, იგი ლექსიკური სავარჯიშოს ფუნქციასაც ასრულებს.

**აქტივობის მიზანი:** მოსწავლე

- დააკვირდება პერსონაჟთა ქმედებას, მათ სიტყვებს და განცდებს;
- გამოიტანს სათანადო დასკვნებს პერსონაჟის შესახებ;
- შეაფასებს პერსონაჟის საქციელს;
- დაახსასიათებს პერსონაჟს;
- შეძლებს პერსონაჟის აღტერნატიული საქციელის მოფიქრებას;
- შეძლებს ზედსართავი სახელების შერჩევას პერსონაჟებისთვის;
- შეძლებს ანტონიმებზე მუშაობას.

**რესურსები:** საკითხავი ტექსტი (მხატვრული), დაფა, ცარცი/ბორდმარკერი, რვეული, საწერი კალამი.

**აქტივობის აღნერა:**

- ტექსტის წაკითხვის შემდეგ მასწავლებელი მოსწავლეების დახმარებით ჩამონერს დაფაზე ნაწარმოების პერსონაჟებს.
- დაყოფს კლასს იმდენ ჯგუფად, რამდენი პერსონაჟიც არის დასახელებული. გადააწილებს ამ პერსონაჟებს ჯგუფებს შორის.
- მასწავლებელი ჩამონერს დაფაზე კითხვებს და სთხოვს მოსწავლეებს, გადაიტანონ ისინი რვეულში.

პერსონაჟი \_\_\_\_\_

რას აკეთებს? \_\_\_\_\_ როგორია? \_\_\_\_\_

რას ამბობს? \_\_\_\_\_ როგორია? \_\_\_\_\_

რას ფიქრობს? \_\_\_\_\_ როგორია? \_\_\_\_\_

**შენიშვნა:** ყოველი მეორე კითხვა - როგორია? - მოსწავლისაგან მოითხოვს დასკვნის სახით მოკლე შეფასების გაკეთებას. მასწავლებელმა უნდა გააფრთხილოს ისინი წინასწარ, რომ მხოლოდ ერთი სიტყვით შეაფასონ პერსონაჟი და ამისაცვის დაუსახელოს რამდენიმე მაგალითი: კეთილია/ბოროტია, ჭკვიანია/სულელია და ა.შ.

- როდესაც ყველა ჯგუფი დაამთავრებს მუშაობას, მასწავლებელი განიხილავს თითოეულ ნამუშევარს კლასთან ერთად. მოსწავლეები წარმოადგენენ თავიანთ პასუხებს, მსჯელობენ, მოჰყავთ არგუმენტები, თუ რატომ, რის საფუძველზე გამოიტანეს ესა თუ ის დასკვნა პერსონაჟის შესახებ. მოსწავლეები ასევე აფასებენ სხვა ჯგუფების ნამუშევრებს იმის მიხედვით, თუ რამდენად ადეკვატურია მათ მიერ გამოტანილი დასკვნები, რას ეთანხმებიან, რას - არა და რატომ.

5. დისკუსიის შემდეგ ჯგუფებს შეუძლიათ კორექტივები შეიტანონ თავიანთ პასუხებში.
6. მასწავლებელი დაფაზე ჩამოწერს თითოეული ჯგუფის მიერ გამოტანილ დასკვნებს (მაგ., ძუნნია, ალალია, ბრიყვია, განათლებულია და ა.შ.) და სთხოვს მოსწავლეებს, მოიფიქრონ და დაასახელონ საპირისპირო მნიშვნელობის სიტყვები (ანტონიმები). იგი მოსწავლეების კარნახით ჩამოწერს ამ სიტყვებს დაფაზე.
7. ამის შემდეგ მასწავლებელი კვლავ გადაუნანილებს პერსონაჟებს სხვადასხვა ჯგუფებში, ოღონდ ამჟამად ისე, რომ ყველა ჯგუფს ამჯერად სხვა პერსონაჟი შეხვდეს. ჩამოწერს დაფაზე ახალ კითხვებს და სთხოვს მოსწავლეებს, გადაიწერონ ისინი რვეულებში.

პერსონაჟი \_\_\_\_\_

რა უნდა გააკეთოს, რომ იყოს \_\_\_\_\_? \_\_\_\_\_  
(აქაც და ქვემოთაც იწერება მოცემული პერსონაჟის დამახასიათებელი საპირისპირო მნიშვნელობის სიტყვა, ანუ ანტონიმი, რომელიც დაასახელეს მოსწავლეებმა)

რა უნდა თქვას, რომ იყოს \_\_\_\_\_? \_\_\_\_\_

რა უნდა იფიქროს, რომ იყოს \_\_\_\_\_? \_\_\_\_\_

**შეფასება:** ამ აქტივობის მიმდინარეობისას, სასურველია, მასწავლებელმა გამოიყენოს განმავითარებელი შეფასება. ამ აქტივობით ფასდება, შეუძლია თუ არა მოსწავლეს;

- პერსონაჟის ქმედების აღწერა;
- პირდაპირი დასკვნების გამოტანა;
- პერსონაჟის, მისი საქციელის შეფასება;
- პერსონაჟის დამახასიათებელი სიტყვების (ზედსართავების) მოფიქრება;
- ზედსართავი სახელებისთვის შესაბამისი საპირისპირო მნიშვნელობის სიტყვების (ანტონიმების) შერჩევა;
- საკუთარი მოსაზრების დასაბუთება ტექსტზე დაყრდნობით;
- თანაკლასელთა მოსაზრების შეფასება;
- დისკუსიაში მონაბილეობა;
- ინსტრუქციის მიხედვით დავალების შესრულება;
- ჯგუფური მუშაობა.

**მეთოდური მითითება:** როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ამ აქტივობის განხორციელება ივარაუდება მაშინ, როდესაც მოსწავლეებს ნაწარმოების მხოლოდ ერთი, პირველი ნაწილი აქვთ წაკითხული. სავსებით შესაძლებელია და ლოგიკურიც, თუ მასწავლებელი ამ აქტივობას გარკვეული მოდიფიკაციებით გამოიყენებს მოცემული ნაწარმოების მომდევნო ნაწილების დასამუშავებლადაც. ამ აქტივობის გამოყენება შესაძლებელია IV, V და VI კლასებშიც.

ეს აქტივობა კომპლექსური ხასიათისაა და კითხვის გარდა, მოიცავს ზეპირმეტყველებისა (მსჯელობა, დისკუსია, არგუმენტების მოყვანა) და წერის (კითხვების გადაწერა და პასუხების ჩაწერა) ელემენტებსაც. ლიტერატურული ტექსტის გააზრებასთან ერთად კი მოსწავლეები მუშაობენ ლექსიკოლოგიის საკითხებზეც. რაც შეეხება გაკვეთილის ორგანიზებას, ეს აქტივობა ითვალისწინებს როგორც ჯგუფურ, ისე მთელ კლასთან მუშაობას.

**ქართ. III. 8. მოსწავლეს შეუძლია მარტივი ტექსტის არსებითი ენობრივ-გრამატიკული ნიშნების ამოცნობა.**

**აქტივობა №1: „ვინ? რა? როგორი?“** (წაკითხული ტექსტიდან მეტყველების ნაწილების ამოკრება და დაჯგუფება).

**აქტივობის შესახებ:** ეს აქტივობა მოსწავლეს აძლევს საშუალებას, შეისწავლოს და დაამუშავოს გრამატიკული საკითხები. იგი სასარგებლოა იმ თვალსაზრისითაც, რომ ხელს უწყობს მოსწავლეთა სხვადასხვა დონის კოგნიტური უნარების (გაგების, გააზრებისა და გამოყენების) დაუფლებას.

**აქტივობის მიზანი:** მოსწავლეები

1. ივარჯიშებენ არსებითი სახელების ამოცნობაში;
2. ივარჯიშებენ ზედსართავი სახელების ამოცნობაში;
3. გაიაზრებენ ტექსტის შინაარსს;
4. გაიხსენებენ ნაცნობ ზედსართავ სახელებს;
5. იმუშავებენ დამოუკიდებლად.

**რესურსები:** საკითხავი ტექსტი, დაფა, ცარცი/ბორდმარკერი, რვეული, საწერი კალამი.

**აქტივობის აღწერა:**

1. მასწავლებელი ავალებს მოსწავლეებს, დაასახელონ წაკითხული ტექსტიდან ყველა არსებითი სახელი, რომელსაც მოსწავლეების კარნახით ჩამოწერს დაფაზე. მოსწავლეები კი გადაიწერენ მათ რვეულებში.
2. ამის შემდეგ მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, დამოუკიდებლად დაძებნონ და არსებით სახელებს გასწვრივ მიუწერონ ის სიტყვა (ან სიტყვები), რომელიც ახასიათებს თითოეულ მათგანს (ზედსართავი სახელი).
3. ბუნებრივია, ტექსტში ყველა არსებით სახელს შესაძლებელია არ ახლდეს ზედსართავი. ამიტომ, მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, ასეთ არსებით სახელებს თავად შეურჩიონ შესაბამისი ზედსართავი სახელები ტექსტის შინაარსის გათვალისწინებით.
4. როდესაც ყველა სიტყვას დააწყვილებენ, მოსწავლეებმა უნდა მოახსენონ დამატებითი ზედსართავი სახელები არსებითი სახელების დასახასიათებლად, - ოლონდ ტექსტის შინაარსისგან დამოუკიდებლად.

**შეფასება:** ამ აქტივობით შეგვიძლია შევაფასოთ, შეუძლია თუ არა მოსწავლეს:

- არსებითი სახელების ამოცნობა;
- ზედსართავი სახელების ამოცნობა;
- ტექსტის შინაარსის გააზრების საფუძველზე ზედსართავი სახელების მისადაგება არსებითი სახელებისთვის;
- ნაცნობი სიტყვების (ზედსართავი სახელების) გახსენება;
- დამოუკიდებლად მუშაობა.

**მეთოდური მითითება:** თუ მასწავლებელი ამ ტიპის აქტივობას უფრო მაღალ კლასებშიც გამოიყენებს, მას შეუძლია გაართულოს იგი და მოსთხოვოს მოსწავლეებს, მაგალითად, დააჯგუფონ არსებითი და ზედსართავი სახელები შინაარსისა და ფორმის მიხედვით. ამგვარი აქტივობის გამოყენება შეიძლება სხვა მეტყველების ნაწილების დასამუშავებლადაც.

**ქარ. III. 9. მოსწავლეს შეუძლია ვიზუალურად აღიქვას და/ან თავად შექმნას სხვა-დასხვა ტიპის ტექსტი, ვიდეო და აუდიომასალა.**

#### აქტივობა №1: დიორამის შექმნა.

აქტივობის შესახებ: დიორამა არის ისტორიული მოვლენის (მაგ., ბატალიური სცენების), ინტერიერის, პეიზაჟის, ქალაქის ხედის სამგანზომილებიანი მინიატურული მოდელი, რომელსაც ქმნიან გასართობი, შემცნებითი ან სასწავლო მიზნებისათვის. მათ ყველაზე ხშირად ვხვდებით მუზეუმებში.

დიორამის ნიმუშები:



გარდა იმისა, რომ ამ ტიპის აქტივობა ძალიან მოსწონთ ბავშვებს, კითხვის სწავლებისა იგი დიდად უწყობს ხელს ტექსტის შინაარსის საფუძვლიანად გაგებას, ააქტივურებს მოსწავლის წარმოსახვასა და შემოქმედებით უნარებს.

#### აქტივობის მიზანი: მოსწავლეები

1. საფუძვლიანად გაიგებენ წაკითხული ტექსტის შინაარსს;
2. ისწავლიან დეტალებზე დაკვირვებას;
3. გამოავლენენ წარმოსახვისა და შემოქმედებით უნარებს;
4. ივარჯიშებენ ხელნაკეთი ნივთების შექმნაში;
5. იმუშავებენ ჯგუფებში.

**რესურსები:** დიორამის შესაქმნელად საჭირო სხვადასხვა მასალა. ასეთ მასალად გამოდგება, მაგალითად, ფეხსაცმლის კოლოფი ან მცირე ზომის ყუთი, წებო, პლასტილინი, ფერადი ფურცლები, მუყაოს ნაჭრები, ქსოვილები, ფერადი ფანქრები / ფლომასტერები, თოჯინები, გირჩები, გამხმარი ფოთლები, ტოტები, ასანთის ლერები, სათამაშო ჭურჭელი და ა.შ.

#### აქტივობის აღნერა: აქტივობა უნდა დაიგეგმოს ერთი ან ორი დღით ადრე.

1. ტექსტის წაკითხვისა და დამუშავების შემდეგ მასწავლებელი უხსნის მოსწავლეებს, რა არის მათი ამოცანა და სთხოვს, შეარჩიონ სცენები ნაწარმოებიდან, რომელთა დიორამის შექმნასაც ისინი ისურვებდნენ. შენიშვნა: დასაშვებია, რომ მოსწავლეებმა დიორამის შესაქმნელად შეარჩიონ, მაგალითად, ინტერიერი (რომელიმე პერსონაჟის ოთახი), პეიზაჟი, ქალაქის/სოფლის ხედი. მეტად სასურველია, რომ თითოეული სცენა ნათლად ასახავდეს ტექსტის შინაარსის გავების ხარისხს. არ არის მიზანშეწონილი მასობრივი ან ბატალიური სცენების შერჩევა, რადგანაც მათი შექმნა შეიძლება დაუძლეველი ამოცანა აღმოჩნდეს მოსწავლეებისთვის.
2. რამდენიმე სცენის შერჩევის შემდეგ მასწავლებელი ყოფს კლასს ჯგუფებად და

ავალებს, ერთად მოიფიქრონ და შეარჩიონ მასალა ამ სცენის ამსახველი დიორამის შესაქმნელად. შენიშვნა: მასალა აუცილებლად უნდა იყოს მარტივი და ადვილად ხელმისაწვდომი.

3. შეთანხმებულ დღეს მოსწავლეებს მოაქვთ საჭირო მასალა სკოლაში და იწყებენ მუშაობას. მასწავლებლი ზედამხედველობას უწევს ამ პროცესს და, საჭიროების შემთხვევაში, ეხმარება მათ ზოგიერთი ოპერაციის შესრულებაში.
4. მუშაობის დასრულების შემდეგ კლასში განიხილავენ თითოეულ ნამუშევარს. მოსწავლები გამოთქვამენ აზრს თავიანთი თანაკლასელების მიერ შექმნილი დიორამების შესახებ, აფასებენ, რა არის ზედმეტი, რა აკლია (მაგ., ნაწარმოებში წერია, რომ ბაბუა ბუხარს მიუჯდა, დიორამაზე კი ბუხარი არ არის...) და ა.შ.
5. კარგი იქნება, თუ მოსწავლეთა ნამუშევრები კლასის ან სკოლის მუზეუმში გამოიფინება.

**შეფასება:** ამ აქტივობით შეფასდება,

- გაიგო თუ არა მოსწავლემ წაკითხული ტექსტის შინაარსი;
- შეუძლია თუ არა მოსწავლეს კითხვისას ყურადღების გამახვილება დეტალებზე;
- შეუძლია თუ არა მოსწავლეს ნარმონებში აღწერილი ადგილების, სცენების, პერსონაჟების წარმოსახვაში გაცოცხლება;
- შეუძლია თუ არა მოსწავლეს საკუთარი წარმოსახვის მიხედვით ნამუშევრის შექმნა;
- შეუძლია თუ არა მოსწავლეს სხვისი ნამუშევრის შეფასება.

**მეთოდური მითითება:** სასურველია, მასწავლებელი ჩაერიოს მასალის შერჩევის პროცესში, რათა მოსწავლეებმა სახლიდან არ წამოიღონ და არ გამოიყენონ ოჯახისთვის საჭირო ან ძვირფასი ნივთები.

**კავშირი სხვა საგნებთან:** სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება.

**ქართ. III. 11. მოსწავლეს შეუძლია სხვადასხვა სახის მარტივი მიზნობრივი ტექსტების დაწერა და შესაბამისად გაფორმება.**

**აქტივობა №1: ა, ბ, გ.**

**აქტივობის შესახებ:** აქტივობა დაეხმარება მოსწავლეებს ინსტრუქციის ტიპის ტექსტების არსებითი ნიშნის (მოვლენის/ქმედების/ამბის ნარმოდგენა თანამიმდევრული ნაბიჯების/ეტაპების სახით) გააზრებაში. შედეგად, მოსწავლეები თავადაც შეძლებენ ინსტრუქციის ტიპის ტექსტების შედგენას თანამიმდევრული ნაბიჯების/ეტაპების წარმოდგენის გზით.

**აქტივობის მიზნები:**

- ტექსტის ანალიზის უნარის განვითარება;
- ინფორმაციის დამუშავების უნარის განვითარება;
- კონკრეტული ამოცანის/დავალების გადაჭრისათვის აუცილებელი ნაბიჯების თანამიმდევრობის (ალგორითმის) დადგენის უნარის განვითარება;
- სასწავლო უნარების (დროის მართვის, დაგეგმვის) განვითარება;
- ლოგიკური აზროვნების უნარის განვითარება;
- ანალიტიკური აზროვნების უნარის განვითარება;

- წიგნიერების ძირითადი უნარ-ჩვევების განვითარება.

**აქტივობის ორგანიზების ფორმა:** მთელი კლასის მონაწილეობით (პირველი ნაწილი), ინდივიდუალური (მეორე ნაწილი).

**რესურსები:** დაფა, ცარცი/მარკერი, რვეული, კალამი.

**აქტივობის აღწერა:**

მასწავლებელი მოსწავლეებს სთხოვს, დაწერონ ერთი წინადადება დამუშავებული ტექსტის ან კლასში წარმოებული მსჯელობის საფუძველზე. მაგ., „რას გვიყვება ეს მოთხოვბა?”, „რა ინფორმაცია მიიღეს ტექსტის წაკითხვის შემდეგ?”, „რა გაიგეს ახალი მსჯელობის დროს?”, „რაზე შეთანხმდნენ მსჯელობისას?“ და ა.შ.

წინადადების დაწერის შემდეგ მოსწავლეები ხმამაღლა წაიკითხავენ თავიანთ წინადადებებს. მასწავლებელი დაფაზე ჩამოწერს ერთმანეთისგან აზრობრივად განსხვავებულ წინადადებებს (არაუმეტეს ოთხი-ხუთისა), შემდეგ კი სთხოვს მოსწავლეებს: დააღავნ წინადადებები ლოგიკური თანამიმდევრობის მიხედვით და ანბანის ასოების მეშვეობით დანომრონ ისინი (რომელი წინადადება უნდა იყოს პირველი (ა), რომელი - მეორე (ბ), რომელი - მესამე (გ) და რატომ...). ანბანის ასოებით წინადადების დანომვრა თავდაპირველად ხდება ჯერ ზეპირი გზით, შემდეგ მოსწავლეები დაფიდან გადაიწერენ თანაკლასელების მიერ შედგენილ შემაჯამებელ წინადადებებს ლოგიკური თანამიმდევრობის დაცვით და თავად დანომრავენ თითოეულ მათგანს (ა., ბ., გ., და ა.შ.). აქტივობის დასრულებისას, სასურველია, რომ მოსწავლეებმა შესრულებული სამუშაოს ერთი ან ორი სრული ვერსია წაიკითხონ.

**მაგალითი:** მოსწავლეები მსჯელობენ საკლასო წესების შესახებ. საკითხის ზეპირი გზით დამუშავების შემდეგ, თითოეული მათგანი შეარჩევს და რვეულში ჩაიწერს რომელიმე ერთ წესს მსჯელობისას განხილული წესებიდან. ამის შემდეგ მოსწავლეები ხმამაღლა კითხულობენ თავიანთ ჩანაწერებს. ჩანაწერების საფუძველზე, მასწავლებელი დაფაზე დაწერს რამდენიმე აზრობრივად განსხვავებულ წინადადებას:

„კლასში შემოსვლისას ყველას უნდა მივესალმოთ.

სკოლიდან წასვლამდე მასწავლებელს უნდა დავემშვიდობოთ.

წყალი დასვენებაზე უნდა დავლიოთ.

თუ იატაკზე ფურცელი აგდია, უნდა ავიღო და ნაგვის ყუთში უნდა ჩავაგდო.

გაკვეთილის დროს არ უნდა ვიხმაუროთ“.

წინადადებების ლოგიკურ თანამიმდევრობას მოსწავლეები (მასწავლებლის დახმარებით) ჯერ დაადგენენ ზეპირი გზით, შემდეგ გადაიწერენ წინადადებებს რვეულებში (თანამიმდევრობის დაცვით) და შესაბამისი ასოებით დანომრავენ მათ.

### ნიმუში:

- კლასში შესვლისას ყველას უნდა მივესალმოთ.
- გაკვეთილის დროს არ უდა ვიხმაუროთ.
- წყალი დასვენებაზე უნდა დავლიოთ.
- თუ იატაკზე ფურცელი აგდია, უნდა ავიღო და ნაგვის ყუთში ჩავაგდოთ.
- სკოლიდან წასვლამდე მასწავლებელს უნდა დავემშვიდობოთ.

**აქტივობის ხანგრძლივობა:** 16-18 წუთი.

**შეფასება:** ამგვარი აქტივობით ფასდება, შეუძლია თუ არა მოსწავლეს:

- ინფორმაციის შეჯამება;

- ინფორმაციის ორგანიზება თანამიმდევრობის დაცვით;
- მარტივი თხრობითი წინადადების გამართულად ჩამოყალიბება;
- ადეკვატური კავშირების გამოყენება;
- მსჯელობის დროს ადეკვატურად რეაგირება და აზრის ნათლად გამოხატვა.

#### **მეთოდური მითითება:**

მასწავლებელმა დაფაზე უნდა ჩამონეროს მხოლოდ ის წინადადებები, რომლებშიც აზრი ნათლად იქნება ჩამოყალიბებული, თუმცა ყურადღებისა და მარტივი სიტყვიერი კომენტარის გარეშე არც სხვა მოსწავლეთა წინადადებები უნდა დარჩეს.

დაფაზე წინადადებების ჩამონერამდე მასწავლებელმა უნდა განუმარტოს მოსწავლებს, რომ ჩამონერს მხოლოდ აზრობრივად განსხვავებულ წინადადებებს (სავარაუდოდ, მოსწავლეების მიერ შედგენილ წინადადებებში აზრი მრავალჯერ გამოირდება).

კავშირი სხვა საგნებთან: აქტივობა „ა, ბ, გ“ ლოგიკური აზროვნების უნარ-ჩვევებს ავითარებს, რაც დაეხმარება მოსწავლეებს არა მხოლოდ მშობლიური ენისა და ლიტერატურის არამედ ნებისმიერი სხვა საგნის (მაგ., საბუნებისმეტყველო და ზუსტი მეცნიერებების) შესწავლის დროსაც. საინფორმაციო ტექსტების დამუშავების შესახებ იხ. აგრეთვე დანართი 2 ("არამხატვრული ტექსტების 4 ტიპი და მათი გრაფიკული მაორგანიზებლები").

#### **აქტივობა №2: საჭირო სიტყვების ნუსხა.**

**აქტივობის შესახებ:** აქტივობა „საჭირო სიტყვების ნუსხა“ ძალზე უწყობს ხელს მოსწავლეთა ლექსიკური მარაგის გამდიდრებას - იგი ერთგვარ ლექსიკურ ბაზას (სინონიმების, ანტონიმების, ადეკვატური ზმნების, ზედსართავი სახელებისა და სხვ.) უქმნის მოსწავლეებს წერითი დავალების შესასრულებლად. ამდენად, სასურველია, რომ მის გამოყენებას სისტემატური სახე ჰქონდეს. აქტივობა ტარდება წერის წინა ეტაპზე.

#### **აქტივობის მიზნები:**

- მოსწავლეთა ლექსიკური მარაგის გამდიდრება;
- დასახული მიზნის ადეკვატური ინფორმაციის შერჩევისა და ორგანიზების უნარ-ჩვევების განვითარება;
- სასიცოცხლო (თანამშრომლობის) უნარ-ჩვევების განვითარება.

#### **აქტივობის ორგანიზების ფორმა: წყვილური.**

**რესურსები:** კალამი, რვეული.

#### **აქტივობის აღწერა:**

მასწავლებელი კლასს დაყოფს წყვილებად. წყვილებად დაყოფილი მოსწავლეები, დავალების შინაარსიდან გამომდინარე, ადგენენ დავალების შესასრულებლად საჭირო სიტყვათა ნუსხას (ჩამონერენ სიის სახით, გაუკეთებენ ნუმერაციას). ამ ნუსხის ძირითად ნაწილს მოსწავლეები დავალების დაწერისას გამოიყენებენ (მასწავლებელმა არ უნდა მოსთხოვოს მოსწავლეებს ნუსხაში წარმოდგენილი ყველა სიტყვის გამოყენება).

**ნიმუში:** მასწავლებელი მოსწავლეებს აჩვენებს პეიზაჟის რეპროდუქციას. მოსწავლეებმა უნდა აღწერონ ნახატი და შეადგინონ საჭირო სიტყვების ნუსხა თავიანთი ემოციების და შთაბეჭდილებების წერილობით გადმოსაცემად.

**საჭირო სიტყვების ნუსხა:**

1. ლამაზი
2. მშვენიერი
3. მომხიბვლელი
4. ფერადი
5. მოყვითალო
6. ოქროსფერი
7. სახალისო
8. მხიარული
9. უსაყვარლესი
10. სასაცილო  
და სხვ.

აქტივობის ხანგრძლივობა: 10-12 წუთი.

**შეფასება:** აქტივობით ფასდება, შეუძლია თუ არა მოსწავლეს

- დასახული მიზნის ადეკვატური ინფორმაციის შერჩევა და ორგანიზება;
- სახელებისა და მოქმედების აღმნიშვნელი სიტყვების ადეკვატურად შერჩევა;
- სინონიმებისა და ანტონიმების გამოყენება;
- თანამშრომლობა.

**აქტივობა №3: კალენდარი.**

**აქტივობის შესახებ:** აქტივობა კომპლექსური ხასიათისაა და ემსახურება როგორც წერის, ასევე ზეპირმეტყველებისა და კითხვის უნარების გამომუშავებას. აქტივობა რამდენიმე ეტაპისაგან შედგება. დასასრულს, მოსწავლეები შექმნიან ხელნაკეთ კალენდარს.

**აქტივობის მიზნები:**

- ტექსტის კომპოზიციური მახასიათებლების დადგენის უნარ-ჩვევების განვითარება;
- ინფორმაციის ორგანიზების უნარ-ჩვევების განვითარება;
- ვიზუალური წიგნიერების უნარ-ჩვევების განვითარება;
- აზრის გამოთქმის/მსჯელობის უნარის განვითარება;
- სასიცოცხლო უნარ-ჩვევების (თანამშრომლობის უნარის) განვითარება;
- შემოქმედებითი უნარ-ჩვევების განვითარება.

**აქტივობის ორგანიზების ფორმა:** ჯგუფური.

**რესურსები:** კალამი, ფურცელი, კალენდრის მოდელი, ფერადი ფანქრები/ფლომასტერები, წებო, ტექსტი.

**აქტივობის აღნერა:**

თემის "წელიწადის დროები/წელიწადის თვეები" დამუშავების შემდეგ, მასწავლებელი მოსწავლეებს სამკაციან ჯგუფებად დაყოფს და დაუნაწილებს მათ წელიწადის დროებს (მოდელის საჩვენებლად დაფაზე შეიძლება სათანადოდ გაფორმებული კალენდრის გაკვრა). ერთი ჯგუფი "გაზაფხული" იქნება, მეორე - "ზაფხული", მესამე - "შემოდგომა", მეოთხე - "ზამთარი".

მოსწავლეები ჯგუფებში იმსჯელებენ, რა ახასიათებს თითოეულ სეზონს, შეადგენენ

საჭირო სიტყვების/ფრაზების ნუსხას. ჯგუფის თითოეული წევრი ფურცლის ნახევარზე დახატავს წელიწადის მოცემული დროის პერიოდს (შესაძლებელია, მასნავლებელმა ჩარჩოს დახატვით მოუნიშნოს მოსწავლეებს ეს ნახევარი). შემდეგ თითოეული მოსწავლე ნახატს დააწერს შესაბამისი თვის სახელს, ფურცლების ზედა ველს კი ერთმანეთს გადააწერს. ბოლოს, ერთი-ორი წინადადებით, ფურცლის ცარიელ ადგილას უნდა დასახასიათოს წელიწადის დრო/ თვე.

აქტივობის დასასრულს, მასნავლებლის დახმარებით, ჯგუფები გადააწებებენ ერთმანეთს ქაღალდებს, რომლებზეც წელიწადის ოთხივე დროა წარმოდგენილი და ხელნაკეთ კალენდარს საკლასო ოთახში ჩამოკიდებენ.

**აქტივობის ხანგრძლივობა:** 20-25 ნუთი.

**შეფასება:** აქტივობით ფასდება, შეუძლია თუ არა მოსწავლეს:

- მოდელის კომპოზიციური თავისებურებების აღქმა;
- შეთავაზებული მოდელის მიხედვით ორგინალური ნამუშევრის შედგენა/ გაფორმება;
- ინფორმაციის მოგროვება და ორგანიზება;
- მარტივი აღნერითი ტექსტის შეთხვა;
- თანამშრომლობა.

**მეთოდური შენიშვნა:** აქტივობას შეიძლება დაეთმოს რამდენიმე გაკვეთილი.

**ქართ. III. 12. მოსწავლეს შეუძლია მცირე ზომის ტექსტის დამოუკიდებლად შექმნა და აზრის გასაგებად ჩამოყალიბება.**

**აქტივობა №1: დაასათაურე ეპიზოდი და გადმოეცი მისი მოკლე შინაარსი!**

**აქტივობის შესახებ:** აქტივობა ძალზე გამოსადეგია შედარებით გრძელ, რამდენიმე თავად დაყოფილ ტექსტებზე მუშაობის დროს. აქტივობის დასკვნითი ნაწილი ხელს უწყობს ზეპირმეტყველების უნარ-ჩვევების განვითარებას.

**აქტივობის მიზნები:**

- ტექსტის ანალიზის უნარ-ჩვევების განვითარება;
- ძირითადი ინფორმაციის დადგენისა და მისი წერილობით გადმოცემის უნარ-ჩვევების განვითარება;
- მოსწავლეთა ლექსიკური მარაგის შევსება;
- არგუმენტირების უნარ-ჩვევების გამომუშავება.

**აქტივობის ორგანიზების ფორმა:** ინდივიდუალური.

**რესურსები:** კალამი, რვეული, ტექსტი, დაფა, ცარცი/ბორდმარკერი.

**აქტივობის აღწერა:**

მასნავლებელი მოსწავლეებს უკითხავს ტექსტს. ერთი ეპიზოდის წაკითხვის შემდეგ მასნავლებელი შეჩერდება, რამდენიმე შეკითხვას დაუსვამს კლასს, რათა დარწმუნდეს, რომ მოსწავლეებმა კარგად აღიქვეს წაკითხული ეპიზოდის შინაარსი. ამის შემდეგ სთხოვს მათ, დაწერონ წაკითხული ეპიზოდის მოკლე შინაარსი (2-3 წინადადებით) თავიანთ რვეულებში და დაასათაურონ ეპიზოდი. სასურველია, მოსწავლეებმა ამ დავალების შესრულებისას შეძლებისდაგვარად სრულად გამოიყენონ ავტორისეული ლექსიკა.

წერითი სამუშაოს დასრულების შემდეგ მოსწავლეები წაიკითხავენ შეთხზულ სათაურებს, რასაც მოჰყვება მათი განხილვა ("რატომ დაასათაურე ასე მოთხოვობის/ ზღაპრის

ეს ნაწილი"). შესაძლებელია, გამოიყოს საუკეთესო/ორიგინალური სათაურები და ისინი დაფაზე ჩამოიწეროს.

**აქტივობის ხანგრძლივობა:** 15-17 წუთი.

**შეფასება:** აქტივობით ფასდება, შეუძლია თუ არა მოსწავლეს:

- კონკრეტული ფაქტის/ მოვლენის აღწერა;
- ეპიზოდის დასათაურება;
- წაკითხულის შინაარსის თანმიმდევრულად გადმოცემა;
- ავტორისეული ლექსიკური ელემენტების გამოყენება;
- მსჯელობა და საკუთარი აზრის დასაბუთება.

**მეთოდური მითითება:** აქტივობა რამდენიმე ეტაპად შეიძლება დაიყოს (მოთხოვობის/ზღაპრის ეპიზოდების მიხედვით) და მოიცვას ერთი, ორი ან სამი გაკვეთილის ნაწილი.

**აქტივობა №2: საოცარი ფაქტების დავთარი.**

**აქტივობის შესახებ:** აქტივობა ემსახურება სხვადასხვა წყაროდან ინფორმაციის მოძიების, ორგანიზებისა და პრეზენტაციის უნარ-ჩვევების გამომუშავებას. აქტივობის ძირითად ნაწილს (ინფორმაციის მოძიება და ორგანიზება) მოსწავლეები ახორციელებენ დამოუკიდებლად (მუშაობენ სახლებში). ნამუშევრების პრეზენტაციისათვის მასწავლებელმა შეიძლება გამოყოს კვირის რომელიმე დღის გაკვეთილის ბოლო 15 წუთი.

**აქტივობის მიზნები:**

- მულტიმედიურ ტექსტებზე მუშაობის უნარ-ჩვევების განვითარება;
- ინფორმაციის მოძიებისა და ორგანიზების უნარ-ჩვევების განვითარება;
- საპრეზენტაციო უნარ-ჩვევების განვითარება.

**აქტივობის ორგანიზების ფორმა:** ინდივიდუალური.

**რესურსები:** კალამი, ბლოკნოტი, საბავშვო წიგნები, ტელეგადაცემები, ინტერნეტი, ენციკლოპედია.

**აქტივობის აღწერა:**

მასწავლებელი სთხოვს მოსწავლებს, კვირის განმავლობაში დამოუკიდებლად მოიძიონ საოცარი ფაქტი: საბავშვო წიგნებიდან, ტელეგადაცემებიდან, ინტერნეტიდან, ენციკლოპედიიდან თუ სხვ. საოცარი ფაქტი ყველასა და ყველაფერს შეიძლება ეხებოდეს: ცხოველთა სამყაროს, ვარსკვლავებს, ისტორიას, გეოგრაფიას, ცალკეულ პიროვნებებს და სხვ. მოსწავლეებმა საგანგებოდ გამოყოფილ პატარა ბლოკნოტში უნდა აღწერონ ეს საოცარი ფაქტი რამდენიმე წინადადებით, დაურთონ მას მარტივი ილუსტრაცია და დასათაურონ იგი.

კვირის ერთ დათქმულ დღეს მოსწავლეებმა კლასში უნდა მოიტანონ "საოცარი ფაქტების დავთარი" (ბლოკნოტი), წაუკითხონ თანაკლასელებს მათ მიერ მოძიებული საოცარი ფაქტები და გააგებინონ მეგობრებს სამყაროს საოცრებების შესახებ.

**აქტივობის ხანგრძლივობა:** 15 წუთი.

**შეფასება:** აქტივობით ფასდება, შეუძლია თუ არა მოსწავლეს:

- ინფორმაციის დამოუკიდებლად მოძიება და ორგანიზება;
- კონკრეტული ფაქტის/ მოვლენის აღწერა/დასათაურება;
- შინაარსის თანამიმდევრულად გადმოცემა ავტორისეული ლექსიკური ელემენტებისა და ახალი სიტყვების გამოყენებით;
- სხვადასხვა წყაროდან მიღებული ინფორმაციის წერილობით გადმოცემა.

### მეთოდური მითითებები:

- მრავალრიცხოვანი კლასის შემთხვევაში, მასწავლებელმა შეიძლება ერთგვარი მორიგეობა დააწესოს საპრეზენტაციოდ.
- სასურველია, რომ აქტივობას ერთგვარი ტრადიციის სახე მიეცეს და ჩატარდეს არაერთხელ მთელი სასწავლო წლის განმავლობაში.

### აქტივობა №3: კარგი ამბავი - ცუდი ამბავი.

**აქტივობის შესახებ:** აქტივობა ემსახურება წერითი მეტყველების უნარ-ჩვევების განვითარებას. აქტივობის ძირითად ნაწილს (აღნერითი ტექსტის შედგენა) მოსწავლეები ახორციელებენ დამოუკიდებლად (მუშაობენ სახლებში). სასურველია, აქტივობის ამ ნაწილზე მუშაობას შაბათ-კვირა დაეთმოს.

### აქტივობის მიზნები:

- წერითი მეტყველების განვითარება;
- ამბის/მოვლენის/ფაქტის წერილობითი სახით გადმოცემის უნარის განვითარება;
- ტექსტის ანალიზის უნარის განვითარება;
- მოსმენილი ინფორმაციის აღქმისა და წერილობით გადმოცემის უნარ-ჩვევების განვითარება;
- თვითგამოხატვის უნარ-ჩვევების განვითარება;
- საპრეზენტაციო უნარების განვითარება.

### აქტივობის ორგანიზების ფორმა: ინდივიდუალური.

**რესურსები:** საწერი კალამი, რვეული, ტელეგადაცემები, ინტერნეტი, კლასგარეშე საკითხავი მასალა.

### აქტივობის აღწერა:

მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს (ეს უნდა მოხდეს პარასკევ დღეს), რომ ორშაბათს წარსადგენად მოამზადონ (რვეულში ჩაიწერონ) შაბათ-კვირას მომზადარი ორი ამბავი: ერთი - კარგი, მეორე - ცუდი (მათ შორის, პირადი გამოცდილებიდან).

ორშაბათს საკლასო აქტივობის ჩატარებას ცუდი ამბების კითხვით დაიწყებენ და დაასრულებენ კარგი ამბების კითხვით. ცხადია, როგორც ცუდ, ასევე კარგ ამბებს მასწავლებლის ადეკვატური, ინტერესის გამომხატველი კომენტარი უნდა სდევდეს თან.

აქტივობა გაგრძელდება საკლასო წერით. მოსწავლეებს დაევალებათ, დაწერონ მცირე ზომის კომენტარი (მაგ., „რომელი კარგი ამბავი მომენტისა ყველაზე მეტად და რატომ“, „რომელმა ცუდმა ამბავმა დამაინტერესა ყველაზე მეტად და რატომ“). დასასრულს, მოსწავლეები კლასის წინაშე წაიკითხავენ თავიანთ კომენტარებს.

### აქტივობის ხანგრძლივობა: 17-18 წუთი.

### შეფასება: აქტივობით ფასდება, შეუძლია თუ არა მოსწავლეს:

- კონკრეტული ფაქტის/ მოვლენის აღწერა, (მათ შორის, პირადი გამოცდილებიდან);
- შინაარსის თანმიმდევრულად გადმოცემა;
- სხვადასხვა წყაროდან მიღებული ცოდნისა და ინფორმაციის თავმოყრა;
- ფაქტით/მოვლენით მიღებული შთაბეჭდილებების კატეგორიზაცია და წერილობით გადმოცემა;
- მასალის პრეზენტაცია;

- სხვისი ნამუშევრის შეფასება.

**მეთოდური მითითება:** შესაძლებელია, რომ აქტივობას ერთგვარი ტრადიციის სახე მიეცეს და არაერთხელ ჩატარდეს მთელი სასწავლო წლის განმავლობაში.

#### აქტივობა №4: ზღაპრის, მოთხოვნის „ჩარჩო“.

**აქტივობის შესახებ:** აქტივობა სთავაზობს მოსწავლეებს, შექმნან საკუთარი ტექსტები გარკვეული საყრდენების დახმარებით, უანრობრივი სპეციფიკის გათვალისწინებით. აქტივობა ემსახურება მოსწავლეთა შემოქმედებითი უნარ-ჩვევების გამომუშავებას, სტიმულს აძლევს მათი თვითგამოხატვის პროცესს.

#### აქტივობის მიზნები:

- წერითი მეტყველების განვითარება;
- შემოქმედებითი უნარ-ჩვევების განვითარება;
- თვითგამოხატვის ხელშეწყობა.

#### აქტივობის ორგანიზების ფორმა: ინდივიდუალური.

**რესურსები:** საწერი კალამი, რვეული, დაფა, ცარცი/მარკერი.

#### აქტივობის აღწერა:

მასწავლებელი დაფაზე გამოსახავს „ამბის ჩარჩოს“. შემდეგ სთხოვს მოსწავლეებს, გადახაზონ იგი რვეულებში და შეავსონ სათანადო ინფორმაციით. ჩარჩოში მოცემული საყრდენები, კონკრეტულად, გარკვეული უანრის მცირე ზომის ტექსტის (ზღაპრის, მოთხოვნის, სხვ.) შექმნას ისახავს მიზნად.

„ჩარჩოს“ შევსების შემდეგ მასწავლებელი დავალებს მოსწავლეებს, დაწერონ ზღაპარი/მოთხოვნი „ჩარჩოს“ მიხედვით. სურვილისამებრ, მათ შეუძლიათ იღუსტრაციებით გააფორმონ თავიანთი ნამუშევრები.

#### ნიმუში №1. მოთხოვნის „ჩარჩო“

სათაური:	„უირაფი და საფრთხე“
ავტორი:	III კლასის მოსწავლე...

დასახელი	მოქმედი პირები	რა მოხდა?	დასასრული
ერთ ქალაქში დიდი ზოოპარკი იყო...	<ul style="list-style-type: none"> <li>უირაფი</li> <li>ცხოველების მომვლელი</li> <li>სპილო</li> </ul>	<p>1 ..... 2 ..... 3 ..... 4 ..... 5 .....</p>	<p>ამის შემდეგ უირაფი დაჭვიანდა.</p>

**ნიმუში №2. ზღაპრის ჩარჩო**

<b>სათაური:</b>	კოშკი ჩაკეტილი კეთილი დინოზავრი
<b>ავტორი:</b>	III კლასის მოსწავლე...

დასაცილებელი	მოქმედი პირები	რა მოხდა?	დასასრული
იყო და არა იყო რა...	<ul style="list-style-type: none"> <li>● ბოროტი</li> <li>      კაციჭამია</li> <li>● კეთილი</li> <li>      დინოზავრი</li> <li>● ბიჭი და მისი და, პეპი</li> </ul>	<p>1 ..... 2 ..... 3 ..... 4 ..... 5 .....</p>	<p>ამის შემდეგ პეპი, ბიჭი და დინოზავრი ბედნიერად ცხოვრობდნენ. ჭირი - იქა, ლხინი - აქა, ქატო - იქა, ფქვილი - აქა.</p>

აქტივობის ხანგრძლივობა: 14-15 წუთი.

**შეფასება:** აქტივობით ფასდება, შეუძლია თუ არა მოსწავლეს:

- მოდელის კომპოზიციური თავისებურებების აღქმა და ორიგინალური ტექსტის  
შედგენა მათი გათვალისწინებით;
- სხვადასხვა ჟანრის მცირე ზომის ტექსტის სქემების გამოყენება;
- მოდელის შესაბამისი ჟანრის ტექსტის შედგენა და გაფორმება;
- ადეკვატური ლექსიკის გამოყენება;
- ინფორმაციის ორგანიზებულად გადმოცემა.

### აქტივობა №5: დავხატოთ - აღვწეროთ - დავწეროთ.

**აქტივობის შესახებ:** აქტივობა კომპლექსური სახისაა და ემსახურება როგორც წერი-  
თი მეტყველების, ისე ზეპირმეტყველებისა და კითხვის უნარების გამომუშავებას. იგი აერთიანებს სამ ეტაპს (დახატვა, აღწერა, დაწერა) და ემსახურება ვიზუალური წიგნიერების  
უნარ-ჩვევების გამომუშავებას.

**აქტივობის მიზნები:**

- ვიზუალური წიგნიერების ძირითადი უნარ-ჩვევების განვითარება;
- ტექსტის ანალიზის უნარ-ჩვევების განვითარება; დეტალებზე კონცენტრირების  
უნარის გამომუშავება;
- შემოქმედებითი უნარ-ჩვევების განვითარება.

**რესურსები:** ტექსტი, კალამი, რვეული, დიდი ზომის სახატავი ფურცლები, ფერადი  
ფანქრები/ფლომასტერები, ილუსტრაციები.

**აქტივობის აღწერა:**

**დახატვა** - მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, რომ დახატონ რომელიმე ეპიზოდი,  
სცენა ამა თუ იმ ტექსტიდან. მაგ., ყინულის დედოფალი თავის სასახლეში; ნაცარქექიასა და  
დევის ვახშამი; როგორ უპირებენ მსახურები ნახევარნინილას ცეცხლში ჩაგდებას და სხვ.

ხატვას წინ უძლვის ტექსტის შესაბამისი ეპიზოდის წაკითხვა, ეპიზოდზე დეტალური  
მსჯელობა, შემდეგ კი დამუშავებული სცენის დეტალურად დახატვა.

დახატულ სცენას მოსწავლეები წარმოადგენენ კლასის წინაშე, აღწერენ ერთმანეთის

ნახატებს. მასწავლებლის დახმარებით, აქცენტს აკეთებენ განსხვავებულ დეტალებზე (მაგ.: ”აქ ორი მსახური დგას, იქ - ოთხი”, ”აქ სუფრაზე ბევრი საჭმელია, იქ არაფერი არ დევს”, ”აქ ყინულის დედოფალს თეთრი ფერის ტანსაცმელი აცვია, თავზე გვირგვინი ადგას, იმ ნახატში - ნითელი ფერის ტანსაცმელი აცვია და გვირგვინის ნაცვლად, ქუდი ახურავს” და მისთ.).

შესაძლოა, აქტივობის ეს ნაწილი ჩატარდეს პატარა ჯგუფებში. ამ შემთხვევაში ჯგუფები იმუშავებენ მასწავლებლის მიერ მიცემული ინსტრუქციის მიხედვით (“იპოვეთ განსხვავებები ნახატებში”). შეიძლება მოსწავლეებმა არა მარტო დახატონ, არამედ კოლაჟებიც გააკეთონ: ამოქრან პატარ-პატარა ნაწილები შესაბამისი ნახატებიდან, იღუსტრაციებიდან, თავიანთი ნახატებიდან და მათი კომბინირებით რამე ახალი კომპოზიცია შეადგინონ.

**აღნერა** - აქტივობის მეორე ეტაპია, რომლის დროსაც დაფაზე გაიკვრება დეტალებით დატვირთული რამდენიმე ნახატი. მოსწავლეებს დაევალებათ, რაც შეიძლება დეტალურად აღნერონ ნახატებზე წარმოდგენილი სცენები წერილობითი სახით: გამოიყენონ ბევრი „საჭირო სიტყვა“ (”ამბის ჩარჩოს“ გამოცდილებაზე დაყრდნობით), დაწერონ ნახატებში აღმოჩენილი განსხვავებების შესახებ.

შესაძლებელია, მასწავლებელმა მოსწავლეებს განუსაზღვროს წინადადებების რაოდენობა (მაგ., ”დაწერეთ ათი წინადადება იმის შესახებ, თუ როგორია ყინულის დედოფლის სასახლე გარედან და შიგნიდან“). აღნერილ სცენებს მოსწავლეები ხმამაღლა კითხულობენ, შემდეგ კი მსჯელობენ, რა მოეწონათ ერთმანეთის ნაწერებში.

**დანერა** - აქტივობის მესამე ეტაპია, რომლის დროსაც მოსწავლეები ამბავს წერილობითი სახით გადმოსცემენ. მათ დაევალებათ, რომ თავიანთი თხრობაში ჩართონ აღნერილი სცენა/ ეპიზოდი.

აქტივობის ხანგრძლივობა: 16-18 წუთი (პირველი ეტაპი), 15-17 წუთი (მეორე ეტაპი), 13-15 წუთი (მესამე ეტაპი).

**შეფასება:** აქტივობით ფასდება, შეუძლია თუ არა მოსწავლეს:

- ინფორმაციისათვის თავის მოყრა, ორგანიზებულად გადმოცემა;
- სხვადასხვა ჟანრის მცირე ზომის ტექსტის შედგენა;
- ეპიზოდის დეტალურად აღნერა;
- ადეკვატური და მრავალფეროვანი ლექსიკის გამოყენება;
- მოსმენილი ინფორმაციის ვიზუალიზაცია;
- ვიზუალური ხატების მიხედვით ტექსტის შექმნა.

**მეთოდური მითითებები:**

1. ამბის/ტექსტის ამა თუ იმ ეპიზოდის წარმოდგენა ვიზუალური ხატის (ნახატის) სახით აძლიერებს მოსწავლეთა წარმოსახვასა და ფანტაზიას. ეს, თავის მხრივ, მკვეთრად ამაღლებს გაგების, აღქმისა და შემეცნების ხარისხს. ხატვის პროცესში მოსწავლეები სხვადასხვაგვარად დაინახავენ სცენებს, შეამჩნევენ/აღმოაჩენენ დეტალებს, რაც მრავალფეროვნებას შესძენს მათს მსჯელობას, ნიადაგს მოამზადებს ეპიზოდის დეტალური აღნერისთვის.
2. აქტივობა, ეტაპების მიხედვით, შეიძლება გადანაწილდეს რამდენიმე გაკვეთილზე (ასეთ შემთხვევაში აქტივობას დაეთმობა გაკვეთილის/გაკვეთილების გარკვეული ნაწილი).

**ქართ. III. 13. მოსწავლეს შეუძლია ძირითადი გრამატიკული ელემენტების მართებულად გამოყენება ტექსტის შექმნისას.**

**აქტივობა №1: ასე ვამბობთ - ასე ვწერთ.**

**აქტივობის შესახებ:** აქტივობა კომპლექსური სახისაა. იგი ემსახურება მოსწავლეთა ზეპირი და წერითი მეტყველების განვითარებას, მართებულად მეტყველებისა და წერის უნარების გამომუშავებას.

**აქტივობის მიზნები:**

- ზეპირი და წერითი მეტყველების განვითარება;
- მართებულად (ენობრივ-გრამატიკული ნორმების დაცვით) მეტყველების უნარ-ჩვევების განვითარება.

**აქტივობის ორგანიზების ფორმა:** ინდივიდუალური.

**რესურსები:** ფურცლებზე დაბეჭდილი/ბარათებზე დაწერილი ტექსტი, საწერი კალამი, რვეული.

**აქტივობის აღწერა:** მასწავლებელი დაურიგებს მოსწავლეებს მარტივ, მცირე ზომის ტექსტს (ფურცლებზე დაბეჭდილს/ბარათებზე დაწერილს), რომელშიც კოლოქვიალიზმის, ბარბარიზმის, დიალექტიზმის ნიმუშები იქნება მოცემული. ასევე, ტექსტში შეიძლება (ნაწილობრივ მაინც) გამოტოვებული იყოს სასვენი ნიშნები. მასწავლებელი ხმამაღლა კითხულობს ტექსტს, რომელსაც მოსწავლეები თვალს ადევნებენ.

მასწავლებლის დახმარებით და მსჯელობის მეშვეობით, მოსწავლეებმა უნდა მოახერხონ ტექსტის გამართვა სალიტერატურო ენის ნორმების მიხედვით და დასვან სასვენი ნიშნები. აქტივობა დასრულდება შემაჯამებელი მსჯელობით.

**აქტივობის ხანგრძლივობა:** 12-15 წუთი.

**შეფასება:** ამგვარი აქტივობით ფასდება, შეუძლია თუ არა მოსწავლეს:

- დიალექტიზმების, ბარბარიზმების და მისთ. ამოცნობა;
- დიალოგის გაფორმებისთვის საჭირო ენობრივ-გრამატიკული საშუალებების და გრამატიკული ელემენტების სწორად გამოყენება.

**აქტივობა №2: ვიმეტყველოთ სწორად.**

**აქტივობის შესახებ:** აქტივობა ემსახურება მოსწავლეთა ზეპირი და წერითი მეტყველების განვითარებას, მოსწავლეთა მართლმეტყველებისა და მართლწერის უნარების გამომუშავებას.

**აქტივობის მიზნები:**

- ზეპირი და წერითი მეტყველების განვითარება;
- მართებულად (ენობრივ-გრამატიკული ნორმების დაცვით) მეტყველების უნარ-ჩვევების განვითარება.

**რესურსები:** აუდიომასალა, საწერი კალამი, რვეული.

**აქტივობის აღწერა:**

მასწავლებელი მოსწავლეებს მოასმენინებს საუბრის აუდიოჩანაწერის ერთ ნაწყვეტს, რომელშიც უხვად იქნება კოლოქვიალიზმები, ბარბარიზმები და სხვ., შემდეგ კი მოასმენინებს გამართული მეტყვლების ამსახველ აუდიომასალას. დასვანს შეკითხვას: "როგორ ფიქრობ, რომელ ჩანაწერში ჩანდა, რომ ადამიანი ზეპირად ლაპარაკობდა და რომელ ჩანაწერში ჩანდა, რომ ადამიანი დაწერილ ტექსტს კითხულობდა?" მოსწავლეებ-

მა უნდა შეძლონ ორ ჩანაწერს შორის განსხვავების დადგენა. შესაძლოა, მასწავლებელმა მეორეჯერაც მოასმენინოს მოსწავლეებს აუდიოჩანაწერები და დაავალოს მათ, ჩაინიშნონ ზეპირმეტყველების დამადასტურებელი სიტყვები/გამოთქმები და ენობრივად დახვეწილი ტექსტის მახასიათებლები. აქტივობა შემაჯამებელი მსჯელობითა და ჩანაწერებიდან მა-გალითების დასახელებით სრულდება.

**აქტივობის ხანგრძლივობა:** 16-18 წუთი.

**შეფასება:** ამგვარი აქტივობით ფასდება, შეუძლია თუ არა მოსწავლეს:

- დიალექტიზმების, ბარბარიზმების და მისთ. ამოცნობა მოსმენით;
- მოსმენილი ინფორმაციის ასახვა წერილობითი სახით;
- სასვენი ნიშნების, დიალოგის გაფორმებისთვის საჭირო ენობრივ-გრამატიკული საშუალებების, გრამატიკული ელემენტების მართებულად გამოყენება.

**ქართ. III. 14. მოსწავლეს შეუძლია ტექსტის ჩასწორების მარტივი ხერხების გამო-ყენება.**

**აქტივობა №1: რა მომწონს და რა არ მომწონს?**

**აქტივობის შესახებ:** აქტივობა გამოიყენება წერის შემდგომ ეტაპზე. იგი ემსახურება თვითშეფასებისა და ურთიერთშეფასების უნარ-ჩვევების გამომუშავებას.

**აქტივობის მიზნები:**

- წერითი მეტყველების განვითარება;
- ანალიზისა და მსჯელობის უნარ-ჩვევების განვითარება;
- მეტაკოგნიტური უნარების განვითარება;
- თვითშეფასების უნარ-ჩვევების განვითარება;
- ურთიერთშეფასების უნარ-ჩვევების განვითარება.

**აქტივობის ორგანიზების ფორმა:** ინდივიდუალური.

**რესურსები:** კალამი, რვეული.

**აქტივობის აღნერა:** მოსწავლეებს დაევალებათ, წერილობით უპასუხონ ორ კითხვას:

- რა მომწონს? (საკუთარი ან თანაკლასელის ნაწერი)
- რატომ მომწონს? (საკუთარ ან თანაკლასელის ნაწერში)

აქტივობა განხორციელდება კლასში, ნაწერების ხმამაღლა წაკითხვის შემდეგ. მოს-წავლები ერთმანეთს უზიარებენ თვალსაზრისს საკუთარი და თანაკლასელების ნაწერე-ბის შესახებ.

**ნიმუში (სტილი დაცულია):**

რა მომწონს და რა არ მომწონს?

- ”მე ჩემ ნაშერში არ მომწონს ის რო შ და წ კიდე ამერია ბევრჯელ.
- ”იგარავაკი ძალიან მომენტი. მხატვარი ჭკვინი იყო და მეფე შარიანი”.
- ”მე ლენიკოს ნაწერში მომწონს რომ ლამაზათ წერს და სუფთათ”.
- ”არ მომენტა ის რომ რომელიც შემოხაზა არ იყო სწორი. გულითადი არ უნდა შემოეხაზა იქ გულადი იყო სწორი”.

**აქტივობის ხანგრძლივობა:** 10-12 წუთი.

**შეფასება:** აქტივობით ფასდება, შეუძლია თუ არა მოსწავლეს:

- ტექსტის გაანალიზება;
- საკუთარ და სხვის ნაწერში შეცდომის აღმოჩენა და ჩასწორება;
- კომენტირება;
- თვითშეფასება;
- ურთიერთშეფასება.

#### **აქტივობა №2: უსწავლელი ბავშვის ნაწერი.**

**აქტივობის შესახებ:** აქტივობა გამოიყენება წერის შემდგომ ეტაპზე. იგი ემსახურება ენობრივ-გრამატიკული ნორმებისა და გრამატიკული ელემენტების მართებულად გამოყენების, ანალიზისა და შეფასების უნარების გამომუშავებას.

#### **აქტივობის მიზნები:**

- წერითი მეტყველების განვითარება;
- ანალიზისა და მსჯელობის უნარ-ჩვევების განვითარება;
- მეტაკოგნიტური უნარების განვითარება.

#### **აქტივობის ორგანიზების ფორმა:** ინდივიდუალური/წყვილური.

**რესურსები:** საწერი კალამი, მოსწავლეებისათვის დამზადებული ტექსტები, ნაწერი შეცდომებით.

#### **აქტივობის აღნერა:**

მასწავლებელი მოსწავლეებს ურიგებს ბარათებზე/ ფურცლებზე დაწერილ ტექსტს, დაწერილს „უსწავლელი ბავშვის“ მიერ. ნაწერში დაშვებული უნდა იყოს ისეთი შეცდომები, რომლებიც ტიპურია მოცემული ასაკობრივი ჯგუფისათვის.

შემდეგ მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, დაეხმარონ „უსწავლელ მოსწავლეს“ და გაუსწორონ მას შეცდომები. მოსწავლეები ასწორებენ „უსწავლელი ბავშვის“ ნაწერს (შესაძლებელია, მასწავლებელმა ამ აქტივობისათვის დააწყვილოს მოსწავლეები. ამ შემთხვევაში მეწყვილეები ერთ ტექსტზე იმუშავებენ).

ნაწერის გასწორების შემდეგ მოსწავლეები ზეპირად ჩამოთვლიან მიკვლეულ შეცდომებს; იმსჯელებენ, თუ როგორ შეასწორეს შეცდომები.

#### **აქტივობის ხანგრძლივობა:** 12-15 წუთი.

#### **შეფასება:** აქტივობით ფასდება, შეუძლია თუ არა მოსწავლეს;

- ნაწერში ტიპური შეცდომის აღმოჩენა და ჩასწორება;
- სხვისი ნაწერის შეფასება;
- ენობრივ-გრამატიკული ნორმების, გრამატიკული ელემენტების მართებულად გამოყენება;
- საკუთარი თვალსაზრისის გამოთქმა;
- თანამშრომლობა.

#### **აქტივობა №3: ვიპოვოთ შეცდომები ერთმანეთის ნაწერებში.**

**აქტივობის შესახებ:** აქტივობა გამოიყენება წერის შემდგომ ეტაპზე. იგი ემსახურება ენობრივ-გრამატიკული ნორმებისა და გრამატიკული ელემენტების მართებულად გამოყენების, ტექსტის ანალიზის, მსჯელობისა და შეფასების უნარების გამომუშავებას.

#### **აქტივობის მიზნები:**

- წერითი მეტყველების განვითარება;
- ტექსტის ანალიზის უნარ-ჩვევების განვითარება;

**თავი IV. საინიციატივო აქტოები**

- ენობრივ-გრამატიკული ნორმებისა და გრამატიკული ელემენტების მართებულად გამოყენების უნარების გამომუშავება;
- მეტაკონიტური უნარების განვითარება.

**აქტივობის ორგანიზების ფორმა:** ინდივიდუალური.

**რესურსები:** კალამი, რვეული.

**აქტივობის აღწერა:** მასწავლებლის დავალებით, მოსწავლეები ნაწერებს გაუცვლიან ერთმანეთს და ასწორებენ თანაკლასელების მიერ დაშვებულ შეცდომებს. შეცდომას ქვემოთ გაუსვამენ ხაზს, ხოლო მინდორზე ან ნაწერის ქვეშ გამოწერენ სიტყვის სწორ ფორმას ან ასოს, მართებული მოხაზულობით.

**აქტივობის ხანგრძლივობა:** 8-10 წუთი.

**შეფასება:** აქტივობით ფასდება, შეუძლია თუ არა მოსწავლეს

- სხვის ნაწერში შეცდომის აღმოჩენა და ჩასწორება.

**აქტივობა №4: თვითშეფასების სქემის შევსება**

**აქტივობის შესახებ:** აქტივობა გამოიყენება წერის შემდგომ ეტაპზე. იგი ემსახურება სწავლის უნარების გამომუშავებას.

**აქტივობის მიზნები:**

- მეტაკონიტური უნარების განვითარება;
- მოსწავლის მოტივაციის ამაღლება;
- თვითშეფასების უნარის გამომუშავება.

**აქტივობის ორგანიზების ფორმა:** წყვილური/ჯგუფური.

**რესურსები:** კალამი, რვეული, დაფა, ცარცი/მარკერი.

**აქტივობის აღწერა:**

აქტივობა ერთგვარად შემაჯამებელი სახისაა და შეიძლება ჰქონდეს მრავალგვარი ფორმა. ეს დამოკიდებულია იმაზე, თუ რას ამონტებს მასწავლებელი: შეცდომების რაოდენობას, ამბის აგების თანამიმდევრობას, შინაარსის ორიგინალურობას, გრამატიკულ ლაფ-სუსებს თუ სხვ.

მასწავლებელი ხატავს დაფაზე მარტივი სახის, ხუთსვეტიან ცხრილს, რომელსაც მოსწავლეები გადაიხაზავენ ერთი რომელიმე კონკრეტული ნაწერის ქვემოთ. მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, შეაფასონ თავიანთი ნაწერი ცხრილში მოცემული მაჩვენებლების მიხედვით, კონკრეტული რიცხვის შემოხაზვით.

**ნიმუში:**

1	2	3	4	5
უამრავი შეცდომა	ბევრი შეცდომა	ცოტა შეცდომა	რამდენიმე შეცდომა	ერთი შეცდომა/ უშეცდომო

მაჩვენებლის შემოხაზვის შემდეგ, მასწავლებელი დააწყვილებს ან დააჯგუფებს მოსწავლეებს და სთხოვს, აუხსნან ერთმანეთს, რატომ შემოხაზეს ესა თუ ის მაჩვენებელი და/ან მომავალში რას გააკეთებენ იმისთვის, რომ უფრო მაღალი მაჩვენებლის შემოხაზვა შეძლონ.

**აქტივობის ხანგრძლივობა:** 10-12 წუთი.

**შეფასება:** აქტივობით ფასდება, შეუძლია თუ არა მოსწავლეს

- თვითშეფასება/ურთიერთშეფასება;
- სჯელობისას აზრის ჩამოყალიბება.

**მეთოდური შენიშვნა:** აღნერილი აქტივობები ეხმარება მოსწავლეს სწავლის პროცესის გაცნობიერებაში; ხელს უწყობს მეტაკოგნიციის განვითარებას, სწავლის უნარების გამომუშავებასა და მოტივაციის ამაღლებას.

## IV კლასი

**ქართ. IV. 1. მოსწავლეს შეუძლია ადეკვატურად აღიქვას სხვადასხვა სახის ტექსტი და გადმოსცეს მათი შინაარსი.**

**აქტივობა №1: „ამბები, ამბები, ამბები”** (სხვადასხვა ტიპის თხრობა)

**რესურსები:** ტექსტი სახელმძღვანელოდან.

**აქტივობის აღნერა:**

პირველ ეტაპზე, სანამ მოსწავლეები თავად დაინტებენ ამა თუ იმ სახის (დეტალური თხრობა, მოკლე შინაარსის თხრობა, გამოკრებილი შინაარსის თხრობა, თხრობა მთხრობელის შეცვლით) თხრობითი აქტივობების გამოყენებას, მათ უნდა მიეცეთ საშუალება, სისტემატიურად მოუსმინონ სხვა (პროფესიონალ) მთხრობლებს, რომლებიც მათ სიამოვნებას მიანიჭებენ და სანიმუშო თხრობის მაგალითებით გაამდიდრებენ მოსწავლეთა გამოცდილებას. ამ მიზნით სასურველია გაკეთილებზე ცნობილი ადამიანების მოწვევა, ან მათი ვიდეო და აუდიოჩანაწერების გამოყენება.

თხრობა მოსწავლეებს საშუალებას აძლევს:

- გაითავისონ მოთხრობის / ამბის დასაწყისისა და დასასრულის, გარემოს, მოქმედი პირების და სიუჟეტური ხაზების მნიშვნელოვანი ასპექტები;
- ამბის ნათლად გადმოცემისათვის გამოიყენონ ხატოვანი და აღნერითი ენა;
- დაიცვან თანამიმდევრობა;
- შეარჩიონ ადეკვატური და ეფექტური ლექსიკა;
- მოძებნონ აუდიტორიის დაინტერესების, მასზე ზემოქმედების ხერხები და საშუალებები (მაგალითად, ჟესტები, მიმიკა, ხმის ტონის მონაცვლეობა და სხვა).

თხრობა ხელს უწყობს კითხვისა და წერის მოტივაციას.

მოსწავლეებმა შეიძლება უპირატესობა მიანიჭონ იმის მოყოლას, რაც თავს გადახდათ, ან რაც გამოიგონეს და არა წაკითხული მოთხრობის შინაარსის გადმოცემას; შესაძლოა მოინდომონ გაგონილი მოთხრობის / ამბის, ნანახი ფილმის შინაარსის გადმოცემა. ასეთი ინიციატივები უნდა წავახალისოთ, რათა მოსწავლეს მოეხსნას შიშის ან უხერხულობის განცდა, შეეჩიოს აუდიტორიის წინაშე გამოსვლასა და ეფექტური თხრობის საშუალებების გამოყენებას. პირადი ამბები შეიძლება ეხებოდეს, მაგალითად, მოსწავლის პირად თავგადასავალს, ოჯახის რელიკვიებს, ოჯახის წინაპრების ამბებს, შინაურ ცხოველებთან დაკავშირებულ ისტორიებს და ა.შ.

შეიძლება მოსწავლეებს თავად სურთ მოთხრობის შექმნა. ეს ინიციატივაც უნდა წახალისდეს. მათ შეუძლიათ:

- ტრადიციული ან ე. წ. მოარული სიუჟეტების, თემების გამოყენება (სესხება);
- რამდენიმე ვერსიიდან ერთ-ერთის აღება ან ამ ვერსიების გაერთიანება;
- ამბის / მოთხრობის გადანაცვლება დროში: წარსულიდან აწმყოში ან მომავალში;
- ამბის / მოთხრობის გადანაცვლება ერთი გეოგრაფიული გარემოდან სხვაში.

მთხრობელს უნდა ჰქონდეს მოხერხებული მდგომარეობა. იგი პირდაპირ უნდა უყურებდეს აუდიტორიას, რათა ადვილად დაამყაროს მხედველობითი კონტაქტი მასთან.

მთხრობელს შეუძლია მოაწყოს თხრობისთვის შესაფერისი გარემო: სპეციალური განათება, მუსიკა, თხრობის ეფექტურობის გამაძლიერებელი ვიზუალური საშუალებები, მაგ., შესაბამისი ტანისამოსი, თუნდაც რომელიმე ატრიბუტი: ქუდი, შარფი, მანტია ან სხვა რამ; ილუსტრაციები, ფილმები და ა.შ. მსგავს „დახმარებას“ რამდენიმე უპირატესობა აქვს. იგი:

- ხელს უწყობს მოსწავლის მოტივირებას, ინტერესის აღძვრას;
- აერთიანებს ვიზუალურ და ზეპირ საქმიანობას;
- უზრუნველყოფს მორცხვი მთხრობლის მხარდაჭერას (მორცხვ მთხრობელს აძლევს საყრდენს, რაც სითამამეს ჰმატებს მას).

### **დეტალური თხრობა**

დეტალური თხრობა შეიძლება იყოს ორი სახის: თავისუფალი, რომელიც უკავშირდება წაკითხული ან მოსმენილი ნაწარმოებით მიღებულ პირველ შთაბეჭდილებას. მოსწავლე საკუთარი სიტყვებით გადმოსცემს ნაწარმოების დეტალურ შინაარსს. დანარჩენები უსმენენ და აფასებენ, რამდენად ზუსტად და თანამიმდევრობით არის გადმოცემული შინაარსი, ხომ არ არის გამოტოვებული მნიშვნელოვანი მოვლენა / ფაქტი. მაგალითად, მოსწავლეებმა მოისმინეს ზღაპარი „მიწა თავისას მოითხოვს“. მათ ერთი მოსმენის შემდეგ რაც შეიძლება ზუსტად უნდა აღადგინონ მისი შინაარსი. მეორე სახე ასეთი თხრობისა გულისხმობს იმას, თუ რამდენად ახლოს არის მოსწავლის მონათხრობი ავტორისეულ ვერსიასთან არა მარტო შინაარსით, არამედ მწერლის ენის თვალსაზრისით. გამოყენებულია თუ არა ავტორისეული ლექსიკა, მხატვრული საშუალებები.

**რესურსები:** ტექსტი სახელმძღვანელოდან ან აუდიოჩანაწერი.

**შეფასება:** ორივე შემთხვევაში, შეფასდება თხრობის თანამიმდევრულობა, ტექსტის შინაარსთან სიახლოვე, ენობრივი გამართულობა, ხოლო მეორე შემთხვევაში, დაემატება შემდეგი კრიტერიუმები: მწერლისეული ლექსიკისა და მხატვრულ-გმომსახველობითი საშუალებების გამოყენება.

**მეთოდური მითითება:** დეტალური თხრობა არ გულისხმობს ტექსტის ზეპირად დასწავლას. ეს აქტივობა ერთდროულად ამონმებს გააზრებული კითხვის უნარს (თუ მოსწავლემ წაიკითხა ტექსტი) ან მოსმენის უნარს, ყურადღების კონცენტრაციას, მეხსიერებას (თუ მოსწავლეს მოვასმენინებთ ტექსტს).

### **მოკლე შინაარსის თხრობა**

მოკლე შინაარსის გადმოცემა გაცილებით რთულია, ვიდრე დეტალური შინაარსისა, რადგან მოსწავლემ უნდა შეძლოს ტექსტის ისე შეკუმშვა, რომ არ დაიკარგოს თხრობის ლოგიკა, მხატვრული ტექსტის ყველაზე მნიშვნელოვანი დეტალები. ანუ უნდა შეძლოს მთავარისა და არსებითის გარჩევა მეორეხარისხოვანისაგან. ამისათვის აუცილებელია მოსამზადებელი სამუშაოების ჩატარება. აბზაცის ან თავის მთავარი აზრის განსაზღვრა,

ამის საფუძველზე გეგმის შედგენა და მერე იმ გეგმის ისევ თხრობით ტექსტად გადაქცევა. მაგალითად, თუ მოსწავლეს ვთხოვთ, გვიამბოს ”იავნანამ რა ჰქმნას?!“ შინაარსი, ამისათვის მას უნდა დავეხმაროთ სათაურებზე დაყრდნობით თითოეული თავიდან ამოილოს მთავარი. შეიძლება კლასში მოვისმინოთ ალტერნატიული ვარიანტები და შევჩერდეთ ისეთზე, რომელშიც შენარჩუნებული იქნება მთავარი და თან ყველაზე დაწურულად. ასე ავაგოთ მოკლე შინაარსი ერთობლივად.

**შეფასება:** შეფასდება თხრობის თანამიმდევრობა, არსებითისა და მთავარის მეორებარისხოვნისაგან გარჩევის უნარი.

**მეთოდური მითითება:** ეს აქტივობა კომპლექსურია, რადგან ის ზეპირმეტყველების უნარის განვითარებასთან ერთად, ხელს უწყობს გააზრებული კითხვისა და წერის უნარის განვითარებასაც იმ შემთხვევაში, თუ მოსწავლეები თხრობის გეგმას წერილობით შეადგენენ.

### გამოკრებილი შინაარსი

ეს არის ტექსტის ცალკეული ფრაგმენტის თხრობა მასწავლებლის მიერ მითითებულის საფუძველზე (მაგალითად, მიამბე ის მონაკვეთი, რომელშიც აღნერილია ქართველადების ოჯახი; მიამბე ქეთოს გატაცების ამბავი...).

**რესურსი:** ტექსტი სახელმწიფო აღმასრულებელისადან.

**შეფასება:** შეფასდება, ახერხებს თუ არა მოსწავლე მთლიანი ტექსტიდან მითითებული ადგილის ზუსტად ამოღებასა და მის დეტალურად გადმოცემას ისე, რომ არ კარგავს ყველაზე მნიშვნელოვანს.

**მეთოდური მითითება:** იმისათვის რომ შემონდეს, რამდენად კარგად აქვს მოსწავლეს ტექსტი გააზრებული, შესაძლებელია დავალების პირობის გართულება რაიმე სახის დამატებითი მინიშნებით. მაგალითად, მიამბე ის ეპიზოდი, რომელშიც ჩანს, რომ ზურაბ ქართველაძე გონიერი და წინდახედული ადამიანია.

### მთხობლის შეცვლა

ეს აქტივობა გულისხმობს ტექსტის ან მისი ეპიზოდის თხრობას რომელიმე პერსონაჟის პოზიციიდან. მაგალითად, როგორ მოჰყვებოდა ქეთოს მოტაცების ამბავს გადია; მიამბე, როგორ მოხვდა ქეთო ნაიბის ოჯახში ნაიბის პირით; მიამბე თავი ”იავნანამ რა ჰქმნა?!“ ქეთოს პირით და ა. შ. იმისათვის, რომ ასეთი დავალება შეასრულოს, მოსწავლეს კარგად უნდა ესმოდეს პერსონაჟის ხასიათი, შეარჩიოს შესაბამისი მხატვრული საშუალებები, რაც, ცხადია, გულისხმობს მასწავლებლის მიერ მოსამზადებელი სამუშაოების ჩატარებას. მანამდე მოსწავლეებმა უნდა იმსჯელონ პერსონაჟის ხასიათის თვისებებზე, დაუკვირდნენ მის მეტყველებას, იმას, თუ რა საშუალებებით აღნერს მწერალი გმირის ემოციურ მდგომარეობას.

**შეფასება:** შეფასდება ინტერპრეტაციის, ტექსტის გააზრების უნარი, შემოქმედებითობა.

**მეთოდური მითითება:** ეს აქტივობაც კომპლექსურია. მისი ჩატარება შეიძლება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მოსწავლეებს ღრმად და საფუძვლიანად აქვთ ტექსტი დამუშავებული კითხვის პროცესში, გამომუშავებული აქვთ პერსონაჟის ემოციურ მდგომარეობაზე, მის ხასიათზე დაკვირვების უნარი, შეუძლიათ იმ მხატვრული საშუალებების ამოცნობა, რომლითაც მწერალი ახერხებს ჩვენამდე სათქმელის მოტანას.

## ერთობლივი აღნერა

მას შემდეგ, რაც მოსწავლები შეისწავლიან მხატვრულ ტექსტს, რომელშიც არის ბუნების სურათის / ინტერიერის / პერსონაჟის გარეგნობის აღნერა, მასწავლებელი მოსწავლებს სთხოვს დააკვირდნენ, რომელი სიტყვები სჭარბობს აღნერისას. ამოიცნონ ეს კითხვის დასმით (უფრო ხშირად გამოიყენებენ კითხვას „როგორი?“). ამ გზით მოსწავლეები აღმოაჩენენ ზედსართავი სახელის ფუნქციას. ამის შემდეგ მასწავლებელი მოსწავლეებს აძლევს თითო-თითო წინადადებად აღნერის ელემენტებს და სთხოვს, გაამდიდრონ ეს წინადადებები სინონიმური ზედსართავი სახელებით. მაგალითად, დადგა შემოდგომა. მოსწავლეები ამბობენ შესაბამის ზედსართავ სახელებს. მაგალითად, დადგა ბარაქიანი, გულუხვი შემოდგომა... ან გათენდა დილა და ახმაურდა სოფელი. გათენდა მშვიდი, თბილი და მზიანი დილა და ახმაურდა გარინდებული სოფელი. მასწავლებელი მოსწავლეთა მიერ „გამდიდრებულ“ წინადადებებს წერს დაფაზე. ასე იქმნება ერთობლივად აღნერითი ტექსტი.

**რესურსები:** ეს აქტივობა საჭიროებს მხოლოდ ადამიანურ რესურსს. შესაძლებელია ნახატის - შემოდგომის პეიზაჟის - გამოყენებაც.

**შეფასება:** შეფასდება მოსწავლეთა ლექსიკური მარაგი და მისი ადეკვატური გამოყენების უნარი.

**მეთოდური მითითება:** კლასის დონიდან გამომდინარე, შეიძლება დაფაზე წინასწარ ჩამოწეროს მასწავლებელმა ზედსართავი სახელები და ამ ჩამონათვალიდან მოსწავლეებმა აარჩიონ შესაბამისი. იმისათვის, რომ ყველა მოსწავლემ მიიღოს ერთობლივ აღწერაში მონაწილეობა, მასწავლებელმა უნდა დაიცვას რიგითობა. თუ მასწავლებელი ტექსტის ნაკითხვის შემდეგ დაგეგმავს ამ აქტივობას, ის კომპლექსური გახდება, რადგან ერთდროულად ორიენტირებული იქნება როგორც ზეპირმეტყველების, ისე კითხვის უნარის განვითარებაზე.

ქართ. IV. 2. მოსწავლეს შეუძლია გამოხატოს საკუთარი დამოკიდებულება მხატვ-რული ნაწარმოების მიმართ.

## აწყივობა №1: კხელი სკამი.

**რესურსები:** ადამიანური რესურსები, სათანადო ატრიბუტები.

**აქტივობის აღწერა:** მოსწავლეებს სთხოვენ, მოირგონ ტექსტის ერთ-ერთი პერსონა-ჟის როლი. შერჩეული მოსწავლე გამოდის კლასის წინ, ჯდება სკამზე, "მოირგებს" პერსონა-ჟის როლს და პასუხობს თანაკლასელების მიერ დასმულ შეკითხვებს, რომლებიც ამ პერსონა-ჟისთვისაა გამიზნული (შეიძლება ამორჩეული პერსონა-ჟისათვის დამახასიათებელი რაიმე ატრიბუტიკის გამოყენება: ვთქვათ, ნაცარქექიასათვის (ქართული ხალხური ზღაპარი "ნაცარქექია") - გუდა/ტომარა; ქეთოს დედისათვის (იაკობ გოგებაშვილი, "იავნანაბ რა ჰქმნა!?" ) - ჩინგური/ფანდური და მისთ. კარგი იქნება, თუკი დასაწყისისთვის ისეთ მოსწავლეს ამოვარჩევთ, რომელიც ამ დავალებას, თქვენი აზრით, კარგად გაართევს თავს. ნიმუშის საჩვენებლად შეიძლება შერჩეული პერსონა-ჟის როლი თავდაპირველად თვითონ მასწავლებელმა განასახიეროს.

ზოგადად, მნიშვნელოვანია, რომ მასწავლებელმა წააქეზოს ბავშვები, დასვან ეფექტური შეკითხვები და მაგალითის საჩვენებლად, თვითონაც დაუსვას შეკითხვები ”ცხელსაკამზე” მჯდომ მოსწავლის.

### **შეკითხვების ნიმუშები:**

შეკითხვები ნაცარქექიას (ქართული ხალხური ზღაპარი "ნაცარქექია"): რატომ წახვედი სახლიდან? როგორ მიხვდი, რომ დევის მოტყუება ადვილია? საერთოდ, გეშინია თუ არა რაიმესი? რატომ დაუძახე შენს ძმებს, მათ ხომ სახლიდან გამოგაგდეს? რატომ გიყვარს ნაცრის ქექვა? სხვ.

შეკითხვები დევის (ქართული ხალხური ზღაპარი "ნაცარქექია"): ვინ ხარ შენ? სად ცხოვრობ? რას ჭამ? რა გქვია? გყავს და-ძმა? როგორ ცხოვრობენ დევები? როგორები არიან დევი ქალები? როგორ გახდი ეგეთი ღონიერი, ვარჯიშით? შეგიძლია ჯადოქრობა? რითი ერთობი ხოლმე? რას ფიქრობ ნაცარქექიაზე? სხვ.

შეკითხვები ქეთოს დედას (იაკობ გოგებაშვილი, "იავნანამ რა ჰქმნა?!" ): რას ფიქრობ ქეთოს ლეკ დედ-მამაზე? მართლა დააბრუნებდი ქეთოს დალესტანში? როგორ ფიქრობ, ვინ უფრო უყვარს ქეთოს - შენ თუ ლეკი დედა? სხვ.

თუკი ბავშვები კარგად აითვისებენ აქტივობას, ამასთან, იგი მათთვის საინტერესო და სახალისო აღმოჩნდება, შეიძლება აქტივობის გართულება - "ცხელ სკამზე" დასასმელად შევარჩევთ მეორეხარისხოვან პერსონაჟს, რომლის შესახებ ტექსტში მცირე ინფორმაციას ვხვდებით. მაგ., ქეთოს ძიძა ("იავნანამ რა ჰქმნა?"), ნაცარქექიას ძმები, მისთ. მეორეხარისხოვანი პერსონაჟების როლის მოსარგებად ბავშვებს დეტალების უკეთ გააზრება და ფანტაზიისა და წარმოსახვის უნარის მეტი მობილიზება დასჭირდებათ.

**მეთოდური მითითება:** აქტივობაში ჩართული უნდა იყოს მთელი კლასი. თუკი დაინახავთ, რომ კლასი პასიურია და აქტიურობს მხოლოდ ის მოსწავლე, რომელიც პერსონაჟს ასახიერებს, აქტივობის გაგრძელებას აზრი არ აქვს.

### **აქტივობა №2: გრძნობათა ყულაბა.**

**რესურსი:** ეს აქტივობა საჭიროებს მხოლოდ ადამიანურ რესურსს.

**აქტივობის აღწერა:** მასწავლებელი ჩამონერს დაფაზე გრძნობებს, რომლებიც შეიძლება აღეძრას ადამიანს მხატვრული ნაწარმოების წაკითხვისას / მოსმენისას (მაგალითად, აღშფოთება, აღფრთოვანება, სიბრალული, გულგრილობა, თანაგრძნობა, მოწონება და სხვ.) და სთხოვს მოსწავლეებს, ამოირჩიონ ამ ჩამონათვალიდან ის გრძნობა, რომელსაც აღუძრავს მის მიერ წაკითხული ეპიზოდი. მასწავლებელი გამომსახველობით კითხულობს ეპიზოდს. მოსწავლეები ასახელებენ გრძნობას და ასაბუთებენ საკუთარ პასუხს. მაგალითად, მე აღმაფრთოვანა ამ ეპიზოდში პერსონაჟის მოქმედებამ იმიტომ, რომ... / ჩემში ამ პერსონაჟის მარცხმა აღძრა თანაგრძნობა, რადგან...

**შეფასება:** შეფასდება ემოციური დამოკიდებულების გამოხატვისა და არგუმენტაციის უნარი.

**მეთოდური მითითება:** იმისათვის, რომ მოსწავლეებმა თავისუფლად გამოხატონ საკუთარი გრძნობები, მასწავლებელმა უნდა შექმნას შესაბამისი გარემო. დაუშვას ის, რომ ერთმა და იმავე ეპიზოდში შეიძლება სხვადასხვა მოსწავლეში სხვადასხვა გრძნობა გამოიწვიოს.

**ქართ. IV. 3. მოსწავლეს შეუძლია მიუსადაგოს სამეტყველო ქცევა დასახულ საკომუნიკაციო ამოცანას.**

**აქტივობა №1:** კონკურსი გამომსახველობით კითხვაში.

**რესურსი:** შეფასების კრიტერიუმების ქსეროასლები.

**აქტივობის აღწერა:** მასწავლებელი მოსწავლების სთავაზობს, მოაწყონ კონკურსი გამომსახველობით კითხვაში. კონკურსში მონაწილეობა პირველ ჯერზე, სასურველია, ნებაყოფლობითი იყოს. ის, ვინც არ მიიღებს მონაწილეობას კონკურსში, იქნება შემთასებელთა ჯგუფში. ეს ჯგუფი ერთობლივად შემუშავებული კრიტერიუმების მიხედვით შეაფასებს კონკურსის მონაწილეებს. შესაძლებელია, კონკურსი ჩატარდეს ორ ”ტურად”. ჯერ მონაწილეები კითხულობენ ერთსა და იმავე ნანარმოებს, შემდეგ ტექსტს ირჩევნ საკუთარი სურვილით.

**შეფასება:** შეფასება შეიძლება მოხდეს იმის მიხედვით, იყო თუ არა

- ყველა სიტყვა მკაფიოდ წარმოთქმული;
- გაკეთებული აქცენტი საკვანძო სიტყვებზე;
- გადმოცემული ავტორისეული განწყობილება და გრძნობები;
- სწორად გაგებული პუნქტუაცია;
- ეფექტურად გამოყენებული ხმის ტონი;
- შენარჩუნებული მხედვებულობითი კონტაქტი აუდიტორიასთან;
- შენარჩუნებული ზომიერება გრძნობების გამოხატვისას.

**მეთოდური მითითება:** სავარაუდოდ, იმ მოსწავლეების ნაწილი რომელიც არ მიიღებს კონკურსში მონაწილეობას, მომავალში დაინტერესდება და სხვების მაგალითით ჩაერთვება მასში. ამ ეტაზზე მნიშვნელოვანია ისიც, რომ მოსწავლეები შეფასებისას დახვეწენ საკუთარ გემოვნებას, კიდევ ერთხელ გაიაზრებენ წაკითხულს / მოსმენილს. იმისათვის, რომ მოსწავლეები უფრო გაბედულად ჩაერთონ გამომსახველობითი კითხვის კონკურსში, რეკომენდებულია, ხშირად მოვასმენინოთ მათ ქართველ მსახიობთა მიერ წაკითხული ნაწარმოებების აუდიოჩანანერები და ვასაუბროთ შთაბეჭდილებებზე.

**აქტივობა №2: გაცოცხლებული სურათები.**

**რესურსები:** ილუსტრაციები.

**აქტივობის აღწერა:** მასწავლებელი ირჩევს რამდენიმე ილუსტრაციას, რომლებზე-დაც გამოსახულია ტყის ბინადრები (მაგალითად, ვაჟა-ფშაველას „ჩორნილი“) და სთხოვს მოსწავლეებს, გააცოცხლონ ეს სურათი: გაახმოვანონ, რისთვისაც უნდა შეარჩიონ შესაბამისი ინტონაცია, ტემბრი; განსაზღვრონ პერსონაჟების დამახასიათებელი მოძრაობები, რისთვისაც უნდა შეარჩიონ შესაბამისი ჟესტები, მიმიკა. თითო ილუსტრაციაზე მუშაობს თითო ჯგუფი. ჯგუფები წარმოადგენენ ნამუშევარს, სხვები კი აფასებენ.

**შეფასება:** შეფასდება ის, თუ რამდენად შეუძლია მოსწავლეს მიუსადაგოს სამეტყველო ქცევა, ვერბალური და არავერბალური ხერხები დასახულ ამოცანას. ამისათვის შეიძლება მომზადდეს ურთიერთშეფასების კითხვარები, რომლებითაც ჯგუფები შეაფასებენ ერთმანეთს. კრიტერიუმები შეიძლება ამგვარად ჩამოყალიბდეს:

- რამდენად სწორად გადმოსცემს პერსონაჟის ხასიათს ინტონაციითა და მიმიკით;
- რამდენად შესაბამისად არჩევს ჟესტებსა და მოძრაობებს;
- იყენებს თუ არა პერსონაჟის თვისებებისა და გრძნობების გამომხატველ მინიშნებებს.

**მეთოდური მითითება:** სასურველია, ამგვარი აქტივობისათვის შეიძლება ისეთი ილუსტრაციები, რომლებიც ხელს უწყობს პერსონაჟის ხასიათში წვდომას და რომლებშიც წარმოდგენილია მთელი სცენა ნაწარმოებიდან.

**ქართ. IV. 4. მოსწავლეს შეუძლია შესაბამისი ენობრივ-გრამატიკული საშუალებების გამოყენება კონკრეტულ სამეტყველო სიტუაციაში.**

**აქტივობა №1: სინონიმთა და ანტონიმთა წრე.**

**რესურსები:** ეს აქტივობა საჭიროებს მხოლოდ ადამიანურ რესურსს.

**აქტივობის აღნერა:** მოსწავლეები სხდებიან წრეში. ერთი მოსწავლე ამბობს სიტყვას, მეორე - მის სინონიმს, ასე გრძელდება მანამ, სანამ არ ამოინურება ვარიანტები. ის, ვინც ვერ მოიფიქრებს სინონიმს, ამბობს დასახელებული სიტყვის ანტონიმს, შემდეგი მოსწავლე ასახელებს ანტონიმის სინონიმს და ასე გრძელდება მანამ, სანამ სიტყვათა მარაგი არ გამოილევათ. თამაში განახლდება იმ ადგილიდან, სადაც მოსწავლე ამბობს ახალ ლექსიკურ ერთეულს.

**შეფასება:** შეფასდება ყურადღების კონცენტრაციის უნარი და ლექსიკური მარაგი.


**მეთოდური მითითება:** მეხუთე ან მეხედის კლასში შეიძლება ამ აქტივობის მოდიფიცირება წრეში ფრაზეოლოგიზმებისა და მათი განმარტებების შემოტანით. მაგალითად, ერთი ამბობს ფრაზეოლოგიზმს, მეორე - მის განმარტებას, შემდეგ ის, ვინც სწორად განმარტა ფრაზეოლოგიზმი, ამბობს სხვა ხატოვან გამოთქმას და ა.შ.

**აქტივობა №2: ლექსიკური რუკა.**

**რესურსი:** ლექსიკური რუკა.

**აქტივობის აღნერა:** ლექსიკური რუკის გამოყენება ეფექტურია მოსწავლეთა ლექსიკური მარაგის შესავსებად ან მის გასააქტიურებლად. მასწავლებელი სთავაზობს მოსწავლეებს, აირჩიონ უცნობი სიტყვებიდან ერთ-ერთი. მათი მონაწილეობით დგინდება, რომელ ლექსიკონში შეიძლება ამ სიტყვის განმარტების პოვნა. მას შემდეგ, რაც მოსწავლეები განსაზღვრავენ ლექსიკონის სახეობას, მასწავლებელი აძლევს მათ შესაბამის ლექსიკონს და სთხოვს, მონახონ მისი განმარტება (სასურველია, საკლასო ბიბლიოთეკაში არსებობდეს ასეთი ლექსიკონები. თუ ამის საშუალება არ არის, მაშინ მასწავლებელი თავად მიაწვდის მოსწავლეებს სიტყვის განმარტებას). შემდეგ სთხოვს, დაასახელონ ამ სიტყვის სინონიმი.

მომდევნო ეტაპზე მოსწავლეები იხსენებენ ყველაზე გავრცელებულ სიტყვათშეთანხმებას / სიტყვათშეთანხმებებს. თუ ამას ვერ მოახერხებენ, ისევ მასწავლებელი ეხმარება. შემდგომი საფეხური სიტყვის ანტონიმის დასახელებაა, რის შემდეგაც ისინი ტექსტში კითხულობენ ფრაზას, რომელშიც ეს სიტყვა გამოყენებული, ხოლო ბოლოს თვითონ ქმნიან წინადადებას ამ სიტყვის გამოყენებით. მათი პასუხების საფუძველზე შეიძლება შეივსოს ქვემოთ მოცემული ლექსიკური რუკა:



**შეფასება:** შეფასდება ლექსიკური მარაგი და მისი გამოყენების უნარი, ინფორმაციის ორგანიზების უნარი.

**მეთოდური მითითება:** ამგვარი ლექსიკური სამუშაოს ჩატარება შესაძლებელია როგორც ტექსტის წაკითხვამდე, ისე მისი წაკითხვის შემდგომ. ეს კომბინირებული აქტივობაა, რომელიც ერთდროულად ხელს უწყობს როგორც ზეპირმეტყველების, ისე კითხვისა და, ნაწილობრივ, წერის უნარის განვითარებას (იმ შემთხვევაში, თუ მოსწავლეები ლექსიკურ რუკას თავად ავსებენ).

**ქართ. IV. 5. მოსწავლეს შეუძლია მისთვის ნაცნობი თემების შემცველი სხვადასხვა სახის არამხატვრული ტექსტების (რეკლამის, საყმანვილო უურნალის განცხადების, საყმანვილო ენციკლოპედიის სტატიისა და სხვ.) წაკითხვა და გაგება.**

**აქტივობა №1: კითხვების დასმა.**

**აქტივობის შესახებ:** ამ აქტივობის საშუალებით მოსწავლეები შეძლებენ, თავად დასვან ფაქტებზე ორიენტირებულ კითხვები წაკითხულის გარშემო. კითხვების გენერირება კი ერთ-ერთი საუკეთესო საშუალებაა იმისათვის, რომ მოსწავლემ საფუძვლიანად გაიგოს და გაიაზროს ტექსტის შინაარსი.

**აქტივობის მიზანი:** მოსწავლეები

1. შეძლებენ ტექსტის გააზრებას;
2. მოიფიქრებენ კითხვებს ტექსტის გარშემო;
3. პასუხს გასცემენ დასმულ კითხვებს;

4. შეძლებენ დასმული კითხვების ადეკვატურობის შეფასებას.

**რესურსები:** არამხატვრული ტექსტი (დამატებითი საკითხავი წიგნიდან), დაფა, ცარცი/ბორდმარკერი.

**აქტივობის აღნერა:** მოსწავლეები კითხულობენ მასწავლებლის მიერ შერჩეულ არამხატვრულ ტექსტს. კითხვის დასრულების შემდეგ მასწავლებელი დაფაზე ჩამოწერს კითხვით სიტყვებს: ვინ? რა? სად? როდის? როგორ? რატომ? მასწავლებელი აძლევს მოსწავლეებს დავალებას, რომ მათ წაკითხულ ტექსტზე დაყრდნობით მოიფიქრონ რაც შეიძლება მეტი კითხვა ჩამოთვლილი კითხვითი სიტყვების გამოყენებით. შესაძლებელია მასწავლებელმა კლასი დაყოს ჯგუფებად ან წყვილებად და აქტივობის ამ ეტაპს შეჯიბრის სახე მისცეს.

სამუშაოს დასრულების შემდეგ მასწავლებელი აკითხებს მოსწავლეებს მათ მიერ შექმნილ კითხვებს და სხვა მოსწავლეებთან ერთად აფასებს მათ ადეკვატურობას. ბუნებრივია, ზოგიერთი კითხვა ამოვარდება ჩამონათვალიდან. ვარგის კითხვებს კი მასწავლებელი დაფაზე ჩამოწერს.

ამის შემდეგ მასწავლებლის მითითებით მოსწავლეები კითხულობენ და ზეპირად პასუხობენ დაფაზე დაწერილ კითხვებს. შესაძლებელია ამ დავალების წერილობით შესრულებაც.

**შეფასება:** ამ აქტივობით შეიძლება შევაფასოთ:

- გაიგო თუ არა მოსწავლემ წაკითხული ტექსტის შინაარსი;
- შეუძლია თუ არა მოსწავლეს ადეკვატური კითხვების მოფიქრება წაკითხულის გარშემო.

**მეთოდური მითითება:** რადგანაც სახელმძღვანელოში წარმოდგენილი ტექსტების უმეტესობას ახლავს შეკითხვების ბლოკი, სასურველია, მასწავლებელმა ამ აქტივობისთვის საჭირო ტექსტის მოსაძიებლად სხვა რესურსი გამოიყენოს.

#### ქართ. IV. 6. მოსწავლეს შეუძლია სხვადასხვა თემაზე შექმნილი მხატვრული ტექსტების დამოუკიდებლად წაკითხვა.

**აქტივობა №1:** „მოსწავლე მასწავლებელი“ (ზღაპრის მახასიათებლების ამოცნობა).

**აქტივობის შესახებ:** მეოთხეკვლასელები უკვე საკმაოდ გამოცდილი მკითხველები არიან. მათ წაკითხული აქვთ არაერთი სხვადასხვა ჟანრის მხატვრული თხზულება: მოთხოვნები, ლექსები, იგავ-არაკები, თქმულებები, ხალხური და ლიტერატურული ზღაპრები. ამ ტიპის ტექსტები მოსწავლეებისთვის საკმაოდ კარგადა ნაცნობი. ცხადია, მათ უკვე თავისუფლად უნდა შეძლონ, ამოიცნონ მათთვის ნაცნობი ჟანრის ტექსტების ზოგიერთი მახასიათებელი და შეადარონ ისინი ერთმანეთს. ეს აქტივობა სწორედ ამ გამოცდილების გაქტიურებას, მის სისტემატიზაციას, ასევე ახალი მახასიათებლების გაცნობას უწყობს ხელს.

**აქტივობის მიზანი:** მოსწავლეები

1. გასცემენ პასუხს კითხვებზე და მათ საფუძველზე დააკვირდებიან ზღაპრის ჟანრულ მახასიათებლებს;
2. შეადარებენ ერთმანეთს წაკითხულ ტექსტებს;
3. განზოგადების საფუძველზე გამოიტანენ სათანადო დასკვნებს;
4. აუხსნიან/გაუზიარებენ თავიანთ დასკვნებს აუდიტორიას;

5. მონაწილეობას მიიღებენ ჯგუფურ მუშაობაში;
6. იმუშავებენ დამოუკიდებლად.

**რესურსები:** ქუდი/პატარა ტომარა, ბარათები, დაფა, ცარცი/ბორდმარკერი.

#### აქტივობის აღწერა:

1. ზღაპრის წაკითხვის შემდეგ მასწავლებელი რამდენიმე წუთს აძლევს მოსწავლეებს და სთხოვს, კიდევ ერთხელ, დამოუკიდებლად დააკვირდნენ ტექსტს და დაფიქრდნენ, რა განასხვავებს მას უკვე წაკითხული სხვა ნანარმოებებისგან, მაგ., მოთხოვთ მოსწავლეებისგან, იგავ-არაკისგან, ლექსისგან. შენიშვნა: შესაძლებელია მასწავლებელმა დაუსახელოს მათ კონკრეტული ნანარმოებები, რომლებიც ცოტა ხნით ადრე შეისწავლეს.
2. მასწავლებელმა წინასწარ უნდა გაამზადოს ბარათები, რომლებზეც წერია კითხვები ზღაპრის შესახებ. მაგ., ბარათი №1: "რა სიტყვებით იწყება ზღაპარი? რა სიტყვებით მთავრდება?" ბარათი №2: "ჩამოთვალე ზღაპრის პერსონაჟები. არსებობენ თუ არა ასეთი არსებები?" ბარათი №3: "როგორია მთავარი გმირი? რა არის გმირის მიზანი? გახსენდებათ სხვა ნანარმოები, რომელშიც გმირებს ასეთი ან ამის მსგავსი მიზანი აქვთ?" ბარათი №4: "ვინ გაიმარჯვა ზღაპარში? ყოველთვის ასე ხდება ნანარმოებებში, რომლებსაც თქვენ კითხულობთ?" ეს კითხვები ერთგვარი ორიენტირების როლს ასრულებს.
3. მასწავლებელმა ყრის ბარათებს ქუდში ან პატარა ტომარაში, ყოფს კლასს ჯუფებად და სთხოვს თითოეული ჯგუფის წარმომადგენელს, ამოიღოს თითო ბარათი. აძლევს მითითებას, რომ თავიანთი პასუხები მიხედვით ამოიცნონ ზღაპრის კონკრეტული მახასიათებელი და შემდეგ აუხსნან თანაკლასელებს.
4. ჯგუფები პასუხს სცემენ ბარათზე მოცემულ კითხვებს.
5. ყველა ჯგუფიდან რიგრიგობით გამოდის თითო მოსწავლე, რომელიც მასწავლებლის როლს ირგებს და ცდილობს აუხსნას კლასს ზღაპრის ერთ-ერთი მახასიათებელი. შენიშვნა: აქტივობის ამ ეტაპზე მნიშვნელოვანია მასწავლებლის მონაწილეობა. მას შეუძლია დამხმარე კითხვებისა და რეპლიკების საშუალებით, საჭიროების შემთხვევაში, სწორ კალაპოტში ჩააყენოს "მასწავლებლის" მსჯელობა.
6. სამუშაოს შეჯამების მიზნით, მასწავლებელი მოსწავლეების დახმარებით დაფაზე დასკვნების სახით ჩამოწერს ზღაპრის ქანრულ მახასიათებლებს. მაგ.:
  - 1) ზღაპრების უმეტესობა იწყება სიტყვებით: "იყო და არა იყო რა..." და მთავრდება ასე: "ჭირი - იქა, ლხინი - აქა, ქატო - იქა, ფქვილი - აქა..."
  - 2) ზღაპრის პერსონაჟები ხშირად არიან ისეთი არსებები, რომლებიც რეალურ ცხოვრებაში არ არსებობენ.
  - 3) მთავარი გმირი ყოველთვის კეთილია. გმირის მიზანი ზღაპარში არის დევის ან გველებაბის დამარცხება, სატრიოს დახსნა და სხვ.
  - 4) ზღაპარში ყოველთვის კეთილი იმარჯვებს.

მოსწავლეები რვეულში ჩაიწერენ ამ თეზისებს.

**შეფასება:** ეს აქტივობა კომპლექსურია და კითხვასთან ერთად, ზეპირმეტყველების მიმართულებასაც მოიცავს. იგი აქტიური სწავლების პრინციპზეა აგებული და, ამდენად, მეტად მიზანშეწონილია განმავითარებელი შეფასების გამოყენება. ამ აქტივობის მიმდინარეობისას ფასდება, რამდენად კარგად შეუძლია მოსწავლეს

- ტექსტის ენობრივი, სტრუქტურული და შინაარსობრივი მახასიათებლების იდენტიფიცირება;
- წაკითხულის დაკავშირება რეალურ ცხოვრებასთან;
- წაკითხულის შედარება მისთვის ნაცნობ ტექსტებთან და მათ შორის არსებულ მსგავსება-განსხვავებებზე მსჯელობა;
- საკითხის დამუშავების საფუძველზე დასკვნების გამოტანა;
- აუდიტორიის წინაშე გამოსვლა და საკუთარი შეხედულების გაზიარება;
- აზრის გამართულად, ლოგიკურად ჩამოყალიბება;
- ჯგუფური მუშაობა.

**მეთოდური მითითება:** ამგვარი აქტივობების გამოყენება, ბუნებრივია, თავისუფლად არის შესაძლებელი უფრო მაღალ კლასებში, სხვა უანრის ნაწარმოებების მახასიათებლებზე დასაკვირვებლადაც. მოსახერხებელი იქნება მისი ადაპტირება VI.8. შედეგის მისაღწევადაც.

**ქართ. IV. 7. მოსწავლეს შეუძლია მხატვრული და არამხატვრული ტექსტების ძირითადი ენობრივ-გრამატიკული ნიშნების ამოცნობა.**

**აქტივობა №1: „ზმნიზედობანა“** (მეტყველების ნაწილების მართებულად გამოყენება წინადადების აგებისას და სხვადასხვა სამეტყველო სიტუაციაში).

**აქტივობის შესახებ:** ეს გრამატიკული აქტივობა, რომელიც შეიცავს თამაშის ელემენტებს, მასწავლებელს სთავაზობს მეთოდს, თუ როგორ შეიძლება აუხსნას მოსწავლეებს ვითარების ზმნიზედის ფუნქცია და გაავარჯიშოს ისინი მათ გამოყენებაში. ეს აქტივობა კომბინირებულია და მოიცავს ზეპირმეტყველების მიმართულებასაც.

**აქტივობის მიზანი:** მოსწავლეები

- გააცნობიერებენ, რომ ვითარების ზმნიზედა ახასიათებს ზმნით გამოხატულ მოქმედებას;
- ისწავლიან და დაიმახსოვრებენ -ად დაბოლოების მქონე ზმნიზედების მართლწერას;
- განიმტკიცებენ არავერბალური კომუნიკაციის უნარ-ჩვევებს

**რესურსები:** დაფა, ცარცი/ბორდმარკერი, ბარათები, საწერი კალმები.

**აქტივობის აღნერა:**

1. მოსწავლეები მასწავლებლის მეთვალყურეობით შეადგენენ ზმნების ჩამონათვალს წაკითხული ტექსტიდან. ეს ჩამონათვალი იწერება დაფაზე, მარცხენა მხარეს და იფარება დაფის ფრთით ან ქაღალდით.
2. ამის შემდეგ მასწავლებელი ზეპირად სთავაზობს მოსწავლეებს ერთ-ორ ნიმუშს (მაგ., სწრაფად/ მშვიდად...) და სთხოვს მათ უკარნახონ მსგავსი სიტყვები (ანუ -ად ბოლოსართის მქონე ზმნიზედები). მოსწავლეები კარნახობენ, მასწავლებელი კი ჩამოწერს მათ დაფაზე ზმნების ჩამონათვალის გასწვრივ, მარჯვენა მხარეს.
3. ამის შემდეგ მასწავლებელი გამოაჩენს დაფის მარცხენა მხარესაც. დაფაზე ჩამოწერილია ზმნებისა და ვითარების ზმნიზედების წყვილები.
4. მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, რიგორიგობით გამოვიდნენ დაფასთან და განასახიერონ ზმნით გამოხატულ მოქმედება ისე, როგორც ამას ზმნიზედა კარ-

ნახობს. მაგალითად, თუ ზმნა არის „ხტომა“, ხოლო ზმნიზედა - „ჩუმად“, მოსწავლე ხტება ჩუმად, ან თუკი ზმნა არის „ჭამს“, ხოლო ზმნიზედაა „ზანტად“, მოსწავლე ცდილობს განასახიეროს ზანტად ჭამა.

სასწავლო მიზნის შესაბამისად ეს აქტივობა შეიძლება სხვაგვარადაც დაიგეგმოს, მაგალითად: მასწავლებელი თავად ადგენს ზმნიზედების ჩამონათვალს, ბარათებზე წერს და მაგიდაზე აწყობს. მოსწავლე კითხულობს ზმნას დაფიდან და შემდეგ მაგიდიდან იღებს ერთ ბარათს. მოსწავლე ცდილობს განასახიეროს ზმნით გამოხატული მოქმედება ვითარების ზმნიზედის შესაბამისად. მოსწავლები კი ცდილობენ, გამოიცნონ ეს ზმნიზედა. კლასის წინაშე შემდეგი გამოდის ის მოსწავლე, რომელიც პირველი ამოიცნობს ზმნიზედას.

**შეფასება:** რადგანაც ეს აქტივობა გამიზნულია ახალი მასალის ასახსნელად, მისი მიმდინარეობისას მიზანშეწონილია განმავითარებელი შეფასების გამოყენება. მასწავლებელი აკვირდება მოსწავლებს, რამდენად

- აქტიურად არიან ისინი ჩართული საგაკვეთილო პროცესში;
- ამჟღავნებენ საბაზისო ცოდნას (ასახელებენ ზმნებს, -ად ბოლოსართიან სიტყვებს ზმნით გამოხატული მოქმედების დასახასიათებლად);
- აქტიურად იყენებენ თავიანთ ლექსიკურ მარაგს სიტყვების (ამ შემთხვევაში, ზმნიზედების) დასახელებისას;
- კარგად ფლობენ არავერბალური კომუნიკაციის უნარებს.

**მეთოდური მითითება:** აქტივობა შეიძლება შეიცავდს გროტესკულ ელემენტებსაც, რაც თავისთავად სახალისოა, მაგრამ, ამავე დროს, მოითხოვს განსაკუთრებულ ყურადღებას მასწავლებლისაგან. თუ მასწავლებელი შეატყობნს, რომ კლასის წინაშე ზმნის განსასახიერებლად გამოსული მოსწავლე ბარათის აღების შემდეგ უკმაყოფილოა და არა აქვს სურვილი, შეასრულოს დავალება, უნდა მისცეს მას საშუალება, თავად შეარჩიოს ზმნისა და ზმნიზედის წყვილი.

**ქართ. IV. 8. მოსწავლეს შეუძლია საკუთარი დამოკიდებულების გამოხატვა წაკითხული ტექსტის (მხატვრულის/არამხატვრულის) მიმართ; ავლენს ესთეტიკური და ეთიკური შეფასების სურვილს.**

**აქტივობა:** "საკლასო ბიბლიოთეკა" (ბიბლიოთეკისთვის წიგნების შერჩევა).

**აქტივობის შესახებ:** კითხვის მოტივაციის ასამაღლებლად ძალიან სასარგებლოა, რომ მოსწავლეებმა გაუზიარონ ერთმანეთს კითხვით გამოწვეული ემოციები, შთაბეჭდილებები, ურჩიონ ერთმანეთს, რა წიგნები წაიკითხონ და რატომ. ამ აქტივობის მოსამზადებლად და ჩასატარებლად შესაძლებელია მასწავლებელს 2-3 გაკვეთილი დასჭირდეს.

**აქტივობის მიზანი:** მოსწავლეები

1. გაიხსენებენ და დაასახელებენ მათთვის საყვარელ და საინტერესო წიგნებს;
2. ახსნიან, რატომ მოეწონათ ესა თუ ის წიგნი;
3. დაასაბუთებენ, თუ რატომ უნდა წაიკითხონ სხვებმაც მათი საყვარელი წიგნი;
4. შექმნიან საკლასო ბიბლიოთეკას.

**რესურსები:** წიგნები, ბარათები, პატარა ყუთი, დაფა, ცარცი/ბორდმარკერი, კომპიუტერი (თუ დაიგეგმება აქტივობის მომდევნო ეტაპიც).

**აქტივობის აღწერა:**

1. აქტივობის წინა დღეს ტარდება მოსამზადებელი სამუშაო. მასწავლებელი გაე-

საუბრება მოსწავლეებს და გამოკითხავს, რა წიგნები, მოთხოვბები, უურნალები წაიკითხეს ბოლო პერიოდში, რომელი მათგანი მოეწონათ ყველაზე მეტად და რამ დააინტერესა ისინი განსაკუთრებით. ამ საუბრის შემდეგ ის უხსნის მოსწავლეებს, რომ მათი ერთობლივი მიზანია საკლასო ბიბლიოთეკის შექმნა, რისთვისაც მათ დროებით უნდა მოიტანონ სკოლაში თავიანთი საყვარელი წიგნები და გამოცემები. შენიშვნა: წინასწარი გასაუბრება მასწავლებელს მისცემს საშუალებას, მეტ-ნაკლებად დაარეგულიროს პროცესი, რათა თავიდან აიცილოს ბიბლიოთეკისთვის შერჩეული წიგნების ერთფეროვნება (მაგ., მხოლოდ მხატვრული ლიტერატურა), აგრეთვე ისიც, რომ რამდენიმე მოსწავლემ ერთი და იგივე წიგნი არ მოიტანოს.

2. მეორე დღეს მოსწავლეებს მოაქვთ თავიანთი საყვარელი წიგნები და გამოცემები საკლასო ბიბლიოთეკისთვის (სასურველია, თითო მოსწავლემ თითო წიგნი მოიტანოს). ეს შეიძლება იყოს მხატვრული ლიტერატურა (წიგნი, ასევე მოთხოვბების, ლექსების, ზღაპრების კრებული, საბავშვო ლიტერატურული უურნალი და სხვ.), ასევე არამხატვრული და შემეცნებითი ლიტერატურა (საბავშვო შემეცნებითი უურნალი, საბავშვო ენციკლოპედია და მსგავსი გამოცემები).
3. მასწავლებელი მოსწავლეებს უსვამს კითხვებს და აძლევს საშუალებას, ისაუბრონ იმ წიგნის (თუ გამოცემის) შესახებ, რომელიც მოიტანეს, დაახასიათონ იგი, ისაუბრონ, რა მოეწონათ და რატომ. ძალიან მნიშვნელოვანია, რომ თითოეულმა მათგანმა დაასაბუთოს, თუ რატომ არის აუცილებელი, რომ სწორედ ეს წიგნი ინახებოდეს საკლასო ბიბლიოთეკაში და რატომ ურჩევს თანაკლასელებს, რომ მაინცდამაინც ეს წიგნი წაიკითხონ. შენიშვნა: უფრო მაღალ კლასებში შესაძლებელია მოსწავლეებმა მოაწყონ წინასწარ მომზადებული პრეზენტაციები.
4. ამის შემდეგ მოსწავლეები იწყებენ ბიბლიოთეკის კარტოთეკის შედგენას. ისინი ბარათებზე წერენ ინფორმაციას წიგნის შესახებ გარკვეული თანამიმდევრობით (სათაური, ავტორი/ავტორები, გვერდების რაოდენობა, თუ უურნალია, რომელი გამოცემა/ნომერია, გამოცემის წელი და ა.შ.). შენიშვნა: სასურველია, მასწავლებელმა წინასწარ გაამზადოს ბარათის შემთხვევაში თვალსაჩინოებისთვის. აქტივობის ამ ნაწილში მოსწავლეებმა შეიძლება იმუშაონ ჯგუფებშიც და დამოუკიდებლადაც.
5. მოსწავლეები შეავსებენ ბარათებს და აწყობენ შესაბამისი ზომის ყუთში ანბანის რიგის მიხედვით. პერიოდულ გამოცემებს და ენციკლოპედიებს მიუჩენენ ცალკე ადგილს. თავად წიგნებს ახარისხებენ და ალაგებენ საკლასო ოთახში სპეციალურად გამოყოფილ თაროზე, სადაც ცალკე აწყობენ მხატვრულ და არამხატვრულ ლიტერატურას, პერიოდულ გამოცემებს, ენციკლოპედიებს და ა.შ.

**შეფასება:** ამ აქტივობის მიმდინარეობისას ფასდება, შეუძლია თუ არა მოსწავლეს

- წაკითხული მხატვრული ნაწარმოების შეფასება ესთეტიკური თვალსაზრისით;
- სხვადასხვა სახის ტექსტის შეფასება ინფორმატიულობის თვალსაზრისით;
- წაკითხული ტექსტის ადეკვატურად შეფასება;
- საკუთარი შეხედულების სხვებისთვის გაზიარება და დასაბუთება;
- მსმენელის დარწმუნება;
- წიგნის/გამოცემის შესახებ ინფორმაციის შეკრება;
- ინსტრუქციის მიხედვით ანკეტის/კითხვარის შევსება;

- დამოუკიდებლად მუშაობა;
- (ბიბლიოთეკის ელექტრონული კატალოგის შექმნაში მონაწილეობა)\*

**მეთოდური მითითება:** კარგი იქნება, თუ კლასში ერთი-ორი თვის განმავლობაში მა-ინც შენარჩუნდება ბიბლიოთეკა. სასურველია, თუ მოსწავლეები ისარგებლებენ ამ ბიბლი-ოთეკით. მაღალ კლასებში ამ აქტივობის ბოლო ეტაპი შეიძლება იყოს ბიბლიოთეკის ელექ-ტრონული კატალოგის შექმნა.

**ქარ. IV. 9. მოსწავლეს შეუძლია მცირე ზომის მიზნობრივი ტექსტების სათანა-დოდ გაფორმება და ტექსტის არავერბალური ნაწილების ამოცნობა; ავლენს ტექსტის არავერბალური ინტერპრეტაციის უნარს.**

**აქტივობა №1: "ცოცხალი სურათები"** (Tableau Vivant) (იმპროვიზირებულ დადგმებში მონაწილეობა; უესტებისა და მიმიკების საშუალებით პერსონაჟის განსახიერება / ამოცნობა).

**აქტივობის შესახებ:** მოსწავლეები დგამენ წაკითხული ტექსტის ყველაზე მნიშვნელოვან ეპიზოდს. ეს გახლავთ კოსტიუმირებული უძრავი სცენა, რომელიც მხოლოდ ერთ კადრს წარმოადგენს და ნახევარი წუთი გძელდება. ამ აქტივობის მოსამზადებლად, სავა-რაუდოდ, მოსწავლეებს 2-3 დღე დასჭირდებათ.

#### აქტივობის მიზანი: მოსწავლეები

- შეძლებენ გამოარჩიონ ყველაზე მნიშვნელოვანი, სახასიათო ეპიზოდები წა-კითხული ნაწარმოებიდან;
- შეარჩევენ და დაამზადებენ სცენის/ეპიზოდის შესაბამის რეკვიზიტს და კოსტი-უმებს პერსონაჟებისთვის;
- უესტისა და მიმიკის მეშვეობით გადმოსცემენ პერსონაჟის ხასიათსა და გრძნო-ბებს;
- "სცენაზე" დეკორაციისა და მოთამაშეთა განლაგების საშუალებით წარმოადგე-ნენ სცენას ნაწარმოებიდან;
- ამოიცნობენ ნაწარმოებს, შესაბამის ეპიზოდს და პერსონაჟებს;
- შეაფასებენ ერთმანეთის ნამუშევარს.

**რესურსები:** კოსტიუმებისა და რეკვიზიტისთვის საჭირო მასალა.

#### აქტივობის აღწერა:

- მოსწავლეები იყოფიან ჯგუფებად. თავდაპირველად ირჩევენ ნაწარმოებს, რო-მელიც ბოლო პერიოდში ისწავლეს, რის შემდეგაც შეარჩევენ მათთვის სასურ-ველ სცენას/ეპიზოდს.
- ჯგუფები მუშაობენ ერთობლივად და თავადვე, ან უფროსის დახმარებით ქმნიან მარტივ კოსტიუმს, ან რეკვიზიტს. მოსწავლეები წინასწარ გადიან რეპეტიციებს.
- დანიშნულ დღეს მოსწავლეები გამოდიან სცენაზე ან საკლასო ოთახის შუაში და თითოეული მათგანი შეშდება გარკვეულ პოზაში.
- დანარჩენი მოსწავლეებმა უნდა გამოიცნონ ნაწარმოები, კონკრეტული ეპიზოდი და დაასახელონ ნარმოდგენილი პერსონაჟები.
- მას შემდეგ, რაც ყველა ჯგუფი წარმოადგენს ეპიზოდს, მოსწავლეები მსჯელო-ბენ, რომელი წარმოდგენა მოეწონათ ყველაზე მეტად, გასაგები იყო თუ არა პერ-სონაჟების ხასიათი, ემოცია, განიხილავენ კოსტიუმებს.

**შეფასება:** ამგვარი აქტივობით შეფასდება, შეუძლია თუ არა მოსწავლეს

- გაიაზროს ტექსტი, გამოყოს ყველაზე მნიშვნელოვანი ან სახასიათო ეპიზოდი;
- შერჩეული როლისთვის შექმნას კოსტიუმი, ნიღაბი (ან მათი ესკიზი) და დეკორაცია;
- როლის განსასახიერებლად ადეკვატურად გამოიყენოს ჟესტი, მიმიკა, გრძნობების გამომხატველი მინიშნებები;
- ამოიცნოს თანაკლასელის მიერ განსახიერებული პერსონაჟი და ნაწარმოების ეპიზოდი;
- შეაფასოს და გამოხატოს საკუთარი დამოკიდებულება წარმოდგენის მიმართ.

**მეთოდური მითითება:** წარმოდგენის მოსამზადებლად არ არის საჭირო, რომ მოსწავლეებმა ააწყონ სრული დეკორაცია ან შექმნან მთლიანი კოსტიუმები პერსონაჟების-თვის. საკმარისი იქნება მხოლოდ რამდენიმე საჭირო, სახასიათო დეტალის შექმნა და გამოყენება, რაც კიდევ უფრო მეტად წარმოაჩენს მათ შემოქმედებით უნარებს.

**კავშირი სხვა საგნებთან:** სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება.

**ქართ. IV. 10. მოსწავლეს შეუძლია სხვადასხვა სტრატეგიის გამოყენება ინფორმაციის მოსაძიებლად და კონკრეტული საკითხის დასამუშავებლად.**

**აქტივობა:** “რას ვაკეთებ კითხვის დაწყებამდე, კითხვის დროს და კითხვის დასრულების შემდეგ?” (კითხვის მარტივი სტრატეგიების ამოცნობა)

**აქტივობის შესახებ:** ეს აქტივობა მოსწავლეებს სთავაზობს კითხვის რამდენიმე მნიშვნელოვან სტრატეგიას და საშუალებას აძლევს მათ, დააკვრიდნენ და თავად განსაზღვრონ, თუ როდის არის მიზანშენონილი თითოეული მათგანის გამოყენება.

**აქტივობის მიზანი:** მოწავლეები

1. მოახერხებენ კითხვის იმ სტრატეგიების ამოცნობასა და სახელდებას, რომლებსაც ხშირად მიმართავენ;
2. შეძლებენ ამ სტრატეგიების კლასიფიცირებას კითხვის ეტაპების მიხედვით;
3. აითვისებენ კითხვის ახალ სტრატეგიებს.

**რესურსები:** დაფა, ცარცი/ბორდმარკერი, ბარათები, დაფის მაგნიტი.

**აქტივობის აღწერა:**

1. მასწავლებელი დაფაზე ხაზავს ცხრილს, რომელიც დაყოფილია სამ სვეტად (იხ. ცხრილი №1), ხოლო თავის მაგიდაზე აწყობს ამობრუნებულ ბარათებს, რომლებზეც ჩამონერილია კითხვის მარტივი სტრატეგიები:
  - ვიხსენებ, რა ვიცი ან რა მსმენია იმ თემაზე, რომელსაც ტექსტი ეხება (წინარე ცოდნის გააქტიურება);
  - ვაკვირდები ტექსტის სათაურს, ილუსტრაციებს და ვცდილობ გამოვიცნო ტექსტის შინაარსი (ვარაუდების გამოთქმა ტექსტის სათაურსა და ილუსტრაციებზე დაყრდნობით);
  - ვცდილობ გავიხსენო, ხომ არ მსმენია, გადამხდენია ან წამიკითხავს მსგავსი რამ (წაკითხულის საკუთარ გამოცდილებასთან, სხვა ტექსტთან დაკავშირება);
  - საკუთარი სიტყვებით ვყვები წაკითხულს (წაკითხულის საკუთარი სიტყვებით გადმოცემა);

## თავი IV. საინიციატივო აქტორები

- ფანქრით მოვნიშნავ იმ ადგილებს, რომლებიც ყველაზე მთავარია ტექსტში (მნიშვნელოვანი საკითხების გამოყოფა);
- ფანქრით მოვნიშნავ იმ ადგილებს, რომლებიც კარგად ვერ გავიგე და უნდა დავაზუსტო;
- ერთი მონაკვეთის წაკითხვის შემდეგ ვცდილობ გამოვიცნო, რა მოხდება შემდეგ (ვარაუდების გამოთქმა);
- როცა რომელიმე სიტყვის მნიშვნელობა ვერ ვიგებ, ვეძებ ლექსიკონში (ლექსიკონის გამოყენება) და სხვ.

**შენიშვნა:** მასწავლებელს შეუძლია გარკვეული ცვლილებები შეიტანოს ამ ჩამონათვალში (მაგ., დაუკავშიროს რომელიმე კონკრეტულ მასალას), ხოლო უფრო მაღალი კლასების მოსწავლეებისთვის განავრცოს ეს ჩამონათვალი სტანდარტის მოთხოვნების შესაბამისად.

კითხვის დაწყებაზე	კითხვის დროს	კითხვის შემდეგ

**ცხრილი №1**

- მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს დაფიქრდნენ, რას აკეთებენ ისინი კითხვის დაწყებამდე, როცა წინ უდევთ გადაშლილი წიგნი და აპირებენ რომელიმე მოთხოვნის, ლექსის, იგავ-არაკის, ზღაპრის ან საინფორმაციო-შემეცნებითი ტექსტის წაკითხვას, კითხვის დროს და ბოლოს, მოცემული ტექსტის წაკითხვის შემდეგ.
- ამის შემდეგ მასწავლებელი მორიგეობით იძახებს დაფასთან მოსწავლეებს. მათ უნდა აირჩიონ ბარათი, ხმამაღლა წაიკითხონ რა წერია მასზე და ბარათი მაგნიტის საშუალებით მიამაგრონ დაფაზე, საჭირო სვეტში (იხ. შევსებული ცხრილის ნიმუში, სურათი .....).

კითხვის დაწყებაზე	კითხვის დროს	კითხვის შემდეგ
ვიხსენებ, რა ვიცი ან რა მსმენია თემაზე, რომელსაც ტექსტი ეხება	ფანქრით მოვნიშნავ იმ ადგილებს, რომლებიც ყველაზე მთავარია ტექსტში	ვცდილობ გავიხსენო, ხომ არ მსმენია, გადამხდენია ან წამიკითხავს მსგავსი რამ

<p><b>ვაკვირდები</b> ტექსტის სათაურს, ილუსტრაციებს და ვცდილობ გამოვიცნო ტექსტის შინაარსი</p>	<p><b>ფანქრით მოვნიშნავ იმ ადგილებს, რომლებიც კარგად ვერ გავიგე და უნდა დავაზუსტო</b></p>	<p><b>საკუთარი სიტყვებით ვყვები წაკითხულს</b></p>
	<p><b>ერთი მონაკვეთის წაკითხვის შემდეგ ვცდილობ გამოვიცნო, რა მოხდება შემდეგ</b></p>	<p><b>როცა რომელიმე სიტყვის მნიშვნელობას ვერ ვიგებ, ვეძებ ლექსიკონში</b></p>

## ცხრილი №2

**შეფასება:** ამ აქტივობის უმთავრესი მიზანი კითხვის სტრატეგიების სწავლებაა. ამ-დენად, მისი მიმდინარეობისას სასურველია განმავითარებელი შეფასების გამოყენება. ამ აქტივობით შეიძლება შეფასდეს,

- აკვირდება თუ არა მოსწავლე საკუთარი კითხვის პროცესს;
- შეუძლია თუ არა მოსწავლეს მის მიერ გამოყენებული მარტივი სტრატეგიების იდენტიფიცირება;
- აკვირდება და ითვისებს თუ არა მოსწავლე კითხვის ახალ სტრატეგიებს.

**მეთოდური მითითება:** ეს აქტივობა ექსპლიციტურად სთავაზობს მოსწავლეებს კითხვის სტრატეგიების ჩამონათვალს. ამიტომ, ძალიან მნიშვნელოვანია, რომ მასწავლებელმა მათ მოსწავლისათვის გასაგები, მარტივი ენით მიაწოდოს დავალების პირობაც და თავად სტრატეგიების ჩამონათვალიც. არ არის სასურველი სპეციალური ტერმინოლოგი-ით გაჯერებული ტექსტების შეთავაზება. ამგვარი აქტივობების გამოყენება შესაძლებელია V და VI კლასებშიც.

**ქართ. IV. 11. მოსწავლეს შეუძლია სხვადასხვა სახის მცირე ზომის ტექსტის შეთხვა.**

**აქტივობები №№1-4: წერილი მეგობარს; წერილი მასწავლებელს; სიმულაციური წერილები.**

**აქტივობის შესახებ:** აქტივობები ფოკუსირებულია წერილობითი დიალოგური მეტყველების გრამატიკულ ელემენტებსა და ენობრივ-სტილისტურ ნორმებზე.

სასურველია, რომ წერითი სამუშაოები დაგავშირებული იყოს მოსწავლეებისათვის ნაცნობ, სახელმძღვანელოში დამუშავებულ თემებთან.

**აქტივობების მიზნები:**

- წერითი დიალოგური მეტყველებისათვის აუცილებელი გრამატიკული ელემენტების მართებულად გამოყენების უნარის განვითარება;
- წერითი დიალოგური მეტყველებისათვის დამახასიათებელი ენობრივ-სტილისტური ნორმების მართებულად გამოყენების უნარის განვითარება;
- ტექსტის ანალიზის უნარის განვითარება;
- ტექსტის ინტეპრეტაციისათვის საჭირო უნარ-ჩვევების გამომუშავება;
- ნარმოსახვის უნარის განვითარება;
- შემოქმედებითი უნარ-ჩვევების განვითარება;
- თვითგამოხატვა;
- თანამშრომლობის უნარის განვითარება.

**აქტივობების ორგანიზების ფორმა:** ინდივიდუულური/წყვილური.

**რესურსები:** კალამი, რვეული, ჟურნალ-გაზეთები, პროექტორი, ინტერნეტი.

### აქტივობების აღწერა:

სამუშაო საკითხით თავდაპირველად ზეპირმეტყველების დონეზე მუშავდება. ამ დროს აქცენტები უნდა გაკეთდეს: მიმართვის ფორმებზე, ზმნის დროებზე, მეორე პირის ფორმებზე; კითხვითი, თხრობითი და ბრძანებითი წინადადებების ინტონაციებსა და შესაბამის სასვენ ნიშნებზე.

ამის შემდეგ მასწავლებელი ასახელებს ერთ კონკრეტულ თემას და ავალებს მოსწავლებს ამ თემასთან დაკავშირებული წერილის დაწერას/ინტერვიუს ჩამორთმევას. მაგ; "ჩამოართვი ინტერვიუ იაკობ გოგებაშვილს თავისი ბავშვობის შესახებ"; "წარმოიდგინე, რომ სამოგზაუროდ წახვედი. მისწერე წერილი მეგობარს უცხო ქვეყნიდან".

მნიშვნელოვანია, რომ წერითი სამუშაოს დაწყებამდე მოსწავლეებს გავაცნოთ წერილის/ინტერვიუს ფორმატი. საამისოდ ყველაზე მარტივი გზა ნიმუშის დაფაზე დახატვაა, მაგრამ უფრო სახალისო და შემოქმედებითი იქნება, თუკი ინტერვიუს დაწერამდე მოსწავლეებს დაევალებათ, ამოჭრან ინტერვიუები ძველი ჟურნალ-გაზეთებიდან და შემდეგ ჯვეუფებში განიხილონ ისინი.

წერილების დაწერამდე (აქტივობის პირველ ნაწილში), შესაძლოა, მასწავლებელმა, პროექტორის მეშვეობით, მოსწავლეებს აჩვენოს სხვადასხვა ეპოქებში დაწერილი წერილების ნიმუშები.

მოსწავლეები იმსჯელებენ წერილის ფორმის თავისებურებებზე და მხოლოდ ამის შემდეგ მისწერენ წერილს ადრესატს შესაბამისი ფორმების გამოყენებით.

**სიმულაციური წერილები.** შესაძლებელია, მოსწავლეებს დაევალოთ სიმულაციური წერილების დაწერა. სიმულაციური წერილების დაწერისას მოსწავლეები თავს აიგივებენ ამა თუ იმ პერსონაჟთან, ისტორიულ პირთან, სხვ. წერილის ადრესატი შეიძლება იყოს ამავე (ან სხვა ნაწარმოების) პერსონაჟი, ესა თუ ის ისტორიული პირი.

სიმულაციური წერილების დაწერის მიზნით, შესაძლებელია მოსწავლეების დაწყვილებაც. ამ შემთხვევაში, მათ შეიძლება წერილები მისწერონ ერთმანეთს ამა თუ იმ პერსონაჟების სახელით - ვთქვათ, რაღაც საკითხის დასაზუსტებლად, თავიანთი ქცევის მოტივის განსამარტავად, სინანულის გამოსახატავად, მადლობის გადასახდელად, ბოდიშის მოსახდელად, რჩევის საკითხავად, თანაგრძნობის გამოსახატავად, სხვ. სიმულაციური წერილების დაწერა კარგ საშუალებას წარმოადგენს იმისათვის, რომ მოსწავლემ შეძლოს ტექსტის ინტერპრეტირების, საკუთარი დამოკიდებულების გამოხატვისათვის აუცილებელი უნარ-ჩვევების განვითარება; წარმოსახვის უნარის განვითარება. მაგ., მოსწავლეებმა შეიძლება

წერილები დაწერონ: ინგილო ქალისა და მეფე ერეკლეს სახელით - წარმოიდგინონ, რომ მეფე ერეკლემ ქორწილში მზითევთან ერთად მისალოცი წერილი გაუგზავნა ინგილო ქალს, ამ უკანასკნელმა კი მადლობის წერილი მისწერა მეფეს, სხვ.).

სწავლის შემდგომ საფეხურზე სიმულაციური წერილები შეიძლება დაიწეროს, ვთქვათ, ზურაბ ქართველაძისა და ნაიბის სახელით - დაწყვილებული მოსწავლეები წარმოიდგენენ, რომ ზურაბ ქართველაძე მოსაწვევ წერილს უგზავნის ნაიბსა და მის ცოლს რთველში დასაპატიჟებლად, ნაიბი კი საპასუხო სამადლობელ წერილს უგზავნის მას; მაგდანისა და ნაიბის ცოლის სახელით - მაგდანი წერილს წერს დამეგობრებულ ლეკ ქალს, ატყობინებს, რომ ქეთო თხოვდება და ინვევს ქორწილში, მისთ.

**აქტივობის ხანგრძლივობა:** 15-18 წუთი.

**შეფასება:** აქტივობებით ფასდება, შეუძლია თუ არა მოსწავლეს:

- წერითი დიალოგური მეტყველების ენობრივ-გრამატიკული საშუალებებისა და გრამატიკული ელემენტების მართებულად გამოყენება;
- ტექსტის სტრუქტურული ელემენტების ამოცნობა;
- წერისას ტექსტის შინაარსის ორგანიზება;
- შემოქმედებითი უნარ-ჩვევების გამოვლენა.

#### **აქტივობა №5: ინებეთ ბარათი.**

**აქტივობის შესახებ:** აქტივობა ემსახურება ტრადიციული (წერილობითი სახის) და მულტიმედია ტექსტების, აგრეთვე, ზეპირი გზით მიღებული ინფორმაციის გაგების, გააზრებისა და წერილობით შეფასების უნარების გამომუშავებას.

**აქტივობის მიზნები:**

- ტრადიციული და მულტიმედიური ტექსტების აღქმისა და ანალიზის უნარების განვითარება;
- ზეპირი ინფორმაციის აღქმისა და ანალიზის უნარის განვითარება;
- საკუთარი თვალსაზრისის/მოსაზრების/შეფასების წერილობით გადმოცემის უნარის განვითარება.

**აქტივობის ორგანიზების ფორმა:** ინდივიდუალური.

**რესურსები:** კალამი, ბარათი.

**აქტივობის აღწერა:**

გაკვეთილის დასრულებამდე 10 წუთით ადრე მასწავლებელი მოსწავლეებს დაურიგებს მცირე ზომის ფურცლებს/ბარათებს და სთხოვს: 1. გააფორმონ იგი (დააწერონ თავიანთი სახელი და გვარი, თარილი და ა. შ.); 2. მწყობრად და მართლწერის ნორმების დაცვით, დაწერონ თავიანთი აზრი (ერთი მცირე ზომის აბზაცი) იმის შესახებ, თუ რა ასწავლა და გააგებინა მათ ამ კონკრეტულმა გაკვეთილმა (მასწავლებლის მიერ წაკითხულმა ტექსტმა, ნანახმა ან მოსმენილმა ვიდეო/აუდიო მასალამ; მოწვეული სტუმრის მიერ ჩატარებულმა მინი-ლექციამ ან თანაკლასელის მიერ გაკეთებულმა პრეზენტაციამ); 3. რა დაამახსოვრდებათ, როცა კლასის კარებს მიიხურავენ. კლასიდან გასვლის წინ მოსწავლეები აბარებენ მასწავლებელს შევსებულ ფურცელს სიტყვებით: “ინებეთ ბარათი!”.

## ნიმუში:

აქტივობის ხანგრძლივობა: 10 წუთი.

**შეფასება:** აქტივობით ფასდება, შეუძლია თუ არა მოსწავლეს

- ტექსტის ვიდეო/აუდიომასალის, საუბრის შინაარსის ადეკვატური აღქმა;
  - საკუთარი დამოკიდებულებისა და დასკვნების წერილობით ჩამოყალიბება;
  - ნაწერის გამართვა სალიტერატურო ენის ნორმების მიხედვით.

## მეთოდური მითითებები:

- შევსებული ბარათები პედაგოგს ნათელ წარმოდგენას შეუქმნის იმის შესახებ, თუ რამდენადაა ჩართული მოსწავლე სასწავლო პროცესში.
  - დასახული შედეგის მისაღწევად, შეიძლება აგრეთვე გამოვიყენოთ აქტივობები: „წერილი მეგობარს/მასწავლებელს, ინტერვიუ“ (იხ. II. 12), „ხუთი კითხვა“ (იხ. II. 10). აქ ვგულისხმობთ მხოლოდ ამ აქტივობების ორგანიზების ფორმასა და წესს, რომელიც შეიძლება უცვლელი დარჩეს. რაც შეეხება მათ შინაარსობრივ მხარეს, იგი, ცხადია, უნდა შეიცვალოს შესწავლილი მასალისა და მოსწავლეთა ცოდნის დონის გათვალისწინებით.

**აქტივობა №6:** სიუჟეტის დამოუკიდებლად აგება (მოთხრობა; ზღაპარი; ”ჩემი თავ-გადასაცალი”).

**აქტივობის შესახებ:** აქტივობა (სრული სახით) 5 ეტაპს აერთიანებს. ამდენად, მის ჩა-  
ტარებას რამდენიმე გაკვეთილი უნდა დაეთმოს.

აქტივობის დიდი ნაწილი ეთმობა დათვალიერებას, ფიქრის პროცესში ჩანაშენების /ჩანაწერების გაკეთებას, ხატვას, ხაზვას, საუბარსა და მსჯელობას. ასე რომ, ამ შემთხვევაში, წერა/დაწერა წარმოგვიდგება, როგორც მხოლოდ შედეგი. საზოგადოდ, ფიქრების ვერბალიზება, გონიერებაში წარმოდგენილის დახატვა ძალზე უწყობს ხელს აზრის განვითარებისა თუ ჩამოყალიბების პროცესს და მთელი აქტივობის ისეთივე სრულფასოვანი და

მნიშვნელოვანი შემადგენელი ნაწილია, როგორც თავად წერის პროცესი.

აქტივობა ემსახურება მსჯელობის, თვითგამოხატვის, გამართული წერითი მეტყველებისა და შემოქმედებითი უნარ-ჩვევების გამომუშავებას.

#### აქტივობის მიზნები:

- თვითგამოხატვის უნარის განვითარება;
- წარმოსახვის უნარის განვითარება;
- შემოქმედებითი უნარ-ჩვევებისჩამოყალიბება;
- თანამშრომლობა;
- საპრეზენტაციო უნარ-ჩვევების განვითარება.

**აქტივობის ორგანიზების ფორმა:** ინდივიდუალური (პირველი, მესამე, მეოთხე, მეხუთე ეტაპები), ჯგუფური (მეორე ეტაპი).

**რესურსები:** სამუზეუმო ექსპოზიცია, რვეული, კალამი, ფერადი ფანქრები, დაფა, ცარცი.

#### აქტივობის აღწერა:

მასწავლებელი ათვალიერებინებს მოსწავლეებს რეპროდუქციებს (მაგ.: ფიროსმანის ნახატებს) ან მიჰყავს ქალაქის, რაიონის მუზეუმში (მხარეთმცოდნეობის, ეთნოგრაფიულ, ხელოვნების). მუზეუმში ყოფნისას მოსწავლეებს ეძლევათ გარკვეული დრო საიმისოდ, რომ არა მხოლოდ დაათვალიერონ ნახატები, ავეჯი, ორნამენტები, სამუშაო იარაღები და სხვ., არამედ ზოგი რამ გადახატონ, ჩაინერონ შთაბეჭდილებები, აღწერონ ნახატები და საგნები წერილობით, ყურადღება გაამახვილონ დეტალებზე და ჩაინიშნონ ისინი.

მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, რომ სამუზეუმო ექსპოზიციის საფუძველზე, შეთხან/მოიგონონ ამბები/ისტორიები, კერძოდ: ნახატებიდან/ექსპოზიციიდან აიღონ იდეები, ერთ ნახატზე გამოხატული ამბავი გადააბან მეორეს, ექსპონატები/ფოტოებზე გამოსახული პეიზაჟები, პორტრეტები დაუკავშირონ ერთმანეთს, გააერთიანონ დეტალები და ამბები.

ამგვარად, მოსწავლეების ფანტაზიას დიდი გასაქანი მიეცემა: მოსწავლეები ერთგვარად იმოგზაურებენ სხვა ეპოქაში, წარმოიდგენენ თავიანთი ამბების/ისტორიების გმირებს, გააცოცხლებენ მუზეუმში ნანახს. მუზეუმში ნანახის, შთაბეჭდილებების ჩაწერის, ცალკეული ექსპონატების, მუზეუმის ინტერიერის დეტალების გადახატვისა თუ გადახაზვის მეშვეობით, მოსწავლეები თავს მოუყრიან სიუჟეტის შექმნისთვის საჭირო მასალას (სამისოდ შეიძლება მუზეუმში ორი-სამი ექსკურსია დაიგეგმოს).

სკოლის დაბრუნებისას (აქტივობის მეორე ეტაპზე), მოსწავლეებმა უნდა მიიღონ მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება - შეარჩიონ მათი ნამუშევრების სიუჟეტი: საშიში, მხიარული, ბავშვებზე, მწყემსზე, მონადირეზე, ცხოველზე, თუ სხვ. მოიფიქრონ როგორი დასასრული ექნება - კეთილი თუ სევდიანი? სად გაიშლება მოქმედება? მოთხოვთ იქნება ეს თუ ზღაპარი, როგორი იქნება სათაური - თემატური თუ აზრობრივი? და ა.შ.

გადაწყვეტილების მისაღებად მასწავლებელი მოსწავლეებს მცირერიცხოვან ჯგუფებად დაყოფს. ჯგუფებს ეძლევათ გარკვეული დრო იმისათვის, რომ მოსწავლეებმა ერთმანეთს გააცნონ თავიანთი ჩანაწერები, იდეები და ჩამოაყალიბონ ზღაპრისა თუ მოთხოვთის სიუჟეტური მონახაზი (ყველა ჯგუფმა უნდა შექმნას საკუთარი, ორიგინალური სიუჟეტური მონახაზი). ამის შემდეგ თითოეული ჯგუფი თანაკლასელებს გააცნობს ერთობლივ ნამუშევარს. მასწავლებელი და მოსწავლეები ერთად გამოავლენენ საუკეთესო, ყველაზე ჩამოყალიბებულ, საინტერესო სიუჟეტს და შეთანხმდებიან, რომ მთელი კლასი დაწერს

სწორედ ამ სიუშეტური მონახაზის მიხედვით (შესაძლოა, საუკეთესო სიუშეტის გამოსავლენად ერთგვარი კონკურსიც მოეწყოს. ამ შემთხვევაში კარგი იქნება, თუკი მასნავლებელი დაფაზე ჩამონერს კრიტერიუმებს, რომლებსაც უნდა აკმაყოფილებდეს საუკეთესო სიუშეტი).

აქტივობის შემდეგი, მესამე ეტაპი წარმოადგენს უშუალოდ წერის პროცესს. მოსწავლეთა უკეთ ორიენტირების მიზნით, მასნავლებელმა შეიძლება დამატებით მოიშველიოს სხვა აქტივობებიც, როგორებიცაა, მაგ., „სუთი კითხვა: ვინ? სად? რა? როდის? რატომ?” (იხ. ზემოთ, II. 10.), „დავხატოთ - ალვნეროთ - დავწეროთ (იხ. ზემოთ, II. 11.). მოსწავლეები შეუდგებიან წერას - იწყებენ მოთხოვნის/ზღაპრის შეთხზვას.

მოთხოვნის/ზღაპრის შექმნის შემდეგ (აქტივობის მეოთხე ეტაპი) მასნავლებელი ამონმებს ნაწერებს, მოსწავლეებს აძლევს რჩევებს, უნერს კომენტარებს: როგორ ძეგვალოს ესა თუ ის ეპიზოდი, დაუმატოს პერსონაჟს დახასიათებისთვის ერთი-ორი დეტალი, გამართოს წინადადებები და ა. შ. მასნავლებლის კომენტარების გათვალისწინებით, მოსწავლეები შექმნიან თავიანთი ნაწერების მეორე რედაქციას, შეიტანენ შესწორებებს, დახვეწენ ტექსტს, გაასწორებენ შეცდომებს და ა. შ.

ნამუშევრების საბოლოო რედაქციის მომზადების შემდეგ, შესაძლებელია მოეწყოს მათი პრეზენტაცია (აქტივობის მეხუთე ეტაპი), რომლის დროსაც მოსწავლეები მთელი კლასის წინაშე წაიკითხავენ თავიანთ ნაწარმოებებს. პრეზენტაციას შეიძლება ესწრებოდნენ მოწვეული სტუმრებიც: მშობლები, სკოლის მასნავლებლები, მუზეუმის თანამშრომლები და ა. შ. აუდიტორია ტაშით აჯილდოვებს ავტორებს.

შესაძლებელია, მოთხოვნების ხელნაკეთი/ხელნაბეჭდი კრებულის მომზადებაც, რომელსაც მოსწავლეები ილუსტრაციებს დაურთავენ.

#### **შეფასება: აქტივობით ფასდება, შეუძლია თუ არა მოსწავლეს**

- შთაბეჭდილებების, აზრების წერილობით დაფიქსირება კომენტარის სახით;
- წერითი მეტყველების დროს სიუშეტის აგება და განვითარება;
- წარმოსახვის უნარის გამოვლენა;
- თვითგამოხატვა;
- თემის, უნარის, აუდიტორიის შერჩევა და გათვალისწინება, არსებითი მომენტების გამოკვეთა, დეტალებზე აქცენტის გაკეთება;
- ფაქტის/მოვლენის აღწერა;
- პერსონაჟის დახასიათება;
- ტექსტის გამართვა სალიტერატურო ენის ნორმების მიხედვით, რედაქტირება;
- თანამშრომლობა.

#### **მეთოდური მითითებები:**

- მიუხედავად იმისა, რომ მოსწავლეები ამბავს თხზავენ ერთი სიუშეტური მონახაზის მიხედვით, მათ სრული თავისუფლება უნდა ჰქონდეთ დეტალების გამოსახვისას (მუზეუმში მიღებული შთაბეჭდილებებიდან), რათა ყველა ნამუშევარი ორიგინალური, რაღაცით გამორჩეული და თავისთავადი იყოს.
- მოსწავლეებს საკმარისი დრო უნდა ჰქონდეთ ხატვისთვის, ჯგუფური მსჯელობისთვის, სიუშეტის დეტალური და თანამიმდევრული მოყოლისთვის (კონკურსის დროს). წინააღმდეგ შემთხვევაში, ისინი ვერ შეძლებენ ნააზრევის, განცდილისა და წარმოსახულის წერილობით ფორმულირებას (ამასთან დაკავშირებით იხ. აგრეთვე ზემოთ, „აქტივობის შესახებ“).

- პრეზენტაციის ჩატარებამდე, მოსწავლეებს შეიძლება დაევალოთ მოსაწვევი ბარათების შეთხზვა და გაფორმება.

**კავშირი სხვა საგნებთან:** აქტივობა ინტეგრირებული სახვით და გამოყენებით ხელოვნებასთან.

#### აქტივობა №7: მარტივი დარგობრივი ტექსტების შედგენა.

**აქტივობის შესახებ:** აქტივობა გამოიყენება წერის წინა ეტაპზე. იგი კომპლექსური სახისა - ფარავს ზეპირმეტყველების, კითხვისა და წერის მიმართულებებს. აქტივობა ემსახურება ტექსტის ანალიზის უნარ-ჩვევების გამომუშავებას; ხელს უწყობს მოსწავლეთა ლექსიკური მარაგის შევსებას.

#### აქტივობის მიზნები:

- ტექსტიდან ინფორმაციის ამოკრების, გაანალიზებისა და ორგანიზების უნარ-ჩვევების განვითარება;
- ინფორმაციის დახარისხებისა და ორგანიზების მიზნით გრაფიკული მაორგანიზებლის გამოყენების უნარ-ჩვევების გამომუშავება;
- შემოქმედებითი უნარ-ჩვევების განვითარება;
- ლექსიკური მარაგის შევსება.

**აქტივობის ორგანიზების ფორმა:** მთელი კლასის მონაწილეობით (პირველი ნაწილი), ინდივიდუალური (მეორე ნაწილი).

**რესურსები:** დაფა, ცარცი/მარკერი, კალამი, რვეული, საინფორმაციო სტატიები.

**აქტივობის აღწერა:** მოსწავლეებს დაევალებათ მცირე ზომის საინფორმაციო/დარგობრივი სახის ტექსტის დამუშავება. დაუუშვათ, რომ ამ ტექსტის თემაა მტაცებელი ცხოველები. მოსწავლეების ამოცანას წარმოადგენს ტექსტის გაანალიზება; საჭირო ინფორმაციის ამოკრება, დახარისხება და ორგანიზება. მოსწავლეების საორიენტაციოდ / ნიმუშის საჩვენებლად მასწავლებელი დაფაზე გამოსახავს შემდეგი სახის მარტივ სქემას:

#### ნიმუში.

	სად ცხოვ-რობს?	როგორ გადაადგილდება?	რით იკვებება?	შეფერილობა	გამორჩეული თვისება
I მტაცებელი ცხოველი					
II მტაცებელი ცხოველი					
III მტაცებელი ცხოველი					

მასწავლებელი განუმარტავს მოსწავლეებს სქემის შევსების წესს და სანიმუშოდ ერთი მონაცემით შეავსებს მას. მოსწავლეები გადაიხაზავენ სქემას რვეულებში და შეუდგებიან მის შევსებას. სამუშაოს დასრულების შემდეგ გაიმართება ზეპირი მსჯელობა, რომლის დროსაც მოსწავლეებს საშუალება ექნებათ გადაამოწმონ თავიანთი ნამუშევრები.

ამის შემდეგ მასწავლებელი დაავალებს მოსწავლეებს, თავად მოიძიონ ინფორმაცია მათვის სასურველ ცხოველზე / ფრინველზე. დაამუშაონ ინფორმაცია აღნიშნული სქემის მიხედვით და დაწერონ ამავე ტიპის ტექსტი.

**შეფასება:** აქტივობით ფასდება, შეუძლია თუ არა მოსწავლეს

- ტექსტის გაანალიზება;
- ტექსტიდან საჭირო ინფორმაციის ამოკრება, დახარისხება და ორგანიზება;
- გრაფიკული მაორგანიზებლის სათანადოდ გამოყენება;
- საყრდენების დახმარებით მცირე ზომის მარტივი დარგობრივი ტექსტის შექმნა;
- დარგობრივი ლექსიკური ერთეულების სათანადოდ გამოყენება.

**მეთოდური მითითება:** ზემოთ წარმოდგენილი სქემის შეკითხვები შეიცვლება დასამუშავებლად შერჩეული დარგობრივი ტექსტის თემის შესაბამისად, ამ უკანასკნელის სპეციფიკიდან გამომდინარე, შეიძლება შეიცვალოს აგრეთვე სქემაც - შემცირდეს ან გაიზარდოს სვეტებისა და მწერივების რიცხვი.

**ქართ. IV. 12. მოსწავლეს შეუძლია შესწავლილი ტექსტის შინაარსის დაწერა; ავლენს თვითგამოხატვის სურვილს.**

**აქტივობა №1. ეპიზოდის აღწერა.**

**აქტივობის შესახებ:** აქტივობა კომპლექსური სახისაა და ფარავს კითხვის, ზეპირ-მეტყველებისა და წერის მიმართულებებს. იგი გამოიყენება წერის წინა ეტაპზე და ხელს უწყობს ტექსტის შინაარსისა და გაანალიზების უნარების გამომუშავებას, რისთვისაც, სხვათა შორის, იყენებს არავერბალურ საშუალებებს.

**აქტივობის მიზნები:**

- ტექსტის შინაარსის ადეკვატურად გადმოცემა არავერბალური გზით (ნახატის მეშვეობით);
- შინაარსის წერილობით გადმოცემის უნარ-ჩვევების განვითარება;
- თვითგამოხატვის უნარ-ჩვევების განვითარება;
- ვერბალური და არავერბალური ინფორმაციის აღქმის, ერთმანეთთან დაკავშირებისა და ერთიან კონტექსტში გააზრების უნარ-ჩვევების განვითარება; ზეპირ-მეტყველების განვითარება;
- მეტაკოგნიტური უნარების (ურთიერთშეფასების) უნარის განვითარება.

**აქტივობის ორგანიზების ფორმა:** ინდივიდუალური.

**რესურსები:** ტექსტი/ილუსტრაცია, სახატავი ქაღალდები, ფერადი ფანქრები/ფლომასტერები, რვეული, კალამი.

**აქტივობის აღწერა:**

წერილობით აღწერას შეიძლება წინ უძლოდეს კითხვა, ილუსტრაციის დათვალიერება, ეპიზოდის დეტალურად დახატვა. ხატვისას მოსწავლეები ყურადღებას გაამახვილებენ ნიუანსებზე, რაც ტექსტის გაეგებასა და აღქმას ძალზე შუნყობს ხელს. მნიშვნელოვანია, რომ მოსწავლეებმა კლასის წინაშე წარმოადგინონ თავიანთი ნახატები - თანაკლასელების შენიშვნების გათვალისწინებით, ისინი დაამატებენ ნაკლულ ინფორმაციას, შეუდარებენ ნახატებს ერთმანეთს, იმსჯელებენ მათზე.

ზეპირი მსჯელობის შემდეგ მოსწავლეებს დაევალებათ, წერილობით გადმოსცენ ეპიზოდის შინაარსი.

**აქტივობის ხანგრძლივობა:** 17-18 წუთი.

**შეფასება:** აქტივობით ფასდება, შეუძლია თუ არა მოსწავლეს

- დავალების მიზნის განსაზღვრა;

**თავი IV. სახილშემოსავალი**

- ვერბალური ინფორმაციის გადმოცემა არავერბალური გზით;
- დეტალური ცურადლების გამახვილება;
- ზეპირმეტყველების დონეზე აზრის ჩამოყალიბება და დასაბუთება;
- წერის დროს აღსანერი მასალის თანამიმდევრობის დაცვა;
- ადეკვატური ლექსიკის გამოყენება;
- სალიტერატურო ენის ნორმების დაცვა, სასვენი ნიშნების მართებულად გამოყენება.

**კავშირი სხვა საგნებთან:** შესაძლებელია ინტეგრირება სახვით და გამოყენებით ხელოვნებასთან.

**აქტივობა №2. გმირის დახასიათება.**

**აქტივობის შესახებ:** აქტივობა ემსახურება ტექსტის ანალიზის შედეგად მიღებული დასკვნებისა და შესაბამისი არგუმენტების წარმოდგენის უნარ-ჩვევების გამომუშავებას (გრაფიკული სქემის გამოყენებით).

**აქტივობის მიზნები:**

- ტექსტის ანალიზის უნარ-ჩვევების განვითარება;
- ანალიზის შედეგების სქემატური სახით წარმოდგენის უნარ-ჩვევების განვითარება;
- ლოგიკური აზროვნების უნარ-ჩვევების განვითარება.

**აქტივობის ორგანიზების ფორმა:** ინდივიდუალური/წყვილური/ჯგუფური.

**რესურსები:** ტექსტი, გრაფიკული ორგანიზების სქემა, კალამი.

**აქტივობის აღწერა:** პერსონაჟის დახასიათების ტრადიციული გეგმის შედგენამდე ან მის ნაცვლად, შესაძლებელია, გამოვიყენოთ გრაფიკული მაორგანიზებლები.

**ნიმუში:**

ნაწარმოების სათაური \_\_\_\_\_



პერსონაჟი \_\_\_\_\_

ფიქტობის \_\_\_\_\_

აკეთებს \_\_\_\_\_

ამბობს \_\_\_\_\_

გრძნობს \_\_\_\_\_

შედეგი \_\_\_\_\_

გმირის მიზანი \_\_\_\_\_

სანამ მოსწავლეები მუშაობას შუდგებიან, მასწავლებელმა უნდა განმარტოს ამ კოგნიტური სქემის შესების წესი - მიუთითოს მოსწავლეებს, რომ თავიანთი ფორმულირებების გარდა, მათ ტექსტიდან უნდა ამონერონ ციტატები, შეადგინონ გმირის ქმედებების, გრძნობების, გამოთქმების ჩამონათვალი.

აქტივობა შეიძლება განხორციელდეს როგორც ინდივიდუალურად, ასევე წყვილებსა და ჯგუფებში. მუშაობის დასრულებას უნდა მოჰყვეს საერთო საკლასო მსჯელობა, რომლის დროსაც მოსწავლეები გაუზიარებენ ერთმანეთს ნაფიქრს და გამორჩენილი ინფორმაციით შეავსებენ თავიანთ სქემას. მოგვიანებით, სქემაში ორგანიზებული ინფორმაციის მეშვეობით, მოსწავლეები დახასიათების უფრო ვრცელ და ჩამოყალიბებულ ვერსიას შექმნიან.

აქტივობის ხანგრძლივობა: 13-15 წუთი.

**შეფასება:** აქტივობით ფასდება, შეუძლია თუ არა მოსწავლეს

- წერითი დავალების ამოცანის განსაზღვრა;
- ტექსტის შინაარსის არსებითი მომენტების განსაზღვრა/გამოკვეთა, დეტალების მოშველიება;
- საკუთარი თვალსაზრისის ფორმულირება;
- ანალიზის შედეგების წარმოდგენა გრაფიკული სქემის გამოყენებით.

**მეთოდური მითითება:** ზემოთ წარმოდგენილი სქემა (ორ ეგზემპლარად) მოსწავლეებმა შეიძლება გამოიყენონ, აგრეთვე, პერსონაჟების შეპირისპირებითი დახასიათების დასაწერად.

**კავშირი სხვა საგნებთან:** გრაფიკული მაორგანიზებლის გამოყენება ავითარებს ანალიზისა და, ზოგადად, ლოგიკური აზროვნების ტრანსფერულ უნარ-ჩვევებს, რომლებიც აუცილებელია ნებისმიერი ჰუმანიტარული, საბუნებისმეტველო და ზუსტი მეცნიერებების შესწავლის დროს.

აქტივობა №3: პერიფრაზისა და კომენტარის "წიგნაკები".

**აქტივობის შესახებ:** აქტივობა ემსახურება ტექსტის ანალიზისა და ლოგიკური აზროვნების უნარ-ჩვევების გამომუშავებას; აგრეთვე საკუთარი დამოკიდებულების /თვალსაზრისის / დასკვნების / დამოკიდებულების გამოხატვის უნარ-ჩვევების გამომუშავებას. აქტივობა მნიშვნელოვან დახმარებას გაუწევს მოსწავლეებს წერის წინა ეტაპზე.

აღნიშვნილი აქტივობის შემთხვევაში, "წიგნაკი" პირობით სახელწოდებას წარმოადგენს, კერძოდ, "წიგნაკი" აქ გულისხმობს მარტივ მაორგანიზებელ ცხრილს, რომელიც დაეხმარება მოსწავლეებს ტექსტის შინაარსის აღქმაში, გაანალიზებაში, საკუთარი თვალსაზრისის/შეხედულებების/დამოკიდებულების ჩამოყალიბებაში (ცხრილების ნიმუშები წარმოდგენილია ქვემოთ. იხ. "აქტივობის აღწერა"). აქტივობის ჩასატარებლად მოსწავლეებმა ცხრილი რვეულებში უნდა გადაიხაზონ.

**აქტივობის მიზნები:**

- მოსწავლეთა ლექსიკური მარაგის გამდიდრება;
- ტექსტის შინაარსის გააზრებისა და ანალიზის უნარ-ჩვევების განვითარება;
- საკუთარი დამოკიდებულების/თვალსაზრისის ზეპირად და წერილობით გამოხატვის უნარ-ჩვევების განვითარება.

**აქტივობის ორგანიზების ფორმა:** ინდივიდუალური/ჯგუფური/წყვილური.

**რესურსები:** ცხრილი, კალამი, რვეული, ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი (შესაძლებელია სახელმძღვანელოზე დართული ლექსიკონის გამოყენებაც).

### აქტივობის აღნერა:

ტექსტების დამუშავების დროს, მოსწავლეებს დავალებად ეძლევათ, შეავსონ ორი წიგნაკი - "პერიფრაზისა და განმარტების წიგნაკი" და "კომენტარის წიგნაკი".

"პერიფრაზისა და განმარტების წიგნაკის" შევსებისას მოსწავლეებმა, ციტირების წესების დაცვით, ტექსტიდან უნდა ამონერონ ის ადგილები, რომლებშიც უცხო სიტყვები, იდიომები, არქაიზმები შეხვდებათ, გასწვრივ კი უნდა მიუწერონ თავიანთი სავარაუდო განმარტებები და/ან პერიფრაზი (თუნდაც მცდარი), რომლებსაც ისინი დაწერენ კონტექსტზე დაყრდნობით.

**ნიმუში 1: "პერიფრაზისა და განმარტების წიგნაკი".** ტექსტი: იროდიონ ევდოშვილი, „რას გალობს შაშვი“?

(მოსწავლის ნამუშევრის სტილი დაცულია)

ციტატა:	განვითარება, პერიფრაზი:
„ნუთუ ამ ყიამათში არავინ შემიბრალებს...“	<u>ყიამათი</u> არის ალბათ დიდ უბედურება და გასაჭირი
„....ხარებისთვის ბზე დაეყარათ.“	<u>ბზე</u> - იქნება ხარების საჭმელი
„....მტერი თურმე ჩვენს დაარხეონებას უცდიდა.“	<u>დაარხეონებას</u> - გაძლომას
„....როგორც ბელადი, გავუძეხი წინ ჩემს ამხანაგებს ...“	<u>ბელადი</u> - ვინც ამხანაგების წინ მიდის ასე მგონია
„ზევიდან დამაწვა ლასტი...“	<u>ლასტი</u> - ალბათ ხანფანგია
„....მათ რამდენიმე გროში აჩუქა...“	<u>გროში</u> - კამფეტი ან საჩუქარი
„....არ მინდა მე თქვენი ლალა-ძიძაობა...“	<u>ლალა-ძიძაობა</u> - მოფერება და პატივისცემა.

ცხრილის შევსების შემდეგ მასაწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, მოძებნონ სათანადო სიტყვა ლექსიკონში და შეადარონ თავიანთი განმარტება ლექსიკონის განმარტებას.

### ჩემი და სალექსიკონო განვითარებები:

ყიამათიარის ალბათ დიდ უბედურება და გასაჭირი (არ ყოფილა სწორი - სიცივე!!!)

ბზე - იქნება ხარების საჭმელი (პურეულის ნალენი)

დაარხეონებას - გაძლომას (არა!!! უდარდელად ყოფნას, უზრუნველად ყოფნას, მოდუნებას)

**ბეჭდადი -** ვინც ამხანაგების წინ მიდის ასე მგონია (ხალხის წინამღლი, ლიდერი)

**ლასტი -** ალბათ ხანფანგია (წნელით დაწნული კალათასავით)

**გროში -** კამფერტი ან საჩუქარი (ფული ყოფილა)

**ლალა-ძიძაობა -** მოფერება და პატივისცემა. (სწორიაააა!)

## 2. ”კომენტარის წიგნაკი”.

”კომენტარის წიგნაკი” წარმოადგენს ”პერიფრაზისა და განმარტების წიგნაკის” გართულებულ ვარიანტს. ამ შემთხვევაში მოსწავლეებს ევალებათ, რომ დასამუშავებელი ტექსტიდან ამოილონ რაიმე აზრი, ავტორის რემარკა, მოქმედი პირის მახასიათებელი პასაჟით სხვა (ციტატის ან პერიფრაზის სახით) და გვერდით მიუწერონ თავიანთი კომენტარი. კომენტარი ამ შემთხვევაში შეიძლება იყოს მოსწავლის სუბიექტური შეფასება, ანალოგია, პარალელი, პირად გამოცდილებასთან იდენტიფიცირება, საკითხის განზოგადება თუ სხვ.

”განმარტებისა და პერიფრაზის წიგნაკისგან“ განსხვავებით, ”კომენტარის წიგნაკი“ უფრო ანალიზისკენაა მიმართული. თუ განმარტების დროს მოსწავლე მხოლოდ ავტორის ნააზრევის და/ან შინაარსის წვდომასა და სხვაგვარი ფორმულირებით გადმოცემას ცდილობს, კომენტირებისას მოთხოვნა იცვლება - მოსწავლე ავითარებს საკუთარ იდეებს, აყალიბებს მათ, პოულობს ზუსტ ვერბალურ ფორმულირებებს, სიცხადესა და სიზუსტეს სძენს თავის მოსაზრებას, რასაც, შემდგომ, წერის მეორე ეტაპზე, დასრულებული ფორმატის ნაწერში (შინაარსის დაწერა, დახასიათება და ა. შ.) უფრო ჩამოყალიბებულად და ვრცლად წარმოადგენს.

**ნიმუში 2: ”კომენტარის წიგნაკი”** (მოსწავლის ნამუშევრის სტილი დაცულია).

ავტორის ნათევამი:	ჩვენი კომენტარი:
1) „უცებ თავზე რაღაცა დამეცა. ჩემმა ამხანაგებმა გაასწრეს, მე კი ვფართხალებდი, მინდოდა თავი გამეთავისუფლებინა, მაგრამ ვერ შევძელი; ზევიდან დამაწვა ლასტი, რომელიც ბიჭებს ისე ეშმაკურად დაეგოთ, რომ ვერავინ შევამჩნიეთ.“	მე შაშვი ძალიან შემეცოდა. და ბიჭები კიდე ბოროტები იყვნენ რომ არ შეეცოდათ ისე-დაც მშიერი და ცოდო შაშვი.
2) ”მართალია, მე აქ საჭმელი არ მაკლია, შაქარსაც კი მომართმევენ ხოლმე, მაგრამ ყველა ეს ჩემთვის უგემურია, შხამია! არა, არ მინდა მე თქვენი ლალა-ძიძაობა, გამიშვით აქედან, რომ მეც ჩავუჭიკიკო გაზაფხულის აყვავებულ ტყე-ველს!“	შაშვი ვაჟაცია და თავისი ამხანაგები ურჩევნია ადამიანებთან გალაში ჯდომას. არ უნდა მე ერთი მულტფილმი მაქვს ნანახი მუსტანგებზე და იქაც ადამიანები ცდილობენ რომ დაატყვევონ მუსტანგი და უნაგირი დაადგან, მაგრამ მუსტანგი მაინც გარბის და თავის მეგობრებთან უნდა და შაშვიც ასეა იმიტო რო ამბობს ეს შაქარიც და საჭმელიც ჩემთვის შხამია.

"წიგნაკებზე" მუშაობა შეიძლება წარიმართოს ინდივიდუალურად, მასწავლებლის მიერ გამოყოფილი დროის განმავლობაში. მუშაობის დასრულების შემდეგ მოსწავლეები წაიკითხავენ თავიანთ ნაწერს და იმსჯელებენ კომენტარის/პერიფრაზის ძლიერ და სუსტ მხარეებზე.

"წიგნაკების" შევსებისა და მათი განხილვის შემდეგ, მოსწავლეები მზად არიან წერითი დავალების (ტექსტის შინაარსის, პერსონაჟის დახასიათების და ა.შ.) დასაწერად.

"პერიფრაზისა და კომენტარის წიგნაკებზე" მუშაობა ეფექტიან საკლასო აქტივობად იქცევა ჯგუფებში ან წყვილებში თანამშრომლობით. ამ შემთხვევაში მასწავლებელი კლასს წყვილებად დაყოფს.

დავუშვათ, კლასი დაიყო წყვილებად. პირველ წყვილს მასწავლებელი დაავალებს მხოლოდ "პერიფრაზის წიგნაკებზე" მუშაობას, მეორეს კი - "კომენტარის წიგნაკებზე." "წიგნაკების" შევსების შემდეგ წყვილები წარმოადგენს თავიანთ ნაწერებს და აანალიზებენ მათ. ამავე გზით წარიმართება მუშაობა კლასის ჯგუფებად დაყოფის შემთხვევაშიც: ჯგუფების ერთი ნაწილი "პერიფრაზის წიგნაკებზე" იმუშავებს, მეორე კი "კომენტარის წიგნაკებზე."

სამივე შემთხვევაში (ინდივიდუალური აქტივობა, წყვილური აქტივობა, ჯგუფური აქტივობა) "წიგნაკების" შევსებას უნდა მოსდევდეს ჩანაწერების საერთო საკლასო განხილვა.

აქტივობის ხანგრძლივობა: 17-18 წუთი.

**შეფასება:** აქტივობით ფასდება, შეუძლია თუ არა მოსწავლეს

- წერითი დავალების ამოცანის განსაზღვრა;
- ტექსტის გაანალიზება;
- პირადი თვალსაზრისის/დამოკიდებულების გამოხატვა ზეპირად და წერილობით;
- გამართული სინტაქსური კონსტრუქციების აგება, სასვენი ნიშნების მართებულად გამოყენება;
- მრავალფეროვანი ლექსიკის გამოყენება, ციტირება;
- თანამშრომლობა.

**მეთოდური მითითება:** მნიშვნელოვანია, რომ "წიგნაკების" შევსებას მათი ზეპირი განხილვა და მსჯელობა მოჰყვეს - ეს შეიძლება მოსწავლეებს დაეხმაროს ახალი იდეების, ხედვისა და მიდგომების გამომუშავებაში.

**აქტივობა №4. გრაფიკული მაორგანიზებლები: ვენის დიაგრამა.**

**აქტივობის შესახებ:** აქტივობა ემსახურება ლოგიკური აზროვნების უნარ-ჩვევების გამომუშავებას გრაფიკული მაორგანიზებლის გამოყენების გზით. ქვემოთ წარმოდგენილი იქნება გრაფიკული მაორგანიზებლის ერთი ნიმუში - ე.წ. ვენის დიაგრამა<sup>3</sup>. დაწვრილებით გრაფიკული მაორგანიზებლების შესახებ იხ. დანართი 2 ("არამხატვრული ტექსტების 4 ტიპი და მათი გრაფიკული მაორგანიზებლები").

**აქტივობის მიზნები:** აქტივობა ემსახურება ტექსტის ანალიზის, ანალიტიკური და ლოგიკური აზროვნების უნარ-ჩვევების გამომუშავებას. იგი გამოიყენება წერის წინა ეტაპზე.

<sup>3</sup> ჯონ ვენი (1834-1923 წწ.) - ინგლისელი ფილოსოფოსი, ლოგიკოსი. ვენის მიერ შემუშავებული დიაგრამა (ე.წ. ვენის დიაგრამა) გამოიყენება მეცნიერების მრავალ სფეროში: სიმრავლეთა თეორიაში, ალბათობის თეორიაში, ლოგიკაში, სტატისტიკაში, ინფორმატიკაში.

**აქტივობის ორგანიზების ფორმა:** ინდივიდუალური/წყვილური/ჯგუფური.


**რესურსები:** დაფა, ცარცი, რვეული, კალამი, ტექსტი.

**აქტივობის აღნერა:** საკითხის/ტექსტის დამუშავების დროს ან დამუშავების შემდეგ, მასწავლებელი დაფაზე გამოსახავს ვენის დიაგრამას, უხსნის მოსწავლეებს დიაგრამის გამოყენების წესს და დაავალებს მის შევსებას.

შევსების შემდეგ აუცილებელია მოსწავლეთა ჩანაწერების განხილვა, რათა მოსწავლეებმა შეძლონ ინფორმაციის დაზუსტება, გადამოწმება, შესწორება, გავრცობა და ა. შ. აქტივობა შეიძლება განხორციელდეს როგორც ინდივიდუალურად, ასევე წყვილებში და პატარა ჯგუფებში.

ამ გზით მზადდება ნიადაგი შედარებით ვრცელი და ჩამოყალიბებული წერითი დავალების შესასრულებლად.

**ნიმუში:** ვენის დიაგრამა.



გრაფიკული მაორგანიზებლის, ვენის დიაგრამის დახმარებით, შეგვიძლია გავაანალიზოთ ორი ან მეტი საგანი/მოვლენა/ფაქტი/ცნება და მისთ. გრაფიკულად დიაგრამა, მარტივი ფორმით, წარმოადგენს ორ ურთიერთგადამკვეთ წრეს.

ვენის დიაგრამა წარმატებით შეიძლება გამოვიყენოთ ტექსტის ანალიზის, პერსონაჟების/ისტორიული პირების/მითოლოგიური გმირების, მისთ. შედარებითი დახასიათების დროს. დიაგრამის შევსება ნათელ წარმოდგენას შეუქმნის მოსწავლეებს მომავალი წერითი სამუშაოს არსებით მხარეებზე - დაქმარება მათ, ინფორმაციის გაანალიზებაში, მონაცემების დახარისხებაში, გამოავლინონ და თვალსაჩინოდ გამოსახონ ცნებების/ფაქტების/მოვლენების/პერსონაჟების, მისთ. საერთო და განსხვავებული ნიშნები.

**როგორ უნდა შევავსოთ დიაგრამა?**

ორი წრის ურთიერთგადაკვეთის შედეგად მიღებულ საერთო სეგმენტში იწერება ორი პერსონაჟის საერთო ნიშან-თვისებები, მარჯვენა და მარცხენა წრეებში კი ჩაიწერება თითოეული პერსონაჟის დანარჩენი - განსხვავებული ნიშან-თვისებები.

დიაგრამის შევსების შემდეგ მოსწავლები მზად არიან წერითი დავალების შესასრულებლად.

**აქტივობის ხანგრძლივობა:** 13-15 წუთი.

**შეფასება:** აქტივობით ფასდება, შეუძლია თუ არა მოსწავლეს:

- მონაცემების დახარისხება და ორგანიზება;
- ნაწილსა და მთელს შორის ურთიერთმიმართების დადგენა.

**მეთოდური მითითება:** ვენის დიაგრამის გამოყენება შეიძლება გაგრძელდეს მომდევნო კლასებშიც.

**კავშირი სხვა საგნებთან:** გრაფიკული მაორგანიზებლების, კერძოდ, ვენის დიაგრამის გამოყენება ავითარებს ანალიტიკური და ლოგიკური აზროვნების ტრანსფერულ უნარ-ჩვევებს, რომელიც საჭიროა ნებისმიერი საგნის შესწავლის დროს.

**ქართ. IV. 13. მოსწავლეს შეუძლია გრამატიკული და ორთოგრაფიული თვალსაზრისით სწორი ფორმების გამოყენება წინადადების აგებისას და პუნქტუაციის ძირითადი წესების დაცვა.**

#### **აქტივობა №1: ტავტოლოგიის დამარცხებისთვის.**

**აქტივობის შესახებ:** აქტივობა გამოიყენება წერის შემდგომ ეტაპზე. იგი ემსახურება ტექსტის ანალიზის, რედაქტირების, გამართული წერითი მეტყველებისათვის საჭირო უნარ-ჩვევების გამომუშავებას. მნიშვნელოვანია, რომ აღნიშნული აქტივობის ჩატარების დროს მოსწავლეები საკუთარ ნაწერს აფასებენ უკვე მკითხველის (აუდიტორიის) პოზიციიდან. მკითხველის როლში ყოფნა ავალდებულებს მოსწავლეებს, კიდევ ერთხელ ჩაუღიავდნენ საკუთარი ნაშრომის შინაარსსა და სტრუქტურას, მის ენობრივ-სტილისტურ მხარეებს, ჩან-ვდნენ კონტექტს; შეაფასონ, რამდენად გასაგებად, ცხადად და გამართულად აქვთ გამოთქმული ესა თუ ის აზრი/თვალსაზრისი/იდეა; თვალსაზრისი დაინახონ თავიანთი ნაშრომების ნაკლი და ღირსება. ეს ხელს უწყობს კრიტიკული აზროვნების უნარ-ჩვევების გამომუშავებას და სტიმულს აძლევს მეტაკოგნიტური უნარების განვითარების პროცესს.

#### **აქტივობის მიზნები:**

- ტექსტის ანალიზის უნარ-ჩვევების განვითარება; კრიტიკული აზროვნების უნარ-ჩვევების განვითარება;
- წერითი მეტყველებისას სათანადო ენობრივ-სტილისტური ნორმების მართებულად გამოყენების უნარ-ჩვევების განვითარება;
- მოსწავლეთა ლექსიკური მარაგის შევსება; ლექსიკონზე მუშაობის უნარ-ჩვევების გამომუშავება;
- ნაწერის რედაქტირების უნარ-ჩვევების გამომუშავება;
- თვითშეფასების უნარის განვითარება.

**აქტივობის ორგანიზების ფორმა:** ინდივიდუალური (პირველი-მესამე ნაწილები), წყვილური/ჯგუფური (მეორე ნაწილი).

**რესურსები:** დაფა, ცარცი/მარკერი, რვეული, კალამი.

#### **აქტივობის აღწერა:**

ნაწერში ტავტოლოგიების აღმოსაფხვრელად, მასწავლებელი დაავალებს მოსწავლეებს, რომ თავიანთ რვეულებში ერთი გვერდი ორ ნაწილად გაყონ; ერთ სვეტში ჩამონქრონ მათ მიერ გამოყენებული ზმნები/არსებითი სახელები, ზედსართავი სახელები, მეორე სვეტში კი მიუთითონ (არაბული ციფრებით), რამდენჯერ აქვთ გამოყენებული შესაბამისი სიტყვა.

**ნიმუში:**

ძლიერი	<b>7-ჯერ</b> სინონიმები: ღონიერი, ძლევამოსილი, უზარმაზარი ძალის პატრონი, დევგმირი, ჯან-ღონის მქონე.
--------	---

ამგვარი ცხრილი თვალსაჩინოდ დაანახებს მოსწავლეებს, რომ ხშირად გამოყენებული სიტყვა სინონიმითაა შესაცვლელი. სინონიმების ძიებაზე მოსწავლეებმა შეიძლება წყვილებში/ჯგუფებში იმუშაონ ერთობლივად, ლექსიკონის დახმარებით.

სინონიმების მოძებნის შემდეგ მოსწავლეებს დაევალებათ, შესაბამისი კონტექსტის გათვალისწინებით, მოძიებული სინონიმით/სინონიმებით ჩაანაცვლონ ხშირად გამოყენებული სიტყვა და ამ სახით დაწერონ წინადადებები.

**აქტივობის ხანგრძლივობა:** 15-18 წუთი.

**შეფასება:** აქტივობით ფასდება, შეუძლია თუ არა მოსწავლეს

- ლექსიკონის გამოყენება;
- წინადადების აგებისას ადეკვატური ლექსიკური ერთეულების გამოყენება;
- სინონიმების მოძიება, კონტექსტის მიხედვით შერჩევა და სათანადოდ გამოყენება;
- ნაწერის რედაქტირების მარტივი ხერხების გამოყენება;
- წერის სტრატეგიების გამოყენება;
- თვითშეფასება;
- თანამშრომლობა.

**ქართ. IV. 14. მოსწავლეს შეუძლია წერის საწყისი სტრატეგიების გამოყენება.**

**აქტივობა №1: სიტყვების "რახარუხისთვის".**

**აქტივობის შესახებ:** აქტივობა დაკავშირებულია წერის შემდგომ ეტაპთან. იგი ემსახურება ტექსტის გააზრების, რედაქტირების, გამართული წერითი მეტყველებისათვის საჭირო უნარ-ჩვევების გამომუშავებას.

**აქტივობის მიზნები:**

- ტექსტის გააზრების უნარ-ჩვევების განვითარება;
- წერითი მეტყველებისას სათანადო ენობრივ-გრამატიკული, სინტაქსური და სტილისტური ნორმების მართებულად გამოყენების უნარ-ჩვევების განვითარება;
- ნაწერის რედაქტირების უნარ-ჩვევების განვითარება.

**აქტივობის ორგანიზების ფორმა:** ინდივიდუალური (პირველი ნაწილი), წყვილური / ჯგუფური (მეორე ნაწილი).

**რესურსები:** დაფა, ცარცი/მარკერი, რვეული, კალამი.

**აქტივობის აღწერა:**

აქტივობა ნათლად დაანახებს მოსწავლეებს, რომ წერისას ისინი საკმაოდ ხშირად იყე-

ნებენ ზედმეტ, არაფრისმთექმელ სიტყვებს, რის გამოც წინადადებები მოუხეშავი და სინტაქსურად გაუმართავი გამოდის.

მოსწავლეთა ნაწერების სინტაქსურად გამართვის მიზნით, მასწავლებელი ავალებს მოსწავლეებს, რომ რვეულის გვერდი ორ ნაწილად გაყონ. პირველ ნაწილში მოსწავლეებმა უნდა ჩამონერონ წინადადებების რიცხვითი შესატყვისები (1., 2., 3...) და ყოველ წინადადებაში დათვალინ სიტყვათა რაოდენობა; სქემის მეორე მხარეს კი, თითოეულ წინადადებასთან, აღნიშნონ/მიუწერონ, რამდენი სიტყვისგან შედგება იგი (იხ. ნიმუში).

სიტყვების დათვლის შემდეგ მოსწავლეები ყურადღებას გაამახვილებენ გრძელ წინადადებებზე. სავარაუდოდ, გრძელი წინადადებები სინტაქსურად გაუმართავი იქნება. ამის დადგენის შემდეგ მასწავლებელი წყვილებში/ ჯგუფებში გადაანაწილებს მოსწავლეებს. წყვილის/ჯგუფის წევრები ამგვარ წინადადებებს ხმამაღლა წაუკითხავენ ერთმანეთს და შეეცდებიან მათ შემოკლებას, გამართვას, დახვენას და ნაწერის გასუფთავებას სიტყვათა "რახარუხისაგან".

### ნიმუში:

წინადადება 1	5 სიტყვა
წინადადება 2	7 სიტყვა
წინადადება 3	12- სიტყვა -----!!!!!!
წინადადება 4	6 -სიტყვა
წინადადება 5	14- სიტყვა -----!!!!!!
წინადადება 6	9 -სიტყვა
წინადადება 7	11 –სიტყვა-----!!!!!!

აქტივობის ხანგრძლივობა: 15-18 წუთი.

**შეფასება:** აქტივობით ფასდება, შეუძლია თუ არა მოსწავლეს

- წინადადების აგებისას სწორი გრამატიკული ფორმების გამოყენება;
- ზმნური კონსტრუქციების მართებულად გამოყენება;
- ადევატური ლექსიკური ერთეულების გამოყენება;
- წერის საწყისი სტრატეგიების გამოყენება;
- ნაწერის რედაქტირება;
- თანამშრომლობა.

### აქტივობა №2: წერის დღიური.

აქტივობის შესახებ: აქტივობა დაკავშირებულია წერის შემდგომ ეტაპთან. იგი ემსახურება ტექსტის რედაქტირების და თვითშეფასების უნარ-ჩვევების გამოყენებას;

**აქტივობის მიზანი:**

- თვითშეფასების უნარ-ჩვევების განვითარება.

**აქტივობის ორგანიზების ფორმა:** ინდივიდუალური.

**რესურსები:** დაფა, ცარცი/ბორდმარკერი, რვეული, საწერი კალამი.

**აქტივობის აღწერა:**

მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, რომ ერთგვარი დღიურის ფორმით, თეორიულად მოიაზრონ და აღნიშნონ ის შეცდომები, რომლებსაც ყველაზე ხშირად უშვებენ.

ამგვარი სამუშაოს ჩატარებისას ადეკვატური კითხვებია: "რა შეცდომას ვუშვებ ყველაზე ხშირად? რა არ გამომივიდა? რა უნდა გამოვასწორო? რა უნდა მახსოვდეს წერის დროს?" მნიშვნელოვანია ისიც, რომ წერაზე წერის დღიური მხოლოდ უარყოფით გამოცდილებაზე არ იყოს ორიენტირებული და მოსწავლეები იმასაც აღნიშნავდნენ, თუ რა გამოსდით კარგად, რა არის მათ ნაწერების ძლიერი მხარე, რა შეძლეს, რა გამოუვიდათ დასხვ.

შესაბამისად, საკლასო აქტივობის დროს, მასწავლებელი დაფაზე ჩამონერს რამდენიმე კითხვას, რომელზეც მოსწავლეებმა უნდა გასცენ პასუხები. საამისოდ მოსწავლეებმა ყურადღებით უნდა გადაიკითხონ განვლილი უახლოესი პერიოდის მანძილზე შესრულებული ნაწერები (სასურველია, ეს იყოს წინა ორი კვირის განმავლობაში მომზადებული ნამუშევრები), რათა შეაფასონ: რა გამოსდით კარგად, რას ვერ ართმევენ თავს, უპასუხონ მასწავლებლის მიერ დაფაზე ჩამონერილ კითხვებს. თვითშეფასების საილუსტრაციოდ, მასწავლებელმა შეიძლება მოსთხოვოს მოსწავლეებს ნაწერებიდან ადეკვატური ამონარიდების ციტირება.

აქტივობას უნდა მოსდევდეს მსჯელობა, რომლის დროსაც მოსწავლეები გაცნობიერებენ, რომ შეცდომებს ყველა უშვებს, რომ წერა რთული პროცესია, მაგრამ შეცდომების გამოსწორება ყველას შეუძლია და მისთ.

**აქტივობის ხანგრძლივობა:** 15-17 წუთი.

**შეფასება:** აქტივობით ფასდება

- შეუძლია თუ არა მოსწავლეს წერის საწყისი სტრატეგიების გამოყენება;
- აქვს თუ არა განვითარებული მეტაკოგნიტური უნარები.

**მეთოდური მითითება:** აქტივობა შემაჯამებელი ხასიათისაა და სასურველია, სრულდებოდეს სისტემატურად (ორ კვირაში ერთხელ).

**აქტივობა №3: რა მასწავლა მეგობარმა?**

**აქტივობის შესახებ:** ეს აქტივობა ემსახურება გამართული წერითი მეტყველების, მეტაკოგნიტური უნარების - ურთიერთშეფასებისა და თვითშეფასების უნარ-ჩვევებების - გამომუშავებას.

**აქტივობის მიზნები:**

- ნაწერის რედაქტირების უნარ-ჩვევების განვითარება;
- ურთიერთშეფასების/თვითშეფასების უნარის განვითარება.

**აქტივობის ორგანიზების ფორმა:** წყვილური (პირველი ნაწილი), ინდივიდუალური (მეორე ნაწილი).

**რესურსები:** რვეული, კალამი.

**აქტივობის აღწერა:**

აქტივობა შემაჯამებელი სახისაა. მასწავლებელი მოსწავლეებს დააწყვილებს დასთხოვს, გაასწორონ ერთმანეთის ნაწერები, გასწორების შემდეგ კი განუმარტონ ერთმანეთს, რა შესწორებები შეიტანეს მეგობრის ნაწერში. ამ სამუშაოს ჩატარების შემდეგ თითოეული მოსწავლე მეგობრის მიერ გასწორებული ნაწერის ქვეშ წერს მოკლე, პუნქტების სახით ჩამონერილ დასკვნებს იმის შესახებ, თუ რა ასწავლა მას მეგობარმა. დასკვნები შეიძლება ეხებოდეს: ორთოგრაფიას, კალიგრაფიას, შინაარსობრივ მხარეს, ტავტოლოგიას, სასვენ ნიშნებს და ა. შ.

ამ ტიპის ნაწერები ძალზე დაეხმარება მასწავლებელს მოსწავლის წერითი მეტყველე-

ბის დონის განსაზღვრაში.

**ნიმუში: რა მასწავლა მეგობარმა? (სტილი დაცულია)**

- სიტყვები კიდე მქონდა გამოტოვებული და ჩამინერა.
- ზოგჯერ წინადადების ბოლოს წერტილი არ მქონდა.
- სათაური არ მეწერა ბჭყალებში.
- ის არ დავწერე რომ დათვის რომელი ჭრილობა აღმოჩნდა მოურჩენილი.
- ეხლა უკვე ვიცი ესენი და გავითვალისწინებ სხვა დავალებების შესრულების დროს.

**აქტივობის ხანგრძლივობა:** 18-19 წუთი.

**შეფასება:** აქტივობით ფასდება, შეუძლია თუ არა მოსწავლეს

- ნაწერის რედაქტირების მარტივი ხერხების გამოყენება;
- წერის საწყისი სტრატეგიების გამოყენება;
- სხვისი ნამუშევრის შეფასება;
- თვითშეფასება.

**მეთოდური მითითებები:** დასახული შედეგის მისაღწევად, შეიძლება აგრეთვე გამოვიყენოთ აქტივობები: “ვიპოვოთ შეცდომები ერთმანეთის ნაწერებში” (იხ. III. 14), ”მასწავლებლის კომენტარის მიხედვით ნაწერის რედაქტირება” (იხ. II. 13), ”თვითშეფასების სქემის შევსება” (იხ. III. 14). მათი გამოყენებისას უცვლელი დარჩება ამ აქტივობების ორგანიზების ფორმა და წესი, შინაარსობრივი მხარე შეიცვლება სასწავლო მასალის შესაბამისად.

## V კლასი

**ქართ. V. 1. მოსწავლეს აქვს ასაკის შესაფერისი სირთულის ტექსტების მოსმენისა და ინტერპრეტაციის საწყისი უნარი.**

**აქტივობა №1: შთაბეჭდილებათა წრე.**

**რესურსები:** მიკროფონი ან მას მიმსავსებული ნივთი.

**აქტივობის აღწერა:** მოსწავლეები სხდებიან წრეში. თითოეული იხსენებს წიგნის, ფილმის, საგაზეთო სტატიის, სპექტაკლის, სატელევიზიო გადაცემის, გამოფენის, საერთოდ, რაიმე ფაქტის ან მოვლენის შედეგად მიღებულ ყველაზე მძაფრ შთაბეჭდილებას. იმისათვის, რომ მოსწავლეები თანაბარ მდგომარეობაში ჩავაყენოთ და ყველას მივცეთ გამოხატვის საშუალება, უნდა დავიცვათ რიგითობა. ამისათვის შეიძლება მიკროფონის (შეიძლება მიკროფონის ფუნქცია დავაკისროთ რაიმე ნივთს, მაგალითად, კალამს) გამოყენება, რომელიც შემოივლის წრის ყველა მონაწილეს.

**შეფასება:** შეფასდება მოსმენილ ტექსტში ასახული ფაქტების, დამოკიდებულებების შეფასების, საკუთარი განცდების, ემოციების გამოხატვის უნარი;

**მეთოდური მითითება:** იმისათვის, რომ დავეხმაროთ მოსწავლეებს თავისუფლად გამოხატონ საკუთარი განცდები, წრეში მასწავლებელიც უნდა მონაწილეობდეს. პირველ ჯერზე მან უნდა მისცეს მოსწავლეებს ამის მაგალითი.

**აქტივობა №2: სწრაფი ურთიერთანამშრომლობა .**

**აქტივობის შესახებ:** ასეთი აქტივობები არ მოითხოვს დიდ დროს და ეფექტურიანია მოსწავლეთა წყვილებში აზრთა გაზიარებისათვის. ამგვარი აქტივობების სხვადასხვა ვარიანტი არსებობს. კერძოდ:

**რესურსები:** შესაბამისი ტექსტები.

**აქტივობის აღწერა:**

წყვილების მიერ წინასწარ გამოთქმული ვარაუდი. მოსწავლეებს ვაწვდით რამდენიმე საკვანძო სიტყვას მოთხოვიდან, რომელიც უნდა წაკითხონ და ვთხოვთ, წყვილებმა ამ სიტყვებისა და ურთიერთშეთანხმების საფუძველზე გამოთქვან ვარაუდები მოთხოვის შესაძლო შინაარსის შესახებ. ისინი კითხულობენ მოთხოვის და წაკითხვის შემდეგ კვლავ საუბრობენ ერთმანეთში, რა და ემთხვევა, რა - არა.

ფიქრი / დაწყვილება / აზრის გაზიარება. მიეცით წყვილებს თემა განსჯისათვის. თემა უნდა იყოს საინტერესო. მაგალითად: შეიძლება თუ არა ტყუილის გამართლება? არსებობს თუ არა მფრინავი თევზები? სთხოვეთ მოსწავლეებს ჯერ ინდივიდუალურად იფიქრონ ამ საკითხზე, ხოლო შემდეგ საკუთარი მოსაზრებები გაუზიარონ ერთმანეთს წყვილებში და წარმოადგნონ კლასის წინაშე.

შეჯამება / დაწყვილება / აზრის გაზიარება. ეს აქტივობა მნიშველოვანია არამხატვრული ტექსტის დამუშავებისას (მაგალითად, საგაზეთო სტატია, საინფორმაციო ტექსტი). მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს შეაჯამონ სტატია ორი ან სამი წინადადებით. შემდეგ კი თავიანთი მოსაზრებები გაუზიარონ ერთმანეთს პარტნიორებმა, იმსჯელონ ამ მოსაზრებების მსგავსება-განსხვავებაზე და შეთანხმდნენ საერთო შემაჯამებელ მოსაზრებებზე.

**შეფასება:** შეფასდება კომუნიკაციისა და თანამშრომლობის უნარი, მთავარისა და არსებითის მეორეხარისხოვანისაგან გარჩევის უნარი, არგუმენტირებული მსჯელობის უნარი.

**მეთოდური მითითება:** ეს აქტივობები კომპლექსურია. მიმართულია როგორც გააზრებული კითხვის, ისე წერის (თუ მოსწავლეებს ვთხოვთ გააკეთონ მოსაზრებების მოკლე ჩანაწერები) უნარის განვითარებაზე და გამოიყენება ნებისმიერი თემის, სხვადასხვა სახის ტექსტების დამუშავებისას.

**ქართ. V. 2. მოსწავლეს შეუძლია ჯგუფური და ინდივიდუალური საკომუნიკაციო ამოცანების განხორციელება.**

**აქტივობა №1: გონებრივი იერიში.**

„გონებრივი იერიშის“ მიზანს წარმოადგენს ამა თუ იმ თემის / საკითხის გარშემო დროის მოკლე მონაკვეთში რაც შეიძლება მეტი იდეის მოფიქრება, თვალსაზრისის ჩამოყალიბება. თემის შერჩევა შეიძლება კლასის გამოცდილების საფუძველზე. ჯგუფის წევრების მიერ შემოთავაზებული ყოველი აზრი აღინუსხება ფორმატზე და არ დაიშვება (განსაკუთრებით პირველ ეტაპზე) არავითარი კრიტიკა ან შეფასება, რადგანაც ამ საქმიანობის მიზანი სწორედ რაც შეიძლება მეტი შემოქმედებითი იდეის გამოვლენაა.

„გონებრივი იერიში“ სამი ეტაპისაგან შედგება:

1. იდეების გენერირება (მოქმედებს პრინციპი: ყველა აზრი მიიღება ყოველგვარი კრიტიკის გარეშე);

2. იდეების გადახედვა (შეიძლება რამდენიმე იდეა მეორდებოდეს სხვადასხვაგვარი ფორმულირებით. მაშინ დარჩება მხოლოდ ერთი. შეიძლება იდეა სცდება თემას, მაშინ მას უნდა შეველიოთ და ა.შ.);
3. იდეების კლასიფიცირება-კატეგორიზაცია / რანჟირება.

**რესურსები:** ფორმატი/დაფა, მარკერები.

**შეფასება:** შეფასდება აზრის თავისუფლად გამოთქმის უნარი და ის, თუ როგორ მოიძებს და გამოიყენებს მოსწავლე აზრის გამოთქმისათვის აუცილებელ ლექსიკურ და გრამატიკულ საშუალებებს.

**მეთოდური მითითება:** მასწავლებელმა უნდა წაახალისოს მოსწავლეები, უნდა დაეხმაროს იმაში, რომ იგრძნონ, რამდენად მნიშვნელოვანია მათ მიერ გამოთქმული თითოეული მოსაზრება.

### აქტივობა №2: სასაუბრო წრეები.

**აქტივობის შესახებ:** სასაუბრო წრეები ქმნის ხელშემწყობ გარემოს იმისათვის, რომ მოსწავლეებმა გაბედულად შეძლონ თავიანთი აზრების გაზიარება სხვებისათვის. სასაუბრო წრეები განსაკუთრებით სასარგებლოა მაშინ, როდესაც მოსწავლეები განიხილავენ მორალურ ან ეთიკურ საკითხებს.

**რესურსები:** მიკროფონი ან მას მიმსგავსებული ნივთი.

**აქტივობის აღწერა:** მოსწავლეები რეალისებურად სხედან და ყოველ მათგანს აქვს საუბრის საშუალება. თუკი წრე დიდია, მაშინ უმჯობესია წრე დავყოთ ორ-სამკაციან ჯგუფებად. იმისათვის, რომ ყველას მიეცეს აზრის გამოთქმის საშუალება და ვინმებ არ დაიკავოს დომინირებული მდგომარეობა, თავი დავალწიოთ უნესრიგობასა და ხმაურს, მოსწავლეებს / ჯგუფებს შეიძლება მივცეთ მიკროფონი (ან რამე ნივთი მიკროფონის "ფუნქციით"). მხოლოდ მას უნდა მიეცეს ლაპარაკის უფლება, ვინც ამ საგანს იმ წუთში ფლობს, შემდეგ ის სხვა მოსწავლეს / ჯგუფს გადაეცემა. ეს მანამდე გრძელდება, სანამ წრეში მყოფ ყველა მოსწავლეს / ჯგუფს არ მიეცემა ლაპარაკის საშუალება. აუცილებელია იმ წესის დაცვა, რომ მხოლოდ ერთი მოსწავლე / ჯგუფის წარმომადგენელი საუბრობდეს, დანარჩენები კი ჩუმად ისმენდნენ და ყოველგვარი შეფასებისაგან თავს იკავებდნენ; ნებადართული უნდა იყოს ის, რომ მოსწავლემ / ჯგუფმა თქვას „გამოვტოვებ“, თუკი ისინი თავს უხერხულად გრძნობენ. წამყვანის როლს შეიძლება მასწავლებელი ან მოსწავლე ასრულებდეს, რომელიც:

- უზრუნველყოფს ინსტრუქციების შესრულებას;
- ყურადღების გარეშე არ ტოვებს თითოეულის მიერ საუბარში შეტანილ წვლილს (თუნდაც ასეთი ფრაზით: „გმადლობთ თქვენი აზრებისათვის / წვლილისათვის“);
- საჭიროების შემთხვევაში აზუსტებს, განმარტავს კომენტარს / შენიშვნებს / მოსაზრებებს (მაგალითად, „თუ სწორად გავიგე, თქვენ ამბობთ, რომ“...).

სასურველია, მოსწავლეებს მივცეთ რჩევა, რომ მათ თავიანთი კომენტარები / შენიშვნები / მოსაზრებები გადმოსცენ რაც შეიძლება უფრო მარტივად და გასაგებად (სათქმელის გათვალსაჩინოებისათვის გამოიყენონ პირადი გამოცდილება, ეფექტისათვის — პარალელები, შედარებები და სხვა); ვთხოვოთ მსმენელებს, რომ გამომსვლელს ინტერესითა და ყურადღებით მოუსმინონ, ფოკუსირება გააკეთონ გამომსვლელის საუბარზე და არა იმაზე, თუ რას იტყვიან, როდესაც მათი ჯერი დადგება.

**შეფასება:** შეფასდება ზეპირი გამოსვლის, არგუმენტირების უნარი, აზრის სიზუსტე

და ლაკონურობა, დადგენილი წესების დაცვა, ჯგუფური მუშაობის უნარი.

**მეთოდური მითითება:** თემები უნდა შეიჩრეს მოსწავლეთა ინტერესების გათვალისწინებით. ამიტომ, სასურველია, მასწავლებელმა „გონებრივი იერიშის“ გამოყენებით დაადგინოს, რა თემებზე სურთ მოსწავლეებს საუბარი.

**ქართ. V. 3. მოსწავლეს შეუძლია ენობრივ-გრამატიკული ფორმების აღქმა და მართებულად გამოყენება შესაბამის სამეტყველო სიტუაციებში.**

#### **აქტივობა №1: დაკარგულის ამოცნობა**

**რესურსები:** განცხადებების ტექსტები, სურათები.

**აქტივობის აღწერა:** მასწავლებელი ირჩევს მოსწავლეთა წყვილს. მათგან ერთ-ერთს ნასაკითხად აძლევს განცხადებას, რომელშიც აღწერენ, რომ სავაჭრო ცენტრში ან რომელიმე დიდ ობიექტში გაიძნა სამი ბავშვი. მეორე მეწყვილეს კი აძლევს სურათებს, ოლონდ სურათებზე გაცილებით მეტი ბავშვია. პირველმა უნდა აღუწეროს განცხადების ტექსტის მიხედვით თავის მეწყვილეს გაბნეული ბავშვები, მეორემ კი ტექსტის მიხედვით სურათზე ამოიცნოს, რომელი ბავშვია ეს.

**შეფასება:** შეფასდება, რამდენად შეუძლია მოსწავლეს ენობრივ-გრამატიკული ფორმების (მაგალითად, ქონა-ყოლის, გრძნობა-აღქმის არაწესიერი ზმნების, მსაზღვრელ-საზღვრულის შეთანხმების) გამოყენება.

**მეთოდური მითითება:** განცხადების ტექსტი უნდა შეიცავდეს იმ გრამატიკულ ფორმებს, რომელთა მართებულად გამოყენების მიზანი დაუსახა მოსწავლეებს მასწავლებელმა.

#### **აქტივობა №2: მოგზაურობა დროსა და სივრცეში.**

**რესურსები:** სასურველია, თუ ამბის შეთხვისას გამოვიყენებთ ილუსტრაციებს.

**აქტივობის აღწერა:** მას შემდეგ, რაც მოსწავლეები დაადგენენ მოსმენილ ტექსტში ასახული მოქმედების დროსა და ადგილს, მასწავლებელი მოსწავლეებს სთავაზობს, გადაიტანონ ეს მოქმედება წარსულში / აწმყოში / მომავალში ისე რომ არ შეცვალონ მოქმედების ადგილი და პერსონაჟები. სხვა შემთხვევაში შეიძლება მხოლოდ მოქმედების ადგილი შევცვალოთ. მოსწავლეებისათვის სახალისო იქნება, თუ ერთი მოთხრობის / ზღაპრის პერსონაჟს შევიყვანთ მეორე მოთხრობაში / ზღაპარში, მაგალითად, შევახვედრებთ ერთმანეთს პეპის (ასტრიდ ლინგრენის „პეპი გრძელი წინდა“) და კონტაშვილებს (რევაზ ინანიშვილის „უკულმა დაჭედილი“), ნაცარქექიას - წიქარასა და ბიჭს და სხვ. მოსწავლეები ქმნიან ახალ ისტორიებს, რომლებშიც იყენებენ როგორც ნაწარმოების ცოდნისა და გააზრების უნარს, ისე წარმოსახვას, ფანტაზიას. ამასთან, წარსულში, აწმყოსა და / ან მომავალში ამბის გადატანის დროს ვაკვირდებით, რამდენად სწორად ანარმოებს მოსწავლე დროის ფორმებს.

**შეფასება:** შეფასდება ანალიზის (რამდენად სწორება პერსონაჟის ხასიათს) და წარმოსახვის უნარი, ენობრივ-გრამატიკული ფორმების აღქმა და მართებულად გამოყენება.


**მეთოდური მითითება:** მას შემდეგ, რაც მოსწავლეები ამ აქტივობას ზეპირად წარმატებით გაართმევენ თავს, შეიძლება იგივე დავალება მივცეთ დასაწერადაც; შესაბამისად, აქტივობა შეგვიძლია გამოვიყენოთ კომპლექსური მიზნებისთვის.

**ქართ. V. 4. მოსწავლეს აქვს ლიტერატურული ნაწარმოების ესთეტიკური შეფასების საწყისი უნარი.**


#### აქტივობა №1: როგორია პერსონაჟი?

**რესურსი:** დახასიათების სქემები.

**აქტივობის აღწერა:** მასწავლებელი მოსწავლეებს ასმენინებს ტექსტს და სთხოვს გაიხსენონ პერსონაჟის ხასიათთან, ქმედებებთან დაკავშირებული ადგილები ტექსტიდან და განსაზღვრონ, მისი რა თვისებები ვლინდება ამ მონაკვეთებში. მათ უნდა დაასახელონ სულ მცირე სამი ნიშანი, რომელთა მიხედვითაც უნდა დაახასიათონ კონკრეტული პერსონაჟი. ამისათვის ის მოსწავლეებს სთავაზობს სხვადასხვა სქემას, რომელთა თითოეულ რგოლში განთავსდება მოსწავლეთა პასუხები. მაგალითად,



თვისებები / მახასიათებლები



**შეფასება:** შეფასდება ტექსტში ასახული მოქმედებების, მოსმენილი ტექსტის ანალიზისა და შეფასების უნარი;

**მეთოდური მითითება:** ეს სამუშაო წინ უნდა უძლოდეს პერსონაჟის წერილობით და-ხასიათებას, ასე რომ, ის კომპლექსური აქტივობის (კითხვა-ზეპირმეტყველება-წერა) ერ-თი შემადგენელი ნაწილია.

### აქტივობა №2: ლიტერატურული წრე.

**აქტივობის შესახებ:** ლიტერატურული წრე მოსწავლეებს ეხმარება იმაში, რომ მათ მეტი შეიტყონ სხვადასხვა ტიპის, უანრისა და სტილის ტექსტების შესახებ და ასევე შეა-ფასონ საკუთარი შესაძლებლობები, რამდენად შეუძლიათ ზეპირად გადმოსცენ წაკითხუ-ლით აღძრული განცდები, შთაბეჭდილებები, განწყობა.

**რესურსები:** ეს აქტივობა საჭიროებს მხოლოდ ადამიანურ რესურსს. შესაძლებელია, მოეწყოს სადისკუსიო წიგნის ირგვლივ შექმნილი / მოძიებული მასალების (ილუსტრაციე-ბი, პლაკატები) გამოფენა.

**აქტივობის აღწერა:** ლიტერატურულ წრეში მოსწავლეთა მცირე ჯგუფები ერთსა და იმავე ვადებში კითხულობენ წიგნს და რეგულარულად განიხილავენ უკვე წაკითხულ ცალ-კეულ ეპიზოდს, მონაკვეთს. მათ შეუძლიათ თავად გადაწყვიტონ, ერთსა და იმავე წიგნს წაიკითხავენ თუ სხვადასხვა წიგნს ერთსა და იმავე თემაზე. მას შემდეგ, რაც მოსწავლეები დაასრულებენ წიგნის კითხვას, მოეწყობა დისკუსია.

**შეფასება:** შეფასდება მხატვრული ტექსტის ანალიზისა და შეფასების, პრეზენტაცი-ის უნარი.

**მეთოდური მითითება:** სასურველია, მასწავლებელმა მოსწავლეებს არდადეგებზე შესთავაზოს წასაკითხი წიგნების ჩამონათვალი; თუ ლიტერატურულ წრეში სასწავლო პროცესის დროს კითხულობენ წიგნს, მასწავლებელმა უნდა განუსაზღვროს მოსწავლეებს კითხვისთვის საჭირო დრო.

### კავშირი სხვა საგნებთან: სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება.

#### აქტივობა №3: ემოციური კომენტარი.

**აქტივობის აღწერა:** მასწავლებელი ურიგებს მოსწავლეებს სხვადასხვა პოეტის იმ ლექსების ჩამონათვალს, რომელთა აუდიოჩანაწერიც უნდა მოისმინონ და სთხოვს, თითო-ეულის გასწვრივ ჩაწერონ, რა განწყობილებას გამოხატავს ისინი. მას შემდეგ, რაც მოსწავ-ლეები შეასრულებენ პირველ დავალებას, მასწავლებელი ხელახლა ასმენინებს ჩანაწერს და ამჯერად მათ უნდა ისაუბრონ საკუთარ ემოციებსა და შთაბეჭდილებებზე, რომელი ლექსი / ნაწყვეტი მოეწონათ განსაკუთრებით და რატომ და ა.შ.

**რესურსები:** ლექსების აუდიოჩანაწერები, ფურცლები ლექსების ჩამონათვალით.

**შეფასება:** შეფასდება მხატვრული ნაწარმოების ესთეტიკური შეფასების უნარი.

**მეთოდური მითითება:** მასწავლებელს შეუძლიათავად წაუკითხოს ლექსები მოსწავ-ლეებს. შესაძლებელია, მოსწავლეებმა წერილობით ჩამოყალიბონ ემოციური კომენტარი; ასეთ შემთხვევაში აქტივობა კომპლექსური იქნება და წერის უნარის განვითარებასაც შე-უწყობს ხელს.

**ქართ. V. 5. მოსწავლეს შეუძლია სადისკუსიო სტრატეგიების ამოცნობა და გამოყენება.**

#### **აქტივობა №1: დისკუსია.**

**აქტივობის შესახებ:** დისკუსია ხელს უწყობს მოსწავლეებში მსჯელობის, კრიტიკული აზროვნებისა და პრობლემის გადაწყვეტის უნარის განვითარებას. ავარჯიშებს მოსწავლეებს აზრების ზეპირად, მწყობრად გამოხატვასა და დასკვნების გამოტანაში, სადაც საკითხების გადაჭრასა და ალტერნატიული გადაწყვეტილებების მოძრებნაში. დისკუსიებში მოსწავლეებს მოეთხოვებათ არგუმენტირებული მსჯელობა; გადაწყვეტილების მიღება; დისკუსიის წესების დაცვა (სასურველია, ეს წესები თავად მოსწავლეებმა შეიმუშავონ). მაგალითად, როცა რამის თქმა გვსურს, ხელი ავინიოთ; არ შევაწყვეტინოთ ერთმანეთს სიტყვა; დავიცვათ რეგლამენტი და ა.შ.). დისკუსიისას მოსწავლეები შეიძლება წააწყდნენ განსხვავებულ თვალსაზრისებს. ისინი რწმუნდებიან, რომ არსებობს უამრავი პრობლემა, რომელთაც არა აქვთ მხოლოდ ერთი გადაწყვეტა. დისკუსიისათვის კარგია და ნაყოფიერი სამ-ხუთ წევრიანი ჯგუფები, რადგანაც ყველას ექნება შესაძლებლობა წვლილი შეიტანოს დისკუსიაში როგორც მსმენელმა და როგორც სიტყვით გამომსვლელმა. გარდა ამისა, პატარა ჯგუფები საღაპარაკოდ გამოიწვევს გაუბედავ და პასიურ მოსწავლეებსაც, რომლებიც, სავარაუდოა, რომ დიდ ჯგუფებში გამართულ განხილვაში მონაწილეობას არ მიიღებენ. მცირე სადისკუსიო ჯგუფებში მოსწავლეებს შეუძლიათ ჩამოაყალიბონ საკუთარი აზრები და გააქტიურონ სუბიექტური გამოცდილება. ვითარებიდან გამომდინარე, ჯგუფები შეიძლება ჩამოყალიბდეს:

- მოსწავლეების სურვილის გათვალისწინებით;
- სტიქიურად (მაგალითად, მოსწავლეებს უურიგებთ ნახატებიან / სხვადასხვა ფერის ბარათებს. ერთნაირნახატიანი / ერთი ფერის ბარათების მფლობელები ერთიანდებიან ერთ ჯგუფში);
- შემადგენლობა შეიძლება განსაზღვროს თავად მასწავლებელმა.

რეკომენდებულია თითოეული ჯგუფის წევრისათვის კონკრეტული მოვალეობის დაკისრება (მაგალითად, ერთი არგუმენტებს ჩამოწერს, მეორე ეძებს დამატებით მასალას, მესამე შესახებ ამზადებს, მეოთხე წარმოადგენს ჯგუფის საერთო აზრს და ა.შ.). ჯგუფები დროდადრო უნდა გადახალისდეს, რათა მოსწავლეებს მიეცეთ საშუალება სხვა თანატოლებთან ერთადაც იმუშაონ.

სადისკუსიოდ უნდა შეირჩეს ისეთი საკითხი, რომლის ირგვლივაც განსხვავებული თვალსაზრისები შეიძლება არსებობდეს ან დაისვას ისეთი პრობლემა, რომლის გადაჭრის ალტერნატიული გზები არსებობს. დისკუსიისას მნიშვნელოვანია იმის ცოდნა, რომ:

- არ არსებობს მცდარი და სწორი აზრი; არსებობს დაუსაბუთებელი და დასაბუთებული მოსაზრება;
- დისკუსიის მიზნები და წესები წინასწარ არის განსაზღვრული;
- დისკუსიის მთავარი მიზანია, ხელი შეუწყოს ჯგუფს განსახილველი საკითხის შესახებ ცოდნის გამოჟღავნებასა და პრობლემის გადაწყვეტისათვის ამ ცოდნის გამოყენებაში;
- დისკუსია პასუხების განუსაზღვრელ რაოდენობას წარმოშობს და არ მოითხოვს ერთადერთ დასკვნას;
- რადგანაც არსებობს განსხვავებული მოსაზრებები, საკუთარი თვალსაზრისის

დაცვასთან ერთად სხვების თვალსაზრისსაც უნდა სცენ პატივი;

- აკრიტიკებენ აზრებს და არა ადამიანებს. დისკუსიის დროს საჭიროა მოსწავლეებს ხელი შევუწყოთ იმაში, რომ მათ:
- გულმოდგინედ მოისმინონ ყველა აზრი;
- დასვან შეკითხვები;
- პერიფრაზირების, კითხვის დასმის გზით დააზუსტონ გამოთქმული თვალსაზრისი (მაგალითად, „თუ სწორად გავიგე, შენ ამბობ, რომ...“);
- იკამათონ კონსტრუქციულად;
- შეაჯამონ დისკუსიისას გამოთქმული აზრი;
- გადაამონმონ ვარიანტები.

**რესურსები:** სასურველია, მოსწავლეთათვის თვალსაჩინო ადგილას იყოს გამოკრული დისკუსიის წესები.

**შეფასება:** დისკუსიის დროს მასწავლებელი მხოლოდ აკონტროლებს მონაწილეთა მიერ დისკუსიის წესების დაცვას და ინიშნავს მათ პასუხებს, რომ შეაფასოს მოსწავლეები. არ არის მიზანშეწონილი, რომ მასწავლებელმა დისკუსიაში აშკარად გამოხატოს საკუთარი პოზიცია. მან უნდა შეაფასოს არგუმენტები და არა პოზიციის სისწორე. სასურველია გამოვიყენოთ ჯგუფის შეფასების ანკეტა, რომელიც შეიძლება შეავსოს ჯგუფის ერთმა წევრმა, რომელიც საერთო პოზიციის გამომხატველი იქნება, ან ჯგუფის თითოეულმა წევრმა.

**გთავაზობთ ასეთი ანკეტის ნიმუშს:**

დიახ	არა	ზოგჯერ
დისკუსიის პროცესში ყველა მონაწილეობდა და აზრს გამოთქვამდა. კომუნიკაცია ინტერაქტიური იყო.		
ჯგუფის წევრები ხშირად სვამდნენ შეკითხვებს აზრის დასაზუსტებლად, დისკუსიის პროცესის სრულყოფისათვის.		
დისკუსია ჯგუფში თემას არ გასცილებია.		
დაცული იყო დისკუსიის წესები.		

**მეთოდური მითითება:** ამა თუ იმ საკამათო საკითხთან დაკავშირებით დისკუსიის მოწყობა შესაძლებელია მეოთხე კლასშიც (მინიდისკუსიისა – მესამე კლასშიც). მეხუთე კლასიდან ამ აქტივობას თანდათან უნდა მიეცეს სისტემატური ხასიათი. მეექვსე კლასის აქტივობათა აღწერისას დისკუსიის შესახებ აღარ შევჩერდებით.

**ქართ. V. 6. მოსწავლეს გამომუშავებული აქვს ხმამაღლალი კითხვის საწყისი უნარ-ჩვევები.**

**ქართ. VI. 6. მოსწავლეს შეუძლია წაუკითხოს მსმენელს ტექსტი/ნაწყვეტი.**

**აქტივობა №1: მხატვრული კითხვის დღე.**

**აქტივობის შესახებ:** ამ ტიპის აქტივობების გამოყენება შესაძლებელია VI კლასში შესაბამისი შედეგის მისაღწევად (იხ. შედეგი VI.6.).

**აქტივობის მიზანი:** მოსწავლეები

1. წარმოაჩენენ, შეუძლიათ თუ არა გამართულად კითხვა;
2. წარმოაჩენენ, გაიგეს თუ არა ტექსტის შინაარსი;
3. ივარჯიშებენ გამომეტყველებით კითხვაში;
4. დააკვირდებიან და შეაფასებენ თანაკლასელების ხმამაღლალი კითხვის უნარს;
5. სხვის (თანაკლასელის, მასწავლებლის, მოწვეული სტუმრის) მაგალითზე დახვეწავენ საკუთარი კითხვის უნარებს.

**რესურსები:** საბავშვო წიგნები.

**აქტივობის აღნერა:**

საგანგებოდ შერჩეულ დღეს კლასში ცხადდება „მხატვრული კითხვის დღე“.

მოსწავლეებს სახლიდან მოაქვთ თავიანთი საყვარელი წიგნები და თანაკლასელებს გამოთქმით და საჭირო აქცენტების დასმით უკითხავენ მცირე ზომის ლექსებსა და მოთხრობებს. სასურველია, რომ მასწავლებელმაც წაუკითხოს ბავშვებს მის მიერ შერჩეული ლექსი ან მოთხრობის ნაწყვეტი. ასევე, შესაძლებელია ე.ნ. „საავტორო სკამის“ მეთოდის გამოყენებაც, როდესაც გამომსვლელი/მკითხველი დაბრძანდება ოთახის შუაგულში ან მერხების წინ საგანგებოდ დადგმულ სკამზე და ისე უკითხავს ნაწარმოების ნაწყვეტს თანაკლასელებს. მოსწავლეები ყურადღებით უსმენენ გამომსვლელს და ცდილობენ შეაფასონ, რა მოეწონათ და რა - არა, მაგალითად, ცვლიდა თუ არა მკითხველი ინტონაციას მოდალობის მიხედვით, შეძლო თუ არა მან ნაწარმოების/პერსონაჟთა განწყობის გადმოცემა, აკეთებდა თუ არა პაუზებს საჭირო ადგილას, იყენებდა თუ არა უსტისა და მიმიკას და ა.შ.

შესაძლებელია, ამ დღეს სკოლაში მოიწვიონ რომელიმე საბავშვო მწერალი, რომელიც წაუკითხავს თავის ნაწარმოებს ბავშვებს, ან თუნდაც მსახიობი სტუდენტი, რომელიც აჩვენებს ბავშვებს მხატვრული კითხვის მაგალითს.

**შეფასება:** ამგვარი აქტივობით ფასდება, ესმის თუ არა მოსწავლეს ტექსტის შინაარსი, ასევე, შეუძლია თუ არა მას

- ხმამაღლა და გამართულად წაუკითხოს მსმენელს შერჩეული ნაწყვეტი ნაცნობი ტექსტიდან;
- გამომეტყველებით კითხვა;
- ხმამაღლა კითხვის დროს შესაბამისი ინტონაციის შერჩევა;
- უსტებისა და მიმიკის ადეკვატურად გამოყენება;
- შეაფასოს თანაკლასელის კითხვა შესაბამისი კრიტერიუმების მიხედვით.

**მეთოდური მითითება:** სასურველია, რომ ასეთ გაკვეთილებს ერთგვარი ტრადიციის სახე მიეცეს.

ქართ. V. 7. მოსწავლეს შეუძლია მისთვის საინტერესო თემაზე იყიდეს შემცველი სხვა-დასხვა სახის არამხატვრული ტექსტების (საყმანვილო უურნალების, დარგობრივ-შემეცნებითი სტატიების, სხვადასხვა შინაარსის ცნობარების, ინტერვიუებისა და სხვ.) წაკითხვა და გააზრება.

#### აქტივობა №1: მოვლენათა განვითარება.


**აქტივობის შესახებ:** წარმოდგენილი მეოთხი, რომელიც გულისხმობს გრაფიკული მაორგანიზებლის, კერძოდ, მოვლენათა რიგის სქემის შევსებას, დაქმარება მოსწავლეებს დაინახონ და აღიქვან მიზეზ-შედეგობრივი კავშირები ტექსტში გადმოცემულ ფაქტებსა თუ მოვლენებს შორის.

#### აქტივობის მიზნები: მოსწავლეები

1. გაიაზრებენ წაკითხული ტექსტის შინაარსს;
2. ამოკრებენ და დაახარისხებენ ინფორმაციას;
3. დაინახავენ ფაქტებს და მოვლენებს შორის არსებულ მიზეზ-შედეგობრივ კავშირებს.

**რესურსები:** არამხატვრული საინფორმაციო ან შემეცნებითი ხასიათის ტექსტი, ფურცელზე ამობეჭდილი გრაფიკული მაორგანიზებლის ასლები.

**აქტივობის აღნერა:** როდესაც მოსწავლეები კითხულობენ ისეთ ტექსტს, რომელიც მოგვითხრობს რომელიმე ისტორიული ფაქტის თუ ეპოქის შესახებ, აღნერს რაიმე პროცესს, ან გვაწვდის ინფორმაციას გარკვეული მოვლენის/მოვლენების შესახებ, მათ აუცილებლად სჭირდებათ დახმარება, რომ კარგად აღიქვან მოვლენათა თანამიმდევრობა და გამოიტანონ დასკვნები მათ შორის არსებული მიზეზ-შედეგობრივი კავშირების შესახებ. ამისათვის საკითხავი/დასამუშავებელი ტექსტის შერჩევის შემდეგ მასწავლებელმა შეიძლება შესთავაზოს მოსწავლეებს ამგვარი გრაფიკული მაორგანიზებელი:



მასწავლებელი უხსნის მოსწავლეებს, თუ რა პრინციპით ივსება ეს სქემა. მარცხენა მხარეს, ქვემოთკენ მიმართულ ისრებში მათ უნდა ჩაწერონ ძირითადი მოვლენის/ფაქტის აღმნიშვნელი ძალიან მოკლე ფრაზები, ან შესაძლებელია გამოიყენონ მხოლოდ საკვანძო

სიტყვები. მარჯვენა მხარეს კი მოსწავლეებმა უნდა შეაჯამონ ეს მოვლენები და მიუთითონ, რა სახის მიზეზ-შედეგობრივი კავშირებია მათ შორის.

**შეფასება:** ამ აქტივობით შეიძლება შეფასდეს, შეუძლია თუ არა მოსწავლეს

- წაკითხულ ტექსტში ძირითადი ფაქტების, მოვლენების მოძიება და ამოკრება;
- ფაქტების/მოვლენების სახელდება;
- მათი გააზრება და შეჯამება;
- მიზეზ-შედეგობრივი კავშირების დანახვა ტექსტში აღნერილ ფაქტებსა თუ მოვლენებს შორის;
- წაკითხულ ტექსტში მოვლენათა თანამიმდევრობის აღქმა.

**მეთოდური მითითება:** სქემის მარჯვენა ნაწილის შევსებისას მოსწავლეებს შეუძლიათ გამოხატონ თავიანთი დამოკიდებულება ამა თუ იმ მოვლენის მიმართ. სქემის შევსების შემდეგ მოსწავლეებს საშუალება უნდა მიეცეთ, იმსჯელონ, შეაჯამონ მთლიანი ტექსტი, ასევე დაკავშირონ იგი სხვა ტექსტებთან და/ან პირად გამოცდილებასთან.

**ქართ. V. 8. მოსწავლეს შეუძლია სხვადასხვა ჟანრის მხატვრული ტექსტების წაკითხვა და ადეკვატურად გაგება-გაანალიზება.**

**აქტივობა №1: „ძვირფასო მეგობარო!“** (ტექსტის გავრცობა სიუჟეტის გააზრების საფუძველზე)

**აქტივობის შესახებ:** იმისათვის, რომ მოსწავლემ უფრო კარგად გაიცნოს პრესონაჟი, მისი თვისებები, მსოფლმხედველობა, უნდა დავვხმაროთ მას, საფუძვლიანად დაფიქრდეს, თუ რას გრძნობს იგი და როგორი დამოკიდებულება აქვს გარესამყაროსადმი. ყოველივე ეს კი ხელს უწყობს წაკითხული ტექსტის გააზრებას.

**აქტივობის მიზნები:** მოსწავლეები

1. უკეთ გაიცნობენ წაკითხული ნაწარმოების პერსონაჟს/პერსონაჟებს;
2. დააკვირდებიან პერსონაჟის/პერსონაჟების თვისებებს;
3. დააკვირდებიან პერსონაჟთა ურთიერთდამოკიდებულებას.

**რესურსები:** სახელმძღვანელო, რვეული, კალამი.

**აქტივობის აღწერა:**

1. მასწავლებელი შეარჩევს პერსონაჟს შესწავლილი მხატვრული ნაწარმოებიდან და განიხილავს მთელ კლასთან ერთად. მოსწავლეების დახმარებით იგი დაფაზე ჩამოწერს ამ პერსონაჟის ძირითად დამახასიათებელ თვისებებს.
2. მასწავლებელი იმეორებს ამავე პროცედურას სხვა პერსონაჟთან დაკავშირებით. **შერიძენა:** შერჩეულ პერსონაჟთა რაოდენობა დამოკიდებულია ტექსტზე, ასევე მასწავლებლის გადაწყვეტილებაზე.
3. მასწავლებელი ავალებს მოსწავლეებს დაფიქრდნენ შემდეგზე: ერთ პერსონაჟს მეორისთვის წერილი რომ მიეწერა, მათი აზრით, რას დაწერდა იგი? ყოფს კლასს ჯგუფებად და აძლევს დროს (2-3 წუთს) თემის მოსაფიქრებლად.
4. ჯგუფების კარნახით მასწავლებელი დაფაზე ჩამოწერს წერილის სავარაუდო თემებს.
5. იმართება დისკუსია, რომლის დროსაც განიხილება, რამდენად ადეკვატურად შეარჩიეს ჯგუფებმა თემები. მასწავლებელი წინასწარ აძლევს მითითებას მოსწავლეებს, რომ ჯგუფის პოზიციის დასაცავად მისაღებია მხოლოდ ის არგუმენ-

- ტები, რომლებიც ტექსტს ემყარება.
6. დისკუსიის შედეგად შეირჩევა თემები წერილისთვის (ერთი ან ორი, შესაძლებელია სამიც).
  7. ამის შემდეგ მასწავლებელი ავალებს მოსწავლეებს, დამოუკიდებლად დაწერონ წერილი. შენიშვნა: წერილის მოცულობა უნდა იყოს იმდენი, რამდენის დაწერა-საც მოასწრებენ მოსწავლეები 10-15 წუთის განმავლობაში.
  8. წერის დასრულების შემდეგ მასწავლებელი რამდენიმე მოსწავლეს წააკითხებს წანერს და განიხილავს კლასთან ერთად. შენიშვნა: განხილვამდე მოსწავლეებს შეახსენებს, რომ წანერის შეფასებისას მათ უნდა იხელდოვანელონ ორი კრიტე-რიუმით. ესენია: 1) შესაბამისობა დაფაზე ჩამოწერილ პერსონაჟების დამახასია-თებელ თვისებებთან, 2) შესაბამისობა ტექსტთან, რომელშიც ასახულია პერსო-ნაჟთა ურთიერთდამოკიდებულება.

**შეფასება:** ეს აქტივობა კომპლექსურია და კითხვის გარდა, ზეპირმეტყველებისა და წერის მიმართულებებსაც მოიცავს. ამდენად, მისი მიმღინარეობისას შეფასდება

- წაკითხულის გააზრების უნარი - რამდენად კარგად შეუძლია მოსწავლეს, ამო-იცნოს პერსონაჟთა თვისებები, მათი ურთიერთდამოკიდებულებები;
- დისკუსიიაში მონაწილეობის უნარი - რამდენად კარგად შეუძლია მოსწავლეს სა-კუთარი მოსაზრების დასაბუთება შესაბამისი არგუმენტების მოშველიებით;
- წერის უნარი - რამდენად კარგად შეუძლია მოსწავლეს მიზნობრივი ტექსტის (მოცემულ შემთხვევაში, წერილის) შექმნა და გაფორმება;
- წარმოსახვის უნარი - რამდენად შემოქმედებითად მიუდგა მოსწავლე მოცემულ დავალებას.

აქტივობის მსვლელობისას ყურადღება უნდა დაეთმოს მოსწავლეთა ურთიერთშეფა-სებას.

**მეთოდური მითითება:** სასწავლო მიზნიდან და ტექსტის სპეციფიკიდან გამომდინა-რე, მასწავლებელს შეუძლია გარკვეული მოდიფიკაციები შეიტანოს ამ აქტივობაში. მაგა-ლითად, შექმნას „განცხადებების დაფა“ წერილებისათვის, რომლებშიც გამოტოვებული იქნება პერსონაჟთა სახელები, ხოლო მოსწავლეებს დაევალებათ მათი (ადრესანტის და ადრესატის) გამოცნობა. ამ აქტივობის გამოყენება შესაძლებელია IV და VI კლასებშიც.

**ქართ. V. 9. მოსწავლეს აქვს წაკითხული მხატვრული ტექსტის ინტერპრეტაციის საწყისი უნარი.**

#### აქტივობა №1: ინტერვიუ პერსონაჟთან.

**აქტივობის შესახებ:** ეს აქტივობა ხელს უწყობს ტექსტის მრავალმხრივ გააზრებას. მოსწავლე დაინახავს, რომ ტექსტის შინაარსი შესაძლებელია განსხვავებულად იქნას აღქ-მული და გადმოცემული იმის მიხედვით, თუ ვინ ყვება მას. ასევე დაფიქრდება იმაზეც, რომ სხვადასხვა პერსონაჟს შესაძლებელია ერთმანეთისაგან განსხვავებული მიმართება ჰქონ-დეს ნაწარმოებში ასახული ერთი და იმავე მოვლენის ან ფაქტის მიმართ.

#### აქტივობის მიზანი: მოსწავლეები შეძლებენ

1. წაკითხული ტექსტის შინაარსის აღქმას და გადმოცემას სხვადასხვა პერსპექტი-ვიდან;
2. ნაწარმოებში დასმული პრობლემის გააზრებას სხვადასხვა კუთხიდან;

**თავი IV. სანიშვნო აქცივაბაზი**

3. ტექსტიდან ძირითადი და მნიშვნელოვანი საკითხების გამოყოფას;
4. კითხვების ჩამოყალიბებას წაკითხულის გარშემო;
5. ზეპირი მეტყველების უნარების განვითარებას;
6. ურთიერთშეფასებას.

**რესურსები:** საკითხავი ტექსტი, დაფა, ცარცი/ბორდმარკერი.

**აქტივობის აღნერა:**

1. გონიერივი იერიშის საშუალებით მოსწავლეები ქმნიან სავარაუდო საკითხების / თემების ჩამონათვალს, რომელთა შესახებაც შეიძლება დაუსვან კითხვები რესპონდენტებს (პერსონაჟებს). მასწავლებელი კი დაფაზე ჩამონერს ამ საკითხებს/ თემებს ორ სვეტად. საკითხები უნდა ეხებოდეს საკვანძო მომენტებს ნაწარმოებიდან.
2. მასწავლებელი აძლევს მოსწავლეებს მითითებას, რომ „უურნალისტმა“ (ანუ ინტერვიუერმა) თავად უნდა მოიფიქროს, რა თემაზე დაუსვამს კითხვებს პერსონაჟს. მას აქვს მხოლოდ 3 კითხვის დასმის უფლება, მაგრამ პასუხის მოსმენის დროს შეუძლია დაზუსტების მიზნით დასვას დამატებითი შეკითხვებიც.
3. გამოდის მოსწავლეთა ერთი წყვილი. ისინი ინანილებენ როლებს და სხდებიან ერთმანეთის პირისპირ. ერთი ირჩევს უურნალისტის როლს, ხოლო მეორე - პერსონაჟისას. შენიშვნა: მოსწავლეებმა როლები შეიძლება თავად შეარჩიონ, ან მასწავლებლის დახმარებით. ინტერვიუ გრძელდება 3-4 წუთი.
4. შემდეგ რესპონდენტის ადგილ იკავებს სხვა მოსწავლე, რომელიც სხვა პერსონაჟს განასახიერებს. „უურნალისტი“ ზუსტად იმავე კითხვებს უსვამს მეორე პერსონაჟს. მეორდება იგივე პროცედურა.
5. დასკვნების გამოტანა / შეჯამება: მოსწავლეები აჯამებენ პერსონაჟების პასუხებს - განსაზღვრავენ, რა მსგავსებები და განსხვავებები აღმოაჩინეს მათ პასუხებში, ცდილობენ ახსნან მიზეზები.
6. მოსწავლეები აფასებენ როგორც უურნალისტის მიერ დასმულ კითხვებს, ისე თითოეული პერსონაჟის მიერ გაცემულ პასუხებს.

**შეფასება:** ამ აქტივობაში, უურნალისტისა და რესპონდენტების როლების შემსრულებელთა გარდა, აქტიურად მონაწილეობს მთელი კლასი. ამიტომ, იგი მოსწავლეთა მრავალ-მხრივი შეფასების კარგ საშუალებას იძლევა.

ამასთანავე, სრულიად აშკარაა, რომ ეს აქტივობა მნიშვნელოვნად ფარავს ზეპირ-მეტყველების მიმართულებასაც და, შესაბამისად, ამ მიმართულებაში აღწერილი უნარების შეფასებასაც ითვალისწინებს. ამრიგად, ამ აქტივობით შეიძლება შეფასდეს, შეუძლია თუ არა მოსწავლეს

- ლიტერატურული ტექსტის შინაარსის გაგება და გააზრება;
- პერსონაჟთა გრძნობების, ემოციებისა და საქციელის გაგება;
- ნაწარმოებიდან ძირითადი საკითხების გამოყოფა;
- კითხვების ჩამოყალიბება თემის ირგვლივ;
- სათქმელის მკაფიოდ ჩამოყალიბება;
- ამბის გაბმულად თხრობა;
- მოსმენილის გაანალიზება და მის საფუძველზე დასკვნების გამოტანა.

ამგვარი კომპლექსური ხასიათის აქტივობები კარგი მასალაა გროგორც ანმავითარებელი, ისე და განმსაზღვრელი შეფასების გამოსაყენებლად. რაც შეეხება მოსწავლე-

თა ურთიერთშეფასებას, სასურველია, მოსწავლეებმა ინტერვიუს მსვლელობა შეაფასონ შემდეგი კრიტერიუმების მიხედვით: ა) ეხებოდა თუ არა დასმული კითხვები ნაწარმოების მნიშვნელოვან / საკვანძო საკითხებს; ბ) იყო თუ არა კითხვები მკაფიოდ და გასაგებად ჩამოყალიბებული; გ) იყო თუ არა რესპონდენტის პასუხები ამომწურავი; დ) იყო თუ არა რესპონდენტის პასუხები მკაფიოდ და გასაგებად ჩამოყალიბებული. შენიშვნა: კრიტერიუმები შესაძლებელია მასწავლებელმა წინასწარ შეიმუშაოს კლასთან ერთად, ასევე წინასწარ გაამზადოს შეფასების ფურცლები და დაურიგოს მოსწავლეებს.

**მეთოდური მითითება:** ამ აქტივობის ჩატარება მიზანშეწონილია ნაწარმოების წაკითხვისა და მისი შინაარსის სათანადოდ დამუშავების შემდეგ. საკითხავ მასალად საჭიროა მკაფიო სიუჟეტის მქონე ტექსტის შერჩევა, სადაც არსებობს ოპოზიცია, ორი მხარე, რომლებსაც განსხვავებული დამოკიდებულება აქვთ ნაწარმოებში დასმული პრობლემის მიმართ. ამგვარი აქტივობების დაგეგმვა და განხორციელება შესაძლებელია მაღალ კლასებშიც. ტექსტის სირთულის გათვალისწინებით, ბუნებრივია, შესაძლებელია კითხვების შინაარსისა და რაოდენობის შეცვლაც.

**ქართ. V. 10. მოსწავლეს შეუძლია სხვადასხვა ხასიათის ტექსტის სტრუქტურული და ენობრივი თავისებურებების ამოცნობა.**

#### აქტივობა №1: იპოვე და გაასწორე შეცდომა!

**აქტივობის შესახებ:** ენობრივი საკითხების ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების ერთ-ერთი კარგად აპრობირებული და ეფექტური საშუალებაა შეცდომების გასწორება. წარმოდგენილი აქტივობა სხვის მიერ დაშვებული შეცდომების გასწორების და შეცდომების გენერირების გზით გრამატიკული ცოდნის აქტივაციისა და გამოყენების საშუალებას აძლევს მოსწავლეებს.

#### აქტივობის მიზნები: მოსწავლეები

1. გამოიყენებენ სიტყვათა შორის სინტაქსური მიმართებების ცოდნას შეცდომების გასასწორებლად;
2. გრამატიკული წესების ცოდნის გამოყენებით სპეციალურად დაუშვებენ შეცდომებს;
3. იმუშავებენ წყვილებში.

**რესურსები:** პროექტორი, ფურცლები, რვეულები, საწერი კალმები.

#### აქტივობის აღწერა:

1. მასწავლებელი პროექტორის საშუალებით მოსწავლეებს აჩვენებს ტექსტს, რომელშიც დაშვებულია რამდენიმე გრამატიკული შეცდომა, მაგალითად, დარღვეულია სახელებს შორის ბრუნვაში შეთანხმება, ზმინისა და სახელის შეთანხმება რიცხვში, წინადადებას აკლია მოქმედების გამომხატველი სიტყვა და ა.შ. მასწავლებელი წინასწარ ეუბნება მოსწავლეებს, რამდენი შეცდომაა დაშვებული ტექსტში და სთხოვს, იპოვონ და გაასწორონ ისინი. მოსწავლეები ყურადღებით კითხულობენ ტექსტს და ასწორებენ შეცდომებს. ამ დავალების შესრულება შესაძლებელია ზეპირადაც და წერილობითაც.
2. შემდეგ მასწავლებელი ყოფს მოსწავლეებს წყვილებად და აძლევს მათ დავალებას, თავად მოიფიქრონ და ფურცელზე დაწერონ 2-3 წინადადება, რომელშიც დაშვებული იქნება შეცდომები. მეწყვილეები ცვლიან ბარათებს და ასწორებენ

ერთმანეთის შეცდომებს, შემდეგ კი აცნობენ შედეგებს თანაკლასელებსა და მასწავლებელს.

**შეფასება:** ამ აქტივობით ფასდება,

- იცის თუ არა მოსწავლემ სიტყვათა შორის ძირითადი სინატაქსური მიმართებები;
- შეუძლია თუ არა მოსწავლეს გრამატიკული ცოდნის გამოყენება კონკრეტული ენობრივი ამოცანების გადასაწყვეტად.

**მეთოდური მითითება:** ამგვარი აქტივობების გამოყენება თავისუფლად არის შესაძლებელი დაბალ კლასებშიც (III კლასიდან).

**ქარ. V. 11. მოსწავლეს შეუძლია ტექსტის ვერბალური და არავერბალური ნაწილების ერთმანეთთან დაკავშირება, ინტერპრეტირება და მსჯელობა მათს ურთიერთმომართებაზე; აქვს მედიანიგნიერების საწყისი უნარ-ჩვევები.**

**აქტივობა: ლექსის აწყობა** (ილუსტრაციების მიხედვით წასაკითხი ნაწარმოების შინაარსისა და განწყობის ამოცნობა).

**აქტივობის შესახებ:** ილუსტრაციების საშუალებით წასაკითხი ტექსტის სავარაუდო სიუჟეტზე დაფიქრება საკმაოდ აპრობირებული მეთოდია კითხვისთვის მზადების ეტაპზე. ამ ტიპის აქტივობები ხელს უწყობს არა მხოლოდ კითხვის, არამედ ზეპირმეტყველების უნარ-ჩვევების განვითარებასაც.

**შენიშვნა:** უნდა აღვნიშნოთ, რომ ნამდვილად არ აღმოჩნდა იოლი ქართველი ავტორის მიერ შექმნილი, სათანადოდ ილუსტრირებული ისეთი ნარატიული ლექსის მოძიება, რომელიც არც ერთ სახელმძღვანელოში არ არის შეტანილი. ამიტომ გადავწყვიტეთ, სანიმუშო აქტივობისათვის შეგვერჩია გამოჩენილი ამერიკელი მწერლის, ედგარ ალან პოს ცნობილი ლექსი „ანაბელ ლი“, რომლის არაერთი შესანიშნავი თარგმანი არსებობს ქართულ ენაზე. ამასთანავე, დავადგინეთ, რომ ამერიკულ სკოლებში ეს ლექსი სწორედ მოცემული ასაკობრივი ჯგუფისთვისა განკუთვნილი.

**აქტივობის მიზანი:** მოსწავლეები

1. დააკვირდებიან ტექსტის ილუსტრაციებს და შეეცდებიან მათი დახმარებით ამოიცნონ ტექსტის შესაძლო შინაარსი და განწყობა;
2. მოახერხებენ ტექსტის ვერბალური და არავერბალური ნაწილების ერთმანეთთან დაკავშირებას;
3. ზეპირად გამოთქვამენ ვარაუდებს წასაკითხ ტექსტთან დაკავშირებით;
4. შეძლებენ შინაარსის ზეპირად გადმოცემას;
5. შეძლებენ ილუსტრაციების ადეკვატურობის შეფასებას;
6. შეძლებენ ტექსტის მთლიანი შინაარსის გაგებას;
7. შეეჩევიან მუშაობას დამოუკიდებლად, წყვილებში და ჯგუფებში;
8. შეძლებენ საკლასო დისკუსიაში მონაწილეობას.

**რესურსები:** ფურცლები ილუსტრაციებით, ბარათები, რომლებზეც ამონერილია/დაბეჭდილია ლექსის ნაწილები, მთლიანი ტექსტი/წიგნი.



**აქტივობის აღწერა:**



1. მასწავლებელი გააცნობს მოსწავლეებს შესასწავლი ლექსის სათაურს და უხსნის მათ, რომ ანაბელ ლი არის საკუთარი სახელი. **შენიშვნა:** შესაძლებელია უკეთესი

იყოს, თვითონ მოსწავლეები დაფიქრდენენ და დაადგინონ, რომელია სახელი და რომელი - გვარი, კაცის სახელია ანაბელ ლი თუ ქალის და ა.შ.

2. ამის შემდეგ მასწავლებელი მოსწავლეებს ურიგებს ფურცელზე დაბეჭდილ ილუსტრაციებს (იხ. ილუსტრაციები).
3. მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, დააკვირდნენ სურათებს, დაფიქრდნენ, რა შეიძლება იყოს ამ ლექსის თემა. შენიშვნა: მასწავლებელმა მოსწავლეებს უნდა მისცეს საკმარისი დრო, რომ იფიქრონ. მთელ კლასთან მუშაობისას არ არის აუცილებელი, რომ მხოლოდ სწრაფ პასუხებზე გათვლილი შეკითხვები დაისვას.
4. ამის შემდეგ მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, გამოოქვან თავიანთი ვერსიები. დისკუსიაში მონანილეობს მთელი კლასი. შენიშვნა: სასურველია, მასწავლებელმა ნარმართოს და რეპლიკებისა თუ კომენტარების საშუალებით გარკვეულ კალაპოტში მოაქციოს ეს დისკუსია.

### ილუსტრაციები





5. მას შემდეგ, რაც გამოიკვეთება ვერსია, რომელსაც ყველა ეთანხმება (და რომელიც იმდენად ახლოს არის ტექსტთან, რომ შესაძლებელია სწორად ჩაითვალოს), მასნავლებელი ყოფს კლასს 5-6 მოსწავლისაგან შემდგარ ჯგუფებად და ავალებს მათ, ილუსტრაციების მიხედვით ააგონ ნაწარმოების შინაარსი.
6. მუშაობის დასრულების შემდეგ ჯგუფის წარმომადგენელი მთელს კლასს უზიარებს შემუშავებულ ვერსიას. აქტივობის ეს ეტაპიც მთელი კლასის მონაწილეობას ითვალისწინებს. შენიშვნა: ა) ზოგიერთმა ილუსტრაციამ შესაძლებელია დაბნეულობა გამოიწვიოს, მაგრამ მასნავლებელმა უნდა მისცეს მოსწავლეებს საშუალება, იკამათონ, იმსჯელონ, დაასაბუთონ თავიანთი შეხედულებები და გადაწყვეტილებები. ბ) აქტივობის ნინა ეტაპის მსგავსად, სასურველია, მასნავლებელმა წარმართოს ეს დისკუსია და დამატებითი კითხვების, მითითებებისა და კომენტარების საშუალებით მოსწავლეებს დაეხმაროს, მაქსიმალურად მიუახლოვდნენ ნამდვილ ვერსიას.
7. ამის შემდეგ მასნავლებელი გააცნობს მოსწავლეებს ნაწარმოებს, მაგრამ არა მთლიანად, არამედ თითოეულ ილუსტრაციასთან დაკავშირებულ სტროფებს/ნაწილებს, რომლებიც ამონერილია ან დაბეჭდილია ბარათებზე. შენიშვნა: მასნავლებელმა ნინასნარ უნდა დაყოს ლექსი ნაწილებად. რადგანაც ეს ლექსი სტანდარტული, ოთხ-სტრიქონიანი სტროფებისაგან არ შედგება, მასნავლებელს შეუძლია სხვადასხვა რაოდენობის სტრიქონებისგან შემდგარ ნაწილებად დაყოს იგი. ამ შემთხვევაში მთავარია შინაარსობრივი დაყოფა და არა - ფორმალურ-სტრუქტურული.

### ბარათების ნიმუშები.

ეს გახდა მიზეზი, რომ ის ყიამეთი ჩამონვა ნაპირზე ზღვის და ქარი სუსხავდა, მქროლავი შავეთით, ჩემს ლამაზ ანაბელ ლის. გახსნა ზენაარმა ლაუვარდის კარედი და ზეცად მიიხმო მყის, გაჩინდა გულისსწორის ბნელი საძვალეთი იმავე ნაპირზე ზღვის.

მაშინ ბავშვი იყო, მეც ვიყავ ყმანვილი, ო, წინათ მრავალი წლის... და ეს სიყვარული ისე ზეავდილი გვხვდა მე და ანაბელ ლის, რომ გაოცეცული და შურით აღვსილი იყო სერაფიმი ცის.

და ვერც ანგელოზი ცის, და ვერცა დემონი ზღვის, ვერ გამყრის ვერარა, რაგინდ რა ძლიერი, ჩემს ძვირფას ანაბელ ლის.

ცხოვრობდა ზღვის პირას ლამაზი ასული სულ წინათ მრავალი წლის, ეგება თქვენც გყავდეთ ოდესმე ნახული, ეძახდნენ ანაბელ ლის.

მთვარე გზად მაცილებს, სატროფოსთან მაწყვილებს, მასიზმრებს ანაბელ ლის, და მისთა თვალთა შუქს ჩემს სულში აბრნყინებს ვარსკვლავი, მაღლით რომ კრთის, ყოველდამ მასთან ვარ, ვინც მე მათრთოლებდა, ყოველდამ საფლავში ვრჩები საცოლესთან, საფლავში ნაპირზე ზღვის, ნაპირზე მღელვარე ზღვის.

ავნი ანგელოზნი შურიან ლაციცით რომ გადმოგვყურებდნენ ძირს, ეს იყო მიზეზი (დიახ, კარგად იცის ყველამ ამ ნაპირზე ზღვის), რისხვა ბნელეთიდან მოვარდნილ ქარიშხლის ვერ ასცდა ანაბელ ლის.

8. ამის შემდეგ მოსწავლეები მუშაობენ წყვილებში. მათი ამოცანაა, შეუსაბამონ ტექსტის თითოეული ნაწილი შესაბამის ილუსტრაციას. შენიშვნა: იმის გათვალისწინებით, რომ მოსწავლეები პირველად კითხულობენ ლექსს, მასწავლებელმა საკმარისი დრო უნდა მისცეს მათ ამ დავალების შესასრულებლად.
9. წყვილები წარმოადგენენ თავიანთ ვერსიებს. იწყება განხილვა, რომელშიც კვლავ მთელი კლასი მონაწილეობს. მოსწავლეები თანხმდებიან ერთ ვერსიაზე. შენიშვნა: რა თქმა უნდა, მასწავლებლის როლი ამ ეტაპზეც მნიშვნელოვანია.
10. დასასრულს მასწავლებელი ხმამაღლა კითხულობს მთლიან ლექსს, შემდეგ მოსწავლეები კითხულობენ გამოთქმით. ამის შემდეგ იწყებენ ტექსტის დამუშავებას.

## ანაბეჭ ლი

ცხოვრობდა ზღვის პირას ლამაზი ასული  
სულ წინათ მრავალი წლის,  
ეგება თქვენც გყავდეთ ოდესმე ნახული,  
ეძახდნენ ანაბეჭ ლის.  
მასთან მაერთებდა მხოლოდ სიყვარული  
და თვით მაღმერთებდა ის.

მაშინ ბავშვი იყო, მეც ვიყავ ყმაწვილი,  
ო, წინათ მრავალი წლის...  
და ეს სიყვარული ისე ზეაწვდილი  
გვხვდა მე და ანაბეჭ ლის,  
რომ გაოცებული და შურით აღვსილი  
იყო სერაფიმი ცის.

ეს გახდა მიზეზი, რომ ის ყიამეთი  
ჩამოწვა ნაპირზე ზღვის  
და ქარი სუსხავდა, მქროლავი შავეთით,  
ჩემს ლამაზ ანაბეჭ ლის.  
გახსნა ზენაარმა ლაქვარდის კარედი  
და ზეცად მიიხმო მყის,  
გაჩნდა გულისსწორის ბნელი საძვალეთი  
იმავე ნაპირზე ზღვის.

ავნი ანგელოზნი შურიან ლაციცით  
რომ გადმოგვურებდნენ ძირს,  
ეს იყო მიზეზი (დიახ, კარგად იცის  
ყველამ ამ ნაპირზე ზღვის),  
რისხვა ბნელეთიდან მოვარდნილ ქარიშხლის  
ვერ ასცდა ანაბეჭ ლის.

ამ ტრფობით დავჯაბნეთ თვით ჩვენზე ხნიერნი,  
მზიდველნი მრავალი წლის,  
ჩვენზე უბრძენესნი, ჩვენზე გონიერნი.  
და ვერც ანგელოზი ცის,  
და ვერცა დემონი ზღვის,  
ვერ გამყრის ვერარა, რაგინდ რა ძლიერი,  
ჩემს ძვირფას ანაბელ ლის.

მთვარე გზად მაცილებს, სატრფოსთან მაწყვილებს,  
მასიზმრებს ანაბელ ლის,  
და მისთა თვალთა შუქს ჩემს სულში აბრნყინებს  
ვარსკვლავი, მაღლით რომ კრთის,  
ყოველდამ მასთან ვარ, ვინც მე მათრთოლებდა,  
ყოველდამ საფლავში ვრჩები საცოლესთან,  
საფლავში ნაპირზე ზღვის,  
ნაპირზე მღელვარე ზღვის.

**შეფასება:** აქტივობის მიმდინარეობისას მიზანშენონილია განმავითარებელი შეფასების გამოყენება. ამ აქტივობით შეფასდება,

- რამდენად აქტიურად არის ჩართული მოსწავლე მუშაობაში აქტივობის ყველა ეტაპზე;
- რამდენად აქვს მოსწავლეს განვითარებული ზეპირმეტყველებითი (სხვისი აზრის მოსმენის და გაზიარების, კამათის, საკუთარი მოსაზრების ჩამოყალიბებისა და დასაბუთების) უნარები;
- რამდენად კარგად შეუძლია მოსწავლეს ტექსტის არავერბალური ნაწილების ფუნქციურად გამოყენება;
- რამდენად აქვს განვითარებული მოსწავლეს დამოუკიდებლად მუშაობის უნარ-ჩვევები;
- შეუძლია თუ არა მოსწავლეს ურთიერთთანამშრომლობა.

**მეთოდური მითითება:** ეს აქტივობა გაკვეთილზე კითხვის მრავალი სტრატეგიის გამოყენების საშუალებას იძლევა. მათ შორისაა: ინდივიდუალური კითხვა, საზიარო კითხვა, ხმამაღლი კითხვა, წაკითხულის გააზრება, ზეპირმეტყველება: მოსმენა, ლაპარაკი, გამოთქმით კითხვა და დისკუსია.

**ქართ. V. 12. მოსწავლეს შეუძლია კითხვის სხვადასხვა სტრატეგიის გამოყენება ტექსტის უკეთ გააზრების მიზნით.**

**აქტივობა №1: მნიშვნელოვანი სიტყვები.**

**აქტივობის მიზნები:** მოსწავლეები შეძლებენ

1. საკვანძო სიტყვებზე დაყრდნობით ტექსტში ორიენტირებას;
2. საკვანძო სიტყვების გამოყენებით ტექსტში ინფორმაციის მოძიებას.

**რესურსები:** პროექტორი, დამუშავებული ტექსტი.

**აქტივობის აღნერა:**

მასწავლებელი პროექტორის დახმარებით მოსწავლეებს აჩვენებს საინფორმაციო ხასიათის უცნობ ტექსტს. მასწავლებელი მხოლოდ აჩვენებს მოსწავლეებს ამ ტექსტს არ სთხოვს მის წაკითხვას. წარმოვიდგინოთ, რომ ეს ტექსტი მოგვითხრობს ჭიანჭველების შესახებ. ტექსტი დაყოფილია აბზაცებად და თითოეული აბზაცი ეხება ჭიანჭველების ცხოვრების მხოლოდ ერთ ასპექტს. ყოველ აბზაცში სხვა შრიფტის ზომით ან ფერით გამოყოფილი უნდა იყოს საკვანძო სიტყვა, რომელიც მიახვედრებს მოსწავლეს, თუ რა საკითხს ეხება მოცემული აბზაცი. მასწავლებელი სვამს კითხვებს:

- თუ გვაინტერესებს, სად ბინადრობენ ჭიანჭველები, რომელ აბზაცში უნდა ვეძებოთ ეს ინფორმაცია?**
- თუ გვაინტერესებს, რამდენ ხანს ცოცხლობენ ჭიანჭველები, რომელი აბზაცი უნდა წავიკითხოთ?**

მოსწავლეებმა ტექსტის წაკითხვის გარეშე უნდა ამოიცნონ, რომელ აბზაცშია მოცემული მათვების საინტერესო ინფორმაცია.

**შეფასება:** ამ აქტივობით შეფასდება, შეუძლიათ თუ არა მოსწავლეებს ტექსტთან დაკავშირებულ კითხვებზე პასუხის გაცემა საკვანძო სიტყვებზე დაყრდნობით.

**მეთოდური მითითება:** სასურველია, რომ შემდგომში მოსწავლეებმა უკვე მასწავლებლის დახმარების გარეშე, დამოუკიდებლად შეძლონ ტექსტში საკვანძო სიტყვების ამოცნობა და დასახელება.

#### ქართ. V. 13. მოსწავლეს შეუძლია სხვადასხვა სახის ტექსტების დამოუკიდებლად შექმნა.

**აქტივობა №1: ჩამოაყალიბე – გაუზიარე – შეთანხმდით – დაასკვენით.**

**აქტივობის შესახებ:** აქტივობა ემსახურება ვერბალური და არავერბალური ინფორმაციის აღქმის, განალიზების, საკუთარი თვალსაზრისის/პოზიციის/დასკვნების გამოხატვის უნარ-ჩვევების გამომუშავებას; ტრადიციული (წერილობითი) და მულტიმედიური ტექსტების აღქმისა და ერთიან კონტესტში გააზრებისათვის საჭირო უნარ-ჩვევების გამომუშავებას.

**აქტივობის მიზნები:**

- ვერბალური და არავერბალური ინფორმაციის ერთმანეთთან დაკავშირებისა და განალიზების უნარების განვითარება;
- ტექსტის ანალიზის უნარების განვითარება;
- თანამშრომლობის უნარის განვითარება.

**აქტივობის ორგანიზების ფორმა:** ინდივიდუალური (პირველი ნაწილი), წყვილური (მეორე ნაწილი).

**რესურსები:** რვეული, კალამი, ტექსტი (ვიდეომასალა).

**აქტივობის აღწერა:**

აქტივობის დასაწყისში მასწავლებელი ავალებს მოსწავლეებს, რომ ინდივიდუალურად, წერილობით ჩამოაყალიბონ თავიანთი მოსაზრება (მაგ: სასწავლო ტექსტიდან გამომდინარე, გახსნან მეტაფორა “ცას სახე ჩამოსტირის,” ან ფორმულირება გაუკეთონ ნაწარმოების/ერთ-ერთი თავის მთავარ თემას და დაუკავშირონ იგი სათაურს; მულტილმის/ფილმის ნახვის შემდეგ დაწერონ დასკვნა, რა იყო ფილმის დედააზრი და სხვ.). შემდეგ მასწავლებელი აწყვილებს მოსწავლეებს. მეწყვილები ერთმანეთს გააცნობენ თავიანთ ჩანაწერებს, ახსნიან, რატომ ფიქრობენ ასე, მოიშველიერენ ტექსტს, ციტატებს, ბოლოს

კი ერთობლივად ჩამოყალიბებენ საერთო აზრს, რომელშიც გამოიყენებენ თავიანთ ნაწერებში გამოყენებულ სიტყვებს, ფრაზებსა და აზრებს. აქტივობა ნაყოფიერ ნიადაგს ამზადებს მსჯელობისთვის.

**აქტივობის ხანგრძლივობა:** 13-15 წუთი.

**შეფასება:** აქტივობით ფასდება, შეუძლია თუ არა მოსწავლეს:

- ტექსტის/ვიდეო/აუდიომასალის შინაარსის ადეკვატური აღქმა;
- საკუთარი დამოკიდებულების წერილობით ჩამოყალიბება, წერისას ავტორისეულ ლექსიკაზე დაყრდნობით;
- ტექსტის დანიშნულების განსაზღვრა,
- ტექსტის გამართვა სალიტერატურო ენის ნორმების მიხედვით, მისი ცალკეული მონაკვეთების შეცვლა, დახვენა;
- თანამშრომლობა.

**მეთოდური მითითება:** აქტივობა კომპლექსური ხასიათისაა და ხელს უწყობს კითხვის, ზეპირმეტყველების და თანამშრომლობით მუშაობის უნარების ჩამოყალიბებას.

### აქტივობა №2: დავფიქრდეთ შინაარსზე.

**აქტივობის შესახებ:** აქტივობა ემსახურება ტექსტის შინაარსის გააზრებისა და ლაკონიურად გადმოცემის უნარ-ჩვევების გამომუშავებას.

**აქტივობის მიზნები:**

- ტექსტის გააზრებისა და ანალიზის უნარ-ჩვევების ჩამოყალიბება;
- შინაარსის ლაკონიურად გადმოცემის უნარ-ჩვევების ჩამოყალიბება;
- თანამშრომლობის უნარის განვითარება.

**აქტივობის ორგანიზების ფორმა:** ჯგუფური.

**რესურსები:** კალამი, ფურცლები.

**აქტივობის აღწერა:**

მასალის წაკითხვის შემდეგ მოსწავლეები დაჯგუფდებიან ოთხ-ხუთკაციან ჯგუფებად. მასწავლებელი თითოეულ ჯგუფს მოუნიშნავს ტექსტის ნაწილს/თავს. ყველა ჯგუფს სამუშაოდ აქვს ერთი ფურცელი, რომელზეც ჯგუფის წევრებმა რიგ-რიგობით უნდა დაწერონ თითო-თითო შემაჯამებელი წინადადება მოცემული მონაკვეთის შესახებ (თითოეული დაწერს ერთ შემაჯამებელ წინადადებას). მეტი ორგანიზებულობისთვის, შეიძლება ჯგუფის წევრების ნუმერაციაც. შესაბამისად, პირველ შემაჯამებელ წინადადებას დაწერს პირველი ნომერი, მეორე შემაჯამებელ წინადადებას – მეორე და ა.შ.

მუშაობის დასრულების შემდეგ, მასწავლებლის დახმარებით, ჯგუფების ნამუშევრები დალაგდება შინაარსის თანამიმდევრობის დაცვით (დაფაზე, მაგიდაზე) და შეფასდება კლასისა და მასწავლებლის მიერ, ზეპირი მსჯელობის/განხილვის გზით.

**ნიმუში:** იაკობ გოგებაშვილი, “იავნანამ რა ჰქმნა?”

- პირველი ჯგუფის წევრები წერენ შემაჯამებელ წინადადებებს მოთხრობის პირველი თავის შესახებ “სამშობლო ღვინისა”.
- მეორე ჯგუფის წევრები წერენ შემაჯამებელ წინადადებებს მოთხრობის მეორე თავის შესახებ “სოფელი ვაშლოვანი”.
- მესამე ჯგუფი – “ლეკები კახეთში”.
- მეოთხე – “ქეთოს იტაცებენ.”

## (სტილი დაცულია)

პირველი ჯგუფი - “სამშობლო ღვინისა.”	<ol style="list-style-type: none"> <li>თბილისიდან რომ აღმოსავლეთში წახვიდე არის ერთი მთა და ქვია ცივი.</li> <li>იმ მთიდან მოჩანს ვენახების ზღვა და ლაპლაპა ზოლი, მდინარე ალაზანი, რომელიც კახეთს ორ ნაწილად ყოფს.</li> <li>კახეთს დიდი მთები ყოფს დალესტნისგან.</li> <li>იმ მიდამოში ერთი ღელეა მაგრამ ახლოს რომ მიხვიდე დაინახავ რომ იქ ადრე სოფელი ყოფილა და ეხლა ნასოფლარია.</li> </ol>
მეორე ჯგუფი - “სოფელი ვაშლოვანი.”	<ol style="list-style-type: none"> <li>ძველად ამ ადგილას იყო მოზრდილი სოფელი და იმ სოფელში კი იყო ანკარა წყარო.</li> <li>ვაშლოვანში ცხოვრობდა თავადი ზურაბ ქართველიძე, რომელიც განთქმული იყო თავისი სიმდიდრით.</li> <li>ზურაბს ცოლად ყავდა მაგდანი და მაგდანი კიდევ განთქმული იყო იმით რომ ძაან მაგრა მღეროდა.</li> <li>ზურაბს და მაგდანას ჰავდათ შვილი სახელად ქეთო, რომელიც სამი წლის იყო და ძალიან ლამაზი იყო.</li> </ol>
მესამე ჯგუფი – “ლეკები კახეთში”	<ol style="list-style-type: none"> <li>ადრე კახეთში ლეკები ხშირად დათარეშობდნენ.</li> <li>ქართველებს და ლეკებს შორის ძაან კარგი მეგობრობა იყო და არ ემტერებოდნენ მაშინ.</li> <li>მეზობლობის გამო ლეკები კახეთში იარაღის და ნაბდების სავაჭროდ დადიოდნენ.</li> <li>ლეკები განთქმულნი იყვნენ იარაღის და ნაბდეულობის კეთებაში.</li> </ol>
მეოთხე ჯგუფი – “ქეთოს იტაცებენ.”	<ol style="list-style-type: none"> <li>კახეთში ხშირად დაიარებოდნენ ორი ბაჯაჯგუნა ლეკი, რომლებსაც ყველა აბუჩად იგდებდა და წყალწალებულები იყვნენ.</li> <li>ერთხელ ერთმა ბაჯაჯგუნა ლეკმა მეორე ლეკს უთხრა, რომ როდენდე უნდა ვიყოთ ასე დატაკებიო და მოდი ზურაბ ქართველიძის ქეთო მოვიტაცოთო.</li> <li>ამხანაგს მოეწონა ეს აზრი და გადაწყვიტეს რომ უთვალთვალონ ქეთოს და მოიტაცონ ტყვედ დადესტანში.</li> <li>ლეკები ტყვეში ჩაუსაფრდნენ ქეთოს და მის ძიძას და მოიტაცეს ქეთო, ძიძას კიდევ კეტი ჩაარტყეს თავში.</li> </ol>

აქტივობის ხანგრძლივობა: 17-19 წუთი.

**შეფასება:** აქტივობით ფასდება, შეუძლია თუ არა მოსწავლეს

- შინაარსობრივი თანამიმდევრობის დაცვა;
- ავტორისეული ლექსიკის ადეკვატურად გამოყენება;
- წერისას მთავარ და არსებით მომენტებზე ყურადღების გამახვილება;

- მართლწერის წესების, სასვენი ნიშნების სათანადოდ გამოყენება;
- თანამშრომლობა.

**მეთოდური მითითება:** დასახული შედეგის მისაღწევად, შეიძლება, აგრეთვე, გამოყიდვით აქტივობები: "წერილი მეგობარს/მასწავლებელს, ინტერვიუ" (იხ. II. 12), "ხუთი კითხვა" (იხ. II. 10). აյ ვგულისხმობთ მხოლოდ ამ აქტივობების ორგანიზების ფორმასა და წესს, რაც შეიძლება უცვლელი დარჩეს. რაც შეეხება მათ შინაარსობრივ მხარეს, იგი, ცხადია, უნდა შეიცვალოს შესწავლილი მასალისა და მოსწავლეთა ცოდნის დონის გათვალისწინებით.

**ქართ. V. 14. მოსწავლეს შეუძლია წერითი დავალების ამოცანის განსაზღვრა და ფუნქციური სტილის არჩევა.**

**აქტივობა №1: ინტერვიუ (შეპირისპირებითი დახასიათება).**

**აქტივობის შესახებ:** აქტივობა გამოიყენება წერის წინა ეტაპზე. იგი ემსახურება ინფორმაციის შეგროვების/ამოკრების, დახარისხებისა და ორგანიზების უნარების გამომუშავებას.

**აქტივობის მიზნები:**

- ინფორმაციის თავმოყრისა და ორგანიზების უნარ-ჩვევების განვითარება;
- ტექსტის სტრუქტურული ელემენტებისა და შინაარსის ადეკვატური გააზრებისათვის საჭირო უნარ-ჩვევების განვითარება;
- თვითგამოხატვის ხელშეწყობა;
- თანამშრომლობის უნარ-ჩვევების განვითარება.

**აქტივობის ორგანიზების ფორმა:** პირველი მაგალითი - ჯგუფური/ინდივიდუალური (პირველი ნაწილი), ინდივიდუალური (მეორე ნაწილი); მეორე მაგალითი - წყვილური (პირველი ნაწილი), ინდივიდუალური (მეორე ნაწილი), მესამე მაგალითი - ინდივიდუალური.

**რესურსები:** დაფა, ცარცი/მარკერი, რვეული, კალამი, ტექსტი, გრაფიკული მაორგანიზებელი.

**აქტივობის აღწერა:**

ინტერვიუ შემოქმედებითი და სახალისო აქტივობაა, რომელიც მოსწავლეებს მოამზადებს შეპირისპირებითი დახასიათების დასაწერად. მოსწავლეები ჩამოწერენ შეკითხვებს რესპონდენტებისთვის - პერსონაჟებისთვის ან მათთვის, ვის შესახებაც აპირებენ თხზულების დაწერას; მათ ნაცვლად კი თვითონვე მოითიქრებენ პასუხებს (პერსონაჟების პასუხები მომზადება ტექსტზე დაყრდნობით). ამ ფორმატით (კითხვა-პასუხის) წარმოებული მუშაობა ძალზე გაუადვილებს მოსწავლეებს ინფორმაციის ამოკრების/შეგროვების, დახარისხებისა და ორგანიზების პროცესს. ინტერვიუს დაწერის შემდეგ მოსწავლეები მზად იქნებიან წერითი დავალების - შეპირისპირებითი დახასიათების დასაწერად.

**მაგალითი №1.** თემა „დიდები და პატარები“. მოსწავლეები, ჯგუფურად ან ინდივიდუალურად, მოამზადებენ ერთსა და იმავე შეკითხვებს უფროსებისთვის და თანატოლებისთვის, ინტერვიუს ჩამოართმევენ რესპონდენტებს და პასუხების მიხედვით გამოკვეთენ, როგორები არიან უფროსები: რა აინტერესებთ, რა უყვართ, რისი ეშინიათ; როგორები არიან ბავშვები. ინფორმაციის მარტივად დახარისხებისა და ორგანიზების მიზნით, მათ შეიძლება გამოიყენონ რომელიმე გრაფიკული მაორგანიზებელი, მაგ., ვენის დიაგრამა (იხ. ზემოთ, აქტივობა 4, IV. 12). მონაცემების შეგროვებასა და სქემის შექმნას მსჯელობა უნდა ამყარებდეს.

საპოლოო ეტაპზე, მსგავსება-განსხვავებების გათვალისწინებით, მოსწავლეები დაწერენ დიდებისა და პატარების შეპირისპირებით დახასიათებას.

**მაგალითი №2.** თემა „მე და ჩემი კლასელი (შეპირისპირებით დახასიათება)“. ამ შემთხვევაში მუშაობა წარიმართება წყვილებში. წყვილები ერთობლივად ჩამოაყალიბებენ შეკითხვებს. შემდეგ ჩამოართმევენ ერთმანეთს ინტერვიუს და ჩაიწერენ პასუხებს. პასუხების საფუძველზე, მეწყვილეები გამოკვეთენ ერთმანეთის მსგავსება-განსხვავებებს და დაწერენ თავიანთ შეპირისპირებით დახასიათებას.

#### სავარაუდო კითხვების ნუსხა:

- რისი კეთება გიყვარს ყველაზე მეტად?
- რა არის შენი საყვარელი საჭმელი?
- სად გინდა, რომ იმოგზაურო?
- რომელი საგანი მოგწონს ყველაზე მეტად?
- სპორტის რომელი სახეობა მოგწონს ყველაზე მეტად?
- რისი გეშინია?
- შენი თვისებებიდან რომელი მოგწონს/არ მოგწონს ყველაზე მეტად?
- რა არის შენი ოცნება?
- ვინ არიან შენი საყვარელი ადამიანები? და სხვ.

**მაგალითი №3.** ერთმანეთთან შესადარებლად შერჩეულია ორი მონადირე ქართული პროზის ორი ნიმუშიდან. ესენია: ვაჟა-ფშაველას „შვლის ნუკრის ნაამბობი“ და სერგო კლდიაშვილის „ორბი“. ამ ტექსტების დამუშავების შემდეგ მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, შეადგინონ კითხვები ამ ორი პერსონაჟისთვის (წარმოიდგინონ, რომ ინტერვიუს ართმევენ მათ) და თვითონვე გასცენ პასუხები თავიანთი მოსაზრებებისა და შთაბეჭდილებების მიხედვით, აუცილებლად შესწავლილ ტექსტებზე დაყრდნობით. პასუხების მიხედვით, სათანადო გრაფიკული მაორგანიზებლის გამოყენებით, მოსწავლეები ააგებენ კოგნიტურ სქემას. სქემაში არებული ინფორმაციის საფუძველზე მოსწავლეები მოამზადებენ ორი მონადირის შეპირისპირებით დახასიათებას.

#### აქტივობის ხანგრძლივობა: 20- 22 წუთი.

**შეფასება:** ამ აქტივობით ფასდება, შეუძლია თუ არა მოსწავლეს

- წერითი დავალების ამოცანის განსაზღვრა, არსებით და მთავარ მომენტებზე ყურადღების გამახვილება;
- ტექსტის სტრუქტურისა და შინაარსის აღქმა;
- ტექსტის მონაცემების გამოყენება საკუთარი პოზიციის/თვალსაზრისის/დამოკიდებულების გამოხატვისას, დეტალების მოშველიება აქცენტების დასასმელად, სხვ.
- საკუთარი პოზიციის/თვალსაზრისის/დამოკიდებულების აღეკვატურად ფორმულირება;
- აღეკვატური ლექსიკის გამოყენება.

#### აქტივობა №2. საკითხი – როლი – აუდიტორია – ფორმატი.

**აქტივობის შესახებ:** აქტივობა ტარდება წერის წინა ეტაპზე. იგი გამოიყენება ნარატივის (თხრობითი ტექსტის) აგების სხვადასხვა სტრატეგიის ასათვისებლად.

#### აქტივობის მიზნები:

- ნარატივის აგების სხვადასხვა სტრატეგიის გამოყენების უნარ-ჩვევების განვი-

თარება (დასახული მიზნის გათვალისწინებით);

- შემოქმედებითი უნარების განვითარება;
- თანამშრომლობის უნარების განვითარება.

**აქტივობის ორგანიზების ფორმა:** მთელი კლასის მონაწილეობით (პირველი ნაწილი), წყვილური (მეორე ნაწილი).

**რესურსები:** დაფა, ცარცი/მარკერი, რვეული, კალამი.

**აქტივობის აღნერა:** წერითი სამუშაოს შესრულებამდე მასწავლებელი დაფაზე ხა-ზავს შემდეგ ოთხსვეტიან ცხრილს:

### ნიმუში.

თემა	ავტორი	აუდიტორია	ფორმატი
გმირობა	<ul style="list-style-type: none"> <li>გმირი</li> <li>თვითმხილველი</li> <li>ისტორიკოსი</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>ოჯახის წევრები</li> <li>უურნალისტი</li> <li>მოსწავლეები</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>წერილი</li> <li>ინტერვიუ</li> <li>ზეპირი თხრობა</li> </ul>
მზის როლი მცენარეთა ზრდის პრო- ცესში	<ul style="list-style-type: none"> <li>მცენარე</li> <li>მეცნიერი</li> <li>ფესვები</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>თხუნელა</li> <li>სტუდენტები</li> <li>სხვა მცენარეები</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>მონოლოგი</li> <li>პრეზენტაცია</li> <li>დიალოგი</li> </ul>
მეფეთა ცხოვრება	<ul style="list-style-type: none"> <li>ისტორიკოსი</li> <li>მისი ხელქვეითი</li> <li>დედოფალი</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>მომავალი თაობა</li> <li>დიდებულები</li> <li>მეფისწული</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>შემთხვევით აღმო- ჩენილი წერილო- ბითი წყარო</li> <li>სახოტბო ლექსი</li> <li>დღიური</li> </ul>

მასწავლებლის დახმარებით, მოსწავლეები ერთობლივად ავსებენ მას ჰიპოთეტური ვარიანტებით.

ვარიანტების ჩამონერის შემდეგ მოსწავლეები ამოირჩევენ ერთ-ერთს, რომელიც სა-ფუძლად დაედება მათ წერით ნამუშევარს. დასაშვებია აგრეთვე, რომ თითოეულმა მოს-წავლემ დამოუკიდებლად აირჩიოს სასურველი ვარიანტი.

წერის დაწყებამდე ცხრილში მოცემული ჩამონათვლის ყოველი კომპონენტი ზეპირ-მეტყველების დონეზე უნდა დამუშავდეს წყვილებში ან ჯგუფებში მსჯელობის/განხილვის გზით.

განხილვის შემდეგ მოსწავლეებს წერით დავალებად მიეცემათ, აირჩიონ ერთ-ერთი თემა და აღნერონ ამბავი 3 კომპონენტის (მწერლის, აუდიტორიისა და ფორმატის გათვა-ლისწინებით). მაგ., გმირობის ამბავი: ა) უურნალისტი ინტერვიუს ართმევს გმირობის ჩამ-დენს; თვითმხილველი აღნერს თავის წერილში ოჯახის წევრების მიმართ, ისტორიკოსი უყვება მოსწავლეებს; ბ) მზის როლი მცენარეთა ზრდის პროცესში: მცენარე წარმოთქვამს მონოლოგს, უსმენენ სხვები; ფესვები ერთმანეთს ესაუბრებიან, ხოლო თხუნელა ისმენს; მეცნიერი სტუდენტების წინაშე პრეზენტაციას მართავს; გ) მეფის ცხოვრება: შემთხვევით აღმოჩენილ ისტორიულ წყაროში უცნობი ისტორიკოსი მომავალ თაობებს უყვება რომე-ლიმე მეფის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ; ხელქვეითი წერს სახოტბო ლექსს, რო-

მელიც უნდა წარმოთქვას დიდებულებისთვის გამართულ ნადიმზე; დედოფლის დღიური, რომელიც უნდა წაიკითხოს მეფისნულმა მას შემდეგ, რაც სრულწლოვანი გახდება, მისთ.

აქტივობის ხანგრძლივობა: 18-20 წუთი.

**შეფასება:** აქტივობით ფასდება, შეუძლია თუ არა მოსწავლეს

- წერითი დავალების ამოცანის განსაზღვრა;
  - სასურველი მხატვრული ფორმის შერჩევა;
  - ორიგინალური იდეის ფორმულირება;
  - საკითხის მიმართ საკუთარი დამოკიდებულების გამოხატვა;
  - ადეკვატური ენობრივი მასალის შერჩევა და გამოყენება;
  - აუდიტორიის განსაზღვრა, (კიტირება).

### აქტივობა №3: სინოფტისი.

**აქტივობის შესახებ:** სინოფტისის არის მოკლე, უაღრესად კონკრეტული, ლაკონიური და საქმიანი თხრობა. აქტივობა გამოიყენება წერის წინა ეტაპზე. სინოფტისში მითითებული უნდა იყოს, რა ტიპის ტექსტის შექმნას გეგმავს მოსწავლე (მოთხრობა, ზღაპარი, ლექსი, ინტერვიუ, საინფორმაციო ტექსტი, განცხადება) და როგორ წარმოუდგენია მას დაგეგმილი სამუშაოს შესრულება.

აქტივობა გამოიყენება წერის სხვადასხვა სტრატეგიის ასათვისებლად.

## აქტივობის მიზნები:

- მიზნის ადეკვატური ლექსიკის, ენობრივ-გრამატიკული ნორმებისა და გრამატიკული ელემენტების მართებულად გამოყენების უნარის განვითარება;
  - ტექსტის ანალიზის უნარის განვითარება.

აქტივობის ორგანიზების ფორმა: ინდივიდუალური.

**ରୀଗ୍ସମ୍ବରସ୍ନାଦୀ:** ଡାକ୍ତା, ଜ୍ୟାର୍ଜୀ/ମାର୍କ୍ୟାର୍ଡୋ, ରେପ୍ଲିକ୍ୟୁଲୋ, କ୍ଷାଲାମିଳୀ, ଫିଲ୍ଡ୍ସଟିୟୁ.

აქტივობის აღნერა:

მასწავლებელი ავალებს მოსწავლეებს, რომ წერითი ნამუშევრის დაწერამდე რამდენიმე კითხვას გასცენ პასუხი და ამის საშუალებით გაიაზრონ, დაგეგმონ მომავალი წერითი სამუშაო. დავალების სპეციფიკისა და მიზნის გათვალისწინებით, მასწავლებელი შეადგენს კითხვებს და დაფაზე ჩამოწერს მათ.

ნიმუში:

1. რა არის ჩემი მიზანი? - \_\_\_\_\_  
\_\_\_\_\_  
\_\_\_\_\_

2. რა მასალას გამოვიყენებ მიზნის მისაღწევად? -----  
-----  
-----

----- (ტექსტების სათაურები, კონკრეტული ციტატები, დამატებითი მასალა: კინოფილმი, კლასგარეშე ლიტე-რატურა და სხვ.)

**თავი IV. საინტერვიუ აერომატი**

3. როგორი იქნება ჩემი ნაწერის ფორმატი? -----

---



---



---

----- (მოთხოვა, ინტერვიუ, დახასიათება, აღწერა, ამბის/შინაარსის გადმოცემა)

4. ძირითადი სიტყვები, თარიღები, ტერმინები, რომელსაც გამოვიყენებ -----

---



---



---

5. რას უნდა მივაქციო განსაკუთრებული ყურადღება წერის დროს? -----

---



---



---

**აქტივობის ხანგრძლივობა:** 10-12 წუთი.

**შეფასება:** აქტივობით ფასდება, შეუძლია თუ არა მოსწავლეს

- წერითი დავალების ამოცანის განსაზღვრა;
- ფორმატის ადეკვატური ენობრივი მასალის შერჩევა და გამოყენება;
- ციტირება;
- ნაწერის ორგანიზება.

#### **აქტივობა №5: შევანაცვლოთ მთხობელი.**

**აქტივობის შესახებ:** აქტივობა დაკავშირებულია უშუალოდ წერის პროცესთან და ორ ეტაპს აერთიანებს. პირველი ეტაპი სრულდება წყვილებში მუშაობით, მეორე - ინდივიდუალურად. აქტივობის პირველი ეტაპი მოიცავს ზეპირმეტყველებისა და კითხვის მიმართულებებს.

აქტივობა ემსახურება ტექსტის გააზრების, წერის დროს ენობრივ-გრამატიკული ნორმების, გრამატიკული ელემენტების მართებულად გამოყენების უნარ-ჩვევების გამომუშავებას.

**აქტივობის მიზნები:**

- ტექსტის ანალიზის უნარის განვითარება;
- წერითი მეტყველების დროს მართებული ენობრივ-გრამატიკული ნორმების, გრამატიკული ელემენტების გამოყენების უნარ-ჩვევების განვითარება;
- მოსწავლეთა ლექსიკური მარაგის შევსება.

**აქტივობის ორგანიზების ფორმა:** წყვილური (პირველი ეტაპი), ინდივიდუალური (მე-ორე ეტაპი).

**რესურსები:** დაფა, ცარცი/მარკერი, რვეული, კალამი.

**აქტივობის აღწერა:**

ამ ტიპის წერითი დავალება გულისხმობს ტექსტის შინაარსის სხვა მთხობლის პირით გადმოცემას. სამუშაო ჯერ ნაწარმოების კითხვის, მერე კი ზეპირმეტყველების დონე-

ზე უნდა დამუშავდეს. შემდეგ მასწავლებელი დააწყვილებს მოსწავლეებს.

წყვილებში მუშაობის გზით, მოსწავლეები შეადგენენ იმ ნაცვალსახელების სიას, რომელსაც გამოიყენებენ ამა თუ იმ პერსონაჟის აღსანიშნავად მთხოვობლის შეცვლისას. მაგალითად, ტექსტში “ბებია და ზურიკელა” (ნ. დუმბაძე) მთხოვობელი ზურიკელაა. აღნერილი აქტივობის შესასრულებლად, მოსწავლეებს დაევალებათ, რომ ტექსტის მოკლე შინაარსი გადმოსცენ ზურიკელას ბებიის პირით. იგვე აქტივობა შეიძლება ჩავატაროთ, მაგ., ტექსტზე “შვლის ნუკრის ნაამბობი”. მოსწავლეებს შეიძლება დაევალოთ, რომ ტექსტის რომელიმე ეპიზოდი გადმოსცენ ავტორის (ვაჟა-ფშაველას) პირით.

აქტივობის ხანგრძლივობა: 10 წუთი (პირველი ეტაპი), 10-12 წუთი (ინდივიდუალური).

**შეფასება:** აქტივობით ფასდება, შეუძლია თუ არა მოსწავლეს

- ნაცვალსახელთა ჯგუფების განსაზღვრა და მართებულად გამოყენება კონტექსტის მიხედვით;
- სახელთა შეწყობა ბრუნვებისა და რიცხვის მიხედვით;
- ზმნური კონსტრუქციების ცვალებადობის გათვალისწინება;
- ტექსტის შინაარსის თანამიმდევრულად გადმოცემა წერის დროს;
- სასვენი ნიშნების მართებულად გამოყენება;
- თანამშრომლობა.

**ქართ. V. 15. მოსწავლეს შეუძლია გრამატიკული წესების მართებულად გამოყენება და მართლწერის ნორმების დაცვა.**

**აქტივობა №1: შევიმუშავოთ შეფასების კრიტერიუმები.**

**აქტივობის შესახებ:** აქტივობა გამოიყენება წერის წინა და წერის შემდგომ ეტაპებზე. აქტივობა ძალზე მნიშვნელოვანია იმ თვალსაზრისით, რომ ხელს უწყობს მოსწავლეთა თვითშეფასების უნარ-ჩვევების განვითარებას. აქტივობის გამოყენება ხელს უწყობს, აგრეთვე, ტექსტის შეთხვის (გარკვეული საყრდენების საფუძველზე) და მისი რედაქტირების უნარ-ჩვევების განვითარებას.

**აქტივობის მიზნები:**

- შემოქმედებითი უნარების განვითარება;
- მეტაკოგნიტური უნარების განვითარება-წერის პროცესის გაცნობიერება;
- ნაწერის რედაქტირების უნარ-ჩვევების გამომუშავება.

**აქტივობის ორგანიზების ფორმა:** ინდივიდუალური.

**რესურსები:** დაფა, ცარცი/მარკერი, რვეული, კალამი.

**აქტივობის აღნერა:**

აქტივობის ჩასატარებლად მასწავლებელმა უნდა შეადგინოს კრიტერიუმები, რომელთა გათვალისწინებით მოსწავლეები შექმნიან ტექსტს და შემდეგ შეძლებენ მის რედაქტირებას. ნაწერებს მასწავლებელი ამავე კრიტერიუმების გათვალისწინებით გაასწორებს. ამდენად, მოსწავლეები და მასწავლებელი თანხმდებიან ერთგვარ “თამაშის წესებზე”.

კრიტერიუმების შინაარსი, რაოდენობა და სირთულის ხარისხი თავად მასწავლებელმა უნდა განსაზღვროს დავალების არსის, სასწავლო მიზნებისა და მოსწავლეთა წერითი მეტყველების დონის მიხედვით. ერთ შემთხვევაში, შესაძლოა, მისაღწევი მიზანი შინაარსის ლოგიკური და მწყობრი გადმოცემა იყოს, მეორე შემთხვევაში – პუნქტუაცია, მესამეში – მოსწავლის პიროვნული გამოცდილების ასახვა და ა.შ.

შესაბამისად, ყველა ფალკეულ შემთხვევაში, კრიტერიუმები სხვადასხვაგვარი იქნება. დროთა განმავლობაში მასწავლებელს შეუძლია შექმნას კრიტერიუმების “ბანკი” ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული მიზნებისა და ამოცანების მისაღწევად.

მასწავლებელი დავალების მიცემამდე დაურიგებს/ჩააწერინებს მოსწავლეებს კრიტერიუმებს, რომლებიც მოსწავლეებმა უნდა გაითვალისწინონ წერითი დავალების შესრულებისას. აუცილებელია, რომ კრიტერიუმების დარიგებას მოსდევდეს მათი დეტალური განხილვა და ანალიზი: რა მოთხოვნას აყენებს ეს კრიტერიუმი ჩვენ წინაშე? რა არ უნდა გამოგვრჩეს? რაზე უნდა გავამახვილოთ წერისას ყურადღება? და მისთ., რაც დაეხმარება მოსწავლეებს ამ კრიტერიუმების გააზრებაში.

კრიტერიუმებით წერითი მეტყველების პროცესის მართვა ხელს უწყობს მეტაკოგნიციის, წერის პროცესის გაცნობიერების ზრდას მოსწავლეებში.

წერითი დავალების დასრულების შემდეგ მოსწავლეები რედაქტირებას უკეთებენ თავიანთ ნამუშევრებს შეთანხმებულ კრიტერიუმებზე დაყრდნობით. ბოლო ეტაპზე მოსწავლეთა ნამუშევრების საბოლოო ვერსიებს მასწავლებელი ასწორებს იმავე კრიტერიუმების მიხედვით.

#### **ნიმუში: კრიტერიუმები პერსონაჟის დახასიათებისთვის.**

- უნდა დავასახელოთ ნაწარმოების სათაური, ნაწარმოების ავტორი და პერსონაჟი;
- უნდა გამოვიყენოთ ციტატა;
- ციტატის შემდეგ პერსონაჟი ჩვენი სიტყვებით უნდა აღვწეროთ;
- უნდა აღვწეროთ პერსონაჟის გარეგნობა, ჩაცმულობა;
- უნდა მოვყევთ პერსონაჟის თვისებების შესახებ;
- აღნერილი პერსონაჟი უნდა შევადაროთ სხვა პერსონაჟს; ავხსნათ, რა თვალსაზრისით/რატომ/რა მიზნით ვადარებთ მათ ერთმანეთს;
- უნდა დავწეროთ ჩვენი აზრი ამ პერსონაჟის შესახებ;
- ნაწერი უნდა დავყოთ აბზაცებად;
- წინადადების ბოლოს უნდა დავსვათ წერტილი;
- ციტატა უნდა ჩავსვათ ბრჭყალებში;
- რომ კავშირის წინ უნდა დავსვათ მძიმე;
- არ უნდა გავიმეოროთ ერთი და იგივე სიტყვები, ისინი სინონიმებით უნდა ჩავანაცვლოთ.

აქტივობის ხანგრძლივობა: 20-22 წუთი.

#### **შეფასება: აქტივობით ფასდება, შეუძლია თუ არა მოსწავლეს**

- დასახული მიზნებისა და ამოცანების გათვალისწინებით ტექსტის აგება;
- გრამატიკული წესების მართებულად გამოყენება; სალიტერატურო ენის ნორმების დაცვა;
- ციტირება, რედაქტირება;
- თვითგამოხატვა.

#### **მეთოდური მითითებები:**

1. ”შეფასების კრიტერიუმები” სწავლების ძალზე მოქნილი მეთოდია და განსაკუთრებით ეფექტურია ინკლუზიურ მოსწავლეებთან მუშაობისას. მათ, ვისაც სპეციფიკური პრობლემები აქვთ წერით მეტყველებაში, მასწავლებელმა საგანგებოდ,

- ინდივიდუალური თავისებურებების გათვალისწინებით უნდა შეუდგინოს კრიტერიუმები.
- დასახული შედეგის მისაღწევად, შეიძლება აგრეთვე გამოვიყენოთ აქტივობა „ასე ვამბობთ - ასე ვწერთ“ (იხ. ზემოთ, III. 13, 1).

## VI კლასი

**ქართ. VI. 1. მოსწავლეს აქვს ინფორმაციის მიღებისა და გადაცემისათვის აუცილებელი უნარ-ჩვევები.**

**აქტივობა №1: ტექსტის გადაკეთება.**

**აქტივობის აღწერა:** მოსწავლეებს ვასმენინებთ საინფორმაციო ხასიათის ტექსტს და ვთავაზობთ, მოსმენილის საფუძველზე შექმნან ახალი ტექსტი, მოსმენილი ინფორმაცია გადააკეთონ დიალოგად, ან ინტერვიუ ცნობილ ფეხბურთელთან / კინოვარსკვლავთან გადააკეთონ ბიოგრაფიულ ტექსტად.

**შეფასება:** შეფასება შეიძლება შემდეგი კრიტერიუმების მიხედვით:

- არის თუ არა შენარჩუნებული პირველადი ტექსტიდან მნიშვნელოვანი ინფორმაცია;
- რამდენად გამართულია სტრუქტურული თვალსაზრისით ტექსტის გადაკეთებული ვარიანტი.

**მეთოდური მითითება:** მას შემდეგ, რაც მოსწავლეები ამ დავალებას ზეპირად შეასრულებენ, შესაძლებელია მათთვის ამავე სახის წერითი დავალების მიცემაც; შესაბამისად, აქტივობაც კომპლექსური იქნება.

**აქტივობა №2: ფილმის გახმოვანება.**

**რესურსები:** ფილმის დემონსტრირებისათვის აუცილებელი ტექნიკური საშუალებები, ფილმის ეპიზოდი.

**აქტივობის აღწერა:** მოსწავლეები უყურებენ ფილმის ეპიზოდს ხმის გარეშე და ამოიცნობენ, ვინ არიან მონაწილეები, როგორ არიანისინი ერთმანეთთან დაკავშირებულები. შემდეგ ცდილობენ ამოიცნონ, რა ხდება და რას ლაპარაკობენ გმირები. ისინი ცდილობენ გაახმოვანონ ფილმი. ამით მოსწავლეები ეჩვევიან იმას, რომ ერთი მოვლენა რამდენიმე, მეტ-ნაკლებად განსხვავებული ენობრივი საშუალებით შეიძლება გადმოსცე, თუმცა ყველა მათგანი ერთნაირი სიზუსტით შეიძლება ვერ ასახავდეს კონკრეტულ სიტუაციას. შეიძლება კადრი შევაჩეროთ, რათა მოსწავლეებმა ყურადღება მიაქციონ პერსონაჟის უესტ-მიმიკას, მოძრაობას, სახის გამომეტყველებას და ა.შ. ხელმეორედ ჩვენებისას (უკვე გახმოვანებით) მოსწავლეები ამონმებენ თავიანთ ვერსიებს.

**შეფასება:** შეფასდება ვიზუალური მასალიდან ინფორმაციის გაგებისა და მისი ინტერპრეტაციის უნარი.

**მეთოდური მითითება:** მასწავლებელმა უნდა აარჩიოს საინტერესო ეპიზოდი, რომელშიც გმირთა სახეებზე, მათ უესტებსა და მიმიკაზე დაკვირვება და სიუჟეტის ამოცნობა მოსწავლეს არ გაუჭირდება.

**კავშირი სხვა საგნებთან:** სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება.

**ქართ. VI. 2. მოსწავლეს აქვს მხატვრული ტექსტის გააზრებისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე დეტალების შეფასების უნარი.**

**აქტივობა №1: პრობლემები, პრობლემები...**

**რესურსი:** ეს აქტივობა საჭიროებს ადამიანურ რესურსს.

**აქტივობის აღნერა:** მასწავლებელი ტექსტზე მუშაობის პროცესში ჩერდება იმ ეპიზოდზე, რომელშიც მოცემულია კონფლიქტური სიტუაცია და სთავაზობს მოსწავლეებს მონახონ გამოსავალი. ამისათვის კლასი უნდა გაიყოს ჯგუფებად: კონფლიქტში მონაწილე მხარეების წარმომადგენლებად და მედიატორთა ჯგუფმა უნდა მოამზადოს შეკითხვები როგორც ერთი, ისე მეორე მხარისათვის, ხოლო კონფლიქტის მხარეებმა - საკუთარი ვერსიის გამამართლებელი არგუმენტები. ამ სიტუაციის გათამაშების შემდეგ თითოეული ჯგუფი ეძებს კონფლიქტის მოგვარების გზებს და წარმოადგენს კლასის წინაშე. შემდეგ მოსწავლეები ისმენენ, თუ როგორ ვითარდება ეს კონფლიქტური სიტუაცია ტექსტში და უკვე მსმენელის პოზიციიდან აფასებენ პერსონაჟების ქმედებას.

**შეფასება:** შეფასდება ტექსტის გააზრებისა და კონფლიქტური ხასიათის ეპიზოდებში პერსონაჟის ქმედების შეფასების უნარი.

**მეთოდური მითითება:** ეს აქტივობა ერთდროულად ორიენტირებულია როგორც ზეპირმეტყველების, ისე კითხვის უნარის განვითარებაზე. მისი გამოყენება ეფექტიანია ისეთი ნაწარმოებების შესწავლისას, როგორიცაა ნოდარ დუმბაძის „ჰელადოს“, არჩილ სულაკაურის „ბიჭი და ძალი“, გოდერძი ჩოხელის „გალმივლები“, გიორგი ლეონიძის „ჩირიკი და ჩიკოტელა“ და სხვ.

**აქტივობა №2: გმირის / პერსონაჟის წარმოსახვითი აღნერა.**

**რესურსი:** ტექსტი, ფურცლები, სახატავი ფანქრები / ფლომასტერები.

**აქტივობის აღნერა:** მასწავლებელი ირჩევს ისეთ ტექსტს, რომელშიც არ არის გმირის/პერსონაჟის პორტრეტი და მას შემდეგ, რაც მოსწავლეები მოისმენენ ან წაიკითხავენ ნაწარმოებს, ჯგუფებში ქმნიან მის წარმოსახვით პორტრეტს, კლასის წინაშე წარმოადგენენ გარეგნობის აღნერას და ასაბუთებენ, რატომ ფიქრობენ ასე, რას ეყრდნობიან (სასურველია, თუ ჯგუფები დახატავენ ილუსტრაციებს), ხასიათის რა თვისებები ირეკლება ამგვარ წარმოსახვით პორტრეტში, რა დეტალებს ეყრდნობოდნენ ტექსტიდან, როცა მას ქმნიდნენ და ა.შ.

**შეფასება:** შეფასდება ტექსტის გააზრებისა და წარმოსახვის უნარი, ლექსიკური მარაგი და მისი გამოყენება აღნერისათვის, აღნერითი ტექსტის შექმნის უნარი; ის, თუ რამდენად იაზრებს აზრობრივი და მხატვრული თვალსაზრისით მნიშვნელოვან ადგილებს და როგორ ინტერპრეტაციას უკეთებს მათ.

**მეთოდური მითითება:** ეს აქტივობაც კომპლექსურია, მისი გამოყენება შესაძლებელია როგორც ზეპირმეტყველების, ასევე კითხვის და წერის უნარების განსავითარებლადაც (თუ მოსწავლეებს მოვთხოვთ, წერილობით წარმოადგინონ წარმოსახვითი აღნერა).

**ქართ. VI. 3. მოსწავლეს შეუძლია მართებულად წარმართოს საკუთარი სამეცნიერო ქცევა მიზნისა და კონტექსტის შესაბამისად.**

### აქტივობა №1: რადიოგადაცემა

**რესურსი:** რადიოგადაცემების აუდიოჩანაწერი.

**აქტივობის აღწერა:** მასწავლებელი სთავაზობს მოსწავლეებს წარმოიდგინონ, რომ არიან ერთ-ერთი რადიოს ჟურნალისტები და ამზადებენ საინფორმაციო გადაცემას. მასწავლებელი ჯერ ასმენინებს მათ მსგავსი გადაცემის ჩანაწერს, შემდეგ სთავაზობს მათ თემატიკას და აძლევს არჩევანის შესაძლებლობას. თემები შეიძლება იყოს: ჩვენი კლასის ამბები, „ბარსელონამ“ ისევ მოიგო, სათამაშოების გამოფენა გაიხსნა, ქალაქის თავზე მფრინავი თევზი გამოჩნდა და სხვ. ერთ-ერთმა მოსწავლემ შეიძლება იტვირთოს რადიოწამყვანის როლი. მოსწავლეები ამზადებენ ტექსტს და წარმოადგენენ კლასის წინაშე. მათ უნდა გაითვალისწინონ მიზანი (მსმენელის ინფორმირება) და აუდიტორია, რომლისთვისაც საინფორმაციო გადაცემა მზადდება.

**შეფასება:** შეფასდება, იცნობს თუ არა მოსწავლე საინფორმაციო ხასიათის ტექსტის სტრუქტურას და აგების ძირითად პრინციპებს, როგორ ახერხებს შექმნას საინფორმაციო ტექსტი მიზნისა და აუდიტორიის გათვალისწინებით.

**მეთოდური მითითება:** მას შემდეგ, რაც მოსწავლეები გაიწაფებიან ამ ტიპის რადიოგადაცემების მომზადებასა და ზეპირად წარმოდგენაში, შესაძლებელია გადაცემის გამრავალფეროვნება სხვადასხვა რუბრიკით, მაგალითად, ჩვენი საყვარელი ანეკდოტები, რეკლამის ხუთი წუთი, სენსაციები, ეს საინტერესოა, იცით თუ არა, რომ... და ა. შ.

### აქტივობა №2: ზეპირი მოხსენება.

**რესურსები:** მოსწავლეებს ხელი უნდა მიუწვდებოდეთ პრეზენტაციისათვის საჭირო ტექნიკურ საშუალებებზე, მაგალითად, კომპიუტერზე, პროექტორზე.

**აქტივობის შესახებ:** ზეპირი მოხსენების მომზადება მოსწავლეებს უვითარებს მიზნისა და აუდიტორიისთვის შესაფერისი ტექსტის აგების / ორგანიზების უნარს. ეს კი მოითხოვს კრიტიკულ კითხვას, ჩანაწერების, მონახაზის გაკეთებას, რეზიუმირებას. აუდიტორიისთვის ინფორმაციის უკეთ მისაწოდებლად მიზანშეწონილია ვიზუალური საშუალებების, სქემების, გრაფიკების, რუკების, სლაიდების, პროექტორის გამოყენება. მასწავლებელი ცდილობს, ზეპირი მოხსენება მჭიდროდ დაუკავშიროს სასწავლო პროცესის კონკრეტულ საკითხს. გთავაზობთ რამდენიმე ნიმუშს:

- მოხსენება, როგორც კითხვის განვრცობა. მაგალითად, წაიკითხეს მოთხოვთა, შეარჩიეს მოქმედების ადგილი და გადაწყვიტეს, მოამზადონ მოხსენება ამ ადგილის / რეგიონის ადათ-ნესებისა და ტრადიციების შესახებ. შესაძლებელია მოსწავლეებმა აირჩიონ მოქმედების დრო და ზეპირი მოხსენება ეპოქის ძირითადი მოვლენების, მნიშვნელობანი ამბების შესახებ მოამზადონ.
- მოხსენება შესასწავლი ტექსტის მიხედვით შექმნილი ფილმის ან სპექტაკლის შესახებ. ნაწარმოების ნაკითხვის შემდეგ მოსწავლეები შეარჩევენ ამ ნაწარმოების მიხედვით შექმნილ ფილმს / სპექტაკლს და ზეპირ მოხსენებად წარმოადგენენ მის მიმოხილვას. მაგალითად, იაკობ გოგებაშვილის „იავნანამ რა ჰქმნა?“ და მისი ეკრანიზაცია. მოხსენებაში მოსწავლეები განსაკუთრებულ ყურადღებას მიაქცევენ იმ სხვაობებს, რომლებიც ტექსტსა და კინოვერსიას ახასიათებს.

**თავი IV. საინიციატიურო კონკურენცია**

იმისათვის, რომ მოსწავლეებმა შეძლონ სხვადასხვა აუდიტორიისათვის შესაფერისი სტილის შერჩევა, შეიძლება აქტივობის უფრო გართულებაც. მაგალითად, მასწავლებელი მოსწავლეების მცირე (3-4-კაციან) ჯგუფებს, რომელთაც უკვე შეარჩიეს მოხსენების თემა, ურიგებს ბარათებს. ამ ბარათებზე ჩამონერილია აუდიტორიის შესაძლო ვარიანტები:

- ჩვეული, კარგად ნაცნობი აუდიტორია: მეგობრები, თანაკლასელები;
- უმცროსკლასელები;
- უცნობი აუდიტორია: სკოლის სტუმრები სხვა რეგიონიდან.

**შეფასება:** მასწავლებელმა მოსწავლეებთან ერთად უნდა ჩამოაყალიბოს ზეპირი მოხსენების შეფასების კრიტერიუმები. გთავაზობთ შეფასების კითხვარის ნიმუშს:

მასწავლებლის მიერ ზეპირი მოხსენების შეფასების კითხვარი

შინაარსი			
მასალის ორგანიზება			
ინფორმაციის საკმარისობა			
ინფორმაციის სიზუსტე			
პრეზენტაცია			
ხმა, მეტყველება			
შესაბამისი არავერბალური საშუალებები (ჟესტები, პოზა)			
შესაფერისი ენა (სტილი, სინტაქსური კონსტრუქციები, ლექსიკა)			
თვალსაჩინოება (დიაგრამები, ცხრილები, ნახატები, სლაიდები და სხვ.)			

**მეთოდური მითითება:** მინიჭებულოვანია, რომ ზეპირი მოხსენების დროს კლასში შეიქმნას სასურველი გარემო. სკამები ისე უნდა იყოს განლაგებული, რომ აუდიტორია უყურებდეს მომხსენებელს. მომხსენებელიც უნდა ხედავდეს მსმენელებს. გასათვალისწინებელია, რომ მსმენელებს ჰქონდეთ ჩანაწერების გაკეთების საშუალება. შესაძლებელია მოხსენებით მიღებული ინფორმაციის განვრცობა დისკუსიის ან წერილობითი პასუხების მეშვეობით.

**ქართ. VI. 4. მოსწავლეს შეუძლია მოსმენით განასხვავოს სხვადასხვა ტიპის ტექსტები ენობრივ-გრამატიკული სტრუქტურის მიხედვით.**

**აქტივობა №1: ნაწყვეტის მიხედვით კონტექსტის / ტექსტის რეკონსტრუქცია.**

**რესურსები:** ტექსტის ნაწყვეტი და სრული ტექსტი.

**აქტივობის აღწერა:** მასწავლებელი მოსწავლეებს ასმენინებს, კონკრეტული კონტექსტიდან ამოღებულ მოკლე ნაწყვეტს, მაგალითად, დიალოგის ან დისკუსიის ნაწილს, მოსწავლეებმა უნდა გამოთქვან ვარაუდები, აღადგინონ კონტექსტი / ტექსტი: ვინ არიან მოლაპარაკეები, რა ურთიერთდამოკიდებულებაა მათ შორის, რის შესახებ შეიძლებოდა მათ ესაუბრათ, ხმის ტონის, საუბრის ნაწყვეტის შინაარსის, საუბრის სტილის, ენობრივ-გ-

რამატიკული სტრუქტურის მიხედვით ინტერპრეტაცია, სად შეიძლება იყვნენ მოსაუბრები, ოფიციალური დიალოგია თუ მეგობრული. თან ასაბუთებენ, რატომ ფიქრობენ ასე, რა მინიშნებას ეყრდნობიან. ეს შეიძლება იყოს თავაზიანობის გამომხატველი ფორმები / ფა-მილარული მიმართვები, თავად ტექსტის შიანარსი და სხვ.

**შეფასება:** შეფასდება ენობრივ-გრამატიკულ ფორმებზე დაკვირვების გზით სხვა-დასხვა ტიპის ტექსტის ამოცნობის უნარი.

**მეთოდური მითითება:** მასწავლებელმა უნდა გაითვალისწინოს, რომ ასეთი მოსასმე-ნი ნაწყვეტი არ იყოს ძალიან ნათელი, ანუ ინტერპრეტაციის საშუალებას იძლეოდეს, წინა-აღმდეგ შემთხვევაში, აქტივობა უინტერესო გამოვა.

### აქტივობა №2: დავიწყებული ფორმების ახალი სიცოცხლე.

**რესურსი:** პლაკატი.

**აქტივობის აღნერა:** მასწავლებელი უკითხავს/ასმენინებს მოსწავლეებს ისეთ ნაწარ-მოებს (მაგალითად, ანა კალანდაძის „ფეხი დამადგით...“), რომელშიც გამოყენებულია არ-ქაული ფორმები და სთხოვს, დაასახელონ, რომელი ფორმა ეუცხოვათ და რატომ / რომელი ფორმები არ იხმარება თანამედროვე ქართულში. მას შემდეგ, რაც მოსწავლეები დაასახე-ლებენ არქაული ფორმების თანამედროვე შესატყვისებს, მასწავლებელი დაფაზე გააკრავს პლაკატს, რომელზედაც ამონერილია ეს ფორმები შესატყვის თანამედროვე ფორმებთან ერთად. მოსწავლეები აკვირდებიან და და ამოიცნობენ მსგავსება-განსხვავებებს. შემდეგ მასწავლებელი სთხოვს მათ, „გაათანამედროვონ“ ეს ნაწარმოები. იმართება მსჯელობა, რომელი ვარიანტი იყო უფრო შთამბეჭდავი; რატომ გამოიყენა ავტორმა არქაული ფორ-მები. მასწავლებელი ცდილობს მოსწავლეებს აუხსნას, რა მხატვრულ-ესთეტიკური ფუნ-ქცია აქვს არქაულ ენას.

**შეფასება:** შეფასდება, რამდენად შეიძლებენ მოსწავლეები ადრეული პერიოდის სალი-ტერატურო ენის ძირითად ენობრივ თავისებურებათა (სახელთა ბრუნების, ზმნისწინთა ძველი და ახალი ფორმების, რიცხვის წარმოების) ამოცნობას და მათი თანამედროვე ვარი-ანტების დაასახელებას, არქაულ და თანამედროვე ფორმებს შორის მსგავსება-განსხვავე-ბის შემჩნევას.

**მეთოდური მითითება:** უფრო მარტივი სახით ამ აქტივობის გამოყენება შესაძლებე-ლია წინა კლასებშიც. მაგალითად, რომელიმე შესასწავლ ლექსში გამოყენებული არქაული ფორმების ამოცნობა და მისი შესაბამისი თანამედროვე ფორმის დასახელება.

**ქართ. VI. 5. მოსწავლეს შეუძლია დისკუსიაში მონაწილეობის ჯგუფური და ინდი-ვიდუალური სტრატეგიების ეფექტურად გამოყენება.**

### აქტივობა №1: არაოფიციალური კამათი.

**რესურსები:** ეს აქტივობა საჭიროებს მხლოდ ადამიანურ რესურსებს.

**აქტივობის შესახებ:** ეს აქტივობა მოსწავლეებს აძლევს საშუალებას, მოუსმინონ თანაკლასელების მოსაზრებებს და გამოთქვან თავიანთი აზრი მათთვის საინტერესო სა-კითხებზე, მიიღონ მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები, ჩამოყალიბდნენ კრიტიკულ მსმე-ნელებად. აქტივობა მოსწავლეებს უყალიბებს კამათის კულტურას. კამათი/დებატები ნაყოფიერი მეთოდია ცოდნის მისაღებად, გამოცდილების შესაძნად. მოსწავლეები, რომ-ლებიც მონაწილეობენ კამათში/დებატებში, სწავლობენ ყველაზე მყარი და დამაჯერებელი

არგუმენტების ამორჩევას და უყალიბდებათ საკუთარი თავისადმი რწმენა; კამათი/დებატები განსაკუთრებით ავითარებს გუნდური მუშაობის უნარს, ზრდის თითოეულის პასუხისმგებლობას გუნდის წინაშე.

**აქტივობის აღნერა:** საკამათო თემის შერჩევის შემდეგ, ჩამოყალიბდება მოსწავლეთა ორი ჯგუფი. მზადდება ინსტრუქციების წუსხა, რომელშიც გათვალისწინებული იქნება კამათის/დებატების ნაყოფიერად წარმართვისათვის სასურველი პირობები (რეგლამენტი თითოეული მოპარებისათვის, რიგითობის დაცვა, ყურადღებით მოსმენის აუცილებლობა, ჯგუფში მჭიდრო თანამშრომლობის აუცილებლობა და სხვა). ჯგუფები განაწილდებიან იმის მიხედვით, რომელ პოზიციას იზიარებენ. საკამათო თემა შეიძლება შეირჩეს მოსწავლეებთან შეთანხმებით, მათი სურვილების გათვალისწინებით. შესაძლებელია, საკამათო თემა რომელიმე შესწავლილი ნაწარმოების პრობლემატიკას დაუკავშირდეს. არაოფიციალური კამათის/დებატების დროს მოსწავლეები, რომლებმაც წინასწარ მოამზადეს არგუმენტები, უერთდებიან თავიანთ ჯგუფებს და 15-20 წუთის განმავლობაში აცნობენ თანაგუნდელებსა მათ არგუმენტებს; გუნდი არგუმენტების განხილვის შემდეგ არჩევს ყოველი არგუმენტის წარმომთქმელს. არგუმენტების წარმომთქმელები რიგრიგობით საუბრობენ; მოსწავლეები დარწმუნებულები უნდა იყვნენ, რომ არ იმეორებენ უკვე გამოთქმულს და უნდა ჩაიწერონ ყველა არგუმენტი. ისინი მანამ აგრძელებენ დებატებს, სანამ არგუმენტები არ ამოიწურება.

**შეფასება:** შეფასებისათვის შეიძლება მოსწავლეებს დავურიგოთ კითხვარი, რომელსაც შეავსებს თითოეული მათგანი. გთავაზობთ კითხვების ნიმუშს:

- რომელი არგუმენტები ჩანდა ყველაზე უფრო სარწმუნო და დამაჯერებელი?
- წარმოიშვა თუ არა კამათისას ისეთი მოსაზრებები, რომლებიც მონაწილეებს მთავარი პრობლემისთვის ნაკლებმნიშვნელოვანი იყო, მაგრამ მხარეებმა მასზე მაინც დახარჯეს დრო და ენერგია?
- თქვენი აზრით, რომელი არგუმენტები იყო იმდენად ძლიერი, რომ შეეძლო ზოგიერთი მოსწავლის მოსაზრებების შეცვლა?

**მეთოდური მითითება:** არ არის რეკომენდებული, რომ გამოცხადდეს კამათში „გამარჯვებული“ ჯგუფი. მაგრამ, თუ მასწავლებელი და მოსწავლეები მაინც გადაწყვეტენ, ეს შეიძლება ამგვარად გაკეთდეს:

- ყოველი ძალიან დამაჯერებელი ან ორიგინალური არგუმენტისათვის ჯგუფი ქულას მიიღებს;
- თუ არგუმენტი მეორდება, ჯგუფი ქულას არ იღებს;
- იგებს ის ჯგუფი, რომელიც მეტ ქულას მოაგროვებს.

### აქტივობა №2: ერთობლივი (კოოპერაციული) სწავლა.

**აქტივობის შესახებ:** კოოპერაციული/ერთობლივი სწავლა მნიშვნელოვანი მეთოდია იმ თვალსაზრისით, რომ ზეპირმეტყველებასთან ერთად ავითარებს კითხვისა და, გარკვეულწილად, წერის უნარსაც, ხელს უწყობს მოსწავლეების ჯგუფურ თანამშრომლობას. ეს აქტივობა აუცილებელს ხდის ჯგუფის თითოეული წევრის მონაწილეობას. წარმატება ეფუძნება ჯგუფის წევრთა თანამშრომლობას: როგორც ინდივიდუალური წვლილის შეტანას, ისე ჯგუფის შიგნით საქმიანობას. კოოპერაციული/ერთობლივი სწავლა განსაკუთრებით შედეგიანია მეექვსე კლასში, რადგან ამ ასაკში ძლიერია შეჯიბრებისავენ სწრაფვა და ინდივიდუალური ძალისხმევა თვითდამკვიდრებისათვის. კოოპერაციულ/ერთობლივ

სწავლას აქვს უპირატესობა: მოსწავლეები ერთად შრომობენ და ერთმანეთს ეხმარებიან. მოქმედებს პრინციპი: “ერთი ყველასათვის, ყველა ერთისათვის”.

#### აქტივობის მიზნები:

- ურთიერთობის, ურთიერთთანამშრომლობის გაღრმავება;
- ლიდერობის უნარის გამომუშავება და საკუთარი თავის მიმართ რწმენის გაღრმავება; მოსწავლეთა თვითშეფასების გაზრდა;
- მოსწავლეთა სტიმულირება, რათა მათ საკუთარ თავზე აიღონ სწავლაზე პასუხისმგებლობა;
- ჯგუფური მუშაობისთვის აუცილებელი უნარების განვითარება, საერთო საქმეზე პასუხისმგებლობის აღება;
- საკუმუნიკაციო და სოციალური უნარების განვითარება, ჯგუფის წევრებთან სამუშაო სიტუაციაში წარმატებული კომუნიკაცია, ყურადღებით მოსმენა, სხვათა აზრის პატივისცემა.

**რესურსები:** ტექსტი, დაყოფილი ნაწილებად; ფორმატები, მარკერები, ფურცლები, საწერი კალმები;

#### აქტივობის აღნერა:

1. კლასი იყოფა იმდენ 4-5 კაციან ჯგუფად, რამდენ ნაწილადაც არის ტექსტი დაყოფილი;
2. ჯგუფის ყოველ წევრს აქვს ნომერი (მინიჭებული ან გადათვლით, ან ბარათებით); ერთი ნომრის (შეიძლება ფერის) მქონე მოსწავლეები ქმნიან “ოჯახს”;
3. მოსწავლეები გადადიან “ოჯახიდან” “ექსპერტთა” ჯგუფში იმ თანაკლასელებთან ერთად, რომლებსაც იგივე ნომერი აქვთ (მაგალითად, ყველა მოსწავლე, რომელსაც აქვს №2, ერთმანეთს შეხვდება). ერთი ნომრის მოსწავლეები ხდებიან ტექსტის კონკრეტული ნაწილის ექსპერტები;
4. თითოეულ ჯგუფს აქვს ტექსტის კონკრეტული ნაწილი ან ქვეთემა და გარკვეული ამოცანა. მოსწავლეები კითხულობენ, იკვლევენ თავიანთ დავალებას. მათ უნდა განსაზღვრონ, თუ როგორ აღნუსხავენ და როგორ აუხსნიან შესწავლილ და დამუშავებულ მასალას თავიანთ “ოჯახის წევრებს”. მოსწავლეებმა ისე უნდა დაამუშავონ საკუთარი ნაწილი, რომ დააინტერესონ სხვები, ადვილად აუხსნან და გააგებინონ მათ.
5. როდესაც ამოცანა ან ქვეთემა დასრულებულია, მოსწავლეები უბრუნდებიან თავიანთ “ოჯახებს”, ანუ თავდაპირველ ჯგუფს;
6. ყოველი მოსწავლე უზიარებს დანარჩენებს თავის გამოცდილებას იმის შესახებ, თუ რა ისწავლა ან გააკეთა, როდესაც ის „ექსპერტთა“ ჯგუფში იყო;
7. თითოეული ჯგუფი (“ოჯახი”) აკეთებს საერთო ნამუშევრის (გამთლიანებული ტექსტის) პრეზენტაციას.

**შეფასება:** შეფასდება გააზრებული კითხვის, მასალის ორგანიზებისა და სხვებისათვის გაზიარების უნარი, თანამშრომლობის უნარი. მასწავლებელი აფასებს მოსწავლეთა მონაწილეობას და დაადგენს შესრულებული სამუშაოს ხარისხს, აჯამებს ჯგუფებზე დაკვირვების შედეგებს. მოსწავლეები აფასებენ როგორც საკუთარ თავს, ისე ჯგუფის წევრებს.

**მეთოდური მითითება:** ეს აქტივობა კომპლექსურია. ის ორიენტირებულია როგორც გააზრებული კითხვის (მოსწავლეები კითხულობენ უცნობ ტექსტს, გაიაზრებენ და ორგა-

**თავი IV. საინიციატიურო მომსახურება**

ნიზებას უკეთებენ მნიშვნელოვან საკითხებს), ისე წერისა (აკეთებენ ჩანაწერებს) და ზეპირმეტყველების (გადასცემენ, უხსნიან თანატოლებს) უნარის განვითარებაზე. მასწავლებელმა უნდა გაითვალისწინოს, რომ ჯგუფებისათვის დარიგებული ტექსტის ნაწილები დაახლოებით ერთნაირი სირთულის იყოს და მოსწავლეები არ აღმოჩნდნენ არათანაბარ მდგომარეობაში.

**ქართ. VI. 6. მოსწავლეს შეუძლია წაუკითხოს მსმენელს ტექსტი/ნაწყვეტი. (იხ. აქტივობა შედეგისთვის V.)**

**ქართ. VI. 7. მოსწავლეს შეუძლია სხვადასხვა სახის მხატვრული და არამხატვრული ტექსტების წაკითხვა და გაგება-გაანალიზება.**

**აქტივობა:** „პირამიდა“ (წაკითხული ნაწარმოების სქემატური მონახაზის შექმნა).

**აქტივობის შესახებ:** ეს აქტივობა მოსწავლეებისგან მთლიანი ტექსტის შეჯამებას მოითხოვს. თავდაპირველად, სასურველია, მასწავლებელმა პროექტორის საშუალებით, მთელ კლასთან ერთად იმუშაოს. თუ ხშირად შევთავაზებთ მოსწავლეებს ამგვარ აქტივობას, მათ თანდათანობით გაუადვილდებათ მისი შესრულება.

**აქტივობის მიზანი:** მოსწავლეები

- შეძლებენ ნაწარმოების მთავარი ხაზის დანახვას;
- შეძლებენ ნაწარმოებში დასმული პრობლემის ჩამოყალიბებას;
- დაინახვენ, როგორ ხდება ნაწარმოებში დასმული პრობლემის გადაწყვეტა.

**რესურსები:** პროექტორი (პირველ ეტაპზე), ფურცლები, საწერი კალმები.

**აქტივობის აღწერა:** მასწავლებელი წინასწარ ამზადებს ასეთ სქემას:

1. \_\_\_\_\_
2. \_\_\_\_\_
3. \_\_\_\_\_
4. \_\_\_\_\_
5. \_\_\_\_\_
6. \_\_\_\_\_
7. \_\_\_\_\_
8. \_\_\_\_\_

მასწავლებელი აჩვენებს მოსწავლეებს ამ სქემას და სთხოვს მათ, ქვემოთ ჩამოთვლილი პუნქტების მიხედვით, შესაბამისი ინფორმაციით შეავსონ პირამიდის თითოეული "საფეხური":

1. დაწერეთ ნაწარმოების მთავარი გმირის სახელი
2. ორი სიტყვით აღწერეთ ნაწარმოების მთავარი გმირი
3. სამი სიტყვით აღწერეთ მოქმედების დრო და ადგილი
4. ოთხი სიტყვით დაწერეთ ნაწარმოებში დასმული პრობლემის შესახებ
5. ხუთი სიტყვით აღწერეთ ერთი ამბავი/ეპიზოდი ნაწარმოებიდან
6. ექვსი სიტყვით აღწერეთ მეორე ამბავი/ეპიზოდი ნაწარმოებიდან
7. შვიდი სიტყვით აღწერეთ მესამე ამბავი/ეპიზოდი ნაწარმოებიდან
8. რვა სიტყვით აღწერეთ, როგორ გადაწყდა ნაწარმოებში დასმული პრობლემა

**შეფასება:** როგორც ვხედავთ, ეს აქტივობა კომპლექსურია და მოიცავს წერის მიმართულებასაც. რაც შეეხება კითხვის უნარებს, ამ აქტივობით შეიძლება შეფასდეს

- რამდენად სრულყოფილად გაიგო მოსწავლემ მთლიანი ტექსტის შინაარსი;
- რამდენად არგად გაიგო თითოეული ეპიზოდის შინაარსი;
- შეუძლია თუ არა მოსწავლეს ნაწარმოების ძირითადი ხაზის აღქმა;
- შეუძლია თუ არა მოსწავლეს ნაწარმოების/მასში აღწერილი ამბების ლაკონიურად გადმოცემა;
- შეუძლია თუ არა მოსწავლეს, გამოყოს ნაწარმოებში დასმული პრობლემა/პრობლემები და დაინახოს, თუ როგორ ხდება მისი/ მათი გადაჭრა.

**მეთოდური მითითება:** ამ აქტივობის გამოყენება თავისუფლად შეიძლება დაბალ კლასებშიც. შესაძლებელია პირამიდის საფეხურების მოდიფიცირება, მათი გადაადგილება ან რაოდენობის შემცირება ტექსტის სირთულისა და შინაარსის შესაბამისად.

#### ქართ. VI. 8. მოსწავლეს შეუძლია დამოუკიდებლად წაიკითხოს სხვადასხვა სახისა და ნაირგვარი შინაარსის ტექსტები.

##### მოდელი "EXIT".

ეს მოდელი, რომელიც შეიმუშავეს დევიდ რეიმ და მორინ ლუისმა, გამოიყენება არამხატვრულ ტექსტებზე სამუშაოდ. **შენიშვნა: EXIT (Extending Interactions with Texts)** - ამ აბრეგიატურის თავისუფალი თარგმანია "ფართო ინტერაქცია ტექსტებთან". იგი გულისხმობს თანმიმდევრულ და სისტემურ მიდგომას ამგვარი ტექსტების კითხვისა და დამუშავების პროცესში. მისი საშუალებით მოსწავლეები გააზრებულად კითხულობენ ტექსტს, იკვლევენ მასში გადმოცემულ ინფორმაციას, იღრმავებენ ცოდნას მოცემული თემის ირგვლივ და შემდეგ ამ ინფორმაციას წარმოადგენენ ზეპირი ან წერილობითი სახით. ამ მოდელის საშუალებით მოსწავლეები თავდაპირველად იშველიერენ საკუთარ ცხოვრებისეულ გამოცდილებას, რასაც მოსდევს ისეთი საკლასო აქტივობები, რომლებიც კითხვისთვის საჭირო სხვადასხვა სააზროვნო უნარებთან ერთად, ზეპირმეტყველებისა და წერის უნარ-ჩვევების განვითარებასაც უწყობს ხელს. ეს არის ურთიერთთანამშრომლობაზე და საკლასო დისკუსიებზე აგებული, ერთმანეთთან მჭიდროდ დაკავშირებული აქტივობების სერია.

ეს მოდელი მოსწავლეებს სთავაზობს თანმიმდევრულ გზას, თუ როგორ არის შესაძლებელი სხვადასხვა წყაროდან ფაქტობრივი მასალის გამოყენება კონკრეტულ თემასთან/საკითხთან დაკავშირებით სრულყოფილი ინფორმაციის მოსაპოვებლად. ამ დროს განსაკუთრებით სასარგებლო იქნება, თუ მოსწავლეები გამოიყენებენ ინფორმაციის რაც შეიძლება მრავალფეროვან წყაროებს, მათ შორის, ინფორმაციულ და საკომუნიკაციო ტექსნოლოგიებს, ფილმებს, ფოტომასალას, არტეფაქტებს, წიგნებს, გამოჰკითხავენ გარშემო მყოფებს თუ დარგის სპეციალისტებს და ა.შ.

**მოდელი "EXIT"** მოიცავს რამდენიმე ეტაპს, რომელთაგან თითოეული მოითხოვს მასწავლებლისგან სწავლების მეთოდების გულდასმით შერჩევასა და გამოყენებას კლასის საჭიროებების გათვალისწინებით (მაგ., საკლასო დისკუსიები, ჯგუფებში მუშაობა, ინდივიდუალური წერითი თუ ზეპირი დავალებები და ა.შ.). აქტივობის თითოეული ეტაპისთვის ორგანიზების ფორმის შერჩევის შემდეგ მასწავლებელი მოსწავლეებს სთავაზობს კითხვებს, რომლებშიც წინასწარ არის განსაზღვრული, თუ რაზე უნდა გააკეთოს აქცენტი მოსწავლემ, საითვენ უნდა მიმართოს აზროვნება.

1. ნინარე ცოდნის გააქტიურება: "რა ვიცი უკვე ამ თემის შესახებ?"
2. მიზნის განსაზღვრა: "რა მინდა ვიცოდე ამ თემის შესახებ?"
3. ინფორმაციის მოძიება: "სად და როგორ მოვიპოვო/მოვიძიო ეს ინფორმაცია?"
4. შესაბამისი სტრატეგიის შერჩევა: "როგორ გამოვიყენო ინფორმაციის ეს წყარო იმისათვის, რომ გავიგო, რაც მჭირდება?"
5. ინტერაქცია ტექსტთან: "რა არის საჭირო იმისათვის, რომ უკეთ გავიგო ტექსტი?"
6. კითხვის პროცესზე დაკვირვება: "რა უნდა გავაკეთო იმ შემთხვევაში, თუ ტექსტის ზოგიერთი ნაწილი კარგად არ მესმის?"
7. ჩანაწერების გაკეთება: "რა ჩავინიშნო (რისი ჩანიშვნა ღირს) ამ ინფორმაციიდან?"
8. ინფორმაციის შეფასება: "არის თუ არა სანდო ეს ინფორმაცია?"
9. დამახსოვრება: "როგორ დავიმახსოვრო მნიშვნელოვანი დეტალები?"
10. კომუნიკაცია: "როგორ გავუზიარო სხვებს ეს ინფორმაცია?"

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ეს მოდელი სტანდარტით გათვალისწინებულ სამივე მიმართულებას მოიცავს. მაგალითად, მე-3, მე-5, მე-6 და მე-7 ეტაპები კარგ საშუალებას იძლევა კითხვის მრავალფეროვანი სტრატეგიების გამოსაყენებლად, მე-10 ეტაპი კი ხელს უწყობს ზეპირი და წერითი კომუნიკაციის უნარ-ჩვევების განვითარებას, რაც გულისხმობს კონკრეტული მიზნით ინფორმაციის მიწოდებას კონკრეტული აუდიტორისთვის.

### "DART-ის აქტივობები"

არამხატვრული/საინფორმაციო ტექსტის კითხვისას გამოიყენება, აგრეთვე, ე.წ. "DART-ის აქტივობები", რომლებიც განსაკუთრებით ეხმანება "EXIT" მოდელის მე-5 ეტაპს. შენიშვნა: ეს მეთოდი შეიძლება ერიკ ლუნცერმა და კეით გარდნერმა; აბრევიატურის DART (Directed Activities related to texts) თავისუფალი თარგმანი ასეთი შეიძლება იყოს: "ტექსტებთან დაკავშირებული მიზანმიმართული აქტივობები". ეს აქტივობები მოსწავლეებს სთავაზობს ტექსტთან ინტერაქციისა და მასზე მუშაობის არაერთ საინტერესო გზას, აძლევს საშუალებას მათ, გააზრებულად დაამუშაონ ტექსტში მოცემული ინფორმაცია.

ქვემოთ წარმოდგენილია რამდენიმე მაგალითი "DART-ის აქტივობებისა, რომლებიც ტექსტის ინფორმაციის დამუშავებას უკავშირდება და რომლებიც კითხვასთან ერთად, ზეპირმეტყველებისა და წერის მიმართულებებში წარმოდგენილი შედეგების მიღწევასაც უწყობს ხელს.

### ზოგადი კითხვები

მასწავლებელი სვამს ორ ან სამ კითხვას, რომლებზეც არ არსებობს აშკარად გამოკვეთილი სწორი პასუხები. ამიტომ, მოსწავლემ ხელახლა უნდა გადაიკითხოს ტექსტი სწორი პასუხის გასცემად.

**მტკიცებულებათა შერჩევა**

მოსწავლებელი მოსწავლეებს სთავაზობს ტექსტის შესახებ რამდენიმე მტკიცებულებას, რომელთაგან ზოგიერთი ეწინააღმდეგება ტექსტს, ხოლო ზოგიერთი მათგანის შინაარსი სადავოა. მოსწავლეთა ჯგუფებს ან წყვილებს დაევალებათ გაარკვიონ, რამდენად შეესაბამება ისინი ტექსტს. მათ უნდა გამოარჩიონ, რომელ მტკიცებულებას ეთანხმებიან ან/და არ ეთანხმებიან, ასევე, ცალკე გამოყონ ისეთები, რომლებიც მათვის და, ამავე დროს, მაგრამ არა აქვთ ზუსტი პასუხი.

**კითხვების დასმა**

მოსწავლეთა წყვილებს დავალებად ეძლევათ, მოიფიქრონ და დასვან ისეთი კითხვები ტექსტის შესახებ, რომლებზე პასუხიც მათ ნამდვილად აინტერესებთ. ეს კითხვები შეიძლება ეხებოლებს როგორც ექსპლიციტურ (ზედაპირზე მოცემულ), ისე იმპლიციტურ (ქვეტექსტურ) ინფორმაციას. ამ აქტივობის შემდგომი ეტაპი შეიძლება იყოს დისკუსია მთელ კლასში ან ჯგუფებში. შესაძლებელია წყვილებმა ერთმანეთს დაუსვან კითხვები.

**ტექსტის მონიშვნა**

მასწავლებლის დავალებით მოსწავლეები კითხვის დროს ინსტრუქციის მიხედვით მონიშვნავენ ადგილებს ტექსტში და/ან კომენტარებს (მოკლე ჩანაწერებს) დაურთავენ მას. მაგალითად, ერთი ტიპის მოსაზრებები / მტკიცებულებები მათ შეიძლება მონიშნონ ერთი ფერის მარკერით, ხოლო განსხვავებული ან სანინააღმდეგო - სხვა ფერით. მოსწავლეებს ასევე შეუძლიათ იქვე, წიგნის არშიაზე ჩაინიშნონ საკუთარი კომენტარები ტექსტის ან მისი რომელიმე ნაწილის შესახებ.

**დიაგრამები და სურათები**

მოსწავლეებს ეძლევათ დავალება, ტექსტში გადმოცემული ინფორმაცია ან მოსაზრებები ნარმოადგინონ ვიზუალურად, მაგალითად, ნახატის, დიაგრამის ან ცხრილის სახით.

**ტექსტის გარდაქმნა**

მოსწავლეებს ევალებათ ტექსტი ან მისი რომელიმე ნაწილი გადააკეთონ სხვა ტიპის ტექსტად. მაგალითად, ისტორიულ თემაზე შექმნილი მხატვრული ნაწარმოები გარდაქმნან საინფორმაციო ტექსტად, ხოლო რომელიმე სამეცნიერო ექსპერიმენტის აღწერილობა გადააკეთონ ინსტრუქციად.

**ქართ. VI. 9. მოსწავლეს შეუძლია პირად გამოცდილებაზე დაყრდნობით იმსჯელოს ნაწარმოებში ასახული მისთვის გასაგები და მნიშვნელოვანი პრობლემების შესახებ.**

**აქტივობა №1: ტექსტი და მე - ტექსტი და ტექსტი - ტექსტი და გარესამყარო.**

**აქტივობის შესახებ:** მოსწავლეებს, რომლებსაც კითხვის დროს შეუძლიათ მხატვრული ტექსტის დაკავშირება საკუთარ გამოცდილებასთან, სხვა ტექსტთან (უკვე წაკითხულ ნაწარმოებთან) და რეალურ ცხოვრებასთან, ბუნებრივია, უკეთ ახერხებენ წაკითხულის გაგებასა და გააზრებას. წარმოდგენილი აქტივობა დაეხმარება მასწავლებელს, ასწავლის მოსწავლეებს ამგვარი კავშირების დამყარება ტექსტთან.

**აქტივობის მიზანი:** მოსწავლეები:

1. გაეცნობიან სამი ტიპის კავშირს, რომელსაც კითხვის დროს მკითხველი ამყარებს ტექსტთან;
2. გაიგებენ და გაიაზრებენ ტექტს.

**რესურსები:** დაფა, ცარცი/ბორდმარკერი, პლაკატები, ფლომასტერები.

**აქტივობის აღწერა:**

1. ტექსტის წაკითხვის შემდეგ მასწავლებელი მოსწავლეებს აჩვენებს პლაკატებს, რომლებზეც დიდი ასოებით არის დაწერილი: "ტექსტი და მე", "ტექსტი და ტექსტი", "ტექსტი და გარესამყარო" და უხსნის, რას გულისხმობს თითოეული მათგანი. სასურველია, მასწავლებელმა სამივე ტიპის კავშირის საილუსტრაციოდ მოიყვანოს კონკრეტული მაგალითები და ახსნას, რომელი მათგანი უკეთ უწყობს ხელს წაკითხულის გაგებას და რომელი - ნაკლებად (მაგალითად: ა. "როდესაც მესამე კლასში ვიყავი, მეც გადამიყვანეს სხვა სკოლაში, როგორც ლევანი. მახსოვს, როგორ მენატრებოდა ჩემი ძველი სკოლა, რას ვერდნობდი, როცა მეგონა, რომ ახალ კლასში ყურადღებას არავინ მაქცევდა. ასე რომ, კარგად მესმის, რა მდგომარეობაშია ახლა ლევანი" - ასეთი კავშირები ხელს უწყობს ტექსტის გაგება-გააზრებას. ბ. "თამუნას ისევე უყვარს შემწვარი კარტოფილი, როგორც მე" - ეს კი ზედაპირული კავშირის მაგალითია და ნაკლებად ეხმარება მკითხველს ტექსტის სრულყოფილად გააზრებაში).
2. მას შემდეგ, რაც მასწავლებელი დარწმუნდება, რომ მოსწავლეებმა გაიგეს, რას გულისხმობს ეს კავშირები, ავალებს მათ, დაიწყონ წაკითხულ ტექსტზე მუშაობა. მასწავლებელი დაფაზე წერს კითხვებს და სთხოვს მოსწავლეებს, დაფიქტდნენ და პასუხი გასცენ მათ.

● **ტექსტი და მე:**

- რას გახსენებს ამ მოთხოვნაში აღწერილი ამბავი?
- ხომ არ გაგონებს რომელიმე პერსონაჟი ვინმეს შენ გარშემო?
- რაიმე მსგავსი ამბავი ხომ არ გადაგხდენია?

● **ტექსტი და ტექსტი:**

- ხომ არ გაგონებს ეს მოთხოვნა შენ მიერ წაკითხულ რომელიმე სხვა მოთხოვნას ან წიგნს?
- რა მსგავსებაა მათ შორის?
- რა განსხვავებაა მათ შორის?

● **ტექსტი და გარესამყარო:**

- სად და როდის შეიძლება მოხდეს/მომხდარიყო ამ მოთხოვნაში აღნერილი ამბავი?
- შეიძლება თუ არა მოხდეს ასეთი ამბები რეალურ ცხოვრებაში?
- რა შეიძლება მოხდეს და რა - არა?

**შეფასება:** ამ აქტივობის მიზანი უმთავრესად მოსწავლეთა მაღალი დონის კითხვის უნარების, კერძოდ კი, სინთეზირების უნარის განვითარებაა. აქტივობით შეიძლება შეფასდეს, თუ რამდენად საფუძვლიანად გაიგეს და გაიაზრეს მოსწავლეებმა წაკითხული მხატვრული ტექსტის შინაარსი; შეძლეს თუ არა ინტერტექსტური კავშირების დამყარება; შეძლეს თუ არა წაკითხულის გასააზრებლად წინარე ცოდნისა და გამოცდილების მიშველიება.

#### ქართ. VI. 10. მოსწავლეს აქვს კითხვის პროცესით გამოწვეული განწყობილებისა და შთაბეჭდილების გადმოცემის უნარი.

##### აქტივობა №1: საკლასო ალბომი.

**აქტივობის შესახებ:** ეს აქტივობა ხელს უწყობს იმას, რომ მოსწავლემ შეძლოს წაკითხული ნაწარმოებით გამოწვეული შთაბეჭდილებების, ემოციებისა და განცდების მოხელთება და ვერბალურად გადმოცემა.

##### აქტივობის მიზანი: მოსწავლეები

1. გაიმეორებენ შესახლილ მასალას;
2. შეაფასებენ წაკითხულ ნაწარმოებებს მხატვრულ-ესთეტიკური და ლირებულებითი თვალსაზრისით;
3. ისაუბრებენ მხატვრული ნაწარმოებით გამოწვეული გრძნობებისა და ემოციების შესახებ;
4. ივარჯიშებენ კალიგრაფიაში.

**რესურსები:** სახელმძღვანელო, ალბომი, ფურცლები, ფლომასტერები/ფერადი ფანქ-რები/საღებავები, წებო, საწერი კალმები.

##### აქტივობის აღნერა:

1. მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, გაიხსენონ ბოლო პერიოდში (შესაძლებელია ერთი ან ორი თვის, ან სულაც სემესტრის განმავლობაში) შესავლილი მხატვრული ტექსტები. ამის შემდეგ აძლევს მათ საშინაო დავალებას: გაიხსენონ ეს ნაწარმოებები, თუ საჭირო იქნება, თვალი გადაავლონ მათ და შემდეგ ლამაზად ამოინერონ ფურცლებზე მათთვის ყველაზე საყვარელი / მიმზიდველი ადგილები (ეს შეიძლება იყოს ფრაზა, წინადადება, აბზაცი, სალექსო სტრიქონი ან სტროფი) და გააფორმონ ისინი (გაფორმება გულისხმობს, მაგალითად, ფერადი ან ფიგურული ფონის დადებას ტექსტისთვის, მის ლამაზ, გრაფიკულ ჩარჩოში მოთავსებას, ან რაიმე მხატვრული ელემენტებით გამდიდრებას). ამ დავალების შესასრულებლად მასწავლებელი კლასთან ერთად, წინასწარ შეიმუშავებს კრიტერიუმებს, რომელთა მიხედვითაც უნდა შეასრულონ მოსწავლეებმა დავალება, მაგალითად, მათ უნდა შეარჩიონ
  - 1) შინაარსობრივად ყველაზე მეტად მნიშვნელოვანი ადგილი ნაწარმოებიდან;
  - 2) ადგილი/სიტყვები ნაწარმოებიდან, რომელმაც ყველაზე ძლიერი შთაბეჭდილება მოახდინა მათზე ემოციური თვალსაზრისით;
  - 3) მხატვრული-ესთეტიკური თვალსაზრისით ყველაზე მიმზიდველი ადგილი

**ნაწარმოებიდან;**

- 4) ავტორის ან პერსონაჟის მიერ გამოთქმული მოსაზრება, რომელიც ძალზე დამაფიქრებელია/ბრძნულია და სხვ.
2. მოსწავლეები მომდევნო გაკვეთილზე წარმოადგენ შესრულებულ დავალებას. ისინი კითხულობენ თავიანთ ნამუშევრებს და ასაბუთებენ, თუ რატომ შეარჩიეს ესა თუ ის ადგილი/სიტყვები ნაწარმოებიდან. შესაძლებელია კლასში განხილვაც მოეწყოს და სხვა მოსწავლეებმაც გამოთქვან თავიანთი მოსაზრებები.
3. აქტივობის ბოლო ეტაპია ალბომის შექმნა. მოსწავლეები მასწავლებელთან ერთად გადაარჩევენ ნამუშევრებს და განიხილავენ, როგორ უნდა განაწილდეს ისინი ალბომში. მოსწავლეები აკრავენ ფურცლებს ალბომში, ანერენ სათაურს და აფორმებენ მას

**შეფასება:** ამ აქტივობას ერთგვარად შემაჯამებელი სახე აქვს. ამდენად, იგი კარგი საშუალებაა განმსაზღვრელი შეფასების გამოსაყენებლად. მასწავლებელს შეუძლია შეაფასოს, რამდენად კარგად აქვს მოსწავლეს შესწავლილი და დამუშავებული განვლილი მასალა. ამასთანავე, ამ აქტივობით შეფასდება მოსწავლის უნარი

- შეაფასოს მხატვრული ნაწარმოები ესთეტიკური და ემოციური თვალსაზრისით, ასევე სხვადასხვა იპიქტური კრიტერიუმის მიხედვით;
- დაასაბუთოს თავისი არჩევანი;
- იმუშაოს დამოუკიდებლად;
- მონაწილეობა მიიღოს ჯვუფურ აქტივობაში;
- გამოავლინოს შემოქმედებითი მიღება დავალების შესრულებისას.

**მეთოდური მითითება:** ამგვარი აქტივობების დაგეგმვა შესაძლებელია IV და V კლასებშიც, ბუნებრივია, სასწავლო გეგმით გათვალისწინებული მოთხოვნების შესაბამისად. მისი ჩატარება მიზანშეწონილია სემესტრის ან სასწავლო წლის დასასრულს.

**ქართ. VI. 11. მოსწავლეს შეუძლია სხვადასხვა ტიპის ტექსტების ენობრივ თავისებურებებზე დაკვირვება და მსჯელობა.**

**აქტივობა №1: ცოცხალი წინადადება.**

**აქტივობის შესახებ:** ეს აქტივობა სახალისო და დინამიური ფორმით ეხმარება მოსწავლეებს სიტყვებს შორის არსებულ სინტაქსური მიმართებების გაგებასა და წინადადების წევრთა ფუნქციის გააზრებაში.

**აქტივობის მიზანი:** მოსწავლეები

- ივარჯიშებენ კითხვების დასმის საშუალებით წინადადების წევრების ამოცნობაში;
- ივარჯიშებენ წინადადების აგებაში;
- გაიაზრებენ სიტყვებს შორის არსებულ სინტაქსურ მიმართებებს.

**რესურსები:** ფურცლები, ფლომასტერები, ტექსტი.

**აქტივობის აღწერა:**

1. მასწავლებელი წინასწარ არჩევს წინადადებებს ტექსტიდან და დიდი ასოებით ამოიწერს ან დაბეჭდავს ცალ-ცალკე ფურცლებზე. ამის შემდეგ ურიგებს ფურცლებს რამდენიმე მოსწავლეს, რომლებიც კლასის წინ მზრივდებიან და ამ სიტყვებისგან ქმნიან წინადადებას (თუკი წინადადება არის შერწყმული ან რთული, ან

შეიცავს ჩართულს, მასნავლებელს შეუძლია ფურცლებზე შესაბამისი სიტყვების შემდეგ გამოსახოს მძიმეები. ეს გარკვეულ ორიენტირადაც შეიძლება გამოადგეთ მოსწავლეებს). ისინი ხელში იჭერენ ფურცლებს ისე, რომ თანაკლასელებმა წაიკითხონ მათზე დანერილი/დაბეჭდილი სიტყვები. დანარჩენი მოსწავლეები ხმამაღლა კითხულობენ წინადადებას. ისინი აკვირდებიან და აფასებენ, რამდენად სწორად, გამართულად არის წინადადება კონსტრუირებული.

2. იმისათვის, რომ მოსწავლეებმა შეძლონ წინადადების ძირითადი წევრების ამოცნობა და მათი ფუნქციის გააზრება, მასნავლებელი სვამის რამდენიმე კითხვას წინადადების გარშემო, მაგალითად: "ვის / რას ეხება ეს წინადადება?" (ქვემდებარე) "რას აკეთებს ის ამ წინადადებაში?" (შემასმენელი). მომდევნო კითხვები შეიძლება ეხებოდეს პირდაპირი დამატების, ადგილის, დროისა და ვითარების გარემოების ამოცნობას. კითხვაზე პასუხის გაცემისას ერთი ნაბიჯით წინ გამოდის ის მოსწავლე, რომელსაც ხელში უჭირავს შესაბამისი სიტყვა.
3. ეს პროცედურა მეორდება რამდენჯერმე, რის შემდეგაც კითხულობენ ტექსტს. მოსწავლეები მე-2 პუნქტში აღნერილი პრინციპით ამოცნობენ წინადადების წევრებს და გაიაზრებენ მათ ფუნქციას წინადადებაში.

**შეფასება:** ამ აქტივობით ფასდება, შეუძლია თუ არა მოსწავლეს

- წინადადების წევრების ამოცნობა;
- წინადადების წევრების ფუნქციის გააზრება;
- სიტყვებს შორის სინტაქსური მიმართებების აღქმა;
- წინადადების კონსტრუირება.

**მეთოდური მითითება:** ამ ტიპის აქტივობების გამოყენება თავისუფლად არის შესაძლებელი დაბალ კლასებშიც.

**ქართ. VI. 12. მოსწავლეს შეუძლია მეღიატექსტების გაანალიზება; აქვს მულტიმედია ტექსტებზე მუშაობის საწყისი უნარ-ჩვევები.**

#### ელექტრონული ტექსტების კითხვა

**ზოგადი მიმოხილვა:** მეღიანიგნიერება ეროვნული სასწავლო გეგმის პრიორიტეტული გამჭვილი კომპეტენციაა, რომლის განვითარებაზეც ზრუნვა სულ უფრო მეტ მნიშვნელობას იძენს თანამედროვე საგანბმანათლებლო სივრცეში. ამდენად, საჭიროდ მივიჩნიეთ, სათანადო ყურადღება გაგვემახვილებინა მულტიმედიური ტექსტების კითხვაზე.

კვლევების მიხედვით, ელექტრონულ ფორმატში კითხვა ბეჭდური ტექსტების კითხვისგან განსხვავებული უნარებისა და სტრატეგიების ფლობას მოითხოვს. ეს იმიტომ, რომ ელექტრონულ ფორმატში კითხვა უმეტესად ინფორმაციის მოძიებას უკავშირდება და ამ პროცესს თავად მკითხველი უძღვება (და არ მასნავლებელი). ამასთანავე, ასეთი ტექსტების კითხვის დროს მკითხველი არ მიჰყვება ერთ ხაზს ტექსტის დასაწყისიდან ბოლომდე. იგი მიჰყვება ბმულებს, გადადის ერთი ვებგვერდიდან მეორეზე, ხსნის და ეცნობა სხვა ფანჯრებს და ა.შ. ელექტრონულ ფორმატში კითხვისთვის საჭიროა შემდეგი უნარები: შესაბამისი კითხვების დასმა და ფორმულირება, სანდო ინფორმაციის მოძიება, ასევე ამ ინფორმაციის შეფასება, სინთეზირება და გაზიარება.

კვლევების თანახმად ასევე დამტკიცებულია, რომ ბეჭდური ტექსტების კითხვაში განაფული მოსწავლე ყოველთვის არ არის მულტიმედიური ტექსტების ასეთივე კარგი

მკითხველი და - პირიქით.

**აქტივობის მიზანი:** წარმოდგენილი მეთოდები და რეკომენდაციები მიზნად ისახავს, დაეხმაროს მასწავლებელს მულტიმედიური, კერძოდ კი, ელექტრონული ტექსტების კითხვის სწავლების პროცესში.

**რესურსები:** კომპიუტერი, სხვადასხვა აქტივობის დასაგეგმად და ჩასატარებლად საჭირო მასალა.

### აქტივობების აღწერა:

1. საწყის ეტაპზე მოსწავლეები ვარჯიშობენ სასურველი ინფორმაციის მოძიებისთვის საჭირო კითხვების ჩამოყალიბებაში. ამისათვის მათ უნდა იცოდნენ, რომ კითხვა მთლიანად კი არ უნდა ჩაწერონ საძიებო ველში, არამედ შეძლონ შესაბამისი საკანონო სიტყვების, ტერმინებისა და ფრაზების შერჩევა და გამოყენება.
2. ინტერნეტში მოძიებული ინფორმაციის გასაანალიზებლად და შესაფასებლად, შესაძლებელია სხვადასხვა ტიპის საკლასო აქტივობების დაგეგმვა. მაგალითად:
  - მოსწავლეები აკვირდებიან და მსჯელობენ, რა განსხვავებაა, მაგალითად, შემდეგ დომენებს შორის: .com, .gov, .org, .edu და .ge და რა ტიპის ინფორმაცია შეიძლება მოიპოვონ თითოეული მათგანიდან;
  - მოსწავლეები ამონტებენ მასწავლებლის მიერ შერჩეულ ვებგვერდებს (ამისათვის მასწავლებელმა უნდა შეარჩიოს სანდო და ნაკლებად სანდო ვებგვერდები). მათ პასუხი უნდა გასცენ შემდეგ კითხვებს: შესაძლებელია თუ არა ამ ვებრგვერდზე წარმოდგენილი ინფორმაციის გადამოწმება სხვაგან? არის თუ არა ეს ინფორმაცია სანდო? არის თუ არა ეს ინფორმაცია ახალი? არის თუ არა ეს ინფორმაცია დასაბუთებული (ახლავს თუ არა მას შესაბამისი ფოტომასალა, აუდიომასალა და ა.შ.)? არის თუ არა ეს ვებგვერდი მიკერძოებული (ნეიტრალურია თუ ვინმეს ან რამეს პროპაგანდას ეწევა)? და ა.შ.
3. სასურველია ისეთი აქტივობების დაგეგმვა, რომლებიც ხელს შეუწყობს მოსწავლეთა მეტაკოგნიტური უნარების განვითარებას. მაგალითად:
  - მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, დახაზონ რუკა, რომელზეც მათ უნდა ასახონ, თუ როგორ მიაგნეს სასურველ ვებგვერდს და მოიპოვეს საჭირო ინფორმაცია. მოსწავლეები სიტყვიერადაც აღწერენ მათ მიერ "განვლილ გზას" და ხსნიან, თუ რატომ მიიღეს ესა თუ ის გადაწყვეტილება თითოეულ ეტაპზე.
  - მოსწავლეები ხსნიან, რა კრიტერიუმებით იხელმძღვანელეს კონკრეტულ ვებგვერდზე შემოთავაზებული ინფორმაციის სანდოობის დასადგენად, გადამოწმეს თუ არა ეს ინფორმაცია და როგორ.

**შეფასება:** აქტივობის სპეციფიკისა და სასწავლო მიზნის გათვალისწინებით, მასწავლებელმა თავად უნდა განსაზღვროს შეფასების ტიპი და კრიტერიუმები.

**კავშირი სხვა საგნებთან:** ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები.

**ქართ. VI. 13. მოსწავლეს შეუძლია კითხვის სხვადასხვა სტრატეგიის მიზნობრივად გამოყენება.**

### აქტივობა №1: ტელევიზორი (ვიზუალიზაცია).

**აქტივობის შესახებ:** ეს აქტივობა სთავაზობს მოსწავლეებს კიდევ ერთ ხერხს წაკითხულის გასააზრებლად. ეს სტრატეგია გულისხმობს ტექსტის სურათების გაცოცხლე-

ბას გონიერებაში (ანუ ვიზუალიზაციას) და მის გადმოცემას ჩანახატების მეშვეობით.

#### აქტივობის მიზანი: მოსწავლეები

1. გაეცნობიან კითხვის ახალ სტრატეგიას;
2. ისწავლიან, როგორ გამოიყენონ ეს სტრატეგია წაკითხული ტექსტის გასააზრებლად და ინტერპრეტირებისათვის;
3. შეძლებენ ტექსტის ფრაგმენტების ვიზუალიზაციას;
4. აღნიშვნენ, როგორ დაეხმარა ეს სტრატეგია ტექსტის გააზრებაში.

**რესურსები:** საკითხავი მასალა, პლაკატი, საწერი კალმები/ფანქრები.

#### აქტივობის აღწერა:

1. მასწავლებელი უხსნის მოსწავლეებს, რას გულისხმობს ეს სტრატეგია და საილუსტრაციოდ აჩვენებს სპეციალურად გამზადებულ პლაკატს (იხ. ნიმუში). იმისათვის, რომ მოსწავლეები უკეთ ჩანვდნენ სტრატეგიის არსს, მასწავლებელს ეს პროცესი შეუძლია შეადაროს ტელევიზორის ყურებას, ოლონდ იმ განსხვავებით, რომ ეს ტელევიზორი მოთავსებულია თავად მოსწავლის თავში. იგი წინასწარ სთხოვს მოსწავლეებს, რომ ტექსტის მოსმენისას დახუჭონ თვალები და თავიანთ გონიერებაში გააცოცხლონ კადრები ისე, თითქოს ტელევიზორს უყურებენ.
2. მასწავლებელი უკითხავს ტექსტს მოსწავლეებს. ყოველი პასაუის/ეპიზოდის დასრულების შემდეგ მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, აღწერონ მათ გონიერებაში გაცოცხლებული კადრები.
3. როდესაც მასწავლებელი დაასრულებს ტექსტის კითხვას, იგი ავალებს მოსწავლეებს გააკეთონ ჩანახატები. მასწავლებელმა უნდა გააფრთხილოს მოსწავლები, რომ ამ შემთხვევაში ნახატის შესრულების ხარისხი ნაკლებად მნიშვნელოვანია. ეს უნდა იყოს რაც შეიძლება სწრაფად გაკეთებული ჩანახატები. ამ დავალების მიზანი არის ის, რომ მოსწავლეებმა თავიანთი ხედვა (ნაწარმოების მათეული ინტერპრეტაცია) გადმოსცენ არავერბალური გზით და პირდაპირ სახატავ ფურცელზე გადაიტანონ.
4. აქტივობის ბოლო ნაწილი შეიძლება დაეთმოს სტრატეგიის შეფასებას. მოსწავლეები განიხილავენ, დაეხმარა თუ არა ვიზუალიზაცია ტექსტის გაგებაში, რით ჰგავს ეს პროცესი ტელევიზორის ყურებას და რით განსხვავდება მისგან და ა.შ.



#### პლაკატის ნიმუში

**შეფასება:** ამ აქტივობის მიზანია, მოსწავლეები გაეცნონ კითხვის ერთ-ერთ სტრატეგიას. ამდენად, მისი მიმდინარეობისას სასურველია განმავითარებელი შეფასების გამოყენება. მასწავლებელი აკვირდება მოსწავლეებს,

- ისმენენ თუ არა ისინი ტექსტს ყურადღებით;

- ახერხებენ თუ არა მოსმენილი ტექსტის ვიზუალიზაციას (ვიზუალურად გა-ცოცხლებას) გონიერები;
- გაიგეს და აითვისეს თუ არა კითხვის ახალი სტრატეგია.

**მეთოდური მითითება:** ეს აქტივობა საინტერესოა იმ თვალსაზრისით, რომ მისი სა-შუალებით მოსწავლეები წარმოაჩენენ წაკითხული/მოსმენილი ტექსტის ერთმანეთისგან სრულიად განსხვავებულ ხედვას, რაც საკლასო დისკუსიების გამართვის კარგ შესაძლებ-ლობას იძლევა.

ამ აქტივობის გამოყენება შესაძლებელია მეოთხე კლასიდან.

**კავშირი სხვა საგნებთან:** სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება.

**ქართ. VI. 14. მოსწავლეს შეუძლია პიროვნული და შემოქმედებითი გამოცდილე-ბის გამოყენება წერის პროცესში; აქვს მხატვრული წარმოსახვის უნარი.**

#### აქტივობა №1: წერის დღესასწაული.

**აქტივობის შესახებ:** აქტივობა შემაჯამებელი სახისაა და, როგორც წესი, ტარდება სემესტრის ან სასწავლო წლის ბოლოს. იგი ემსახურება მოსმენის, მხატვრული წარმოსახ-ვისა და ტექსტის ანალიზის უნარ-ჩვევების გამომუშავებას. აქტივობა მოსწავლეებისათ-ვის უფრო სახალისოს გახდის წერითი მეტყველების სწავლების პროცესს და შემოქმედე-ბითობის იერს შესძენს წერით დავალებებზე მუშაობას.

#### აქტივობის მიზნები:

- მოსმენის უნარ-ჩვევების განვითარება;
- ტექსტის ანალიზის უნარ-ჩვევების განვითარება;
- საკუთარი მოსაზრების, დამოკიდებულების, პოზიციის, თვალსაზრისის გამო-ხატვისა და არგუმენტირების უნარ-ჩვევების განვითარება;
- მხატვრულად წერის უნარ-ჩვევების განვითარება.

#### აქტივობის ორგანიზების ფორმა: ჯგუფური.

რესურსები: მოსწავლეთა მიერ შესრულებული ნაწერები, ფურცლები, კალამი, დაფა, ცარცი, მარტივი ჯილდოები/სიგელები.

#### აქტივობის აღწერა:

მასწავლებლის დახმარებით, მოსწავლეებმა უნდა შეარჩიონ სემესტრის/წლის გან-მავლობაში მათ მიერ შესრულებული ერთ-ერთი ნამუშევარი და ხმამაღლა წაუკითხონ იგი თანაკლასელებს.

მას შემდეგ, რაც ერთი მოსწავლე წაიკითხავს თავის ნამუშევარს, დანარჩენებს დაახ-ლოებით 15 წუთი მიეცემათ საიმისოდ, რომ პატარა ფურცელზე ჩამოწერონ თავიანთი პო-ზიტიური/დადებითი კომენტარები მოსმენილი ნამუშევრის შესახებ (წევატიურ მხარეებს ამ შემთხვევაში ყურადღება არ ექცევა).

მოსწავლეთა წერილობითი კომენტარები წარმოდგენილი უნდა იყოს ორი რუბრიკის სახით (თითოეულ მათგანში ორი პარამეტრია). მასწავლებლი მოსწავლეებს წინასწარ გა-აცნობს ამ კრიტიუმებს და დაფაზე ჩამოწერს მათ. წერილობითი კომენტარები ემსახუ-რება როგორც მოსმენისა და შედარების უნარ-ჩვევის განვითარებას, ასევე მხატვრულად წერის უნარის გამომუშავებას.

ეს რუბრიკებია:

1. “გონების სარკე” (მოსმენის უნარი)

- ნაწერიდან დააფიქსირე სიტყვა, წინადადება, ფრაზა ან აზრი, რომელიც მოგეწონა და ახსენი, რატომ მოგეწონა იყო.
  - ნაწერის ნაკითხვის შემდეგ ჩაინიშნე, რაზე დაგაფიქრა მეგობრის ნაწერმა.
- 2. “გულის სარკე”** (შედარებისა და მხატვრულად წერის უნარი)
- ჩაინიშნე, რა გრძნობა, განცდა აღძრა შენში მეგობრის ნაწერმა.
  - შეადარე ნაწერი რაღაცას, რომელიც ახსნის და გადმოსცემს ამ ნაწერის არსა და/ან ხასიათს.

კომენტარებზე მუშაობის დასრულების შემდეგ მოსწავლეები ხმამაღლა კითხულობენ თავიანთ კომენტარებს/შეფასებებს მოსმენის დროს გაჩენილი მყისიერი განცდისა და აზრების დასაფიქსირებლად.

აქტივობის ჩატარებისას, დღესასწაულისა და ზეიმის განწყობის შესაქმნელად, საკლასო ოთახიც სადღესასწაულოდ უნდა მოირთოს. „წერის დღესასწაულს“ შეიძლება დაესწონ მოწვეული სტუმრები: მასწავლებლები, ამხანაგები, მშობლები, სკოლის თანამშრომლები და სხვ. (ამ შემთხვევაში მოსწავლეებს შეუძლიათ, დაამზადონ მოსაწვევი ბარათები სტუმრებისათვის).

აქტივობის ხანგრძლივობა: მთელი აქტივობის ჩატარებას ესაჭიროება სამი 45-50 წუთიანი გაკვეთილი (იმ შემთხვევაში, თუ კლასში 20-25 მოსწავლეა).

**შეფასება:** აქტივობით ფასდება, შეუძლია თუ არა მოსწავლეს:

- დასკვნების, პირადი დამოკიდებულებების, შეგრძნებების წერილობით ჩამოყალიბება;
- ირიბი ნათქვამისა და ციტატის სწორად გამოყენება;
- განცდის, შთაბეჭდილების რაიმესთან შედარება;
- სასურველი მხატვრული ფორმის შექმნა.

**მეთოდური მითითება:**

სასურველია, რომ წერის დღესასწაულის დასასრულს, მასწავლებელმა მოსწავლეები დააჯილდოვოს სიგელით, სიმბოლური საჩუქრით და სხვ.

**აქტივობა №2: ”იყო და არ იყო რა“.**

**აქტივობის შესახებ:** აქტივობა ემსახურება ტექსტის ანალიზისა და შემოქმედებითი უნარ-ჩვევების გამომუშავებას.

**აქტივობის მიზნები:**

- ტექსტის ანალიზის უნარის განვითარება;
- შემოქმედებითი უნარების (ფანტაზიის/წარმოსახვის) განვითარება;
- თვითშეფასებისა და ურთიერთშეფასების უნარ-ჩვევების გამომუშავება.

**აქტივობის ორგანიზების ფორმა:** ინდივიდუალური.

**რესურსები:** ზღაპარი, საწერი კალმები, ფერადი ფანქები, ადამიანური რესურსები.

**აქტივობის აღნერა:**

მასწავლებელი საუბრობს ზღაპარებზე, მოსწავლეებს შეახსენებს მათთვის ცნობილ ზღაპრებს. შემდეგ მოკლედ მიმოიხილავს ზღაპრის ძირითად სტრუქტურას და მის ელემენტებს. ესენია: შესავალი (პერსონაჟები და მოქმედების ადგილი), სიუჟეტის განვითარება, კვანძის შეკვრა, კულმინაცია, კვანძის გახსნა; შეახსენებს მოსწავლეებს ზღაპრისათვის დამახასიათებელ ენობრივ-სტილისტურ ნორმებს.

შემდეგ მასწავლებელი წაიკითხავს რამდენიმე აბზაცს შერჩეული ზღაპრის შუა ნა-

წილიდან და სთხოვს მოსწავლეებს, წარმოიდგინონ და დაწერონ, რა მოხდა ამ აპზაცებამ-დე, რა მოხდა ამ აპზაცების შემდეგ; აგრეთვე ზღაპრის შესავალი და დასკვნითი ნაწილები. მოსწავლეებმა უნდა იფიქრონ ”უკანა მიმართულებით”: მოახდინონ თხრობის ნაკლული ნაწილის/ნაწილების რეკონსტრუირება, დაადგინონ თხრობის შესავსებად აუცილებელი კომპონენტები და, ამასთან, წარმოადგინონ ეს ადგილები უანრისათვის დამახისიათებელი ენობრივ-სტილისტური ნორმების დაცვით. გასათვალისწინებელია, რომ აქტივობა მოსწავლეებისაგან მოითხოვს, ”მოერგონ” იმას, რაც აქვთ შეთავაზებული და იმუშაონ მოცემულ ფაქტებზე დაყრდნობით. სურვილისამებრ, მოსწავლეებს შეუძლიათ დაასურათონ თავიანთი ნამუშევრები.

სამუშაოს დასრულების შემდეგ მასწავლებელი ხმამაღლა კითხულობს მოსწავლეთა ნამუშევრებს.

ბოლოს მასწავლებელი ხმამაღლა კითხულობს ზღაპრის ორიგინალურ ტექსტს თავიდან ბოლომდე.

დასასრულს, შეიძლება გაიმართოს მსჯელობა იმის თაობაზე, თუ რომელი ნამუშევარი დგას უფრო ახლოს ზღაპრის ორიგინალურ ტექსტთან. მოსწავლეები თვითონ იმსჯელებენ შედეგებზე, დაადგენენ, რომელი ზღაპარი გამოვიდა უფრო სრული, საინტერესო და/ან ორიგინალური.

**აქტივობის ხანგრძლივობა:** 15-17 წუთი.

**შეფასება:** აქტივობით ფასდება, შეუძლია თუ არა მოსწავლეს:

- ტექსტის გაანალიზება (სიუჟეტური ხაზის განსაზღვრა, ძირითადი სტრუქტურული ელემენტების დადგენა);
- თხრობის ნაკლული ელემენტის/ელემენტების რეკონსტრუირება უანრის სპეციფიკის გათვალისწინებით და სათანადო ენობრივ-სტილისტური ნორმების გამოყენებით;
- ავლენს თუ არა მოსწავლე ფანტაზიის/წარმოსახვის უნარს;
- რამდენად ადეკვატურად აფასებს მოსწავლე საკუთარ და სხვის ნამუშევრებს.

**მეთოდური მითითება:** სასურველია, მოსწავლეებს სამუშაოდ შევთავაზოთ ტრადიციული სტრუქტურისა და სიუჟეტური ხაზის მქონე, ნაკლებად ცნობილი ზღაპარი.

### აქტივობა №3: ვქმნით ერთად.

**აქტივობის შესახებ:** აქტივობა ემსახურება შემოქმედებითი წერისათვის აუცილებელი უნარ-ჩვევების გამომუშავებას. იგი აერთიანებს ოთხ ეტაპს.

**აქტივობის მიზნები:**

- ტექსტის ანალიზის უნარ-ჩვევების ჩამოყალიბება;
- ანალიტიკური და ლოგიკური აზროვნების უნარ-ჩვევების ჩამოყალიბება;
- შემოქმედებითი უნარების განვითარება;
- წერითი მეტყველების უნარ-ჩვევების ჩამოყალიბება;
- თვითგამოხატვის უნარების განვითარება;
- თანამშრომლობის უნარ-ჩვევების ჩამოყალიბება;
- სწავლის პროცესის ორგანიზების უნარის განვითარება.

**აქტივობის ორგანიზების ფორმა:** ინდივიდუალური.

**რესურსები:** კალმები, საწერი ფურცლები თითოეული მოსწავლისათვის.

**აქტივობის აღნერა:**

მასწავლებელი ზეპირად უხსნის მოსწავლეებს, რაში მდგომარეობს აქტივობის არსი: მოსწავლეებმა უნდა შეთხზან და დაწერონ რაიმე სიუჟეტი/მოთხოვბა/ისტორია. აქტივობის პირველ ეტაპზე მოსწავლეები თხზავენ სიუჟეტის დასაწყისს, მეორე ეტაპზე - შუა ნაწილს, მესამე ეტაპზე - დასასრულს. ამასთან, მოსწავლეები არ წერენ ერთ სიუჟეტს თავიდან ბოლომდე. ისინი იწყებენ სიუჟეტის წერას, შემდეგ აგრძელებენ თანაკლასელის მიერ დაწყებულ სიუჟეტს (წერენ შუა ნაწილს); დაბოლოს, დაასრულებენ თანაკლასელის მიერ მოფიქრებული სიუჟეტს (სიუჟეტის დასაწყისა და შუა ნაწილს). აქტივობის დასასრულს, მოსწავლეები ასწორებენ თანაკლასელის ნამუშევარს. მასწავლებელი გააფრთხილებს მოსწავლეებს, რომ თითოეული ეტაპისათვის გამოყოფილია გარკვეული დრო.

**პირველი ეტაპი:** მოსწავლეები შეუდგებიან წერას (საწერ ფურცლებზე არ უთითებენ თავიანთ ვინაობას): თხზავენ სიუჟეტის დასაწყისს, სადაც წარმოდგენილი იქნება პერსონაჟები, მოქმედების დრო და ადგილი.

**მეორე ეტაპი:** 5-7 წუთის შემდეგ თითოეული მოსწავლე, მასწავლებლის მითითებით, თავის ერთ თანაკლასელს გაუცვლის ნაწერს; წაიკითხავს თანაკლასელის მიერ მოფიქრებულ დასაწყისს (პერსონაჟებს, მოქმედების ადგილს, დროს) და გააგრძელებს სიუჟეტურ ხაზს თავისი წარმოსახვით.

**მესამე ეტაპი:** 5-7 წუთის შემდეგ თითოეული მოსწავლე, მასწავლებლის მითითებით, თავის ერთ რომელიმე თანაკლასელს გაუცვლის ნაწერს; წაიკითხავს თანაკლასელების მიერ მოფიქრებულ დასაწყისა და შუა ნაწილს და დაასრულებს სიუჟეტს თავისი წარმოსახვით.

**მეორთხე ეტაპი:** სამუშაოს დასრულების შემდეგ მოსწავლეები კიდევ ერთხელ გაცვლიან საწერ ფურცლებს. თითოეულ მათგანს დაევალება, გაასწოროს თანაკლასელების ნამუშევარი, მოახდინოს რედაქტირება-კორექტირება და გადაათეთროს იგი. ამ სამუშაოსათვის მოსწავლეებს 7-8 წუთი მიეცემათ.

მოსწავლეთა მიერ შესრულებული ნამუშევრები შეიკრიბება და ერთად აიკინძება ბროშურის სახით, რომელიც ხელმისაწვდომი უნდა იყოს ყველა მოსწავლისათვის. ამ გზით თითოეულ მათგანს შეეძლება, გაეცნოს თანაკლასელების ნამუშევრებს; თვალი გაადევნოს, როგორ განვითარდა/როგორ დასრულდა მის მიერ მოფიქრებული სიუჟეტი (დასაწყისი და/ან შუა ნაწილი).

**აქტივობის ხანგრძლივობა:** პირველი სამი ეტაპისათვის მოსწავლეებს ეძლევათ 5-7 წუთი, მეორთხე ეტაპისათვის - 7-8 წუთი.

**აქტივობის საერთო ხანგრძლივობაა დაახლ. 30 -35 წუთი.**

**შეფასება:** აქტივობით ფასდება, შეუძლია თუ არა მოსწავლეს

- სიუჟეტური ხაზის ამოცნობა და განვითარება;
- ადეკვატური ლექსიკის გამოყენება;
- შემოქმედებითი უნარ-ჩვევების გამოვლენა;
- სხვისი ნამუშევრის შეფასება;
- ნაწერის გასწორება (რედაქტირება, კორექტირება).

**მეთოდური მითითებები:**

- აქტივობის პირველ ეტაპზე მასწავლებელმა უნდა მიუთითოს მოსწავლეებს, რომ დასაწყისის წერისას მათ უნდა წარმოაჩინონ: პერსონაჟი/პერსონაჟები, მოქმედების დროს, მოქმედების ადგილი.
- მიზანშეწონილი არ არის პერსონაჟებად თანაკლასელების, მასწავლებლებისა და

მისთ. გამოყენა.

- აქტივობის შეუფერხებლად ჩატარების მიზნით, თითოეულ მოსწრეობის მასწავლებლი მიუთითებს, რომელ თანაკლასელს უნდა გაუცვალოს თავისი ნამუშევარი (ეს არ უნდა იყოს გვერდით ან ახლოს მჯდომი თანაკლასელი).

**კავშირი სხვა საგნებთან:** აღნიშნული აქტივობა ავითარებს ანალიტიკური და ლოგიკური აზროვნების, აგრეთვე შემოქმედებით უნარ-ჩვევებს, რომლებიც აუცილებელია ჰუმანიტარული, საბუნებისმეტყველო და ზუსტი მეცნიერებების შესწავლის დროს.

#### აქტივობა №4: მე და ჩემი თანაავტორო.

**აქტივობის შესახებ:** აქტივობა გამიზნულია წერის ეტაპისათვის. იგი ხელს უწყობს პიროვნული და/ან ლიტერატურული გამოცდილების წერილობით გადმოცემის, შემოქმედებითი უნარ-ჩვევების გამომუშავებას; სტიმულს აძლევს მოსწავლეთა მხატვრულ წარმოსახვას, მათი თვითგამოხატვის პროცესს. აქტივობის მიმდინარეობისას მოსწავლეები მუშაობენ ერთმანეთთან თანაავტორობით და საერთო ძალისხმევით ქმნიან მხატვრულ ტექსტს.

#### აქტივობის მიზნები:

- შემოქმედებითი უნარ-ჩვევების განვითარება;
- მხატვრული წარმოსახვის განვითარება;
- ლოგიკური აზროვნების უნარ-ჩვევების განვითარება;
- თანამშრომლობის უნარ-ჩვევების განვითარება.

#### აქტივობის ორგანიზების ფორმა: წყვილური/ჯგუფური.

**რესურსები:** დაფა, ცარცი/მარკერი, საწერი ფურცელი, კალამი.

#### აქტივობის აღწერა:

მასწავლებელი შესთავაზებს მოსწავლეებს, დაწერონ/შეთხზან მხატვრული ტექსტი იმ დასაწყისის საფუძველზე, რომელსაც იგი დაფაზე დაწერს (ეს შეიძლება იყოს ერთი ან მეტი წინადადება, ერთი აბზაცი). შეთავაზებული დასაწყისი შეიძლება შეთხზული იყოს თავად მასწავლებლის მიერ ან აღებული იყოს რომელიმე თხზულებიდან, რომელსაც მოსწავლეები არ იცნობენ.

მოსწავლეებმა უნდა გააგრძელონ ამბის თხრობა წყვილური მუშაობის რეჟიმში. თითოეულ წყვილს მასწავლებელი დაურიგებს თითო-თითო საწერ ფურცელს და გააცნობს მოსწავლეებს სამუშაოს შესრულების წესს, აფრთხილებს მათ, რომ ტექსტზე სამუშაოდ მათ აქვთ 18-20 წუთი.

ტექსტის შექმნაზე მეწყვილეები მუშაობენ რიგრიგობით, იყენებენ ერთსა და იმავე ფურცელს - ჯერ ერთი მეწყვილე დაწერს წინადადებას/წინადადებებს ან აბზაცს, გადასცემს ფურცელს თავის მეწყვილეს, რომელიც გაეცნობა მეგობრის ნაწერს და გააგრძელებს ამბის თხრობას. შემდეგ ფურცელი ისევ დაუბრუნდება პირველ მეწყვილეს, რომელიც გაეცნობა, რა დაწერა მისმა მეგობარმა (მეორე მეწყვილემ), გააგრძელებს მის თხრობას და ა.შ.

მეწყვილეებმა უნდა გამოკვეთონ და დაიცვან სიუჟეტური ხაზი, გაგრძელებები არ უნდა იყოს წინააღმდეგობრივი და ურთიერთგამომრიცხავი - ესაა აუცილებელი მოთხოვნა, რომელსაც მასწავლებელი წერის დაწყებამდე გააცნობს მოსწავლეებს. სასურველია, რომ მეწყვილეების მიერ შექმნილ ტექსტში აღრეული არ იყოს ერობრივი, სტილისტური, ჟანრული და ან ფორმობრივი მახასიათებლები.

სამუშაოს დასრულებამდე 5 წუთით ადრე მასწავლებელი გააფრთხილებს მოსწავ-

ლებს, რომ დრო იწურება ("გაფრთხილებთ, რომ დაგრჩათ 5 წუთი") და მოუწოდებს მათ, დარჩენილი დრო ტექსტის დასასრულებლად გამოიყენონ.

სამუშაოს დასრულების შემდეგ მოსწავლეები ხმამაღლა წაიკითხავენ თავიანთ თხზულებებს. წაკითხვის შემდეგ გაიმართება მსჯელობა მოსმენილი თხზულებების შესახებ.

იმ შემთხვევაში, თუ მასწავლებლის მიერ შეთავაზებული დასაწყისი რომელიმე თხზულებიდანაა აღდებული, მასწავლებელი მოსწავლებს მოკლედ გააცნობს მის შინაარსს (ან დაავალებს აღნიშნული თხზულების წაკითხვას საშინაო დავალების სახით).

**აქტივობის ხანგრძლივობა:** 18-20 წუთი.

**შეფასება:** აქტივობით ფასდება, შეუძლია თუ არა მოსწავლეს

- მხატვრული წარმოსახვის უნარის გამოვლენა წერის დროს;
- სიუჟეტური ხაზის აგება და დაცვა;
- ლოგიკური აზროვნების უნარ-ჩვევების გამოვლენა;
- ენობრივ-სტილისტური და უანრობრივი მახასიათებლების გათვალისწინება;
- თანამშრომლობა.

**მეთოდური მითითება:** აქტივობის ჩატარება შეიძლება აგრეთვე მოსწავლეების ჯგუფებად დაყოფის გზით.

**ქართ. VI. 15. მოსწავლეს შეუძლია სხვადასხვა სახის მიზნობრივი ტექსტის დამოუკიდებლად შექმნა.**

### აქტივობა №1. ვწერთ პიოგრაფიას.

**აქტივობის შესახებ:** აქტივობა ემსახურება მოვლენებისა და ფაქტების თანამიმდევრულად გადმოცემის უნარის გამომუშავებას, წერითი მეტყველების განვითარებას. აქტივობა ნაწილობრივ ფარავს, აგრეთვე, ამავე კლასის მე-16 შედეგს (ქართ. VI. 16).

**აქტივობის მიზნები:**

- ინფორმაციის მოძიების, დახარისხებისა და ორგანიზების უნარ-ჩვევების განვითარება;
- მოვლენებისა და ფაქტების თანამიმდევრულად გადმოცემის უნარ-ჩვევების განვითარება;
- ანალიტიკური და ლოგიკური აზროვნების უნარ-ჩვევების განვითარება;
- წერითი მეტყველების განვითარება.

**აქტივობის ორგანიზების ფორმა:** ინდივიდუალური.

**რესურსები:** სანიმუშოდ შერჩეული ბიოგრაფიული ტექსტი, წყაროები ბიოგრაფიული ტექსტის შესაქმნელად, კალამი, რვეული.

**აქტივობის აღწერა:**

მასწავლებლი მოსწავლეებს ესაუბრება ბიოგრაფიული ტექსტების, მათი სპეციფიკის შესახებ; შეახსენებს მათ, რომ ბიოგრაფიის სუბიექტი (პირი, ვისზეც იწერება ბიოგრაფია) შეიძლება იყოს მეტნაკლებად ცნობილი ისტორიული პირიც და თანამედროვე ადამიანიც.<sup>4</sup>

**სანიმუშოდ მასწავლებელი მოსწავლეებს გააცნობს ერთ-ერთ ბიოგრაფიულ ტექსტს,**

<sup>4</sup> ბიოგრაფია (ისევე, რაგორც ავტობიოგრაფია), საზოგადოდ, წარმოადგენს აღწერითი ტიპის ტექსტს, რომელშიც გამოყენებულია წარატოლული ტიპის ტექსტის გარკვეული ელემენტებიც. ბიოგრაფიის ტიპის ტექსტების შედებისას, ძირითადად, გამოიყენება 3 მეთოდი/მიდგომა. ესენია: 1. ისტორიული - იგი ფოკუსირებულია თარიღებისა და მოვლენების გადმოცემაზე ქრონოლოგიური თანამიმდევრობის დაცვით. ამ ტიპის ბიოგრაფიული ტექსტები

რომელსაც კლასში წაიკითხავენ. მასწავლებლის ხელმძღვანელობით, მოსწავლეები დააკ-ვირდებიან ბიოგრაფიული ტექსტის ენობრივ, სტილისტურ და სტრუქტურულ თავისებუ-რებებს (აღნერითი ხასიათი, ქრონოლოგიური თანამიმდევრობის დაცვა, თხრობა მესამე პირში, სხვ.).

მასწავლებელი შესთავაზებს მოსწავლეებს, დაწერონ ბიოგრაფიული ტექსტი. მოს-წავლეები შეარჩევენ ბიოგრაფიის სუბიექტს. ის შეიძლება იყოს მწერალი, რომლის ნაწარ-მოებსაც სწავლობენ, ისტორიული პირი, სპორტსმენი, მსახიობი, მუსიკოსი და ა.შ.

ბიოგრაფიული ტექსტის შესაქმნელად მოსწავლეები, პირველ რიგში, უნდა გაეცნონ მასალებს შერჩეული სუბიექტის შესახებ. მოსწავლეები განსაზღვრავენ, რა წყაროებით ისარგებლებენ ტექსტის შესაქმნელად (ბიოგრაფიის წყაროების შესახებ იხ. მეთოდური მი-თითებები, №1). ამ ეტაპზე მოსწავლეებს შეუძლიათ შემოიფარგლონ 2-3 წყაროთ.

მასალების ანალიზის, დახარისხებისა და ორგანიზების პროცესის უკეთ წარმართვის მიზნით, მასწავლებელი შესთავაზებს ბავშვებს, მუშაობის დროს მოამზადონ:

- "ცხოვრების ხაზი" - მოსწავლეები შექმნიან სუბიექტის ცხოვრების მნიშვნელო-ვანი თარიღების ჩამონათვალს დაბადებიდან სიკვდილამდე. ეს ჩამონათვალი უნდა შეიცავდეს, სულ მცირე, 6-8 მოვლენას/ფაქტს;
- პორტრეტი - მოსწავლეები დახატავენ სუბიექტის პორტრეტს; მიუთითებენ, რას ფიქრობდა სუბიექტი თავისი ცხოვრების სამ ყველაზე მნიშვნელოვან მოვლენა-ზე;
- ციტატები - მოსწავლეებმა უნდა მოიყვანონ, სულ მცირე, ორი ციტატა - სუბიექ-ტის აზრები, გამონათქვამები, რომლებიც, ბიოგრაფიის ავტორის აზრით, საუკე-თესოდ ასახავს სუბიექტის საუბრის სტილის, მის აზრებსა და შეხედულებებს.
- ე.წ. "გულის რუკა" - ესაა გრძნობების, ემოციების, დამოკიდებულებების ამ-სახველი გრაფიკული მაორგანიზებელი. მოსწავლეები დახატავენ /გამოსახავენ გულს. შემდეგ ამ გამოსახულებას შეავსებენ სიტყვებით/სურათებით, რომლე-ბიც ასახავენ სუბიექტის გრძნობებს, ემოციებს, დამოკიდებულებებს ადამიანე-ბის/საგნების/მოვლენების, სხვ. მიმართ. "გულის რუკაზე" შეიძლება, მაგ., გა-მოისახოს: ბიოგრაფიის სუბიექტის საყვარელი წიგნის სახელწოდება; ეკლესია (თუკი ბიოგრაფიის სუბიექტი რელიგიური ადამიანია), სუბიექტის ოჯახის ამა თუ იმ წევრის, მეგობრის, მასწავლებლის სახელები (თუკი მათ მნიშვნელოვანი ადგილი ეკავათ სუბიექტის ცხოვრებაში), სუბიექტის ჰობი (მაგ., შეიძლება გა-მოისახოს თევზი და/ან ანკესი, თუკი სუბიექტი გატაცებულია თევზაობით); სა-ხელები იმ ადამიანებისა, რომელთა მოღვაწეობამ/შემოქმედებამ გავლენა მოახ-დინა სუბიექტზე, სხვ.

ამგვარად ორგანიზებული ინფორმაცია ცალკეული თემების და მათთან დაკავშირე-ბული დეტალების სახით შევა ბიოგრაფიულ ტექსტში. საჭიროებისამებრ, ტექსტის შედ-გენისას მოსწავლეებს შეუძლიათ გამოიყენონ მიზეზ-შედეგობრივი და/ან სხვა მიმართე-

ყველაზე ფართოდაა გავრცელებული; 2. სოციოლოგიური - იგი სუბიექტის ცხოვრების გადმოცემისას ფართოდ იყენებს ისტორიულ კონტექსტს (აღნერს სათანადო პერიოდის საოჯახო ცხოვრებას, კვებას და საკვებ პროდუქ-ტებს, მედიცინს, სატრანსპორტო საშუალებებს, ეკონომიკას, განათლების სისტემას, მოდას, სამეურნეო სისტემას, არქიტექტურას და ა.შ.); 3. ფსექტოლოგიური - სუბიექტის ცხოვრებას გადმოცემისას ფოკუსირებულია კონფლიქ-ტებზე, რომელიც ბიოგრაფიის სუბიექტს აქვს სხვებთან - ოჯახის და/ან საზოგადოების წევრებთან, ბუნებასთან, საკუთარ თავთან, სხვ. ამ ტიპის ბიოგრაფიებში შეიძლება აღნერილი იყოს არა სუბიექტის მთელი ცხოვრება, არა-მედ ერთი რომელიმე განიზოდე, რომელშიც, ავტორის აზრით, უკეთ იკვეთება ბიოგრაფიის სუბიექტის ხასიათი. ზემოთ წარმოდგენილი აქტივობა ფოკუსირებულია ისტორიული ბიოგრაფიის ტიპზე, რომელიც ქრისტიანობიური თანამიმდევრობით გადმოგვცემს მოვლენებსა და ფაქტებს.

ბების ამსახველი კავშირები/კონსტრუქციები (მაგ., "...ის გამო ბიოგრაფიის სუბიექტმა იმოქმედა ამგვარად...", სხვ.)

მასალების ანალიზის, დახარისხებისა და ორგანიზების დროს მიღებული მონაცემებისა და დასკვნების საფუძველზე, მოსწავლეები დაწერენ ბიოგრაფიულ ტექსტს.

**შეფასება:** აქტივობით ფასდება, შეუძლია თუ არა მოსწავლეს:

- ბიოგრაფიული ტექსტის სტრუქტურის გააზრება;
- ინფორმაციის მოძიება, გაანალიზება, დახარისხება და ორგანიზება;
- მოვლენების/ფაქტების გადმოცემა ქრონოლოგიური თანამიმდევრობის დაცვით;
- ორგანიზებული ინფორმაციის ხაშრომში ასახვა (თემების სახით);
- სათანადო ენობრივ-სტილისტური ნორმების გამოყენება, ირიბი ნათქვამისა და ციტირების მართებულად გამოყენება, მიზეზ-შედეგობრივი და/ან სხვა მიმართებების ამსახველი კავშირების/კონსტრუქციების მართებულად გამოყენება.

**მეთოდური მითითებები:**

- ბიოგრაფიული ტექსტის შედგენისას ავტორი ეცნობა და ამუშავებს წყაროებს სუბიექტის შესახებ. წყაროები ორი ტიპისაა: ა) პირველადი წყაროები: თავად ბიოგრაფიის სუბიექტი (თუკი ბიოგრაფია იწერება თანამედროვე ადამიანზე, საუკეთესო საშუალებაა, ავტორი პირადად შეხვდეს და გაესაუბროს მას), დღიურები, წერილები, ინტერვიუები ბიოგრაფიის სუბიექტთან, ავტობიოგრაფია/ავტობიოგრაფიული ჩანაწერები (დაწერილი ბიოგრაფიის სუბიექტის მიერ), სამახსოვრო ჩანაწერები, ფოტოები, საისტორიო წყაროები/ცნობები; მოგონებები იმ პირებისა, რომლებიც იცნობდნენ ბიოგრაფიის სუბიექტს. მეორადი წყაროები: წიგნები, ალბომები, ვებგვერდები და სხვა ელექტრონული რესურსები, საურნალო/საგაზითო/სტატიები, სხვ. - ზოგადად, მთელი ის ინფორმაცია, რომელიც მოგვითხრობს ბიოგრაფიის სუბიექტის შესახებ.
- მოსწავლეების უკეთ ორიენტაციის მიზნით, სასურველია, მასწავლებელმა მოსწავლეებს აჩვენოს მასალის ორგანიზების მოდელი. ამ მიზნით მასწავლებელს შეუძლია, კლასში წაკითხულ ბიოგრაფიულ ტექსტზე დაყრდნობით, მოამზადოს და დაფაზე გამოსახოს „ცხოვრების ხაზი”, „გულის რუკა” და სხვ. კარგი იქნება, თუკი ამ პროცესში აქტიურად ჩაერთვებიან მოსწავლეებიც.

**კავშირი სხვა საგნებთან:** აქტივობა ავითარებს ანალიტიკური და ლოგიკური აზროვნების უნარ-ჩვევებს, რომლებიც თანაბრად საჭიროა ნებისმიერი ჰუმანიტარული, საბუნებისმეტყველო და ზუსტი მეცნიერებების შესწავლის დროს.

### აქტივობა №2: კორნელის გრაფა.

აქტივობის შესახებ: აქტივობა ემსახურება ტექსტის ანალიზის უნარ-ჩვევების გამომუშავებას. იგი გამიზნულია წერის მოსამზადებელი ეტაპისათვის.

**აქტივობის მიზნები:**

- ტექსტის ანალიზის უნარ-ჩვევების გამომუშავება;
- ფაქტობრივი მონაცემებისა და პირადი თვალსაზრისის / დამოკიდებულების / შეხედულებების ერთმანეთისაგან გამიჯვნის უნარ-ჩვევების გამომუშავება;
- ფაქტობრივი მონაცემების წერილობით გადმოცემის უნარ-ჩვევების გამომუშავება;

- პირადი თვალსაზრისის/მოსაზრების წერილობით გადმოცემის უნარ-ჩვევების გამომუშავება.

**აქტივობის ორგანიზების ფორმა:** ინდივიდუალური.

**რესურსები:** ტექსტი, კალამი, რვეული, კორნელის გრაფა.

**აქტივობის აღწერა:** აქტივობა აერთიანებს ოთხ საფეხურს. ესენია:

- მასწავლებლის თხოვნით, მოსწავლემ უნდა გადახედოს დასამუშავებელ მასალას და საკუთარ თავს დაუსვას შემდეგი კითხვა: "რა ვიცი მე მოცემული საკითხის შესახებ?" შემდეგ კი შეადგინოს გამოცდილებაში არსებული ინფორმაციისა და თავისი მოლოდინების სახელდახელო ნუსხა.
- მოსწავლემ წერილობით უნდა ჩამოაყალიბოს შესასრულებელი სამუშაოს მიზანი. ამისათვის მან უნდა უპასუხოს შემდეგ შეკითხვებს: "რატომ ვკითხულობ მე ამ ტექსტს?", "რისი სწავლისა და გაგების იმედი მაქვს ტექსტის წაკითხვის შემდეგ?".
- ტექსტის წაკითხვის დროს მოსწავლემ უნდა უპასუხოს შემდეგ შეკითხვებს: "რა? ვინ? სად? როდის? როგორ? რატომ?" და ამ კითხვების საფუძველზე მოძიებული ინფორმაცია ჩაინიშნოს კორნელის გრაფის პირველადი კომენტარებისათვის გამიზნულ სვეტში.
- მოსწავლემ ხელახლა უნდა წაიკითხოს თავისი შენიშვნები და კორნელის გრაფაში გაკეთებულ პირველად კომენტარებს დაურთოს მეორეული, უკვე ემოციური და კრიტიკული კომენტარები და ამით შეავსოს კორნელის გრაფის მეორე სვეტი. კორნელის გრაფის შევსებას მოსდევს მოსწავლეებს შორის აზრთა გაზიარება და ზოგადი საკლასო დისკუსია.

**ნიმუში. კორნელის გრაფა:**

პირველადი კომენტარი (ზარტობრივი)	მეორეული კომენტარი (ემციური და კრიტიკული)
<ul style="list-style-type: none"> <li>ფაქტები;</li> <li>ტერმინები;</li> <li>თარიღები;</li> <li>გარემოება;</li> <li>პიროვნებები;</li> <li>მიზეზები;</li> <li>შედეგები;</li> <li>და სხვ.</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>შთაბეჭდილებები;</li> <li>დამოკიდებულებები;</li> <li>ემოციები;</li> <li>ეჭვები;</li> <li>შეფასებები;</li> <li>დასკვნები;</li> <li>შედარებები;</li> <li>და სხვ.</li> </ul>

აქტივობის ხანგრძლივობა: 18-20 წუთი.

**შეფასება:** აქტივობით ფასდება, შეუძლია თუ არა მოსწავლეს:

- ფაქტობრივი მონაცემებისა და პირადი შეხედულებების /თვალსაზრისის/ /დამოკიდებულების /შეგრძნებების და მისთ. ერთმანეთისაგან გამიჯვნა;
- ფაქტობრივი მონაცემების წერილობით ჩამოყალიბება;
- დასკვნების, პირადი დამოკიდებულებების, შეგრძნებების წერილობით ჩამოყალიბება;

- ადეკვატური ენობრივი მასალის გამოყენება;
- პუნქტუაციის ნორმების დაცვა;
- გრამატიკული თვალსაზრისით მართებული სიტყვაფორმების გამოყენება.

#### **აქტივობა №3: ინტერვიუ.**

**აქტივობის შესახებ:** აქტივობა ემსახურება ინფორმაციის თავმოყრის, დახარისხებისა და გაანალიზების უნარ-ჩვევების გამომუშავებას; ანალიტიკური აზროვნების უნარ-ჩვევების გამომუშავებას; წარმოსახვისა და შემოქმედებითი უნარ-ჩვევების გამომუშავებას.

#### **აქტივობის მიზნები:**

- ანალიტიკური აზროვნების უნარ-ჩვევების განვითარება;
- წერითი დიალოგური მეტყველების განვითარება;
- ინფორმაციის შეგროვების, დახარისხებისა და გაანალიზების უნარ-ჩვევების განვითარება.

**აქტივობის ორგანიზების ფორმა:** ინდივიდუალური (პირველი-მესამე ეტაპი), წყვილური (მეორე ეტაპი).

**რესურსები:** საინფორმაციო რესურსები, კალამი, რვეული.

#### **აქტივობის აღწერა:**

მასწავლებელი გააცნობს მოსწავლეებს ინტერვიუზე მუშაობის წესს. უხსნის მათ, რომ ინტერვიუზე მუშაობა, ძირითადად, სამ ეტაპად ხორციელდება. ეს ეტაპებია: 1. მომზადება ინტერვიუსთვის; 2. ინტერვიუს ჩატარება; 3. ინტერვიუზე მუშაობის დასრულება: ტექსტის რედაქტირება, ჩასწორება, საბოლოო გაფორმება. შესაბამისად, აქტივობა ჩატარდება სამ ეტაპად.

სანიმუშოდ მასწავლებელი მოსწავლეებს გააცნობს რომელიმე წინასწარ შერჩეული ინტერვიუს ტექსტს. ყურადღებას მიაქცევინებს მოსწავლეებს ინტერვიუსათვის დამახასიათებელ ენობრივ-სტილისტურ ნორმებზე, გრამატიკულ ელემენტებზე (დიალოგური მეტყველება, თავაზიანობის გამომხატველი ფორმები, სხვ.). ფორმატზე (კითხვა-პასუხის რეზიმი), გაფორმების წესზე (თითოეულ შეკითხვასთან ან პასუხთან აუცილებელი მითითება ინტერვიურზე, რესპონდენტზე). მასწავლებელმა საგანგებოდ უნდა გაამახვილოს მოსწავლეების ყურადღება შეკითხვების ტიპზე ("ლია შეკითხვებზე") - გააფრთხილოს, რომ თავი აარიდონ ისეთი შეკითხვების დასმას, რომელთა სავარაუდი პასუხი იქნება "დიახ" ან "არა" - ეს ძალზე მოსაწყენი იქნება ინტერვიუს მკითხველებისათვის.

აქტივობის ჩასატარებლად მასწავლებელი დააწყვილებს მოსწავლეებს და დაავალებს, მოიფიქრონ და გადაწყვიტონ, ვის ჩამოართმევენ წარმოსახვით ინტერვიუს (რესპონდენტი შეიძლება იყოს მწერალი, მსახიობი, კომპოზიტორი, სპორტსმენი, მომღერალი, ისტორიული პირი, პოლიტიკოსი, სხვ.). აქტივობის პირველ-მესამე ეტაპებზე (მომზადება ინტერვიუსთვის, ინტერვიუს საბოლოო გაფორმება) მოსწავლეები მუშაობენ ინდივიდუალურად, მეორე ეტაპზე (ინტერვიუს ჩატარება) - წყვილებში. ამისათვის მოსწავლეებმა რიგრიგობით უნდა "მოირგონ" ინტერვიურისა და რესპონდენტის როლები.

#### **I ეტაპი: მომზადება ინტერვიუსათვის.**

ამ ეტაპზე მოსწავლეები მოიძიებენ, ახარისხებენ და სწავლობენ მასალას/ინფორმაციას შერჩეული წარმოსახვითი რესპონდენტის შესახებ. სამუშაოს გასაადვილებლად, მოსწავლეებმა უნდა გაიაზრონ: ა) რა იციან მათ თანამოსაუბრის შესახებ; ბ) რა ინფორმაცია ესაჭიროებათ დამატებით.

მეწყვილეები დაგეგმავენ ინფორმაციის მოსაძიებელ სამუშაოს. ამისთვის მათ უნდა გაიაზრონ: ა) რომელია საჭირო ინფორმაციის მოძიების სავარაუდო წყაროები; ბ) რომელი იქნება მათვის ყველაზე საინტერესო/ინფორმაციული წყარო. მეწყვილეები განსაზღვრავენ და შეარჩევენ ინფორმაციის წყაროებს (წიგნები, ენციკლოპედიები, ინტერნეტი, ურნალ-გაზეთები, სხვ.). ეს იქნება პაზა მათი ერთობლივი ინტერვიუსათვის (გამოსაყენებლად შეიძლება შეირჩეს 2-3 წყარო).

ამის შემდეგ მეწყვილეები მუშაობენ ინდივიდუალურად: შეუდგებიან შერჩეული წყაროების დამუშავებას, დახარისხებას და გაანალიზებას.

ამავე ეტაპზე მოსწავლე განსაზღვრავს თემას/თემებს მომავალი ინტერვიუსათვის, მოამზადებს 4-5 შეკითხვას. სამუშაოს გასაადვილებლად, ამ დროს მოსწავლემ საკუთარ თავს უნდა დაუსვას შეკითხვები: "რისი გაგება მსურს რესპონდენტისაგან? რისი შეტყობა იქნება ყველაზე საინტერესო ინტერვიუს მკითხველებისთვის?".

სასურველია, ერთი და იმავე ან მსგავსი შეკითხვების თავიდან აცილების მიზნით, მეწყვილეებმა გაინანილონ თემები თავიანთი შეკითხვებისათვის (ვთქვათ, ერთი მეწყვილე აირჩევს ბავშვობისა და ახალგაზრდობის პერიოდს, მეორე - პროფესიული მოღვაწეობის დასაწყისს (პირველი წიგნი, ალბომი, პირველი თამაში, მისთ.).

ჩატარებული ინდივიდუალური სამუშაოს საფუძველზე მოსწავლეები მოამზადებენ რესპონდენტის ცხოვრებისა და საქმიანობის ამსახველ ჩანაწერს/საინფორმაციო ტექსტს, რომელშიც მითითებული იქნება რესპონდენტის ყველაზე მნიშვნელოვანი მიღწევები, მისი ცხოვრების მნიშვნელოვანი თარიღები, სხვ. აღნიშნული ტექსტის საფუძველზე შეიძლება მომზადდეს მოკლე საინფორმაციო ტექსტი, რომელიც წინ წარუძღვება ინტერვიუს. მისი მიზანი იქნება, მკითხველებს გააცნოს/შეახსენოს რესპონდენტის ვინაობა, გამოკვეთოს მისი მიღწევები.

### II ეტაპი: ინტერვიუს ჩატარება.

ამ ეტაპზე მუშაობა ჩატარდება წყვილებში. მეწყვილეები ერთმანეთს შეენაცვლებიან და ერთიმერის მიყოლებით "მოირგებენ" რესპონდენტისა და ინტერვიუერის როლებს: ჯერ ერთი მათგანია "ინტერვიუერი", რომელიც მომზადებულ შეკითხვებს დაუსვამს მეწყვილე "რესპონდენტს" და ჩაინირს მის პასუხებს; შემდეგ როლები იცვლება - "რესპონდენტი" გადაიქცევა "ინტერვიუერად" და მეწყვილეს დაუსვამს მომზადებულ შეკითხვებს, მისმენს ამ უკანასკნელის პასუხებს და ჩაინირს მათ.

### III ეტაპი: ინტერვიუს რედაქტირება.

ჩანაწერილი ინტერვიუს რედაქტირებაზე მოსწავლეები იმუშავებენ ინდივიდუალურად. საკორექტურო-სარედაქტორო სამუშაოების ჩატარებასთან ერთად, მოსწავლეები საბოლოო სახეს მისცემენ ინტერვიუს ტექსტს.

#### შეფასება: აქტივობით ფასდება, შეუძლია თუ არა მოსწავლეს

- ინფორმაციის დახარისხება, ორგანიზება და გაანალიზება;
- შეკითხვის ფორმულირება, ადეკვატური პასუხის გაცემა;
- მიზნობრივი ტექსტის შექმნისას სათანადო ენობრივ-სტილისტური ნორმებისა და გრამატიკული ელემენტების მართებულად გამოყენება;
- წარმოსახვის უნარის გამოყენება.

#### აქტივობა №4: ვმუშაობთ სინონიმებზე.

**აქტივობის შესახებ:** აქტივობის ჩასატარებლად მოსწავლეებმა უნდა გამოიყენონ

ქართულ სინონიმთა ლექსიკონი და ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი (და/ან ლექსიკონი, რომელიც ერთვის მოსწავლის სახელმძღვანელოს). ეს აქტივობა კომპლექსურია და ფარავს სტანდარტის სამივე მიმართულებას (ზეპირმეტყველებას, კითხვას და წერას).

#### აქტივობის მიზნები:

- ტექსტის ანალიზის უნარ-ჩვევების განვითარება;
- ლექსიკონზე მუშაობის უნარ-ჩვევების გამომუშავება;
- ცალკეული ლექსიკური ერთეულის კონტექსტში გაანალიზების უნარ-ჩვევების გამომუშავება;
- ლექსიკური მარაგის გამდიდრება.

#### აქტივობის ორგანიზების ფორმა: ჯგუფური.

**რესურსები:** რვეულები, კალმები, დაფა, ცარცი/მარკერი, ქართულ სინონიმთა ლექსიკონი, ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი/მოსწავლის სახელმძღვანელოს ლექსიკონი.

**აქტივობის აღნერა:** სამუშაო ტექსტიდან მასწავლებელი შეარჩევს გარკვეულ სიტყვებს (სასურველია, შეირჩეს 4-5 სინონიმის მქონე სიტყვები), კლასს დაყოფს ჯგუფებად და დაურიგებს მათ ქვემოთ წარმოდგენილ ცხრილს, რომელსაც გამოსახავს დაფაზეც.

შემდეგ მასწავლებელი უხსნის მოსწავლეებს აქტივობის არსა და ცხრილის შევსების წესს (სასურველია, მოდელის მისაცემად მასწავლებელმა დაფაზე დახაზული ცხრილი ახსნის დროს შეავსოს ერთი მონაცემით). მოსწავლეებს დაევალებათ, ”ქართულ სინონიმთა ლექსიკონის” გამოყენებით მოძებნონ შერჩეული სიტყვების სინონიმები (თითოეული ჯგუფი მუშაობს ერთ ცალკეულ სიტყვაზე).

მოსწავლეები მოძებნიან ტექსტიდან შერჩეული ერთი რომელიმე სიტყვის სინონიმებს ”ქართულ სინონიმთა ლექსიკონში” და შეუდგებიან მოძებნილი სინონიმების მნიშვნელობის დაზუსტებას, რისთვისაც იყენებენ ”ქართული ენის განმარტებით ლექსიკონს”.

სინონიმების მნიშვნელობის დაზუსტების შემდეგ ჯგუფის წევრები ფიქრობენ და მსჯელობენ იმაზე, რა მნიშვნელობით არის გამოყენებული ამოსავალი სიტყვა ტექსტში; ამ სიტყვის სინონიმებიდან რომელი შეძლებს მის მეტნაკლებად სრულფასოვან ჩანაცვლებას ტექსტში. ამ მიზნით მოსწავლეებმა მოძებნილი სინონიმები რიგრიგობით უნდა ”ჩასვან” ტექსტში ამოსავალი სიტყვის ნაცვლად და დააკვირდნენ, ხომ არ შეიტანს ეს ჩანაცვლება ტექსტში რაიმე ცვლილებას (ახალი სემანტიკური ნიუანსი, სტილისტური ”შეუთავსებლობა” სამუშაო ტექსტთან, მისთ.). ამ მუშაობის შედეგად მოსწავლეები დაადგენენ და ორ ჯგუფად დახახარისხებენ მოძიებულ სინონიმებს: 1. სინონიმები, რომლებიც არ შეცვლიან ტექსტს ან შეიტანენ ტექსტში უმნიშვნელო ცვლილებას (სემანტიკის და/ან სტილის თვალსაზრისით); 2. სინონიმები, რომლებიც შეცვლიან/მნიშვნელოვნად შეცვლიან დასამუშავებელ ტექსტს (სემანტიკის, სტილის, უანრის, სხვ. თვალსაზრისით). ბოლოს, მოსწავლეები ჩამონერენ ტექსტისეული წინადადების ვარიანტებს, რომლებშიც ამოსავალი სიტყვა ჩანაცვლებული იქნება მოსწავლეების მიერ შერჩეული სინონიმებით.

**ჩატარებული ანალიზის საფუძველზე** მოსწავლეები შეავსებენ მასწავლებლის მიერ მომზადებულ ცხრილებს: პირველ მწკრივში იწერება შერჩეული სიტყვა, მეორე მწკრივში - ტექსტისეული წინადადება; მესამე მწკრივში იწერება ორ ჯგუფად განაწილებული სინონიმები, მეოთხე მწკრივში იწერება ტექსტისეული წინადადების ვარიანტები შერჩეული სინონიმებით (ცხრილის შევსების ნიმუში იხ. ქვემოთ). სასურველია, მოსწავლეებმა წერილობითი სახით წარმოადგინონ კომენტარებიც, სადაც ახსნილი იქნება, რატომ მიიღეს ესა თუ ის გადაწყვეტილება.

**ნიმუში №1.**

(შერჩეული სიტყვა)

**მშვენიერი**

(იაკობ გოგებაშვილი, „იავნანამ რა ჰქმნა“)

ამასობაში გავიდა აპრილი და დადგა **მშვენიერი** მაისი.

(სინონიმები)

**ლამაზი** - ლამაზმანი, კოხტა, კოპტია, კეკლუცი, კეკელა, ტურფა. მშვენიერი, მშვენიერზე უმშვენიერესი, კარგი, მზეთუნახავი, თვალადი, ტანადი, ნატიფი, მზეთამზე, მზეთუნახავი...<sup>5</sup>

**საამო** - სიამის მოგვრელი, სასიამოვნო; **წუნდაუდებელი** - უნაკლო, რისთვისაც წუნი არ დაუდვიათ.

**ჩაანაცვლებს****ვერ ჩაანაცვლებს**

1. ლამაზი

1. წუნდაუდებელი

2. საამო

(წინადადებები, შედგენილი ჩაანაცვლებული სინონიმების გამოყენებით)

1. ამასობაში გავიდა აპრილი და დადგა **ლამაზი** მაისი.2. ამასობაში გავიდა აპრილი და დადგა **საამო** მაისი.

**კომენტარი:** სიტყვა "მშვენიერის" ნაცვლად ვერ ჩავსვამთ "წუნდაუდებელს" – იგი შინაარსობრივად არ შეესაბამება ტექსტს.

(შერჩეული სიტყვა)

**ცხენები / ცხენი**

(იაკობ გოგებაშვილი, მეფე ერეკლე და ინგილო ქალი)

მხლებელნი მეფისა წამსვე ჩამოიჭრნენ **ცხენებიდან**.

(სინონიმები)

1. **ტაიჭი** - კარგი საჯდომი ცხენი, 2. **ულაყი** - მამალი ცხენი. 3. **ფაშატი** - დედალი ცხენი,4. **რაში** - ზღაპრული ცხენი, 5. **ბედაური** - კარგი მარბენალი ცხენი, 6. **ჰუნე** - ძვ. ქართ. ცხენი.**ჩაანაცვლებს****ვერ ჩაანაცვლებს**

1. ტაიჭი

1. ულაყი

2. ფაშატი

3. რაში

4. ჰუნე

5. ბედაური

(წინადადებები, შედგენილი ჩაანაცვლებული სინონიმების გამოყენებით)

მხლებელნი მეფისა წამსვე ჩამოიჭრნენ **ტაიჭებიდან**.

5 აქ მოგვყავს "ლამაზის" სინონიმების ერთი ნაწილი.

**კომენტარი:** სიტყვა „ცხენის“ ნაცვლად ვერ ჩავსვამთ:

1-2. „ულაყს“ ან „ფაშატს“ - მეფის მხლებლებს, ალბათ, ორივე სქესის ცხენები ჰყავდათ (აზრობრივად შეუთავსებელია),

2. „ჰუნეს“ - ეს ძველი ქართული სიტყვაა, მეფე ერეკლე მე-18 საუკუნეში ცხოვრობდა, იაკობ გოგებაშვილი - მე-19 საუკუნეში. ძველი ქართული სიტყვა ტექსტიდან „ამოვარდნილია“ (სტილისტურად შეუთავსებელია) / ვარიანტი: შეიძლება მოსწავლეებმა ყურადღება მიაქციონ ნართანიანი მრავლობითის ფორმას „მხლებელი“ და ამ ფაქტზე დაყრდნობით დასკვნან, რომ „ჰუნეს“ გამოყენება შესაძლებელია. ამ შემთხვევაში (თუკი მოსწავლეები ყურადღებას მიაქციებენ ძვ. ქართ. მრავლობითის ფორმას) მოსწავლეების პასუხი მართებულად უნდა ჩაითვალოს.

3. „რაშს“ - ზღაპრული ცხენია, აქ კი ისტორიული ამბავია აღწერილი (უანრობრივად შეუთავსებელია),

4. „ბედაურს“ - ტექსტში ნათქვამია, რომ ბედაურზე იჯდა მეფე. მეფეს ალბათ, საუკეთესო, ყველასგან გამორჩეული ცხენი ჰყავდა, მის მხლებლებს მეფისნაირი ცხენები არ ეყოლებოდათ (აზრობრივად შეუთავსებელია),

**დასკვნა:** ერთადერთი სინონიმი, რომლითაც შეიძლება შეიცვალოს სიტყვა, არის „ტაიჭი“ (იხ. პირველი მნიშვნელობა) - მეფის მხლებლებს კარგი ცხენები ეყოლებოდათ.

**შეფასება:** აქტივობით ფასდება, შეუძლია თუ არა მოსწავლეს

- ლექსიკონზე მუშაობა;
- ტექსტის გაანალიზება და მისი ენობრივი, სტილისტური, უანრული მახასიათებლების განსაზღვრა;
- ცალკეული სიტყვის კონტექსტთან დაკავშირება და გააზრება სემანტიკური, სტილისტური, უანრული, სხვ. მახასიათებლების გათვალისწინებით;
- კონტექსტის ადეკვატური ლექსიკური ერთეულის შერჩევა;
- საკუთარი აზრის/თვალსაზრისის დასაბუთება;
- თანამშრომლობა.

**მეთოდური მითითებები:**

- იმ შემთხვევაში, თუ ამოსავალ სიტყვას მრავალი სინონიმი აქვს, მასწავლებლის შერჩევით, დამუშავდება სინონიმების ნაწილი (დასამუშავებელი ერთეულების რაოდენობა 4-5-ს არ უნდა აღემატებოდეს).
- აქტივობის ჩატარება შესაძლებელია აგრეთვე მხოლოდ განმარტებითი ლექსიკონის გამოყენებით. ამ შემთხვევაში მოსწავლეები იმუშავებენ მასწავლებლის მიერ შეთავაზებულ სინონიმებზე (ამ სინონიმებს მასწავლებელი წინასწარ შეარჩევს).

**აქტივობა №5: კვლევითი პროექტი: სოციოლოგიური გამოკითხვა.**

**აქტივობის შესახებ:** აქტივობა კომპლექსური სახისაა - იგი ფარავს წერისა და ზეპირმეტყველების მიმართულებებს. იგი ემსახურება ინფორმაციის მოძიების, დახარისხება/ორგანიზების, აგრეთვე საპრეზენტაციო უნარ-ჩვევების გამომუშავებას.

**აქტივობის მიზნები:**

- მიზნობრივი ტექსტის შექმნის უნარ-ჩვევების განვითარება;
- ინფორმაციის გაანალიზების, დახარისხებისა და ორგანიზების უნარ-ჩვევების განვითარება;

- ანალიტიკური და ლოგიკური აზროვნების უნარ-ჩვევების განვითარება;
- საპრეზენტაციო უნარ-ჩვევების განვითარება;
- თვითშეფასების უნარ-ჩვევების განვითარება;
- თანამშრომლობის უნარის განვითარება;
- მეტაკოგნიტური უნარების განვითარება.

**აქტივობის ორგანიზების ფორმა:** ინდივიდუალური (აქტივობის მეორე, მესამე, მე-ოთხე ეტაპები), ჯგუფური (აქტივობის პირველი, მესუთე და მეექვსე ეტაპები).

**რესურსები:** კითხვარის ფურცლები; კალამი, ქაღალდი/კომპიუტერი.

**აქტივობის აღწერა:** მოსწავლეებს დაევალებათ კვლევითი პროექტის განხორციელება - მათ უნდა ჩატარონ სოციოლოგიური გამოკვლევა მათვის საინტერესო ამა თუ იმ თემაზე (სავარაუდო თემები: "ყველაზე პოპულარული სპორტის სახეობა", "ქართული სიმღერების რეიტინგი: ყველაზე მაღალი რეიტინგის მქონე სამი ქართული სიმღერა", "ყველაზე გემრიელი ქართული კერძი", სხვ.). აქტივობის ჩასატარებლად მასწავლებელი კლასს დაყოფს ორ-სამ ჯგუფად. თითოეულმა ჯგუფმა უნდა იმუშაოს ერთ რომელიმე თემაზე. ჯგუფებს მიერიჭებათ სახელწოდებები: "პირველი კვლევითი ჯგუფი", "მეორე კვლევითი ჯგუფი" და ა.შ. პროექტზე სამუშაოდ ჯგუფებს მიეცემათ ორი კვირა.

თემების შერჩევის შემდეგ მასწავლებელი განუმარტავს მოსწავლეებსს, რომ პროექტის შესრულება გულისხმობს თანამიმდევრული ქმედებების განხორციელებას. ეს ქმედებები მასწავლებელს შეუძლია წარმოადგინოს ნაბიჯების/ეტაპების სახით. პირველ-მესუთე-მეექვსე ეტაპებზე მოსწავლეები მუშაობენ ჯგუფურად, მეორე-მესამე-მეოთხე ეტაპებზე - ინდივიდუალურად.

ნაბიჯი 1. კითხვარის მომზადება (მოსწავლეები მუშაობენ ჯგუფურად, მასწავლებლის თანამონაწილეობით);

ნაბიჯი 2. გამოკითხვის ჩატარება მომზადებული კითხვარის საფუძველზე (მოსწავლეები მუშაობენ ინდივიდუალურად);

ნაბიჯი 3. გამოკითხვის შედეგების გაანალიზება და შეჯამება (მოსწავლეები მუშაობენ ინდივიდუალურად);

ნაბიჯი 4. გამოკითხვის შედეგების გაანალიზება/შეჯამების საფუძველზე დასკვნითი ტექსტის დაწერა მოდელის მიხედვით (მოსწავლეები მუშაობენ ინდივიდუალურად);

ნაბიჯი 5. ერთობლივი დასკვნითი ტექსტის დაწერა ჯგუფის წევრების მიერ მომზადებული ინდივიდუალური დასკვნითი ტექსტების საფუძველზე (მოსწავლეები მუშაობენ ჯგუფურად).

ნაბიჯი 6. კვლევითი პროექტის შედეგების პრეზენტაცია.

პროცესის უკეთ წარმართვის მიზნით, მასწავლებელმა უშუალო მონაწილეობა უნდა მიიღოს კითხვარის მომზადების პროცესში ან კითხვარის მზა მოდელი შესთავაზოს მოსწავლეებს. თითოეულმა მოსწავლემ კარგად უნდა აითვისოს კითხვარის შევსების წესები - ისინი მზად უნდა იყვნენ, რომ კითხვარის შევსებამდე, სათანადო ინსტრუქცია მისცენ გამოსაკითხ პირებს. მიზანშენონილია, რომ დასკვნითი ტექსტის დასაწერად მოსწავლებს ხელთ ჰქონდეთ აგრეთვე მასწავლებლის მიერ მომზადებული მოდელი/ნიმუში.

მასწავლებელი შესთავაზებს კვლევითი ჯგუფის წევრებს, აწარმოონ დაკვირვება კვლევითი სამუშაოს მიმდინარეობაზე (როგორც ნამდვილ მკვლევრებს შეჰვერით). ამ მიზნით მოსწავლეებმა უნდა შეავსონ ე.ნ. თვითშეფასების ბარათები, რომლებსაც მასწავ-

ლებელი დაურიგებს მოსწავლეებს. თვითშეფასების ბარათების შევსებაზე მუშაობა უნდა მიღიოდეს ეტაპობრივად, პროექტის თითოეული ეტაპის დასრულების შემდეგ მოსწავლე ავსებს ამ ბარათს. სულ ამ პროექტზე მუშაობის დროს მოსწავლემ უნდა შეავსოს, სულ მცირე, ორი ბარათი: 1. ინდივიდუალური გამოკითხვების დასრულების შემდეგ; 2. ჯგუფის სამუშაო შეხვედრის დასრულების შემდეგ.

გამოკითხვას ჯგუფების წევრები ატარებენ ინდივიდუალურად. ამისთვის ისინი მოამზადებენ კითხვარის 10 ასლს (შეასრულებენ ხელით ან დაამზადებენ ქსეროასლებს). გამოკითხვას მოსწავლეები ჩატარებენ სხვადასხვა ასაკის ადამიანებში (თანაკლასელებში, ოჯახის წევრებში, მეზობლებში). თითოეულმა მოსწავლემ უნდა გამოკითხოს 10 ადამიანი მაინც (აღრიცხვის გაადვილების მიზნით, სასურველია, გამოიკითხოს 5 მამაკაცი, 5 ქალი).

ინდივიდუალური კითხვარების შევსების შემდეგ მოსწავლეები გაანალიზებენ გამოკითხვის შედეგებს, დააჯგუფებენ და დაახარისხებენ მიღებულ ინფორმაციას; დაწერენ დასკვნით ტექსტს ჩატარებული სამუშაოს საფუძველზე (მოდელის მიხედვით).

კვლევითი ჯგუფის წევრები ერთმანეთს გააცნობენ ინდივიდუალურად ჩატარებული გამოკითხვის შედეგებსა და მიღებულ დასკვნებს. ამ შეხვედრის დროს მოსწავლეები ზეპირად მსჯელობენ თავიანთი გამოკითხვის შედეგებზე, ერთმანეთს უზიარებენ, როგორ ჩაიარა გამოკითხვის პროცესმა, შეხვდნენ თუ არა სიძნელეებს მუშაობის დროს და როგორ დაძლიერ ისინი.

ამის შემდეგ ჯგუფის წევრები მოამზადებენ ერთობლივ, საბოლოო დასკვნას (მოდელის მიხედვით), რომელშიც გაერთიანდება ჯგუფის წევრების მიერ ჩატარებული ინდივიდუალური სამუშაოს შედეგები.

მოსწავლეები მოემზადებიან პრეზენტაციისათვის, რომელზედაც წარმოადგენ თავიანთი კვლევითი მუშაობის შედეგებს (ჯგუფის წევრები თავად გადაწყვეტინ, რამდენმა მოსწავლემ და/ან ვინ უნდა წარადგინოს ჯგუფის ერთობლივი ნაშრომი). მასწავლებელი უნდა შეეცადოს, რომ პრეზენტაციის დროს ჯგუფის ყველა წევრი იყოს ჩართული - ამ მიზნით იგი უსვამს შეკითხვებს კვლევითი ჯგუფის წევრებს იმის თაობაზე, თუ როგორ მიღიოდა პროექტზე მუშაობის პროცესი, რა სირთულეებს წააწყდნენ მუშაობისას, ყველაზე მეტად ვინ დაამახსოვრდათ გამოკითხულთაგან და რატომ, მისთ.

პროექტზე მუშაობის დროს მოსწავლეები ეტაპობრივად ავსებენ "თვითშეფასების ბარათებს", რომლებიც

#### **ნიმუში. თემა: სპორტის ყველაზე პოპულარული სახეობა.**

კითხვარი

- სქესი:** მდედრობითი   
მამრობითი

(მონიშნეთ შესაბამისი კვადრატი)

- ასაკი:** -----

#### **3. განათლება:**

- |                   |                          |
|-------------------|--------------------------|
| უმაღლესი          | <input type="checkbox"/> |
| სტუდენტი          | <input type="checkbox"/> |
| საშუალო განათლება | <input type="checkbox"/> |
| სკოლის მოსწავლე   | <input type="checkbox"/> |
- (მონიშნეთ შესაბამისი კვადრატი)

4. ქვემოთ ჩამოთვლილი სპორტის ხუთი სახეობიდან რომელი გიტაცებთ ყველაზე მეტად? (მონიშნეთ შესაბამისი კვადრატი)

- რაგბი
- ფეხბურთი
- კალათბურთი
- ცურვა
- სათხილამურო სპორტი
- სხვა -----

5. ანკეტის შევსების თარიღი: -----

**ნიმუში. დასკვნითი ტექსტი (ინდივიდუალური სამუშაოსთვის)**

მე, (ქალაქი/დაბა/სოფელი) სკოლის VI კლასის მოსწავლემ ----- (სახელი გვარი) -----

201--- წლის ----- ჩავატარე გამოკითხვა თემაზე "სპორტის ყველაზე პოპულარული სახეობა". გამოკითხვაში მონაწილეობა მიიღო ორივე სქესის, სხვადასხვა ასაკის 10-მა ადამიანმა. გამოკითხვამ აჩვენა, რომ სპორტის ყველაზე პოპულარული სახეობაა -----.

ამგვარი თვალსაზრისი აქვს გამოთქმული გამოკითხულთა საერთო რაოდენობის ----- %-ს (ან გამოკითხულთა ორ მესამედს).

**ნიმუში. დასკვნითი ტექსტი (ჯგუფური სამუშაოსთვის)**

ჩვენ, (ქალაქი/დაბა/სოფელი) სკოლის VI კლასის პირველი კვლევითი ჯგუფის წევრებმა,

201--- წლის ----- ჩავატარეთ გამოკითხვა თემაზე "სპორტის ყველაზე პოპულარული სახეობა". გამოკითხვაში მონაწილეობა მიიღო ორივე სქესის, სხვადასხვა ასაკის ----- -მა ადამიანმა.

გამოკითხვამ აჩვენა, რომ სპორტის ყველაზე პოპულარული სახეობაა -----.

ამგვარი თვალსაზრისი აქვს გამოთქმული გამოკითხულთა საერთო რაოდენობის >>%-ს (ან გამოკითხულთა ორ მესამედს).

თუკი მასწავლებელი ამჩნევს, რომ მოსწავლეები კვლევით პროექტზე მუშაობენ ინტერესითა და ენთუზიაზმით, მან შეიძლება შესთავაზოს კვლევით ჯგუფებს, პრეზენტაციისთვის დამატებით მოამზადონ დასკვნითი ტექსტები, რომლებიც მომზადდება კითხვარის კრიტერიუმების გაანალიზების საფუძველზე. კვლევითი ჯგუფები კრიტერიუმების გაანალიზავთ იმუშავებენ ინდივიდუალური სამუშაოს დასრულების შემდეგ, ჯგუფის ცალკეული წევრების მიერ მომზადებული ინდივიდუალური დასკვნითი ტექსტების საფუძველზე.

**ნიმუში. გამოკითხვის შედეგები კრიტერიუმების მიხედვით (ჯგუფური სამუშაოს-თვის)**

### კრიტერიუმი 1. სქესი

გამოკითხულ მამაკაცებში ყველაზე პოპულარული სახეობაა ----- (----%).  
მეორე ადგილზეა -----, მესამე ადგილზე -----  
ქალებში ----- (----%), მეორე ადგილზე -----, მესამე ადგილზე -----  
-----  
ამგვარად, გამოკითხული ქალებისა და მამაკაცების მოსაზრებები ერთმანეთს  
----- (ემთხვევა/არ ემთხვევა/მსგავსია).

### კრიტერიუმი 2. ასაკი

19 წლამდე ასაკის ადამიანებში ყველაზე პოპულარულია ----- (----%),  
20-35 წლის ასაკის ადამიანებში პოპულარულია ----- (----%),  
35 წლის ზემოთ სპორტის ყველაზე პოპულარული სახეობაა ----- (----%),  
ამგვარად, გამოკითხულთა ასაკის მიხედვით, მონაცემები ერთმანეთს  
----- (ემთხვევა/არ ემთხვევ/მსგავსია, სხვ.).

### კრიტერიუმი 3. განათლება

სკოლის მოსწავლეებში ყველაზე პოპულარულია ----- (----%),  
სტუდენტებში ყველაზე პოპულარულია ----- (----%),  
საშუალო განათლების მქონე ადამიანებში ყველაზე პოპულარულია -----  
(----%),  
უმაღლესი განათლების მქონე ადამიანებში ყველაზე პოპულარულია -----  
(----%),  
ამგვარად, გამოკითხულთა განათლების მიხედვით, მონაცემები ერთმანეთს  
----- (ემთხვევა/არ ემთხვევ/მსგავსია, სხვ.).

### კრიტერიუმი 4. ანკეტის შევსების თარიღი.

რამდენადაც ერთ ცალკეულ თემაზე ჩატარებულ გამოკითხვას ერთჯერადი ხასიათი  
აქვს, კითხვარის მეოთხე პარამეტრი (თარიღი) ამ შემთხვევაში გასათვალისწინებელი არ  
არის.

**შეფასება:** აქტივობით ფასდება, შეუძლია თუ არა მოსწავლეს:

- დასახული მიზნის შესაბამისად ინფორმაციის შეკრება, დახარისხება და გაანალიზება;
- მოდელის მიხედვით საინფორმაციო ტექსტის დაწერა;
- თვითშეფასება;
- ნამუშევრის წარდგენა/პრეზენტაცია.

**მეთოდური მითითებები:**

- აუცილებელია, რომ მოსწავლეებმა იმუშაონ იმ თემებზე, რომლებიც მათთვის საინტერესო იქნება. ამდენად ისინი, შეძლებისდაგვარად, თავისუფლები უნდა იყვნენ თემის შერჩევის დროს.
- თუკი აქტივობის ჩატარების დროს მოსწავლეებს ჯერ კიდევ არ აქვთ შესწავლი-

ლი პროცენტები, მათ შეუძლიათ მონაცემები წარმოადგინონ წილადების სახით (მაგ., გამოკითხულთა ერთი მესამედი, ერთი მეოთხედი, მისთ.).

**კავშირი სხვა საგნებთან:** მონაცემების დახარისხებისა და გაანალიზების დროს მოსწავლეები იყენებენ მათემატიკაში მიღებულ ცოდნას (პროცენტები, წილადები). ზოგადად, აქტივობა ემსახურება ინფორმაციის შეკრების, დახარისხებისა და გაანალიზების უნარ-ჩვევების გამომუშავევბას, ლოგიკური და ანალიტიკური აზროვნების უნარების განვითარებას, რომლებიც თანაბრად საჭიროა ჰუმანიტარული, საბუნებისმეტყველო თუ ზუსტი მეცნიერებების შესწავლის დროს.

## კვლევითი პროექტის შეფასების სქემები

**განმავითარებელი შეფასება:** თვითშეფასების ბარათი

სასწავლო წელი -  
კლასი -

## თვითშეფასების პარატი:

მოსწავლის სახელი: \_\_\_\_\_ კლასი: \_\_\_\_\_

## დავალება შევასრულე:

- ინდივიდუალურად
  - ჯგუფთან ერთად
  - ჯგუფის წევრები:

ალვნერ აქტივობას და მივუთითებ, რა მიზნისთვის უნდა მიმელნა:

## აქტივობა/დაცალება:

მიზანი:

ჩემი აზრით:

- მიზანს მივაღწიე
  - ნაწილობრივად მივაღწიე
  - ვერ მივაღწიე

**თავი IV. სანიტარიუმის აქტოვობა**

- თავისუფლად, დაბრკოლებების გარეშე შევასრულე ეს აქტივობა
- წავალი სიძნელეებს:

- სიძნელეები ვერ გადავლახე.
- სიძნელეები გადავლახე შემდეგნაირად:

**განმსაზღვრელი შეფასების რუპრიკები:**

პროეტში მონაწილე ჯგუფების თითოეული წევრი წერს ჩატარებული სამუშაოს ან-გარიშს/რეზიუმეს და მსჯელობს ჩატარებული სამუშაოს შესახებ (ზეპირი გამოსვლის სახით).

**ფასდება:**

- მოსწავლის მიერ გაწეული შრომა/ძალისხმევა;
- მიღებული პროდუქტი და წერილობითი ანგარიში;
- ზეპირი გამოსვლა.

**შემაჯამებელი განმსაზღვრელი შეფასების სქემა****მიღების შერჩევა და გაცემული სამუშაო**

<b>რესურსების მოძიება</b>	<ol style="list-style-type: none"> <li>პროეტში თემატიკასთან დაკავშირებული წყაროებისა და დოკუმენტების მოძიება</li> <li>მოპოვებული ინფორმაციის სათანადო და-მუშავება (დახარისხება და გაანალიზება)</li> </ol>
<b>მიღები</b>	<ol style="list-style-type: none"> <li>თემის შესაბამისი მიღების გამოყენება</li> <li>დღიურის/თვითშეფასების ბარათის სათანადოდ შეესება</li> <li>სამუშაოს დაგეგმვა</li> </ol>
<b>საგნობრივი მოთხოვნები</b>	შესაბამისი ცოდნისა და უნარ-ჩვევების გამოყენება
<b>ჯგუფურ მუშაობაში შეტანილი წვლილი</b>	<ol style="list-style-type: none"> <li>ინიციატივისა და პასუხისმგებლობის აღების უნარი</li> <li>გუნდურ მუშაობის სურვილი</li> </ol>
<b>საბოლოო პროდუქტი</b>	
<b>პროდუქტი</b>	<ol style="list-style-type: none"> <li>პროდუქტის შინაარსისა და ფორმის შესაბა-მისობა დასმულ ამოცანასთან</li> <li>შემოქმედებითობა</li> <li>სიზუსტე</li> <li>სისრულე</li> </ol>
<b>ანგარიში</b>	ჩატარებული სამუშაოს სრულად წარმოდგენა

ზეპირი გამოსვლა	
ზეპირი გამოსვლა	<ol style="list-style-type: none"> <li>1. საკუთარი არჩევანის დასაბუთება</li> <li>2. დასმულ კითხვებზე პასუხის გაცემა</li> <li>3. პროექტის განხორცილებისას მიღებული ინფორმაციის ხარისხი</li> <li>4. სათანადო მეტყველება</li> </ol>

ქართ. VI. 16. მოსწავლეს შეუძლია ორთოგრაფიისა და პუნქტუაციის აუცილებელი წესების გამოყენება, გრამატიკული თვალსაზრისით მართებული სიტყვაფორმების აგება.

#### აქტივობა №1: გრაფიკული მაორგანიზებელი: მიზეზ-შედეგობრიობის სქემა.

აქტივობის შესახებ: აქტივობა გამოიყენება წერის წინა ეტაპზე. იგი ეხმარება მოსწავლეებს ტექსტის გაანალიზებაში, ტექსტში გადმოცემულ სხვადასხვა მოვლენებს/ფაქტებს/სხვ. შორის მიზეზ-შედეგობრივი კავშირების დადგენასა და გააზრებაში გრაფიკული მაორგანიზებლის გამოყენების გზით. აქტივობა ხელს უწყობს ინფორმაციის გაანალიზების, დახარისხებისა და ორგანიზების უნარ-ჩვევების გამომუშავებას.

#### აქტივობის მიზნები:

- ტექსტის ანალიზის უნარ-ჩვევების განვითარება;
- ინფორმაციის მოკვლევის, დახარისხებისა და ორგანიზების უნარ-ჩვევების განვითარება;
- გრაფიკული მაორგანიზებლის გამოყენების მეთოდის ათვისება;
- ანალიტიკური და ლოგიკური აზროვნების უნარ-ჩვევების განვითარება.

რესურსები: დაფა, ცარცი/მარკერი, რვეული, კალამი.


#### აქტივობის აღწერა:

ტექსტის დამუშავების დროს მასწავლებელი ყურადღებას გაამახვილებს სიუჟეტის განვითარების საზრე, გამოკვეთს ტექსტში აღწერილ მოვლენებს შორის მიზეზ-შედეგობრივ კავშირებს.

თვალსაჩინოებისათვის მასწავლებელი დაფაზე დახატავს გრაფიკულ მაორგანიზებელს, რომელზეც გამოსახავს მხოლოდ მიზეზს. შემდეგ, გონიერივი იერიშის გზით, მასწავლებელი მოსწავლეების თანამონანილებით შეავსებს გრაფიკულ მაორგანიზებელს შედეგებით. შეიძლება ეს მოხდეს მოსწავლეების დაფასთან გამოძახების გზითაც (ამ შემთხვევაში დაფასთან გამოძახებული თითოეული მოსწავლე ერთ რომელიმე შედეგს გამოსახავს). საუბრისას მასწავლებელი იყენებს მიზეზ-შედეგობრივი მიმართებების გამომხატველ კავშირებსა და კონსტრუქციებს ("იმიტომ რომ", "...ის მიზეზით", "...ის გამო", მისთ.). გასათვალისწინებელია, რომ გრაფიკული მაორგანიზებლის შევსებისას გამოიყენება ცალკეული სიტყვები და/ან მოკლე ჩანაწერები. შესაძლებელია, მუშაობა წარიმართოს განსხვავებული გზით - ჯერ გამოისახოს შედეგები, ბოლოს კი - მიზეზი.

გრაფიკული მაორგანიზებლის შევსების შემდეგ მასწავლებელი მოსწავლეებს დაავალებს, რვეულებში გადაიტანონ გრაფიკულ მაორგანიზებელზე ასახული ინფორმაცია წინადადებების სახით, სათანადო კავშირებისა და კონსტრუქციების გამოყენებით.

## ნიმუში. მიზეზ-შედეგობრიობის გრაფიკული მაორგანიზებელი.



იაკობ გოგებაშვილი, ”იავნანამ რა ჰქმნა?”

მიზეზი: ქეთო უცხოეთში აღიზარდა.

შედეგი №1. დაავიწყდა ქართული,

შედეგი №2. დაავიწყდა სახლი,

შედეგი №3. ვერ იცნო მშობლები.

წინადადებების ვარიანტები: а) ”ქეთო უცხოეთში აღიზარდა. ამიტომ, მას დაავიწყდა ქართული, დაავიწყდა სახლი, ვერ იცნო მშობლები”; б) ”რადგან ქეთო უცხოეთში აღიზარდა, მას დაავიწყდა ქართული ენა, დაავიწყდა სახლი; ვერ იცნო მშობლები”; ”იმის გამო, რომ ქეთო უცხოეთში აღიზარდა, მას დაავიწყდა ქართული ენა, დაავიწყდა სახლი; ვერ იცნო მშობლები”, სხვ.

მოსწავლეებს დაევალებათ, დაამუშავონ ამავე მოთხრობის ერთი თავი; დაადგინონ მიზეზ-შედეგობრივი კავშირები ამ თავში აღწერილ მოვლენებს შორის; ააგონ სათანადო გრაფიკული მაორგანიზებელი და წინადადებების სახით გამოხატონ გრაფიკულ მაორგანიზებელზე ასახული ინფორმაცია. წინადადებების შედგენისას მოსწავლეებმა უნდა გამოიყენონ სათანადო კავშირები და კონსტრუქციები.

(დაევალების ნიმუში: თავი ”ქეთო და მისი დედობილ-მამობილი”.

შედეგი №1. ქეთოს ენატრენდა თავისი დედობილ-მამობილი.

შედეგი №2. პატივისცემის ნიშნად, ქეთოს მშობლებმა ნაიბი და მისი ცოლი სტუმრად დაპატიჟეს.

შედეგი №3. ქეთოს დედ-მამა და ქეთოს დედობილ-მამობილი დამეგობრდნენ.

შედეგი №4. ქეთოს დედ-მამა ყოველ წელს რთველში იწვევდა ქეთოს აღმზრდელებს.

მიზეზი: აღმზრდელებმა ქეთო საკუთარი შვილივით გაზარდეს).

აქტივობის ხანგრძლივობა: 12-15 წუთი,

**შეფასება:** აქტივობით ფასდება, შუძლია თუ არა მოსწავლეს:

- ტექსტის გაანალიზება;
- ტექსტში აღწერილ მოვლენებს/ფაქტებს შორის მიზეზ-შედეგობრივი კავშირების დადგენა;
- მიზეზ-შედეგობრივი კავშირების ამსახველი გრაფიკული მაორგანიზებლის შედგენა და გამოყენება;
- მიზეზ-შედეგობრივი მიმართების გამომხატველი კავშირებისა და კონსტრუქციების მართებულად გამოყენება წერის დროს.

**დანართი 1. ფორმულაციები უნარ-ჩვევები და გათი განვითარება**

**კავშირი სხვა საგნებთან:** აქტივობა ავითარებს ანალიტიკური და ლოგიკური აზროვნების უნარ-ჩვევებს, რომლებიც აუცილებელია ნებისმიერი ჰუმანიტარული, საბუნების-მეტყველო და ზუსტი მეცნიერებების შესწავლისას.

**მეთოდური მითითება:** მიზეზ-შედეგობრიობის გრაფიკული მაორგანიზებლის შესახებ იხ. აგრეთვე დანართი 2 ("არამხატვრული ტექსტების 4 ტიპი და მათი გრაფიკული მაორგანიზებლები"), რომელშიც აღნიშვნილია მიზეზ-შედეგობრივი მიმართების ამსახველი, განსხვავებული კონფიგურაციის მქონე გრაფიკული მაორგანიზებელი და მისი გამოყენება საინფორმაციო ტექსტებზე მუშაობის პროცესში.

## დანართი 1.

# ფონდოგიური უნარ-ჩვევები და მათი გაცილებები

კოგნიტურ ფსიქოლოგიაში ჩატარებულმა კვლევებმა დაადასტურა მჭიდრო კავშირი ფონდოლოგიურ უნარ-ჩვევებსა და კითხვის სწავლებას შორის. მოსწავლე, რომელსაც განვითარებული აქვს ფონდებური ცნობიერება, წარმატებულად ეუფლება კითხვას. ეს განპირობებულია შემდეგი მიზეზით: ანბანური სისტემის პრინციპის გასააზრებლად, მოსწავლემ, პირველ რიგში, უნდა გააცნობიეროს, რომ ასო გამოხატავს ბეგერას. ამის აღსაქმელად კი მან უნდა გაიგოს, რა არის ბეგერა. უფროსებს ხშირად ავინყდებათ, რომ ბავშვები ზეპირ ტექსტი აღიქვამენ, როგორც უწყვეტ სიტყვიერ ნაკადს. ისინი ვერ აცნობიერებენ, რომ ზეპირი ტექსტი შედგება წინადადებისაგან, წინადადებები - სიტყვებისაგან, სიტყვები - მარცვლებისაგან, მარცვლები კი - უმცირესი ერთეულებისაგან, ბეგერებისაგან. მოსწავლე, რომელმაც ბეგერა არ იცის, ვერ გაიგებს ასოს არს - ასო ხომ ბეგერას გამოხატავს! ამდენად, კითხვის სწავლების დაწყებამდე, ძალზე მნიშვნელოვანია, რომ მოსწავლეს აღმოვაჩენინოთ და გავაცნობიერებინოთ სიტყვის შემადგენელი უმცირესი ერთეული - ბეგერა, იგივე ფონემა, რომლის გამოხატულებაცაა ასო. ფონემური ცნობიერება სწორედ ფონემების გაცნობიერებას, მათზე დაფიქრებისა და მათი გამოყენების უნარს გულისხმობს. ფონემური ცნობიერების ფორმირება ფონოლოგიური უნარების განვითარების გზით ხდება.

ფონოლოგიური უნარების განვითარება ორ ძირითად ეტაპად იყოფა. პირველ ეტაპზე მოსწავლეს ვთავაზობთ აქტივობებს, რომლებიც ეხმარება მას სიტყვის შემადგენელი ზეპირი მარცვლების (და არა ბეგერების) აღქმაში; მეორე ეტაპზე კი მოსწავლეს უკვე ბეგერების აღქმაში ვავარჯიშებთ. საბოლოოდ, მოსწავლემ თავისუფლად უნდა შეძლოს ზეპირი სიტყვების მარცვლებად და ბეგერებად დაშლა, ანყობა თუ ტრანსფორმირება. მოსწავლეს, რომელიც თავისუფლად ამუშავებს სიტყვის ხმოვან ანუ აკუსტიკურ ხატს, შემდეგ ერთიორად უადვილდება ნაწერი სიტყვის ანალიზი და სინთეზი - სიტყვაში მარცვლებისა თუ ასოების გამოყოფა, ასოების გამოთლიანება მარცვლებად, მარცვლებისა - სიტყვებად და მისთ.

სიტყვების ფონოლოგიური ანალიზი გარკვეულ სიძნელეებს უქმნის 5-6 წლის მოზარდებს, რადგან მათი ყურადღება მთლიანად სიტყვის სემანტიკური ასპექტებისაკენ არის მიმართული. აქედან გამომდინარე, ამ ასაკის მოზარდებს უჭირთ ფორმალური, აზრისაგან დაცლილი ერთეულების - ზეპირი მარცვლებისა და ბეგერების აღქმა და/ან ამ ერთეულებთან დაკავშირებული სავარჯიშოების შესრულება. ამიტომ ფონოლოგიურ უნარებზე მუშაობისას ისეთი სტრატეგიები უნდა გამოვიყენოთ, რომლებიც ხელს შეუწყობს მოსწავლეთა ყურადღების გადატანას სიტყვის მნიშვნელობიდან მისი (სიტყვის) ფონოლოგიური ანალიზისაკენ. სტრატეგიების შერჩევისას გასათვალისწინებელია შემდეგი:

- ფონოლოგიურ სავარჯიშოებში აუცილებელია კარგად ნაცნობი სიტყვების გამოყენება. წინააღმდეგ შემთხვევაში, მოსწავლის ყურადღება და ძალისხმევა, მისდა უნებურად, სიტყვის შინაარსობრივი ასპექტების წვდომისაკენ იქნება მიმართული.
- აქტივობათა მექანიზმი უნდა იყოს მეტი და განმეორებადი, რათა მოსწავლე ჩაწვდეს თითოეული მათგანის მიზანს. თუ მოსწავლეს შეუძლია განჭვრიტოს, რას ითხოვენ მისგან, მისი ჩართულობის ხარისხი მაღლდება.

**დანართი 1. ურცმლობის უნარ-ჩვევები და გათი განვითარება**

- თითოეული მოსწავლის წარმატების უზრუნველსაყოფად, მოსწავლეებს უნდა შევთავაზოთ ისეთი ტიპის აქტივობები, რომლებიც ბიძგს მისცემს აზროვნების პროცესს და მოსწავლეებს განუვითარებს სხვადასხვა სააზროვნო უნარს (ასე-თებია, მაგ., გარკვეული წესის მიხედვით სიტყვების კლასიფიცირება; აღმოჩენა იმ კანონზომიერებისა, რომლის მიხედვითაც სიტყვებია დაჯგუფებული; ფიქ-ტიური, მოსწავლის მიერ დაშვებული შეცდომების შესწორება; მსგავსი ფონო-ლოგიური პრინციპით შერჩეულ სიტყვებში განსხვავებულის აღმოჩენა და სხვა).

ქვემოთ გთავაზობთ ფონოლოგიურ აქტივობათა რამდენიმე წყებას, რომლებიც ეტა-პობრივად მიიყვანს მოსწავლეს ყველაზე მარტივი ოპერაციიდან (მასწავლებლის მიერ და-მარცვლით ნათქვამი სიტყვის ამოცნობა თვალსაჩინოებაზე დაყრდნობით) ყველაზე რთულ პერაციამდე (მარცვალში ბგერის ადგილის იდენტიფიცირება, ანუ განსაზღვრა იმისა, ბგე-რა მარცვლის თავშია, შუაში თუ ბოლოში). აღნიშნული ფონოლოგიური აქტივობების წყება კონკრეტული ფონოლოგიური უნარის განვითარებას ემსახურება. ეს უნარებია:

I ეტაპი - გარცვლებით თვარისება	II ეტაპი - ბგერით თვარისება
<ol style="list-style-type: none"> <li>სიტყვის დამარცვლა; დამარცვლი-ლი სიტყვის გამთლიანება სურათ-ზე დაყრდნობით და საყრდენი სურათის გარეშე; მარცვლების დათვლა;</li> <li>მარცვლების რაოდენობათა კოდი-რება;</li> <li>მარცვლების იდენტიფიცირება, სიტყვაში ლოკალიზება და კოდი-რება;</li> <li>სიტყვების ტრანსფორმირება/გარდაქმნა მარცვლების ჩამოცილება-დამატებითა და განმეორებით;</li> </ol>	<ol style="list-style-type: none"> <li>ბგერების იდენტიფიცირება და ლოკა-ლიზება (სიტყვის დასაწყისში, ბოლოში);</li> <li>სიტყვების ტრანსფორმირება ბგერების ჩანაცვლება-დამატებით, ჩამოცილებით, განმეორებით;</li> <li>სიტყვების შედარება და საერთო ბგე-რის პოვნა;</li> <li>ერთ-ორ- და მეტმარცვლიანი სიტყვების ბგერებად დაშლა და შეერთება ახალი სიტყვის მიღების მიზნით;</li> <li>ბგერების ლოკალიზება სიტყვასა და მარცვალში;</li> <li>ბგერების დათვლა სიტყვაში;</li> <li>ბგერის მარცვალში ლოკალიზება.</li> </ol>

კიდევ ერთხელ შეგახსენებთ, რომ ფონოლოგიურ უნარებზე მუშაობა უმნიშვნელოვანესია კითხვის წარმატებით დაწყებისათვის; განსაკუთრებით მაშინ, როცა საქმე ესება 5-6 წლის მოსწავლეებს.

## აქტივობები


### ფონდობის

გასავითარებელი უნარები - სიტყვის დამარცვლა; დამარცვლილი სიტყვის გამთლიანება სურათზე დაყრდნობით და საყრდენი სურათის გარეშე; მარცვლების დათვლა.

1. **დამარცვლა - სურათის ამოცნობა** - მასწავლებელი გააკრავს ოთხ-ხუთ სურათს და დამარცვლავს ერთ-ერთ სურათზე გამოსახული საგნის აღმნიშვნელ სიტყვას. მოსწავლეებმა უნდა ამოიცნონ, რომელი სიტყვა დამარცვლა მასწავლებელმა და უნდა გაამთლიანონ იგი;
2. **დამარცვლა სურათებზე დაყრდნობით** - მასწავლებელი გააკრავს ოთხ-ხუთ სურათს, დამარცვლავს ერთ-ერთ სურათზე გამოსახული საგნის აღმნიშვნელ სიტყვას და თითოეულ მარცვალზე ტაშს უკრავს, შემდეგ გაიმეორებს იმავეს მოსწავლეებთან ერთად;
3. **დამარცვლილის გამთლიანება** - მასწავლებელი დამარცვლავს მოსწავლეების სახელებს. მოსწავლეები ამოიცნობენ, ვისი სახელი დამარცვლა მასწავლებელმა;
4. **საკუთარი სახელის დამარცვლა** - მოსწავლეები დამარცვლავენ საკუთარ სახელებს;
5. **მარცვლების დათვლა** - მოსწავლეები საკუთარ სახელებს დამარცვლავენ ტაშის დაკვრით და ითვლიან. თუ დათვლა უჭირთ, ვქმნით სამკაციან ჯგუფებს. ჯგუფის ერთი წევრი მარცვლავს, მეორე ტაშს უკრავს, მესამე ითვლის (მანამდე, სანამ მოსწავლეებმა თვლა სამამდე იციან, ვმუშაობთ 1-3-მარცვლიან საკუთარ სახელებზე);
6. **მოსწავლის გამოძახება ტაშით - თამაში "ვინ გამოვიძახე?"** - მასწავლებელი ჩაიფიქრებს რომელიმე მოსწავლის სახელს და იმდენჯერ დაუკრავს ტაშს, რამდენი მარცვალიც აქვს ჩაფიქრებულ სახელს. თუკი, ვთქვათ, მასწავლებელმა სამჯერ შემოკრა ტაში, დაფასთან უნდა გავიდეს სამმარცვლიანი სახელის მქონე ყველა მოსწავლე.
7. **მოსწავლის მიერ დამარცვლილი სიტყვის გამოცნობა - თამაში "დაფარული ბარათი"** - მოსწავლე იღებს სურათიან ბარათს იმგვარად, რომ მისმა თანაკლასელებმა ვერ დაინახონ, რა არის ბარათზე გამოსახული. სურათზე წარმოდგენილი საგნის აღმნიშვნელ სიტყვას მოსწავლე ამბობს დამარცვლით. თანაკლასელები ამოიცნობენ ამ სიტყვას და ამთლიანებენ/წარმოთქვამენ მას;
8. **გამთლიანება საყრდენი სურათის გარეშე** - მასწავლებელი დამარცვლით ამბობს ნაცნობ სიტყვებს, მოსწავლეები ამოიცნობენ მათ და ამთლიანებენ;
9. **სიტყვაში მარცვალთა რაოდენობის დათვლა სურათზე დაყრდნობით** - სურათზე დაყრდნობით მოსწავლეები მარცვლავენ სიტყვას, ტაშს უკრავენ და ითვლიან. თუ დათვლა უჭირთ, ვქმნით სამკაციან ჯგუფებს: ჯგუფის ერთი წევრი მარცვლავს, მეორე ტაშს უკრავს, მესამე ითვლის;
10. **სიტყვაში მარცვალთა რაოდენობის დათვლა საყრდენის გარეშე** - მასწავლებლის მიერ ნათქვამ სიტყვას მოსწავლეები მარცვლავენ საყრდენი სურათის გარეშე;

## გასავითარებელი უნარები - მარცვლების რაოდენობათა კოდირება

11. **მარცვლებისა და რკალების დაკავშირება** - მასწავლებელი ამზადებს სამ ბარათს. პირველ ბარათზე ერთი დიდი რკალია გამოსახული, მეორეზე - ორი გადაბმული რკალი, მესამეზე - სამი (შემდეგ ოთხ-ხუთრკალიანებიც მომზადდება). მაგ.,



კედელზე გაკრულია სხვადასხვა სურათი. სურათებზე გამოსახულია საგნები, რომელთა სახელები შედგება სხვადასხვა რაოდენობის მარცვლებისაგან.

მასწავლებელი დამარცვლავს სურათებზე გამოსახული საგნების აღმნიშვნელ სიტყვებს და მოსწავლეებთან ერთად ითვლის მარცვლების რაოდენობას. თუ სიტყვა ორმარცვლიანია, მასწავლებელი იღებს ორრკალიან ბარათს და ადებს სათანადო სურათს; იმავეს იმეორებს ერთმარცვლიანი და სამმარცვლიანი სიტყვების შემთხვევაში – სათანადო სურათებს ადებს ერთ-, სამრკალიან ბარათებს. ამ მაგალითის ჩვენების შემდეგ მოსწავლეები აკეთებენ იმავეს, კერძოდ: მასწავლებელი მიუთითებს მოსწავლეებს კედელზე გაკრულ რომელიმე სურათზე, ერთ-ერთი მოსწავლე მარცვლავს სიტყვას, მეორე (ან იგივე მოსწავლე) იღებს ბარათს სათანადო რაოდენობის მქონე რკალების გამოსახულებით და ადებს შესაბამის სურათს.

12. **სურათების დაჯგუფება შესაბამის ყუთებში მარცვალთა რაოდენობის მიხედვით** - მომზადებულია სამი ყუთი. I ყუთი გამიზნულია ერთმარცვლიანი სიტყვებისათვის, II - ორმაცვლიანებისათვის, III - სამმარცვლიანებისათვის. ეს ყუთები მოინიშნება მოსწავლეებისათვის გასაგები სიმბოლიკით (მაგ., ციფრი 1, 2 3, ან რკალების შესაბამისი რაოდენობა). მოსწავლეთა პატარა ჯგუფებს ურიგდება სურათები. მოსწავლეებმა უნდა დამარცვლონ სიტყვები და მარცვალთა რაოდენობის მიხედვით, ჩააწყონ სურათები შესაბამის ყუთებში. დასასრულს, ჩატარებული სამუშაოს შედეგები მოწმდება მასწავლებელთან ერთად.
13. **მარცვლების კოდირება** - მასწავლებელი ერთ-ერთი ყუთიდან იღებს სურათს და აჩვენებს მას მოსწავლეებს. ერთ-ერთი მოსწავლე ასახელებს სურათზე გამოსახული საგნის აღმნიშვნელ სიტყვას, გამოდის დაფასთან, დამარცვლავს მას და ყოველი მარცვლისთვის თითო რკალს ხაზავს (პირველად ამ აქტივობას მასწავ-

ლებელი ასრულებს). დაფაზე უნდა გამოისახოს იმდენი რკალი, რამდენი მარცვალიცაა დასახელებულ სიტყვაში.

- **ვარიანტი 1. რკალები და თითები** - ერთი მოსწავლე მარცვლავს სიტყვას; მეორე მოსწავლე, რომელიც დაფას არ უყურებს, თითებზე ითვლის მარცვლების რაოდენობას, მესამე მოსწავლე ხაზავს მარცვლების რაოდენობის გამომსახველ რკალებს. დასასრულ, შემოწმდება, ემთხვევა თუ არა ერთმანეთს თითებით დათვლილი და რკალებით გამოსახული მარცვლების რაოდენობა.
  - **ვარიანტი 2. გვარ-სახელების გამოსახვა რკალებით** - ერთი მოსწავლე მარცვლავს ცალ-ცალკე საკუთარ სახელსა და გვარს, მეორე მოსწავლე თითებზე ითვლის მარცვლების რაოდენობას, მესამე - დაფაზე შესაბამისი რაოდენობის რკალებს ხაზავს. დასასრულ, შედეგები მოწმდება მასწავლებელთან ერთად.
14. **მარცვლების კოდირება რვეულში** - მოსწავლეებმა სურათების ქვემოთ უნდა გამოსახონ/შემოხაზონ იმდენი რკალი, რამდენი მარცვალიცაა ცალკეულ სურათზე გამოსახული საგნის აღმნიშვნელ სიტყვაში.
15. **თამაში „გამოიცანი, რომელია?“** - გაკრულია სურათები. ერთ-ერთ სურათზე გამოსახული საგნის აღმნიშვნელი სიტყვის მარცვალთა რაოდენობის შესაბამისად, მასწავლებელი უკრავს ტაშს (ტაშს შემოკრავს იმდენჯერ, რამდენი მარცვალიცაა საგნის აღმნიშვნელ სიტყვაში). მოსწავლეები ითვლიან მარცვლების რაოდენობას და ამოიცნობენ მასწავლებლის მიერ ჩატიქრებულ სიტყვას/სურათს.

### მარცვლების იდენტიფიცირება, სიტყვაში ლოკალიზება და კოდირება

16. **მარცვლის ამოცნობა მარცვალთა ჩამონათვალში:** მასწავლებელი ასახელებს სამოდელო მარცვალს. მაგ., მა-ს; გაამეორებინებს ამ მარცვალს მოსწავლეებს და უესტიკულაციის თანხლებით. აგებინებს მათ, რომ ეს მარცვალი უნდა დაიმახსოვრონ (უესტიკების ენით, „თავში უნდა ჩაიდონ“). შემდეგ ასახელებს მა-ს და დაუკრავს ტაშს; ასახელებს სხვა მარცვალს, მაგ., კუ-ს და არ უკრავს ტაშს. რამდენიმე მაგალითის ჩვენების შემდეგ, მოსწავლეები იგებენ, რომ მხოლოდ სამოდელო მარცვლის (მა-ს) გაგონებისას უნდა დაუკრან ტაში.
- **პირველი ეტაპი** - მასწავლებელი ასახელებს მა-სგან ძალიან განსხვავებულ მარცვლებს. მაგ., შო, კუ, ხო და სხვ. მასწავლებელი ხმამაღლა ჩამოთვლის ამ მარცვლებს და მათი ჩამოთვლისას, გარკვეული პერიოდულობით, „ჩაურთავს“ სამოდელო მარცვალს (მა-ს). მოსწავლეებმა ტაში უნდა დაუკრან მხოლოდ სამოდელო მარცვლის გაგონებისას.
  - **მეორე ეტაპი** - მასწავლებელი პერიოდულად ცვლის სამოდელო მარცვალს (მა-ს, შო, კუ, სხვ.) და ყოველ ჯერზე, იმავე უესტიკულაციის გამოყენებით, აგებინებს მოსწავლეებს, რომ მათ ახლა ეს მარცვალი უნდა „ჩაიდონ თავში“, რათა ამ უკანასკნელს შეადარონ სხვა ჩამოთვლილი მარცვლები. იმავე პრინციპით, მოსწავლეებმა ტაში უნდა დაუკრან მხოლოდ სამოდელო მარცვლის გაგონებისას.
  - **მესამე ეტაპი** - როცა მოსწავლეები კარგად აუდებენ აღლოს ამ აქტივობას,

**დანართი 1. ურთიერთობის უნარ-ჩვევები და გათი განვითარება**



შეიძლება მისი გართულება სამოდელო მარცვლის ფონოლოგიურად მსგავსი მარცვლების ჩართვით (მაგ., კუ/ქუ, გუ; ჭი/ჭი, ჩი, ცი და სხვ.).

**17. მარცვლის ამოცნობა სიტყვის დასაწყისში:**

- **პირველი ეტაპი** - მასწავლებელი ასახელებს სამოდელო მარცვალს და უესტიკულაციის თანხლებით აგებინებს მოსწავლეებს, რომ მათ ეს მარცვალი „თავში უნდა ჩაიდონ“ (იხ. აქტივობა 16). შემდეგმასწავლებელი წარმოთქვამს სიტყვებს, სამოდელო მარცვალზე დაწყებული სიტყვის მოსმენისას მოსწავლეებმა ტაში უნდა დაუკრან. თავდაპირველად მოსწავლეები ამ აქტივობას ასრულებენ მასწავლებელთან ერთად, რათა უკეთ გაიგონ აქტივობის პრინციპი.
- **მეორე ეტაპი** - მასწავლებელი პერიოდულად ცვლის სამოდელო მარცვალს და ყოველ ჯერზე, უესტიკულაციის თანხლებით, აგებინებს მოსწავლეებს, რომ მათ ეს მარცვალი „უნდა ჩაიდონ თავში“. შემდეგ მასწალებელი წარმოთქვამს სიტყვებს. იმავე პრინციპით, მოსწავლეები ტაშს უკრავენ სამოდელო მარცვლის გაგონებისას.
- **მესამე ეტაპი** - როცა მოსწავლეები კარგად აუღებენ ალბოს ამ აქტივობას, შეიძლება მისი გართულება სამოდელო მარცვლის ფონოლოგიურად მსგავს მარცვლებზე დაწყებული სიტყვების გამოყენებით (მაგ., კუ/კუდი, ქუდი, კურდელი; პა/პატარა, ფაფა, პაპა, ფანჯარა და სხვა).
- **ვარიანტი 1.** მოსწავლეებმა სამოდელო მარცვალი უნდა ამოიცნონ საკუთარ სახელებში. ამ მიზნით, მასწავლებელი ამახსოვრებინებს სამოდელო მარცვალს, შემდეგ ხმამაღლა წარმოთქვამს სამ საკუთარ სახელს. მოსწავლეები ტაშს უკრავენ სამოდელო მარცვლის გაგონებისას (მაგ., მა/მარიამი, მათე, მანანა).

**18. მარცვლის ადგილის ლოკალიზება და კოდირება:**

- რესურსის მომზადება - მასწავლებელი ამზადებს ბარათებს.
  1. ბარათზე გამოსახულია ორი გადაბმული რკალი. პირველი რკალი გაუფერადებელია (ან გაფერადებულია წითლად), მეორე რკალი კი შავადაა გაფერადებული.
  2. ბარათზე გამოსახულია ორი გადაბმული რკალი. მეორე რკალი გაუფერადებელია (ან გაფერადებულია წითლად), პირველი რკალი კი შავადაა გაფერადებული.
  3. მომზადებება სამი სამრკალიანი ბარათი სამი განსხვავებული ვარიანტით (წითელი რკალი დასაწყისში, შუაში, ბოლოში).



- **პირველი ეტაპი** - წითელი რკალი აღნიშნავს სამოდელო მარცვალს. ეს რომ გააგებინოს მოსწავლეებს, მასწავლებელი ორსვეტიანი ცხრილის პირველ

სვეტში წითელ რკალს ხატავს, მეორე სვეტში - ორ ორრკალიანს. ერთს პი-რკელი რკალი აქვს წითელი, მეორეს - მეორე რკალი.

მასწავლებელი მოსწავლეებს მიუთითებს მარცხენა სვეტის რკალზე და ამბობს: „ეს არის მარცვალი **დი**“. შემდეგ მოსწავლეები უნდა მიხვდნენ, მეორე სვეტში რომელი რკალები გამოხატავს იმავე მარცვალს (წითლად გაფერადებულები).

- **მეორე ეტაპი** - მასწავლებელი ასახელებს სამოდელო მარცვალს. ასახელებს სიტყვებს, რომლებიც სამოდელო მარცვლით იწყება ან სრულდება. მოსწავლეებმა დასახელებულ სიტყვებს უნდა მიუსადაგონ შესაბამისი სურათი (მაგ., სამოდელო მარცვალი **დი** / დივანი, ქუდი, კუდი, ვარდი).
  - **მესამე ეტაპი** - მასწავლებელი ამზადებს იმავე ტიპის სამ ბარათს სამი რკალით (წითელი რკალით თავში, შუაში, ბოლოში), ასახელებს სამოდელო მარცვალს და სიტყვებს, რომლებიც შეიცავს სამოდელო მარცვალს თავში, შუაში ან ბოლოში (მაგ., მა - მანქანა, წვიმა, ნამალი).
19. **თამაში "აფრინდა, აფრინდა"** - მოსწავლეები ხელებს მაღლა ასწევენ, როცა ეს-მით მასწავლებლის მიერ ჩამოთვლილ სიტყვებში სამოდელო მარცვალი.
20. **მოძებნე სათანადო სურათი** - გაკრულია სურათები. მასწავლებელი წარმოთქმას სამოდელო მარცვალს, მოსწავლეები აკვირდებიან სურათებს და ასახელებენ იმ სიტყვას, რომელიც სამოდელო მარცვალს შეიცავს. შეიძლება მოსწავლეებს ვთხოვოთ იმის დაზუსტება, თუ რომელ ადგილზეა მარცვალი დასახელებულ სიტყვაში (რკალიანი ბარათების გამოყენებით).
21. **სამოდელო მარცვლის შემცველ სიტყვათა დაჯგუფება** - მასწავლებელი მოსწავლეებს აძლევს/ურიგებს სურათებს და უსახელებს მათ სამოდელო მარცვალს. მოსწავლეებმა უკთში უნდა ჩადონ მხოლოდ სამოდელო მარცვლის შემცველი სიტყვების შესაბამისი სურათები.

**გასავითარებელი უნარები - სიტყვების ტრანსფორმირება/გარდაქმნა მარცვლების დამატება-გამოკლება-განმეორებით**

22. **ნესი 1. მარცვლის დამატება** - მოსწავლეებმა მიცემულ სიტყვებს ყოველ ჯერზე უნდა დაუმატონ ერთი და იგივე სამოდელო მარცვალი (მაგ., კუ / ბანიკუ, ვაშლიკუ, კუკუ, ქუდიკუ, მზეკუ და სხვა). **ვარიანტი** - იგივე აქტივობა ტარდება საკუთარ სახელებზე.
23. **ერთი და იმავე მარცვლის დამატება წინადადების ყოველ სიტყვაზე** (მაგ., ორი დიდი ბურთი - შო/ორიშო დიდიშო ბურთიშო).
24. **თამაში "გამოიცანი, რომელი სიტყვაა გარდაქმნილი!"**-
- **პირველი ეტაპი** - მასწავლებელი სიტყვებს უმატებს მარცვალს, მოსწავლეებმა უნდა გამოიცნონ, რომელია საწყისი სიტყვა.
  - **მეორე ეტაპი** - მოსწავლე იღებს სურათიან ბარათს (თანაკლასელებს ამ ბარათს არ უჩვენებს) და სურათზე გამოსახული საგნის აღმნიშვნელ სიტყვას უმატებს მარცვალს. სხვა მოსწავლეებმა უნდა გამოიცნონ, რომელია საწყისი სიტყვა.
25. **ნესი 2. ბოლო მარცვლის გამეორება** - მასწავლებელი აწარმოებს სიტყვებს

**დანართი 1. ფორმულაციური უნარ-ჩვევები და გათი განვითარება**

მათი ბოლო მარცვლის დამატებით/რედუპლიცირებით (მაგ., ვაშლიშლი, ქუდიდი, ფისოსო, ქლოგაგა და სხვა). ახალი სიტყვების გამოყენებით იგი იმავეს იმეორებს მოსწავლეებთან ერთად. ბოლოს მასწავლებელი ასახელებს სიტყვებს; მოსწავლეები იმავე წესის გამოყენებით (სიტყვის ბოლო მარცვლის გამეორებით) აწარმოებენ სიტყვებს.

**26. თამაში ”გამოიცანი, რომელი სიტყვაა!”**

- **პირველი ეტაპი** - მასწავლებელი აწარმოებს სიტყვებს მათი ბოლო მარცვლის გამეორებით (იხ. №25, წესი 2), მოსწავლეებმა უნდა გამოიცნონ, რომელია საწყისი სიტყვა.
- **მეორე ეტაპი** - მოსწავლე იღებს სურათიან ბარათს (თანაკლასელებს ამ ბარათს არ უჩვენებს), სურათზე გამოსახული საგნის აღმინიშვნელ სიტყვას მიუმატებს ამ სიტყვის ბოლო მარცვალს (იხ. №25, წესი 2) და შემდეგ ხმამაღლა წარმოთქვამს მიღებულ სიტყვას. სხვებმა უნდა გამოიცნონ, რომელია საწყისი სიტყვა.

**27. წესი 3. პირველი მარცვლის გაუქმება/ჩამოცილება -**

- **პირველი ეტაპი** - მასწავლებელი იძლევა მაგალითს: ასახელებს რომელიმე სიტყვას, შემდეგ ამბობს იმავე სიტყვას პირველი მარცვლის გარეშე (მაგ., ზღარბი - რბი; ბიჭი - ჭი, დათო - თო, რეზო - ზო). შემდეგ რამდენიმე მაგალითს მასწავლებელი და მოსწავლეები ერთად აკეთებენ.
- **მეორე ეტაპი** - მასწავლებელი ასახელებს სიტყვებს, რომლებიც იწყება ერთსა და იმავე მარცვალზე; მოსწავლეები ამ სიტყვებს "აჭრიან" პირველ მარცვალს (მაგ., ბა/ ბა-ნანი, ბა-ყაყი, ბა-ლი და სხვ.).

**28. თამაში ”რომელი მარცვალია აკლია?”** - მასწავლებელი ასახელებს სიტყვას, რომელსაც „ჩამოჭრილი“ აქვს პირველი მარცვალი. მოსწავლეები უნდა მიხვდნენ, რომელი მარცვალია „ჩამოჭრილი“ (თუ ეს მათთვის ძნელი აღმოჩნდება, შეიძლება მოვიშველიოთ ამ სიტყვების შესაბამისი სურათები, რომლებიც საყრდენად გამოადგება მოსწავლეებს).**29. წესი 4. ბოლო მარცვლის ჩამოცილება:**

- **პირველი ეტაპი** - მასწავლებელი იძლევა მაგალითს: ასახელებს სიტყვას, შემდეგ ასახელებს იმავე სიტყვას ბოლო მარცვლის გარეშე (მაგ., ზღარბი - ზღა; ბიჭი - ბი, დათო - და, რეზო - რე). შემდეგ რამდენიმე მაგალითს მასწავლებელი და მოსწავლეები ერთად აკეთებენ.
- **მეორე ეტაპი** - მასწავლებელი ასახელებს სიტყვებს, რომლებიც სრულდება ერთსა და იმავე მარცვალზე, მოსწავლეები ამ სიტყვებს "ჩამოაჭრიან" ბოლო მარცვალს (მაგ., თი/ ბურ-თი, საა-თი, ერ-თი და სხვ.).

**30. საკუთარი სახელის ბოლო მარცვლის „ჩამოჭრა“** - მოსწავლეები საკუთარ სახელებს ამბობენ ბოლო მარცვლის გარეშე.**31. თამაში ”რომელი მარცვალი აკლია?”** - მასწავლებელი ასახელებს სიტყვას, რომელსაც „ჩამოჭრილი“ აქვს ბოლო მარცვალი. მოსწავლეები უნდა მიხვდნენ, რომელი მარცვალია „ჩამოჭრილი“ (თუ ეს მათთვის ძნელი აღმოჩნდება, შეიძლება მოვიშველიოთ ამ სიტყვების შესაბამისი სურათები, რომლებიც საყრდენად გამოადგება მოსწავლეებს).**32. წესი 5. მარცვალთა გადანაცვლება -**

- პირველი ეტაპი - მასწავლებელი იძლევა მაგალითს: ასახელებს ორმარცვლიან სიტყვას, შემდეგ ადგილებს შეუცვლებს/გადაანაცვლებს მარცვლებს (მაგ., ზღარბი - რბიზღა; ბიჭი -ჭიბი, დათო - თოდა, რეზო - ზორე). შემდეგ მასწავლებელი და მოსწავლები ერთად აკეთებენ რამდენიმე მაგალითს.
  - მეორე ეტაპი - მასწავლებელი ასახელებს სიტყვებს, მოსწავლეები გადაანაცვლებენ მარცვლებს.
33. **მარცვლით სიტყვის გარდაქმნის წესის ამოცნობა** - სიტყვათა გარდამქმნელი ყუთი. მოსწავლეებმა უნდა ამოიცნონ, რომელი წესის მიხედვით გარდაიქმნა სიტყვა. ამისთვის საჭიროა ყუთი, რომელსაც ორი მხრიდან აქვს გამოჭრილი "კარი". ერთ-ერთი მოსწავლე აირჩევს სურათს, რომელსაც აჩვენებს თანაკლასელებს და ხმამაღლა წარმოთქვამს სურათზე გამოსახული საგნის აღმნიშვნელ სიტყვას. შემდეგ მოსწავლე მივა ყუთის ერთ კართან და ამ სიტყვას ჩურჩულით "ეტყვის ყუთს". მასწავლებელი მეორე კართან "უგდებს ყურს" და ხმამაღლა წარმოთქვამს ყუთის მიერ „გარდაქმნილ“ სიტყვას, ანუ თავად გარდაქმნის მოსწავლის მიერ ნათქვამ სიტყვას რომელიმე წესის მიხედვით და ხმამაღლა წარმოთქვამს მას. ამავე წესით გარდაიქმნება 4-5 სიტყვა (აუცილებელია, მასწავლებელმა რამდენიმე მაგალითი მიაწოდოს მოსწავლეებს, რათა მათ შეძლონ წესის ამოცნობა). მოსწავლეებმა უნდა ამოიცნონ, რომელი წესი "გამოიყენა" ყუთმა სიტყვის სანარმოებლად (მაგ., თაგვი - თაგვიგვი, სოკო-სოკოკო, უირაფი-უირაფი და ასე შემდეგ). 4-5 სიტყვის გარდაქმნის შემდეგ მასწავლებელმა მოსწავლეებს უნდა შესთავაზოს ახალი სიტყვა, რომელსაც ისინი სათანადო წესით გარდაქმნიან.
34. **წინადადებაში სიტყვის ამოცნობა** - მასწავლებელი წარმოთქვამს წინადადებას. წინადადების ერთ რომელიმე სიტყვაში იგი გადაანაცვლებს სიტყვის მარცვლებს (მაგ., მაიმუნს უყვარს ნანიბა). მოსწავლეებმა უნდა ამოიცნონ, რომელია საწყისი სიტყვაა.

### გასავითარებელი უნარები - ბგერების იდენტიფიცირება და ლოკალიზება

35. **სურათების დახარისხება პირველი ბგერის (და არა მარცვლის) მიხედვით** - მასწავლებელი მოსწავლეებს ურიგებს სურათებს და ეუბნება სამოდელო ბგერას, რომელზედაც უნდა იწყებოდეს სიტყვა. სამოდელო ბგერაზე დაწყებული სიტყვის შესაბამისი სურათი მოსწავლემ უნდა ჩადოს ყუთში, რომელიც სპეციალურად ამ მიზნითაა დადგმული. აქტივობის პრიციპის უკეთ გასაგებად, თავდაპირველად მოსწავლეები მას (აღნიშნულ აქტივობას) მასწავლებელთან ერთად ასრულებენ.
36. **სიტყვაში პირველი ბგერის ამოცნობა**
- პირველი ეტაპი - მასწავლებელი ასახელებს სამოდელო ბგერას. შემდეგ, ჟესტიკულაციის თანხლებით, აგებინებს მოსწავლეებს, რომ მათ ეს ბგერა „თავში უნდა ჩაიდონ“ (შდრ. აქტივობები №№16, 17 და სხვ.). მოსწავლეებმა ტაში უნდა დაუკრან სამოდელო ბგერაზე დაწყებული სიტყვების მოსმენისას. აქტივობის პრიციპის უკეთ გასაგებად, თავდაპირველად მოსწავლეები მას (აღნიშნულ აქტივობას) მასწავლებელთან ერთად ასრულებენ (მაგ., მ/

**დანართი 1. უოროლოგიური უნარ-ჩვევები და გათი განვითარება**

მანქანა, მზე, კუ, მთა, მერცხალი, ტყე, მზე და სხვა).

**შენიშვნა:** თუ მოსწავლეს უჭირს ბერების გამორჩევა, მასწავლებელმა განსაკუთრებულად უნდა გამოკვეთოს ბერები სიტყვის წარმოთქმისას, გაამეორებინოს მას სიტყვა პირველ ბერაზე აქცენტირებით ან წარმოთქმის შემდეგ გაამეორებინოს პირველი ბერა.

- **მეორე ეტაპი** - მასწავლებელი პერიოდულად ცვლის სამოდელო ბერას. ყოველ ჯერზე, იმავე უესტიულაციის გამოყენებით, აგებინებს მოსწავლებს, რომ თავში ახლა ეს ბერა უნდა „ჩაიდონ“, რათა მას შეადარონ ჩამოთვლილი სიტყვების პირველი ბერა. მასწავლებელი წარმოთქვამს სიტყვებს. მოსწავლეებმა ტაში უნდა დაუკრან სამოდელო ბერის გაგონებისას.
- **მესამე ეტაპი** - როცა მოსწავლეები კარგად აუღებენ აღლოს ამ აქტივობას, შეიძლება მისი გართულება სამოდელო მარცვლის ფონოლოგიურად მსგავს მარცვლებზე დაწყებული სიტყვების გამოყენებით (მაგ., კუ/კუდი, ქუდი, კურდღელი; პა/პატარა, ფაფა, პაპა, ფანჯარა, ფანქარი და სხვა).

**ვარიანტი 1.** მოსწავლეებმა უნდა ამოიცნონ სამოდელო მარცვალი საკუთარ სახელებში. ამ მიზნით მასწავლებელი ამახსოვრებინებს მათ სამოდელო მარცვალს, შემდეგ ეუბნება მათ სამი პირის სახელს. მოსწავლეები ტაშს უკრავენ სამოდელო მარცვლის გაგონებისას (მაგ., მა/მანანა, მარიკა, მათე).

თამაში „აფრინდა-აფრინდა“ - მოსწავლეებმა ხელები მაღლა უნდა ასწიონ მხოლოდ იმ სიტყვების მოსმენისას, რომლებიც იწყება სამოდელო ბერაზე.

37. **რა აქვთ საერთო?** - მასწავლებელი წარმოთქვამს 5-6 სიტყვას, რომლებიც ერთ ბერაზე იწყება. მოსწავლეები პოულობენ, რა აქვთ ამ სიტყვებს საერთო.
38. **სიტყვაში ბოლო ბერის ამოცნობა** - მასწავლებელი ასახელებს სამოდელო ბერას. უესტიულაციის თანხლებით, აგებინებს მოსწავლეებს, რომ ეს მარცვალი მათ „თავში უნდა ჩაიდონ“. მოსწავლეებმა იმავე მარცვალზე დაწყებული სიტყვის მოსმენისას ტაში უნდა დაუკრან.
39. **სიტყვაში ბოლო/პირველი ბერის ამოცნობა სურათზე დაყრდნობით** - მოსწავლეებს ურიგდებათ სურათები. მათ უნდა ამოარჩიონ ის სურათები, რომლებიც სამოდელო ბერაზე იწყება/მთავრდება და გვერდით მიუწყონ გაკრულ სურათს.
40. **აქტივობა „დავალაგოთ“** - გამოკრულია ორი მოდელი. მოსწავლეებმა მათ ქვემოთ უნდა მიუწყონ შესაბამისი სურათები (მაგ., მარცხნივ - მ - ზე დამთავრებული სიტყვების შესაბამისი სურათები, მარჯვნივ - ა - ზე დამთავრებული სიტყვების შესაბამისი სურათები):

ბარათი - სოკო	ბარათი - მანქანა
ფისო	წვიმა
გოგო	კატა
ყაყაჩო	ცა
	ჩანთა

41. „იპოვე შეცდომა“ - მასწავლებელი მოსწავლეებს აძლევს ცხრილს, რომელიც შევსებულია ფიქტიური მოსწავლის მიერ და სთხოვს მათ, მიაგნონ ცხრილში დაშვებულ შეცდომებს (ფიქტიური მოსწავლის მიერ შევსებულ ცხრილში ერთი-ორი სიტყვაა გადასანაცვლებელი ერთი სვეტიდან მეორეში). მასწავლებელი ეკითხება მოსწავლეებს, როგორ უნდა მოიქცნენ, რომ შეცდომები იპოვონ (ამისთვის მათ ჯერ უნდა შეამოწმონ, შეესატყვისება თუ არა ცხრილის პირველ სვეტში წარმოდგენილი სიტყვები პირველ წესს - ანუ მთავრდება თუ არა ისინი ო-ზე. შემდეგ მოსწავლეებმა უნდა შეამოწმონ, შეესატყვისება თუ არა ცხრილის მეორე სვეტში წარმოდგენილი სიტყვები მეორე წესს - ანუ მთავრდება თუ არა ისინი ო-ზე). თუ აღნიშნული შეესატყვისობა დარღვეულია, მოსწავლეები სიტყვებს სათანადო სვეტში გადაანაცვლებენ. იმ შემთხვევაში, თუკი შეთავაზებული სიტყვები არ შეესაბამება არც ერთ წესს, მოსწავლეები მოხსნიან და გვერდზე გადადებენ ამგვარი სიტყვების შესაბამის სურათებს. ძალზე სასარგებლო იქნება, თუკი მასწავლებელი დააფიქრებს მოსწავლეებს დაშვებულ შეცდომებზე და სთხოვს მათ, ახსნან, რატომ შეცდა ფიქტიური მოსწავლე (შეეძლა სიტყვის შესაბამისი სურათი, ვერ დააკავშირა სურათი სიტყვასთან, დაავიწყდა წესი, სხვ.).
42. **სამოდელო ბგერის საფუძველზე სათანადო სიტყვის ამორჩევა სამი შეთავაზებული სიტყვიდან** (მაგ., ბიჭი / კატა, გემი, ბალი) (ხბო / რუ, სოკო, მთა). მასწავლებელი მიუთითებს მოსწავლეებს, რომელ ბგერას მიაქციონ ყურადღებაპირველს თუ ბოლოს.
43. **რითმების შექმნა საკუთარი სახელების გამოყენებით** - მოსწავლეები ეძებენ სიტყვებს, რომლებიც ირითმება მათ სახელებთან (მაგ., „მე ვარ გოგი, მყავს შავი დოგი“, „მე ვარ ილია, ჩემი ფაფა თბილია“, „მე ვარ ნინო, მაქვს პიანინო“, „მე ვარ რეზო, მიყვარს ეზო“, მისთ.).
44. **„იპოვე ზედმეტი“** - საერთო კანონზომიერების მქონე სიტყვების ჩამონათვალში წარმოდგენილია ერთი სიტყვა, რომელიც არ შეესატყვისება ამ კანონზომიერებას. მოსწავლეებმა უნდა მიაგნონ აღნიშნულ სიტყვას.

### **გასავითარებელი უნარები - სიტყვების ტრანსფორმირება ბგერების ჩანაცვლება-დამატებით, ჩამოცილებით, განმეორებით**

45. **პირველი ბგერის ჩანაცვლება** - მოსწავლეებმა უნდა ჩაანაცვლონ პირველი ბგერა სამოდელო ბგერით. მასწავლებელი ასახელებს სამოდელო ბგერას; უესტიკულაციის თანხლებით, აგებინებს მოსწავლეებს, რომ მათ ეს ბგერა „თავში უნდა ჩაიდონ“, რათა ამ ბგერით ჩაანაცვლონ მასწავლებლის მიერ შეთავაზებული სიტყვების პირველი ბგერა. აქტივობის პრინციპის უკეთ გასაგებად, თავდაპირველად მოსწავლეები მას მასწავლებელთან ერთად ასრულებენ (მაგ., კ / შოკოლადი - კოკოლადო, ბურთი - კურთი და ა. შ.).
46. **ბოლო ბგერის ჩანაცვლება** - მოსწავლეებმა უნდა ჩაანაცვლონ შეთავაზებული სიტყვის ბოლო ბგერა სამოდელო ბგერით. უესტიკულაციის თანხლებით, აგებინებს მოსწავლეებს, რომ მათ ეს ბგერა „თავში უნდა ჩაიდონ“, რათა ამ ბგერით ჩაანაცვლონ მასწავლებლის მიერ შეთავაზებული სიტყვების ბოლო ბგერა. აქტივობის პრინციპის უკეთ გასაგებად, თავდაპირველად მოსწავლეები მას მასწავლებელთან ერთად ასრულებენ (მაგ., კ / შოკოლადი - კოკოლადო, ბურთი - კურთი და ა. შ.).

**დანართი 1. ფორმლობის უცარ-ჩვევები და გათი განვითარება**

წავლებელთან ერთად ასრულებენ (მაგ., ა / ქარი- ქარა, სოკო - სოკა და ა. შ.).

**47. სიტყვის პირველი ბგერის ჩამოცილება -**

- **I ეტაპი** - მოსწავლემ სიტყვა უნდა წარმოოქვას პირველი ბგერის გარეშე. აქტივობის პრინციპის უკეთ გასაგებად, თავდაპირველად მოსწავლეები მას მასწავლებელთან ერთად ასრულებენ. მასწავლებელს გამოჰყავს ერთ-ერთი მოსწავლე და აძლევს მას ბარათს. მოსწავლე ასახელებს საგანს, რომელიც ბარათზეა გამოსახული, მასწავლებელი იმეორებს ამ სიტყვას პირველი ბგერის ჩამოცილებით (მაგ., შოკოლადი - ოკოლადი, ვაშლი - აშლი და სხვ). შემდეგ მასწავლებელი გაიმეორებს იმავეს სხვა მოსწავლეებთან ერთად.
- **II ეტაპი** - მასწავლებელი ასახელებს სიტყვას, მოსწავლეები პირველი ბგერის ჩამოცილებით წარმოთქვამენ იმავე სიტყვას. აღნიშნულ აქტივობას მოსწავლეები ასრულებენ სურათზე დაყრდნობით.
- **III ეტაპი** - მოსწავლეები აქტივობას ასრულებენ საყრდენი სურათის გარეშე.

**48. პირველი ბგერის აღდგენა -** მასწავლებელი სიტყვას ამბობს პირველი ბგერის გარეშე, მოსწავლეები ამოიცნობენ ბგერას, რომელიც აკლია და ასახელებენ სიტყვას სრული სახით. აქტივობა ტარდება ჯერ სურათზე დაყრდნობით, შემდეგ სურათის გარეშე.**49. ბგერის დამატება სიტყვის დასაწყისში -** მოსწავლეები სამოდელო ბგერას ამატებენ სიტყვის დასაწყისში (მაგ., უ - უვაშლი, უშოკოლადი, უბალი და სხვ.).**50. მოსწავლეთა სახელების წარმოთქმა პირველი ან ბოლო ბგერის ჩამოცილებით -** მასწავლებელი წარმოთქვამს ერთ-ერთი წესით გარდაქმნილ პირის სახელს. მოსწავლე, რომელიც ამოიცნობს თავის სახელს, ხელს აწევს.**51. ბგერის დამატება სიტყვის ბოლოში -** მოსწავლეები სამოდელო ბგერას ამატებენ სიტყვის ბოლოში (მაგ., ა - შოკოლადია, ვაშლია, ბალია, ცაა და სხვ.).**52. სიტყვის გარდაქმნის წესის პოვნა/ამოცნობა -** მასწავლებელი აწარმოებს/გარდაქმნის 8-9 სიტყვას ერთ-ერთი წესის გამოყენებით. მოსწავლეებმა უნდა ამოიცნონ, რომელი წესია გამოყენებული (ბგერის დამატება სიტყვის დასაწყისში/ბოლოში, ბგერის ჩამოცილება, ბგერის გამოორება სიტყვის ბოლოს, სხვ.). ამის შემდეგ თითოეულმა მოსწავლემ უნდა აწარმოოს სიტყვა იმავე წესის გამოყენებით, თანაკლასელებმა კი უნდა ამოიცნონ, რომელია საწყისი სიტყვა.

**შენიშვნა:** ჩაფიქრებული სიტყვა უნდა შეესატყვისებოდეს კლასში არსებულ რომელიმე საგანს.

**გასავითარებელი უნარები - სიტყვების შედარება და საერთო ბგერის პოვნა****53. სიტყვების შედარება და საერთო ბგერის პოვნა სიტყვის დასაწყისში ან ბოლოში -**

- **I ეტაპი** - მასწავლებელი დაფაზე გამოაკრავს სურათს, რომელზეც გამოსახულია, მაგ., ბალი და სურათის ქვემოთ მოათავსებს სამ ბარათს. თითოეულ ბარათზე წერია თითო სიტყვა, რომელთაგან მხოლოდ ერთი იწყება "ბ" ბგერაზე (მაგ., კატა, ბუ, კუ). მოსწავლემ უნდა ამოიცნოს, რომელი სიტყვა იწყება "ბ" ბგერაზე და მიუთითოს შესაბამის ბარათზე/ დაასახელოს ეს სიტყვა.

- II ეტაპი - მასწავლებელი ორ სვეტად გამოაკრავს სამოდელო და სამიზნე სიტყვებს; ამასთან, არ დააზუსტებს, საერთო ბგერა დასაწყისშია თუ ბოლოში. მაგ.,

სამოდელო სიტყვები	ფანქარი	გოგო
სამიზნე სიტყვები		
	ვაშლი	სოკო
	პეპელა	ქოლგა
	ფისო	კუდი

54. **სიტყვების შედარება; საერთო ბგერის პოვნა სიტყვის დასაწყისში ან ბოლოში (საყრდენის გარეშე)** - როდესაც მოსწავლეები კარგად აუღებენ ალღოს წინა სავარჯიშოს, აქტივობა შეიძლება გავართულოთ და იგივე სავარჯიშო მათ შევასრულებინოთ საყრდენი სურათების გარეშე.
55. **განსხვავებულის პოვნა** - მოსწავლეები აკვირდებიან სურათების მწერივს და პოულობენ იმ ერთადერთს (განსხვავებულს), რომელიც საერთო კანონზომიერებას არ შეესაბამება (მაგ., ბიჭი, ბალი, ქარი, ბუ, ბურთი, ბანანი; / სოკო, დათო, დათუკი, ფისო, ყაყაჩი). ამავე აქტივობის ჩატარება შეიძლება სიტყვის ბოლო ბგერაზე დაყრდნობით.
56. **სიტყვების დომინო** - მასწავლებელი გააკრავს დაფაზე ერთ სურათს და მაგიდაზე დადებს რამდენიმე სურათს. მაგიდაზე დადებული სურათებიდან მოსწავლეებმა უნდა აარჩიონ ერთ-ერთი ან მეტი სურათი შემდეგი პრინციპის მიხედვით: მაგიდაზე დადებულ სურათზე გამოსახული საგნის აღმნიშვნელი სიტყვა უნდა იწყებოდეს ან სრულდებოდეს იმავე ბგერაზე, რომელზედაც იწყება ან სრულდება დაფაზე გაკრულ სურათზე გამოსახული საგნის აღმნიშვნელი სიტყვა. მაგ., სოკოს სურათს შეიძლება დავადოთ საათის, სიმინდის, სახლის სურათები (პირველი ბგერების მიხედვით), რკოს სურათს - ყაყაჩის, უთოს, სოროს სურათები (ბოლო ბგერის მიხედვით).

### გასავითარებელი უნარები - ერთ- და მეტმარცვლიანი სიტყვების ბგერებად დაშლა და აწყობა

57. **ბგერების სიტყვებად გაერთიანება სურათზე დაყრდნობით** - წავარჯიშების მიზნით, მასწავლებელი ცალ-ცალკე წარმოთქვამს ორ ბგერას და შემდეგ აერთიანებს მათ; იმავეს აკეთებინებს მოსწავლეებს. ამის შემდეგ მასწავლებელი გამოაკრავს ერთმარცვლიანი სიტყვების სურათებს და ცალ-ცალკე წარმოთქვამს სათანადო ბგერებს. მოსწავლეებმა უნდა ამოიცნონ, რომელი სურათი შეესატყვისება წარმოთქმულ ბგერებს და გაამთლიანონ სიტყვა.
58. **ბგერების სიტყვებად გაერთიანება საყრდენი სურათის გარეშე** - მასწავლებელი დანაწევრებულად ასახელებს ერთმარცვლიანი სიტყვის ბგერებს, მოსწავლეები სიტყვად ამთლიანებენ მათ.
59. **ერთმარცვლიანი სიტყვების ბგერებად დაშლა** - იმავე სიტყვებს მოსწავლეები ბგერებად დაშლიან. ამის შემდეგ მასწავლებელი მათ დასაშლელად აძლევს სხვა ერთმარცვლიან და ორმარცვლიან სიტყვებს.

60. ორ- და მეტმარცვლიანი სიტყვების ბგერებად დაშლა - მოსწავლეები ბგერებად შლიან ორ- და მეტმარცვლიან სიტყვებს.
61. ბგერების სიტყვებად გამთლიანება - მასწავლებელი ბგერებად ანაწევრებს ორ- და მეტ მარცვლიან სიტყვებს, მოსწავლეები ამთლიანებენ მათ.
- შენიშვნა:** ესაა უმნიშვნელოვანესი უნარი, რომელსაც შემდგომში მოსწავლე დაეყრდნობა სიტყვების წაკითხვისას -კითხვის დროს მოსწავლე ასოებს ახმოვანებს ბგერებად და ბგერებს ამთლიანებს სიტყვებად (სინთეზი). ამიტომაა, რომ ამ უნარს განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს.

### გასავითარებელი უნარები - ბგერების ლოკალიზება სიტყვასა და მარცვალში

62. სამოდელო ბგერის ადგილის ამოცნობა სიტყვის თავსა და ბოლოში საყრდენი სურათის გარეშე - მასწავლებელი ასახელებს სიტყვებს. დასახელებული სიტყვებიდან ზოგიერთს თავში აქვს სამოდელო მარცვალი, ზოგიერთს - ბოლოში. ორივე ტიპის შესატყვისი სურათები დაფაზეა გაკრული ერთმანეთის გვერდით. თუ ნათქვამი სიტყვა პირველ ტიპს განეკუთვნება, მოსწავლე მარჯვენა სვეტზე მიუთითებს, თუ მეორე ტიპს - მარცხენაზე.
63. სამოდელო ბგერის ადგილის ამოცნობა სიტყვის თავში, შუაში და ბოლოში- მოსწავლეებმა უნდა ამოიცნონ, სად არის სამოდელო ბგერა განთავსებული. ამისათვის მათ შეუძლიათ გამოიყენონ რკალების ბარათები. მასწავლებელი ამბობს სამოდელო ბგერას და ასახელებს ორ-სამმარცვლიან სიტყვებს, რომლებშიც სამოდელო ბგერა სხვადასხვა პოზიციაზეა, ზოგჯერ კი ორ ადგილზეა წარმოდგენილი (მაგ., ორი, ყაყაჩო, ფისო, ფოთოლი, ქლოგა). მასწავლებელი ამზადებს მარცვლების რაოდენობათა შესაბამის რკალებიან ბარათებს და, სიტყვების მიხედვით, იმ რკალებს ასვამს წერტილს, რომლებშიც არის სამოდელო ბგერა.

### ნიმუში. სიტყვების კოდირება

სიტყვა: "ორი". სიტყვის კოდი:



სიტყვა: "ფისო". სიტყვის კოდი:



სიტყვა: "ფოთოლი". სიტყვის კოდი:



მოსწავლემ უნდა იპოვოს ნათქვამი სიტყვის შესაბამისი კოდირება, გამოსახული ბარათებზე. მასწავლებელი ეხმარება მას, რამდენჯერმე იმეორებს სიტყვას, გამოკვეთს სიტყვაში ბგერას, დამარცვლისას დაფაზე ხაზავს ბგერებს კითხვის მიმართულებით - მარცხნიდან მარჯვნივ. მოსწავლეც მარცვლავს სიტყვას, ითვლის მარცვლების რაოდენობას, პოულობს სამოდელო ბგერას და ირჩევს შესაბამის კოდირებას.

გასავითარებელი უნარები - ბგერების დათვლა სიტყვაში

64. **სიტყვების გადახარისხება ბეჭერების რაოდენობის მიხედვით** - მოსწავლეებს ვაძლევთ ერთ- და ორმარცვლიანი სიტყვების შესაბამის სურათებს. ვამზადებთ ოთხ ყუთს ორ-, სამ-, ოთხ- და ხუთბეჭერიანი სიტყვებისათვის. მოსწავლეებმა უნდა დაანაწევრონ სიტყვები ბეჭერებად, დაითვალინონ ბეჭერების რაოდენობა და სურათები ჩადონ შესაბამის ყუთში (მაგ., ია, ლია, ვაშლი, ბალი, კუ, ბუ, ტყე, თაგვი, მთა და სხვა).

**გასავითარებელი უნარები - ბგერის ლოკალიზება მარცვალში**

65. ბერის ადგილის პოვნა მარცვალში - მოსწავლეებმა უნდა იპოვონ სამოდელო ბერის ადგილმდებარეობა ერთმარცვლიან სიტყვაში და მიუთითონ ამ ბერაზე შესაბამისი კოდირების გამოყენებით.  
მაგ., სამოდელო ბერა მ - მთა, ძმა, მზე

სიტყვა "მთა". სიტყვის კოდი:



Տօնածությունը կատարվել է ՀՀ Ազգային ժողովում՝ 2010 թվականի հունվարի 2-ին:



## დანართი 2.

# კითხვის სწავლება 5-6 ტლის ასაკის მოსწავლეთათვის

ადრეულ, 5 წლის ასაკში კითხვის სწავლება სპეციფიკურ მიღებობას მოითხოვს. აუცილებელია გავითვალისწინოთ 5 წლის ასაკის მოსწავლეების ფსიქიკური განვითარების კანონზომიერებები, რათა მათ არ შევთავაზოთ შეუფერებელი აქტივობები, არ წავუყენოთ არაადეკვატური მოთხოვნები. ამ კანონზომიერებათა გაუთვალისწინებლობის შედეგად მოსწავლეებში გამოვიწვევთ ფსიქოლოგიურ სტრუქტურასა და სხვა სერიოზულ დაბრკოლებებს.

იმისათვის, რომ სწორად წარვმართოთ კითხვის პროცესი, პირველ რიგში, უნდა განვასხვაოთ სწავლების ამ ეტაპისათვის აქტუალური რამდენიმე უნარი და გავიაზროთ ამ უნარების განვითარებასთან დაკავშირებული პრობლემატიკა. ეს უნარებია:

1. ასობგერითი მიმართებების ჩამოყალიბება;
2. სიტყვის გრაფიკულ და აკუსტიკურ ხატებს შორის არსებული მიმართების გაგება;
3. მთელ-მთელი სიტყვების კითხვა ანუ სიტყვის ორთოგრაფიული ხატის დამახსოვრება- ამოცნობა;
4. სიტყვების გაშიფრვა;
5. კითხვის მოქნილობა;
6. წაკითხვა-გაგება.

მოკლედ მიმოვიზილოთ თითოეული:

1. **ასობგერითი მიმართებების ჩამოყალიბება** - მოსწავლემ უნდა გაიგოს, რა კავშირია ბერძნება და ასოს შორის;
2. **სიტყვის გრაფიკულ და აკუსტიკურ ხატებს შორის არსებული მიმართების გაგება** - მოსწავლემ უნდა გააცნობიეროს, რომ ნათქვამი წინადადება შედგება სიტყვებისაგან და რომ ნაწერი სიტყვა ნათქვამი სიტყვის წერილობითი გამოხატულებაა.
3. **მთელ-მთელი სიტყვების კითხვა ანუ სიტყვის ორთოგრაფიული ხატის დამახსოვრება-ამოცნობა** - ერთ-ერთი მეთოდი, რომელიც მოსწავლეებს მოამზადებს კითხვისათვის. მოსწავლე კითხვის მთლიანობითი მეთოდის გამოყენებით ვიზუალურად იმახსოვრებს სიტყვის ორთოგრაფიულ ხატს და დანახვისათანავე აკავშირებს ამ ნაწერს სიტყვის მნიშვნელობასთან. ამგვარი ხერხით მას შეუძლია სიტყვის ამოცნობა მისი დანაწევრება-გამთლიანების გარეშე (იხ. ქვემოთ "გაშიფრვა"). ე.ნ. პირდაპირი გზით. აღნიშნული ხერხი კითხვის სწავლების ერთ-ერთი შემამზადებელი აქტივობაა, რომელიც განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს ადრეულ - 5 წლის ასაკში კითხვის სწავლებისას. კითხვის დაუფლებისას მოსწავლეებისათვის ყველაზე დიდ სიძნელეს წარმოადგენს თანამიმდევრულად აღქმული ასოების სიტყვებად გამთლიანება - სწორედ ეს არის კითხვის სწავლებისას მთავარი სირთულე. ეს აქტივობა მოსწავლის მხრიდან უზარმაზარ ძალის-ხმევასა და დროს მოითხოვს; არადა, მას აინტერესებს კოდირებული შინაარსის ამოცნობა. მთელ-მთელ სიტყვათა კითხვის მეთოდით კი იგი განსაკუთრებული ძალისხმევის გარეშე "აღმოაჩენს" სიტყვის მნიშვნელობას. ასეთი "აღმოჩენები"

მას ახარებს და კითხვის პროცესს მისთვის სახალისოსა და მიმზიდველს ხდის, რაც, თავის მხრივ, მოსწავლეს დადგებით დამოკიდებულებას უყალიბებს საკითხავ აქტივობათა მიმართ. მოტივაციის ამაღლების გარდა, გრაფიკული ხატების დამახსოვრებასთან დაკავშირებული ვარჯიშები ხელს უწყობს ხედვითი აღქმის გაუმჯობესებას და მხედველობითი მეხსიერების განვითარება-გაფართოებას. მოსწავლე თანდათანობით გამოანაწევრებს ასოებს მთელი სიტყვიდან, რომელსაც დაუნანევრებლად აღიქვამს.

- 4. სიტყვების გაშიფვრა - გაშიფვრა გულისხმობს ნაწერი სიტყვის (ორთოგრაფიული ხატის) ხმოვან ხატად გარდაქმნას/კონვერტირებას. ეს არის მრავალსაფეხურიანი აქტივობა, რომელიც დიდ სიძნელეს უქმნის ახალბედა მკითხველს, მით უფრო ხუთწლიანს. გაშიფვრის დროს თვალი აღიქვამს ჯერ ერთ ასოს, აკავშირებს მას ბგერასთან, რომელსაც ვოკალური სიმები ახმოვანებს, იმახსოვრებს ბგერას, გადადის მომდევნო ასოზე, აკავშირებს მას კვლავ ბგერასთან და საბოლოოდ, დამახსოვრებულ ბგერებს ამთლიანებს სიტყვად (ამიტომ არის მნიშვნელოვანი წინმსწრებად ფონოლოგიურ უნარებზე, განსაკუთრებით კი ბგერების გამთლიანებაზე მუშაობა). ხშირად ისეც ხდება, რომ სანამ მოსწავლე სიტყვას ბოლომდე ამოკითხავს, მისი ხანმოკლე მეხსიერება ვერ უძლებს დატვირთვას, ვეღარ იტევს მანამდე დამახსოვრებულს და წაკითხულს „შლის“ ცნობიერებიდან. ამიტომ არის, რომ ხშირად ახალბედა მკითხველი ვერ ამბობს, რა წაიკითხა მისი გონება მთლიანადაა დაკავებული ასოების ბგერებთან დაკავშირებითა და დამახსოვრებით, ანუ ნაწერის გახმოვანებით და, ამდენად, მოსწავლე აზრს ვერ ატანს იმას, რასაც კითხულობს. როგორც ვთქვით, გაშიფვრა არის ის აქტივობა, რომელიც ყველაზე დიდ სიძნელეს წარმოადგენს ხუთ-ექვსწლიანებისათვის. მნიშვნელოვანია გავითვალისწინოთ ის ფაქტიც, რომ ზოგიერთი მათგანი ნევროლოგიურად არც არის საკმარისად მომწიფებული იმისთვის, რომ თვალის მოძრაობა დაიმორჩილოს და ამგვარი ამოცანები დაძლიოს. ამის გათვალისწინებით, გაშიფვრაზე მუშაობას დიდი სიფრთხილით უნდა მოვეკიდოთ: ვინც ამგვარი აქტივობისათვის ჯერ არ არის საკმარისად მომწიფებული, მას უნდა ვაცადოთ მომწიფება და მოგვიანებით შევთავაზოთ გაშიფვრაზე სისტემური ვარჯიში. ამდენად, მასწავლებელმა უნდა გაითვალისწინოს მოსწავლეთა ფიზიოლოგიური თავისებურებები და კითხვის სწავლებისას ყველას თანაბარი მოთხოვნები არ უნდა წაუყენოს. ამგვარი დიფერენცირებული მიდგომით ყველა მოსწავლეს მიეცემა საშუალება, ბუნებრივი რიტმის მიხედვით განავითაროს კითხვის უნარი. ნაადრევი ძალდატანება და აჩქარება ძალიან ცუდ შედეგებს გამოიღებს - მოსწავლეები ფსიქოლოგიურად დაბრკოლდებიან და შეიძლება კიდევ დიდი ხნის განმავლობაში ვერ შეძლონ გამართულად კითხვა.**
- 5. კითხვის მოქნილობა - კითხვის მოქნილობა გულისხმობს გაშიფვრის უნარის ავტომატიზაციას, ავტომატურად დაუფლებას. როდესაც დეკოდირების, ანუ გაშიფრვის უნარი ავტომატიზირებულია, მოკლევადიანი /მუშა მეხსიერება აღარ არის დაკავებული ასოების ბგერებთან დაკავშირებით და მოსწავლეს უკვე შეუძლია, გამოიყენოს კითხვა, როგორც ინფორმაციის მიღების საშუალება.. ამიტომაცაა, რომ ყველა ცდილობს რაც შეიძლება სწრაფად ათვისებინოს მოსწავლეს ეს უნარი. კითხვის მოქნილობის დაუფლება ინტენსიურ და სისტემურ ვარჯიშს**

მოითხოვს. როგორც ზემოთ აღნიშნეთ, წარუმატებლობა და მარცხის განცდა მოსწავლეში გულაცრუებას გამოიწვევს. ამდენად, როგორც უკვე აღინიშნა, ძალზე მნიშვნელოვანია, რომ ამგვარი ინტენსიური კურსი ნაადრევად არ შევთავაზოთ მოსწავლეს. გავიხსენოთ, რომ სისტემური კითხვის კურსი, რომელიც შეიმუშავა იყალბობის გოგებაშვილმა, 7-8 წლის მოსწავლეებისათვის იყო გამიზნული.

6. **ნაკითხვა-გაგება** - ეს მოქნილობისაგან განსხვავებული უნარია. შესაძლებელია, მოსწავლემ ძალიან სწრაფად წაიკითხოს პატარა ტექსტი, მაგრამ აზრი ვერ გამოიტანოს. საქმე ისაა, რომ მოქნილობაზე ვარჯიშისას ხმა მისდევს თვალების მოძრაობას, მოსწავლე კითხულობს იმას, რასაც ხედავს და არა იმას, რასაც იაზრებს. მოქნილობაზე მუშაობისას მას არ უვითარდება შინაარსის გაგება-წვდომისათვის აუცილებელი სააზროვნო უნარ-ჩვევები. **ამ ფაქტორის გათვალისწინებით, აუცილებელია, გაიმიჯნოს ეს ორი უნარი და მოსწავლეს შევთავაზოთ გაგებაზე მიმართული საკითხავი ამოცანებიც, თუმცა ასეთ შემთხვევაში მას მოქნილად კითხვა არ უნდა მოვთხოვოთ. მოსწავლე კონკრეტული ამოცანით უნდა მივიდეს ტექსტთან და გააზრებულად, ჩუმი კითხვის ტექნიკის გამოყენებით ეცადოს დასმული ამოცანის გადაჭრას. ამგვარი აქტივობები ხელს უწყობს აქტიური მკითხველის ჩამოყალიბებას.**

## აქტივობები უნარების მიხედვით

### ასობგერითი მიმართების ჩამოყალიბება

1. **ანბანის ხმამაღლა კითხვა** - მასწავლებელი კვირაში სისტემატურად კითხულობს კლასში გამოკრულ ანბანს შემდეგი წესით - აჩვენებს კედელზე გაკრული ანბანის ერთ ასოს და ახმოვანებს მას, ანუ ამბობს შესაბამის ბერძნებას. მოსწავლეებს არ მოეთხოვებათ ანბანის დამახსოვრება. ამ აქტივობის მიზანია, მოსწავლებმა აღიქვან კავშირი ასოსა და ბერძნებას შორის, გააცნობიერონ, რომ კონკრეტული ასო კონკრეტულ ბერძნებას გამოხატავს.

### სიტყვის გრაფიკულ და აკუსტიკურ ხატების შორის არსებული მიმართების გაგება

1. მასწავლებელი გამოაკრავს სურათებს შესაბამისი წარწერებით (მაგ., ხატია ბურთი, ნახატის ქვემოთ წერია „ბურთი“). მასწავლებელი მიუთითებს ერთ-ერთი სურათის ქვემოთ მოთავსებულ წარწერაზე და ხმამაღლა კითხულობს მას. შემდეგ გადადის სხვა სურათებზე, ეკითხება მოსწავლეებს, რა არის გამოსახული სურათზე, მიუთითებს სურათების ქვემოთ წარმოდგენილ წარწერებზე და ეკითხება მოსწავლეებს: „აქ რა წერია?“. ჯერ სურათზე ეკითხება, რა არის, შემდეგ აჩვენებს წარწერებს და ეკითხება მოსწავლეებს - „აქ რა წერია?“ მოსწავლეები ხვდებიან, რომ წერია ის, რაც ხატია და, ამგვარად, სიტყვის ნაწერ ხატს აკავშირებენ ხმოვან ხატთან.
2. მასწავლებელი დაფაზე გამოაკრავს მოსწავლეთვის ნაცნობ ტექსტს, ხმამაღლა წაიკითხავს მას და თან თითს მიადევნებს, რასაც კითხულობს. კარგია ასევე და-

ფაზე დაინტერის სამ-, ოთხ-, ხუთსიტყვიანი წინადადებები და ისინი იმავე მეთოდით წავუკითხოთ მოსწავლეებს. შემდეგ მოსწავლეები დაფასთან უნდა გამოვიყანოთ, დავათვლევინოთ სიტყვები, წავუკითხოთ რომელიმე წინადადება, რომელსაც თვითონ მიადევნებს თითს. ასეთ შემთხვევაში ყოველი სიტყვის შემდეგ მცირე პაუზას ვაკეთებთ.

3. ბავშვი კარნახობს მასწავლებელს სიტყვებს, მასწავლებელი წერს დაფაზე, შემდეგ კითხულობს ნაწერს და თან აჩვენებს იმ სიტყვას, რომელსაც კითხულობს.
4. მოსწავლე უყვება მასწავლებელს რაიმე ამბავს, მასწავლებელი იწერს ნაამბობს. თემა შეიძლება იყოს მოსწავლის ბოლო დაბადების დღე, ან მისი ბოლო სტუმრობა ბებიასთან. რადგან ბავშვი თვითონ არ შეუძლია წერა, ის აკვირდება, როგორ წერს მასწავლებელი მის ნაამბობს. ეს განამტკიცებს კავშირს დაწერილ და წარმოთქმულ სიტყვას შორის.

### **მთალ-მთალი სიტყვების კითხვა ან სიტყვის ორთოგრაფიული ხატის დამასხსოვრების კითხვა - კითხვა გაშივრის გარეშე, სიტყვისგანალიზება**

#### **აქტივობები დამასხსოვრების ხელშესაწყობად (გავარჯიშების ფაზა)**

1. **დიდი ლოტო საყრდენი წარწერით.** მასწავლებელი გამოაკრავს რამდენიმე სურათს, რომლებსაც ქვემოთ ამხსნელი წარწერები ახლავს. იგი მოსწავლეებს აჩვენებს ბარათს რომელზეც ერთ-ერთი სურათის წარწერაა წარმოდგენილი. მოსწავლემ უნდა ამოიცნოს, რა წერია ბარათზე და ბარათი შესაბამის სურათთან მიიტანოს. დანარჩენი მოსწავლეები აზრს გამოთქვამენ: სწორად შესრულდა თუ არა დავალება და/ან რატომ ფიქრობენ ასე.
2. **იპოვე და შემოხაზე!** მოსწავლემ ჩამონათვალში უნდა იპოვოს და შემოხაზოს სამოდელო სიტყვის ანალოგიური სიტყვა (მოსწავლეს საყრდენად აქვს სურათი და სანიმუშო სიტყვა).

<b>ხატია მზე</b>	
<b>მზე</b>	ბურთი ხე მზე მანქანა

3. **გადახაზე განსხვავებული!** მოსწავლე კითხულობს, ადარებს და გადახაზავს განსხვავებულს (აქ საყდენად შეთავაზებულია მხოლოდ სამოდელო სიტყვა, ანუ აქტივობა ოდნავ გართულებულია)

- ხე - ხე
- ხე - ია
- ხე - ხე
- ხე - ხე

4. იპოვე, რამდენია! სიტყვათა „გროვაში“ სამოდელო სიტყვის შემოხაზვა:

### ქოლგა

ქოლგა	ცა	თუთიყუში	ქოლგა	ბანანი
ქუდი	ქოლგა	ქოლგა	ბაყაყი	ჩიტი
			ქოლგა	მაიმუნი

5. კლასში მუდმივად უნდა იყოს გამოკრული მოსწავლეთა სურათები შესაბამისი სახელებით და ცალკე მომზადებული ბარათები წარწერებით. ყოველდღიურად 2-3 წუთი შეიძლება დაეთმოს სახელებზე მუშაობას აქ აღწერილი აქტივობების გამოყენებით. შეიძლება, ასევე, მოსწავლეებს ვთხოვოთ, ერთად დაალაგონ მათი სახელები, ვინც იმ დღეს არ ესწრება გაკვეთილს და სხვა.
6. მასწავლებელი დაფაზე წერს კონკრეტული მოსწავლის სახელს და ამბობს ინსტ-რუქციას (მაგ., გამოდი დაფასთან!). მოსწავლემ უნდა ამოიცნოს თავისი სახელი და ინსტრუქცია შეესრულოს).
7. **ნაიკითხე და დააკავშირე!** მოსწავლე ნახატის გარეშე აერთებს ერთნაირ სიტყვებს

გია	•	ბუ
ხე	•	მანქანა
მზე	•	ხე
ბუ	•	გია
მანქანა	•	მზე

8. **ფოტოგრაფიული კითხვა.** ბარათებზე წერია ის სიტყვები, რომელთა ორთოგრაფიული ხატის დამახსოვრებაზე მოსწავლეები მუშაობენ. მასწავლებელი მოსწავლეებს სწრაფ-სწრაფად აჩვენებს ბარათებს, მათ უნდა სიტყვები ამოიცნონ.

### აქტივობები განხტკიცების ფაზისათვის

9. **დიდი ლოტო** საყრდენი წარწერის გარეშე. სრულდება იგივე აქტივობა, , ოლონდ სურათებს ქვემოთ წარწერები არ ახლავთ. მოსწავლემ სურათს უნდა შეუსაბამოს წარწერა. ეს გამოიყენება განმტკიცების ფაზაში, როცა მოსწავლეებს მეტნაკლებად უკვე დამახსოვრებული აქტი სიტყვის ორთოგრაფიული ხატი.
10. მასწავლებელი ხატავს საგანს და გვერდით წერს სამ სიტყვას, რომელთაგან მხოლოდ ერთი შეესაბამება ნახატს. მოსწავლემ უნდა ამოიცნოს, რომელია მართებული ვარიანტი.
11. მოსწავლეს ვაძლევთ სიტყვების სიას და ვთხოვთ, ამოიცნოს ერთ-ერთი სიტყვა, შემდეგ ვათქმევინებთ, თუ როგორ, რა ნიშნით ამოიცნო იგი. თუ მოსწავლე შეცდება – იგი უნდა დაგვაფიქროთ შეცდომაზე და შევეცადოთ, დავეხმაროთ მას, რათა თვითონ აღმოაჩინოს შეცდომა.
12. **ტექსტში სიტყვების ამოცნობა.** მოსწავლეებს ვთხოვთ, იპოვონ და ხაზი გაუს-

**დანართი 2. პიონერის ხელშეკრულება 5-6 წლის ასაკის მოსახლეობათვის**

ვან ისეთ სიტყვებს, რომელთა ამოცნობაზე მათ უკვე უვარჯიშიათ (მაგ., იპოვეთ დახაზი გაუსვით შემდეგ სიტყვებს: სპილო, დათვი, მაიმუნი).

13. **უცნობი სიტყვის გადახაზვა.** მასწავლებელი დამახსოვრებული სიტყვების გათვალისწინებით წერს ნაცნობ სიტყვებს და შეურევს ისეთებს, რომელთა წაკითხვაც მოსწავლეებმა ჯერ არ იციან. მოსწავლემ უნდა იპოვოს და გადახაზოს მისთვის უცნობი სიტყვები.
14. მოსწავლემ ტაში უნდა დაუკრას სათანადო სიტყვის ამოცნობისას. მასწავლებელი მოსწავლეებს გააცნობს აქტივობის პირობას, მაგ., მე დავწერ სიტყვებს, თქვენ კი ტაში უნდა დაუკრათ, თუ წაიკითხავთ ხილის სახელს. ამის შემდეგ მასწავლებელი დაფაზე წერს სიტყვებს, რომელეთაგან ზოგიერთი ხილის სახელია, ზოგი - არა.
15. მასწავლებელი ამზადებს ტექსტს, რომელიც მოსწავლეების მიერ ნასწავლ სიტყვებს შეიცავს და გამოაკრავს ტექსტს (სასურველია, რომ ასოების სიდიდე იყოს 8 სტ.). შემდეგ კონკრეტული ინსტრუქციით აძებნინებს ნაცნობ სიტყვებს („წაიკითხე მესამე სტრიქონის მეორე სიტყვა“; ან „მოძებნე სიტყვა“ „ვაშლი“ მეორე სტრიქონზე).
16. **“თევზაობა”.**

**მიზანი:** მთელი სიტყვების ამოცნობის უნარის განვითარება.

**მასალა:** ბანქოს ზომის ბარათები, რომლებზეც ცალკეული სიტყვები წერია.

**მიმდინარეობა:** თამაშობს ორი ან ოთხი ბავშვი სიტყვების ბანქოთი. თითოეულს აქვს 6 ბარათი. ერთი დადებს მაგიდის ცენტრში ბანქოს რაიმე სიტყვით და ამბობს, რა სიტყვა (კითხულობს). შემდეგი მოთამაშე ჩამოვა თავის ბარათს, თუ მასზე იგივე სიტყვაა დაწერილი და დაუდებს გვერდით პირველ ბარათს. თუ არაქვს ასეთი ბარათი — მიდის „სათევზაოდ“ და იღებს ახალ ბარათს. თუ იქაც არ არის ეს სიტყვა, სვლა გადადის შემდეგ მოთამაშესთან, რომელმაც უნდა დადოს ბარათი იმავე სიტყვით და წარმოთქვას ეს სიტყვა ხმამაღლა. თუ ვერ ამბობს, ბარათები მიაქვს იმას, ვინც იტყვის. მოგებულია ის, ვისაც ყველაზე მეტი ბარათი აქვს. ე.ო. თითოეულმა მოთამაშემ უნდა შეადგინოს 2X2 ან 4X4 ერთნაირსიტყვიანი კომპლექტი. იხ. სქემა 7.

**კავშირი სტანდარტთან:** შედეგი - ქართ. I.7; უცხ.დ. 01.5

### სქემა 7.

სირბილი	მაღალი	ბურთი	ფანქარი	ლამაზი	ცურვა

17. **“პასიანსი.**

**მიზანი:** მთელი სიტყვების ამოცნობის უნარის განვითარება

**მასალა:** ნაკრები ბანქოს ზომის ბარათებისა, რომლებზეც ცალკეული სიტყვები წერია. მიმდინარეობა: ბარათების მთელი ნაკრები უნდა გადმოვატრიალოთ და დავაწყოთ 5-6 რიგად. თითოეული მოთამაშე იღებს ორ ბარათს, დაანახებს სხვა მოთამაშეებს მათ და თუ ერთნაირი არ იქნება, ისევ უკან დებს. მასწავლებე-

ლი: “თამაშის მიზანია დაიმახსოვრო, რომელი სიტყვა სად დევს და მერე ამოიღო, როცა დაგჭირდება (შენი ჯერი როცა მოვა). როდესაც იპოვი ორ ერთნაირს — ბარათები შენია და შემდეგი სვლაც შენია. ყველა გადმოტრიალებული ბარათი ხმამაღლა უნდა წაიკითხო”.

**კავშირი სტანდარტთან:** შედეგი - ქართ. I.7; უცხ.დ. 01.5

## უნარი - სიტყვის ორთოგრაფიული ხატის ანალიზი

- მოსწავლეს ვთხოვთ, ამოცნობილ სიტყვაში ერთ-ერთი ასო გააფერადოს, ვთქვათ, ნითლად. შემდეგ სხვა სიტყვებში მოძებნოს იგივე ასო და იმავე ფერად (ნითლად) გააფერადოს შერჩეული ასოს შემცველი სხვა სიტყვები.
- დაფაზე იწერება სიტყვები, რომლის ხატის დამახსოვრებაზე მოსწავლეებს უკვე უმუშავიათ. მოსწავლეები ერთმანეთს ადარებენ სიტყვებს, მასწავლებლის დახმარებით პოულობენ მსგავსებებს (საერთო ასო, მარცვალი, მათი მდებარეობა).
- მასწავლებლი გამოაკრავს დაფაზე ორ ასოს და თითოეულს შეუსაბამებს რაიმე ფერს. მაგ., ხ - ნითელი ფერისაა, ვ - მწვანე. შემდეგ მასწავლებელი მოსწავლეებს შესთავაზებს ცხრილში ჩასმულ ნაცნობ სიტყვათა ჩამონათვალს. სიტყვები, რომლებიც შეიცავენ ხ-ს, მოსწავლეებმა უნდა გააფერადონ ნითლად, ხოლო სიტყვები, რომლებიც შეიცავენ ვ-ს - მწვანედ. მაგ.:

ზღარბი	ზღვა	წვიმა
ბიჭი	ღრუბელი	ბურთი
თაგვი	თევზი	ყვავილი
ყვავი	ვარდი	ბაყაყი

- ასოზე ნადირობა – ანბანში ავირჩევთ ერთ-ერთ ნაცნობ ასოს, , მოსწავლეებს მივცემთ რაიმე ნიგნს და ვთხოვთ, იპოვონ ეს ასო გარკვეული რაოდენობით (ვინც ხალისით ეკიდება ასეთი ტიპის აქტივობებს, იმას მეტ რაოდენობას განვითარებულ ვისაც უჭირს — ნაკლებს. სიაზეც იგივე ითქმის – შესაძლებლობების და მიღრეკილებების მიხედვით, მოსწავლეებს ამოსაცნობ სიტყვათა სიაში სხვადასხვა რაოდენობისა და სირთულის სიტყვებს შევთავაზებთ).
- ასოს დაკავშირება შესაბამის სურათთან (ასო უნდა გამოხატავდეს ნახატზე გამოსახული საგნის პირველ ასოს).
- დიდ სიტყვაში პატარა სიტყვის პოვნა (მაგ., მახე).
- „აფრინდა, აფრინდა!“ მასწავლებელი დაფაზე წერს სიტყვებს, მოსწავლეები ხელს ასწევენ მხოლოდ მაშინ, როცა მასწავლებელი წინასწარ მითითებულ ასოს დაწერს.
- სიტყვაში მარცვლის იდენტიფიცირება. მასწავლებელი მოსწავლეებს აძლევს სამ სვეტში გადანაწილებულ სამ მარცვალს (მაგალითად: გა, ტი. გო ) და ისეთ სიტყვათა ჩამონათვალს, რომლებიც ამ მარცვლებიდან ერთ-ერთს მაინც შეიცავს. მოსწავლეებმა უნდა იპოვონ სიტყვებში ეს მარცვლები და სათანადო სვეტში გადაანაწილონ ისინი.

**დანართი 2. ქითხვის სერიება 5-6 ტლის ასაკის მოსერალეთათვის**

- ვარიანტი** - შეიძლება იმავე ტიპის სავარჯიშო გაკეთდეს ასოების (და არა მარცვლების) გათვალისწინებით.
9. **სიტყვაში ასოების იდენტიფიცირება:** თამაში "ქურდს უნდა..." - მოსწავლეებს ვაძლევთ ტექსტს ან სიტყვათა ჩამონათვალს და ვეუბნებით, რომ ქურდს სურს მიმიპაროს სიტყვები, რომლებსაც აქვთ ესა თუ ის ასო/ასოები. მასწავლებელი მოსწავლეებს სთავაზობს: „იპოვეთ და ხაზი გაუსვით ამ სიტყვებს და ქურდი მათ ვერ წაიღებს“.

**უნარი - სიტყვების, მოკლე ციცადადებების გაშიფრა ანუ გამოთლიანება, სიტყვის ორთოგრაფიული ხატის სინთეზი და ანალიზი, კითხვის მოქმედობა**

1. **ხმამაღალი კითხვა;**
  2. **სიტყვის აწყობა მოძრავი ანბანით.** მოსწავლე სიტყვის აკუსტიკურ ანუ ხმოვან ხატს ბგერებად დაშლის (ანალიზი); დაადგენს, რა ასოები დასჭირდება მას ამ სიტყვის ასაწყობად, შემდეგ სიტყვის ბგერით თანამიმდევრობას გადაიტანს ასოების თანამიმდევრობაში (სინთეზი) და წაიკითხავს სიტყვას.
  3. **სიტყვის აწყობა.** მასწავლებელი მოსწავლეთა ჯგუფებს დაურიგებს ერთი რომელიმე სიტყვის შესაბამის ასოებს. თვითონ კი ყველას დასანახად ხელში უჭირავს ბარათი, რომელზეც ეს სიტყვაა დაწერილი. მოსწავლეებმა დარიგებული ასოები ისე უნდა განალაგონ, რომ საჭირო სიტყვა გამოვიდეს (ამ დროს შეიძლება რამდენიმე ჯგუფმა იმუშაოს პარალელურად).
  4. **მოსწავლეებს ვთავაზობთ სიტყვებს, რომლებიც ერთი ასოს ჩანაცვლებით იცვლიან მნიშვნელობას (მაგ., ხარი-ბარი; ქარი-კარი). მივუთითებთ მათ ჩასანაცვლებელ ასოზე და ვთხოვთ, რომ მის ნაცვლად „ჩასვან“ სხვა ისეთი ასო, რომ სხვა სიტყვა მივიღოთ.**
  5. **რებუსების ამოცნობა.**
  6. **ახალი სიტყვების შედგენა მოცემული სიტყვის ასოებით ან მოცემული ასოებით.**
- ვარიანტი:** რამდენიმე წუთში იპოვონ განსაზღვრული რაოდენობის ორ/სამმარცვლიანი სიტყვები.
7. **ზედმეტი სიტყვის პოვნა.** დახატულია საგნები, ნაცნობი პერსონაჟები. სურათის ქვემოთ წერია ყველა შესაბამისი სიტყვა + ერთი ზედმეტი - მოსწავლემ ზედმეტი სიტყვა უნდა იპოვოს.
  8. **სიტყვების ჩამონათვალს აკლია მარცვალი.** მოსწავლეებმა უნდაგადაიწერონ სიტყვები და ჩაამატონ საჭირო მარცვალი.

აკლია მარცვალი	ნაკლული სიტყვა თავიდან დაცერე სრულად
თუ .... ყუში	თუთიყუში
ყვა .... ლი	

**დანართი 2. პიროვის სეავლება 5-6 ტლის ასაკის მოხავეთათვის**

- ვარიანტი 1.** გაადვილების მიზნით, შეიძლება მოსწავლეს შევთავაზოთ ნაკლული მარცვლებიც მაგ.,
- მამუნს ძალიან უყვარ . . . ნანი
  - ანას უნდა ბა . . ნი.
- პირობა - შეავსე სიტყვები შემდეგ მარცვლების გამოყენებით: ბა, ყი  
**შენიშვნა** - იგივე აქტივობა ტარდება ასოზე (და არა მარცვალზე).
9. **არეული მარცვლების დაკავშირება.** ცხრილში არეულადაა მოცემული სიტყვის მარცვლები - მოსწავლემ უნდა ამოიცნოს სიტყვა და გადაინეროს იგი.

თი	ში
ყუ	თუ

- არეული მარცვლებით სიტყვის შედგენა.** მასწავლებელი მოსწავლეებს შემდეგ ინსტრუქციას აძლევს: „დააღავე მარცვლები ისეთი თანამიმდევრობით, რომ გამოვიდეს სიტყვა; მიღებული სიტყვა გადაინერე“.
- მარცვლების პოვნა სიტყვებში.** მასწავლებელი მოსწავლეებს აძლევს სამ განსხვავებულ მარცვალს, განაწილებულს სამ სვეტში (მაგალითად: გა, ტი. გო ), აგრეთვე ჩამონათვალს იმ სიტყვებისა, რომლებიც ამ სამი მარცვლიდან ერთ-ერთს მაინც შეიცავს. მოსწავლეებმა უნდა იპოვონ სიტყვებში ეს მარცვალი/მარცვლები და გაანაწილონ სიტყვები სათანადო სვეტებში.
- სიტყვების ანბანური რიგით დაწყობა.** მოსწავლეებმა სიტყვათა ჩამონათვალში მოცემული სიტყვები უნდა განაღავონ ან ბანური რიგით (ანბანი ხელმისაწვდომი უნდა იყოს).
- მოცემული მარცვლებით სიტყვების შედგენა** (ან რაც შეიძლება მეტი სიტყვის შედგენა).
- მარცვლების გამთლიანება და სიტყვის გადაწერა** - ცხრილში მარცვლები მოცემული „გახლეჩილად“ (უმჯობესია, აქტივობისათვის შეირჩეს ორმარცვლინი სიტყვები) მოსწავლეებმა უნდა გაამთლიანონ და გადაინერონ სიტყვები (უფრო რთული ვარიანტი - „გახლეჩილი“ მარცვლები მოცემულია არეულად, თანამიმდევრობის დარღვევით).

**პირველი ვარიანტი**

გაამთლიანი სიტყვები და დაცერე (I და II კლასები)		
ვა	შლი	კაშლი
ბურ	თი	

**მეორე ვარიანტი**

გაამთლიანი სიტყვები და დაცერე (I და II კლასები)		
ბა	ტი	
ბუშ	გა	
ქოლ	ლი	

15. **სიტყვების გადაწერა სიგრძის მიხედვით.** მოსწავლეებს ეძლევათ სხვადასხვა სიგრძის სიტყვები. მათ უნდა განალაგონ და გადაინერონ სიტყვები მათი შემადგენელი ასოების რაოდენობის მიხედვით, მზარდი ან კლებადი სახით.
16. **საერთო ასოს პოვნა.** მოსწავლეს ვაძლევთ სიტყვათა ჩამონათვალს და ვთხოვთ, იპოვოს და შემოხაზოს ის ასო, რომელიც საერთოა ყველა სიტყვისთვის.
17. **შესაბამისი სიტყვის პოვნა და გადაწერა.** მოსწავლეებს ვაძლევთ ხუთსვეტიან ცხრილს. პირველ სვეტში მოთავსებულია სურათი. მის გასწვრივ, ამავე მწერივის 4 უჯრაში წერია სიტყვები, რომელთაგან მხოლოდ ერთი შეესაბამება სურათს. მოსწავლემ უნდა იპოვოს, რომელია შესაბამისი სიტყვა და გადაინეროს იგი.


ხატია დათვი	დათო	დალი	დათვი	ბალი
ხატია ბუშტი	ბურთი	კუდი	ქუდი	ბუშტი
ხატია ჟირაფი				

18. მოსწავლეებს ვაძლევთ ზმნისწინებს და ზმნათა ჩამონათვალს. მათ ამ ზმნისწინებით უნდა აწარმოონ ახალი ზმნები (მაგ.; გადა, წამო, გა — სვლა, ხტომა, ტარება და სხვა).
19. **სიტყვების გარკვეული ნიშნით გადაწერა.** მოსწავლეებმა ტექსტიდან უნდა გადმოიწერონ სიტყვები გარკვეული ინსტრუქციის მიხედვით. **პირობა:** გადაიწერ სიტყვები, რომლებიც იწყება “ბ” ასოზე; გადაიწერ სიტყვები, რომლებსაც დეფისი აქვთ; გადაიწერ ოთხსაონანი სიტყვები და სხვა.
20. **მცდარი სიტყვები.** მასწავლებელი დაფაზე ხატავს ნახატების ერთ წყებას და ქვემოთ მიუწერს სათანადო სახელს, ზოგიერთს მიუწერს მცდარად. **პირობა:** გადაიწერე მხოლოდ იმ ნახატების სიტყვები, რომლებიც ნახატს შეესაბამება.
21. **შინაარსობრივი წყვილები.** მოსწავლემ უნდა დააწყვილოს სიტყვები, რომლებიც შინაარსობრივად უკავშირდება ერთმანეთს. მაგ. ცხრილის მარცხენა სვეტში წერია - მეპურე, მეყვავილე, მეხორცე და ა.შ. მეორე სვეტში არეულადაა მოცემული ხელობის აღმნიშვნელ ამ სახელებთან დაკავშირებული სიტყვები: პური, ხორცი, მისთ. მოსწავლემ უნდა დაკავშიროს პური მეპურესთან, ხორცი მეხორცესთან და ა.შ.
22. **შესაბამისობების ცხრილი.** დაწყვილება სუბიექტების შესაბამის მოქმედებებთან (მაგალითად, კატა - კნავის; მერცხალი დაფრინავს და ასე შემდეგ). ცხრილის პირველ ვერტიკალურ სვეტში სუბიექტებია მოცემული (მაგ., ცხოველები); ზედა პორიზონტალურ სვეტში - შესაბამისი მოქმედებები. მოსწავლემ უნდა მონიშნოს შესაბამისი უჯრა. შეიძლება ერთი და იგივე მოქმედება რამდენიმე სუბიექტს უკავშირდებოდეს. შესაბამისად, ერთ სვეტში შეიძლება რამდენიმე უჯრა მოინიშნოს. (წმტერაქციაში - უცხოური ან მეორე ენის გაკვეთილზე, მოსწავლეები ცხრილზე დაყრდნობით ისაუბრებენ. მშობლიური ენის გაკევთილზე კი მოსწავლეებმა აგრეთვე უნდა განმარტონ, რატომ მონიშნეს ესა თუ ის უჯრა. განსხვავებული აზრის გამოთქმის შემთხვევაში კი დაასაბუთონ საკუთარი თვალსაზრისი).
23. **სიტყვის ტრანსფორმირება** ინსტრუქციის მიხედვით. მოსწავლეს ვაძლევთ ოთხ

**დანართი 2. პითის სეავლება 5-6 ტლის ასაკის მოსეავლეთათვის**

-ხუთ სიტყვას და ინსტრუქციას, რომლის მიხედვითაც ზოგ სიტყვას ვუმატებთ ასოს, ზოგს ვაკლებთ, ზოგს კი ვუცვლით (მაგ. სიტყვა ვაშლი - სიტყვის ბოლოს დაუმატე ასო ა და ისე დაწერე).

24. **დიდ სიტყვაში პატარა სიტყვის პოვნა.** მასწავლებელი ჩამონერს სიტყვებს, რომელთა წაკითხვაზე მოსწავლეებს უვარჯიშით. შემდეგ მათ აძლევს მცირე ზომის სიტყვებს. ინსტრუქცია : „იპოვე დიდ სიტყვებში პატარა სიტყვები და ხაზი გაუსვი“ (მაგალითად: ხე ალი და ია კი თუ არ – მახე; ოვალი; დათვის; გალია; ზოოპარკი; არწივი; თუთიყუში და სხვა).
25. **სიტყვების მოძებნა და გადაწერა ინსტრუქციის მიხედვით.** მოსწავლეებმა ტექსტიდან უნდა გადმოიწერონ სიტყვები გარკვეული ინსტრუქციის მიხედვით. ინსტრუქცია: „გადაიწერე სიტყვები, რომლებიც იწყება “ბ” ასოზე“; „გადაიწერე სიტყვები, რომლებსაც აქვს დეფისი“; „გადაიწერე ოთხასოიანი სიტყვები“ და სხვა.
26. **სიტყვების გადაწერა და მათთან ნაკარნახევი სიტყვების დაწყვილება.** მოსწავლეები გადაიწერენ 5-6 სიტყვას დაფიდან. შემდეგ მასწავლებელი ამ 6 სიტყვიდან კარნახობს ორს ან სამს. მოსწავლემ ნაკარნახევი სიტყვები უნდა მიუწეროს სათანადო სიტყვას.
27. **იდუმალი სიტყვა - სიტყვათა ჩამონათვალიდან მოსწავლეებმა უნდა ამოიცნონ და გადმოიწერონ იდუმალი სიტყვა. ინსტრუქცია:** „იდუმალი სიტყვა იწყება “თ” ასოთი და სრულდება ასო “ა”-თი“; ან „იწყება “ს” ასოთი და აღნიშნავს ცხოველს“ და სხვა.
28. **წაკითხული წინადადების შესაბამისის პოვნა** სამი ვარიანტიდან - მოსწავლე კითხულობს ერთ წინადადებას. შემდეგ მას სთავაზობენ ამ წინადადების სამ ვარიანტს. მოსწავლემ უნდა ამოიცნოს, რომელია მის მიერ მანამდე წაკითხული ვარიანტი.
29. **“პიცა”**  
მიზანი: მარცვლების გამთლიანება სიტყვებად  
მასალა: ერთჯერადი თევზი, ბარათები, სამაგრები.



**დიაგრამა 1.**

მიმდინარეობა: ერთჯერადი თეოფშის შუაში დავაკრათ სიტყვის ძირი, თავსართი ან ბოლოსართი. ცალკე ბარათებზე წერია სხვადასხვა დაბოლოება. მოსწავლემ უნდა იპოვოს შესაბამისი ბარათი და სამაგრით მიამაგროს იგი თეოფში (იხ. დიაგრამა 1.).

**კავშირი სტანდარტთან:** შედეგი - ქართ. I.6; ქართ. I.7; უცხ.დ. 01.5

## გამება - ამოცნება

- ნახატის შესაბამისი წინადაღების არჩევა - მოცემულია ნახატი, რომლის გასწვრივ წერია ნახატის შესაძლო სათაურის სამი-ოთხი ვარიანტი. ამ ვარიანტები-დან მხოლოდ ერთი შეესატყვისება ნახატს. მოსწავლეებს ვთხოვთ, იპოვონ ნახატის შესატყვისი ვარიანტი და გადაიწერონ იგი. (შენიშვნა - შერჩეული სურათი შესწავლილ მასალას უნდა ეფუძნებოდეს).

<b>ხატია: ფეხბურთის ბურთი</b>	1. დიდი მოედანი 2. ფეხბურთის ბურთი 3. ფეხბურთის თამაში 4. ტენისის ბურთი
<b>ხატია თეთრი დათვი</b>	1. დიდი სპილო 2. მურა დათვი 3. თეთრი დათვი 4. პატარა ცხოველი 5. საშიში ძალი
<b>და ა.შ.</b>	

- (1-2 კლასები) სწორია თუ მცდარია - განვლილ მასალაზე დაყრდნობით, მასწავლებელი დაფაზე წერს წინადაღებს, რომელთაგან ზოგი სწორია, ზოგი კი მცდარი. მოსწავლემ უნდა მონიშნოს სწორი.
- 1 კლასი - ინსტრუქციის წაკითხვა - მასწავლებელი დაფაზე წერს ინსტრუქციას (რაიმე სახის დავალებას/თხოვნას) რომელიც გამიზნულია ამა თუ იმ კონკრეტული მოსწავლისათვის. მაგ. „გააღე კარები, კოკა!“ - კოკამ ხელი უნდა ასწიოს და დავალება შეასრულოს; „წიგნი ჩანთაში ჩადე, მანანა!“ „ფანჯარა გააღე, გია!“ ან მთელი კლასისთვის – „ყველანი ფეხზე ადექით“და სხვ...“
- 1-2 კლასები - ინსტრუქციის კითხვა - მოსწავლემ ინსტრუქციის მიხედვით უნდა შეარჩიოს და გადაიწეროს ნარმოდგენილი სიტყვები. მაგ., მოცემულია შემდეგი სიტყვები - თუთიყუში, დათვი, მერცხალი, ბანანი, ბალი, ძალი, ვაშლი, ჩაქუჩი
  - იქვე მოცემულია შემდეგი ინსტრუქციები:
    - ამ ხაზზე გადაიწერე ხილის სახელები: -----
    - ამ ხაზზე გადაიწერე ცხოველების სახელები -----
    - და სხვა.
  - შენიშვნა - წარმატებული მოსწავლეებისათვის აქტივობა შეიძლება გართულდეს შემდეგნაირად:

**დანართი 2. ქოთხის სევალება 5-6 ტლის ასაკის მოსევალეთათვის**

- ამ ხაზზე გადაიწერე ერთი ცხოველისა და ერთი იარაღის სახელი.
- ამ ხაზზე გადაიწერე ავეჯის სახელი (ანუ დავავალებთ იმ სახელებსაც, რომლებიც სიაში არ არის წარმოდგენილი).

**5. ადრეულად — 1-2 კლასები - გადაადგილე პირობის მიხედვით - ცხრილში ხატია მოსწავლეთათვის ნაცნობი პერსონაჟები. მოსწავლემ ისინი უნდა გადაადგილოს ისრის გამოყენებით პირობის მიხედვით. მაგ.,**

ხატია თევზი		
	კუ	
	ხატია თუთიყუში	
ხატია ძალლი		

- თევზი „მიდის“ მარჯვენა უჯრედში.
- კუ „ადის“ ზედა ჯრედში.
- თუთიყუში „ჩადის“ ქვედა უჯრედში.
- ძალლი „ჩადის“ თუთიყუშის მარჯვენა უჯრედში

**6. 1-2 კლასები - ორი ტექსტის შედარება მესამესთან, „გამქრალი“ ან დამატებული სიტყვების გადაწერა. მოსწავლეს მიეწოდება ნასწავლი მოკლე ტექსტის ორი ვარიანტი. ერთი ვარიანტი ზუსტად იმეორებს ნასწავლ ტექსტს, მეორეში ზოგიერთი სიტყვა გამოტოვებულია, ზოგი სიტყვა დამატებულია, ზოგი შეცვლილია. მოსწავლე ასრულებს შემდეგ ინსტრუქციას:**

- გადაიწერე ის სიტყვები, რომლებიც „გამქრალია“ მეორე ტექტში;
- გადაიწერე ის სიტყვები, რომლებიც დამატებულია მეორე ტექტში;
- გადაიწერე ის სიტყვები, რომლებიც შეცვლილია;

**7. 1-2 კლასები - გამოცანის ნაკითხვა და ამოცნობა, საკითხავი გამოცანა - მასწავლებელი დაფაზე წერს რამდენიმე ფრაზას, რომლებიც აღწერს/ახასიათებს საგანს, პერსონაჟს (მაგ., ვინარის? მას აქვს . . . , ის ატარებს. . . ; ის არის . . . - ის არის -----). მოსწავლემ უნდა ამოცნოს, ვინ/რა არის და პასუხი რვეულში ჩაწეროს (მშობლიურ ენაში ამ აქტივობას უნდა მოჰყვეს მსჯელობა - რატომ იფიქრეს ასე, მოსწავლებმა უნდა დაასაბუთონ თავისი პასუხი).**  
მაგ., ვინ ვარ? მაქვს ბენვი, ვცხოვრობ ბუნაგში, მიყვარს თაფლი . . . მე ვარ -----.

**8. 1-2 კლასები - ასოციაციური თამაში - მოსწავლემ ნასწავლი ტექსტიდან უნდა ამოკრიფოს და გადაიწეროს კონკრეტულ თემასთან დაკავშირებული ლექსიკა (მასწავლებელი თემას შეარჩევს ტექსტის შინაარსიდან გამომდინარე. ეს შეიძლება იყოს არადადეგები, სიცხე, სიცივე, ქალაქი, სოფელი და სხვა).**

**9. ტექსტში სიტყვების მოძებნა ინსტრუქციის მიხედვით - კითხვის ერთი მონაკვეთის დასრულებისას მოსწავლეებს შეიძლება ასეთი თამაში შევთავაზოთ: მოსწავლეებს ვეუბნებით, რომ ისინი არიან მაძიებლები და შინაარსზე დაყრდნობით უნდა იპოვონ ზოგიერთი სიტყვა.**

**დანართი 2. პითების ცენტრება 5-6 ტლის ასაკის მოსახლეობათვის**

- პირობა:** იპოვე ამა და ამ გვერდზე სიტყვა, რომელიც აღნიშნავს ამას და ამას.
- **სხვა ვარიანტი:** ამა და ამ გვერდზე იპოვე ორი ყვავილის (ან სამი ცხოველის ან სხვა) სახელი;
  - **სხვა ვარიანტი:** რამდენი ცხოველის სახელია ამა და ამ გვერდზე? გადმოიწერე.

10. ერთი სემანტიკური ველის სიტყვების მოძებნა - მოსწავლებს ურიგდებათ შესწავლილი ტექსტის ქსეროასლი, მათ ხაზი უნდა გაუსვან ერთი სემანტიკური ველის სიტყვებს (პერსონაჟები, ცხოველები, ტანსაცმელიდასხვა). პირობა: ხაზი გაუსვით ამინდის აღმნიშვნელ სიტყვებს.

11. **ნახატთან შესაბამის სიტყვების მოძებნა** - მასწავლებელი დაფაზე ხატავს ნახატების ერთ წყებას და მათ ქვემოთ მიუწერს სათანადო სახელს, ზოგიერთს მცადარად მიუწერს სახელებს.

- პირობა:** „გადაიწერე მხოლოდ იმ ნახატების სიტყვები, რომლებიც ნახატს ესა-დაგება“.

12. **ტექსტთან შესაბამისი ნახატის პოვნა** - მასწავლებელი ამზადებს რამდენიმე მსგავს ნახატს. მოსწავლეებს დაურიგებს წერილობით აღწერას, რომელიც მხო-ლოდ ერთ ნახატს შეესაბამება.

- პირობა:** „იპოვე, რომელი ნახატია აღწერილი და გააფერადე“ (მაგ. სახლს წითე-ლი სახურავი აქვს. სახლის წინ მაღალი ხეა. სახლის გვერდით ბალია).

13. **აბზაცის მოძებნა და მისი შინაარსის შესაბამისი ნახატის დახატვა** - მასწავ-ლებელი წაკითხული ტექსტიდან შეარჩევს აბზაცს, რომელიც ნახატების შექმნის შესაძლებლობას იძლევა.

- პირობა:** „ამა და ამ გვერდზე წაიკითხე აბზაცი, რომელიც იწყება ასე :”...“. „და-ხატე, რას მოვგითხრობს ეს აბზაცი/ნაწყვეტი“.

14. **ორი ტექსტის მესამესთან დაკავშირება** - მასწავლებელი მოსწავლეებს შესთა-ვაზებს წაკითხული ტექსტის ორ ვარიანტს. ერთ-ერთში მცირე ცვლილებებია შეტანილი.

- პირობა:** „გადაიწერე, რომელი სიტყვებია აკლია ტექსტში“; 2; „გადაიწერე, რო-მელი სიტყვებია დამატებული ტექსტში 2.“

15. **შეპარული წინადადებება** - კლასში წაკითხულ ტექსტს მასწავლებელი გადა-წერს და შიგადაშიგ შეაპარებს სხვა წინადადებებს.

- ინსტრუქცია:** „გახაზე წინადადებები, რომლებიც წაკითხულ შინაარსს არ შეესა-ბამება“.

## დანართი 3.

### არამსატვრული ტექსტების 4 ტიპი და გათი გრაფიკული მარრგანიზაცია

გრაფიკული მაორგანიზებლები<sup>6</sup> მნიშვნელოვნად ეხმარება მოსწავლეებს სწავლის პროცესში: მაორგანიზებლების წყალობით აბსტრაქტული პროცესი კონკრეტულ სახეს იღებს - მოსწავლეები ვიზუალურად ხედავენ აბსტრაქტული პროცესის „ჩონჩხს”, რაც მათ ხელს უწყობს თავიანთი აზრების ორგანიზებასა და რეორგანიზებაში. ამგვარად, მაორგანიზებლები წარმოადგენს ერთ-ერთ მნიშვნელოვან დამხმარე რესურსს, რომელიც წარმატებით შეიძლება გამოვიყენოთ წერის წინარე პროცესში, სხვადასხვა სახის ტექსტების შესწავლის დროს. ძალზე ეფექტურია გრაფიკული მაორგანიზებლების გამოყენება არამხატვრული ტექსტების დამუშავებისას.


ქვემოთ მოცემულია არამხატვრული ტექსტების 4 ძირითადი ტიპის (ჩამოთვლა, აღნერა, ინსტრუქცია, ახსნითი) დამუშავების გრაფიკული მაორგანიზებლები და აქტივობები, რომლებიც წარმოგვიდგენს გრაფიკული მაორგანიზებლების სასწავლო პროცესში გამოყენების ნიმუშებს. მათი გამოყენება საშუალებას მისცემს მასწავლებლებს, იმუშაონ წიგნიერების ძირითად უნარ-ჩვევებზე, ლოგიკური და ანალიტიკური აზროვნების უნარ-ჩვევების, ზოგადად, ტრანსფერული უნარების განვითარებაზე.

ტექსტების სამი ტიპი: ინფორმაციის/მოვლენების თანამიმდევრული გადმოცემა (ჩამონათვალი), აღნერა და ინსტრუქცია წარმოადგენს არამხატვრული ტექსტების ძირითად ტიპებს, რომლებიც ფარავს აზროვნების სამ ძირითად სახეს: ქრონოლოგიზაციას, კატეგორიზაციას<sup>7</sup> და მიმდევრობით ნაბიჯებს. მეოთხე ტიპი - მიზეზ-შედეგობრივი კავშირების დადგენა და ასახვა (ახსნა), რომელიც მიზეზ-შედეგობრიობის დადგენას საჭიროებს, წერის ბევრად უფრო რთულ სახეს წარმოადგენს.

აქტივობები სახელდებულია მათი შესაბამისი გრაფიკული მაორგანიზებლების გარეგნული ნიშნების მიხედვით.

**1. ინფორმაციის/მოვლენების თანამიმდევრული გადმოცემა** - მოვლენების/ამბის გადმოცემა ქრონოლოგიის (დროითი თანამიმდევრულობის) დაცვით.

სქემა „დროის ისარი“ ასახავს ქრონოლოგიას /დროით თანამიმდევრობას. ამსახვე-



ლი სქემაზე წარმოდგენილი, მარცხნიდან მარჯვნისაკენ მიმართული ისარი, პირობითად, გამოსახავს დროის მსვლელობას წარსულიდან მომავლისაკენ.

მოვლენების დროითი თანამიმდევრობის დადგენისა და ქრონოლოგიის დაცვით მათი წარმოდგენის უნარი წიგნიერების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი კომპონენტია. ამ უნარის განვითარებაზე ზრუნვა შეიძლება დაიწყოს სწავლების პირველივე საფეხურზე, 5-6 წლის ასაკში, შემდეგი სახის აქტივობის მეშვეობით:

6 გრაფიკული მაორგანიზებლები - სხვადასხვა სახის გრაფიკები, სქემები, ცხრილები, ნახატები, დიაგრამები, მისთ. მათ იყენებენ ცოდნის, კონცეფციის, აზრების, იდეების გრაფიკული სახით წარმოდგენის მიზნით (სხვაგვარად მათ აგრეთვე უწოდებენ საზოროო სქემებს, კოგნიტურ დიაგრამებს, გონებრივ რუკებს).

7 კატეგორიზაცია - იდეების, მოვლენების, ინფორმაციის, საგნების დახარისხება/დაჯგუფება მათთვის დამახასიათებელი არსებითი ნიშან-თვისებების მიხედვით.

### აქტივობა ”დროის ისარი“. პირველი კლასი

**შედეგი:** ქართ. I. 15. მოსწავლეს შეუძლია გარკვეული საყრდენების დახმარებით მარტივი ყოფითი ტექსტების წერა.

### აქტივობის სასწავლო მიზნები:

- მოვლენების დროითი თანამიმდევრობის დადგენის, მათი სათანადო ქრონოლოგის დაცვით წარმოდგენის უნარის განვითარება;
- ტექსტის ანალიზის უნარის განვითარება;
- ანალიტიკური აზროვნების უნარის განვითარება;
- წიგნიერების ძირითადი უნარ-ჩვევების განვითარება.

### აქტივობის ორგანიზების ფორმა: მთელი კლასის თანამონაწილეობით (პირველი ნაწილი), ინდივიდუალური (მეორე ნაწილი)

**რესურსები:** ადამიანური რესურსები, დიდი ფორმატის ქაღალდი/დაფა, ცარცი/მარკერი, ”სკოჩი“/პლასტელინი.

**აქტივობის აღწერა:** სასაუბრო თემაა ”ერთი დღე სკოლაში“. კედელზე ან დაფაზე გაკრულია დიდი ფორმატის ქაღალდი, რომელზედაც გამოხატულია მარცხნიდან მარჯვნივ ვერტიკალურად მიმართული ისარი (შესაძლებელია ასევე ”დროის ისრის“ დაფაზე დახატვაც). მასწავლებელი ბავშვებს ესაუბრება იმაზე, თუ რას აკეთებენ ისინი სკოლაში (თამაშობენ ნეტბუქებით, სეირნობენ ეზოში, ხატავენ, უსმენენ წაკითხულს, ამბობენ ლექსებს, უსმენენ მუსიკას, ყვებიან ზღაპრებს, საუზმობენ, მისთ.). კითხვების მეშვეობით, მასწავლებელი ეხმარება ბავშვებს, მოახდინონ ერთი სასკოლო დღის რეკონსტრუირება დროითი თანამიმდევრობის დაცვითი: ”პირველად რა გააკეთე? შემდეგ? რას აკეთებდი სეირნობის შემდეგ? ზღაპრის მოსმენის შემდეგ რა გააკეთე?“ და მისთ. საუბრისას მასწავლებელი იყენებს სათანადო ზმნიზედებსა და კავშირებს: ”თავიდან“, ”პირველად“, ”ჯერ“, ”მერე“, ”შემდეგ“, ”ბოლოს“, მისთ. (სასურველია, სარეკონსტრუქციოდ შეირჩეს იმდღევანდელი ან წინა დღე).

დავუშვათ, საუბრისას გამოიკვეთა/შეირჩა 4-5 საქმიანობა. ამ საქმიანობების შესაბამისად, მასწავლებელი კლასს დაყოფს ჯგუფებად (4 საქმიანობა - 4 ჯგუფი, 5 საქმიანობა - 5 ჯგუფი და ა.შ.) და სთხოვს ბავშვებს, დახატონ, რას აკეთებდნენ ისინი სკოლაში გატარებული ერთი დღის განმავლობაში. თითოეული ჯგუფი ხატავს ერთ ცალკეულ საქმიანობას (ნახატებზე წარმოდგენილია: ”მე ვსეირნობ ეზოში“, ”მე ვთამაშობ ნეტბუქით“, ”მე ვხატავ“, ”მე ვთამაშობ ბავშვებთან“, ”მე ვსაუზმობ“, მისთ.).

ნახატებზე მუშაობის დასრულების შემდეგ, მასწავლებელი ბავშვებს უხსნის, რომ შესრულებული ნახატები მათ ქაღალდის ფორმატზე/დაფაზე გამოხატულ ხაზზე

(”დროის ისარზე“) უნდა ჩაამწერივონ. ყურადღებას ამახვილებინებს იმაზე, რომ ხაზის დასაწყისში უნდა მოთავსდეს ნახატი, რომელზეც ხატია, რა მოხდა თავდაპირველად; მის გვერდით - ნახატი, რომელზედაც ხატია, რა მოხდა ამის შემდეგ და ა.შ. - საჭირო მიმართულების (მარცხნიდან მარჯვნივ) დაცვით. შემდეგ მასწავლებელი დაფასთან იძახებს თითო-თითო წარმომადგენელს შექმნილი ჯგუფებიდან და ეხმარება მათ ნახატების გაკვრაში ”დროის ისარზე“. ამ პროცესის მიმდინარეობისას მასწავლებელი კვლავ ამახვილებს ბავშვების ყურადღებას მოვლენების თანამიმდევრობაზე შეკითხვების დასმით (”ნეტბუქით თამაში“ გავაკარით. აბა, შემახსენეთ, ამის მერე რომელი ნახატი უნდა გავაკრათ?!“). ნახატების გაკვრის შემდეგ მასწავლებელი კიდევ ერთხელ, ზეპირად ჩამოთვლის საქმიანობებს, იყენებს სათანადო ზმნიზედებს/კავშირებს (”თავიდან/ჯერ“, ”მერე“, ”ბოლოს“,

მისთ.).

აქტივობის ჩატარების შემდეგ მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, სახლში დაას-რულონ მუშაობა თემაზე ("ერთი დღე სკოლაში") გაკვეთილზე გამოკვეთილი საქმიანო-ბების მიხედვით. ამისათვის მათ გაკვეთილზე შესრულებული ნახატის გარდა, ცალკეულ ფურცლებზე უნდა დახატონ კლასში საუბრისას გამოკვეთილი დანარჩენი საქმიანობებიც. მეორე დღეს მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, გვერდიგვერდ დაალაგონ მომზადებული ნახატები საკუთარ მერხებზე სათანადო მიმდევრობის დაცვით, წარმოსახვითი ხაზის ("დროის ისრის") გასწვრივ. მასწავლებელი შეამოწმებს მოსწავლეთა ნამუშევრებსა და მათ თანამიმდევრობას, გაამხნევებს და შეაქებს მოსწავლეებს პოზიტიური მხარეების გამოკვეთით.

თუკი მოსწავლეებს ანბანი შესწავლილი აქვთ, შესაძლებელია, მარტივი განმარტებითი წარწერებიც დაურთონ თავიანთ ნახატებს.

აქტივობის ხანგრძლივობა: 12-15 წუთი (პირველი დღე), 5-7 წუთი (მეორე დღე).


**შეფასება:** აღნიშნული აქტივობით ფასდება, შეუძლია თუ არა მოსწავლეს: а) დროითი თანამიმდევრულობის დადგენა/განსაზღვრა, ბ) ინფორმაციის/მოვლენების წარმოდგენა დროითი თანამიმდევრობის დაცვით; გ) ავლენს თუ არა ანალიტიკური აზროვნების საწყის უნარს.

### მეთოდური მითითებები:

- აღნიშნული აქტივობის ჩატარება შესაძლებელია აგრეთვე მზა სურათების გამოყენებით. სამუშაოდ შეიძლება შეირჩეს სხვა თემებიც, მაგ.: "ექსკურსიაზე", "ჩემი დაბადების დღე", სხვ.
- როგორც აღინიშნა, აქტივობა "დროის ისარი" ანალიტიკური აზროვნებისა და წიგნიერების ერთ-ერთ ძირითადი უნარ-ჩვევის (დროითი თანამიმდევრობის დადგენის უნარის) განვითარებას ემსახურება. ამდენად, მისი გამოყენება შესაძლებელია არა მხოლოდ პირველ კლასში, არამედ სწავლების მომდევნო საფეხურზე (მეორე კლასში); ამასთან, როგორც მშობლიური ენის გაკვეთილებზე, ისე სხვა საგნების (ისტორიის, ბიოლოგიის, გეოგრაფიის, სხვ.) სწავლების დროსაც. ნახატებთან ერთად ან მათ ნაცვლად, ცხადია, უკვე შესაძლებელი იქნება მოსწავლეთა მიერ შესრულებული მოკლე ჩანაწერების გამოყენებაც. საგნის სპეციფიკიდან გამომდინარე, თემებად შეიძლება შეირჩეს, მაგ.: ადამიანის/ცხოველის/ფრინველის/მწერის განვითარების სტადიები, ესა თუ ის ისტორიული მოვლენა/ფაქტი, ამინდზე დაკვირვების ამსახველი ჩანაწერები (წარმოებული 3 დღის, ერთი კვირის და ა.შ. განმავლობაში), სხვ.
- სწავლების მომდევნო საფეხურზე, მიზანდასახულებიდან გამომდინარე, ქრონოლოგიური თანამიმდევრობის ამსახველი გრაფიკული მაორგანიზებელი შეიძლება შეიცვალოს და "დროის ისრის" ნაცვლად, გამოიყენოთ: კალენდარი (შესაბამის დღეებზე მოსწავლეთა მიერ შესრულებული ნახატების, მოკლე ჩანაწერების, ან მზა სურათების გაკვრით), საათის ციფერბლატი (შესაბამის ნიშნულებზე მოსწავლეთა მიერ შესრულებული ნახატების, მოკლე ჩანაწერების ან მზა სურათების გაკვრით), ჩამონათვალი ციფრების მითითებით (1, 2, 3...), სხვ.

### 2. ინსტრუქცია - როგორ შევასრულოთ მოცემული სამუშაო

"**საპნის პუშტები**" - ინსტრუქციების საფეხურების/ეტაპების თანამიმდევრობის ამ-



სახელმწიფო უნივერსიტეტი გრაფიკული სქემა. სქემაზე წარმოდგენილი თითოეული რგოლი შეესატყუისება ინსტრუქციის ერთ ცალკეულ ნაბიჯს/ ეტაპს (რგოლების რიცხვი, შესაძლებელია, შემცირდეს ან გაიზარდოს იმისდა მიხედვით, თუ რამდენსაფეხურიან ინსტრუქციასთან გვაქვს საქმე). რგოლების მიმდევრობა შეესატყვისება ინსტრუქციის ნაბიჯების/საფეხურების თანამიმდევრობას. გრაფიკული მაორგანიზებლის გამოყენება და ტექსტის სტრუქტურული ელემენტების ვიზუალიზაცია მოსწავლეებს და ეხმარება ინსტრუქციის ტექსტის სტრუქტურის დადგენასა და აღქმაში.

ინსტრუქციების უმრავლესობა წარმოადგენს რამდენიმესაფეხურიან ალგორითმს, რომელიც ნაბიჯ-ნაბიჯს გვიჩვენებს, როგორ უნდა შევასრულოთ მოცემული სამუშაო. აქედან გამომდინარე, ცხადია, რომ მოსწავლეებს უნდა ავუხსნათ, რომ რგოლებში ("საპნის ბუშტებში") შეიძლება ჩავწეროთ ცალკეული სიტყვები და არა წინადადებები. ნაბიჯების/დროითი თანამიმდევრობის ასახვის მიზნით, საჭიროა დავიცვათ მიმართულება მარცხნიდან მარჯვნივ (შდრ. "დროის ისარი").

### **აქტივობა: "საპნის ბუშტები" - მესამე კლასი**

**შედეგი:** ქართ. III. 11. მოსწავლეს შეუძლია სხვადასხვა სახის მარტივი მიზნობრივი ტექსტების დაწერა და შესაბამისად გაფორმება.

#### **აქტივობის სასწავლო მიზნები:**

- ტექსტის ანალიზის უნარის განვითარება;
- ინფორმაციის დამუშავების უნარის განვითარება;
- კონკრეტული ამოცანის/დავალების გადაჭრისათვის აუცილებელი ნაბიჯების თანამიმდევრობის (ალგორითმის) დადგენის უნარის განვითარება;
- სასწავლო (დროის მართვის, დაგეგმვის) უნარების განვითარება;
- ლოგიკური აზროვნების უნარის განვითარება;
- ანალიტიკური აზროვნების უნარის განვითარება;
- წიგნიერების ძირითადი უნარ-ჩვევების განვითარება.

**აქტივობის ორგანიზების ფორმა:** მთელი კლასის თანამონაწილეობით (პირველი ნაწილი), ინდივიდუალური (მეორე ნაწილი).

**რესურსები:** ადამიანური რესურსები, დაფა, ცარცი/მარკერი, საწერი კალმები.

**აქტივობის აღნერა:** გაკვეთილის თემა „ქუჩაზე გადასვლის წესები“. მასწავლებელი ბავშვებს ესაუბრება ქუჩაში მოძრაობის წესებზე; საფრთხეზე, რომელიც გვემუქრება, თუკი არ დავიცავთ მოძრაობის წესებს. შემდეგ ეკითხება ბავშვებს, როგორ იქცევიან ისინი ქუჩაზე გადასვლის დროს; იციან თუ არა წესები, რომლებიც უნდა დაიცვა ქუჩაზე გადასვლისას; სთხოვს ბავშვებს, თქვან ეს წესები (სავარაუდოდ, პასუხები მოწოდებული იქნება უსისტემოდ). მასწავლებელი დაფაზე ჩამოწერს ბავშვების პასუხებს. შემდეგ ამბობს: "მოდით, დავაკვირდეთ და დავალაგოთ ეს წესები იმის მიხედვით, პირველად რას ვაკეთებთ, მერე - რას... ბოლოს - რას". მცირე საუბრის/დისკუსიის შემდეგ აღმოჩნდება, რომ პირველი პუნქტია „უნდა დავდგეთ გადასასვლელზე“. მასწავლებელი ამბობს: "მოდით, დაფაზე დავ-

### დაცართი 3. არამხატვრული ტექსტების 4 ტიპი და გათი პრაფილი გამორჩევა

წეროთ ეს და შემოვხაზოთ რგოლით, კარგად რომ გამოვაჩინოთ. ამის შემდეგ რა მოდის?" ბავშვების პასუხებს მასწავლებელი ჩამოწერს ინსტრუქციის შემდგომ ნაბიჯებს: "ვიხედებით მარცხნივ და მარჯვნივ", "ვიცდით, როდის გაჩერდებიან მანქანები", "სწრაფად გადავდივართ ქუჩაზე", "მივდივართ ქუჩის მოპირდაპირე მხრის ტროტუარისაკენ". ინსტრუქციის თითოეული ნაბიჯის აღმნიშვნელ სიტყვებს/წინადადებებს მასწავლებელი რგოლებით შემოხაზავს. საუბრისას მასწავლებელი იყენებს სათანადო ზმნიზედებს/კავშირებს ("თავიდან/ჯერ", "მერე", "ბოლოს", მისთ.).

შემდეგ მასწავლებელი ბავშვების ყურადღებას მიაპყრობს გრაფიკულ მაორგანიზებელს და ამბობს: "შეხედეთ, ისე გამოვიდა, რომ წესები თითქოს საპნის ბუშტებში გვაქვს ჩასმული - თითოეულ ბუშტში ჩანერილია ერთი წესი. ძალიან კარგი, ასე არ შეგვემლება, პირველად რა უნდა გავაკეთოთ/პირველად რომელი წესი უნდა დავიცვათ, მეორედ - რა...".

(აქტივობის ხანგრძლივობა: 12-15 წუთი).

შემდეგ მასწავლებელი სთხოვს ბავშვებს, "საპნის ბუშტებში" ჩანერილი სიტყვების გამოყენებით, რეეულებში დაწერონ "ქუჩაზე გადასვლის წესები". კიდევ ერთხელ შეახსენებს მათ, რომ გრაფიკული მაორგანიზებელი უნდა წავიკითხოთ მარცხნიდან მარჯვნივ. მასწავლებელი ბავშვების ყურადღებას ამახვილებს ინსტრუქციის ენობრივ-სტილისტურ თავისებურებებზე, როგორებიცაა: მარტივი ენა, მხოლოდ აუცილებელი ინფორმაციის მითითება (დეტალიზაციის გარეშე). სურვილისამებრ, მოსწავლებს შეუძლიათ, ინსტრუქციის თითოეულ ნაბიჯს დაურთონ ილუსტრაციები ნახატების სახით. სამუშაოს დასრულების შემდეგ მასწავლებელი შეამოწმებს მოსწავლეებთა ნამუშევრებს, ინსტრუქციის ნაბიჯების თანამიმდევრობას; გაამხნევებს და შეაქებს მოსწავლეებს ნამუშევრების პოზიტიური მხარეების გამოკვეთით.

(წერითი სამუშაოს ხანგრძლივობა: 8-10 წუთი).

საშინაო დავალებად მასწავლებელი ბავშვებს აძლევს თემას: "როგორ მოვუაროთ შინაურ ცხოველებს". სთხოვს მათ, რომ წერით ნამუშევართან ერთად წარმოადგინონ "საპნის ბუშტებში" ჩანერილი ნაბიჯები ცხოველების მოვლის წესების მოკლე ჩანაწერების სახით.

**შეფასება:** აქტივობის საფუძველზე, მასწავლებელს შეუძლია დააკვირდეს, შეუძლია თუ არა მოსწავლეს: ა) ალგორითმის შედგენა გრაფიკული მაორგანიზებლის გამოყენებით (ლოგიკური აზროვნების უნარი); ბ) მოცემული ინსტრუქციის გაშლა გრაფიკული მაორგანიზებლის გამოყენებით (ანალიტიკური აზროვნების უნარი); გ) საჭიროების შემთხვევაში, ინსტრუქციის გრაფიკული მაორგანიზებლის შედგენა; დ) მართებულად იყენებს თუ არა ინსტრუქციების შედგენისას სათანადო ენობრივ-სტილისტურ ნორმებს.

**მეთოდური მითითება:**

- აქტივობის ჩატარება შესაძლებელია აგრეთვე მეორე კლასშიც (იხ. შედეგი ქართ. II. 11. მოსწავლეს შეუძლია მცირე მოცულობის ტექსტების დამოუკიდებლად შედგენა ნაცნობი ლექსიკის გამოყენებით).


**კავშირი სხვა საგნებთან:**

- აქტივობა ეხმარება ბავშვებს უსაფრთხო ქცევის წესების გამომუშავებაში. ალნიშნულ წესებს მოსწავლეები ითვისებენ ბუნებისმეტყველების შესწავლის დროს.
- ალნიშნული აქტივობა, რომელიც ავითარებს ინსტრუქციის ტექსტის გაგების აგრეთვე ინსტრუქციის შედგენის ტრანსფერულ უნარს, გამოსადეგია არა მხოლოდ მშობლიური ენის გაკვეთილებზე, არამედ სხვა საგნების შესწავლის დროსაც.

### 3. ალერითი ტექსტი - საგნების/მოვლენების ალერა და კატეგორიზაცია

ამ ტიპის ტექსტებზე დამუშავებისათვის სქემაზე ”ობობას ქსელი” გამოსახულია ძირითადი კონცეპტი და მასთან დაკავშირებული, კატეგორიებად დახარისხებული ინფორმაცია. ძირითადი კონცეპტი სქემაზე წარმოდგენილია ცენტრში მდებარე, დიდი ზომის რგოლის სახით; კატეგორიებად დახარისხებული ინფორმაცია კი - პატარა ზომის რგოლებით, რომელიც ცენტრალური რგოლისაგან გამომავალი სხივების მეშვეობით უკავშირდება ამ უკანასკნელს (ძირითად კონცეპტს). პატარა ზომის რგოლები (=საგნების/მოვლენების კატეგორიები), თავის მხრივ, ქმნის მისგან გამომავალი სხივების სისტემას. ეს მიგვითითებს, რომ სქემა შეიძლება განვითარდეს - დაემატოს საგნების/მოვლენების ჩამონათვალი კატეგორიების მიხედვით და/ან ქვეკატეგორიები (დამატებითი პატარა რგოლების სახით). საბოლოო ჯამში, ეს ობობას ქსელისმაგვარ გრაფიკულ ნახაზს გვაძლევა.

ქრონოლოგიას/დროით თანამიმდევრობას აღნიშნულ სქემაზე ყურადღება არ ექცევა.



#### აქტივობა ”ობობას ქსელი“ - მეოთხე კლასი

**შედეგი:** ქართ. IV. 11. მოსწავლეს შეუძლია სხვადასხვა სახის მცირე ზომის ტექსტის შეთხზვა.

#### აქტივობის სასწავლო მიზნები:

- ტექსტის ანალიზის უნარის განვითარება;
- ინფორმაციის დამუშავების უნარის განვითარება;
- ინფორმაციის/მოვლენების დახარისხებისა და კლასიფიცირების უნარის განვითარება ინფორმაციის/მოვლენების არსებითი ნიშან-თვისებების დადგენის გზით (კატეგორიზაცია);
- დარგობრივი ლექსიკის განვითარება;
- ანალიტიკური აზროვნების უნარის განვითარება;
- წიგნიერების ძირითადი უნარ-ჩვევების განვითარება.

**აქტივობის ორგანიზების ფორმა:** მთელი კლასის თანამონაწილეობით (პირველი ნაწილი), ინდივიდუალური (მეორე ნაწილი).

**რესურსები:** ადამიანური რესურსები, დიდი ზომის ფორმატის ქაღალდი/დაფა, ფერადი მარკერები, საწერი კალმები, ცარცი/მარკერი.

**აქტივობის აღწერა:** გაკვეთილის თემა ”წელიწადის დროები: ზამთარი“. დაფის გვერდით გაკრულია დიდი ზომის ფორმატის ქაღალდი. მასწავლებელი გაესაუბრება ბავშვებს წელიწადის დროებზე, ზამთარზე (1-2 წუთი). ამის შემდეგ ეკითხება ბავშვებს ”გო-

### დაცართი 3. არამხატვრული ტექსტების 4 ტიპი და გათი პრაფილი გაორგანიზებლები

ნებრივი იერიშის” მეთოდს), რა არის დამახასიათებელი ზამთრისათვის, რითი გამოირჩევა ზამთარი წელიწადის სხვა დროებისაგან და/ან როგორ ატარებენ ბავშვები ზამთარს. ბავშვები ზეპირად, თავიანთი ადგილებიდან სთავაზობენ ვარიანტებს (“ცივა/სიცივეა”, “ახალი წელი დგება”, “თოვს”, “თბილი ქურთუკები გვაცვია”, “ვგუნდაობთ”, “ხელთათმანები გვიკეთია”, “ციგებით/თხილამურებით ვსრიალებთ”, “სკოლაში საახალწლო ზეიმს ვაწყობთ”, “ნაძვის ხეს ვრთავთ”, “გოზინაყს ვჭამთ”, “თოვლის ბაბუა მოდის”, “ვღებულობთ საჩუქრებს”, “თოვლის კაცს ვაკეთებთ”. არდადეგები გვაქვს”, “დასასვენებლად მივდივართ” და ა.შ.). საჭიროების შემთხვევაში, მასწავლებელი ეხმარება ბავშვებს კომენტარებით, შენიშვნებით, საჭირო აქცენტების დასმით. ბავშვების პასუხებს მასწავლებელი ჩამონერს დაფის გვერდით გაკრულ დიდი ზომის ფორმატის ქაღალდზე.

ამის შემდეგ მასწავლებელი კლასს ეხმარება, დაახარისხონ არსებული მასალა არსებითი ნიშნების მიხედვით. ამისათვის ხმამაღლა წაიკითხავს პირველ ვარიანტს: “პირველად გვიჩერია ”ცივა“. როგორ ფიქრობთ, რას აღნიშნავს ეს სიტყვა? როდესაც ვამბობთ: ”ცხელა“, ”ცივა“, ”წვიმს“, ”ქარი ქრის“, ”თოვს“, რაზე ვლაპარაკობთ, რას აღვნიშნავთ?” (-პასუხია ”ამინდი“). ”ამინდის“ დასახელების შემდეგ მასწავლებელი ამბობს: ”გავარკვიეთ, რომ სიტყვა ”ცივა“ ამინდს აღნიშნავს. დავაკვირდეთ, ჩამონერილ სიტყვებში კიდევ ხომ არ გვაქვს ამინდის აღმნიშვნელი სხვა სიტყვა?“ (აღმოჩნდება, რომ ჩამონათვალში არის აგრეთვე ”თოვს“). მასწავლებელი ამბობს: ”როგორც ვხედავთ, ჩამონათვალში გვაქვს ორი სიტყვა, რომლებიც ამინდს აღნიშნავს. ეს სიტყვები რომ სხვა სიტყვებში არ აგვერიოს, ზამთრის ამინდის აღმნიშვნელი ორივე სიტყვა ერთი ფერის - მწვანე მარკერით დავფეროთ. ამით დავიმახსოვრებთ, რომ ეს ორი სიტყვა ერთსადაიმავე რამეს - ამინდს აღნიშნავს, რომ მათ აერთიანებს სიტყვა ”ამინდი“. ახლა მოდით, ეს სიტყვები დაფაზე გადავიტანოთ და დავალაგოთ, მოვაწესრიგოთ“. მასწავლებელი გადაინაცვლებს დაფასთან და შეუდგება გრაფიკული მაორგანიზებლის გამოხატვას. გზადაგზა ხსნის გრაფიკული მაორგანიზებლის გამოხატვის პრინციპს: ”ყველაზე მთავარი სიტყვაა ”ზამთარი“. ამიტომ პირველად დავწეროთ ეს სიტყვა და შემოვხაზოთ დიდი ზომის რგოლით - დიდი კვანძით. ამით აღვნიშნავთ, რომ ესაა მთავარი სიტყვა. ჩვენ დავინახეთ, რომ ჩამონათვალში გვაქვს ორი სიტყვა - ”ცივა“, ”თოვს“, რომლებიც კავშირშია ერთმანეთთან - მათ აერთიანებს სიტყვა ”ამინდი“. რომ არ დაგვავიწყდეს, რა აერთიანებს ჩამონათვლის ორ სიტყვას ერთმანეთთან, დავწეროთ სიტყვა ”ამინდი“ დაფაზე მთავარი სიტყვის (”ზამთრის“) გვერდით და ამისათვის გამოვიყენოთ მწვანე ფერის მარკერი - ამინდის აღმნიშვნელი სიტყვები ჩამონათვალში ხომ მწვანე ფერით გვაქვს გახაზული. ჩვენ ვიცით, რომ ”ამინდი“ არაა მთავარი სიტყვა, ამიტომ დავწეროთ იგი უფრო პატარა ასოებით და ჩავსვათ შედარებით პატარა ზომის რგოლში/კვანძში. რადგან ეს ორი სიტყვა - ”ზამთარი“ და ”ამინდი“ კავშირშია ერთმანეთთან, ეს კავშირი დაფაზეც უნდა გამოჩნდეს. ამისათვის, მოდით, ხაზებით დაგვაკავშიროთ ისინი ერთმანეთთან“. მასწავლებელი სხივით დააკავშირებს კატეგორიის რგოლს ძირითადი კონცეპტის - ”ზამთრის“ - რგოლთან (მუშაობს მწვანე ფერის მარკერით). შემდეგ ამბობს: ”ახლა მოდით, ”ამინდის“ რგოლს მივუწეროთ ამინდის აღმნიშვნელი ორივე სიტყვა ჩვენი ჩამონათვლიდან (”ცივა“, ”თოვს“) და დაგვაკავშიროთ ისინი ”ამინდის“ რგოლთან - ეს ორივე სიტყვა ხომ ”ამინდს“ აღნიშნავს“ (მასწავლებელი ქვეკატეგორიის რგოლს მწვანე ფერის მარკერით მიუწერს აღნიშვნულ სიტყვებს და სხივებით დააკავშირებს მას რგოლთან ”ამინდი“).

მუშაობა გაგრძელდება ჩამონათვლის სხვა სიტყვებზე, რომლებიც დახარისხდება ქვეკატეგორიების მიხედვით და გაიხაზება სხვადასხვა ფერის მარკერებით (ერთი ცალკე-

ული ფერი თითოეული ქვეკატეგორიისათვის).

სულ გამოიკვეთება შემდეგი ქვეკატეგორიები: "ამინდი" ("ცივა/სიცივეა", "თოვს"), "ახალი წლის ზეიმი" ("ახალი წელი დგება", "სკოლაში საახალწლო ზეიმს ვაწყობთ"), "ნაძვის ხეს ვრთავთ", "გოზინაყს ვჭამთ", "თოვლის ბაბუა მოდის", "საჩუქრებს ვღებულობთ"), გართობა/თამაშები ("ვგუნდაობთ", "თოვლის კაცს ვაკეთებთ", "ციგებით/თხილამურებით ვსრიალებთ"), "ტანსაცმელი" ("თბილი ქურთუკები გვაცვია", "ხელთათმანები გვიკეთია"), "არდადეგები" ("არდადეგები გვაქვს", "დასასვენებლად მივიდვართ"). ჩამონათვლის ყველა სიტყვა, კატეგორების მიხედვით, დაუკავშირდება დაფაზე გამოსახულ ძირითად კონცეპტს. მნიშვნელოვანია, რომ თითოეული ცალკეული კატეგორიის აღსანიშნავად ქაღალდსა და დაფაზე ერთი და იმავე ფერის მარკერები იყოს გამოყენებული.

საბოლოოდ, გრაფიკული მაორგანიზებელი "ობობას ქსელი" შემდეგ სახეს მიიღებს: (აქტივობის ხანგრძლივობა: 15-17 წუთი).

სამუშაოს დასრულების შემდეგ მასწავლებელი ბავშვების ყურადღებას მიაპყრობს დასრულებულ სქემას და ამბობს: "შეხედეთ, რა საინტერესო სურათი მივიღეთ. ეს ყველაფერი მოგვაგონებს ობობას ქსელს თავისი კვანძებით. ყველაზე დიდ კვანძში/რგოლში ჩანერილია მთავარი სიტყვა ("ზამთარი"), შედარებით პატარა რგოლებში/კვანძებში კი - გამაერთიანებელი სიტყვები ("ამინდი", "ახალი წლის ზეიმი", "გართობა", "ტანსაცმელი"), რომლებიც ობობას ქსელისმაგვარი ხაზებით უკავშირდება მთავარ სიტყვას. გამაერთიანებელი სიტყვების კვანძებთან მიწერილია სიტყვები ჩვენი ჩამონათვლიდან (ყველა თავისი შესაფერისი გამაერთიანებელი სიტყვების გვერდით) და ობობას ქსელისმაგვარი ხაზებით უკავშირდება გამაერთიანებელ სიტყვას.

ამის შემდეგ მასწავლებელი ბავშვებს ავალებს, დაწერონ თემა "ზამთარი" დაფაზე არსებული სქემის გამოყენებით. უხსნის მათ სქემის გამოყენების ხერხს: დიდ კვანძში/რგოლში ჩანერილი სიტყვა ("ზამთარი") თემის სათაურია. პატარა რგოლებში ჩანერილი გამაერთიანებელი სიტყვები (=კატეგორიების დასახელებები) დაგეხმარებათ, რომ ტექსტი სწორად დაყოთ აბზაცებად - თითოეული რგოლი/კვანძი ახალ აბზაცზე მიგვითოთებს. როგორც ვხედავთ, სულ გვაქვს 5 აბზაცი: "ამინდის", "ტანსაცმლის", "გართობის", "ახალი წლის", "არდადეგების" აბზაცები. ნინადადებების შედგენის დროს აუცილებლად უნდა გამოიყენოთ სიტყვები, რომლებიც მიწერილია გამაერთიანებელი სიტყვების კვანძებთან/რგოლებთან". საჭიროების შემთხვევაში, სასურველია, მოსწავლეებმა განავრცონ გრაფიკული მაორგანიზებლის მოკლე ჩანაწერები და ვრცელ ნინადადებებად გადააქციონ ისინი (აზრის შენარჩუნებით). შესაძლებელია, მოსწავლეებმა თავიანთი ტექსტები სათანადო ილუსტრაციებითაც გააფორმონ.

სამუშაოს დასრულების შემდეგ მასწავლებელი შეამონებს მოსწავლეთა ნამუშევრებს; გაამხნევებს და შეაქებს მოსწავლეებს ნამუშევრების პოზიტიური მხარეების გამოკვეთით.

(წერითი სამუშაოს ხანგრძლივობა: 8-10 წუთი).

**შეფასება:** აღნიშნული აქტივობით ფასდება: ა) შეუძლია თუ არა მოსწავლეს ინფორმაციის/მოვლენების კატეგორიზაცია, ავლენს თუ არა ანალიტიკური აზროვნების უნარს; ბ) შეუძლია თუ არა მოსწავლეს გრაფიკული მაორგანიზებლის გამოყენება; გ) საჭიროების შემთხვევაში, გრაფიკული მაორგანიზებლის შედგენა

**მეთოდური მითითება:** საჭიროების შემთხვევაში, გრაფიკული მაორგანიზებელი "ობობას ქსელი" შეიძლება განვითარდეს კატეგორიებთან ქვეკატეგორიების მითითების გზით.

**კავშირი სხვა საგნებთან:** აღნიშნული აქტივობა, რომელიც ავითარებს ინფორმაციის. მოვლენების კატეგორიებად და ქვეყატეგორიებად დახარისხების უნარს გრაფიკული მაორგანიზებლის გამოყენების გზით, უნივერსალური ხასიათისაა და გამოსადეგია არა მხოლოდ მშობლიური ენის სწავლებისას, არამედ, სხვა, მაგ., მეცნიერების გაკვეთილებზეც. ამგვარი გრაფიკული მაორგანიზებელი შეიძლება გამოვიყენოთ, მაგ. ცოცხალი ბუნების შესწავლისას (ძირითადი კონცეპტი: "ცოცხალი ბუნება"; კატეგორიები: "ადამიანები", "ცხოველები", "მცენარეები", მისთ. ქვეყატეგორიები: "შინაური ცხოველები", "გარეული ცხოველები", "ფოთლოვანი მცენარეები", "წიწვოვანი მცენარეები", მისთ.), გეოგრაფიის შესწავლისას (ძირითადი კონცეპტი: "წყლის რესურსები"). კატეგორიები: "ოკეანები", "ზღვები", "მდინარეები", "ტბები", ქვეყატეგორიები: "მიწისქვეშა ტბები" და ა.შ.), სხვ. გრაფიკული მაორგანიზებლის შესწავლისას უნდა გამოვიყენოთ სათანადო დარგობრივი ლექსიკა.

#### 4. მიზეზ-შედეგობრივი მიმართების დადგენა და ასახვა - საგნების/მოვლენების ახსნა

ამ ტიპის ტექსტის დაწერა საკმაოდ დიდ სირთულეებს უქმნის მოსწავლეებს. წერის დაწყებამდე მათ ნათლად უნდა ჰქონდეთ გააზრებული მთელი მასალა/პროცესი, რომლის შესახებაც უნდა დაწერონ. ამაში დიდი დახმარების განვევა შეუძლია გრაფიკულ მაორგანიზებელს, რომლის მეშვეობითაც მოსწავლეები მოახდენენ მიზეზ-შედეგობრივი კავშირებისა და მიმართებების ვიზუალიზაციას. ახსნით ტექსტებსა და გრაფიკულ მაორგანიზებელზე მუშაობისას მასწავლებელმა უნდა გამოიყენოს ყველა შესაძლებლობა, რათა დაეხმაროს მოსწავლეებს ახსნითი ტექსტისათვის დამახასიათებელი ენობრივ-გრამატიკული ნორმების ათვისებაში. ამ მიზნით მან მუშაობის პროცესში ხშირად უნდა გამოიყენოს სათანადო კავშირები და/ან ზმიზედები: "იმიტომ რომ", "ამდენად", "თუ", "რადგან", "თუკი", "იმისათვის, რომ" და მისთ.

სქემა "ბილიარდის ბურთები", რომელზეც გრაფიკულადაა ასახული ახსნის თანამიმდევრულობა, რგოლებისა და სხივების ერთობლიობას წარმოადგენს. მარცხენა მხარეს მოთავსებული თითოეული რგოლი აღნიშნავს ამბის/მოვლენის/ინფორმაციის ერთ ცალკეულ საფეხურს/ეტაპს (მიზეზებს). რგოლებიდან გამომავალი სხივები გვიჩვენებს, რომ თითოეულ საფეხურს/ეტაპს გააჩნია დამატებითი ფაქტორებიც. მარჯვენა მხარეს მოთავსებული რგოლი შედეგის გრაფიკულ გამოსახულებას წარმოადგენს.

სამუშაო ტექსტიდან და დასახული ამოცანებიდან გამომდინარე ახსნით-განმარტებითი ტექსტის გრაფიკული მაორგანიზებლის ფორმა შეიძლება შეიცვალოს. ქვემოთ წარმოდგენილი იქნება ამ ტიპის ტექსტების გრაფიკული მაორგანიზებლის ერთი შესაძლო ვარიანტი.

**აქტივობა: "ბილიარდის ბურთები"** - მეხუთე კლასი

**შედეგი:** ქართ. V. 14. მოსწავლეს შეუძლია წერითი დავალების ამოცანის განსაზღვრა და ფუნქციური სტილის არჩევა.

**აქტივობის ორგანიზების ფორმა:** მთელი კლასის მონაწილეობით (პირველი ეტაპი), ინდივიდუალური (მეორე ეტაპი).

**რესურსები:** ადამიანური რესურსები, დიდი ზომის ფორმატის ქაღალდის ფურცელი, დაფა, ცარცი/დაფის მარკერი, სხვადასხვა ფერის მარკერები, საწერი კალმები, რვეულები.

### სასწავლო მიზნები:

- ანალიტიკური აზროვნების უნარების განვითარება: ტექსტის ანალიზის უნარის განვითარება, მიზეზ-შედეგობრივი კავშირის გამომხატველი წინადადებების/ფრაზების ამოცნობა, მათ შორის არსებული კავშირის დადგენა და წარმოდგენა გრაფიკული მაორგანიზებლის გამოყენებით;
- ლოგიკური აზროვნების უნარის განვითარება: მიზეზ-შედეგობრივი წინადადებების შედგენა გრაფიკული მაორგანიზებლის გამოყენებით;
- წერითი დავალების განსაზღვრა და სათანადო ენობრივ-გრამატიკული ნორმების მართებულად გამოყენების უნარის განვითარება;
- წიგნიერების ძირითადი უნარ-ჩვევების განვითარება.


**აქტივობის აღწერა:** გაკვეთილის სასაუბრო თემაა „ჯანმრთელი ცხოვრების წესი“.

მასწავლებელი გაესაუბრება ბავშვებს ადამიანების ცხოვრების წესზე: რას ჭამენ, რითი ერთობიან, როგორ მუშაობენ ადამიანები; რა ჩვევები, ინტერესები და პრიოტიტეტები გააჩნიათ მათ. ეკითხება ბავშვებს: „რას ნიშნავს, იყო ჯანმრთელი?“ და ჩამოწერს ბავშვების შეთავაზებულ ვარიანტებს დაფის გვერდით გაკრულ დიდი ზომის ფორმატის ქაღალდზე (სავარაუდო პასუხებია: „ვარჯიშობ“, „სპორტს მისდევ“, „ჭამ ხილს“, „ჭამ ბოსტნეულს“, „ჰაერზე სეირნობ“, „ენერგიული ხარ“, „დიდხანს ცოცხლობ“, „კარგ გუნება-განწყობაზე ხარ“, „წარმატებული ხარ“, სხვა მისთ.).

ამის შემდეგ მასწავლებელი, ბავშვების თანამონაწილეობით, დაახარისხებს შეთავაზებულ ვარიანტებს კატეგორიების მიხედვით. სულ მივიღებთ შემდეგ კატეგორიებსა და ქვეკატეგორიებს: „გაკაუება: ვარჯიში, სპორტი“, „ჯანმრთელი კვება: ხილი, ბოსტნეული, ხორცი, რძის პროდუქტები“, „დასვენების სწორი რეჟიმი: ძილის რეჟიმი, ჰაერზე სეირნობა“, „ჯანმრთელობა: კარგი გუნება-განწყობა, გარეგნული სილამაზე, ენერგიულობა, წარმატებულობა, ხანგრძლივი სიცოცხლე“. კატეგორიების ერთმანეთისაგან გამოყოფის მიზნით, მასწავლებელი ერთი ფერის მარკერით გახაზავს ერთ რომელიმე კატეგორიასთან დაკავშირებულ სიტყვებს: მაგ., „ვარჯიში, სპორტი“ - წითელი ფერით იქნება გახაზული, „ჰაერზე სეირნობა, ძილის რეჟიმი“ - ყვითლად და მისთ. (კატეგორიზაციასთან დაკავშირებით დაწვრილებით იხ. ზემოთ, აქტივობა „ობობას ქსელი“).

შემდეგ მასწავლებელი შეუდგება გრაფიკული მაორგანიზებლის დაფაზე გამოსახვას. ამისათვის იგი დაფაზე გადაიტანს ქაღალდზე არსებულ ჩანაწერებს (დახარისხებული სახით): კატეგორიები ჩასმული იქნება რგოლებში ("ბილიარდის ბურთებში"), მათ გარშემო წარმოდგენილი იქნება ჩანაწერები (ქვეკატეგორიები), რომლებიც სხივებით უნდა დაუკავშირდეს შესაბამის რგოლს ("ბილიარდის ბურთს"). "მიზეზის" რგოლები გრაფიკული მაორგანიზებლის მარცხენა მხარესაა წარმოდგენილი, "შედეგის" რგოლი - მარჯვენა მხარეს. "მიზეზის" რგოლები სხივებით დაუკავშირდება "შედეგის" რგოლს. დაფაზე მუშაობისას მასწავლებელი სარგებლობს დახარისხების დროს შერჩეული ფერების მარკერებით.

შედეგად, გრაფიკული მაორგანიზებელი შემდეგ სახეს მიიღებს:



**დანართი 3. არაგხაზრული გენერაციის 4 გიგა და მათი გრაფიკული გარემონტებლათი**

ახსნა; გ) მოვლენებს/საგნებს შორის არსებული მიზეზ-შედეგობრივი კავშირების ამსახველი გრაფიკული მაორგანიზებლის გამოყენება; დ) საჭიროების შემთხვევაში, მოვლენებს/საგნებს შორის არსებული მიზეზ-შედეგობრივი კავშირების ამსახველი გრაფიკული მაორგანიზებლის შედგენა; ე) სათანადო ენობრივ-გრამატიკული ნორმების მართებულად გამოყენება წერისას.

**მეთოდური მითითებები:**

- გრაფიკული მაორგანიზებელი შეიძლება შეიცვალოს (გამარტივდეს, გართულდეს, სრულიად სხვა სახე მიიღოს) სამუშაოს შინაარსისა და დასახული ამოცანის მიხედვით; აგრეთვე მოსწავლეების ცოდნის დონისა და უნარ-ჩვევების შესაბამისად.
- აქტივობა/აქტივობები ახსნა-განმარტებითი ტექსტის გრაფიკული მაორგანიზებლის გამოყენებით, შესაძლებელია, ჩატარდეს მეექვსე კლასშიც (იხ. შედეგი ქართ. VI. 15).
- კავშირი სხვა საგნებთან: აღნიშნული აქტივობა ხელს უწყობს წიგნიერების უნარების განვითარებას მიზეზ-შედეგობრივი კავშირების ვიზუალიზაციის გზით, რაც ძალზე გამოადგებათ მოსწავლეებს მეცნიერების, ისტორიისა და გეოგრაფიის შესწავლის დროს; მაგ. ამ თუ იმ ომის გამომწვევი მიზეზების ანალიზის დროს (ისტორია), მექანიკის კანონების შესწავლისას (ფიზიკა), სხვ.

## დანართი 4. გეოგრაფიის სემინარი

### ზეპირმატყველება გეოგრაფია

**ნიმუში. ზეპირმეტყველებაზე დაკვირვების სქემა**

სახელი:	თარიღები:				
სათანადოდ საუბრობს თანატოლებთან და უფროსებთან					
მეტყველებს თავდაჯერებით					
მეტყველებს სათანადო ძალის ხმით					
დისკუსიის დროს იცავს რიგს აზრის გამოსათქმელად					
უსმენს სხვების ლაპარაკს					
მონაწილეობს ჯგუფურ დისკუსიაში					
სვამის/პასუხობს შეკითხვებს					
გადმოსცემს ინფორმაციას					

**მოსმენა. თვითშეფასების ნიმუში**

**მოსწავლის სახელი**

**თარიღი**

- 
- ყურადღება მივაპყარი მოსაუბრეს
  - მოვისმინე გულდასმით
  - დავსვი შეკითხვა იმის შესახებ, რაც ვერ გავიგე

**დანართი 4. გაფასების სევერი**

- შემიძლია მოსმენილის გამეორება
- ჩავიწერ ის ნაწილები, რომლებიც შეიძლება დამვიწყებოდა
- ჩემ მიერ გამოყენებული სხვა სტრატეგიები:
  
- გამიჭირდა:
  
- მინდა, გავაუმჯობესო:

**შეფასების ნიმუში**

<b>სახელი _____ პრიტერიუმები</b>	<b>იშვიათად</b>	<b>ზოგჯერ</b>	<b>ყოველთვის/ თითქმის ყოველთვის</b>
1. საუბრობს ძალდაუტანებლად კომენტარი:	_____	_____	_____
2. აფართოებს/ განავითარებს ზეპირ ლექსიკას კომენტარი:	_____	_____	_____
3. იყენებს შესაბამისი სტრუქტურის წინა- დადებებს კომენტარი:	_____	_____	_____
4. ძალდაუტანებლად ლაპარაკობს ჯგუფში და/ან ძალდაუტანებლად ელაპარაკება ჯგუფის წევრებს კომენტარი:	_____	_____	_____
5. გამოთქვამს და სხვებს უზიარებს იდეებს, აზრებს, ფიქრებს და მოსაზრებებს კომენტარები:	_____	_____	_____
6. ავლენს თხრობის უნარს კომენტარი:	_____	_____	_____

## ცერა შევასება

წერის პროცესი სხვადასხვა ამოცანის წინაშე აყენებს მოსწავლეს - წერითი ნამუშევრის შექმნისას მან უნდა გაითვალისწინოს კონკრეტული მიზანი, აუდიტორია, თემა, მისთ.

მასწავლებელმა თვალი უნდა ადევნოს მოსწავლის ქმედებას წერის პროცესის ყველა ეტაპზე; დაავირდეს მოსწავლის განვითარების პროცესს და განსაზღვროს, რაში საჭიროებს იგი დახმარებას; რამდენად წარმატებით იყენებს იგი წერის სტრატეგიას/სტრატეგიებს. ეს თვალსაჩინო იქნება, თუ მოსწავლე:

### ცერის ნინა ეტაპი

- წამოაყენებს იდეებს/აზრებს წერითი ნამუშევრის შესასრულებლად (გონიერივი იერიშის, საკითხის დამუშავების, კითხვა-პასუხის დროს);
- ჩამოწერს იდეებს/აზრებს;
- ამოარჩევს საჭირო იდეას/აზრს, ყურადღებას ამახვილებს თემაზე;
- მოიძიებს და შეაგროვებს საინფორმაციო რესურსებს;
- ახდენს იდეების/აზრების ორგანიზებას (მაგ., გრაფიკული მაორგანიზებლის, ინტერნეტის, სხვ. გამოყენებით);
- მიზნისა და აუდიტორიის გათვალისწინებით, ნამუშევრისათვის შეარჩევს საჭირო ფორმატს;
- სხვა.

### ცერის ეტაპი

#### ნამუშევრის შედგენა

- გადმოსცემს იდეებსა და აზრებს სიტყვებისა და ნახატების მეშვეობით;
- გადმოსცემს და განავითარებს იდეებს წინადადებებისა და/ან აპზაცების მეშვეობით;
- აღწერს სურათებს ან მოვლენებს;
- სხვა.

### ცერის შემდგომი ეტაპი

#### რედაქტირება

- ჩაასწორებს და გააუმჯობესებს პირველ ვერსიას;
- აკვირდება შინაარსსა და აზრებს, ცვლის მათ საჭიროების მიხედვით;
- ახდენს ნაშრომის რედაქტირებასა და კორექტირებას;
- სხვა.

#### ნამუშევრის გაზიარება/წარდგენა (პრეზენტაცია)

- ხმამაღლა კითხულობს ნამუშევარს;
- მონაწილეობას ღებულობს აზრთა გაცვლა-გამოცვლაში ნამუშევრების შესახებ;
- სხვა.

## წერითი ნამუშევრის შეფასების ნიმუში

მოსწავლის სახელი

თარიღი

წერითი ნამუშევრის თემა/სახელწოდება:

### წერითი კომუნიკაციის უნარი

- იყენებს და ასახავს ინფორმაციას, რომლის ცოდნა აუცილებელია მიზნობრივი აუდიტორიისათვის;
- მიზნობრივი აუდიტორიისა და საჭიროების გათვალისწინებით, იყენებს ადეკვატურ/სათანადო ენას;
- წარმოაჩენს და საჭიროებისამებრ იყენებს სხვადასხვა წერილობითი ფორმის ცოდნას. ეს ფორმებია:
  - ა) წერილი (პირადი და საქმიანი),
  - ბ) ლექსი,
  - გ) თხრობა,
  - დ) სცენარი,
  - ე) მოხსენება,
  - ვ) უურნალი,
  - ზ) სხვა.

სხვა დაკვირვებები:

### ტექსტის ორგანიზება

- თხზავს ნაშრომის გამოკვეთილი დასაწყისითა და დასასრულით;
- წარმოადგენს საკმარის ინფორმაციას ძირითადი იდეის დასაბუთებისთვის;
- იყენებს ნათელ საორგანიზაციო ნიმუშს.

სხვა დაკვირვებანი:

### სინტაქსური და სემანტიკური მხარე

- ყოველი წინადადება აზრს გამოხატავს;
- იყენებს სხვადასხვა სტრუქტურის მქონე წინადადებებს;
- იყენებს ადეკვატურ ლექსიკას;

სხვა დაკვირვებანი:

### წერის ტექნიკა

- სიტყვების უმრავლესობას წერს მართებული ფორმით;
- თანამიმდევრულად და ადეკვატურად იყენებს სასვენ ნიშნებს;
- აქვს მკაფიო, გასარჩევი/ამოსაცნობი ხელწერა;
- ზრუნავს ნაწერის გარეგნულ მხარესა და სისუფთავეზე

სხვა დაკვირვებანი:

### მოსწავლის ძლიერი მხარეები:

რას უნდა მიექცეს ყურადღება

## განმსაზღვრელი შეფასების დონეები

გაღალი	საშუალოზე გაღალი	საშუალო	საშუალოზე დაბალი	დაბალი
წარმატე- ბით მიაღწია დასახულ მიზანს	მიაღწია დასახულ მიზ- ანს	ნაწილო- ბრივ მიაღწია დასახულ მიზანს	აქვს დასახული მიზნის მიღწ- ევის მცდელობა	ვერ აღწევს დასახულ მიზ- ანს
მიმართავს კონკრეტულ აუდიტორიას	აქვს წარ- მოდგენა აუდი- ტორიაზე	აქვს გარკვეუ- ლი წარმოდგენა აუდიტორიაზე	აქვს მინი- მალური წარმოდგენა აუდიტორიაზე	არ ითვალ- ისწინებს აუდი- ტორიას
იდეები/აზ- რები მახვილ- გონივრულია ან შემოქ- მედებითი; რელევანტური/ აქტუალური და ზუსტი	იდეები/აზრები რელევანტუ- რია/აქტუალუ- რია და დამაკ- მაყოფილებელი	იდეები/აზრები ადეკვატურია	ძირითადად, იდეები და აზრები რელ- ევანტურია/ აქტუალურია	იდეები/აზრები პუნდოვანია, ნინააღმდეგობ- რივი ან არა- რელევანტური/ არააქტუალური
იდეები/აზრე- ბი/მოვლენები წარმოდგენილ- ია ეფექტური თანამიმდევრო- ბით	იდეები/აზრები წარმოდგენილ- ია სათანადო თანამიმდევრო- ბის დაცვით	იდეების/აზრების/მოვლენების უმრავლესობა წარმოდგენილ- ია სათანადო თანამიმდევრო- ბის დაცვით	ზოგიერთი იდეა/აზრი/ მოვლენა წარმოდგენილ- ია სათანადო თანამიმდევრო- ბის დაცვით	იდეები/მოვ- ლენები წარ- მოდგენილია არაზუსტი ან შემთხვევითი თანამიმდევრო- ბით
წინადადებების სტრუქტურა მრავალფერ- ოვანია; უმეტესწილად, შეცდომების გარეშე	წინადადებებს აქვთ სათანადო სტრუქტურა	ნაშრომის ძირი- თადი წაწილი წარმოდგენილ- ია მართებული წინადადებების სახით	ზოგიერთ შემთხვევაში დაცულია წინადადების სტრუქტურა	წარმოდგე- ნილია მხოლოდ უსისტემოდ მოწოდებული სიტყვები
ცოცხალი, საინტერესო ლექსიკა, შერ- ჩეული მიზნისა და აუდიტორი- ის გათვალის- წინებით	ძირითადად, წარმატებითაა გამოყენებული მრავალფერ- ოვანი ლექსიკა, რომელიც შეეფ- ერება აუდიტო- რიასა და მიზანს	ლექსიკა, ძირითადად, შეეფერება აუდიტორიასა და მიზანს	ლექსიკა, ძირითადად, არაზუსტია და არ შეეფერება აუდიტორიასა და მიზანს.	არაზუსტი, არასათანადო ლექსიკა

მართლწერის ნორმები დარღვეულია ძალზე იშვიათ- ად	მართლწერის ნორმების ცოდნა სათანა- დოა. შეინიშ- ნება მცირ- ერიცხოვანი ორთოგრაფი- ული შეც- დომები; მცირ- ერიცხოვანი შეცდომები სას- ვენი ნიშნების გამოყენებისას შეინიშნება მხ- ოლოდ რთული პუნქტუაციის შემთხვევაში	საკმაო რაოდენობის შეცდომების მიუხედავად, აზრი გასაგე- ბია. მარტივი პუნქტუაციის დროს შეც- დომები დაშვე- ბული არ არის	მრავალი შეც- დომის გამო აზრი ბუნდოვა- ნია; შეცდომებია დაშვებული მარტივ პუნ- ქტუაციაში	მრავალი სერი- ოზული შცდომა გაუგებარს ხდის აზრს. სას- ვენი ნიშნების გამოყენებისას დაშვებულია მრავალი შეც- დომა, რომ- ლებიც აბრკო- ლებს მკითხველს
ყველა სიტყვა განლაგებუ- ლია ხაზზე, ინტერვალები სიტყვებს შო- რის თანაბარია და თანამიმ- დევრული	სიტყვები განლაგებუ- ლია ხაზზე; სიტყვებს შორის ინტერ- ვალები ადეკვა- ტურია	სიტყვების უმრავლესობა განლაგებუ- ლია ხაზზე, ადეკვატური ინტერვალების დაცვით	ზოგიერთი სიტყვა გან- ლაგებუ- ლია ხაზზე; ადეკვატური ინტერვალების დაცვით	სიტყვები არ არის ხაზზე განლაგებული; ინტერვალები დაცული არ არის

**შეფასების ნიმუში**  
**ხმამაღლა კითხვა და შინაარსის გადმოცემა**

**მოსწავლის სახელი**

**თარიღი**

- შეეცადა გასწორებას
- მნიშვნელობის გათვალისწინებით
- მნიშვნელობის გაუთვალისწინებლად
- წარმატებით გაასწორა
- წარუმატებლად გაასწორა
- არ შეეცადა

## კომენტარები და შემდგომი რჩევები

შეცადა შინაარსის გადამცემას	სრულად	ნაილონ-პრი	მცირედ
<b>ნარატიული ტექსტი</b>			
• გაიხსენა და განსაზღვრა მოქმედების ადგილი	_____	_____	_____
• განსაზღვრა ძირითადი პერსონაჟები და ისაუბრა მათ შესახებ	_____	_____	_____
• განსაზღვრა მოვლენების თანამიმდევრობა ტექსტში	_____	_____	_____
• განსაზღვრა მთავარი თემა/იდეა	_____	_____	_____
• დაუკავშირა პერსონაჟები და იდეები საკუთარ გამოცდილებას	_____	_____	_____
<b>არანარატიული ტექსტები</b>			
• განსაზღვრა ძირითადი იდეები	_____	_____	_____
• განსაზღვრა მნიშვნელოვანი დამხმარე დეტალები	_____	_____	_____
• განსაზღვრა, როგორ არის ორგანიზებული იდეები	_____	_____	_____
• დაუკავშირა იდეები საკუთარ ცოდნასა და გამოცდილებას	_____	_____	_____

**შეფასების ნიმუში  
ვიზუალური ტექსტი**

მოსწავლის სახელი

თარიღი

ტექსტი:

### კრიტიკულები

- ემზადება დასათვალიერებლად, რისთვისაც განსაზღვრავს მიზანს და გამოთქვამს ვარაუდს, რისი შეტყობა შეიძლება ვიზუალური ტექსტიდან

### კომენტარები:

- აკვირდება და ჩაინიშნავს ვიზუალურ ტექსტში წარმოდგენილ ძირითად იდეებსა და ელემენტებს, კერძოდ:
  - განსაზღვრავს ძირითად იდეას, მოვლენებს და/ან ვიზუალური ტექსტის ძირითად კონცეპტს;

- განსაზღვრავს ძირითად თანმხლებ დეტალებს ვიზუალურ ტექსტში;
- სხვ.

#### კომენტარები:

- გამოხატავს პირად და კრიტიკულ დამოკიდებულებას ვიზუალური ტექსტის მიმართ, კერძოდ:
  - გამოკვეთს პირადად მისთვის ღირებულ ვიზუალურ ელემენტებს და ახსნის თავის არჩევანს;
  - გასაზღვრავს, რა იყო მისთვის ყველაზე საინტერესო; რა ისწავლა ტექსტიდან ან რა ემოცია / ემოციები აღუძრა ტექსტმა;
  - მსჯელობს ვიზუალური ტექსტის ცალკეულ მახასიათებლებზე (მაგ., სურათების ზომა, მდებარეობა, განლაგება, სხვ.);
  - აფასებს, რამდენად სანდო, რეალისტური და ღირებულია ვიზუალური ტექსტი;
  - სხვ.

#### კომენტარები:

#### შემაჯამებელი კითხვარი

#### მოსწავლის სახელი \_\_\_\_\_

#### ამოსავალი ინფორმაცია

1. რა მიზნით შექმნი ნამუშევარი (გასართობად, რაიმეს სათქმელად, ინფორმაციის გასაზიარებლად)?
2. რომელი აუდიტორიისათვის მოამზადე ნამუშევარი (თანაკლასელებისთვის, პარალელური კლასელებისთვის, ოჯახის წევრებისთვის, საკუთარი თავისთვის)?
3. რომელი ფორმატი გამოიყენე (ხატვა, აუდიოჩანაწერები, დიაგრამა, ცხრილი, სქემა, რუკა, აფიშა, დიორამა, როლური თამაში, თოჯინების თეატრი, მულტიმედია, სხვ.)?

#### პროცესი

4. რომელი სტრატეგია გამოიყენე?
  - ა) დაგეგმვა,
  - ბ) შექმნა;
  - გ) ანალიზი, გაუმჯობესება ან შესწორება
5. რომელი ნაწილი იყო შენთვის ყველაზე ნარმატებული?
6. რაში გესაჭიროება დახმარება?

#### საბოლოო პროდუქტი

7. რა მოგწონს შენს ნამუშევარში?
8. როგორ გაუზიარე სხვებს შენი ნამუშევარი (კლასს, ეკრანზე)
9. როგორ გამოეხმაურნენ სხვები შენს ნამუშევარს?
10. რას შეცვლიდი ან გააუმჯობესებდი?

## განმავითარებელი შეფასების ნიმუში

მოსწავლის სახელი:

კლასი:

თარიღი:

მანავლებელი:

**ქართული ენა და ლიტერატურა**

- ა - ჯერ არ აკმაყოფილებს  
 ბ - ნაწილობრივ აკმაყოფილებს  
 გ - აკმაყოფილებს  
 დ - სრულად აკმაყოფილებს

**ზეპირმეტყველება**

- ა) მოსმენა
- ისმენს ყურადღებით
  - იგებს მოსმენილს
- ბ) ლაპარაკი
- ნათლად გამოხატავს აზრებს
  - მონაწილეობს მცირე ჯგუფებში წარმოებულ დისკუსიებში

**კითხვა**

- კითხულობს გააზრებულად, გადმოსცემს ძირითად აზრებს/იდეებს
- გამოხატავს პირად და კრიტიკულ დამოკიდებულებას ტექსტის მიმართ
- კითხულობს დამოუკიდებლად სიამოვნების მიღების მიზნით
- გამოხატავს პირად და კრიტიკულ დამოკიდებულებას სხვადასხვა სახის ვიზუალური ტექსტების მიმართ
- გადმოსცემს ვიზუალურ ტექსტებში ასახულ ძირითად აზრებს/იდეებს

**წერა**

- ცხადად გამოხატავს აზრებს
- იყენებს წერის სტრატეგიებს

ა	ბ	გ	დ

- რედაქტირების დროს მუშაობს ყურადღებით და აკურატულად

### ნარდგენა

- ცხადად გამოხატავს იდეებს/აზრებს
- იყენებს სხვადასხვა სახის საპრეზენტაციო ტექნოლოგიებს
- გაიაზრებს, რამდენად ეფექტური იყო პრეზენტაცია

### სხვა

- მონაწილეობს ინტერესითა და ენთუზიაზმით

**დამატებითი კომენტარები:**

## გამოყენებული ლიტერატურის სია

- Culham, R., 6+1 Traits of Writing, Scholastic Professional Books, 2003.
- Graham, J. and Kelly, A., Reading under Control, Routledge, Taylor & Francis Group, 2008.
- Improving Reading Comprehension in Kindergarten through 3rd Grade, IES Practice Guide, National Center for Education Evaluation and Regional Assistance.
- Martin, M., Lovat, Ch. and Purnell G., The Really Useful Literacy Book, Routledge, Taylor & Francis Group, 2007.
- Palmer, S., How to Teach Writing Across the Curriculum, A David Fulton Books, Routledge, Taylor & Francis Group, 2011.
- Stafford, T., Teaching Visual Literacy in the Primary Classroom, A David Fulton Books, Routledge, Taylor & Francis Group, 2011.
- Tompkins, G., E., Language Arts, Patterns of Practice, Pearson Prentice Hall, 2005.
- Wray, D., & Medwell, J., Teaching Literacy Effectively in the Primary School, Routledge, Taylor & Francis Group, 2006.

## გენერაციისათვის